

მნათობი



1-2

2000

მნათობი



წიგნი 76-ე

№ 1-2

2000 წელი

საპარტოვო სფეროში კავშირის ორგანო

შინაარსი

პოეზია, პროზა, დრამატურგია

ჯანო ჯანელიძე - სიტყვა ჯვარცმასა და ამბულაზაზე.	
ფრაგმენტები პოემიდან	3
ზაურ ჯიღაძე - ხვალ, ხვალ, ხვალ... რომანი	8
ლია გოდუშვილი - ლექსები	36
ანდრო გუაჩიძე - ლექსები	39
მამუკა დოლიძე - მისი მახვილი. ვარიაცია ისტორიულ თემაზე	45
ამირან ხაბაზი - ლექსები	50
ნათო გაბნიძე - „რამდენ ბნურდა მოხვედრილიყავ	
ჩვენს მორთულ ბეჭეზე...“ პიესა	53
არტურ ადამოვი - თბილისი სიკვდილი. პიესა. ფრანგულიდან თარგმნა	
თვა შაიშველაშვილმა	60
თბა შაიშველაშვილი - არტურ ადამოვის სიზმრისაული	
თეატრის არტისტების სამყარო	61

კრიტიკა, უპასუხისტიკა

ზაზა აბშიანიძე - გალაკტიონი	65
ქათავან შინგალია - „ლუგარა“-ს სახისმიჯნველდინსათვის	76
ნინო კვიციანიძე - „ასი შექსპირიკ ვერ ამოლავს“...	84
ზაზა ასლიანიძე - ქათო იძა, ფჟილი აძა	87
ასრათ ომარაშვილი - ილია და სინგვილო	95

მეცნიერება

მამუკა ჭანტურია - სახეობრივი აზროვნების თავესაბურბანი	
ვაძა-ფშაველას პოეზიაში	90
ენვერ ბარათაილი - ფილოსოფიური იდეები ათონის	
მნიგნობრულ სკოლაში	106
თბა თავებრიკა - მითასომეგები და მითალოგიზმები აკაკი	
ნარეთლის სატირულ ლირიაში	111

შინაარსი
(გაგრძელება)



პუბლიკაცია

კონსტანტინე გამსახურდიას უცნობი ნაწილები.

წინასიტყვაობა და კომენტარი რუსუდან ჯანაშიასი

113

ხელშეწობა

ნათელა ურუშაძე – უჩვეულო დუბტი

119

კიტი მარაგალი – რწმენის ნიშანსვეტები

124

ანდრო პაქოშვილი – ჩემი წინაპარი

130

მთავარი რედაქტორი
თამაზ ზილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორღელი (პ.მგ. მდივანი)

სიყვანა ჯვარცმასა და ამაღლებაზე

შრამბენტიანი პრინციპი

კიბა

ეს მე ვარ,

ვინც ვარ,

ციხური სიერე,
ჭრიალებს, კნესის კარბტე დია,
ჩემი საკაცის მე ვრანდავ ფიცრებს,
რომელთაც ზვალის სასახლე ჰქვიათ.

რომელთაც ზვალის სამგარო ჰქვიათ
და ეს სამგარო მე შეეკმენ თავად,
მე ჩემი თავი ვიპოვნე გვიან
და ახლა შენში დავეკებ მთავარს.

ასე ვიუტად მიეწვე მადლა,
მღიმის ზეცა მთვართი ნაფერი,
უკვე ამგარად დამეტყო მადლა
და ველაფერიც და არაფერიც.

კიდევ ვარ შენში, არცა ვარ შენში,
ნისლია ჩემი თეთრი სამოსი
და გაწუნული ვარსკვლავთა თქმით
და მონუსხული მთვარის ამოსვლით

კვლავაც ზეციურ გლობას ვისმენ,
მთვარის სხივებით ვწნავ
ოჭროს ფაცხას
და ვუშვარ მახვილს დაღარულ კისერს,
ჰო, ვმყოფი მხედა ტახტის ნაცვლად.

თელთაგან მომწყდარს მე ვგავარ
იმ ცრემლს,
ჩემი წუხილის რომ ავსებს ღრეჭოს,
ჩემი სასახლის მე ვრანდავ ფიცრებს
და თავს თიბათვის აისზე ვიბრძობ.

სწრაფვა

წარმავალია ქვეყნად ყოველი
სიფარულის და სიმღერის გარდა
და შენს შემოსვლას ისე მოველი,
ვით გაზაფხულზე ვევაილით ბარდნას.

მინც რამდენი სედა და დარდი
იმ წარსულისგან შიგ გულში ჩამწრა
და დღენიდავ ბარდნის და ბარდნის,
ხსნა კი არა და არა და არ ჩანს.

და ნურც მოელი, წარსულს ჩაბარდა,
როცა შხის ტანზე მტევნებს ისხამდი.

წამიერს უნდა ძლიოს მარადმა
და მოიპოო მისხალ-მისხალით.

რაც დაგეარგავს დღის განიდან
და ის, რაც დღეთა დინებას გაკეცა,
აჰ, შეწერვლიც გამოწნდა ბინდად
და დაფინებით შეძახის მადლა.

წარმავალია ქვეყნად ყოველი
სიფარულის და სიმღერის გარდა
და შენს შემოსვლას ისე მოველი,
ვით გაზაფხულის ვევაილით ბარდნას.

შურისძიება

გაეცქერ ნატერის ხეს, ოდნავ შებელილს
და ბეთანის დადილ სითიორეს,
თეთრი ათონი ტირის ბებერი,
მტრებმა ასე რომ გადამითელეს.

ამ სიმბარ-ცხადის ბურუსით მოვრალი
დაეხეტები ისე, ვით ნისლი,
უპირველესად დათრგუნე თავი
და შემდეგ მტერსაც მიეხლოს თვისი.



3065 ხარ, 3065?

შენ გვეითები: „ვინა ხარ, ვინა,
რას ნიშნავს შენი სისხლი და ხორცი?!
სით ეხეტები, სადა გაქვს ბინა,
ვის განადიდებ მხურვალე ლოცვით?!

ვისი ძე ხარ და ვისი ხარ შეილი,
ვინ გსურს, შეინდო,
ვინ გსურს, გასწირო?!
ან ვისთვის წრდი,
ან ვისთვის შლიდი,
ჩემი არყოფნის წმინდა ნაწილი?!

შენ გვეითები: „ვინა ხარ, ვინა,
ვინ იყო შენი არსობის დედა?!”
იყო პასუხი ამ კითხვის წილად:
„ხმად მღალადებლის უდაბნოს ზედა

ვარ და ვიჭები და მხოლოდ მთიების
და შენ გამღვრებ ლამაზ სიძღვრებს
და განმკითხველი როს მოვა ბედის,
კვლავ სასიძღვროდ კვლავ მოვიღვრებ.

და შენ გიგალომ
და შენ გიგალომ
და ეს გალომა ბორჯილად მადგეს,
ის უმძაფრესი ბედის გრივალი
გამეზაურების წინ მაინც
რომ ჩადგეს.

შენ გვეითები: „ვინა ხარ, ვინა,
ვის მიუც შენი სული და ხორცი?!,
სით ეხეტები, სად გიდექვს ბინა,
ვის განადიდებ მხურვალე ლოცვით?!”

იუდას აპტორი

გაყიდულია სულიც და ხორციც,
არა-რა დარჩა გაყიდვული,
პა, მოძლიშარი იუდა მყოცნის
და მხრებზე ცოდვის მუხება ხელით.

ეს წარღვნაც, როგორ ლექნავს კარუცას
გასაოცართ დამრეც მთაგორით,
მაგრამ ვერ იქნა, კვლავ ჩარუცხა
დაღი იუდას ქლესა აპტორის.

ვინც საკუთარი მხრებით აიტანს
ჯვარს გოლეოთაზე — დიდება მისი!
დაფნის ღირსია ვინც ტყუშმარიტად,
ღრო მოვა, — ჯვარცმის გახდება ღირსი.

ბევრს ისევ ახსოვს სისხლი პეროდეს,
გამრწმუნებლებით ცოდვებით სრულით,
მაგრამ გწამდეთ და მაგრამ გჯეროდეთ,
ბერდება ხორცი და არა — სული.

აპაღლევა

ახლა ზეიმაღ თითქმის ხაღდება
ჩემი ცხოვრება გაუცინარი,

დიდებულია ეს აპაღლევა,
ა.პა, გაურუნად ფრთები ბრწყინავუნს.

ტყუშმარიტება

ტყუშმარიტება არსებობს კა?! —
იყოთა ბრძენმა და ჩაიარა,
იყო ღუმილი — ჭრილობა ღია,
ჰევაოდა ია, როგორც იარა.

მეც ვერ ვიპოვნე ტყივილითა ჩემთა
მალამო და კვლავ ტყივილად ვიქვე,
ყველა სიძღვრას ჭრილობა ერჭვა
და ჯანდავ სტრიქონს,
ვით კუბის ფიცრებს.

და ჯანდავ სტრიქონს, ვით კუბის ფიცრებს,
სიტყვა ყოველი გადიქვა ცრუბლად
და ბუღისწერა თვალუმში მიცქერს
და ცვლავს ცრუმლი კვლავ აღმაცერად

ჩემს ირგვლივ ყოველს, რაც ძიარფასია,
აი, რა არის ეს წამისყოფა
და ვხედავ, ვარდებს ცრუმლი ახსიათ
და ვიღაც მღერის
და ვიღაც მოთქვამს.



და ასე მიდის წუთისოფელი,
წარმავალია, რაიც კი დარჩა,
გაუცქერ საფლავეზე ვარდებს მოფენილთ,
შრიალებს ზეცის ცისფერი ფარჩა.

და კენხის ქარი ისე, ვით სტერიო,
ვამს ნაოჭი შუბლზე გაყვალა,

დაეცქერი ცრემლით და ნისლით ნაწერს
და სტრიქონ-სტრიქონ დაეყუბ შუბლას,
თუც ცოდვის ტვირთი ზედ
შხრებზე მანვეს
და ვერძნობ, ძარღვებში სისხლი
ვით შრება.

... და ვერძნობ, თვალებში
ცრემლი ვით დამრა,

მიტოვებული საფლავე ტირის,
ტირის ამკარად და გუნდასმული
ჭკუმატიტება არსებობს — კია?! —
ყითხა ბრძენმა და ჩაიარა,
იყო ღუშლი — ჭრილობა ღია,
ქვეოდა ია, როგორც იარა.

ქარმა წაიღო ყვაილი ნუშის
და იჭვი, როგორც შიმშელი დამწა,
თავის წილ ადგილს იყავებს გულში.

და მე, მანამებს, დაქანცულს,
მამერალს,
სიბრძვევ თან მდევს ბლუ თუთიყუშის,
არანაირი იმედი არ ჩანს,
რომ ჭევეილობას კვლავ ქნაბავ ნუშის.

... და მინც მივევარს

... და მინც მივევარს,
და მინც მივევარს,
ამ სიყვარულით ვებრძვი მუხანათს,
მივევარს ეგ შენი ქნარი და სიტყვა
და რადგან მივევარს, ღმერთისაც ვუყვარვარ.

მე მივევარს გზნებით ვასაოცართი,
მე მივევარს გზნებით მარადიულით
და მე, ვინც მივევარს, მასზე მლოცავი
ვებოურობ ცხოვრებით ვოველდღიურით.

მე მივევარს, ღმერთო, მადლობა შენდა
და ხმა გალობის სიზმარშიც მესმის,

სიყვარულია არსობის ღედა,
სიყვარულია სიყუთის თესლი.

მე მივევარს, მივევარს და სიყვარულში,
ვით ზეს მიწაში, გამდგამს ფესვი,
და ვველა აფრა შხისცნ აუშვი
და ასე ცრემლად ვაქცევი ღუშში.

მე მივევარს, მივევარს და მინც მივევარს
ამ სიყვარულით ვებრძვი მუხანათს,
მივევარს ეგ შენი ჩანგი და სიტყვა
და რადგან მივევარს,
ღმერთისაც ვუყვარვარ.

ნაკვანძვო

წარმავალია ქვეყნად ყოველი,
ვით უნახესი აპრილის ნისლი
და რჩება მხოლოდ სიტყვა, რომელიც
იწერებოდა ცრემლით და სისხლით.

გადამლება ვველა თარიღი —
შენების, ნერვის, სიყუთის, რისხვის
და რჩება მხოლოდ სისხლი დაღვრილი,
პო, მხოლოდ კვალი დაღვრილი სისხლის.

სიტყვა ჩემი ვალგოთა, ვეარცმა
და სისხლიანი გვირგვინი ვკლის,
მე რომ დამტოვია, ამ ქალის ნაცვლად
ნატყვარ მჭრდზე თვით სიტყვა მკერის.

სიტყვას ვუწინობი, ვით შარს მგეობრის,
ვით ზეიბარი თავის ვეარჯენს,
სიტყვას ზეიმის და სიტყვას გლოვის,
მე რომ საფლავეთან დამიდარავებს.

სიტყვა სიცილის,
სიტყვა შერისხვის,
და თუ მაკაეებს, სიტყვა მაკაეებს,
დაბრმავებული მე ვარ შენი შხით
და ბრმა მივევები სისხლის ნაკეალევს.

წარმავალია ქვეყნად ფოველი,
ვით უნაზხესი აპრილის ნისლი

და რჩება მხოლოდ სიტყვა, რომელიც
იწერებოდა ცრემლით და რჩებოდა
გინჯლითაჲს
ჩემო მამულს, მხოლოდ შენ ერთის
მე ერთგულება მოიყავს, მაკაეებს
და სისხლს, რომელსაც მე
დაღვრი შენივის,
ამ სისხლის ვერცხვს წამლის ნაკეალევს.

ღმრთის საბაღოგბელი

ღმრთო, მე შენი თან მდევს წყალობა,
შენით ემაღლეები გზით განახლებით,
წყობა წამოვა, შენით წამოვა,
შენით ბრწყინდება ეს სანახები.

წყობა წამოვა, შენით წამოვა,
თოვლი ითოვებს, შენით ითოვებს,
შენი წყალობა ჩემი წყაროა,
ეს შენით ვგალობ სვედის სტრიქონებს.

და სიძულელიც შენით განედევნე
და სიფარულიც შენით შეწყია,
შენით ვაღამებს, შენით ვათურებს,
შენით მტრის ციხე დამიღწეა.

და თუ თინდება, შენით თინდება
და თუ ღამდება, შენით ღამდება,
ეს შენ მიტყევი მიწა ედვამდ
და კვალ-ბარდი — ია-ვარდებად.

ნურც მოძვლებოდეს შენი სიცილე,
ნურც მოძვლებოდეს შენი წყალობა,
ბუდეს მტრებალი შენით იცივებს,
შენით ბუღბუღლის მათრობს გალობა.

მზე რომ ამოდის, შენით ამოდის
და მზე რომ ჩადის, ეს შენით ჩადის,
შენა ხარ ჩემი კარი სამოთხის,
შენა ხარ ჩემი სვედა და დარდიც.

და სისხრულიც შენ ხარ მარადი
და მწუხარებაც შენ ხარ, უფალო,
შენ ხარ ჭრილობა, მე რომ ემაღავდი,
ეს შენ ხარ, ვისაც კრძალვით ეუგალობ.

და როცა ვგალობ, მე შენზე ვგალობ
ცრემლსაღ დენით და ცრემლსაღ მოღებით,
შენ დამითარე, ჩემო უფალო,
ჩემი სიწმინდით, ჩემი ცოდვებით.

სისხლის თარიღები

... და სისხლიანი გაბრწყინდა ველი
და აბიბინდა სისხლის ბაღაბი,
შენ ეს ნაბიბი — ეს სისხლის ლელი
მხოლოდ სისხმარში თუ გაქვს ნანახი.

ბრწყინდება ცრემლი ისე, ვით ჩხანა,
ბრწყინდება ჩემი მინდორი სისხლის,
წარსულს ნაბარდა ის ოქროს ხანა,
მკვრიდან მიხაკს — ჭრილობას ვისხნი.

და მარმარილო მკვრივი და ცივი
აღმართულია მღუშარ საფლაკეთან,
არცა ტირილი, არცა სიცილი
არ შემადლია, მორჩა, გათავდა..

და მკვრდზე ვიწერ სისხლის თარიღებს,
ახალს რას იტყვი სისხლის თარიღო?!.
„გული წაიღეს,
სული წაიღეს
ღე, ახლა ჩემი მპორიც წაიღოს!..“

მეც დაუღალე და მეც მოვემი,
რადგან ფოველი გაფალებდა ნაღდი
და ამ ვირთხებში
და ამ მონებში,
ვაი, მეც ვირთხა და მონა გაუხდი.



მინც საიდან ცოლი ამდენი,
 ასე რად მუხილობს წუთისოფელი?
 ისევ იღვრება სისხლი აბელის
 და ისევ მძლავრობს მუეისტოფელი.

და მერღვე ვიწერ სისხლის სიბრტყელს
 და ვეშურები ვანეთხედ რაშორიანს,
 კანონი მხოლოდ ხიტყვებს არიგებს,
 გამგებელი კი ხროვას მკვლავა.

აქ გალობაა ასულთა დასის
 და ეშურება ცად ნათლის კობე,
 ვინც სიყვარულის არ იცის ფასი,
 მას სიძულვილით ვერ გააკვირებ.

ნუ დახარბდები სიყვითის შედეგს
 და იმ მწაიობის ბევერი იწამე,
 რომლის ნათელი ჩაქრობის შემდეგ
 ძალიან გვიან აღწევს მიწამდე.

ასეთი ბედი მე რატომ მდევდა?
 ეხედავ, მწვერვალზე ნისლია შენისლა,
 შერც რად გაოცებს ეს ჩემი სვედა?
 ბრძენი სიბარულს სწავლობს ცრემლისგან.

ღმერთმა დღეს ერთი სექტაკლიც დადგა,
 ჩვერც გარდვისასეთი ახალ როლებად,
 პო, ყოველივე ნიღბების გარდა,
 არის კვლავ ძველის განმეორება.

პაილოგი-მონოლოგი

აპა, მთავრდება ჩემი პოემატ,
 სტრიქონებს დია კრილობებს ვუხვევ,
 წინ რა მომელის? — ამოუება
 და დამბების თეთრი სიუხვე.

ველს მამჯენია მე ყასბის დანა,
 უკანასკნელად დაგორდა ლოდი,
 შენ სხვა რაიმეს ელოდი ვინა,
 შენ სხვა უკეთესს განა ელოდი?!

და კიდევ რაღაც
 და კიდევ რაღაც
 და ხვედიანი დღეების წყება,
 შურა,

უკანასკნელად გამოიღარა,
 უკანასკნელი დასრულდა ლექსი,
 უკანასკნელად საფლავთან ედგეარ
 და მხოლოდ ბელტის ხმაური მესმის.

ღალატი,
 დასმენა,
 დაღლა,
 სხვა დანარჩენი წაიღეს წლებმა.

კრილობებია ჩემი სხეული
 და სული ჩემი — ღია იარა,
 ყოვლის მძლეველი მე ვარ ძლეველი,
 გოლგოთას გზაზე ვინ ჩაიარა?!

სხვა დანარჩენი წაიღეს წლებმა
 და სინანული შემომრჩა მხოლოდ,
 მხრებზე მანვეება მე წელთა წყება
 და მონადირის სიფრთხილით ვცხოვრობ.

ვინ ჩაიარა ეკლის გვირგვინით,
 მხრებით ჯვარს მძიმეს ვინ ეხიდება?
 ერთხელაც ჩემი დადგება რიგი, —
 ოქროს სამოსით მოვა დიდება.

და მონადირის სიფრთხილით დავალ,
 უკან უფსრულს კეჭრეტ და წინ —
 წაეარნებს,

მოვა დიდება ოქროს რითმებად
 და შენი ფრთები თეთრად დამათოებს,
 მოვა დიდება, ვით გარინდება
 და არ დამტოვებს იგი არასდროს.

ველს მამჯენია მე ყასბის დანა,
 კიდევ ბევრჯერ რომ გაიწყვიტაშემს.



ხვალ, ხვალ, ხვალ...

რომანი

მამის ხსოვნას

ნიკოლოზ

ანწყობა და მომავლის მეუღლეა, ანუ ანწყობა და მომავლის ადამიანების მეუღლეა ნარსულსა და გარდასული ხანის ადამიანებზე ცხადია, სულიერ სფეროშია საძიებელი და თუკი ვთქვათ, ჩვენი თანამედროვენი უფრო მდიდარნი არიან იმ უძველესი და ძველი დროის შვილებზე ამ სიმდიდრის მიკვლევა, ძირითადად, სულიერ სფეროშია საეარსებელი და სწორედ მისი უმაღლესი გამოვლინება უნდა გახდეს კაცის ზნობისა და ტექნიკური გენიის ასევე უმაღლესი მონაპოვარის ლუთაპირიუი პარამონია, ამ პარამონიის პოტენციალი და შედეგი უკვე ფედაშინის საზღვრების დადგება და სრულიად სამყაროს თანდათანობით შეცნობა, ადამიანიშვილის ჩართვა უმაღლესი ცივილიზაციების კრებულში. მაგრამ ვერ კიდევ ჩვენი მწარე სინამდვილე ეს არის, დღესაც ისე ვცხოვრობთ (თითქოსდა ავი რამ შედისწერა გვედენის გაფთხრებია) რომ თითქოს სრულიად ვართ განსარცეულინი ამ სიმდიდრისგან და, თუკი რამე ცოდნა გვაქვს მოპოვებული, ჩვენდა უნებურად, ამ ცოდნის გამოყენებას ზემოხსენებული სულიერი სიმდიდრისგან განსარცეულინი მივლტვით და შემზარავი შედეგი პარამქმული უფსკრულით მივქანება ჩვენკენ ნივს კიდობნის არდაილი თავს ნამოცვეფრომა, ოღონდ, ამჯერად კიდობნობას რა გაგვიწვეს, არავინ უწყის, თუ იქნებ კაცობრიობამ სანამ გვიანი არ არის, მაინც შეძლოს საუკუნეების წიაღში დაუნჯებული ამ სულიერი სიმდიდრის მოშველეება და იქნებ სწორედ ეს გახდეს თვალთუწინარი კიდობანი ჩვენი ბნისა და სამომავლო ცხოვრების.

ამ ნივნის წერასას ეცდილობდი ამ სიმდიდრის გამოყენებას, კერძოდ, იმ მარადიული ნივნების მუშეობით, როგორცაა „ამბოლია“ და „ქართლის ცხოვრება“; იმ ნივნების ფორმისა და მინიარბის მუშეობითაც, ნარუვალნი რომ არიან და სულ მუდამ ახალი ფიქიდრების წყაროდ ვვევლინებანი და, ამისდა კულად, თავდაც კიდევ უფრო და უფრო მდიდრდებიანი და ახალ ცხოვრებას იძენენ. იქნებ ამიტომაც არის, ჩვენი თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის გმირება, რა დროსაც უნდა ცხოვრობდნენ, გნებათ უხსოვარ ეპოქაში და გნებათ იმ ეპოქაში, რომელიც ვერ კიდევ არ დამდგარა, სწორედ ამ სულიერი სიმდიდრით აღბეჭდილი უნდა იყვნენ და, რაღა გასაკუთრია, რომ მყოფებ საუკუნის გმირები შეიძლება იყვნენ შოცე საუკუნის ადამიანიშვილის სულიერებით ცხებულნი და ცხოვლად ისიც უნდა პეინდეს ჩაქფული გულში, რაც ანუხებდა, ვთქვათ, ნარსულის მთაზრუნეთაგან ისეთ გოლიათს, სორატე რომ იყო და, ასევე, ჩვენს თანამედროვეებს, რომელთა საბელები სრულ ბრწყინვალეებას მომავალში მიიღებენ, როდესაც დღევანდელი ზოგადაკომარული ცოდნა და გამოცდილება მომავლის ცოდნითა და გამოცდილებით შეიცება. დამბოლოს, იმ მომავლის შვილები ავლენ იმ მწვერვალზე, როდესაც მრავალი ღირსეული ადამიანის ოცნება აღსრულდება და საცნაური იქნება ორივე თვალმოუნველობელი სამყარო – გარესსამყარო და კაცის სულიერი სამყარო, როდესაც დროებთან ერთად ადამიანიც იმუშებს, როდესაც თავად გახდება ამ თავისი უდიდესი ცოდნისა და გამოცდილების მეუღლე, ანუ ღუთაება, რომლის ხატსაც თავისი გაჩენის დღიდანვე ცრემლშუშმარალი გულში ატარებდა, მაგრამ მრავალი, საუკუნის მანძილზე ბნით მოცულს, თვალთუწინარს, მოუხვლებულს.

ცხადია, ადამიანს დღესაც არ განულება სწრაფვა, რომ ზორცი შეასხას ამ საიდუმლოებით მოცულ ხატს და არც ვაუნელებმა, ვიდრე რომელიმე ზეალეს დადგომის ხანს ის ხატი საპოლოოდ არ შეიქნება გამომშურებელი, გათავისებული და შეცნობილი.

და იყო: მათ ფაშთა შინა, ოდეს წმინდა გიორგი კახელეული იწამა ქრისტესთვის, იყო კახადეკით ქალაქით კაცი ვნმე მთავართა შესაბამი, მონა ღმრთისა, სახელით ზაბილონ.

ქართლის ცხოვრება

იორდანე

მთელი დღე არავინ არ გამოჩენილა, აღარავინ მოდის ჩემთან, იორდანეს ამ შორეულ არემიდამოში გადმოკარგულ კაცთან. შუადღით რომ ჩამოცხა, ხის ჩრდილქვეშ დაედექი. დაბლა ერთი ფო-

თოლიც კი არ იძროდა, მხოლოდ მის კენწეროზე, სულ მალლა გაქტონდათ ფოთლებს ფრთხიალი ხახხასა მწვანე ჩიტებივით. ბავშვობაში ისინი ნამდვილი ჩიტები მეგონა, სადაცაა რომ უნდა მოს-

• ბჭებები შემოკლებია



წყდომოდნენ ტოტებს და აჭრილიყვინენ ზეცაში. იქ კი იმ ნუთას გაილეოდა, ცისფერ ბურუსში დაინთქმებოდა იმათი სიმინეანე. მაგრამ ამოა იყო ჩემი მოლოდინი და მიკვირდა, სულ ერთსა და იმავე ადგილას რად არიან-მეთქი. იმ უცნაური მწვანე ჩიტების მერე გამოხდა ხანი და გაჩნდა ფიქრი და ნუთისოფლის შიში, ანუ ის, რასაც პქეია ყოფნა იმ უფსკრულოვანთა შუა, რომელიც ბენვის ხიფია დამაკავშირებელი ერთი სიცარიელისა მეორესთან; ახლა უკვე აგორებულისა ჩემი სიცოცხლის ბორბალი და სად მიდიოდა, ნინ თუ უკან, მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის და ახლა ვერავითარი ძალა შეაჩერებდა. უკვე სულ ერთია აქ, ამ მხარეს ჩამოსული კაცისთვის, რაც უნდა მოხდეს, მაინც არ შეჩერდება მისი ბრუნვატრიალი. ნინ თუ უკან მიმართული იმ გარდასული დღეების, საათების, ნუთების, ნაშების შემზარავი მსუილი მესმის მსგავსად ნაკადულების ქვეყანაში ნაკადულების გაუთავებელი ხმაურისა. უკვე ასე მამცნობენ ეს ჩემი ნაკადულები, აბა, შეეკითხე იმ დღეებს, საათებს, ნუთებს, ნაშებს, რომლებიც იქ და მაშინ რბოდნენ, სადაც და როცა ახლა არა ვარ, და იმ ჩემი ადრეული ხანის გადავიწყებული დროების ექო, განსაცდელის ფაშს ტკბილი და საამური მუსიკის ხმასავით რომ ჩამუსმოდა შორიდან და ყრუდ, ახლა ცხადლივ მომეახლა და ჩემთვის ან უკვე საბედისწერო ნიშნით აღბეჭდილი ისე ახმაურებულიყო ვითარცა ფრთები იმ მწვანე ჩიტებისა, რომლებიც ახლა ტანვეება, ერთთავად მწვანე ლაფში გასვრილი ფრინველები შექმნილიყვნენ, თითქოსდა სამყაროს საყრდენად და სამომაროდ ფრამფრამით გადმოსროლილი ვილაცის ძლიერი და უჩინარი ხელით. მერე და მერე, ამ დიდი და ყოვლისმომცველი ხმაურის ჩახშობის კვლობაზე გაუფერულდა ბავშვობის ნიალიდან ამოზიდული მნიშვნელოვანი ნერილიმანების გალა და ახლა იმ მოზიშხომე თვალუნვდენელ ხანასაც გადასწვდა ჩემი მზერა, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიყავი გაჩენილი ამ ქვეყნად და კარგა ხნის მერე უნდა მოვლენილიყავი, მაგრამ ასე კი იყო, ჩემს დაბადებამდე წარსულის დღეების გორგალმა მზისთვალის სპეტაკი სხივებით გაჩირადდებულმა გამიელვა თვალნინ და იმავე წამს ამ აზრმა დამკრა თავში, გაგიელვა შენ, კაცს, რომელსაც გქვია ზა-

ბილონ, შენი სულის ხვანჯრით არის გარშემოხლარდნილი ეს ვაქცელები და შექცელება იყოს ისეთივე შორიდან და მიუწვდომელი, როგორც აი, თუნდაც ის თეთრი ღრუბელი და ქარი, რომელიც ჩემ წინ ხეობაზე გააქროლებს იმას თეთრი იალქნის დარად. უეცრად, ცხადი იყო თუ ზმანება მწსრაფლწარმავალი, იმ თეთრი იალქნის ქვემოთ დაეინახე დიდებული ზომადლი. ეს ხილვა კი ამ ფიქრმა გაასრულა, ბევრი მგზავრი უნდა იყოს იქ-მეთქი.

იმ გარდასულ დღეთაგან ერთიც არ წარმოჩენილა აედრით მიმძღვრებული, შემოსალტული შავად მოქურუხებული ღრუბლებით. სამაგიეროდ თეთრი, ყოველმხრივ ლაფგარდმერეული რძისფერი ჯანლით მოცულნი ბევრნი იყვნენ, მზისავე შარავანდედით გასხივცისკროვნებულნი.

და რაკილა იყო ის დღეები, უჩემოდ, ცხადია, კიდევ იქნება ის დღეები უჩემოდვე, გაივლის ეს დრო და კიდევ იქნება აუარება დღე, ოღონდ მაშინ, ჩემს მერე სხვანაირი დღეები წარმომიდგა თვალნინ: ქარიშხლიანი, ცა და მიწა მოაქვს გრგვინვა-გრიალით აგრავნილ მორებს, იმისი მღვრიე ზვირთები მოაქვნივენ კანდახეთქელ მორებს გველემპაის ნამუსრვეი კბილებივით და ზათითა და გრუხუნით ახეთქებენ ნაპირთ. სწორედ ასეთი იყო ის მორვეი, სამოცი წლის წინათ, როდესაც ქარბორბალას კვეთებამ შემუსრა ნითელი ნაძვი და ჩემ წინ გულშემზარავი ქახანით პატარა დაი მომიქლა, წინო, მისი სახის ნაცვლად ჩემს მებსიერებას შემორჩა ის ხე, კანდაკოფრილი და დახეთქილი, რომელიც ახლა და ამ ნუთას თავიდან ბოლომდე მრავალი ბერიქალის ტუჩების ასხმას მაგონებს.

დალაშდა ეს დღეც და ბინდბუნდმა დაივანა ჩემს სამყოფელში. წარსულის სიმების უღრუბამ აუარება ფიქრი ნამომიშალა და ამ დღის მერე მონეული ლამეც ასევე გადაანათა, ათი ათასი კოცონივით გააჩირადდნა და იმის მიღმა ჩემი ცხოვრების ბევრ სხვა ლამეს ახლა ხავსში შემალული ხელიკებივით სძინავს, ანუ მათი მთვარე და ვარსკვლავები სადღაც ცხრა მთას იქით არიან გადაკარგულნი.

ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მე იორუსალემიდან წამოვედი და ეს უკანასკნელი სამი წელიწადი უცნაური ფიქრები დამჩემდა და ასე მგონია, სადა-



ცაა გაქრება ამ უცნაურობის მქრქალი ნათება და ცხადლივ წარმომიჩენს მთელ თავის იდუმალებას. ბალახივით არისოდღეები კაცისა, ველის ყვავილივით აყვავილებულს წაიღებს ნიაქვარი და აღგვის, წარბოცავს, მხოლოდ უფლის წყალობაა უკუნით უკუნისამდე; უფლის წყალობა კი რა უნდა იყოს? მე მგონია მხოლოდ ის, რომ მარადიულობას გამოსტაცო თუნდაც ორიოდ წამი და შენი სული და გული გაანათო მისი საარაკო ბრწყინვალეობით. ერთ საღამოს, იურუსალემს, გადმოვაბიჯე იმ ზღვარს, რასაც წარსული ჰქვია და გაიქცა, გაიქცა ზღვა, მთები ერკემლებივით აცეკვდნენ, ბორცვნი კრაუებივით, ღრუბლის სვეტი არსად იყო, მაინც მოვედი აქ, იორდანეს მხარეს, რადგანაც იყო ის სვეტი, რომელსაც დაღლილ-დაქანცული კაცის სული ჰქვია და რომელიც ზოგჯერ ისე მიელტვის სასიყვარულო და ღმერთს, რომ ვერა ძალა აღუდგება წინ. თუნდაც მთლად უბედნიერესი კაცის ცხოვრებაში ხომ დადგება დრო და ჭამი და თავისი თვალით თუ არა, სხვისი თვალის მეშვეობით მაინც დაინახავს თავისი სიცოცხლის ბინდმორეულ დაისს და მიხედება, სჯობს გაეცალოს შეწვეულ და ახლა უკვე ამ დაისის სედეიანი სხივებით შეფენილ არემიდამოს, უნდა იჩქაროს, თორემ ეს დაისი განუჭვრეტელი წყვილი ადი გახდება და ყოველივეს იმის ირგვლივ მოეფინება გულის მომკლელი შავი არღი; მანამ არ მოვახლება ნათელი, სანამ არ დასცილდება ნაცნობ, მრავალგზის გადაცილილ-გადმოვილილ მხარეს, რომლებიც უკვე დიდი მსახიობების დადგმული სახილველი შეიქნება, მარადიულობის სამანებში მოქცეული, თუმცა კი მისი ერთი სიცოცხლით გარშემოსაზღვრული და ასე ყოველ წამს იღვევადღეები, გული ჭკნება და ხმება, კენისისგან ეკერის ხორცი ძვლებს, ემსგავსება ვერხეს უდაბნოში, ბუციოტს ტყის ნამუსრევში. სული კი რაღას ეკერის, რა ძვალი გაუძლებს იმის მეუფებას?! ასეა ნათქვამი, ჩვენ ვიბადებით ხორციით დასჯილნი და სულით დასჯილნი. ნუთუ ერთი და იგივეა ეს ორი სასჯელი? ერთი და იგივე როგორ იქნება, რადგან ხორცი ჯოჯობეთს მიელტვის, სული ზევას, თუმცა ეს ორივე გზა წამებისაა. თუ იმ პირველის ბოლო კუპრი და სიბნელეა, მეორესი შეიძლება იყოს სინათლე წარუვალნი. შეიძლება, ღმერთო, შეიძლება. თა-

ვიდათავი სწორედ ეს შეიძლება, რომელიც კიდევაც გვეკლავს სწავლებლებს. კაცის ნუთუ სწავლებლებს. ვინა თქვა, კაცი მინის მატლიაო. არა, ის თავისივე სულის წიაღიდან აგრე მაცდუნებლად ამოზიდული მარადიულობის მატლია და უნდა, რომ სულ მუდამ იყოს ღირსი ამ მარადიულობის და ამ დროს შეიძლება ვერც კი მიხედეს, რომ ამაოა ყველაფერი და რაცა ჩანს, ეს არის ჭუჭყი და ლექი თანამდევი ამ მარადიულობის გზაზე შემდგარი მატლის. მაგრამ უნ იცის! იქნებ გაილიოს ეს გზა და განინმინდოს იმ ჭუჭყისა და ლექისგან, დაადგოს მატლმა მონყელადი გარსი და ეზიაროს იმას, რაც ასე გვეგონია, ყოველთვის მიუწვდომელი იყო მისთვის.

მშვიდი წრდილები წამომდგომია თავს. ვიცი, ხეთა ტევრია იქ, ცოტა იქით გორაკია ბუჭქებით შეფენილი. ასოადე ნაბიჯზე კი ერთი დიდი ხეცია, მეორე ბოლოთი სადღაც თვალსაწიერს რომ არის მიბეჯნილი. ჩემთან კი აქ, ამ წრდილების ზემოთ ზაფრანისფერი ზეცაა, რომელიც ჩამომცქერის და იდუმალი ფიქრის ხვეულებად მოეფინება, თავს დამტრიალებს. მარტოდ ვარ. შეწყვიტა ღრიალი იმ მხეცმა, რომელიც იზახდა ომიანობის დროს, მინა აღარ ზანზარებს მისი გააფთრებული ღმუილით, მაგრამ სრული მარტოობაც ხომ კიმერაა, შემზარავი, ბანჯგელიანი, კლანჭებიან და სისხლიან თათებგამოწვდილი, ასობით თვალა, შავი ცეცხლით აგიზვირებული და მჭვრეტელი. მხოლოდ მაშინ დაიხვეს, უკუმიდგება ეს ურჩხული, როდესაც მცირეოდენ ნათელს მოიღებს გარდასული ხანის კაბადონი და თანდათანობით გამოჩნდებიან ნათელივე აჩრდილები, თანდათანობით გამოძვრებიან იმ სკივრიდან, რომელსაც, როგორც ჩანს, მთელი ცხოვრება ზურგიით დავათრევთ, არც კი ვიცი, ისე.

ის, რაც იყო, ახლა გრძნობა შექმნილა ნაღვლიანი, ტკბილი, და ყოველი დღე წარსული ხანისა მოიღებს ჩურჩულს, რომელსაც გაუთავებლივ მოჰყვებიან ლანდები და აჩრდილები. ვესაუბრები, შევფოფინებ იმით აქ, იორდანეს მხარეს და ისინიც ამასვე მომაგებენ მე; ხანდახან ამალელებული თავს მოველებიან სილაფვარდემი დანთქმულ შორეულ მწვერვლებს, სულ ორიოდ წუთში ეს სილაფვარდე ჩამუქდება, ჩამუქდება, გადაიქცევა



გოლიათებად, რომლებიც მშვიდად მაცქერალები, სააშურ ბურანში გახვეულნი გამომინდვიან თავიანთ ვეებერთელა ხელებს; მე დავემსგავსები მოვ ზაურს, რომელმაც მოვლო ქვეყნები და ზღვები, მაგრამ იმისგან განსხვავებით ჩემი სა-მოვ ზაურო არემიდამოები არც ნავთსა-ყუდლებია, არც ქალაქებია და არც სოფლები, არც უკიდვანო ველები და უდაბნოები. ყოველთვის, როცა ჩემს თავადა-სავალს ვიგონებ, საკუთარი სულის ნიაღში ვარ დანთქმული და გაუთავებლივ ვიკვლევ იმის ხეულებს, თუმცა კი ყოველი ადამიანიშვილის სულის მოძრაობის თავიდათავი ხომ სხვანი არიან და სიცოცხლეში ყველას ორი უდიდესი ლაბირინთი გვაქვს ვასავსელი. კრეტელები მეფე მინოსი და მისი მინოტავრი შეიძლება თივით გატენილ სათამაშო ტიკინებს შეეუდაროთ. საკუთარი და სხვათა სულებია ეს ლაბირინთები, რომელთა გავლასაც ერთეულები თუ ახერხებენ ტანჯვა-ვაებით, მრავალნი კი ეწინრებიან სულიერად და ხორციელად იმის იდუმალებას და შემზარაობას და, მე მგონია, ყველაზე უკეთ ასეთი მოვ ზაურობა ვიცოდი (თუ ეს მხოლოდ მოჩვენება და ზმანება იყო უცნაური და ფეერიული, მეტი არაფერი?) ოღონდ რა ფერის იალქნიანი ხომალდით და რა ფერის მერანით, მხოლოდ მაღალ-მაღმერთმა უწყის.

აქ, იორდანეს მხარეს, მგონია, ახლა ის აჩრდილნი უფრო თვალსაჩინონი გახდნენ, ვიდრე მაშინ, როდესაც მართელი იყო მათი სხეულის ტაძარი. ახლა, ცხად-ლივ ეხებად გრძელ, გრძელ გამოქვაბულს მრავალი ნიშითა და სენაკით, ყოველი, ვინც მინახავს, დამდგარა ამ ნიშში ან ჩაკეტილა ამ სენაკში და ჩუმი, მშვიდი სახით მითვალთვალებენ – მოხვედი, ზაბილონ, ახლა კი უნდა ვადმომსვა ამ ნიშთან, გამომიყვანო ამ სენაკიდან, მეც ვეძახი, ვუხმობ, ჰა, შენა ხარ, ეს კი შენა, შენ, შენ და შენ, ვადმოფით, ვადმოფით, მე ახლა მეტი ვიცი თქვენზე, ვიდრე მაშინ ვიცოდი, როდესაც თქვენ გვერდით ვიყავი და გხედავდით, მაგრამ მეტი სულაც არ ნიშნავს სრულს, არც შეიძლება იყოს, რადგანაც ვინ ჩახვდება იმის სრულ სიმართლეს, რაც უნახავს და განსაკუთრებით, იმათ სიმართლეს, ვინც უნახავს, დედის, მამის, დის, ძმის, შვილის, მეგობრის და თუნდაც საკუთარი თავის სრულ სიმართლეს, სადღაც ცხრა მთას იქით,

ცხრაკლიტულში, ზესკნელსა და ქვესკნელში დავმანულს, იქ მინახებულე ზნასულ მუდამ უცნობი რჩება და მხოლოდ თითოოროლას თუ ხელენიფება იმათი აჩრდილების, ორეულების გამოხმობა და წარმოჩენა; იქნებ არც არაფერია ამ ქვეყნად, მხოლოდ ზმანებაა მსწრაფლწარმავალი ვითარცა მზიანი დილით მწვანე მინდორზე მირიადი ცვარი ან თუნდაც უმზეო დილას ნვიმის უფერული წვეთები.

მთლად განამებული, სანამ სახლაკში შემოვიდოდი და დავენებოდი, სანამ ჩამეძინებოდა, ამ ფიქრების მორეცტრიალის ხანს თავში გამიელვა, ხვალ, ვანთი-აღს როგორ შევხვდებოდი ამ ჩემს ახლანდელ ყოფას და რა სახელი დეარქმევდი, ვინ იცის, იქნება ამაწ ჯერაც არგავონილი სახელი მომთხოვოს ან სულაც უსახელოდ დარჩეს... რაღაც უცხო პანგებად მომეახლა ეს საბოლოო ამ დღევანდელი ფიქრი და იმ ნანასავით მესმოდა კარგა ხანს, სოსანა რომ უმღეროდა ნინოს, ნავედი, ნავედი – სად? ღმერთმა უწყის და რომ დავბრუნდი, მზე უკვე მაღლა ასულიყო.

მთელი ცხოვრება თითქოსდა რაღაც შინაგანი ხმა, ჩუმი, ყრუ, გაურკვეველი მიხმობდა, მეძახოდა, მეუბნებოდა, რას, არ ვიცი, ხანდახან კი მომჯადოებელ პანგებად გაისმოდა, თუმცა კი ნუთისოფლის შავ-თეთრ მდინარეში დანთქმული კაცი ძლიეხძლიეობით ვგებულობდი ამ ხმას, რომელმაც შეიძლება იქ, იორდანეს მხარეს გამომიტყუა. და ახლა, რაკი სულ მარტოდ ვარ, დაადგო ის თავისი იდუმალება, ამეტყველდა ნათლად და ცხოველად, და მაინც, მაინც-მეთქი, არ ვიცი, რა არის ის, რომელიც გვამცნობს ამაზრზე-ნი სიცხადით, რომ ჩვენ ჩვენ ვართ და სხვა არავინ. გრძნობა სააშურიცა და გულის მომიკვლევიც, ამიტომაც ხშირად არარაობად ვარდასახული.

ხსენებულე გრძნობის რომელიღაც ნაირსახეობისთვის, ვინც კი მისი არსებობა შეამჩნია, ბევრმა მოისურვა სწორი სახელების შერქმევა. მაგრამ ვერ შეძლეს, რადგანაც კარგად და სრულად არც ჰქონდათ გათავისებული და ასე კიდევ უფრო აურიეს თავგზა თავსაც და სხვა-საც. მაგრამ მაინც იყვნენ, მე ვიცი, ორნი, რომლებმაც შეძლეს ამ ბნელში დაძირული სინამდვილის სამზეოზე გამოყვანა. პოსმანი და დომე იყო მათი სახელები.



დიდი ზღვის სულ სხვადასხვა სანაპიროზე ცხოვრობდნენ გასულ საუკუნეში. თავ-თავიანთი დაბადებითა და გარდაცვალებით ოცდაათი-ორმოცი წელიწადით იყვნენ დაცილებულნი ერთმანეთს. ხოდა, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად, სულის ერთგვარი უღონობა და უილაჯობა დაარქვეს ამ დიდად უსიამოვნო გრძნობას, როცა კაცი ბევრს ხედავს, ბევრი ესმის და ცხოვრობს ისეთ დროსა და ისეთ ხალხში, არაფრის გაკეთება არ შეუძლია. სხვა რა დარჩენია, თავის ნაჭუჭში უნდა ჩაიკეტოს და იყოს ისე, ვითომცდა არ არის ამ ქვეყნად, ან დააგდოს თავისი ქვეყანა, ნაყიდეს, გადაიხვეწოს, თავშესაფარი იქ ნახოს, სადაც ასე თუ ისე გაუნელდება მისი სულისა და გულის გამოქმედი ეს შემზარავი გრძნობა. მერე კი, თუ უფალი იმის უდროო გაჩენას სინანულით შეხედავს, იქნებ მოანიჭოს ცხოველი ძალა და იქნებ შეძლოს მან გამოხმობა იმათი სულების, რომლებიც იქ, თავის სამშობლოში ცხოვრების ხანს ხორცილი იყვნენ შემოსილნი და კიდევაც ესაძირკვლებოდნენ ან საშინელი გრძნობის აღზევებასა და საბოლოოდ ანნუხზე აკმულ კაცს ცხრა მთას იქით გადაკარგავენ.

გარედან ძალის ნუმუტუნი ჩამესმა, შევკრთი, გამოვედი, ვილაცის დიდი და შავი ძალე მოსდგომოდა ჩემს კარს და იმავე წამს, დამინახა თუ არა, შემოიწყეფა და ნაყიდა, სახლის ახლორე დიდ ბურქნარში შეიმალა.

სანუთროს მორევეში გადაშლერეული დღეები წარიგრაგნება და მერე არც არაფერი ვახსოვს ცხადლივ, მხოლოდ ერთმანეთშია ჩაჭედული რალაც ნამუსრევი მოგონებებისა და ქვეშარჩად ნათელი მხოლოდ ეს არის, იყო დღეები და იყო ღამეები, იყო ქარი და იყო თოვლი, იყო წვიმა და იყო ნისლი, იყო მზე და იყო მთვარე, მწვანედ აბიზინებული ხეები და ზედ დახვეული უსურვაზი, ყველაფერი ეს იყო უცხო და ულამაზესი, ჯერ არნახული, ისეთი, როგორსაც შორეული ქვეყნიდან მოსული ვილაცა პატარა მგზავრი დაინახავდა თავისი ფართოდ გახელილი არამინიერი ბრწყინვალეობით განათებული თვალეობით. მოსვლით კი შეიძლება მოსულიყო, მაგრამ რამდენიმე ხანს ველარსად წავა, აქ უნდა დარჩეს, აქ უნდა გაიზარდოს, საკუთარი თვალით უნდა ნახოს გაცამტვერება იმ წმინდა ბურანისა,

მერე ყველაფერი ლეგა, ერთგვროვანი ვახდება და მაშინ ის მარტო უმჯობესი სულის ნათლით გარემბნულსწამდებდი არჩილის ნამოიკედებს ზურგზე და ხენეშა-ხენეშით შეუდგება აღმართს. ზემოდან კი მთის წვერო დაპყრებს, იმის ზემოთ ზეცის მცირეოდენი ნაგლეჯი მოჩანს, ხან მოშებნელებული და ხან მონმენდილი, დაიშრიტება დედის სამოდან გამოყოლილი ნათელი, ვაქრება საკვირველი ცნობისნადილით აელვარებულ თვალეები, ერთი რამით იწვევს ცხოვრებას, შეიძლება ეს ერთიც იყოს, ორიც, ან სამიც, ოთხიც, მაგრამ უკვე, რაც მთავარია, განსაზღვრულია მისი რაოდენობა, მისი დათვლა შეიძლება... ჩუ... ეს რა ხმა ისმის... მგონია აქ, იორდანეს მხარეს ვუბრუნდები იმ ხანას, როდესაც სულ მარტო ვიყავი, ოღონდ სად ვიყავი?

იქნებ, აი, იქ ვიყავი, თვალუნედენელი ხევი რომ უსასრულობას ერთვის და იმ შორეულ სამანზე დიდი ღრუბელი ჰკიდა, თითქოსდა იმ ხევიდან მთელი ხორცით აქეთ რომ მოემართება და სადაცაა მისი ჩრდილი დაეცემა მთელ არემიდამოს ჩემს ირგვლივ, ასეთი დანარცხების მერე სულ პატარა-პატარა ჩრდილებად გარდაიხახება, იმ ჩრდილებად, რომლებიც კარგა ხანია ნასულან შენგან და იმ მქრქალი თვალსანიერის მიღმა დანთქმულან და, ამავე დროს, მენი სულის ბუნად-ხვეულებშიც არიან ჩაჭედეულნი და მათი სახება არც დღე და არც ღამე, მხოლოდ დღისა და ღამის სამძღვარზე გამოჩნდება, როდესაც რალაც მესამე დრო-ყამია, ოღონდ მხოლოდ შინთვის რომ არის და მეტი არავისთვის. თუმცა კი თქმით ველარაფერს გეტყვიან, იმის მეთათესავლაც ვერ გამოთქვამენ, რასაც გრძნობენ, დიდი ყრუ-მუნჯები შექმნილან და ისე ნასულან ამ ქვეყნიდან, ვერც ვერაფერი ამოუთქვამთ, თუმცა კი მთელ სამყაროს ატარებდნენ თავ-თავიანთი პატარა-დიდი სულეობით.

მე მგონია, სწორედ აქ, იორდანეს მხარეს გავივლი ამ სულეთს, რომელშიც ხან შავი ნისლი ტრიალებს და ხან კი მზე ანათებს მრავალფეროვანი, მინის ყვლაფერი გაჩირალდნებული, მომჯადოები სინათლით გარშემოპურვილი. კვლავ, კვლავ ვხედავ იმათ, ვინც მინახავს, ბაიასფერია მათი ყვაილები, იმ დროინდელი ის ფრინველები ახლა ზაფრანისფე-



რი შექმნილიყვნენ, აღარც შავფერნი იყვნენ, ისეთები, როგორნიც ხოზამას ვნახე და თავს ვიმტვრევდი, სანამ მივხვდებოდი, გამახსენდებოდა იმათი წარმომავლობა. ხმა იმათი სულ სხვანაირი ჩემი ყრმობის ხანს, სხვანაირი იყო ხოზამას და ახლაც სხვანაირი იქნებოდა, თუკი მოფრინდებოდნენ.

ხევის პირას, მზის გულზე ფიქრის მერე ჩათვლემილს უცნაური მზე მეზმანა, ცისფერი იყო თავად, ხოლო ზეცა თეთრი, ზოდა, ამ მზის სხივებით შეფერილი ხევის ფერდობზე ვილაც ბავშვი ამორბოდა, ჩემთან მოვიდა და ჩამეხვია, აღარ მომცილდა და მეც აღარ ვუმეგობდი და დიდხანს, დიდხანს ვკოცნიდი მას ისე, ერთხელაც ვერ დავინახე მისი სახე, ანუ, ასე მეგონა, რომ ერთხელაც ვერ დავინახე. ოღონდ მაშინ, როცა ქვემოთ ფერდობზე დაეშვა, ასე გავფიქრე, სადღაც ოდესღაც კი მყავს ნანახი-მეთქი. დიდხანს ვწვალობდი, ვიხსენებდი, ნეტავი ვინ იყო. ვერა და ვერ ვავიხსენებ და ასე გატანჯულს ბოლოს გამომელევიდა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ ვისი იყო ის სახე, რომლისთვისაც თურმე მაინც მომიკრავს თვალი და ბურანიდან გამორკვეულმა ახლა ვიცანი, ჩემი ბავშვობის ხანის სახე იყო, ტბის გაკრიალებულ ზედაპირზე ნანახი.

სუფთა, ნაუნერელი ფიქალიაო ბავშვი, სუფთა და ნმინდა ვითარცა მთის ნაკადული, დაბოლოს, უღვთოდ ისერება იმ ქუჩყით, რომელსაც ცხოვრება და სიბერე ჰქვია თუ იმით, რომელსაც სიბრძნე და ცხოვრება ჰქვია. ვიცი, გვაქვს სანყაულები. მაგრამ ვისია ეს სანყაულები, იმისი, რასაც კაცი ჰქვია თუ იმისი, რასაც ცხოველს ვეძახით, თუ იმისი, რაც უკვე აღარც ცხოველია, მაგრამ ჯერ კიდევ არცაა კაცი, კარგა ხნით გახიზნულა სადღაც მიმავალ შორეულ გზაზე.

ჩემმა ახლანდელმა გრძობების სიცხოვლემ თუ მომატყუა, არ ვიცი, მაგრამ ნათლად კი ვავიგონე, რაღაც გრიალი, თითქოსდა ამ ხევის ბოლოში რომ გაისმა.

ისევ ის თეთრი ღრუბელი მოჩანს, ოღონდ ახლა უფრო აქეთაა მოწეული. რა უნდა ყოფილიყო ის გრგვინვა-გრიალი? ვერ მივხვდი და მაშინ ეს ამბავი დავუკავშირე იმ ჩემს წელანდელ ფიქრებს, რომლის ჩუმი ბობოქრობა ახლა ჩამცხრალიყო და ამ არემიდამოს თეთრი ბურუსივით გარინდებულყო.

ნიავეც კი აღარ იძროდა.

კი, უთუოდ, უთუოდ-მგონივნიველის ნიალიდან ამოისმამტვრევენგან გრიალი და რაღაცა ამოიჭრა მთის გულიდან ამოხეთქილი ცეცხლივით, მიეახლა იმ თეთრ ღრუბელს, თავისი მწველი ენით ალოკა და სულ მალე ჩუმ ხმაურად გარდაისახა, თითქოსდა წყლის ქაველებმა ძვრა უყვეს მზიან-სიცხიან ამინდში ზღვის ფსკერზე გაბნეულ, მრავალფეროვან კენჭებს. იმავე ნამს ჩემს წარმოდგენაში ამ ქაველებ-კენჭების საკვირველი ლაციცი ცრემლმუშუმშრალ ყოველის-მხილველ თვალად გარდაისახა.

კოლასტრას, რომს, ხოზამას, ხოზას, გაახილაჯას, ტენებაჯას და სხვაგან და სხვაგან რომ ვიყავი, ხალხში ეტრიალებდი, სულ მარტოდ მარტო ვიყავი ზოგჯერ იმ დუნდგომში და განამანიაში. ხშირად მიფიქრია, მოვა დრო და ხომ შეიძლება, რომ სულ მარტოდ მარტო მომიხდეს ცხოვრება და რაღას ვიზამ, როცა აღარავინ და არც ჩემი ასული მეყოლება-მეთქი გვერდით. ჰოი, საკვირველებავ! სწორედ ახლა არა ვარ მარტო, მარტოობა რა სათქმელია, იმდენი მებევეა თავს, მომყვება, მეწურწულეობა, სახეს მიჩვენებს და გულსაც (მაშინ კი სადღაც ცხრაკლიტულში ჰქონდათ დაგმანული), მესაუბრებიან, მპასუხობენ ღვთაებრივი გულწრფელობითა და გონებით; ზოგჯერ ისე ნათლად გამიელვებენ თვალნინ, რომ შემოძლია ხელი შევახო იმათ თავს გარშემოხვეულ ბაქსს.

მცხეთა

ჯერ კიდევ არ აყვავილებულიყო ის ვარდი და მხოლოდ ეკლები აჩნდა იმის რტოებს, მთლად დასისხლიანებულ-დაკანრული გამოვედი იქიდან. თრდატის კაცებს უკვე ნაყვანათ რიფსიმე და გაიანე. სტეფანეს მსგავსი დიაკონი ვიხილე, ჩამომავალი ნათელი ოლარით, ხელთ ეყრა საკმეველი, როლისგან გამოდიოდა კვამლი სურნელებისა და ცათა ჰფარავდა, ვიხილე წმიდა მონამეთა სულელები. შევღალაადე:

უფალო, უფალო, ნუ დამტოვებ მე შორის ასპიტათა და იქედნეთა!

ხმა მესმა:

იარეო მანამ, სანამ ეგ ეკალი შენ გარშემო ვარდის სურნელებას არ მოიღებს,

იარე ჩრდილოეთისკენ, სადაც არის სამკალი ფრიადი და მუშაკი — არა.

ორბანთად მისულს დამიზამთრდა, ჩამოთოვა, დაერჩი იქ, თავშესაფარი ვთხოვე, მომცეს და მეოთხე თვე გასრულდა, დადგა იენიხი, ნამოვედი, ჯავახეთის მთებს მოვანოე. აქ ვნახე დიდი ტბა გარდამდინარე, ფარავნა ერქვა და შორს, ცას ებჯინებოდა მთანი სავსენი თოვლითა და ყინვით. ამ ტბას მდინარე გასდიოდა ერთი და ასე მასწავლეს, მცხეთას მიდისო. გამოვყვევი, ჯერ დასავლეთით ვიარე, მერე აღმოსავლეთით იწყო დინება და ეპოვე მოგზაურნი, ქართლის სანახებს მოვედით, ქალაქ ურბნისს. ერთ დღეს დავადექით ქალაქის, მცხეთის გზას. ვიხილე ერი ურიცხვი ვითარცა ყვავილნი ველისანი, შებვისა და სიხარულის კენესა აღმომხდა და შევყვირე, აჰა, ხალხი ჩემი, საყვარელი და იმ წუთასვე ნეტარების ცრემლებმა დამილტო სახე, მუხლი მოვიყარე და მაფლი შეენირე უფალს, რათა მიჩვენა ეს ქვეყანა სანატრელი, სადაც არის სამკალი დიდი. დღეს და ახლა ის ყვავილნი ველისანი სხვანი არიან და მეც იმათთვის სხვა ვარ. ის სხვაო, უთქვამს ეკლესიასტეს. შეიძლება ასეც ეთქვა, მისი სხვა მისი დროჲამის შეილია და ზოგჯერ მისი იოტისოდენი სივრცისაც; ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო, როდესაც ჩემი იქნება ის სხვაც, სხვა დროჲამისა და სივრცის შეილი. ვიცი მომეახლებიან ის ყვავილნი და ნამშლიან, ნარმხოცავენ, მხოლოდ ჩემი დასისხლიანებული, დაკანრული ხორცი დარჩება, ხოლო სული ჩემი იმ სხვათ ჩაეხვევა; მეც გარდავისახები იმ ველის ყვავილებად, ჩემი ნაწილნი, ჩემი სისხლნი და ხორცნი შეიქმნებიან, ისეთივენი, დედა და მამა რომ იყო ჩემი. ყოველდღე უნდა დასცალდე შენივე თავს, ვინც თითქოსდა ყველაზე უფრო გყვარს ამ ქვეყნად, თუ გასცემ შენს სულს, სწორედ მაშინ მოიპოვებ მას. ასე სწორია, იმას, ვისაც სულის დაკარგვის ეშინია, კიდევაც კარგავს მას, ანუ უკვე დაკარგული აქვსო სულაც, თქვა მამამ, სრული ხსნა აქა საძიებელი, აქ იძალუბა სწორედ ამ კარიბჭის გასაღები, მაგრამ რამდენია ეს გასაღები, მირიადი, ვერა კაცი ვერ დაითვლის, მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის. ეშმაკ გვაცდუნა და მე ეძლიო იმის ხეანჯებს. სხვაში ეშმას ძიება დიდი ბოროტება არისო, შენში

მთელმარე უნდა ეთბო იგი დღემუდამ და იქნებ ვერ იპოვო რასაცამს უნდალი ანგელოზის ფრთებშენსშეღისი. ცხველმსამე უკვე მძულს თავის ამაღლება სხვათა დამდაბლებით, მრავალნი სწორედ ამას შერებიან არა წვალებით და არა თავის სულსა და გულზე მიმძღვარებით, ჩემი სიცილით, ზანდაზან ბარბაროსკითაც და ასე მოიხევეჭავენ თავის ზეობას, მდაბალსა და მსწრაფნარმავალს, მონთხეულს სისხლითა და ცრემლით. მხოლოდ ბავშვი არისო ნმინდა და ამიტომაც მისია ცათა სასუფეველო, რადგან საკუთარ თავს არ ხედავს პირველადვე, კარგა ხანს არც დაინახავს შენსაეთით. ის ბავშვი პირველი თოვლივით სპეტაკო არის და რასაც ვინდა იმას ნაანერო. ის ნაანერი, მამაც, შენი ნაანერი მე მანერია გულის ფიცარზე, დღენიდაც კკითხულომ იმ ნაანერს და ამას მამცნობს, მოიკეთო საკუთარი ხორცი, რადგან ხორცის შობილი ხორცია, ეს არის ზღუდე შენსა და იმის სულს შორის, შემუსრე იგი, და შენში იქნება იმიტი სული და შენი სული, შენი სიცოცხლის ხე იმის და კიდევ იმის სიცოცხლის ტვერში გაიხარებს და თუნდაც მტვრად იყო ქვეული, მაინც იცოცხლებ. არა მარტო თანალობით სულდგმულობს ადამიანიშვილი, მისი ცხოვრების ლიბო ეს არის, სრულიად იხილოს იმათ და თავის სულში დავნებული ღვთაებრივი ნაწილი, რომელიც დღეს ბნელით არის მოცული. მართალი ხარო, დაუდასტურა მამას ბათმე ბიძიამ, სხვისას რომ იხილავ, მერე შენიც გამოშზურდებამო მამამ კი: დადგება ჟამი, დადგება ჟამი და კიდევ ერთხელ იტყვიან ასე, ტბილია სინათლე და საამურთი თვალთათვის შშის ქვრეტა; მაშინ გახდება ჩემი სული მხზე და ლაღი, ნამილება ყოველი ზღვარი კაცთა შორის და ერთნი, ორნი, სამნი, ასნი ისეთივე პირველები იქნებიან როგორც მე და უფრორე უპირატესნიც, იმათი სულები და ჩემი სული გამდნარი ცვილივით გარდამოედინება ცოფილი სხეულებს, ერთმანეთში აირევა, აილუფებმა, ვერა ძალა ვერ დააცილებს, ასოებნავერილები ვეღარ გაინევენ ერთი მეორეზე და საამური ნათებით გარშემოშრვილნი ასე შეუერთდებიან დროის მარადიულ სრბოლას, ანუ იმ გამდნარ ცვილში ვინლა გამოარჩევს პირველს, მეორეს, მესამეს და ასე ხდება ის შენი მეუფე და შენი

მკეთებელი ის გამდნარი და დიდი ხნის მერე გაცივებული ცვილი კი დაეძარცვა ტყეებსა და ველებს.

ის დღე დაიქცეს, მეუბნებოდა მამა, როდესაც კაცმა პირველად თქვა, მე ვარ ყოლის სათავე, სწორედ ამ დღიდან აგორდა მორბალი დიდი დამანგრეველი და ძე ღმერთისა რომ გამოჩნდა, ვაკეზობა, აკუნონადგვნონა, იცის ვინცა ვართ და იმის შენეებით ჩვენც გავივით ვინცა ვართ, მაგრამ მაინც იმისკენ მიმავალი ვხა ძნელზე ძნელია და სასონარკვეთილებმა, გამძვინვარებულებმა, განამებულებმა, როცა შეიძლება აღარც კი გვერქვას კაცნი, შეიძლება ასეც ამოეთქვათ, ჩვენში არის შენი სული, შენ იმიტომ ხარ, ჩვენ რომ ვართ, ჩვენ აღვიგვებით და შენც აღვიგები იცოდე.

ბინდმა იძალა და ნაეიდა ფერთა სიჭრელე და სიმრავლე, ძალის ყეფა მოისმა დადუმებული შორეთიდან, იქ, სადაც უკანასკნელი ნათელი უნდა გაილიოს და ჩაივსოს. იმ წამსვე დაწყნარდა გული, შეწყვიტა დოლაბივით ზრუნვა, ნაკვეშიანკანარი ხორცი ისე აღარ მტკიოდა და საამური სითბო ვიგრძენი ნაიარვეთა. დროის შეგრძნება სრულიად დაეკარგე. ჩვენი მეზობლის ეზოში ყეფდა ხოლმე ის, თუ, რა ნათლად ვგრძნობ ამას, ეს, იქნებ ის ეს არის. ჩვენი მეზობლის ეზოში ყეფდა ხოლმე დილა-ბნელზე (როდესაც ჯერ კიდევ არ გაღებულიყო სიმავე ღამის და ჯერ კიდევ არ მონეულიყო სითეთრე დღის) ღამაზი შავ-თეთრი იცო და სიმშვიდეს მგერიდა, რადგანაც ვიციოდი, ყველანი აქ, ჩემთან იყვნენ ვინც მიყვარდა, დედა სოსანა და მამარჩემი ზაბილონი. ბათმე ბიძიას იცოს ყეფა მესმოდა ახლა აქ, ახლა — წამით დამიბრუნდა დროის შეგრძნება — ყველაფერი ნათელი, ახლობელი და საამური გახდა, რაკილა მონეულიყო შორეული-ახლობელი. ბინდი გასცლოდა, ბინდი გაეთრეულიყო და ხორცი შეესხა საიდან, ღმერთო, ჩვენს სხეულში ვამგდარო, შხამიანი ობობას ქსელივით მოქარგული ეს ყოლისსომცველი, თითქმის დღენიდაგნმინდა ზეობა წარბოცილი ხორცი; და როდის დაგდებს კაცი მდაბალ პირველსანყისს, ან უკვე ეშმად აღზევებულს და ასე მოიპოვებს ამ წარბოცილ ზეობას და არანმინდა სული ვამოვა კაცი-დან და ღირსი გახდება სასუფეკლის.

მე მეუბნები-მეთქი ამას? ვეკითხებოდი მამას.

გულში ჩამიკრავდა და მეტყოდა, შენ არა, ჩემო ყვაილოო, შენს! შენს! შენს! ვეუბნები და იმის შეიღწეულს ვეუბნები ლებიც ჯერ არ მოვლენილანო ამ ქვეყნად უფალო, უფალო, გამომცადე მე და მიცანე მე; ნუთუ მატყუებდა ეს ჩემი მართალი მამა, თუ მშობლის გული ეუბნებოდა ასე, რადგანაც ხომ ასე უნდა უთხრა შენს სისხლსა და ხორცს, მხოლოდშობილ ასულს, რომლის გულ-გვამშიც შენი სული ტრიალებს განმრავლების მოლოდინში, ჰყვიის და იხახის; ახლა იცოს თუ არა-იცოს ყეფა მესმის შორეთიდან. რომელი შორეთიდან? ამ შორეთიდან თუ იმ შორეთიდან? სულერთია — შორეთიდან.

ქოლასტრა

სამნი ძმანი იყვნენ, ტყუპისცალები, სამად გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ვენდამიან, ვემებ და ვენგო. ტყუპისცალების, მით უმეტეს, სამნის, უმცროს-უფროსობის ამბავს ვინ რას ვიცებს და ახლა კი ვამბობ, ვენდამიან, ვემებ, ვენგო, და თითქოს ნათელი უნდა იყოს მათი უმცროს-უფროსობის ამბავი, ანუ, რატომღაც ასე მეგონა, პირველად ვენდამიანი მოველინა ქვეყანას, მერე ვემებ და მერე ვენგო.

დედა მათი მათივე მშობიარობას გადაჰყოლია, ხოლო მამამ, ბათმემ, იმათ უკვე კარგა მოხუცებული მუნჯი გადია მოუყვანა, თავად კი მას შემდეგ დღენი-ადაგ მთვრალი იყო, ერთ დღეს ასე თქვა, მგონია ვკედებიო. იმხანად არ იყო კარგად და მეც დავიჯერე. ბათმეს ცრემლები წასკდა, ოღონდ არ ვიცი, ვის ტიროდა, შეილებს, თავის თავს თუ მეუღლის მოგონებას აუღელა გული.

დილა-ბნელზე მოსულიყო გონს და რაკი ვგრძნობდა, აღსასრული მიახლოვდებაო, სასმელი აღარ მოუთხოვია და რომც მოეთხოვა, ის მუნჯი გადია არ აღვეინებდა, შეილები კი კასრს მაგრად ჩაჭედელ საცობს ვერ ამოაძრობდნენ, მე კი სმას ყოველთვის ვუშლიდი. კედლისკენ იყო გადაბრუნებული, იმას უმზერდა. სანაღს შემოეყარე, მისი თვალები დავინახე და მერე იმ კედელს შევხედე. ის თვალები და კედელი მახსოვს სულ ბათმეს მოგონებისას და ახლა, უეცრად, ესეც გამახსენდა ისე ცხადლივ, თითქოს-და სულ ახლა ვიყო მომხსრე იმ ამბის, რო-

მელიც თუმცა უხსოვარი დროის ნიაღვრის დანთქმული, მაგრამ აქ და ამ ნუთის ამონედლიყო რალაც მომჯადოები ნათელი სვეტივით. ახლა გამახსენდა ის, რაც მაშინ წარმოვიდგინე ერთი წამით და მყისვე წარჩოცა ეს უცნაური მოჩვენება – ლურჯად მოლილევი ზღვა იხატებოდა კედელზე იმის თვალთაგან არეკლილი შუქით (რომელთა გემზე უმსახურია ამ კაცს დიდხანს), ხან მშვიდი და აუღმერეველი ტლაში გაისმოდა მისი და ხან ზათქი და გრუზუნი; იმის თვალნი უკანასკნელად (როგორც თავად ფიქრობდა მაშინ) ვილაც უცხო, უცნობი შემოქმედის ხელით იქმნებოდა წყლის სტიქიონი, ხან დუფმორეულ, აყალყებული რომ მოიგრაგნება ზღვის სიღრმიდან, ხან კი აქოჩრილ ტალღებად მოეახლება ნაპირს, ლეგა, ქაფმორეულ ენებად გარდასახული ამოლოკავს მის კიდეს და უკანვე ჩაიკარგება იმ ტალღებისავე უჩინარ, კბილებგადაღესილ ხახაში.

იმ ძმებს, მე მგონია, თავ-თავიანთთვის შეურქმევიათ სახელები, მართალიც უნდა ვიყო, რადგან არის მოვლენები, რომელთა ასახსნელად ეს ჩვენი ოდინდელი თანამიმდევრულობა სულაც თავგზას აგვიბნევს და კიდევ უფრო დაგმანავს ცხრაკლიტულში იმით არსს, ანუ მე იმისი თქმა მინდა, ზოგიერთი ამბის აღსაწერად ამ ამბის საბოლოო შედეგი უნდა გაეთვალისწინოთ და მოვიშველიოთ; რადგან ასეა, ამის კვალობაზე შეიძლება ასეთი მსჯელობა მოვიყვანოთ. ახლა კი ვიცი, იმით არ სცოდნიათ ვინ ვინ იყო და ამისი მიზეზი მხოლოდ ის მუხჯი გადია არ უნდა ყოფილიყო და არც იმათი მამა. მართალია პირველადვე, დაბადებისთანავე შეარქმევდნენ იმათ სახელებს. მაგრამ მერე, რალაც საარაკო მსგავსების გამო ტყულების სახელები ყველას არეგია და და ერეოდათ კიდევაც სანამ იმათი მეორე ნათლობა არ მომხდარა; მანამ კი ასე იყო, რომ თუ ვინმე დაუძახებდა, ვენდამიანს ან ვემებს, ან ვენგოს, სამივე გამოზობოდა და სულ ერთი იყო, გინდ ერთი ყოფილიყო, გინდ მეორე და გინდ მესამე. ხოდა, ის დამძახებელი ასე იტყოდა ბოლოს, ჰეი, შენ, რომელი ხარ, წადი და მამამენს უთხარი, ესა და ეს მინდაო.

თამამის დროს მომხდარა ეს ამბავი თუ ჩხუბის დროს, ვერ გეტყვით, რადგან ზოგს ნათქვამი აქვს, ჩხუბის დროსო,

ზოგს – თამამისო. შეიძლება სულაც ყველა იყოს სწორი, ანუ ვერ თამამობდნენ და მერე წაჩხუბებულან ანაქოჩრეულ ვერ წაჩხუბებულან და მერე უთამამიათ. თუმცა ვინ იცის, ის რაც მოხდა, იმას დროის მძიმე ურდული ადევს, დროისა და კიდევ სივრცის და ვინ შეძლებს ამ ორი მძიმე ურდულის ერთდროულად ახსნას.

ასე იყო თუ ისე, ამ თამამის თუ ჩხუბის დროს ერთმა დაუძახა მეორეს, ჰეი, შენ ვენგოო, ხოდა, რაკი ერთმა მეორეს ვენგო დაუძახა, ის იმას ვემებს დაუძახებდა, რადგან ჩხუბობდნენ თუ თამამობდნენ, გაცეცხლებულნი იყვნენ ჩხუბით (თუ თამამით) და იმას ვემებს უნდა მოსდგომოდა პირზე, რადგან ვემებს და ვენგო, ეს სახელები ერთმანეთს ჰგვანან ყლერალობით, ხოლო ორივენი ბოლოს, მესამეს, ვენდამიანს დაუძახებდნენ და ის მესამე უკვე ვენდამიანი იქნებოდა. ანდა შეიძლება სულაც არ ყოფილიყო ასე, სხვანაირად იყო და ამას ახლა რალა მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ერთი კი არის ცხადი, რომ ამ თამამის (თუ ჩხუბის) მერე უკვე სცოდნიათ თავ-თავიანთი სახელები და რადგან სახელები გაიგვს, თუ დაიკარგებოდნენ, სადღაც ხომ დაიდგმებოდა მათი საფლავის ქვები ღვთის შუნევიით და ზედ წაანერდნენ კიდევაც იმათ სახელებს.

დაკარგვით კი მართლაც დაკარგულან მამის უცხო ქვეყნებში გამგზავრების სამი წლის მერე.

(მერე, თუკი ჯანმრთელობა და გამძლეობა მეყო და არსთა გამრიგემ იქნებ მომიხაჯოს თუ მიწყალობოს კიდევ ათიოდე წელიწადი მანამ, სანამ ჩემი სული სხეულს გაეყრებოდა და გაუდგებოდა შორეულ გზას, ანუ დაინთქმებოდა იმ ახალი, კაცთთავის დღენიდაც სანატრელი დრო-ჟამის ნიაღვრის, სადაც უკვე სხვა სამყაროს პირმშოს სხვა თავი შედგმება, ანუ თავი აღარ შექნება ვენდამიან-ვენებ-ვენგოს მოგონებისა; ვიდრე ეს მოხდებოდა, იქნებ შევძლო გამონეღლივით აღწერო ამ სამთავან ორი ძმის თავგადასავალი თუ სულგადასავალი, როგორც ამბობდა ხოლმე ვენგო; იქნებ კიდევ მიუზბრუნდე იმათ ცხოვრებას, არ ვიცი სხვა რა დავარქვა იმათ ამბავს, თუმცა კი ვგრძნობ ამ სიტყვის უქმარისობას, და კარგად გაიხსენო ის მნიშვნელოვანი წერილმანები, რომელთა გადმო-



ცვმა აუცილებელია მხოლოდ იმათთვის მიძღვნილ წიგნში.

ახლა კი რაღა შემიძლია?

მხოლოდ ეს რაღაც უსუსური და უილაჯო თანამიმდევრობა უნდა დავიცვა იმათი თავგადასახელის ზოგიერთი ამბის მოყოლისას, ასევე, გადმოცემისას ჩემი იმ დროინდელი ფიქრების, რომლებსაც მივეცემოდი ხოლმე იმათ ამა თუ იმ ამბავთან დაკავშირებით; შეიძლება, რაკი იმ ჩემი ფიქრების აღწერამ უფრო მეტი ადგილი დაიჭიროს ამ თხრობაში, იქნებ ამიტომ ველარ დავიცვა ის თანამიმდევრობა, როგორც წელან მოგახსენეთ. თუმცა ცდა ბედის მონახვერეა).

ფრიად უცნაური ამბავი მომხდარა იმათი დაკარგვის წინააღმდეგ კოლასტრას, რომლის განაპირა უბანშიც ვცხოვრობდით. დასაბავს მიწეული მზე, ჩვეულებებისამებრ, შენამულ სხივებს აფენდა არმიდამოს, თუმცა იმ საღამოს რაღაც მეტად გადამწიფებული მენამული ფერის ლაპლაპი გადასდებოდა, მხოლოდ ზოგან ბუნდად სერავდა ხეთა ჩრდილები, რომლებიც ჩუმად ბორგავდნენ, შარბიური გაჰქონდათ და ხან ერთი ადგილიდან ასხლტებოდნენ, ხან მეორედან და მენამულისფერ ხაზებად და ბურთულებად მიიქცეოდნენ. უცებ შორს რაღაც გამოჩნდა თეთრი ნერტილივით. გამოხდა ხანიდა ის თეთრი ნერტილი გარდაისახა თეთრწვეროსან და თეთრსამოსიან ბერიკაცად, რომელსაც სინათლე აკრავდა. მოგვიახლოვდა, ჩამოჯდა. იმ ეზოს ქიშკართან ერთი ამბავი ჰქონდათ ატეხილი იმ ჩვენს უკვე სახელმწიფეულ ძმებს, ვენდამიანს, ვემეხსა და ვენგოს. დღესაც თვალწინ მიდგას მენამულისფერად განათებული იმათი სახეები და ზედ აპრიალებული ოფლის წვეთები. იმ მოხუცს რა დამაინყებს, მხოლოდ ხელჯოხი, თეთრი თმა-წვერი, ნარბ-ნამანამი მოწმობდა იმის სიბერეს, მეტი არაფერი, არც სახისკანი, არც ტან-ფეხი, არც სხეული მთლიანად. ცოცხალი, თავლისფერი თვალებით ხან ვენდამიანს დასაკვირდებოდა, ხან ვემეხსა და ხან ვენგოს. გავეგებე და ვუთხარი, შემობრძანდით, საიდან მოდიხართ-მეთქი, ბატონო? იმ კაცმა თუ ბერიკაცმა ხმა არ გამცა ჯერ და მერე ის თავისი თეთრი ხელჯოხი მენამულ გზას მიაშვირა.

აბენეს შევია, — ასე თქვა, — ბავშვებს ვეძებ, მინდა თამაში შევასწავლო”.

რა თამაში-მეთქი, ჩაეკითხე. „კაცნი უნდა ვათამაშოვო“ — „საიდან მოდიხართ, ბრძანდებით?“ — ვუთხარი მე. „დღეს რომიდან, გუშინ ინდოეთიდან“.

თავში გამიელვა, თუ ის ბავშვები რომსა და ინდოეთს ნახავენ, ამას რა სჯობს, თუმცა კი ამ კაცის ასეთმა ანაზღვეულმა და საკვირველმა გამოჩენამ დიდი ეჭვი აღმიძრა და რადგან რომს და ინდოეთს ნამყოფი ვიყავი, იქაური ამბები გამოვკითხე წერილად და შეფარვით, ვაითუ ამ ჩემი ეჭვებით გული ვატკინო-მეთქი ამ დარბაისელ კაცს. მერე ვუთხარი:

„კი არის უცნაური, ამ თამაშისთვის ეს ბავშვები რომ გინდათ, რადგან იქნებ უნიჭონი გამოდგნენ, ჩემო ბატონო“.

ვერ გაარჩე, ისე ჰგვანან ერთმანეთს, — ჩაიციხა ბერიკაცმა და დასძინა, — მე რაც უნდა ვათამაშო, იმას ბევრი ნიჭი არ სჭირდებათ.

მისი სიცილი არ მესიამოვნაო, ვერ გეტყვით, ვერც იმას გეტყვით, მესიამოვნა-მეთქი. ეს მერე ხდება, როდესაც წარსულის რომელიმე ამბის გასრულების შედეგით გაოგნებულნი ამა თუ იმ წვრილმანს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და ჩვენთვის უკვე ეს წერილმანი — მოვლენაა, და სრულიად უსაფუძვლოდ ვფიქრობთ, მაშინვე, იმ წუთას ასე იყო სწორედ და ველარავინ დაგვარწმუნებს, რომ ის, რაც მოხდა, სულ უბრალო და ჩვეულებრივი შემთხვევების საბედისწერო ჯამი თუ თანხედომილება იყო და მისი დასასრული ჩვენს მახსიერებაში უკვე საშუადამოდ არის ჩაჭედული და ამიტომ გავიძახით ასე მწარედ და დაუფიქრებლად, მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

მართლაცდა, რად უნდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა?

ვილაცის მკრეხელური ზუმრობა იყო ეს, თუ ცდა თავზეხელაღებული კაცისა, როდესაც გამომცდელი არამცდაარამც არ დაიხვეს უკან, თუნდაც მთელი ქვეყანა დაინგრეს, პირი დაალოს ჯოჯობეთმა და შავად შეღებოს მთელი არმიდამო იქიდან ამოვარდნილმა კვამლმა.

თუმცა ხომ ისიცაა ნათელი, თითქოსდა ადამ და ევადან მოყოლებული ვილაცა ცდის ადამიანიშვილს და მერე აკვირდება იმის საქმეებს თუ მოქმედებას და ამას ფიქრობს გულში, გულისტკივილით თუ ზარზეიმით, არ ვიცი, დამარცხდება

ის თუ საბოლოოდ გაიმარჯვებს; ამ გამარჯვების თუ დამარცხების მისტერია დაუსრულებელი გრძელდება. ენერ ამას და ცრემლები მომერია. ღმერთმა იმ ჩემს გოგოს, ნინოს მაინც გაამარჯვებინოს, თუმცა კი რა ბედი ელის, არ ვიცი, გაბარება იმ მამისა, რომელსაც ველარასოდეს ნახავს, გახსენება იმით, რომ საიდანაც, შორიდან ჩემს ყურამდე მოაღწევს იმისი ამბავი, კარგი ბედობა იქნება ან იქნება მისი საქმენი, რომელიც ალაშქრებს ყოველ ჩვენთაგანს და დაგვაგდებინებს ჩვენს უგვანო გარსს და გვაზიარებს სინძინდესა და სინათლეს.

მაგრამ აქ სჯობს იმ ბერიკაცის ამბავს დაეუბრუნდეთ, თუმცა ზოგჯერ რასაც ვამბობ, თითქოსდა ან უკვე რაღაც მწვერვალზე მდგომი კაცი ვამბობ და ის ამბები, რაც მაშინ გავუგებარი და ბუნდი ჩანდა, ახლა სრულიად თუ არა, ნაწილობრივ მაინც არის ნათელი.

მახსოვს, ასე ვკითხე იმ კაცს:

„რას არ სჭირდება ბევრი ნიჭი, ჩემო ბატონო?“

„კაცის თამაში უნდა შევასწავლო იმით, — მერე კი ასე დასძინა, — რაო, რა პქვია ამ ბავშვებს?“

„ვენდამიან, ვემეხ და ვენგო“.

ეფიქრობდი, თავს ეიმტვრედი, საიდან გამოსტყვრა, ვინ აბუნესია?! ერთ შეფეს ვიცნობდი ამ სახელით, ინდოეთის ერთ მხარეში მეფობდა, შოლიტ ერქვა იმ ქვეყანას.

მერე ასე ვუთხარი უცეს:

„განა ჩვენ ყველანი კაცს, ადამიანს არ ვთამაშობთ?“

შემომხედა, თეთრ წვერზე ხელი ჩამოსისვა და თქვა:

„მამ კაცი ჯერ კიდევ არ ყოფილა კაცი და ჩვენ მხოლოდ ვთამაშობთ იმას?“

მეკითხებოდა ამას და მითვალთვალებდა, თეთრწარბებიან, თეთრწაწნამებიან თვალს არ მაცილებდა.

კარგად მახსოვს, მაშინ ასე გავიფიქრე, რამდენი საბრუნო აქვს სიტყვას და რამდენაირად შეიძლება გაიგონ კაცის ნათქვამი-მეთქი. ვილაც გადამთიელს ბავშვებს ნამდვილად ვერ გვატანდი, განსაკუთრებით იმ ბავშვებს, რომელთა მეურვეობა მე მომანდო იმითა მამამ; ვითომცდა ხუმრობით ასე ვუთხარი იმ კაცს, თან გაუღიმე, აღარ უნდა გაბრაზებულიყო, ჩემი აზრით, აქაც, კოლასტრას, კარგად ისწავლიან ამ თამაშს ეს ბავშვები-მეთქი.

წავიდა ის ბერიკაცი. რამდენი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ამ ამბავს რა დამავინცებს, რამდენ წელიწად მეორე დღეს დაკარგულაშ ვეზდამიან, ვემეხ და ვენგო. ათიოდე ნაბიჯი ჰქონდა გავლილი იმ მოხუც კაცს, მერე ბავშვებს გავხედე და ისევ იმისკენ მივაბრუნე მზერა. თვალის დახამბამებში უკვე ასი ნაბიჯის იქით ჩანდა, თუმცა თითქოსდა ისევ მიდიოდა იმ თეთრ-ბრწყინვალე ჯოხის ბაკუნით. მიდიოდა, მიკლავნობდა თუ შეჩვენებოდა ასე იმ უკვე ბინდით კარგა მაგრად მორეულ გზაზე.

ვენგომ მკითხა, ვინ იყო ის კაცი, ბიძია ზაბილონ.

სანამ მივუბრუნდებოდი და ვიტყვოდი, ვილაც მსხემი იქნებოდა-მეთქი, რომ ის უკვე ისევ იმ თეთრ წერტილად იყო გარდასახული, როგორც ამ ერთი საათის წინ.

მთელი ღამე აღარ დამიძინია. რას მეუბნებოდა ის ბერიკაცი, რა უნდოდა, ვინ იყო და რას ნიშნავდა ის უცნაური სიტყვები, კაცი უნდა ვთამაშობო. ნუთუ (მერე ასე წარმართა ჩემი ფიქრების გორგალი) ჩვენ ჩვენ არა ვართ და რაღაცას ვთამაშობთ, ანუ გვინდა რომ ჩვენ ჩვენ ვიყოთ და არა ვართ, მხოლოდ ვთამაშობთ, ვკედებით და მერე ვამთავრებთ თამაშს იმ ოთხიოდე ფიცარზე, რომელსაც უკანასკნელად და საბოლოოდ სათამაშოდ მოგვიბოძებს განგება. თუ იქნებ სიკვდილის შერმეც ჩვენს სულესაც ათამაშებს ამ (თუ იმ?) ცისქვეშეთში არსთა და ქართა გამრიგე, ვრგვინვა-გრიალით, სადღაც მოისერის, სადღაც ჩათესლავს და ხელმეორედ აგვაშალვებს უკვე სულ სხვა სამყაროს პირმშოს, სულ სხვა სისხლითა და ხორცით შემოსილს.

გამანვალა ამ ფიქრებმა და მხოლოდ გამთენიის ხანს ჩამძინა. სულ მალე გამომიღვიძა, უფრო სწორად, იმ მუწუმბა გადიამ გამოშალვიძა, როდესაც იმ დროს ვრუხუნით შემოვიდა და დაფეთებული რომ ნამოვდექი, შემომღმულია და შემომსკმულია, ორივე ხელი ჩამჭიდა და ასე პერანგის ამარას ვენდამიან, ვემეხისა და ვენგოს პატარა, გულმოსაკლავად ცარიელი სანოლები მიჩვენა და იქიდან შემზარავად მომეახლა ბავშვების მხურვალე ტანის ნარჩენი სითბო. თვალთ დამიბნეულა, თავზარი დამეცა და იქვე ჩავიკცევა.



იმ ბავშვების ცოდვა ვინ დაიდო, ნუთისოფელმა სად ათრია, სად აბრუნა, ვის შეახვედრა და ვის ხელში ამყოფა, ახლა კი ბევრი ვიცი ამის შესახებ, მაგრამ ახლა ძალა აღარ მყოფინია, ნერილად თუნდაც ამიტომ ველარ ვიამბობთ იმ ბედშავ ბავშვებზე, თუ იქნებ იმათი ბედშავობა ჩემი მოგონილია, ისე როგორც ვილაც რაღაცას ქეშმარიტებას შეარქმევს [უყვარს კაცს ქეშმარიტება და რა ქნას, მისთვის ყოველთვის არის სანდომიან-საამური შორეული და მიუღწევადი]. ეს ისეთი ქეშმარიტებაა, რომ ერთს შეატრიალებს ხელში, დახედავ, მერე სხვას აჩვენებ, ხომ ასეთი? ის სხვა კი გაცოცხლებული დააცქერდება, ნეტავი ვიცოდე, ცარიელ ხელს რად მიშვერსო ეს კაცი. მე იმისი თქმა მინდა, იქნებ ისინი სულაც ბედნიერი გრძნობდნენ თავს მთელი ცხოვრება; კაცმა რომ თქვას, იმ ორ ძმას რომ თავი დაეანებოთ, ვენგო არ უნდა ყოფილიყო უბედური (თუ იმისი ცხოვრების შედეგს ვიგულისხმებთ), თუმცა კი იმასაც ჩემსავით მგრძნობიარე გული მოენიჭებინა (თუ მოესაჯა) განგებას და, როგორც ჩანს, ბევრად უკეთესი და ღვთაებრივი, რადგან დღენიდავ, როცა კი ვნახულობდი მას, ხატავდა, წერდა, ხან კი, როგორც მეფე სოლომონი ამბობდა, აიღებდა ხის ერთ ნაჭერს, ყოვლად უვარგისს, მრუდებს, ნუჭრებიანს, გულმოდგინედ გამოთლიდა, ადამიანის სახედ გამოუსახებდა. ჩემი გოგოს, ნინოს სახეც გამოუსახებდა მას, სულ თვალწინ მიდგას ის სახე, დიდრონი თვალები, იფუშვლებით აღბეჭდილი, თხელი ბაგე-პირი, ჩამოქნილი თითები, უნაკლო ტან-ფეხი. ჩემი მეუღლის, სოსანას სახე დაუხატავს ვენგოს, მისი ძმის, იობენალის სურათიც მახსოვს, სარა ბეთლემელისაც. დიდხანს ვიცოდი ზეპირად ვენგოს ბევრი ლექსი. თუნდაც ეს ერთი, თუმცა კი შეიძლება ვცოდავდე სიზუსტის მხრივ და ამიტომ ასე უნდა მოვიყვანო: „სული შთაბერე, გაათბე კაცი, ღვთაებრივი შენი ნებით. მოილო ძალი, მოისხა აბჯარი, გავიდა ველად, პე, შენი სხივებმთოველი სხივების ქვეშ. ნუთუ ამიტომ მიეცი, უფალო, სული და სითბო? თუ სიკეთე პყავ და გააჩინე, ამ ქვეყანას მოუღლიე მატლად თუ მუუფედ, შენი მადლი რად არ გაუჩინე? თუ სულს არ უნათებს, რაღას უნათებ? თუ შენც იმასავით ხარ წარმავალი? მხოლოდ დრო-ჟამი შენი ზღვაა მთელი (გაუ-

თავებელი სრბოლა სივრცეში დროის), იმისი კი არის ამ ზღვაში წვეთის მსგავსი ზეობა მომადლე მას; ხმალი დაქუბი მკერძი მნამან, ბასრი მახვილი ეშვების წილ, მანვილი შუბი კლანჭების წილ, და ნუთუ მხოლოდ ეს არის სხვაობა მისი მისივე სახელმწიქმულ ტყის ცხოველისგან?..“

ახლავ უნდა გითხრათ, მერე შეიძლება დამავინყდეს, არადა კი უნდა პქონდეს დიდი მნიშვნელობა იმისთვის, რაც უნდა მოგიტხროთ და გამცნოთ. ბევრი მიმოგზაურია და სად არ მატარა განგებაში, ბევრი უფლიათ და ბევრი ქვეყანა უნაბაუთ იმ ძმებსაც, ვენგოსა და ვემებს, არა უცდები, მგონია, ასეთი თანამიმდევრობით უნდა მოვიხსენიო ამის შემდგომ ისინი.

ასეთი უცნაური ამბავი მჭირდა იმხანად. ვთქვით და იმ ძმთაგან რომელიმეს რაღაც ამბავი მოეთხრო, საკვირველად აღვიქვამდი ამ მონათხრობს. მახსოვს, ვემებისგან მქონდა გაგონილი, თუ როგორ მოუხდა მას ტივით აბოპოქრებული მდინარის გადავლა და მეც მკაფიოდ მესმოდა ამ მდინარის ღრიალი, მაგრამ უფრო ნათლად ვგებულობდი ვემების სულიერ ყოფას, იმის შიშიანობასა და სევდა-ვაებას, მისი ჩლიქების (პო, მაშინ ჩლიქები პქონდა იმ უბედურს. ერთი ჩლიქი პქონდა თითოეულ ფეხზე, ჩლიქვაპობილი არ იყო. უბედურს-მეთქი, და კიდევ გეუბნებით ჩემი მეობის ბადით გარშემოზღარდნილ აზრს თუ შეხედულებას; მაინც, როგორაა მოწყობილი ადამიანიშვილი, თითქოსდა მას მერე, რაც სამოთხე დაავდო, უნდა ყველაფერი ახსნას, სახელი და არქვას და უკვე ასე სახელებმწერქმეული აბრუნოს, როგორც მოესურვება. კაცმა რომ თქვას, რა უბედურება უნდა ყოფილიყო ეს მისი ორად ორი ჩლიქი ამ ზეცისთვის და მთა-ველისთვის, ამ დროებისთვის, სადაც და როდესაც უამრავი დაძრნის ჩლიქოსანი) ბაკუნს წყალში დაშვალ ფიცრებზე, სიტყვა რაღა გაავარძელო და სწორედ ეს ჩემი უსაშველო განცდები და გრძნობიერება იყო მიზეზი იორდანეს ამ შორეულ მხარეში გადმოხვევისა, როდესაც ასე ბედის ანაბარად დაუვადე ჩემი ნინო და მისი ამბავი ხანდახან ვინმე მსხემის პირით მომეახლება ხოლმე იმ ექოსავით, მაღალი მთის წინარე მდგომარეს რომ ყრუდ ჩაესმის უფლის ხმასავით.

ნუთუ ეს მართლაც თამაში იყო და მეტი არაფერი; თითქოსდა ახლა ვგებულობს ვენგოს ერთხელ ნათქვამი სიტყვების მნიშვნელობას:

«დღეს კაცი ვინ არის? და ვინ იქნება ის ზვალ, შოი, უფალო! დღეს კაცი მხოლოდ ის არის, ვისაც ნდობა აქვს ღვთისა ღვთაების თამაშის, შეიძლება მხოლოდ მან ისწავლოს, დაეუფლოს ღვთაების თამაშს, და ისე კარგად, შოი, უფალო, ისე კარგად ვერც ვერავინ შეამჩნევს ამ თამაშს, იმას, თამაში რომ არის, რასაც კაცის სიცოცხლე შვეია...»

და მაინც, ღმერთო, თამაში როგორღა უნდა ყოფილიყო ის ამაზრუნე თხის რქები, წვერი და ჩლიქები. მერე და მერე, ფაშთა სელაში ვენგოსთან საუბრებითა და ჩემი დაკვირვებით ვგებულობდი ძმების ამბავს; სანამ ვემეხი სინათლის ანგელოზის სახეს მიიღებდა და ქვეყნის მთავარი ვახდებოდა, გაუჭრებოდა რქები და ჩლიქები, სანამ მხოლოდ წვერ-ულვაში და თმა დარჩებოდა, სანამ გამოშვეურდა ის, რომ მართალია, ღმერთმა ნრფელი შექმნა კაცი, მაგრამ თავად თავსატეხი რომ არ გაიჩინოს, არ შეუძლია: თქვა უფალმა, ნუ შეჭამო ხორცს ცოცხლად, მის სისხლთან ერთადო, როგორც ჩანს, ბევრი უფიქრია ვემებს უფლის ამ სიტყვაზე, და ნახა ვემებმა ხსნა: ამერიკიდან აღარ შეჭამს კაცი კაცს ცოცხლად, იმის სისხლთან ერთადო, არც კბილებითა და ფრჩხილებით დაუნყებს კაცი კაცს ფლეუთას, ზესთასოფლის გამრუდებული ხატით მოვალორებო მე კაცს (ასე ამბობდა ვემებ), ამ ხატის ბრწყინვალეობით ქჟუა აერევათ, ვერ მიხვდებიან, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება; ერთ დავიდარებას ატეხავენ ზესთასოფლის მრუდე ნათელით გარემოვულნი, აღარ გაეკარებიან ერთმანეთის ხორცს, ლამაზად მოკვდინებული ზარზეიმით დაკრძალავენ გაშლილ-აფრიალებული დროშების ქვეშ დიდებული პანგებით გაბრუებულნი. სისხლი მათი ჩუმად და მშვიდად ჩაიღვრება სადღაც მიწაში, განწმენდილი, განსუტაკებული ამოვდინება სადღაც სხვა მხარეს, სხვა ქვეყანაში, არც არავის ეცოდინება ხორცი და სისხლი რომ არის მიწა და წყალი, ამ ქვეყნის მწვანე ველები და ანკარა ნაკადულები. მერე და მერე (ცბიერი ღიმილით იღიმებოდა ვემებ) კაცს ის მოვალორებს, რაც მხოლოდ მისია, კაცისა, ზესთასოფლისკენ ლტოლვა

(მხოლოდ ლტოლვა-მეთქი, მიიშინვრემოტკბო რომ არის, დღეს ასედაა ჩვეურობი მისი). დაბოლოს, რა ამაზრუნე სიტყვადით მიხვდება ის, რაც ზესთასოფლის საუფლო ეგონა, ჯოჯოხეთის სამანები ყოფილა თურმე. იყო დრო (ასე ამბობდა ვემებ), იზამდა კაცი ბოროტს და იმ ნუთასვე ბოროტს დაარქმევდა ბოროტს და ველარ იზამდა ამის მერე (ანუ ასე ფიქრობდა) ბოროტს. ჩემი შენევისთ, მოვა დრო, როდესაც კაცი იზამს ბოროტს და სიკეთე დაერქმევა ბოროტებას და გაივლის დიდი ხანი, ვიდრე მიხვდება, ბოროტებას იქმს სიკეთის სახელით; ამასაც სიკეთე შვეია და იმასაც სიკეთე შვეია, რაც სიკეთეა; დიდხანს, დიდხანს ვერ გაივებს კაცი, რა არის სიკეთე მისი, რა არის ბოროტება მისი, რადგანაც ორივეს ზესთასოფლის მარავანდი ადგას და ამრამავებს მას, მხოლოდ დიდი წვალებით და ნამუბით გააჩრევს რა არის ზესთასოფელი და რა არ არის ზესთასოფელი, ანუ ჯოჯოხეთი რომ არის, ცრუ ზესთასოფლის ფერებით მორთულ-მოკაზმული.

ვინა თქვა კაცი გონიერიაო, — (ნამოიყვირა აქ ვემებმა), — უმეცარია იგი და ის უბედური ასე ფიქრობს, ხომ ლამაზია ეს მთა და ველი, და მე ვიცი, რომ ლამაზია და, ამისდა ეკვლიად, იმასაც ფიქრობს, რადგან ეს ველი, ისიც ვიცი, რომ ლამაზია ჩემი ფიქრების გალა და ჯოჯოხეთის კარიბჭესთან სწორედ მაშინ დადგება.

ახლა მგონია, იქნებ ასე ბობოქარი ვემების სულის აღწერა სცადა იმისმა ძმამ, ვენგომ, როდესაც ერთ დღეს ლექსი წამიკითხა, როგორც ვხედავთ დავითის ფსალმუნით მთავარებულნი:

«თვალისწინია უფალი ჩემი, უთქვამს დავით მეფეს, დამამალავსო გაჭირვების ფაშს თავის კარავში, თავისი კარვის სამალავში, კლდეზეც ამამალლებსო, და შენ, კაცო და მეფეც, კლდეზე ამალლება გსურს თუ იქნებ თევზებზე, თუ იქნებ ფრინველებზე, შორული ზევის კაბადღონს რომ შერთვიან, თუ იქნებ მეტი, უფრო მეტი ამალლება გსურს და ვერ კი ბედავ გამოთქმას ამ ტკბილი ოცნების, მეფე ხარ და კაცზე მაღალი, მაგრამ იქნებ, მარკვი, ნულარ მიმაღავ, ზესკნულამდე ამალლება გსურს, გსურს გახდე მუფე ზესთასოფლის, დააგდო ხორცი, მდაბალი გარსი, მაღალი მოისხა და ვახდე ღირსი ხილვისა იმის ბინადართ, და



მხოლოდ ზმანებაში აღარ დაინახავ იმათ სახეებს. და მაშინ, პოი, უფალო, მწუხარებით აღარ დაიშრიტებაო თვალი ჩემი და სულ სხვა ხორციით იქნება შემოსილი სული ჩემი, ნაღველსა და დარდში აღარ გაიღვევა სიცოცხლე ჩემი, ჩემი ცოდვებით აღრა გაიხრნება ძელები ჩემი”.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, რაღაც სიმალლე უთუოდ მოეპოვებინა აგრე გადაგვარებულ, აკვამლებულ მუგუზლებზე დღენიადგ მოსიარულე ადამიანიშვილს, იმ ვემებს, ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, ამას ვერც უარეყოფდით.

ერთხელ იყო, ჩემსას შემოვიდა, დადგა ჩემ წინარე ნათელი სილამაზით შუქმომფინარე, თითქოსდა კვამლი შეიკერა შავფერი და მქისე და, ლმერთო, რად უნდა ყოფილიყო ის სილამაზე ასე ზიზღისმომგერელი ვითარცა უჩრდილებო ღამე, როდესაც მხოლოდ ცხიერი ნათელი ვადასდის არემიდამოს და გაუსაძლისი, უსასრულო ხდება კაცის სიმწუხარე.

კაცთმოძულე გამხდარიყო ვემებ, ამას ვერ ვიტყოდი, პირიქით, რაღაც განსაკუთრებული სიყვარული იცოდა, ანდა კაცთმოძულე როგორ იქნებოდა, როდესაც აუარება ხალხი ეხვეოდა თავს, თვალეზში შესცივინებდა და იმის ნათქვამს იმეორებდა და ასე გადაეცემოდა იმისი ფიქრი ყველას, სადაც კი იმას ფეხი (ჩლიქი?) დაუდგამს.

ჩლიქით, რომ გეუბნებით, ვენგოს ერთი უცნაური ლექსი ნამომავონდა ისევ (უფრო სწორად ნანყვეტი მისი). არა მგონია ვემების გამო ყოფილიყო დანერილი, იქნებ სადღაც, რომელიღაც ეტრატზე ამოკითხული სიტყვების მისებური გამეორება და გადმოკეთება თუ იყო:

„მოვიდაო ხანაგას ურჩხული (რა ურჩხული უნდა იყოს, მქონე ჩლიქების და რქების), არც გველი უნდა იყოს დასაბამი (მქონე ჩლიქების და რქების), არც ეშმა უნდა იყოს (მქონე ჩლიქების და რქების); და გულგახეთქილი აქვიითინდენ მერე ხანაგალები, მაშინ შექმნილათ ურჩხული, როცა გაუქრა ჩლიქები და რქები, მაშინ შექმნილათ გველი დასაბამი, როცა გაუქრა ჩლიქები და რქები, მაშინ შექმნილათ ეშმა, როცა გაუქრა ჩლიქები და რქები”.

სწორედ მაშინ, ესეც გამახსენდა ახლა, ამ ლექსს თითქმის იმ ნუთასვე მერეც მოაყოლა, მე მგონია, მისი სულიერი გვემის გამომხატველი სიტყვები:

„მატლი ვარ და ვიღვრები ვითარცა წყალი (ხომ მატლისაა ეს სესქველვე; დამალილია ჩემი ძელები (ხომ უქველვ სესქველი მატლის); ცვილისქორნა ჩემი გულქორ (ხომ ლორწოვანია გულ-გვამი მატლის); გამოფიტულია ჩემი ძალა (ხომ უძალია მხოხავი მატლი); სასაზე მეკვრის ენა (ხომ სლიპინა-სოველია ტანი მატლის)...”

უცნაურად მქონდა ახსნილი ვენგოს თავისი ძმის გუნება-განწყობილება, უცნაურად როგორც ჩანს იმიტომ, რომ ხატოვნად გამოთქვამდა ვენგო თავის აზრს, როგორც ახლა ვიცი, ასე უფრორე კარგად სწედებოდა არსის ძირისძირს. ხოდა, ასე უთქვამს ერთხელ ჩემთვის ვენგოს, ის ჩემი ძმა, ვემებ, წარსულს გლუჯს კბილებითა და რქებით, მიწასთან ასწორებს, ტკეპნის ჩლიქებით და წარსულიდან იმას ტოვებს ხელუხლებელს (ანუ ჩლიქუხლებელს, ანუ რქებუხლებელს, როგორც გნებავდეთ) რაც თავისი აზრის... მახსოვს, აქ შეჩერდა ვენგო, მერე კი ასე დასძინა, ზოგჯერ (იქნებ ხშირადაც, ძალიან ხშირადაც) კაცის სიტყვები მისი იდეალური შავი ფიქრების ნიღბები და მეტი არაფერიო.

სწორედ იმ ერთი კვირის წინ ასეთი სიზმარი ენახა ვემებს, ვილაც გაუთავებელი ნიღბებს არგებდა სახეზე და მერე მომწვანო-მოშავო დამდგარ წყალში ახედვინებდა. არა და არ მოსწონდა არც ერთი და არც შეჩერებულა იმ უხილავი ხელის ტრიალი იმის სახის წინ, მაინც ვერ ნახა ვერაფერი თავისი მოსაწონი, მხოლოდ მაშინ განქარდა ეს არა იმდენად შემადრწუნებელი, რამდენადაც დამლელი-დამქანცველი სურათი, როცა შუბლზე ცივოფლდაყრილს გამოეღვიძა.

იმ აბენესს, როგორც გავიგე, ერთხელ, ვემები დიდი ხნით ქვაბში გამოუეცტავს. დაბოლოს (თუმცა კი იცოდა ვემებმა, რომ სულ მარტოდმარტო იყო), ასეთი ფიქრი დასჩემდა, ვილაც დამდგეს ფეხდაფეხ, აღარ მცილდებოა; საშინელი შიში დაეუფლა ვემებს, თითქოსდა ეს შიში იყო ის ვილაც, ცხადი და ხორცმსხმული. უკვე იმ ქვაბოვანიდან თავდაღუნულს კარგა ხანს არ მოსცილებია ის შიში, სანამ არ ნახა, ჩლიქები გასჩენოდა და რქები. მერე, როდესაც გაუქრა კაცისთვის ესოდენ უგვანო ნიშნები, თითქოსდა სულ სხვა შეიქმნა, ვი არ რომ სწორედ ის, ვინც ასე შემზარავად არ სცილდებოდა იმ აბენესის ქვაბოვანში.

მართლაცდა, ის ბავშვი როგორ იქნებოდა ამ სიტყვების მთქმელი, მე რომ ვიცოდი, ნამდვილად ის აბენესი მიმძლავრებულა ასე ვემჩნებ. ერთხელ იყო, სრულიად შემთხვევით, იმ ძმების, ვემეხისა და ვენგოს ასეთი გასაოცარი და გულის მომკლელი საუბარი მოვისმინე. მე რომ შევესწარი, მგონია, სადაცაა უნდა გასრულებულიყო მათი მწარე და იდუმალი გაბაასება. სწორედ ვემეხის ამ სიტყვებს მოვუსწარი, მე ჯოჯობეთს ავცილდებო, ეუბნებოდა იგი ვენგოს... თუმცა მინდა გამოწვდილივით მოვიყვანო ის, რაც გავიგონე:

„მე ჯოჯობეთს ავცილდები, - ჩაიხითხითა ვემეხმა, - გევიპტეს ნავალ, იქ დიდებულ პირამიდაში ჩავსახლდები, ხორცი ჩემი ასე გადაჩქება“.

„მაგრამ სულს, სულს რაღა მოუვა?“ - ეუბნებოდა ვენგო.

„სული თეთრი ანგელოზითაა, ჩიტოვით გაფორნდება და სადღაც ჩაეთესლება თეთრ-ვარდისფერ სხეულში რომელიმე ჩვილისა. მიდი და იმას მოჰკითხე, შეიძლება იმან სულაც არა დააშაფოს რა, დრო არ იყოს ამისთვის, ანდა შეიძლება ის სულაც ჩვილი მიიცვალოს და მერე იმ სულმა ისევე სხვა ჩვილი უნდა მონახოს ახალ საბუდარად, სანამ...“

„სანამ რა?“ - შეჰყვარა ვენგომ.

„სანამ მისი დრო არ დადგება, თუნდაც ათასი წლის მერე“ - მიუგო ვემეხმა.

„ნურც ას გაგწირავ, იცოდე!“ - მიაძახა ვენგომ, დაეინახე, ცრემლი მოერიო თვალებზე, - თუკი ადამინიშვილი და იმისი სული მარადიულობის ბეჭდით იქნება აღბეჭდილი, ბევრი ამაღლდება, და ის დრო, შენ რომ გგონია დადგება, აღარ დადგება აღარასოდეს, რადგან ყოველი შენი შემცნობელი შეძრწუნდება და არარაობად იქცევი იმათ თვალში, უკვე შეცნობილი აღარ იქნები ამ ქვეყნის მთავარი, ანუ მგლის თუ მელისტყაოსანი მწყემსი, წყვდიადის მუფე, და იქნება ნათელი უკუნისამდე, რადგანაც აღარსად იქნება უკუნი და წყვდიადი“.

ვხედავდი, დიდად გატანჯულ ვენგოს თავგზა აბნეოდა და მე მგონია, ასე თავგზააბნეულს სიტყვაც არეოდა ბოლოს.

ვემეხი კი ასე პასუხობდა:

„ბალახივით გაბმება და მწვანილივით დაჭკნება კაცი უჩემოდ (აქ ხელი ჩაკიდა ვენგოს და აღარ უშვებდა, მძვინვარედ აბაკუნებდა ფეხებს), უჩემოდ-მეთქი ის

კაცი, ახლა რომ არის, და დაკარგავს ცხოვრების საზრისს, დაეშვაგავსება უსულო კერძს, ველატი მინდები ქვეშთლეს, ჩაქრება ის, რასაც მისი სული უკვია. კაცი არა მარტო იმისი პირიდან ამომავალი სიტყვით ცოცხლობს, ჩემი პირიდან ამომავალი სიტყვითაცაა გასხივცის-კროვნებული“.

გასხივცისკროვნებულიო, ეს სიტყვა რომ ამოთქვა, მერე აღარაფერი მახსოვს, თვალთ დამიბნელდა, ვენგომ რაც მიუგო, აღარ გამოგონია. დაერეცრეცდი, გარეთ გამოვედი, ზეცას მივაპყარი მზერა. ღმერთო, ასე ვწურწულდები, იქნებ როგორმე შინისკენ გავნეო და იქნებ ჩემს სანოლზე გამიხსნას უფალმა ყურები და გავიგონო ის, რაც არ გამოგონია, ანუ, რისი გავგონებაც ვერ მოვასწარი. იქ ჩემს სანოლზე კი ჩამესმა ქვითინარევი მოთქმა:

„ვინ ავიდა ზეცად და ვინ ჩამოვიდა? ქარი ვინ შეკრიბა პეშვით? სამოსელში ვინ გამოხვია წყალი? რა არის მისი სახელი?“

მერე კი ისიც მომესმა, მკაფიოდ, ორგზის, რაც სახელი იყო მესამე ძმის - „ვენდამიან, ვენდამიან“

დღესაც მიკვირს, რად ნამოვეგებოდით ხოლმე მე და ვენგო ვემეხის ცბიერ საუბარს, მაგრამ ვის არ დაემართებოდა ასე, ვინც გაიგონებდა იმის სიტყვებს:

„რა ექნა, მე საკუთარი თვალთ მყავს ნანახი დიდი გველეშაპი, ათი თავი ჰქონდა იმას და ათი რქა, ათი გვირგვინი ადგა და ერთი კუდი ჰქონდა. ოღონდ რა კუდი, ციდან ვარსკვლავების დასტა ჩამოიღო და დაანარცხა ამ ჩვენს უბედურ მინას; უბედურება ის კი არ იყო, რომ ვარსკვლავები ცვიოდა ზეციდან, ძალიან ლამაზი იყო ის გველეშაპი (სწორად უთქვამს ერთ ბრძენკაცს, ლისიპეს, შემზარავიც ლამაზიო), და ძალიან ლამაზი იყო ზეციდან ვარსკვლავების ცვენა, უბედურება აი, ეს იყო სწორედ (აქ ცრემლები წასკდებოდა ვემეხს და ასე გაანარძობდა), რახან ასეა, მე ნავალ, დაეცროვებ ამ ჩვენს კოლასტრას, სადაც ვითომცდა კაცი ცხოვრობს და იქ, სადაც ნავალ, უთუოდ, უთუოდ შევიცვლები; მერე ასე შევიცვლილი უკანვე დავბრუნდები და ვიქნები რაც უნდათ რომ ვიყო და არა ვარ, არა ვარ (ასე ვალაღებდა). რა ექნა, ჩემს სულში გაჰყვივის ორი ხმა, მაღალი და მდაბალი და ვერ გავუძელი ამ ხმაურს; ხშირად თავზარდა“



ცემულს მაღალი მდაბალი მგონია და მდაბალი — მაღალი და ასე შეცთომილი ჩემდა უნებურად სხვასაც ვაცთუნებ, მაგრამ მთლად ჩემი ბრალიც არ უნდა იყოს, რადგან სულ მნონიან და ვერ აეუნონივართ. ბრიყვ-უმეცრებს რა სასწორი უნდა ჰქონდეთ მომარჯვებული. მით უმეტეს ღვთაებრივი. ხშირად, ხშირად კი არა, მეტნილადაც ქუაგამოლულელები სულ ამას გაიძახიან, ღვთაებრივი ღვთაებრივიო. იმ კალიგულას, ნერონსა და პელიოპაბალუსს ღვთაებრივს ეძახდნენ, მშესკაც კი ადარდნენ ხანდახან. ჩემთვის ასე ვერ შეურქმევიათ ზუსტი სახელი. ხან მდაბალთან ნილნაყარს მაღალს მეძახიან, ხან კი მაღალთან ნილნაყარ მდაბალს, ხან მოსამართლე ვგონივართ, სასჯელის გამოიტანი და აღმასრულებელი, ხან მარადიული სინანულისა და მარადიული უიმედობის მომგვრელი, ხან ვილაც, რალაცის მომწინავე-გამძნოლ-გამძნოლ-გამძნოლ-გამძნოლ, რადგანაც ასე ფიქრობენ, თუ ერთია, უთუოდ მეორეც უნდა იყოს. მხოლოდ ერთი რომ იყოს, ან მხოლოდ მეორე, სიცოცხლე იმათთვის აზრს დაკარგავდა, ანუ ან სულ სინათლე იქნებოდა, ან სულ სიბნელე, ის ჩემი სულ მუდამ მანყევარი (ჩემი მანყევარი რად უნდა იყოს, თავისი უნდა იყოს) კი ისეა მოწყობილი, ერთფეროვნებას ვერ უძლებს. ყოველდღე ერთფეროვნების მაცქერალი თუ შეიქნება, დაბადების დღეს დაინყველის, სიცოცხლე აღარ უნდა, სიკვდილს ნატრულობს.

ვემეხის წვერი, რქები და ჩლიქები ვილაც შემოქმედის ნაყოფი მეგონა, ხან კი იმასაც ვფიქრობდი, ზოგჯერ კაცისთვის რაიმე სურვილი სურვილი კი აღარ არის, არამედ სინამდვილე, ისეთივე, ვითარცა კოლასტრას ახლორე მოღრიალე ზღვა, ან მაღალი მთები, ისეთი, თმონიდს რომ მაქვს ნანახი. ხან კი ამასაც ვფიქრობდი, იქნებ თავიდათავი ამ სურვილისა ვემეხის ის აზრი იყო, მრავალგზის რომ გამოუთქვამს ზარზეიმით, მე მატლი არა ვარ, კაცი ვარო, თუ ამჯერადაც არ თვალთმაცქობდა, იქნებ კაცი ვარო, რომ ამბობდა, სწორედ კაცზე უნდოდა ამაღლება ან უფრო მეტიც, იქნებ სულაც ღმერთზე, რაკილა მარადღე იმას იქმნოდა, რასაც ვერაზინ არც არასდროს იზამს, თუკი ღმერთი ერქმევა იმას.

მახსოვს, ერთხელ რომ გადავუკარი ამაზე, შეკრთა, ფერი ეცვალა და ასე გან-

მიცხადა, ჩემთან მოუსულელად იმასთან ვერ მიხვალო.

მაგრამ თუ ღირსეულად დამეფიქრებულს დაეარქმევით იმ კაცის ხმას, ვინც სულ ამას გაიძახის, მატლი არა ვარ, კაცი ვარო (ჩემად კი თავის გულში ასე გაპყვირის, უფრო მეტიც ვარო), მაშინ თითქოსდა მარადიულობის ბეჭდით აღბეჭდილი მისი ნაფიქრ-ნააზრევი მარადიულობის სიკეთის ბრწყინვალეობით ნარმოგვიდგება. მაგრამ თურმე ეს ბრწყინვალეობა (ვაი, რომ ასეა) ისე აგვირეცს თავგზას, რომ შეიძლება ზღვა სისხლი დაიღვაროს, მხოლოდ ამის მერე უნდა გამომზებურდეს ის, რაც კი სჯობდა ადრე გამომზებურებულიყო, ვემეხისა და ვემეხისნაირების წვერი, რქები და ჩლიქები. ერთხელ იმან ამის შემცნობელ კაცს შიშის ზარი და ენით უთქმელი გაცოცება რომ შემატყო, თავისი ბოხი და კარგად დაყვნილი ხმით მითხრა:

„კაცის სული ზევით მიილტვის, ხოლო პირუტყვის ქვევით ჩადის, ქვეცხელისკენ, ის ქვეყანა რა ქვეყანაა, სულ ვარდებით რომ არის სავესე, თუმცა სულ სავესე არც ბაყაყ-გველებითაც უნდა იყოს“.

მითხრა ეს, თვალი ჩამიპაჭუნა და მერე, რა დამავინყებს, ქუთუთოები გამოებრა, გამონეულა, მომწვავა და ჩამიხვია და ისეთი ზიზღის მომგვრელი სისველე ვიგრძენი, ლოკოკონას ხელში რომ გასრეს კაცი. დაბოლოს, დაჰკრა ფეხი (ჰო, ღმერთო, ჩლიქი აღარ ჰქონდა უკვე), თითქოს მინამ ყლაპი უყო, გადაიკარგა.

თავგზაარეული, გაოგნებული იქვე ჩაფუჭი და ზეცას ავხედე, რალაც ჩურჩული გავიგონე, ძლივსძლივს ვარჩევდი სიტყვებს, რადგანაც გაურკვეველი იყო ის ჩურჩული; ხეთა შრიალი ისმოდა ჩემს ირგვლივ, ცოტა ხნის მერე, როცა შეწყდა შრიალი და გაირინდა გარშემო დაეანებული სიმწვანე, ასე გავიგონე, ვილაცის ნათქვამი იყო თუ ჩემი დაღლილ-დაქანცული სულის ამოძახილი იყო ეს სიტყვები:

„თქვა უფალმა, კი მქონდა იმედი, მეგონა მიხედებოდა ვინ არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასე არ მომხდარა, ყველაფრის გათვალისწინება არც უფალს შეუძლია თურმე. თუმცა ერთხელ მაინც ერთ ათასწლეულში უნდა შეიქნას მწე და მშველელი იმისი, ვინც სრულად არა, მაგრამ თითქოსდა მიმზებდარია რალაც ღვთაებრივი გუმანით, რა არის მაღალი

და მაინც მორჩილებს იმ ოდინდელ მდაბალსა და ბნელს.

შენყადა ეს ჩურჩული და მერე კვლავ ჩამესმა, ოღონდ ამჯერად ვენგოს ხმა უნდა ყოფილიყო თითქოსდა შორიდან ჩემს სანუგეშებად და საღებუნად მოახლებული.

„ჰე, სულო“, — მომესმა და ერთი ნამით მინელებული მერე ისევ გაისმა მკაფიოდ და ცხადლივ, — ჰე, სულო, დაუნდობელი, მტარვალო, მკვლელი, სულო, დიდებული სიმღერების მთქმელო, სულო, საამურ ლექსად გარდასახულო. ვინა ხარ? ვისი მონა ხარ? ვისი მუღუფ? ვითაებას თუ ეშმას თუ ვის მსახურებ, ნამოხო ერთი სისხლის და ერთი ხორცის? ნუთუ სულ ყველა ერთია, ერთი მოდგმის, სიმახინჯე შენი და მშვენიერება, მძვინარება, გულქვაობა, ლმობიერება“.

ახლა, ამ სიმყუდროეში უფრო მივხვდი რალაც-რალაცებს, რაც იმხანად შემზარავი, მტანჯავი ბურუსით იყო მოცული და სადაც არ მივდებოდი, ყველგან ამ ბურუსს ვანყებოდი. საკუთარი უილაჯობით განამებულს სული ყელში მეტჯინებოდა და მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი შეებას, როდესაც ჩემს ნინოსთან ვიყავი, სწორედ მაშინ გაიფანტებოდა სრულიად ის გულის მომკვლელი ბურუსი, რაკი გაილეოდა ჩემი საფიქრ-სადარდებელი, ანუ ნათელი გარემოვლელბული წარმომიდგებოდა უკვე ყოველივე. ახლანდელი ნათელი თუმცა კი ჰგავდა მაშინდელს, მაგრამ ვამჩნევდი ერთ განსხვავებას, ნინოსთან ყოფნის უამს, ის ნათელი მრთელი იყო და განუჭერტელი, ეს ნათელი კი უკვე ნაწილ-ნაწილ გახლეჩილი, თითქოსდა ერთი მეორის მიყოლებით ჩამსკრივებული.

მახსოვს, ერთხელ იმ დიდი ომის მერე ვენგოსას მივედი და იმის სურათებს ვათვლიერებდი, თავად კი იქვე მინოლიყო და ჩასძინებოდა. ერთმა სურათმა მიიპყრო ჩემი ყურადღება — ღრუბლები-სა თუ ქარის ფრთებზე ამხედრებული კაცი. ნათელი, მშვიდი ფერები იმის ირგვლივ. ისეთივე სინათლესა და სიმშვიდეს მოაგებს მის მჭვრეტელს. მარადიული ნატვრაა კაცისა ეს საუფლო, სადაც ნუთისოფლის შვილი ცრუ კი არა, ნამდვილი ზესთასოფლის შვილი შეიქნა.

ვენგომ დამიძახა, გამოლივებოდა და ნამომჯდარიყო, მე მიმზერდა, მერე ჩემ-

თან მოვიდა, იმ სურათის ნის დადგა და ასე მითხრა:

„მძინარეთ რომ რაღაცეა მტრება, ზაბილონ ზიძია, ჩვენი სული სცილდება ჩვენს სხეულს და უთვალთვალეს ყველაფერს. ამ ხილვების სიმსუბუქე სწორედ აქედან იღებს სათავეს, ამ დროს ჩვენს სულს ბოროტება არ ძალუძს რამე, თუნდაც სულ გულშემზარავ ხილვას თამამად აღვიქვამთ და გამოლივებულნიც ამასვე ვამტკიცებთ, ეს თამაში იყო და მეტი არაფერი. ამიტომაც არის, დიდი ცოდეგილი ადამიანის სიზმარიც როგორღაც წმინდაა და შურყვენელი, რადგანაც ამ დროს სული ხორცს სტოვებს და იმის შორიახლო დაფრინავს“.

შეგყურებდი ვენგოს და ასე გავიფიქრე, ნეტავი როგორი იქნებოდა იგი, ინდოეთს რომ არ ეცხოვრა კარგა ხანს; თითქოსდა ამ ჩემი ფიქრების ეჭოდ ჩამესმა მისი სიტყვები, შეუკრთი, ძალა მოვიკრიბე და ყური დაუღვადე.

ინდოეთს რომ ვიყავი, რომელიღაც მთიანეთში მიმიყვანეს, იქაურ ტაძარს შევაფარე თავი და ეს ჩემი უცნაური თვისება მაშინ შევიძინე. მძინარე კაცის ხორცთაგან ასხლეტილ სულთან ვაბასებას ვახერხებ, თითქოსდა იმით სულებს გამოვიზომო საპაექროდ; რაბან ასეა, რაბან იმით ჭუჭყიან და მოკვდავ სხეულს (რომელიც ისე ჰგავს სხეულს მრავალი ცხოველისას, როგორც ნაწილები ორად გაჭრილი ვაშლის) დროებით სცილდებიან, ასევე დროებით უდიდესი გულწრფელობით შეიმოსებიან და დაუფარავად რომ ამოთქვამენ ყოველივეს, რალაც სინშინდეს მოიპოვებენ კიდევაც, სანამ უკანვე დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ადგილსამყოფელს. ერთხელ ასე მიაშპო სულმა (დღესაც არ ვიცი სადაურობა თუ წარმომავლობა მისი): სხეულში ყოფნის ხანს მივხვდი, ვინც ვიყავი და მწარე ფიქრებით გატანჯულ-განამებულმა ვიხილე აზრი, ნათელი და სადა და ამიტომაც ასე მეგონა, ჭეშმარიტიც. თუნდაც პირი ეშვებით გამომისაბოს განგებამ და კლანჭებით ხელ-ფეხი, მე გავხდები ის რაც არა ვარ, თუნდაც ზღვა სისხლი დავღვარო ვერ. გამოხვდა ხანი. ამაოდ დავშვერი. მე მაინც ისა ვარ, რაცა ვარ და რაც ვიყავი გუშინ და იმის წინ, და, ღმერთო, ასე უნდა ვიყო ხვალეც. და ჩემი ცრემლები რომ შეერთო ზღვას, გაქრა ის შემზარავი სინითლე, ისევ ანკარა გახდა მისი წყალი. კვლავ



ვიზილე ნათელი, მე უბედურმა, ამჯერად ქვემარტივი...

შეეცდებოდი ვენგოს და სხვა რომ ყოფილიყო და არა ის, უთუოდ გავიფიქრებდი, მღვდელთა-მეთქი ეს კაცი. ასე განაგრძო იმან:

„სწორედ ასეა-მეთქი, ვერ გეტყვი, მაგრამ მგონია, არ უნდა მატყუებდეს გუმანი, ვისიც არ უნდა იყოს სხეულს დროებით თუ სამარადისოდ მოცილებული სული, ის უკვე წმინდა ხდება და შეურყენელი, სანამ ისევ არ ჩათესლება იმავე ან რომელიღაც სხვა სხეულში და კვლავ არ შეიძენს ხორციელ ძალას...“

ვენგო შეჩერდა აქ და ფიქრებს მიეცა; ცოტა ხნის მერე ასე ამოთქვა:

„ლამპარია ჩემი ფეხისთვის სული ჩემი და სინათლეა ჩემი ბილიკისთვის, ერთხელ სიზმარ-ცხადში რომ ამოვიღე ჩემი სული და ჩემს ხელის გულზე დავიდე, ვერ მივხვდი ამ ნათელის ასავალ-დასავალს, არ მქონდა მისი შეცნობის ძალა. მძინვარიებაში დამარია ხელი, როცა თვალცრემლიანი ვუმზერდი ჩემს სულს ჩემს ხელის გულზე. უნდა მოვისროლო, გვატანო დელგამასა და ქარს; აღარ მექნება ჩემი სული ჩემს ხელის გულზე. ცრემლი დამიშრება, ნაგვრილი მექნება გული, ცნობა და გონება, ფრჩხილები კლანჭებად გადამტყვევა, კბილები ეშვეზად და მხოლოდ სიზმარში არა, ცხადში ექნება რაცა ვარ, როცა გავიგებ რაცა ვარ, იქნებ მაშინ მოეუხმოს იმას, რაც დამიკარგავს, გულს, ცნობასა და გონებას, იქნებ მაშინ დამიბრუნდეს ჩემი სული ჩემს ხელის გულზე, არა მხოლოდ სიზმარში, ცხადში მომაცილოს ეშვები და კლანჭები, ან უკვე სამარადისოდ“.

დაამთავრა ეს, მე მგონია, ისევ და ისევ ფსალმუნით შთაგონებული სიტყვები, მერე ასე გაასრულა ის უცნაურად განყვეტილი აზრი:

„თუმცა უცებ როდი იძენსო ამ უგვაწო ძალას, ბაღის სხეულში ჩაბუდებული იქამდე ინარჩუნებს უმანკობასა და სინამდეს, სანამ არ გაივლის ბავშვობის ხანას, სანამ არ დაადგებს სურნელოვან და გაკრიალბულ კანს, სანამ არ ნამოიზრდება და თანდათანობით სულ უფრო და უფრო არ დაემონება იმ ძალას, მაშინ ძნელად თუ განინმინდება, მხოლოდ ღვთაებრივი ძალისხმევით თუ შეძლებს ამას“.

სწორედ ამ განწმენდისკენ ლტოლვაც იყო იქნებ მიზეზი (სხვა მრავალთან

ერთად) ჩემი იორდანეს მხარეს გადმოკარგვისა და რადგან, როგორც წმინდა, ამ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩემთვის, მინდა გიაზოთ ამის შესახებ. მაშინ თუმცა ეს მისი სიტყვები ჩემი აბურდული განცდების საფუძველი გახდა, მაგრამ მერე და მერე, ეს განცდები დაინმინდა და ნათელი და ცხადი შეიქნა. რომის მეფეს რომ ვმსახურებდი, ბრანჯებთან დიდი ომი მქონდა, იმათი მეფე შევიპყარი და თუმცა ჩემი შეწვევით ის და მისი ხალხი ეზიარნენ მრწამსს ქვემარტივს, ამ ველზე მრავალთა დანთხეული სისხლით დავისვარე ხელები. ქუაარული ამის მერე როგორ გავეკარებდი ნინოს, ვინც ყოველდღე უცნაურ კითხვებს მაძლევდა, რაც უფრო ასაკოვანს შეეფერებოდა, ვიდრე ბაღს და სიყვარულთან ერთად, მისადმი ამ გრძობას რა გამინელებდა, უკვე დიდ მონიშებასაც ჰბადებდა ჩემში.

ახლა და აქ კიდევ ერთხელ გადაეკრა ლიბრი ჩემს მესხიერებას და იმაში ჩაჭედულ ვენგოსა და ვემებს, თუმცა კი ვიცი, დროებით და კიდევ და კიდევ მობრუნდებიან ისინი, ჩემ წინ დადგებიან და გამიმართავენ საუბარს.

ამ დილანდელი მზის სხივები მოხვდა სარკმელს, იმათ ნათელ ბურუსში დაინთქა ის ძმები ახლა და დღეს; ზვალ უკვე ასეთი აღარ იქნება ეს დილანდელი მარადიული სიხეები, რადგან ერთი ბენო რალაც ცვლილება ხომ მაინც დაეტყობა ამ ქვეყნის შეუმჩნეველ, თუმცა კი უქველ მოსაბრუნს. იქნებ ის ორნი ძმანი, ვენგო და ვემებ ერთნი გახდებიან და იმ გადაკარგული ძმის, ვენდამიანის სახით მოგვევლინებიან; იქნებ სწორედ ეს ფიქრი გახდა თავიდათავი ამ სიტყვებისა, რომელიც ერთხელ ჩემად უნებურად აღმომხდა გულის სიღრმიდან და ვნით უთქმელად განმაცვიფრა და გამაოცა:

„ხორციელი თვალეები გაქვს შენ, ვემებ, შენ კი სულიერი, ვენგო, სინათლეა საერთო ნიშანი მათი, მაგრამ ამ სინათლის ძირისძირის წარმოჩენა ვის ძალუძს, პოი, უფალო, ქრისტე იმიტომ ენამა, რომ კაცი ჯერ კიდევ არ იყო კაცი. რალაც პირველი იყო სიმადალი იმ გზაზე, რომლის გავლისას გარდაისახება რალაც მეორედ, რალაც მესამედ... როდესაც გაქრება, გაილევა ის პირველი, პირთამდე აღივსება სანყაული მისი, გარდამოედინება გრგვინვა-გრიალით; მერე, კარგა ხნის

მერე დაბრუნდება და ველარ სცნობს თავის მშობლიურ მხარეს და ვერც დამხედურები იცნობენ მას (თუკი იქნება აქ დამხედურები); აღარ იქნება მჭამელი ხორცის, არც ბალახის, არც ფოთლის, უსასრულობას შერთული რამ იქნება საკვები მისი, იმ უსასრულობას, მთელი ზესკნელი რომ მოუცავს და ისეთივე გაულეველი იქნება, როგორც გაულეველია ეს ზესკნელი, ვენდამიან იქნება იმ მესამის სახელი...

ასე იქნება თუ არა, ვინ იცის, მაშინ გავიგებთ ყველაფერს, როდესაც გამოუშვებს ვენდამიანს აბენესი. ახლა კი ასე ამბობენ, ახალი გული და ახალი სული მიუცია შოლაიტს ვენდამიანისთვის აბენესს, სხვა ყველაფერი ამოუცლია, რაც კი ჰქონდა იმას, რადგანაც არ უნდაო, ასე უთქვამს აბენესს, მიწის მტკერს რაც ბევრი აქვსო ამ მტკერისაგან, კუჭი, ნაწლავები, ღვიძლი და თირკმლები (მრავლის სიბრძნე თავიდან კი არა, სწორედ აქედან მოდისო, ასეა ნათქვამი); ჰაერი არისო მხოლოდ მისი პური არსობისა, მერე აღარც ჰაერი დასჭირდებაო; დიდი ხანი უნდა გავიდეს, სანამ გაათავისუფლებს ვენდამიანს აბენესი. მაშინ შეიძლება აღარც ვემებ იყოს და აღარც ვეგანო, ან შეიძლება კი იყვნენ და ვენდამიანის შემწეობით სრულიად ჩაწვდებიან (კიდევ უფრო სრულიად, ვიდრე თუნდაც ვენგო იყო მიმხედარი, ანუ, შეიძლება ეს „სრულიად“ ვერ არის სწორი ნათქვამი, რაღაც სულ სხვანაირად უნდა ეთქვა და ვერ ვამბობ, სულ სხვანაირადმეთქი) ღრმასა და დღემდე მიუნდოშელს; იქნებ იმასაც მიხედნენ, რა ნათელი იმალება ღრმასა და დაფარულში (ანუ ბნელის ნიაღში), კიდევ იმასაც, რომ ნათელი მართლაც ნათელია და არა ბნელი, რომელიც ნათელი გვეგონა მთელი ეს ხანი.

იმასაც ამბობენ, ვენდამიანმა არა ენა არ იცისო, მაინც მისი ნათქვამი ყველას ესმის, ანუ ესმით ის ხმა, რომელსაც ის ამოთქვამს, და უმალ იმად გარდაიხსება, რაც უნდა გაიგოს იმისმა მსმენელმა და აქამომდე ვერა და ვერ გებულობდა, რისი ვაგონებაც მთელი ცხოვრება, დაბადების დღიდანვე ამ დღემდე, მისი ოცნებების საგანი შექმნილიყო. ვაგონებს და სრულ ნეტარებას იგრძნობს, სრულ ბედნიერებას ეწევა. კი, ასე უნდა იყოს სწორედ.

მცხეთა

ნარიხოცა, ნავიდა-ის-მთვეთი, მთვეთათა ხიდეზე დავდექი და ვენდამი ცეცხლისმსახურთა მოგვებასა და ცთომას. ვტიროდი მათ წარწყმედასა და ვიგლოვდი ჩემს უცხოებას. ჯერეთ არ მოსულიყო მეფე და ვითარ მოინია ჭამი, იწყო მიდამომალვა ყოველმა კაცმა, შიშით საფარველს შეივლტოდა. აჰა, გამოჩნდა დედოფალი ნანა, ნელიად მოვიდოდა ერი, შეამკეს ფოლცნი თვითოფერითა სამოსლებითა და ფურცლით, იწყეს ქება მეფის. მაშინ გამოვიდა მირიან მეფე ხილვით საზარელითა და თვალმუდგამით.

ვკითხე დედაკაცს ვისმე, ჰურიას, რა არს ესე?

მან მრქვა:

ღმერთი ღმერთების არმაზ და არ არის მისსა გარეშე სხვა კერპიო.

მყისვე წავედი არმაზის ხილვად და აიგსო მთა დროშებითა და ერით, ვითარცა ველნი ყვაევილით.

დავდექი კერპის მახლობლად, ნაპრალის ზღუდესთან და ეხედავდი საკვირველებას მიუნდომელს, ენით გამოუთქმელს, რა შიშის ზარით არიან შეპყრობილი მეფენი და მთავარნი, ყოველი ერი იმ კერპის ნინარე. კაცია ერთი სპილენძისა, ტანთ მოსავს ჯაჭვი ოქროსი და თავს ჩაბალახი მყარი, თვალნი აქვს ზურმუხტი და ბიერილი, ხელთ უწყურია ხმალი ბრწყინვალე ბრანჯებითან ნაომარ მამას ხმალი მოჰყვა ერთი, ბრწყინვალე, ნალაფევი, ვადად დათვის თავი და კოსური ჰქონდა მოოქრული. ის კი დათვი არ იყო, დათუნი იყო, დათვის ბული, კოლასტრას ჩამოეყვანა ბათმე ბიძიას. იმ დღეს გზაზე ვიდექი მამასთან ერთად, აღმართი იყო ის გზა და კოლასტრას შემოგარენი. პირველად ვიყავი მოსული აქ, მერე კი რამდენჯერ, ვინ იცის, რამდენჯერაც კოლასტრა დამიტოვებია. ხოდა, იმ აღმართის თავში გამოჩნდა ბათმე ბიძია და საბულით დათვი ბული მოჰყავდა ერთი, პატარა მუქთაფლისერო, მრგვალი და ფუნთულა, ის ისეთი იყო, საარაკო და ენით უთქმელი ლამაზი, ლამაზი. ამას კი სისხლიან რკინად გარდასახულს კბილები დაეკრიჭა, შიშის ზარს სცემდა ეს ხმალი მსხვერპლთ და ვიცი, სამსხვერპლოზე აყვანილები მსხვერპლნი არიან, მაგრამ მსხვერპლის აძეანნი და



ისინი, ვინც პრძანებენ მსხვერპლის შეტყუებას კი ვინღა არიანო, ეკითხებოდა მამა ბათმე ბიძიას და თავადვე პასუხობდა, შიშის ზარის მსხვერპლნი არიანო სუფველანი. თუ არ ეიცო, მაგრამ მე არ მინახავს მენ დაძმუდებულა ცეცხლი, რათა არ დაენვა მსხვერპლო, ერთხელაც რომ დაძმუდებულიყო, ისიც არ მინახავს. ერთხელაც არ მინახავს მშვილდში შემტრუნებული ისარი, უკან დაძმუნებული ლოდსატყორცნელიდან გამოტყორცნილი ლოდი, რადგანაც შიშის ზარი ათამაშებოდა იმ ცეცხლს, ისარსა და ლოდს. შიშის ზარს მოწებებ კერპის თავყვანისმცემლები. შიშის ზარია მათი მეუფე და ის კერპიც, რომლის ხელთ იტყვევა ხმალი ვითარცა ელვა. ასე ვალალებენ ის ყვაილინი ველისანი:

პოი, ჩემდა ვაითუ პოოს რამე ბინი და მცეს მახვილი იგი, რომლისგან ემინის ყოველს და შიშით თავყვანისმცემნი მას.

შიშით აღესილა კაცის წუთისოფელი, თქვა მამამ, შიშით არა ერთითა და ორით, ათასით, ათი ათასით. შიში იმისა, სამშობლო არ ნამართვანო (სხვა დროსაც ჰქონდა მამას ეს ნათქვამი, ზამთარი ღმუროდა მაშინ გარეთ, სამშობლო რომ ახსენა, ბათმე ბიძიამ მიუვო, თუ ვახსოვს, ზამბლონ, ის ბერიქლო, რომლის ქვეყანასაც დეცი დაპატრონებოდა, რას შერებოდა, ცომის მოსაწვლად წყალი რომ აღარ მოუპოვებოდა. კი მახსოვსო, უტუბებოდა მამა. ბათმე ბიძიამ კი ასე განავრძო, იმ დევს იმ ბერიქლისთვის სამშობლო არ ნაურთმევი, სახელმწიფო ნაართვაო და უწყლობა ამისი ბრალი იყო სწორედ. დედამ კი თქვა, რაც არა ჰქონია რას ნაართმედაო, და კიდევ ესეც უნდა იყოს მართალი, არც არავინ არავის არაფერს ართმევსო, თავისით ქვარგავსო ყველა, შიში იმისა, ვაითუ აღარ იყოსო შვილი და შვილიშვილი ჩემი, შიში იმისა, რაც იყო წარსულში და ვაითუ მომავალში განმეორდესო, შიში ზესკნელის წინაშე, უსასრულო რომ არის ვითარცა უფსკრულო, რომლის ძირსაც ვერა და ვერ სწვდება კაცის თვალი. შიში თავის წინაშე, მარად შეუცნობლის, აღუესებელი სანყაულის. შფოთიანობა, გაუნღელებელი მტყინვარება მას მერე რაც დაინვრათ ბაბილონის გოდოლი, მიუვო მამას ბათმე ბიძიამ; მივხედი, თავად ჰქონდა პასუხი, ენის აღრევა მშიშანობა შეადიდი, ენის აღრევა იყო დიდ ნერვეის

მიზეზი. მაგრამ ასე უთხრა მამამ, ვიცი რა პასუხსაც მოვლი, შენ, ჯერჯერ შენ გუფელის შემტყუების მიზეზი. ენის აღრევა უფრო ყოფილა, როგორც შენ იცი, უფრო ეს უნდა ყოფილიყო, იმის მშენებლობის რაღაც სიკეთე რომ ევონათ, თურმე ბოროტება ყოფილა და ბოროტება რომ ევონათ, თურმე სიკეთე ყოფილა. ბათმე ბიძიამ კი: შენც ამასვე ამბობ, ზამბლონ, ესეც ხომ აღრევა არისო, სულ ერთია, გინდა ენის აღრევა ყოფილა და გინდ სხვა რამისო. ერთხანს წუმად იყო მამა, მერე კი ასე თქვა: მართალი უნდა იყო შენ, რადგანაც ბოროტებისთვის ხომ სიკეთე შეურქმევიათ და სიკეთისთვის ბოროტება ხომ შეურქმევიათ და შეურქმევა ეის გაუფონია უსახელებოდ, სახელები კი ხომ სიტყვებია და სიტყვები ხომ ენა არისო საბოლოოდ. ენა სლიპინა და შილტივით მოქნილი, უძელო ხორცი არისო. პო, ხორცი, ხორცი, დაუდასტურა დედამ ახლაც, ახლაც ასეა, ამ ველის ყვაილების სიკეთე ჰგონიათ არმაზ ზურმუხტ-ბიერილიანი და სიკეთის რა შიში უნდა გქონდეთ, ველის ყვაილინი! მარჯვენით იმ კერპისა იყო კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; მარცხენით კაცი ვერცხლის, სახელი მისი გაიმ. გაცი და გაიმ, ოქრო და ვერცხლი, გაიმ და გაცი, ვერცხლი და ოქრო და კიდევ ის ზურმუხტი და ბიერილი, ჯაჭვიც ოქროსი და ამა, ზანდუკი საუნჯისა, ჩამფალი მინაში, თუნდაც აქვე, ამ ნაპრალის ზღუდესთან. ფეხი დაეკარ მისი კიდეს, მოიფშენა, ჩაიფშენა, კენჭები მოსწყდნენ, დაბლა ჩაქანდნენ. ცრემლი მომერია და სიმწრის სისველემ დამიღბო სახე, ცოცხლად შთანთქავს ამ ერს ჯოჯობეთი, რაკილა დაუტყვევს დამბადებელი და თავყვანს სცემენ ქვასა და ძელს, სპილენძსა და რეალს განჭედილს და ასე იტყვიან, ესენიაო ყოველის შემოქმედნი ნივთნი არიანო ესენი, მეუბნებოდა დედა, ნივთნი, რომელნიც სერიან კაცის სულსა და გულს თქვენი სულიცა და გულიც ასე ისერება, ველის ყვაილინი. შიშითა და ურვით დასვრილობართ და ქუმი არილი გადაადის ამ არმაზს, გაცს და გაიშს ორნაირი მოთმინება გმართებსო ამ ქვეყნად, მითხრა მამამ, ყოველდღიური ნამების მიმართ, გინდა ხორციელის და გინდ სულიერის, ანუ იმის მიმართ, რომელიც მხოლოდ შენს ხორციზე და რომელიც მხოლოდ შენს სულზეა მიმძღავრებული და, აგრეთვე, იმის მი-

მართაც, რომელიც არ არის შენს სულს და ხორცზე მიმძღავრებული და საყოველთაო, ყოველზე განუმსჭვალავს იმის ბოგინს ჩვენს გარშემო, ცა და მიწა, მთელი სამყარო, დღეს რომ კაცის წილად მოდის, დღეს და არა ხვალეო, მუშპნებოდა მამა, ხვალ კაცის წილი სამყარო შეიძლება მშვენიერი და დიდებული გახდეს, როცა მიხედება რაც არის და იმასაც, რაც უნდა იყოს და არ არის ის იყო ჟამი, როდესაც ჩემი გული ჩახვდა მრთავლ სიმბრძნეს და ახლა ვხედავ, ღმერთო, კი არის, უთუოდ არის მშვენიერება და ღმობიერება ბივრილის, მშვენიერება და ღმობიერება ზურმუხტის, მშვენიერება და ღმობიერება ოქროსი, მშვენიერება და ღმობიერება ვერცხლის, ერთად კი ეს ბივრილი-ზურმუხტი-ოქრო-ვერცხლი რა სიმბახინჯვაა, რა გულქვაობაა, რა მძვინვარებაა. მაშინ ზეცას ავაპყარი თვალი და ვთქვი: უფალო, სიცრუის ძალით ვებრძვიან შენი მტერნი, ვერ ხედავენ შენს სულგრძელობას ამ ქვეყნის მტვერნი. ხატია შენი კაცი, წმიდისა სამებისანი იქმენ და აცხოვენ ყოველი სოფელი, წყალობით მოხედე ურჩ სულებს სოფლის მპყრობელებისას, ბნელეთის მთავრებს. უფალო ღმერთო ჩემი მამისა და დედის, მათ ნამოხებ შენს მხევალს მიჩვენე მთელი ქვეყნიერების კიდიდან კიდემდე მაცხოვარება შენი. მაცხოვარება მისი რად ვკუება ბოროტს, მოსპოს მან ბოროტი იგი-მეთქ. მამამ კი: მისი მაცხოვარება სიკეთეა და იბრძვის, ცდილობს, მაგრამ მისი მცდელობა და ბრძოლა არ უნდა იყოს მძღავრობა, რადგან მაშინ წარიხოცება ღვთაებრივი შარავანდედი, შვი არილი მოედება მთელ მიწას, მის ყოველ კუთხე-კუნძულს მოიცავს, ამოაბრუნებს მიწა ჟაბს და ჯოჯოხეთი მიწისქვეშეთში კი არა, შხისქვეშეთში იბოგინებს. მაცხოვარება მისი შარავანდედია საარაკო, რომელსაც ყოველი უნდა თაყვანს სცემდენ და ამაღლდეს ამ ღვთაებრივი მგალობლის ძალით და არა ძალის ძალით. ეშმაკიც იცისო რა არის სიკეთე და ისიც ებრძვის მას თავისი მგალობლის ძალით, იმ მგალობლის ძალით, რომ ის შუღღებელია ამ ქვეყნად და მართალი თუ გინდა, შეილო, ღმერთი პირისპირ კი არ შეშბია ეშმას, კაცის, მისი სულიერების მეშუობით ცდილობს მის დამარცხებას. ღმერთო, ღმერთო მოსპე ეშმაკის ხელით შეკრულნი ეს კერანი ბრწყინვალენი და

უსულონი, ეს ოქრო, ვერცხლი, ზურმუხტი და ბივრილი დაუბრუნებულნი მუნას, საიდანაც ნახეს ამ ველის ვეცხუებმა, სხვა დროსა და სხვა ჟამს მოაპოვებინეს, როდესაც კვლავ ერთად შეიკერის ეს ოქრო, ვერცხლი, ზურმუხტი და ბივრილი, ოლონდასე ნუ, ასე ნუ, მაშინ სხვანაირი იქნება ელვარება მათი. აღსდგენ დასავლით ქარნი და პაერნი და ხმა სცეს ქუხილით, საზარელი ხმით, გამოჩნდნენ ღრუბელნი მოსწრაფენი სამიწელი ნიშნით და მოილო მზის დასავლის ნიავემა სული ჯირკვალის მწარის, მყარანი ნაღველის და იხილა ერმა მათ ზემოთ მომავალი, მაშინ ილვტოდა ყოველი კაცი ქალაქად და სოფლად; შეიმაღნენ თავ-თავიანთ სამყოფელში, მეყსეულად მოიწია რისხვის ღრუბელი, მწარედ სასტიკი და მოილო ლიტრის სწორი სეტყვა, დამუსრა კერპნი, დაარღვივნა ზღუდენი სასტიკმა ქარმა და გადამზღვრია კლდეთა ნაპრალეებში.

გამოხდა ხანი. დანყნარდა ზეცა და მიწა, ოლონდა სველი იყო, ლაფმოვლებული, მუქი ბრწყინვალეობა გადასდოდა ქვა-ლორღს და ნუთუ, ღმერთო, ასეთია არემიდამო თუ ეს ჩემი სულია, ანუ ასეთი რომ არის ეს არემიდამო, ჩემი სულია ამის დამადასტურებელი სწორედ.

ნარივრანენ ის ღრუბელნი და ღამის სიმავე აღარ მოწეულა იმ ღამეს, იმ ღამეს ღამის სიღურჯემ იმძღავრა, მთვარის ოქროსსხივებდაკრულმა და, ღმერთო, ხვალ არადღევანდელი ხვალ გათენდეს, ხვალინდელი ხვალ, გათენდეს ხვალ.

ხოზამა

ჩემ წინ აღმართული მთის ჩრდილი მოწვედა, ღელე უნდა გადაგველო აქ და იმას იქით ხოზამა ინყებოდა, ბეკურის საერთისმთავრო. დაღამებამდე ორიოდ საათი იყო დარჩენილი. ნაძენარში შევედით და უკვე ხანდახან ვხედავდით ბეკურის სასახლის სახურავს. მახსოვს, წამით მიეფარა ის სახლი თვალს და უკებ, ორი ნაბიჯი არ გექონდა გადადგმული, საღამო ხანის კოინდრისფრად შეფერილი ციდან ხმაური მოგვესმა, რალაც ფრინველმა წელა გადაგვიფრინა თავზე, გავივონე იმისი ხმა და იმავე წამს გულს სევდა შემომანება, ჩემი წინი ვიხილე ისე ცოცხლად და ისე ცხადლივ, კენესა აღმოშხდა და თვალთ



დამიბნელდა, თითქოსდა უავდრო, მთვარიან ღამით მთის ტბის წყალზეო, ისე აირეკლა მისი საყვარელი სახე და ხელები – იცოს, მეზობლის ლეკვი ეკლნარიმ დრუნჩი გაეკანრა და იქვე დაჩოქილი დედამისის შემზადებულ მაღამოს უსვამდა ნაიარევეზე თავისი ვარდისფერი, ფუნთულა თითებით. სწორედ ამ ხუთი წლის წინანდელ სურათს ვხედავდი ნათლად და ცხოვლად.

კარგა ხნის მერეღა გამოვეჩქვიე. მაღლი შევნირე უფალს ამ საამური სურათის ჩვენებისთვის და იმისთვის, რომ ის ერთი დღე ასეთი დაუფინყარი შექმნილიყო ჩემთვის. ხოზამას სანამ ჩავიდოდი, ხანდახან ასე ვფიქრობდი, დროისა და სამყაროსთვის ერთი დღე მტერის ერთი ბუსუსია, ჰაერში მონანავე არც არასდროს უბრუნდება მინას და ასე სამარადისოდ ზეცაში მიცვალების მერმე შეუერთდება ჩვენს სულებს, დრო-გამის საზღვარს ასე შემუსრავს და დაიდებს ბინას დროთა სასაფლაოზე. ღვთაებრივი ხელი თუ შეძლებს იმის გამოხშობას, ხოლო უბრალო მოკვდავისთვის რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ერთ დღეს, მზის სულ რამდენიმე საათის გაელევებას და მორჩა, გათავდა (ჰაი, ასე ვიცოდით-მეთქი სანამ ხოზამას ჩავიდოდი), ისიც მაშინ, თუ უღრუბლო დღეა, ხოლო თუ ზეცა მოქურუბებულია, არც არავინ გაიგებს იმის გადასვენებას თუ ჩასვენებას შვავსად იმ უჭირისუფლო კაცისა, ვინც მარტოდმარტო დალევს სულს.

კარიბჭეს გავლილს შემომეგება ბეკური, ვინც პატალანის ველზე მტერი იყო ჩემი და მერე კარგი მეგობარი გახდა. ამ კაცის სრასახლის დიდი დარბაზის ბუხარში ავარდნილმა ცეცხლის ენებმა ახლა და აქ, ან უკვე გარდასული ხანის ნიალიდან მხურვალედ ამომწვდა. ამომამუტა და ამლოკა, გაჟანტა დროების ნაღვექის რძისფერი ბურუსი და ისე მომეახლა. ნათლად ჩამესმის ის სიტყვები, რომლებსაც ბეკური მეუბნებოდა:

„დრო-გამის სათვალავი კარგად იცოდნენ ხოზამელებმა და არა ძალას შეუძლო შეჩერება მისი მფოვრე დინებისა. ერთხელ, არ ვიცი, რა ქარბორბალამ გადმოისროლა ამ მთებს აქეთ რაღაც შავნი ფრინველნი, მგონია, შთამომავალი იმისა, ნოემ რომ გამოუშვა თავისი კიდობნიდან და უკანვე რომ ბრუნდებოდა, შავზე შავი ფრენა რომ იცოდა, ერთხელ, როგორც ჩანს, აღარ დაბრუნებულა უკან, – კუნ-

ძმა გაიტკაცუნა უცებ ბუხარში, ნამით ნარხოცა დარბაზის ბიჭებიც ვერცხლი შევნიშნე ბეკურის თვადრეკლამდე ლივით მოუხელთებელი ჩვენი დღეები ამ ქვეყანაზე; უფროვე ჩრდილები გახდნენ, თითქოსდა იმ ფრინველთ საოცარი რამ ჩრდილი გადმოყვით იმ მთებიდან. ჯერ ცოტანი იყვნენ და მერე ბევრნი მოყვნენ იმ პირველთ“.

ის პირველები კი ბეკურის მეფეინბეთუხუცესს, ვარზმანს, დაუნახავს ყორეზე შემომსხდარნი, თავზარი დაცემია მთელი ღამის უძილო კაცს, პატარონს საუკეთესო ბედაფრი გახდომოდა ავად და იმას დაჰფოვინებდა თავს, ხოდა, მორბოდა და ასე მოყვიროდა – „ყორეზე... ყორეზე... რანი არიანო, რანი არიანო...“ მთლად შევფერნი ყოფილან ის ფრინველნი და გაჰკოოდნენ; სანამ ვარზმანი, ის დროული კაცი ხენეშა-ხენემით სასახლის კიბეს ამოირბუნდა, იმის ერთადერთ ვაჟიშვილს, გორძაკალს გაუგონია მამის ვეირილი და კიდევაც მოუსწრია, გულგახეთქილი ბეკურისთან შემოვარდნილა და კარიდანვე გამოსძახა მას, ყორანნი მოფრენილანო, ბატონო!

იმ ფრინველების გამოჩენის მერე თანდათანობით გამქრალა ხოზამას ბუები, სულ რამდენიმე თვეში ერთ ბუსაც ვერ ნახავდით და ეს ამბავი დიდი მითქმა-მითქმის საბაბი შექმნილა. თუკი ახლა მცირეოდნავ ნათულია შინც იმ ხანის მოვლენები, მაშინ, რაკი იმ მითქმა-მითქმას ხალხის მღელვარებაც მოჰყვა, თითქოსდა წყვდიადმა მოიკვა ყოველივე და მხოლოდ კარგა ხნის მერე გახდა რაღაც-რაღაცები საცნაური. პირველად კი ეს იყო ცხადი, ხოზამელების გუნება-განწყობილება ძირფესვიანად შეიცვალა და თუ ამ ორიოდე წლის წინ ყველას ხვალეკერა პირზე და ყველა ხვალის ამბავსა და მოსახენის წინასწარმეტყველებდა, ხშირად დიდი სისხლისღვრითაც მთავრდებოდა ეს დავიდარაბა, მერე და მერე ხოზამიდან ბუების გადახვენის კვლო-ბაზე ცი ამბობდნენ ასე, თუმცა, ეს უწყინარი ფრინველები, მე მგონია, გინდ ყოფილიყვნენ და გინდ არა, და ზოგჯერ სულ ჩვეულებრივ დამთხვევას ხალხი ასეთ დიდ მნიშვნელობას როგორ ანიჭებს) შეწყდა „ხვალ, ხვალეს“ ძახილი და სულ მალე აღარც იყო აქ გაუთავებელი დარდი და სიმწუხარე, ვაითუ ხვალ ასე იყოს და არა ისეო. ხოდა, ყველა ხოზა-

მელს დაეტყო ცვლილება, თუმცა კი პირველ ხანებში ძლივს შესამჩნევია, მერე კი ცხადი და თვალსაჩინო. ზოგი შიშის ხარით შეხვდა ამ ცვლილებას, ზოგი კი, ამათი რაოდენობა სულ უფრო და უფრო მატულობდა, პირიქით, ზარზემითი მოიხსენიებდა ბუების ასე ანაზღაურულ გადაშენებას, რადგან, მათი აზრით, ხვალეს გულისთვის დღეს ერთი წვეთი სისხლიც კი არ უნდა დაღვრილიყო. ვიღაც-ვიღაცები კი ამასაც ამბობდნენ, კაენმა რომ აბელი მოკლა, იმ უბედურმა პირველმა კაცისმკვლელმა სულის ასეთი მოძრაობის შედეგად შეძლო ეს საქმე. დღეს მე ამას რომ ვიხამ, ხვალ კრავად ვიქნები. შეიძლება ამ უკეთურის სულის ეს მოძრაობა მაშინვე წარხოცილა და ვაცამტვერებულა, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარიყო.

მერე ვიღაცამ ასეც თქვა, ეს იმიტომ მოხდა, რომ კაენმა არ იცოდა გუშინ რა იყო ან თუ იცოდა, ხომ იცოდა, რომ გუშინ არც არავინ იყო კაცისმკვლელი და იქნებ ამიტომაც გაბედა, რომ არ იცოდა, უფრო შიშვე იქნებოდა სასჯელი, ვიდრე მას შეეძლო ამის გაძლება.

იმ შავი ფრინველების გამოჩენის მერე უცნაური ამბავი დამართნია ერისმთავარ ბეკურის. ჩამოსვლის დღესვე ჩურჩულით შეუბნებოდა, წარუვალდი სევდიანობა დამჩემდაო. არადა, ჯერ კიდევ ჟანდონით სასვე კაცს ასე არ უნდა მოსვლოდა სწორედ. თუმცა მთლად ჩვეულებრივი არ უნდა ყოფილიყო ეს სევდა, უბრალო მოკვდავთ რომ მოეძალებათ ხოლმე, ტკბილი და საამური უფრო იყო, მეუბნებოდა ბეკური, ვიდრე მტანჯავი და გაუსაძლისი. წარმომავლობა ამ გრძნობისა გახდა, გაუთავებელი იმეორება ბაკური, ამ ახალმოფრენილი ფრინველების ხმა. დაიძახებდა ერთს და იმ ნამსვე სადაც არ უნდა ყოფილიყო კაცი, გულ-გვაგამში ერუანტელი დაუვლიდა და თავისი გარდასული ხანის ერთ რომელიმე დღეს წარმოუჩინდა სრულად, გამონვლილვით, ისე, როგორც რამეს ხედავდა ანმყოში, ვთქვათ ვაშლს ან ცხენს. პირველად ასე რომ მოსვლია, ბეკურის ბავშვობის დროინდელი ერთი დღე წამოგონებია ნათლად დილიდან საღამომდე, ანუ იმ დღევანდელი გამოვლიძების წამიდან იმ საღამოს დაძინების წამამდე. სულით ხორცამდე შესძრა ამ საარაკო ზმანება და სრულიად გადაეშვა, დაინ-

თქა იმის თვალისმომჭრელ სხივებში, თითქოსდა იმ ხანისა, ~~შფრჩხაშჩაშჩაშჩა~~, იმ დღევანდელი გახდა მასმ წყვეტილ წყნარციც, გულის ფეთქვაც. პირველად ეს ის დღე ყოფილა: ხუთი წლისა გადიამ გამოასერიანა (ოთხი-ხუთი წელიწადის მერე თავისი მეხსიერების გაჩენას სწორედ ამ დღიდან ითვლიდა, მაგრამ გამოხდა ხანი და სრულიად გადააფიწყდა მეხსიერების გაჩენის ის დღეც და ისიც, ამ დღეს რომ თვლიდა მეხსიერების გაჩენის დღედ), უეცრად დაუსხლტა ქალის ხელს და ტყეში შეეარდა, თეზარდაცემული გადია კი მოპკოდა, ბეკური, ბეკური, დაიკარგებო! მიზბის ბეკური ტყეში. დილა, ხეთა წვეროკინებს აღმაცურად დასთამაშებს შუის სხივები, უცებ ფეხი დაუსხლტება და რომ არ ნაიქცეს, ნაძეს მისწვდება პანანინა ხელებით. სიჩუმე დავანებულა ირგვლივ, თითქოსდა დრო-ყამი შედეგებულა აქ და მოტკბო-საამური ჰაერი ისეთი მსუყე გამხდარა, რომ შეუძლია ჩაპკბინის და ყლაპი უყოს. იგრძნო, ხელები მისწვებოდა ნაძეს და ისე ადვილად ვეღარ მოაცილებდა. ხის სურნელზეა გადმოღვროდა უკვე იმის სამოსელსა და ტანს. დაბლა დაიხედა, სადაც ფეხი მოუცურდა და რას ხედავს, ნაძეს ძირას მიწაზე განრთხმული მართე-სულს ღაფავს და მას ამოპყურებს, მას ხედავს, ნათლად იყო მიმხედარი, რომ სწორედაც ამოპყურება და სწორედაც ხედავდა, ასე გაუვლდა თავში (იმავე მამს ისიც იგრძნო, ოფლიანი იყო, თმა მუბლზე ჩამოსწვებოდა), მხედავს, მაგრამ როგორ მხედავსო ნეტავი, მერე უცებ ასე გაიფიქრა, ეს მართე ასეა ჩემთვის და მეც ასე ვარ იმისთვის, აქომინებული, თვალზედატყეტილი და სახეგანითლებული. ახლა კი, ამდენი ხნის შემდეგ ასე ფიქრობდა ბეკური, თუ იქნებ ლანდი ვიყავი მისთვის, საკვირველი, ბუნდი, მოუხელთებელი, მისეული, მისი სულით შემოხაზული, ანუ ჩემს ქოშინს ვერა და ვერ დაინახავდა, ვერც ჩემს სირბილისგან ამღვრულ თვლებს, ვერც სახის სინითლეს. მაშინ, იმ უხსოვარი დროის საღამო ხანს კარგა ხანს დაპყურებდა იმ მართეს, სანამ კისერი არ გადაუვარდა იმას და არ აღიგავა, ოღონდ მიწის პირისაგან კი არა, თვალსანიერიდან ამ ერთი დღისა, რომელსაც გუნდ-გუნდად დააცხრა სხვა დღეები და ჩაფლა, ჩაკარგა ვითარცა აპრილის თვეში მთიდან მოვარდნილმა ზეავმა.



პირველად შემთხვევითი ეგონა ბეკურის ეს ამბავი, მაგრამ შემცდარიყო. სულ სხვანაირი დროება მოვიდა მას შერე, რაც ის შავი ფრინველები გამოჩნდნენ (იმ დიდი კიდობნის შეილებიო, ზოგჯერ ასე ეძახდა იმათ ბეკური). ის მამა და შვილი, ვარზმან და გორძაკალი გახდნენ ხელმეორედ ადამის მერე იმ ფრინველების მომნათლავნი. იმ დროებასაც ხოზამელემა სწორედ „ვარზმან-გორძაკალის ხანა“ დაარქვეს და თუკი ეინძე რამეს გახსენება უნდოდა, ასე ამბობდა, აი, ის ამბავი, მაშინ რომ მოხდა, ვარზმან-გორძაკალის დროსო.

ის შემთხვევა, რომელმაც ბეკურის თავისი ბავშვობის დროინდელი ის ერთი დღე ასე გასაოცრად წამოაგონა, არ ყოფილა უკანასკნელი, უკვე ბრძენზე ბრძენი კაციც ვერ იტყოდა, როდის იქნებოდა ბოლო, რადგანაც იმ შავი ფრინველის ყოველ ხმაზე, ისეთივე, ანუ, უფრო სწორად, ამისი მსგავსი ამბავი ემართებოდა ბეკურის, ოღონდ წარსულის სულ სხვადასხვა დღეები აგონდებოდა და თანდათანობით ყოველივე სხვა გაქრა მისი ცხოვრებიდან, აღარ იყო, აღარ არსებობდა ახლა და ხვალ, იყო მხოლოდ გუმიმ და ხანდახან, თქვა ერთხელ ბეკურმა, „მოტკობო-მომნარო“ გრძნობა მუფლებოდა ამის გაფიქრებისას, მგონია უკვე, დედის საშოში მივექანებოდიო ბალღური ტიტინით.

ერთი წელი იყო გასული თუ ორი, ამ ამბავს ყველას უშმაღავდა ბეკური, ანუ, მართალი თუ გნებავთ, ვერც ნახულობდა დროს ვინმესთვის გულის გადასამლეულად, თანაც მხოლოდ თავისი, საკუთარი ეგონა ეს საიდუმლო და გულში იმარხავდა, რცხვენიოდა და ვერავის ვერ უშბელდა. გრძნობდა, როგორ გამოიცვალა, სრულიად შეეცვალა გუნება-განწყობილება, საკვირველი აქ რალა უნდა ყოფილიყო, რადგანაც ის მისი ახალი დღეები კი არ შორდებოდა იმ, ძველ დღეებს, არამედ ერთად შერწყმულ-შენივთებუილიყო და კვლავაც განიცდიდა ყოველივეს ცხოველად რაც იყო. სიამოვნება ამ დროს მრავალგზის გაზრდილ-გაფუებულიყო და საარაკო შარავანდედი გადასდიოდა. ვნება-წამებანი კი უკვე თავისი მომაკვდინებელი ხუნდებმოცილებულნი, განწმენდილ-განსაუტაკებულნი წარმოშდგარიყვნენ, სხვა მრავალთა შორის ცხადლივ მოეახლებოდნენ ხოლმე მისი ქორწინების დღეები და ასევე ცხადლივ

ხედავდა სინორჩეს თავისი ცოლისას, ველინას, სიჩვილეს თავისა ცოლისა და ასულებისას და მაშინ, ერთმანეთს დახვალუპით გარდამოედინებოდა იმის თვალებს, იმის სულსა და გულში ენით უთქმელი ნეტარება იბუდებდა და ყოველს, ვისაც ახლა ნახავდა, იმ შავი ფრინველის ხმის გაგონების ხანს, ისე აღიქვამდა, ისე ხედავდა როგორც იყო, ამ ორმა შერომ ის თავ-თავიანით ოდინდეთლი მნიშვნელობა დაეკარგეს, ერთმანეთში აილუფხნენ, ჩაილესნენ, შეიზილნენ და კიდევაც დაავდეს ის თავისი ადამის ქამინდელი აზრი და შინაარსი. ბევრი იმტვრია თავი ბეკურმა, უნდოდა რალაც დაერქვა ამ საკვირველი დროისთვის, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან თუ ახლას დაარქმევდა იყოს, მაშინ იყო, ამას რალა ლარი და ხაზი უნდა, ახლა გახდებოდა, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა; თუკი იყოს დაარქმევდა ახლას, მაშინ ახლა, რასაკვირველია, იყო გახდებოდა, რაც, ასევე, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი. არადა, რალა უნდა ექნა, ნათელია, რომ ორივე იყო, მაგრამ როგორ იყო, ეს ფიქრი აწვალებდა მას და გულს უღრღნიდა. ბევრი ღამე თეთრად გაათუნა და მიიწვ ვერაფერს გახდა, დაბოლოს, ადგა და შეაერფა, ეს ორი სიტყვა ერთ სიტყვად აქცია. ჯერ თქვა, იყოახლოო, მერე კი შეაბრუნა და ახლაიყოო; გულზე ნისლი შემოაწვია, სულ ერთია, გინდა ასე იყოს და გინდ ისე, ანდაუბდააო ორივე. ჩემამდე არც არავისთვის გაუმხელია ეს უაზრო სიტყვები რომ შეუთხზავს.

გავიდა რამდენიმე წელიწადი და ბეკური, იენისის თვე იყო, მიხვდა, ყველას იგივე დამართნოდა, ყველა ხოზამელს იგივე მოსვლოდა და თურმე, როგორ ვერ ხედავდა ადრე, მთელ იმ მხარეს ლბილი და საამური ფერები დასთამაშებდა, ყოველი ხოზამელი დანთქმულიყო ოცნების საამურ ბურუსში, ოღონდ ეს ოცნება, ჩვეულებისამებრ, როგორც ვთქვით, მომავლისკენ კი არ იყო მიმართული, მხოლოდ წარსულისკენ, თუკი კეთდებოდა რამე ხოზამას, ასე მეოცნებე ხალხის ხელით კეთდებოდა, სახლების მშენებლობა, გზების გაყვანა, ქორწინებები... თითქოსდა ამ დროს ასეთი შექმნილიყო იმათი ფიქრი: ადრე რომ ამწენებულიყო ეს სახლი, მე ვიცხოვრებდიო იქ ყრმობის ხანს, ან, ეს გზა, ჩვენ რომ გაგვყავს, ადრე რომ გაგვყვანა, მე ვავიეილიდიო ყრმო-

ბის ხანს და ასე და ამგვარად გადაიოდა ნლები, წარსულის საამურმა ჩრდილებმა მოიცვა ყოველი ხოზამელის ყოფა, ყოველი გადაშვებულის თავით ფეხამდე ამ აქამომდე არგაგონილ და საარაკო განცდებში. მხოლოდ გორძაკალის დაღუპვას დაურღვევია იმათი სულის სიმშვიდე რამდენიმე ხნით. მთელი ათი დღე დასტრიალებდა თავს ბეკური ისრით სასიკვედილო დაჭერილ ყმანელიცაც და კიდევაც ვაიგო ამ კარგი ვაჟკაცის დამარცხების მიზეზი. ჩვეული შემართებით გაგებებიან ხოზამელები მტერს და იმათ შორის, რალა თქმა უნდა, გორძაკალიც ყოფილა. მაგრამ როდესაც ამ უბედურმა მახვილი აღმართა და გული უნდა გაეპო მტრისთვის, იმისი სახე დაუნახავს, თვალზე გადმოკაკლული და გადაფითრებული, უცებ იმ ფრინველის ხმა გაუგონია, იმ წამსვე თავისი კი არა, თავისი რომ ეხილა, იქნებ გადაარჩინილიყო ცოცხალი, ის მომხდური წარმოუდგენია ბავშვად, ანუ, თუ როგორი იქნებოდა ის ოთხი-ხუთი წლის ბაღლი, წარმოუდგენია ისე ცხოვლად და ისეთი უცნაური სიცხადით, რომ ის ხმალი ხელიდან გაუვარდა და გაირინდა. ის მისი მტერიც გაქევაებული იყო ამ დროს, უთქვამს მომაკვდავ გორძაკალს. ზოდა, იმ სამინელ ომში ვიღაცის, შეიძლება სულაც დაუმინებლად, გასროლილმა ისარმა ფერდი შეუნგრია.

ბერი უფიქრია ბეკურის ამ შემთხვევაზე. დაბოლოს, ბედად ოდისეესი და მისი სირინოზები გახსენებია, თავის მეომრებს სასტიკად აუკრძალა ომის დროს ყურებდაუცველი ბრძოლის ველზე გასვლა, და ამის შემდეგ დიდი ვააფთრებით იბრძოდნენ ასე ყურებდახმული ხოზამელები.

იმ ხანად ხოზამელები რა თვალთ იყურებოდნენ, მხოლოდ მალაღმა ღმერთმა უნყის. ჩემი ხოზამადან წამოსვლის წინა დღეს, საღამო ხანს, ბეკურის ბუხართან სწორედ ამაზე ფიქრით ჩამქმნა ტახტზე და ასეთი სურათი ეიხილე თითქმის და იმ უცნაური თვალთ, ხოზამელებს რომ ჰქონდათ (რადგანაც ხომ ყველას უცნაური თვალი გვაქვს სიზმარში მაცქერალო):

ცხვარს მიერეკებოდა ერთი, კომბალი ჰქონდა გადადებული მხარზე, მეორეს კი, იმის გვერდით მიმავალს — ბარი. ნელ-ნელა შეეფინა ცხვარი ველს. თეთრად დაფარა იმისი სიმწვანე. ჩუმი ლილი-

ნით იმ მეორემ იქვე შორიხელს ვარჯა დაიწყო. ფარას დაცივდა ქნაფი, დიდი ცხვარი, ოქროსფრად დაქუჩაქუჩადა ტყავი. საჩქაროდ იქით წავიდა მცხვარე, კომბალი მოუღერა, აქეთ-აქეთო; უცრად ნაბორძიკდა, ფეხი დაუსხლტა, დაენარცხა, დიდ ქვას დაჰკრა თავი. გულგახეთქილმა დაიყვირა მინის მუშაკმა, ბარი დაავდო. გამოიქცა. დახედა თავგაჩეხილს, სისხლით მოთხვრილს, უსულდ მიღბარეს, იყვირა საშინელი ხმით, ლაპარაკით წამოუვიდა ცრემლები. მუხლებზე დაცემულმა ტყაპუჭი შემოხია ტანზე და ამ უბედურს თავი მისი წამუსრევით შეუხვია. მერე აიყვანა, მკლავზე გადაიწვინა, წამოიყვანა. კარგა ხანს მოდიოდა. ვზადაგზა მალ-მალე უმზერდა თავგაჩეჩვილს. დაბოლოს, კიდევ ერთხელ რომ დააცქერდა, შემზარავად დაიღრიალა ერთი, ვა-მეო, მველოზე ფრთხილად დაანვინა, თავად კი იქვე ჩაიკეცა გულშელონებული.

თვალთ დამიბნელდა ამ სურათის მნახველს, თუმცა ანახდებულად ასე გამოიღვა თავში, თვალი მოხუჭული მაქვს, თვალმოხუჭული ყოველთვის როდი ხედავს მძინარე, თუნდაც სულ ძილისშიერ ნისლოვანებაში დანთქმული, და ეს სიბნელე ამისი უნდა იყოს-მეთქი. კარგა ხნის მერე ძილშივე თვალი რომ გავახილე, სულ სხვა სურათი დაეინახე. ამჯერად უფროვე ცხადლივ, რადგან სწორედ ახლა ვალეულიყო ეს ნისლოვანება:

ვეებერთელა ფრინველი ჩამომჯდარიყო ბეკურის სასახლის გაღავანზე. ეს გაღავანი შორულ ზეცას ებჯინებოდა და კიდევაც წამოიღო ზღვარი იმასა და უსასრულო სივრცეს შორის, თითქოსდა თავად ის სივრცე შექმნილიყო გაღავანი, ის ფრინველი კი თეთრი იყო, შავი არ იყო, ანუ, ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, ჩემი გაცეხებული მზერა რომ იგრძნო, ასე მითბრა კაცის ხმით, იმდენი მხებეს, ზაბილონ, ისეც თეთრი ვარ, ანუ ისეთი არა ვარ, შენ რომ გეგონია.

„ისეც თეთრიო... რას ამბობ, და რა გგონია, — მივაძახე, — შენ რა გქვია, ანუ, ვინა ხარ, თუთიყუშს არ ჰგავხარ და იმასავით კი ლაპარაკობ“.

„თუთიყუში არა ვარ, რევაზე მქვია და ისა ვარ, რაცა ვარ. მართლაც შავი ვიყავი და იმდენი მხებეს, რომ რაც უნდა ვიძახო, აღარასოდესო, მაინც იქნება, ის აღარასოდეს ზვალეც იქნება და ის აღარასო-

დეს, რაც უნდა იყოს, ხვალე არისო, მაგრამ..."

და აქ კენესა აღმოხდა იმ გალავანზე შემომჯდარს, და შე ვარქვი მას, მაგრამ რა, რისი თქმა გინდა, მითხარი-მეთო.

კიდევ ასე მინდოდა მეთქვა, სანამ ღვიძილი ნამართმევდა თავს, ჩქარა, ჩქარა, სანამ ნარხოცებოდე, აღიგებოდე ამ ჩემი თვალსანიურის სამანებიდან, რომელშიც ასე სასწაულებრივ მოქცეულხარ. მაგრამ აღარ ვუთხარი, რადგან დამასწრო და ასე გადმოძახა იმ გალავნიდან:

„არ შეიძლება ის ხვალ აღარასოდეს იყოს, რადგანაც ყოველთვის იქნება ხვალ, ოღონდ როდის იქნება და რა ხვალ იქნება, ვინ იცის“.

მერე დავინახე, კისერი დაუფრქვლდა და ამ სიშორეზე მომწედა, ზედ ჩემს ყურთან მოიტანა ნისკარტი და ასე ჩამჩურჩულა, მე თეთრი ვიყავი იქ, ზაბილონ, ისეთი თეთრი, ახლა რომ ვარ.

სად იქ-მეთოქი?

„კაენი რომ კლავდა აბელს ველად, იმ ველის პირას ხის კენწეროზე მჯდომარე“.

„ახლაც ხომ თეთრი ხარ?“

„კაენ, ისე არ არის, შენ რომ გგონიაო“ – ამოიხრიალა აბელმა და გათავდა. მე გაეშავდი. შავფერი შეეფრინდი იმ კიდობანში და შავფერივე გამოეფრინდა იქიდან. მერეც დიდი ხანი ვიყავი შავფერი. მერე კი იმდენი მხეხეს, მხეხეს, რომ ისევ თეთრი გავხდი“.

„ვინ იყო, ვინ გხეხა-მეთოქი?“

„ჩუ, მე და შენ ვიცოდეთ მხოლოდ, ვინც იყო, ჯერ არ დაბადებულაო იგი“.

ჩამჩურჩულა ასე და გადაიქნა კისერი, მოსწყდა გალავანს, გაქრა, გაილია მისი სითეთრე, მოვიდა სიმავე, და მანამ იყო, სანამ ბეკურის ბუხარში აბრდღვიალებულმა ცეცხლმა არ გაანათა. რა მაგრად ჩავძინებოაო, მითხრა ბეკურმი. მსახურისთვის მოეხმო და შეშა დაამატებია. კარგია, კარგად დაისვენე, რადგანაც ხვალ არ იშლიო წასვლას.

ხოზამადან რომ მოვდიოდი, მთაზე ასულმა ის შავი ფრინველი დავინახე, სადღაც მიფრინავდა ნელა, თითქოსდა დაღლილ-დაქანცულს ხმა წართმეოდა, ანუ, მე მაშინ ასე მეგონა სწორედ, რადგანაც ამჯერად აღარ გამიგონია მისი ასეთი უცნაური ზმანების მომგვრელი ხმა. ის მიფრინავდა და საით, რომელ კი-

დობანს ეძებდა ახლა ნეტავი, რომელ დროსა და ეამს დასძახებდა? ვინმეს და გახვევდა საამურ-საკეცრ-ქურ-ქურ-ქურ-ქურ სულ მალე, ხუთოდე საათის შემდეგ, დამატოვებია ხოზამა ჩემმა ბუფაურმა. ბეკური მეტი აღარ მინახავს. ერთი ხიდი გავიარეთ, ცოტა ხნის მერე სულ მიწელდა მთის მდინარის ჩქრიალი, რომელიც დღეს, ამდენი ხნის შემდეგ, ხშირად მესმის, ხშირად დიდხანს, ძალიან დიდხანს, გაუთავებელივ.

მცხეთა

დაცხრა იმ ღამეს სეტყვა და ქარი. გამოვედი კლდის ნაპრალიდან, ზღუდეთა ნამუსრევში თვალი ბრწყინვალე, ბივრილი, ავიღე და გამოვნიე. ციხის ნანგრევთან იდგა ერთი ხე, მშვენიერი, მაღალი და რტომრავალი. ბარტამ მეფეს უყვარდა აქ დასვენება. პირჯვარი ვადავინებე. ექვსი დღე ვიყავი აქ და ვლოცულობდი, რათა წყალობა მოელო უფალს და ესხნა ერი შუკთომილი; ეს თვე დასაბამი ყოფილიყო საუკუნეთა თვეებში.

მეშვიდე დღეს ის ბივრილი გამახსენდა, ხელის გულზე დავიდე და დავეურბედი იმის სიცისფრეს. ზვედიან ღვთაებრივი ცისფერი დამცქერის და ხელის გულზეც თითქოსდა მაქვს იმისი მცირედენი ნაწილი, ჩუმი ნათება გააქვს. იმ ქარიზხლის ზათქისა და ზრილის შემდეგ სწორედ სამოთხე იყო ეს ცისფერი ზეცა და კიდევ ეს ქვა, რომელიც არ დაკარგულიყო და იმად გარდასახულიყო რაც იყო, სანამ კაცის ხელი შეეხებოდა და იმ საშინელი კერპის თვალი გახდებოდა. და კაცის გული ასე უღუთოდ რად მეღვთის შემზარავსა და თავზარდამცემს, როდესაც ეს ქვა ანარეკლია ამ დიდებული ზეცის, სადაც ჩიტების გუნდი შორეულ გზას გადაგომია. ზეცას აღაყრო შურა, ჩიტების გუნდი იხილა ნათელ ცაზე, ლურჯ თვალზე ცრემლები მოადგა (მე, ბივრილზე რა ბევრად ლურჯეს), და ასე თქვა მამამ: ნუთუ ისინი სულიერი არიან და ჩვენც, ნეტავი ჩვენ ისინი ვიყოთ და არა ის რატა ვართ. კაცი იმიტომ კი არ იტანჯება, ცუდი რომ არის, უფრო იმიტომ, რომ სულ მუდამ ეწნაფვის კარგი ვახდეს და მხოლოდ მაშინ ნელდება ეს ნამება, როდესაც მივახლება ღმერთს და თავის ნათელ მხარეს, ასე სუსტსა და



ულონოს, მცირეს. სეფექალი მოვიდა ერთი, შრომანა, ნაყოლა მთხოვა, უარი ვუთხარი, მიზეზი რა იყო ამ უარის? გრძნობა რაღაც ენით უთქმელი და მოუხელთებელი, მარადიულობის გრძნობა, ან უკვე გარკვეული ცოდნა იმისა, რომ მე ახლაც ის ვარ, რაც ვიყავი, ანუ ჩემში სთვლემს ახლა ის ბავშვი, მე რომ ვიყავი და თუ ვინ იყო იგი, ახლა ხდება ნათელი და ცხადი, ჩვენ ხშირად გვისაუბრია იმასთან, რაც ვიყავით, ანუ, უფრო სწორად, ვინც ვიყავით ადრე, ვთქვათ, ბალღობის ხანს, იმასთანაც, ვინც ვიყავით ბალღობის მერმე, სიყმაწვილის ხანს, და იმასთანაც, ახლა რომ ვართ და, მე მგონია, იმასთანაც, ჯერ რომ არა ვართ და ხვალ უნდა ვიყოთ, თუმცა კი ეს საუბარი საძნელო და უსიამოვნოც უნდა იყოს; თუკი საამური, სასიამოვნო და ენით უთქმელი ნეტარების მომგვრელიც გექონდა ოდესმე, ეს იმასთან გაბაახება ყოფილა, ვინც ადრე ვიყავით, ბალღობის ხანს ყველა ბავშვი კეთილი ანგელოზაო ამაზე კი დედამ მიუგო, მიუხედავად იმისა, თუ რა იქნებაო მერე? მაშამ კი პო, მიუხედავად ამისაო ბათმე ბიძიამ თქვა, უცნაურია სწორედ, მერე კი შეიძლება ეშმა გახდესო. მაშამ უთხრა, მაშინ ის უკვე აღარ იქნება ბაღლი, ერთი მეორეს გამორიცხავსო. ბიძია ბათმე დახძინა, გვიკორს, გვიკვირს, იყენენ თუ არა ისინი ბალღობი, რომლებმაც სიადმი-გომორად აქციეს ეს მინა, რა ბავშვობის ნიაღში იშვა ეს შემზარავი სისასტიკე, რადგანაც ხომ ყოველი სამარეა იმ ბავშვის, თავად რომ იყო ოდესღაც. დედამ კი მიაძახა იმათ, სამარეში ვინ გააჩერებსო ეშმას, ძელებს ხომ ამოყრიანო მისას. მაშამ ღომილით უთხრა, ეშმა უბრალო მოკვდავი ხომ არ გგონია, დეამუმიტენ იმას როგორ ღირსშესანიშნაობას, დიდხანს, ძალიან დიდხანს გააჩერებენო ასე. ცოტა ხანს იყურა და მერე თქვა: თითოეულ ჩვენთაგანს შეიძლება ორი სახე ჰქონდეს, თუ გახსოვთ, ასე არისო ნათქვამი, ერთი სახე შეიძლება ქერუბიძისა იყოს, მეორე სახე ადამიანისა, მესამე სახე ლომისა, მეოთხე სახე არწივისა. მერე ისევ იყურა, დაბოლოს ასე დასძინა, შენ კი იცი, ჩემო სოსანა, ეშმა რა არის, ანუ ვინ არისო?

დედამ ასეთი ამბავი მოუყვა იმათ (თავად მაშას რომ ჰქონდა მრავალგზის მოთხრობილი)

კაცი უფალს შეჰლაღადებდა. უფალო, შენ გვიშველე! მუსიკურ მულტიკა და ბოროტება.

ზიზღილიყმა

უფალი დუმდა, ორჭოფობდა, ვაითუ არ იქნებოდა ბოროტება, აღარ იქნებოდა სიკეთეც.

ეშმას ესმოდა ეს ღალადისი; რაკილა გაუთავებლად იყო ღუთავბრივი დუმილი და გაუთავებელი იყო ადამიანიშვილის კენესა და ვალალება, იმან უშველა მას, მოსაო სიტყვები „ბოროტი“ და „ბოროტება“. ამ სიტყვების ხსენებაც კი აღარ იყო არსად.

მაშამ გაიკინა და ასე თქვა, ვიდრე თავად უფალმა არ აღადგინაო ისინი.

შენ თუ იცი, ზაბილონ, მიუგო ბათმე ბიძიამ, მე მყავსო ნანახი ეშმა, უფრო სწორად ეშმანი, უფრო სწორად ორნი. ასეთი ამბავი მოუთხრო ბათმე ბიძიამ მაშასა და დედას, ესლექ აქვილუას ახლორე, ერთ მშვენიერ ბეობაში ცხოვრობდა ერთხანს ბათმე ბიძია. დიდებული კარმიდამო ჰქონდა იმ ნალკოტ ადგილზე. მისი იქ ყოფნის დროს ერთი ამბავი გადახდენია თავს. საღამო ხანი იყო, თავისი სახლდიდან ისრის ორ გასროლაზე ერთი კლდის თავზე, უნაგირივით მოხერხებულ ადგილზე შემომჯდარიყო იგი. კარგად მოჩანდა აქედან პატარა ველი, იქითა შორიდან ნაძვებით გარშემოჯარული. უცებ, ასე ყვებოდა ბათმე ბიძია, ღორებით ამზრუნენი ჭყვიტინი მომესმა და ჯერ ასე მეფონა, მომეჩვენაო. მაგრამ რომ გაიხებდა, დაინახა, ორი ვეებერთელა ტახი გამოვარდა იმ ველზე, ერთმანეთს დაეტაკნენ. მინა ზანზარებდა იმათი კეთილბით და ეშვების ხათქახუთქით. დაბოლოს, ერთმა მეორეს სძლია, ძირს დასცა და თავზე დაადგა. ბათმე ბიძიას მაშინვე უნდოდა კლდიდან ჩამოსულიყო და სახლში ჩამოსულიყო, მაგრამ უკვე მიწელეპულიყო შემზარავი ბრძოლის ხმაური და თავისდა უნებურად საღამო ხანის ხავერდით რბილ, ჩამუჭებულ შორეულ სივრცეს მიაპყრო თვალი იმ ველის იქით. რამდენიმე წამის მერე იმ ველს რომ დახებდა, გაშუმდა, თვალთ დაუშენლდა. სწორედ ამ წუთას უცნაური ზმაუნება იხილა მან, ეს ზმანება ასეთი თანამიმდევრულობით გაიშალა, თავის უცნაურსავე ზეობას მიატანა და უმაღლე გასრულდა. თითქოსდა ბურანში ხედავდა ბათმე ბიძია იმ ტახებზე, ერთს დამარცხებულს და მეორეს – გამარჯვებულს, იმ პირველის თავთან დრუნჩ და ეშვებ დახრილს, მთენივარე ღრუტუნის ესმოდა მისი. მერე კი, ღმერთო, ის ტახებში შეე და ლურჯ სამოსლიან (მანუჯველიან მუხლებამდე) სწვდებოდაო) კაცებად გარდასახუ-

ლან და იმან, ვინც გამარჯვებული იყო, დამარცხებულს სიტყვები მიაყარა და ვრგვინვა-ვრიალით მოისმოდა ეს სიტყვები იმ ველიდან. თუ რას ეუბნებოდა, არ მახსოვსო, ასე ყველგან ბათმე ბიძია, ესლა მოაგონდა, რა დიდებული, რა ამბულებული, რა ლამაზი, რა მშვენიერი იყო ეს სიტყვები. სწორედ მაშინ იყო, რომ ასე გაიფიქრა ბათმე ბიძიამ (ესეც კარგად ახსოვდა) იმათი არსი რა შემადრწუნებლად მდაბალიაო. მერე იმ შველურჯე სამოსლიანებმა ორჯერ შემოურბინეს ველს თქართურით (ასე დაუნახავს ბათმე ბიძიას, წვეროსანნი და ჩლიქოსანნი იყვნენ ის ორნი და რომ დარბოდნენ, ორი წყვილი ჩლიქი თანაბარზომიერად ურტყამდა მინას) მუყსეულად გაუჩინარდნენ ბინდმორეულ ტყეში.

მაშინ შუბლზე იტყვიცა ხელი მამამ, ასე იცისო ეშმამ, მდაბალს მაღალი სიტყვებით ნიღბავს, ასე იცისო ჩვენი მოლორება, ადამიანიშვილი ვერა და ვერ მიშხვდარა ამას.

ნაეიდა შროშანა, გავიდა ბათმე ბიძია იმ ოთახიდან და ასე თქვა, სანამ გავიდოდა: უფალმა შვა ადამიანი და გაყურებული, გა-

რინდებული უთვალთვალეს ამ მისტერიას, რასაც ქქვია „ადამიანი“.

თუკი ასეა, არის კიდევ ხსნის იქნება, უფალი რომ დაინახავს ამ მისტერიის დასასრულს, ანუ თავის მწვერვალს მიტანებულსა და ტრაგიკული კვანძის გახსნას, კიდევაც შეეშველება უფსკრულის პირას მისულს ასეა საეარაუდებელი. თუ ასე არ არის, უფლის ცდა დაკარგავდა მიზანს. მოვა დრო, კაცი გახდება პირმშო (დღეს გერია იგი) იმ ქაოსის, თუ რაღაც ლეთაებრივი უმაღლესი წესრიგის, რომელსაც სამყარო ქქვია, და მაშინ ისიც ისეთივე უსასრულო და დიდებული შეიქნება, როგორც უსასრულო და დიდებული არისო ეს სამყარო. თქვა ეს ბათმე ბიძიამ და გავიდა, ნავიდა შემდეგომ ამისა, მესამე დღეს გამოვევლე მტკვარი და მივმართე მეფის ბაღს. სახლი იდგა აქ ერთი, მცირე, ბაღის მცველისა, დედაკაცი იყო აქ, ანასტო, რომელმაც მიხილა თუ არა, ადგა, მომეხვია, შემიტკბო, დამბანა ხელი, მცხო ზეთი. მოიტანა პური და ღვინო.

გაგრძელება იქნება

ლიან ბაგრატიონი

სასახლის კარის არ ვარ პოეტი,
ძლიერია ღიმიის მონა-მხვეწელი,
„ერის მამია“ მიუი-მიუი
წინ წყალია და უკან მენყვრა...
სამშობლოს ხატი სიმწარით
ცრემლობს,
გაცედა ქართული ნამუსის ქედი,
კაცი რომ იყო მეგონა ერთ დროს,
თავის კაცობის გამხდარა ქურდი.
ან რად მეგონა, ღვთიური სიძი
გადარებოდა უკვან ქოროში,
ახლა სიმწრისა ციალებს ღიმი,
სიტყვას როყიოდ თქმულს თუ

მორიშილს
ენახობ, გამიცედა რწმენა ბაღღური,
ხადა კაი ყმა, ხად სამართალი,
ახლა სიცრუის არის დაღღური,
ამაოების წუა და ფართხალი.
ბუდო, ცრემლად რომ დიხარ, ალალო,
ამ მღვრიე დროში რად მეწმარები?!
სიცოცხლე გახდეს სახათაბალო,
სინათლეს ვერსით აუფვარები...
აგე თქვენა და აგე სიმართლე,
წყალი, ნახიდი ძველი საცრუბით,
არცა სასახლის ციალს ვინატრებ,
არცა დიდებით დაეიხაფრები...

მოგონებები — სათამაშო
ბრჭყეაღა ქვები,
ანდაც ზღაპარი — თეთრი წყალი
და შავი წყალი,
მიული სიცოცხლე ზომ ღვესია
შემლილი ფერით,
ნიღბებითა და სახეებით,
ჩქარი გაქცევით...
უწვეულობა მარტოხელა,
დაღლილი ქალის,
მიწაა ვრა, ზეცაა ჭერი,
დაუდივარ ქვეწანაღ.

ვევლასთვის მწველი,
მაინც ეული სიცოცხლით ვთერები...
იქნება მიწას აესა და კეთილს
ამ ვერსაცნობი იფრით ვმეწნი,
ჰოდა, ლაჩარი ვიფიწვებ აწმეოს,
ჰოდა, დამფრთხალი წარსულში
უჭრები...
ღამეულ ფსკერზე ვლვარებენ
ბრჭყეაღა ქვები,
შავი წყალი დის,
თეთრი წყლისაც მოაწვეს
ჯერი...

ღმერთო, მიმეველე და
სხვა აღარაფერი,
სხვა აღარაფერი, აღარ!
არვის ვუფიჭრები,
არვის ვუცისვრები,
აღარვის უჭანავარ დარაღ...
ღმერთო, წამიყვანე
სანამ აფროღდება სხეული,
გადახსნიღ დანას
ვაგებებს სივეარულს
ბაღღურს და დანდობიღს,
ბარხარებს მშაკეარი ზანა,
ღმერთო, სათხოვბავ,

ცრემლო და სიციფე,
მოხედე ზროვადქვეულ ფარას,
იფი, ვინც მიფვარდა
და ვინც მეღარდება,
შუნდღე, საფლაღი თუ თხარა...
ღმერთო, შეიბრალღე
სიცოცხლე უწყო,
მეტი რომ აღარ არის ჩარა,
წიქარას სივედიღის
მიეცი იღბალი,
ღვრწამს კი
სიმღერის ძღღა!



რაო სამყურავ,
 ურადლებით მისძენ და
 გტკივა?
 მარტოობის და უჭერობის
 ჩემის ტკივილი...
 უხივი, ბედრული ხილამაზე
 დამიჯდა ძვირად,
 მიჭირისუფელე, ხანთილიხაგან
 ვიქცეო ცვილად
 და სიმღერიდან დამჩნა
 კვიელი...
 რაო, სამყურავ,
 ვერცა სვეავი და
 ვერცა ხიბლავ?

გამელელთა შხერა
 სისორით შხარავს,
 გაწედილი ხელი
 ნისლით ივსება,
 სისხლისფერია
 სავსე ქიხები,
 გვაძები სავარძლებში,
 გვაძები სავარძლებში
 ქვეყნისგან ნარჩენ ძვალს
 ზრავენ...
 დაეარცხნილ მოწაფეს

ფაფარს აუკული შხისდარ
 „ფარაზფეტს“,
 თაეისუფლების უბელო ნამცეცს,
 ჭრით და ბუქით ისევ შარას ვხვეტ,
 ოცნებით ისევ ევლები შოა-წვეფს...
 შიძეფება — მტრისგან დანაცემ
 ხანჯალს ძმის ხელი დაეხიფება,
 ვინა სიქეა, გული ისე დანაცრებს,
 ჯური ცეცხლად არ წაეკიფება...
 შიფარის სინათლის დაეაფენ სახვეფს,
 ფიქრს სიბნელეში ნათრეფს და
 ნაცემს,

შენზე მოარულს,
 ეარქიხული
 ქვეყნის ჭრული ფივილ-ხეფილი
 გზაფრავს და სიხშირით ნაქიხიფა
 ცვიარი და წვიმა
 და გენატრება უშხვიში
 უხინოს ძილი...
 შენ თუ გამიჯვებს,
 შენ თუ მიძმობ და მიერთეფლებს,
 აღერილ ყვლზე უიღბლობის
 ელვარებს მძივი,
 არეინ მაყურებს საუფლოში
 ყველა მიყურებს!
 და მენატრება უშხვიში
 დაღაილულს ძილი...

ლოჯს აულებსავენ
 და დინჯად ცოცავენ
 საყუთარი საფლაევისიქენ,
 ხარობენ, სცოდავენ
 გვირგვინით მოწამის,
 არ სცნობენ ღმერთსა და
 ხეფანას...
 წუთისოფელი
 ცრუა და ქოსაა,
 ოსანა, უფალო იესო,
 ოსანა...

თუშცაღა ეხედაე შხერას აღმაცერს,
 სიძირით ვიხაელებ — „მამულს
 დიფება“
 კვლაე სასოებით დაეანთებ ხანთიელს,
 ჯიშმა და ჯილაგს ვახვეწებ ხატებს
 და ვისაც წვეთი სისხლისა მართებს,
 დაეკეადნები — „მამულს დიფება“
 და გული სისხლად დადინდეს ოდეს,
 ოდეს მტრის ხელით შხე
 გაღურჯდება,
 შხერას მოეაელებ შშიბელ ხანახებს
 და ლოცეასაეით ვიტყევი „დიფება!“...

ნ რ დ ი ლ მ ა

ლაძაში დღე არის,
 დარი დარობს...
 დაედივარ,
 ჩრდილს ევლააპრავები...

მოვეფევი ამ შიხა — იმ ბარისა,
 ვარაფიანი არაეები...
 მისძენს და
 არეი რას შეეხნება,

გულს ვიოხებ და
 ვნას ვლესავ:
 „როგორ სულ ფეხებქვეშ
 შეხლართები,
 შე უპირფროვ და ქლესავ“
 ერთბაშად ფიქრმა გამაქეავა,
 ამ მიუი-მოუიში ვლდად
 ძმა და მოყვასი გამახსენდა,
 შეფარებული მტრის შუეს.
 შუეს შეფარებულს თავის ჩრდილი,

იმ ჩრდილს სხვათა სრულიად დასვენებ...
 დედას რომ უძახის კვლავ...
 წყალობას უმადლის
 შერალ დევს...
 ერთად შეყარო და
 ლაშქარია!
 შე რას ეძახხარობ
 და ეხარობ...
 ეა და ეა გაჩენის დღეო,
 როგორ, სულ ჯვერისა ხარო!

ლოცვა

დარი არ დარობს და
 ხმა არ ზეობს
 გული დაწურული კვიის,
 სამშობლოს სახატე გამარცვლი,
 ცხედრების სიჩუქე ცივი...
 ლანდები რიალებენ ხითოთრუში,
 სამართაღს ეტებენ და სწუხან,
 სული დაიმარხა მძიმე ხრუშით,
 იხარა სამარის სურომ...
 საღეთო დაიკარგა საეალი და
 სანთლების ჩანაულდა წვება,
 უფალო, წყალობას გვეუდრები,
 უფალო, ვანღია და ბნელა...
 ნება შენია და ბატონი ხარ,
 შენით არს სანათლო ესე.

აჰა, ქართული ყანა-ველი,
 გუთნისდედა ხარ და თესე,
 თესე ერთობა და სიყვარული,
 სიბრძნე, სიწმინდე და შუება,
 თესე სიკეთე და სინანულის
 მწველი სიტკობა თესე...
 ისევ ვიგალობებთ შენს დიდებას,
 ისევ დაგიოქვებთ ცრემლით,
 გრუშა და იყალით ავაშქებით,
 იმედით გაეხედავთ შერძისს...
 ნება შენია და უფალი ხარ,
 შენით არს სანათლო ესე,
 აჰა, ქართული ყანა-ველი,
 გუთნისდედა ხარ და თესე



● მინც რას ურჩი ამ შუაღამეს,
რა მოგიტანა? ხომ არაფერი,
გამოდი გარეთ, ნუ დაახანებ
და დაადექი ჩუმად ქვაფეხილს.

მინც რას ურჩი ამ უაზრობას,
ველზე ათასი დანის დამზუნველს,
ხომ არც გათობობდა და არც გაზრობდა,
პოდა, ყასიდად ნუ შეაჩვენებ.

მინც რას ურჩი ამ კონათურებს,
გემუდარები, ჩამოეხსენი,
ამ ბნელში ხელებს რას აფათურებ,
შენ ალბათ გინდა შეთხზა ლექსები.

და რაზე შეთხზავ, თუ არა ისევ,
სინანულელებზე და შესავეებზე,
როცა მოვიხსრებს დილასისხამი
დასდე კალამი, რაღას დაეძებ.

დილა გატყდება რძის ბოთლიანად
და საყვედური ქუროთი მგვზვევის,
შეეხიზნება ქუჩას მთლიანად
და აი, მამინ შეთხზე ლექსები.

და ეხ, ნეტავი შეგაბლებინა
ლექსების წერა ლავგარდანებზე,
თითქოს ცხოვრება იცი უხეიზად,
ილაპარაკე, რაღას დაეძებ.

მინც რას ურჩი ამ ლავგარდანებს,
ლავგარდანებსაც ჩამოეხსენი,
და სასმელივით სანამ არ დაღვე
ცხოვრებას, მანამ არ თქვა ლექსები.

რას ემართლები ამ შუაღამეს,
რა მოგიტანა? ხომ ყველაფერი,
გამოდი გარეთ, ნუ დაახანებ
და დაადექი ჩუმად ქვაფეხილს.

და დაადექი ჩუმად ქვაფეხილს,
რომელიც ახლაც გეუცხოება,
შენი ცხოვრება აქ ისევბოდა,
აქ დამთავრდება შენი ცხოვრება.

ვიდაცა შეკრებს მერე ნამსხვრევებს
და დააწებებს ალბათ ქალაღზე,
მინც რას ურჩი... კვლავ გადაწერე
შენში სინათლე რასაც აღავზნებს.

ქედზე ანთია მართი ნათურა

შენ ხომ არ იცი, შენ ხომ ვერ მტყვი, რატომ ანთია ქედზე ნათურა
და უკვე ქელიც აღარ ჩანს ბნელში, რომელიც შენს წინ წამომართულა.
მიუღი ცხოვრება ასე ვიდექი და გაეცქეროდი ვიწრო ფანჯრიდან —
ამ ნათურის სხივს რა აწვალებდა, რა აღონებდა, ანდა რა რჯიდა.
დამაგვიანდა და უფრო ადრე უნდა გამჭდო მე ეს სიტყვები,
რატომ არაფერს არ შეუბნებია, რატომ არაფერს არ მეკითხებია.
ვიდრე მეგონა, იმაზე მეტად, იმაზე უფრო დამაგვიანდა,
ველარ უესწორებ თვალს ქუჩის კუთხეს, ჩავლილ ტრამპეის, გამტყდარ ლიანდაგს,
რადგან სინათლეს ასხივებს ცივად ყველა მათგანი ძველი ჯვარივით,
ნოთუ არასდროს არ დაბრუნდება მგზავრი ამ გზებზე უხმოდ ჩავლილი,
შენ ხომ არ იცი, შენ ხომ ვერ მტყვი, რატომ ციმციმებს ქედზე ნათურა,
ზოგჯერ გულლიად და უღარდელად, ზოგჯერ კი უნდოდ და უმადურად.
ვინ მტყვეის ნეტავ — რა არ უთხარი, რა არ უაწუქე, რა დაეაყვლი,
რატომ არ ბრწვინავს ჩემს თვალის გარსზე მისი მიმქრალი თეთრი კანკელი.
როცა მოვევები ღამის ფერფანს ან ბნელში შწოლი ჩუმად ვგზნები,
ეხედავ რომ კედლებს ევახებთან დაუწერელი გრძელი ლექსები,
და მთურალებივით დაპარბაცებენ გადანთხეულნი სკამს და სარეცელს,
თითქოს ცხოვრება, როგორც სასმისი, სახეში უცბად შემომადლექს.



დამავიანდა, მაგრამ მოუედი, ეს ჩემი ხმა და ჩემი სახეა,
 ეს მე ვარ, მივივრის, მოუედი მაგრამ, აქამდე მოხელამ გამანახებდა,
 და საითაც კი არ გავიხედე, სივარდისადაც იდეა სივითილე.
 ეს შემოდგომაც, როგორც სანთლები, თითქოს აღსავლის კართან ვიყიდე.
 შენ ხომ არ იცი, შენ ხომ არ იტყვი, რატომ ცდილობს ქედზე ნათურა
 და რატომ იყრებს მთელი ცხოვრება ამ სხივებს ჩემი თვალის ბაღურა,
 რატომ დავდივარ გულდანდობილი და ამ სიარულს აღარ ვამთავრებ,
 და გამუდმებით მხვერავს გვერდიდან დაქვეებული ნახევარმთავრე.

მე ვიღებ ჭიქას და ვისხამ არაფს,
 და არეის შუქზე მდგარი დაღატი
 უბრავე პერში ლივლივებს წყნარად
 და ღლივლივებს ასე ზეალამდე.
 ამ ნირიანაში მე ვხედავ სხივებს
 და სხივებისგან არ მაქვს ნუგეში,
 რაღაცა სველი, შწარე და მღერე
 ამწებება თვალის გუგებში.
 არეის ჭივლები აგრძელებს ლივლივს
 და კიბებზე გადმოღვრილ ნათელს
 თავზე უახროდ ველებს ჩრდილი,
 და ზედ დაღატი მტკვერით ადევს.
 მე ვიღებ ჭიქას და ვისხამ არაფს

და უცხად სადღაც მიქრება შიში, —
 შენ ასეთი ზარ დღესაც და ზეალაც
 და შენ ასეთი გუმბნწინ იმეი.
 იწებ შევერწყეთ ერთობის ცოდვებს
 ნაძალადევედ და თუნდაც ზიზღით,
 რომ ვერ ვხედავდეთ და
 ვუღარ ვგრძნობდეთ
 დაღატი როგორ გვრობა მზის სხივს.
 მე ვიღებ ჭიქას და ვისხამ არაფს
 და ვგრძნობ, შენ ვითრევეს
 სიგიფე ზორცის,
 რომელიც წუხილს და ცრემლებს ფარავს
 და ვიღაც... მშრალი ტუჩებით გკოცნის.

მეზობრის ხსოვნას

შენ ახლა იწებ უკეთ გაივო
 ამქვეყნიური ცხოვრების ყადრი,
 ამ უბნელესი ღამის ტარივო,
 კეპაროსებში ჩაფლული ბადრი.

იწებ იხუმრო და ამ ხუმრობით
 უცხად შემოვიდეს შრიალით ნიშა
 სიბნელის ღრუში, და ახმაურდნენ
 კეპაროსები წუხილის ნიშნად.

შეხედ, ვიღაც მოჩანს გზისპირას,
 ყურისმგდებელი გარეთ და შინაც.
 გაჩერდა, თითქოს შენ მოვისმინა —
 მაგ სიბნელეში რა მშვიდად ფშვინავ.

ვინ არის ნეტა? ადამიანი?
 შენი სახელი არც იცის ალბათ,
 გაჩერდა — უცხად არ გაიარა,
 თითქოს შეესწრო უცნაურ ამბავს.

ვინ არის? იწებ ძაღლია, ძაღლი,
 რომელიც ჩემად ეღება შარას.

და ასე მწარედ ნათრევს და დაღლილს
 თაღბის ნაფლეთი აწევსა შევად.

სხვა ვინ იწება, მინდ რომ აფონებს,
 მაგ სოფელ დიდძის გზაზე რომ დადგა,
 რადგან შენი ხმა ამოაყოლეს
 კეპაროსებმა შრიალით ნათქვამს.

შენ ახლა იწებ უკეთ გაივო
 ამქვეყნიური ცხოვრების მადლი,
 და ქართან ერთად ნამოარავო
 შენი სიტყვები ხეებში, ბადრი.

იწებ წამოდგე, უბნოდ იარო
 და ფეხთორვეით დაადგე შარას,
 მაგ ადვილების თანაზიარო,
 სადაც ფანჯრებში ღანღები ჩანან.

ანდა შეხედო დარდიან თვალთ
 ენოში როგორ იღვრება შუქი,
 და შინ ვიღაცა წრიალებს მიფრადლი,
 შენი არყოფნა არავის უკვირს.



მხივსაყენ დაუბა იწებ,
ბუნინგასამარი სადგურის უკან,
ცხოველის ლუმი აგდაა პირვე —
ნაგებებისთვის ქვეული ლუმად.

მხივს კი სძინავს, სძინავს და სძინავს,
კუჭი ძალქუშის ბეჭედი აზის,
და ელნათურა ისე ეთ წინათ
ზრინავს და ბუნწად ანათებს გამზირს.

საწოლის უკან გადაგდებულო,
ჩემი ლექსების ძველო რვეულო,
შენ ხომ ყველაზე უკეთ გებულობ
რას ამბობს ღამით საშხარეულო.

ვიდრე გაჭრება, უნდა შემცირდეს
დარდის სხივითი მოუთოყავი,
ისევე შენ ისმენ ასე წვეთიწვეთ
რას კირვეულობს ღამით ორქანი.

რა ამოვიღო ჩემი ყოფინიდან,
რა ამოვწერო მწუთზე იღბლიდან,
არ ვიცი, რაღაც ისმის სოფლიდან,
ამ ხმაგაქმნდილ სოფელ დიღმიდან.

საწოლის უკან გადაგდებულო,
ჩემი ლექსების მერთალო რვეულო,
შენ ხომ ყველაზე უკეთ გებულობ
სად არის ღამე გამოორღეულო.

იწებ იქ ცდება ჩემი იღბალი,
გადაგდებული ხარის ტყავითი,
იმის ნაგებზე ძალე იხარებს
საზარლად მქისე სუნის ყვავილი.

არ ვიცი, ჩემი ძველო რვეულო
და დამტყვრილო მერთალო ფურცლებო,
უკვე მე თითონ ვეღარ ვგებულობ,
რატომ ცახცახებს სხივი უწყოდ.

მეც ბნელში ვწევარ და შრიალს ვისმენ,
აუად ვარ, ხელი დამძრიაუნებენ
თელი და ყური მანდებ მსტყვიჩტყვიჩა
და ქვეული ვარ მოლიანად სმენად.

და ვფიქრობ, იწებ უკეთ გაიგო
ამქვეყნიური ცხოვრების ყადრი,
ამ უბნელესი ღამის ტარიგო,
კუპაროსებში ჩაფლული ბადრი.

რა სასჯელი აქვთ მაგ კუპაროსებს,
ასე მყაფიოდ ბნელში ამეჭილთ
და რატომ ისმის სამარდისოდ
წევა. — წველაა ეს თუ სამეველი?

ჩემი ლექსების ძველო რვეულო,
ირგვლივ მტყვრი რომ შემოაყრამე,
მანდე, სოფელში, სახლის ვრდოზე
მინაგლებული შექი ლიფლიფებს.

ღამევის ნათელი თავს დაცხაცხებთ
ბნელში დაყრილებს, როგორც ტყრებებს,
იწება სძინავთ უკვე გამძღარებს,
რომ იქორწილეს ან იქელებს.

ვასაბმა ბაწრით მიბმულ უშობელს
ამ დილით ფული გამოაღადრა,
მაყუთის აწყობდნენ, მერე მრუშობდნენ,
მერე კი თავი მისცეს საღათას...

მობუზრება ასე კართება
დიღმის კვლობზე ჩამჯდარ მიკიორტს,
აღბათ, იმასაც ვიღაც სჭირდება,
რომ სიბნელეში გზა გაიკვილოს.

თავს ვეღარ ვართმევ მამე ძიღ-ბურანს,
ჩემი ლექსების ძველო რვეულო,
და ვატყობ უკვე კვლავ შემობრუნა,
წვედაღს რომ ვემო ან შევეუღლო.

ეს ბნელი ღამე ჩემი სახლია, თეთრი სხივებით არის ნაგები,
ჩემი სახლია უშველებელი, რომელშიც ჩუმად დავყარგები,
ჩემი მკლავები, როგორც საძრობი, შუაღამისას იწოვს სიციფს,
რაღვანაც ღამე ჩემი ხვედრია, ასე უეცრად ვერ მოვიცილებ.
ჩემი ხვედრია გზაუგარედინი, რომელსაც შუქი აპობს ირიაბად,
უეცრად მოწყდა და ყრუ პერში მოულოდნელად გაამილიფა.

ჩემი ხვედრია, ჩემი წერაა, დამე ვიარო ამ კლავამი,
 წყვილი ირგვლივ ჩემად ანთია, ატეხილია ჩემი ვანგამი,
 შუალამისას სახლში ვბრუნდები და უკან მრჩება ბნელი ბაგები
 და შუქსამქრალი სახლები ჩანან, როგორც უფორმო საჩუყიფაგები.
 ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე ვიდაცამ კარზე დამყაყუნა,
 ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე ბნელში კაყენი ბედმა მარგუნა,
 სულ ახლოს ვაკის სასაფლაოა, წყნარი სინათლის მიღმა პლატოა,
 თითქოს იღბალმა დამის პირისპირ მოულოდნელად განმისმარტოვა,
 და ახლა ედგაეპარ გზაჯვარედინზე, განათებული ვით შუქნიმანი,
 არც მონანიე და არც მონაღელუ არც მომლოდინე, არც მომამარი —
 გამოდი, შენი სახლის უღრმზე, გამოიტანე შენი ფარანი,
 რადგან მე თუნდაც მეგ სიმორიდან
 არ გამინათებს გზას სხეა არაკინ.
 რადგან წყვილიდმი გადაეწელები
 ჩამქრალ ფანჯრებს და დამწვარ ჯიხურებს,
 რადგან ვიდაცას უნდა ცხოვრება დარაბასავით სწრაფად მიხუროს.
 რადგან ებრუნდები სახლში დაღლილი და უკან მრჩება ბნელი ბაგები,
 იქვე კი ვაკის სასაფლაოა და ჩემი ძველი ამხანაგები...

შეშორება დიღვის მანძილს ხიფანში

ამ ხეივანში აუადამყოფური
 სიყვითლე არის ფოთილია ცეცხის
 და ამ ვითელი შუქით მობურეულ
 სარეცელსა ჰგავს ცხოვრება ჩვენი.
 და ვიდრე ისევ გადაგვქვობი
 მე მინდა ვიწვე ამ სიყვითლემი,
 ამ სინათლემი, ამ სივადემი
 მოუთმენ იმას, რასაც ვეჭვობდი.
 მოუთმენ, რადგან ჩვენი ცოდვები
 ჩვენს ტანში ზარობს, როგორც ბაღახი,
 თითქოს ესხმება სხეულს ტოტები,
 ბუნების წყნარი წვით და კარნახით.
 როცა უმწუო ყლორტს გაიბავრებს,
 მხოლოდ მერედა გვეუბნობება

და ვითელ ფოთლებს პატოს მთავებით,
 რომ გამოვიბოვიოთ მიწელი ცხოვრება.
 ამიტომ ვსყველი გზაჯვარედინებს,
 ეს შემოდგომაც სავსეა წყველით,
 ალკებს მტერის სვეტი გადაეფინა,
 როგორც ენებისგან გამტყდარი ყელი.
 და მოდი, ასე ერთად შევერწყათ
 ამ შემოდგომის სინდისის ქნჯნას,
 სანამ სინთილეს ტანჯვა შევერტბლავს
 და სანამ ფეჭქვეუ გაიფენს ჭქაღ.
 და ვიდრე ისევ გადაგვქვობი,
 მე მინდა ვიწვე ამ სიყვითლემი,
 ამ სინათლემი, ამ სივადემი,
 მოუთმენ იმას, რასაც ვეჭვობდი.

მელოდებიან, ვიცი, ისინი

დაღამებულზე სოფელ დიღომთან
 მულოდებიან, ვიცი, ისინი,
 ვინ იციან, ცდამი თუ დამიღონდნენ,
 თაზე გადასდის მინდორს ციციმი.

ზოგჯერ მთელ სოფელს, როგორც პარკატა
 თაღბი ეცემა ხოლმე სიგრძივი, —
 და მიყოტი ძირკვავს ბირკვავს...
 მულოდებიან, ვიცი, ისინი.

უკვე ჭიჭრები მავრად დარაზეს
 შემოსილებმა ჩათლის სიწირითი,
 ისინი ღვანან ბინდში შარაზე,
 მულოდებიან, ვიცი, ისინი.

მათ ხომ იციან, მიწელი სოფელი
 გაცვეთილია, როგორც მათრახი
 და აქვე ცხოვრობს ავისმგრძობელიც,
 ავისმქნელიც და ვიდაც ჩათლახიც.



მელოდებიან, ვიცე, ისინი,
და არ იქნება, რომ არ წავიდე,
გზას გამსწავლებს წყნარი ციმციმი,
რომელსაც თვითონ მიმსწავლიდნენ.

აეღო მთის თხემზე, ქალაქს გადაღმა
კვიპაროსებში ქარი სისინებს,
და დაუწყვები სოფლის თავედაღმართს,
შარაზე დგანან, ვიცე, ისინი.

კაბანია აღარ მსმენია
მათი ხმა, აღარც სახე მინახავს,
მედივარ, ვატყობ მიწა სველია...
აღბათ, სადმე თუ ისხდნენ ინახად.

იწებ იდავეს ან წაიხველადნენ,
მერე შეყოვნდნენ და ვერ დაბრუნდნენ,
მეიოტი რომ თხრიდა ბირკავეებს
და აოხრებდა ვერთხა საბუდრებს.

ასე იცდიან ბინდში შარაზე,
ზოგჯერ უხმოდ და ზოგჯერ ხიცილით,

ჭიმურები უკვე მჭიდროდ ჩარაზეს,
მელოდებიან გზაზე ისინი
ნიკოლოზისა

მსაკაცები და მძები მძისანი,
ჩემი ყოფილი შენახენი,
მელოდებიან, ვიცე, ისინი
და ბინდიან ვრთად დნება ნაღველი.

მედივარ და თან იღბალს ვავინებ,
ცხოვრება იყო ჩემი არჩივი,
ვაითუ, გზაზე მათა მავიერ
დამხედეს მათივე თაღი აჩრდილი.

ვიდრე სოფლის ღრუს ბინდი ავსებს,
ღრუბლებში ქრება ნათლის სვეტები
და გამოწნდება ცის დასავალზე
უკვე ნაცნობი ხილუვები.

თითქოს საღამოს მზარი აუბეს, —
თევზით და პურით, ზღვაში არევათ...
ცოტა ხნით წავალ, გავისაუბრებო,
ცოტა ხნით წავალ, წავალ, გავევები.

პუზა სოფელ დიდშიდას

აბა, რას მტყვევი ნეტავ ამ დამეს
ანდა საიდან მომეახლები,
აქვე კედელზე აკრული საწვლად
და დანახული ღამის ძაღლებით.

საიდან გაჩნდი ჩემს სარეკელთან,
მანც რომელი მზრიდან მოხვედი,
როგორ მომტებენ ზელის ცეცებით
სიბნელის მოხრული და გამოძრღვევი.

მე მგონი ისევ ძაღლების ყეფას
ანდა ფარების შუქს ამოყვევი,
შენი ვეჯანი სიბნელეს ება,
ფეხებზე გეყვინა ბნელი ნიხები.

რის მაქნისი ხარ? თუ ხელ ვგ არის,
და მხოლოდ ყოფნით შემეყველები?
გაფხულ ჯვარზე რომ გაეკარი
და უკუნითის წიაღს შეები.

მადლობელი ვარ თანატრნობისთვის,
სხვა არ მოხულა ასე არავინ,
მოვტებნი ფურცელს, ცოტას მოვიციდი,
უკვე ხელითა მაქვს საწერ-კალამი.

ცოტას მოვიციდი, მსურს შეგაძწიო,
ანდა შეგეგრძო, ვით სინოტივე,
მე მინდა თეალი შენ მოგაბჯინო
და მე თვითონვე შენთან მოვიდე.

შენ სულ სველი ხარ და შემცივრული,
და ზედ აქვრიზარ კედელს ვითთავად, —
თანდათან ღღვები, როგორც ვინული
და მეც თანდათან უფრო შენთან ვარ.

აბა, რას მტყვევი ვითომ ამღამეს,
სიხარული გაქვს თუ გაქვს ნაღველი,
რით დამაღონებ ან გამახარებ
დაფეხებულ ზორბა ძაღლებით.

დაუგდე ვერი, ერთი მათგანი
ამ სიწყნარში როგორ წაკეწაკეებს,
მოღიავებულ ბნელში დამდგარი
აღბათ თვისტომს თუ ექვს საწვალაი.

შემწებს თუ ექვს, — კაცს, ადამიანს,
რომ შექნიეთოს ან შეეხიზნოს,
და რადგან ბნელზე ბნელი დამეა,
ის აურადებს მხოლოდ ფეხისხმას.

შენც ხომ ამგვარად აეურადებდი,
რომ გადმოლაზე ღამით გორები
და აღაღებდად გაქრთალ ნათელზე
ადამიანთა ცრემლს აგროვებდი.

ჰოდა, იმღერე ამ ვველაფერზე —
გამომწვარი გაქვს, ვაცო, გულღვიძლი. —
ეინც შენ დაგვებებს, ან შენ დაეძებ,
და მე მოვისმენ, როგორც უეცო.

შეთხზე ხიმღერა აუხორც ხიზანის,
მღერს რომ მაბეჯენ თავის სარცხუნუს.

და მღედრი გმინავს დილაისხამზე, —
ვარსკვლავები ხომ მარტყობაწვებებს.

იმღერე ლოთზე, ყელჩახრინწული
ბოლიას რომ ხცემს და იხუც კვხემას,
აჟი ცხოვრება ეცა მისწურად...
იმღერე, შეთხზე ღამის ლექსებად.

იმღერე შენი გრძელი ხიმღერა,
მუხავ, მოსულო სოფელ დიდმიდან. —
წვედიაღმა უკვე შენც მოვიხელა
და ილლიიდან გამოვიღლიტა.



მასიის მახვილი

ვარაიაცია ისტორიულ თემაზე

სულაც არ შექვეყნის სინდისი, რომ თემა, რომელსაც ვეხები, თავისი მასშტაბით აღემატება ჩემს შესაძლებლობებს. თავს იმით ვიმართლებ, რომ ვანზრახვა არა მაქვს, აღწერო ოდესღაც მომხდარი. შეტაცა ვიტყვოდი: ფანტაზია იღვიძებს მაშინ, როცა შეიგრძნობ და სინანულით აღიარებ ვარდასულ დროთა მიწნველობას, მისი აღწერის შეუძლებლობას, როცა აღმოაჩენ საკუთარ თავს უფსკრულის პირას, მარადისობად ქცეული წარსულის ვერშენედიხის სვედით მოკლულ ნაპირზე.

აქედან ჩანდება ეჭვი, რომ თხრობა ისტორიულ თემაზე არის თამაში მიუწვდომელთან, თამაში შეუძლებლობის ზღვარზე, მაგრამ სასწაულია, რომ სწორედ ამ შეუძლებლობის აღიარების შემდეგ იხსნება ამბულუსის ის ადრეული გზა, მიზნად ნაუნდომიდან ზიარებას რომ ისახავს.

ასე რომ, არავითარი პრეტენზია არა მაქვს აღვადგინო უხსოვარი წარსული და გამოვჩაგონო ჩამოვამორო ათასი წლის წინანდელ ყორღანს; თუკი მოხდება ეს აღდგენა, მოხდება თავისთავად, საიტყვის იმ საიდუმლო მოძრაობის ძალით, რომელსაც ვგრძნობათა აღსარებიდან ტემპარიტებასთან ზიარებამდე მივყავართ.

არსებულ შეხედულებათა შორის საცხებით მისაღება ის თვალსაზრისიც, რომ დიდგორის ბრძოლა უპირველესად რელიგიური ხასიათის ომს წარმოადგენდა. მაშინ ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბრძოლის ბედიწყებობა დროისა და სივრცის გარეთ, მეშვიდე ცაზე, მარადიულ არსთა სამყაროში. თვალსაჩინო სქოლასტი, ანსელმ კენტერბერიელი ასე ახასიათებს ამ სამყაროს: „ატიმოსფერული გარსის მსოფლიო ეთერთან შეხების ზღვარზე უნდა ვიგულისხმობო ბრძოლით გამჭვრეტელ და ვრუნტივით მყარი წრე, რომელიც გარს ერტყმის მიწას, ბრუნვით წარიტაცებს მას და თავის ნებაზე წარმართავს ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას.“

ზეციურ არსთა ამ საბედისწერო წრებრუნვის თემამ მთელი სისრულით სწორედ დიდგორის ომში გაიღერა. შემოქმედის მი-

მართ მაშინ იღბლიანად შენობრუნვულმა ზეცამ ქრისტეს რწმენით შემდეგარი ჯარი გამარჯვებისთვის განაწყო.

ამ განწყობილებიდან გამომდინარე, დავით აღმაშენებელი ვერ გადაწყვეტდა ბრძოლის ვერც ერთ სტრატეგიულ-ტაქტიკურ ამოცანას, თუ, როგორც მორწმუნე, ზოგადად არ გაამართლებდა ომის იდეას; გაამართლებდა ისე, რომ არ გადავიდოდა ღვთის სიტყვას სიკეთით ბოროტების, მიტევებით შურისძიების გრძობის დათრგუნვის შესახებ. ეს წინააღმდეგობებით სავსე პრობლემა იყო და დავითმა ბრწყინვალედ გაართვა მას თავი; ბრძოლას მან შესვდა არა როგორც სისხლისღერას, არამედ როგორც ხელოვნებას, როგორც შემოქმედებას; არა სხვისი მოსმობის, არამედ თავგანწირვის, შიშის დაძლევის, საკუთარ თავზე გამარჯვების მიზნით. იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ მტრის სიძულელით არ ძვერდა მისი გული, არამედ იმას, რომ დავითი დიდი ხელოვანის ოსტატობით წარმართავდა თავის სიბრახეს, სადა აღვირს უტყრდა, სადა ბოლომდე ადრქვევდა მას.

დავითის თანამედროვე, ბავარიის პერცოვიანტონოპუსერლი აღტაცებით შენიშნავს, რომ დიდგორის გამარჯვების ავტორმა ქმედითი აზროვნების ისტორიაში პირველად მოახერხა სიძულელის განცდის სისხლით სავსე რეალობისგან მოწყვეტა; მისი თამაშის ელემენტად ქცევა, უფრო მაღალი რეალობის წედომისა და დაუფლების მიზნით. და თუმცა ბავარიის სამეფო კარი არც მანამდე და არც მერე ვნებათაღელვის ფონგლორობას მოკლებული არ გახლდათ, დიდგორის ათასფერი გამოძახილის სპექტრში სულ სხვა ყაიფის თამაში აღმოჩნდა; თამაში ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე, სიცოცხლის რისკით, ზორციელ და სულიერ ძალთა სრული დამახვითა და თავგანწირვით. თუ ბავარიის წარჩინებულ პირი შეტყვისესე გაახვედრინტრიგების ქსელში, რომ ყოველთვის იტოვებდა უკან დახევისა და სამშვიდობოზე გასვლის გზას, დავითი მთელი თავისი ძალებით, ყოველგვარი რეზერვებისა და უკანდახევის პერსპექტივის გარეშე შედიოდა მტერთან ბრძოლაში.

ექვსი საუკუნის შემდეგ იგივე ტაქტიკა გაიმეორა ნაპოლეონამ იტალიის კამპანი-

ის დროს, მდინარე არკოლეს ფორსირებისას, სამი მხრიდან შემორტყმულმა ბონაპარტემ მოახერხა ძალთა სრული შემოკრება, შექმნა რა თავისი შეტევით სამხედრო ხელოვნების კლასიკურ ნიმუშად აღიარებული შედეგის.

არაერთი ანალიტიკოსის, თვით ოსვალდ პიზის აზრით, დავითისა და ნაპოლეონის ეს ელვისებური შეტევა, როცა უზარმაზარ სივრცეზე განფენილი ძალა ერთ მუშტად შეიკვრება და მთლიანად ჩააქსოვს საკუთარ თავს ერთადერთ, სამკედრო ან სასიცოცხლო დარტყმაში, სულს უეცარ, თავგანწირულ გარღვევას ნიშნავს თავისუფლების სამყაროში. გავა კიდევ ორი საუკუნე და დიდგორის შედეგრი ეგზისტენციალიზმს დაუდებს სათავეს და იმასაც გვაფიქრებინებს, რომ სორენ კიერკეგორის ცნობილი დღეუბა ან... ან... სწორედ იმ შორეული შეძახილიდან ამოდის:

ან გამარჯვება, ან სიკვდილი!

ნარმოვიდგინით დიდგორის ველი, თითქოს გაშლილი, სტიქიურ ძალთა თარეშის ასპარეზი, სადაც მენყერმორღვეული სიბრახის გაუცნობიერებელი ნაკადი ანგრევს აზრის ნებისმიერ ბასტიონს... ნარმოვიდგინით თვალუნდენელი შემოსევა ორბეთ-მანგლისის მხრიდან, რომელსაც ველარ ანონას-ნორებს ხეკორძულას ხეობიდან ამოტყორცნული ქართული ჯარი; მაგრამ ეს ნარმოდგენა ისე ბუნდოვანია... აღქმადარღვეული თვალის თამაშით მიიღ-მიოღს და ფერად გაიღვება იმსხერევა მთაგორიანი სიბორე; მოშლილია გონების კერა, ბრძოლის ველი ვერა და ვერ იძენს კონკრეტულ რელიევს, რადვან ვერსიათა შორის არსებობს დიდგორის პრემიერის ორი განსხვავებული სცენა, ასევე მინას მონყეტილი, ფეიერვერკული სამექტაკლების სახით რომ ირეკლება მთაშომავალთა ხილვებში. მართლაც, ხომ შეიძლება ეს სახანაბო დღემის დიდგორზე გამართულიყო? ბატალური სცენებისთვის უფრო შესაფერისი სივრცეში?

მაინც სად მოხდა ბრძოლა? რაციონალიზმის არაკლასიკური სკოლა (ფან შორო, რობერტ ბერტიე, ალექსანდრე სტურუა) დაჟინებით ამტკიცებს, რომ გენიოსი, რომელიც სულს აზრით მიუნდომელ მოძრაობას გონების კუთვნილებად აცხადებს და სასანაულს დამაბული ფიქრის შედეგად ახდენს, არჩევანს სწორედ ორბეთის ზეგანზე შეაჩერებდა – მხოლოდ გონების გაფაქიზებული თვალი თუ შეამჩნევდა, რომ ზე-

და დიდგორი იყო არა ნამდვილად ლიაკარამედ მოწვევებითად გაშუქურქსტურქსტაც დავითს ურიცხვი მტრის მძლავრებად სჭირდებოდა.

მართალია, თავისთავად დიდგორი არ ზღუდავდა აღმოსავლეთის უზამაზარ ძალთა მანევრებს, მაგრამ დავითის ჯარის სწორი ტაქტიკური აზროვნებისა და შემხვედრი მოძრაობის შედეგად ითამაშებდა მტრისთვის დაგებული ხაფანგის როლს.

მართლაც, დავაჯიარდეთ დიდგორის რუკას: გორაკების ჯაჭვს მანგლისის განედზე, კლდეკარის გასწვრივ კვეთს ნაბალღორების ქედი. მის პარალელურად ტაბარულის ქარაფებთან აღმართული სათოვლიას მთა. ეს ორი, ბუნებრივი კედელი შეუქმნევლად ზღუდავდა მუა დიდგორებს და თავის შემპარავ სიფინოვეში მტრის რიცხობრივ უპირატესობას სპობდა. თუ მუსულმანთა კოალიცია ფრთებს კედლებს მიღმა ეამლიდა და შეუედებოდა ორივე ქედის გარსშემოვლას, დავითი მოასწრებდა ფლანგებს მონყეტილი ცენტრის გარღვევას, კლდეკართან გასვლას და გამაგრებას, რაც ისევე აქეთ შემოაზრუნებდა მუა ზეგანყეტილ ლაშქარს და მაშინ მანტიანის ტყეში გაფანტული დემეტრე უფლისწული ზურგიდან დაეცემოდა მათ.

აი, ასეთი სცენარით ნარსდგვა დავითი დიდგორის ნისლით მოცულ სცენაზე.

მზე ამოვიდა. ცა მოინმინდა. ბურუსი მაინც ფარავდა გორაკებსა და მთებს. აზრთა სხვადასხვაობის, გაურკვეველობის ბურუსი ფერსა და კონტურს უპარგავდა ისედაც განაზებულ, ხსოვნის შექარდილებად დაქსაქსულ მინდორს. ათასეურ ვერსიებში, ცხარედის კუსიებში, ვერა და ვერ იკვეთებოდა საომარ მოქმედებათა არე. თუ დავითს ორბეთის პლატო აწყობდა, კოალიციის სარდალი, ილაზ ღურბეიზ სადაყის ძე დიღმის დიდგორს თანაურგნობდა, სადაც უფრო არსად გაშლიდა ფრთებს. მაგრამ თუკარალებობს სიმართლად დავითსთავად და ყოველი ქმშარიტება შეფარულ ზრახვათა და ინტერესთა ნაყოფს შეადგენს, ჩვენც შეგვიძლია არჩევანი მოვახდინოთ და დავითს დავუჭიროთ მხარი, ანუ ხელთ არსებული სიტყვიერი საშუალებებით გავანათოთ და გავფანტოთ სწორედ ზედა დიდგორზე ჩამოსული დიღმის.

მზე ამოვიდა. თვალისმომჭრელიად აელვარდა ხმლებით, მუზარადებით და ჯავშანპერანგებით დაფარული ორბეთის პლატო. ცხენაკაცების ქროლვით მოქარგული ცეცხლოვანი ხალიჩა ტალღა-ტალღა ნაეფინა



სიზმარ-ცხადის სიერცეს, სად იყო ცა, სად იყო მიწა? სანახაობის მოლოდინში ყოველივე გაიტრუნა, ერთმანეთს შეერწყა. ზევით კი, ბროლივით შეკრივ და გამჭვირვალე ზეცაში ბრძოლის სცენარო უკვე დამტკიცებული იყო.

დავითმა იცოდა ეს, იცოდა არა გონებით, არამედ გულით. გამარჯვების მოლოდინი სიხარულის ნათელი განცდით განაფრცობდა მთელს მის არსებას, მაგრამ გული იმასაც ეუბნებოდა, რომ ზეცის განაჩენი თავისით ვერ აღსრულდებოდა; საჭირო იყო შემსრულებელი, ღეთის ნებას საკუთარ შემოქმედებად რომ აქცევდა და მაღალ სფეროში დადგენილს ამ ქვეყნად თავიდან შექმნიდა.

ასე რომ, დავითმა იცოდა და არც იცოდა ბედის განჩინება. ზუსტი ცოდნა გაფანტავდა იმ აუცილებელ ბურუსს, რომელშიც რწმენის ძალით უნდა გადააბიჯო და სიცოცხლის რისკის ფასად იმარჯუო. ის, რაც გადაწყდა ზეცაში, ცოდნის და არცოდნის საზღვარზე სუფევდა; გულს იზიდავდა, დაუმრეტელი ენერგიით ავსებდა, მაგრამ ცხადად არ იკვეთებოდა, არანაირ განაჩენის არ ქმნიდა, სულს საკუთარი რწმენის და სიმამაცის იმედად სტოვებდა. მაღალ სფეროთა ღირსი ძალისხმევა სჭირდებოდა მეფეს, რომის შექმნა, რაც უკვე შექმნილი და დამტკიცებული იყო მისთვის.

შეამოვიდა. ერისიონის 4 ნიკაზე ბნელს შეთამაშებულმა სხივმა ვარსკვლავი ამოადგო და გარდასულ ლამეს ნერტილივით დაუსვა. მზის ცეცხლით აელვარდა საპირისპირო ძალთა თავმოყრისა და შეჯახების არე. აქ მოხდებოდა არჩევანი; ან ზვაივით აგორებული სიბრაზე ნალეკავდა ყველას და ყველაფერს, ან ნიჭის გამოხატება გადაარჩენდა ღეთისპობლის ნილხვედრ ქვეყანას.

შთავარია, ბრძოლა მომხდარიყო სათოვლიასა და ნაბალიერებს შუა, ფიქრით წინასწარ მონიშნულ და განათებულ სცენაზე, სადაც ყოველ მოძრაობას სიტყვა გამართლებდა და აზრი შეერავდა; სადაც მოქმედი გმირის სულისკვეთება სძლედა ყურით მოთრეულ პერსონაჟთა უსაბურ სიმრავლეს; მაგრამ კოალიციის ლამქარი თავისი ნებით არ შემოვიდოდა სცენაზე; ის შეცდებოდა მოქმედებას ხელოვნების ფარგლებს გარეთ, სისხლით საფე რეალობაში, სადაც ომი მკვლელობა იყო და არა თავგანწირვა.

ერთსულოვანი აზრეების ფიზიკური სიმრავლით დათრგუნვა; აზრის დატყვევება უსაზრისო გარემოცვაში — აი, მტრის სა-

ომარ მოქმედებათა მრწამსი. თუ ერთდროული პოზიცია შეირყეოდა, ილღამს მამა გუნდის ეცლებოდა ფეხქვეშ. პოზიცია სწრაფად ნაგება მისთვის არასასურველი თამაშის წესის მიღებას ნიშნავდა; ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩასულიყო ქვევით, დილმის მიწოდორზე, რომელსაც სცენა უკვე აღარ ეთქმოდა. და აქ დავითმა განჭერიტა მისი ნაბიჯი და გააკეთა ის, რაც თავისი ფილოსოფიური სიღრმით გასცდა საშხედრო ხელოვნების ფარგლებს: პრუსიის მეფის, ფრიდრიხ დიდის ალიარებით, დავითის ამ გენიალურმა მიგნებამ ფსიქოლოგიური კუთხით შემოაბრუნა და გახსნა პოზიციაური ბრძოლის იდეა. ნამცისე გაფანტა და განლაგა თავისი ძალა, რომ სცენაზე მოხვედრილი გადათითელი წრის შუაგულში აღმოჩნდა. ალფა არ იყო უწყვეტი; სადაც დავითს ხელს აძლეოდა, სწორედ იქ შეეძლო მტერს წრის გარღვევა და ქვევით, დილმში ჩასვლა; მაგრამ ეს სწრაფდაშვება გადახრიოკებულ ფერადობზე ნიკაროილეში ვარდნას თუ შეედრებოდა: ნისლივით მიწა, არყოფნის მდუმარება და არაფრის ხედეა — აი, რა ექნებოდა საგზლად ზვაივით მონყვეტილ ლამქარს. ამიტომ ილღაზი დავითის ჩათრევასაც შეეცდებოდა ამ თავბრუდამხვევ ვარდნატრიალში და მას შეჭიდებული, შექრედებოდა სადაც უშაში. ბევრეთის თავზე.

სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევარებმა ყოველმხრივ გააშუქეს და გაშუბლეს ეს შეფერება; მოსინჯეს ნიდაგი, გადააშორეს მას ათასწლოვანი ქერქი, გათხარეს ხმლების ძვალნარევი საძირკველი და გამოიტანეს დასკვნა, რომ პირველი შეტაკება სწორედ აქ, პანტიანის ტყის პირას უნდა მომხდარიყო. ხოცვა-ჭლეტის ამ ღრმად ჩამარხული ფენიდან შეგვიძლია აღვადგინოთ ბრძოლის ქუმშარიტი სურათი. თავის ქალები და ცხენთა ძელები გარს ერტყმიან ფარ-ხმლით მოფენილ სამარხს. გარემოცვა არ არის სრული და გათხრებს კლდეკართან მიყვავართ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქვევით ჯარის მოუხერხება კავალერიის გარღვევა და ციხესთან გამაგრება, მაგრამ უფრო შორს მყოფი ფენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ილღაზს სიმამრისათვის შორიდან შემოუვლია და ზურგიდან დაურტყამს, გაასწრეს თუ არა გამაგრებულებმა ციხიდან, ძნელი სათქმელია.

ამ ურთულესი მასალის დამუშავებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ფენომენოლოგიური სკოლის ფრიად საინტერესო

თვალსაზრისს, რომელიც დიდგორის ნივთმტკიცებათა მიზეზ-შედეგობრივი ახსნის ნაცვლად თავისუფალი დაშვებებისა და ვერსიების მეთოდს გვათავაზობს. ბრენტანოს მიხედვით, ბევრეთის ტრაგედია არ შეიძლება განვიხილოთ რელიგისტურ პლანში. უთანასწორო შეხვედრის ამ საბედისწერო ფაქტს ისტორიული ფარსის პირობით-სიმბოლური შეფერილობა უნდა მიეცეს. ბრენტანოს მონაფეები კიდევ უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ, რომ ეს იყო არა ნამდვილად მომხდარი, არამედ განზრახ გათამაშებული ტრაგედია.

მართლაც, ერთი ნაშთი მოვწყდეთ ისტორიულ რეალობას და ჩავიხედოთ შემოქმედის სულში. სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა მისთვის არის სიტყვის მოძრაობა არყოფნიდან არსებობისკენ. მხოლოდ ფაქტების შეჯახებით დავითი ვერ მიაღწევდა ცით მინიჭებულ ტრიუმფს... საჭირო იყო ამ ფაქტების მეტაფორებად ქცევა, მეტაფორების ერთმანეთთან დაკავშირება გამჭოლი მოქმედების საბოლოო შედეგში. ამიტომ დავითის ბევრეთთან განადგურებას პქონდა არა პირდაპირი, არამედ გადატანითი აზრი მახესავით დაგებულ მეტაფორათა ერთიან ქსელში.

ასეთი „გამარჯვებები“ ილღაზს ნინ კიდევ მრავლად ელოდა; მაგრამ ბრძოლიდან ბრძოლამდე დავითი სულ უფრო და უფრო ართულებდა მის ნინაშე მდგომ ამოცანას და ბრაზმორეულ მტერს ფიქრის ურთულეს ლაბირინთებში ითრევდა.

●
თანამედროვე ნიადაგმცოდნეთა საშემოდგომო სიმპოზიუმზე პარიზში (პარიზი 1997, ენენისთე 17-20) დედით ფრანგმა და მამით ემიგრანტმა პიპა ორაგელიძემ შესანიშნავად აჩვენა, რომ დიდგორის თავისთავად რთული რელიეფი კაცს ათას თავსატეხს უჩენს და მისდაუნებურად სააზროვნოდ განიწყობს. დაუმტკიცებელი ამას დავითის მხრივ ხელოვნურად შექმნილი სიძნელეები და ნარმოლოფინეთი, რა დღეში იყო ჩავარდნილი ილღაზი მისი სანერი მაგდა დაფარული იქნებოდა რუქებით, მონახაზეებით, დისპოზიციის ფურცლებითა და ტოპოლოგიური სურათებით. კარვის აკეცილი კალთებიდან ორპირი სიო უქიქინებდა და მინც ოფლად იღვრებოდა, რადგან ფიქრობდა – დაღლილი თვალბით დასცქეროდა ტოპოგრაფიულ რუქას; ისე ღრმად ჩასცქეროდა, თითქო გრაფიკულად მონიშნული მინდვრები, გორაკები და მთები კი არ აჩენ-

დნენ, უფრო მალაედნენ ამ უცნაურ ქვეყანას. ისიც აღარ ენდობოდა კაფიშელსა და ნანახს; ყველგან ლაღბტსმტკიცებდა ყოველი ბურქის უკან ჩასაფრებულს ხედავდა; ვერ იჯერებდა, თუ იმარჯვებდა, რადგან გუმანიოტ გრძნობდა თავისმობველ არტახებს; თუმცა თავისუფლად მოძრაობდა და ციხეს ციხეზე იღებდა, იყო თვით ამ მოძრაობაში, ამ თავისუფლებაში რალაც შეუცნობელი, დამორგუნველი. საითაც ნებაედა, იქით ვიღოდა, მაგრამ საითაც არ უნდა ნასულიყო, ძაფზე აცმული თოჯინასავით მოძრაობდა; მოძრაობდა მძიმედ, თითქო ზურგით ეზიდებოდა საკუთარ ლაშქარს; უდაბნოს სივრცეში ფრთების გამალს ჩვეული მხედარი იხუთებოდა ამ ვინოვებში და ისევე ფიქრობდა. მისი გონება, როგორც ნისქვილი, ფქვაედა უცხო შეგრძნებებად დაშლილ ქვეყანას და მის გადაშუშაებულ, უკვე გათავისებულ შინაარსს ფიქრის მწყობრ ნაკადებად აფრქვევდა. და უცებ აზრის ამ ნეპიქმა დიდებამ თვითონაც მოსწყვიტა მინას და უსასრულობაში გაიტაცა იგრძნო, როგორ გაიხსნა სივრცე აღარავინ უღობაედა გზას! ახლა მას თავისუფლად შეეძლო დიღმის მინდვრებზე ჩასვლა და თავისი ფიზიკური სიმრავლის გამოყენება, მაგრამ გამარჯვებებით გულმოცემულსა და აზროვნების ემში შესულს, აღარ ეთმობოდა ზედა დიდგორი, რომლის თვალისმომჭრელ გორაკებსა და მთებს თავბრუდახვეული პეპელასავით დასტრიალებდა დავითთან ბრძოლაში ფრთაშესხმული ფიქრი.

აი, ასე შემპარავად შემოაბრუნა აღმაშენებლის ნებაშ გონების უხილავ ძაფზე აცმული მტერი. უკუქცევით, ციხე-კომკების შენარებით, ფიქრის გორაზე ამოიტყუა ის და მისთვის დამლუპველი თამაშის ქსელში გახლართა მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა, რამაც ერთბაშად დააბნია მტერიც და მოყვარეც, ხოლო პრუსიის მონარქი ფრიდრიხ დიდი საგონებელში ჩააგდო.

მომხდა კი ის, რომ დავითმა უარყო თავისივე თამაშის ნესი და ფიქრის ზღვარს გადასულმა სრული თავისუფლება ისურვა! ათასფერი კოალიცია, ძალად შეთხზული და შენებებული, უკვე გაუფრულდა, ნყლად იქცა და ზღვასავით გაიშალა. სარდლების სიტყვის ნაცვლად დავითს ზღვის შხული ჩაესმოდა. იდგა უთვალავ სახეთა პირისპირ, ვით მარტოსული, ზღვას დანატრებული. ნეტარებას ვერ ეძლეოდა, რაკი გადაუხდელი ომი მოუთხოვრებელი ამბავით შემოსილოდა გულზე. ბრძოლა უნდა დასრულებულიყო, რომ ამბავი თქმულიყო; ამისთვის კი საჭირო



იყო განთავისუფლება იმ სქემებისაგან, თვითონ რომ მოახვია საკუთარ თავს. დავითი იდგა დიდგორზე, ზღვადმოქცეულ ჯარის წინ და ებრძოდა თავის თავს; თავის ნანვა-ლევ ფიქრებს, ბრძოლის დაზეპირებულ ხერხებს, გამოცდილ სულსა და ათასგზის გათვლილ ნაბიჯებს. საღამოქროდ როცა მიდიოდა, ერთი აქლემი ნივნები მიჰქონდა; ბოლოს კი ამ ცოდნამ დააინყა თავისი თავი, დააინყა, რატომ დაინყო ბრძოლა; რომ აღარაფერი უხაროდა, რომ ვერ ტკბებოდა ცხოვრებით. რაღაცა აკლდა მას, რაც არ იცოდა, რის ნაკლებობასაც გრძნობდა. ამიტომ ცალკეულ ორთაბრძოლებს იცემა, მერე კი ეცვლებოდა გუნება, ეძალებოდა ეჭვი, რაღაცა მძიმე, შეუვალი, უსახელო, უაზრო მოანებოდა და ძირს ანარცხებდა. ისევ დგებოდა, ისევ უბრუნდებოდა საჩუქარივით მორთმეულ ცხოვრებას, ისევ ივსებოდა სიცოცხლის ზალისით, რადგან ყოველი ნუთი ცალკე არსებობდა, არ იყო ის დამძიმებული გარდასულით და მოსალოდნელით. ასეთ ბრძოლაში ჩაბმა აბოპქრებულ ზღვაში შესვლას ნიშნავდა; სახეებად დამსხვრეული ტალღა გარს ეხვეოდა. ამ თავბრუდამხვევ შეგრძნებებს ველარ იტყვდა დავითის გული, მაინც სურდა ასე ყოფნა და ყოფნა ბრძოლის უსაზღვროებაში; ვერ ძღებოდა სისხლით კი არა, სიცოცხლით, ცეკვა-მოძრაობით, ზღვის ტრიალით, ხმლის შემოქნევით უბილავსილამაზეს ქმნიდა და ქარგავდა. სხივივით გამჭვირალე, გულანთებული, ტყდებოდა და ტრიალებდა ბაიათივით გაჭიმული მტრის შემხვედრ ტალღებში. მაინც რაღაცა ანუხებდა; სიტყვა ჩამორჩებოდა ქმედებას, დაფიქ-

რებით ჩადგებული პაუზა უზუთავდა სულს, ქვიშით ევსებოდა გულ-მკერდს კასრისტი უნვაედა ფერდებს და მანქანა-მანქანა მშის ეჭიდებოდა, რასაც ფიქრის გარეშე, აი აქ და ახლა გრძნობდა და ებრძოდა ზღვას, ებრძოდა სიკვდილს, რომელიც სიცოცხლის ძალით უნდა დათრგუნო. სიცოცხლე კი ამწყობი ფეთქავს და არა წარსულში ან მომავალში. ამიტომ უნდა ებრძოლა არა ჩანაფიქრის მიხედვით, როცა სიცოცხლეს, როგორც ნუთი-ურებას, იდუა განაზოგადებს და სისხლისაგან დაცლის; პირიქით, ყოველი აზრი, ყოველი გრძნობა, ყოველი მოძრაობა და სწრაფვა უნდა შემოიბრუნებულ იყოს ამ ნუთიერი არსებობისკენ, რომ ეს ნამი, ეს განწყობა, ეს სიხარული უსასრულობის წინაშე დაჭერილ ყოფილიყო ცოცხლად და განუმეორებლად, ერთხელ და სამუდამოდ. მხოლოდ მაშინ შეედლო დავითს ეთქვა: „ვიბრძვი, მაშასადამე ეარსებობ“ და მხოლოდ ეს იქნებოდა სიკვდილზე გამარჯვების ტემშარიტი გზა.

ამიტომ, ოდენონს 7 სასახლის ცისფერყანელთა დარბაზში, ყოველგვარი ბჭობის გარეშე, ერთხმად გამოიტანა დასკვნა, რომ დიდგორის გამარჯვება იყო სიცოცხლის ნუთიერი, მუდამ ამწყოდ მბფუტავი ნაპერწყლის ალი, როცა დავითი გადავიდა ფიქრის ყოველგვარ საზღვარს და შემოქმედის შეუცნობელ გრძნობას აყოლილი, ორასი რაინდის ერთსულოვანი თავგანწირვით შეიჭრა აღმოსავლეთიდან ზღვადმოქცეული წყვდიადის გულში.

ასე აღასრულა დავითმა ნება უფლისა ჩვენისა, ძისა ლეთისა და ერთარსისა მამისა, ქვეყნის შემოქმედისა იესო ქრისტესა.

შენიშვნები:

1. იხ. ანსელმ კენცერბერგიელი. სამაგილო ჩანაწერები, რვეული VI, გვ. 11.
2. იხ. პუასრლი ა. სამხედრო ხელისუფლება, როგორც თამაში. გვ. 76. ტ. „ლოვისი“, 1914 წ.
3. იხ. დამიკრი ცისკარიშვილი, „ნაპოლეონი“, გვ. 116.
4. ურისიონი — განთიადის წინ.
5. იხ. ფრიდრიხ დიდი. მინაწერები მანეველებზე. ნიხლისფერი პურანგის მარცხენა მანეველა გარდერიობი № 2. კენინსბერგის სამეფო მუზეუმი.
6. იხ. ბრენგანია. რწეული თხზულებები. ტ. III. გვ. 177, ან დაღვიფრეთ სიგყვამე!
7. ოდენონი — პუეშის სასახლე.

ღმისი ძვენი

სადმე ქვეყანა მარჯნოთ კიდევ,
სად დაბადებას ღმისით ხედებან,
ღმისებით კრუდნენ, ღმისებით მკიდნენ,
ღმისით ცოცხლობენ, ღმისით კვდებან.

მარჯნოთ კიდევ სადმე ქვეყანა,
ღმისებს რომ წრდნენ მთაში მწვემსებც,
ღმისად უბნობდნენ ცაში ღმერთთანაც,
ტაძრად გალობა იფოს ღმისებით.

ბარში ატანენ ჭკუჭკუა ვეარებს,
მთაში ამოთქმულ ღმისიყავიებს

და საფლაკებზე კითხულობს მიუარე,
ღმისად დაწერილ ეპიტაფიებს.

ჩამოსდის ღმისის ტბელი ბადაგი,
წვეწაილილ რითებს, ბრწყალა ბწყარებს,
ფრტყმ ვეფხვების ტრული ფარდაფით,
მზე მიიებს ღმისებს მხისვერი ბწყაილით...

სადმე ქვეყანა მარჯნოთ კიდევ,
სად დაბადებას ღმისით ხედებან,
ღმისებით კრუდნენ, ღმისებით მკიდნენ,
ღმისით ცოცხლობენ, ღმისით კვდებან.

გიორგია!

შეხედე თეთროსანს,
თეთრ ცხენ-იორღიანს,
წმინდა გიორგია,
წმინდა გიორგია!

გიორგი პირველი,
გიორგი მეორე,
გიორგი მესამე,
გიორგი მეოთხე...

გიორგი მთაწმინდელი,
გიორგი ათონელი,
გიორგი მერნულე,
გიორგი ხანთელი.

შეხედე თეთროსანს,
თეთრ ცხენ-იორღიანს,
გიორგი ბრწინეალება,
ღამა-გიორგია.

მოდინ მხარგამილილი
და არც იოლია,
ქვეყანას გეორგიას,
გერტყას გიორგია!

ჩალიხვერ აღამთა
ჩუმა ჩურჩულით
და ოჭრო ყალამთა
ნუსხურით, ღურსმულით.

გიორგი გუთისდელა,
გიორგი მოისარი,
ზოგი ჯეარის ზელა,
ზოგი ბოდბის არი...

შეხედე თეთროსანს,
თეთრ ცხენ-იორღიანს,
წმინდა გიორგია,
წმინდა გიორგია!

306 ივრღა

მარტო მტერი კი არა და
მომძეც გვეყვება ვერაგი,
გვეითხები, ვინ იცოდა
გორგასალის იღლიის ქვეშ
ჩარღვეული პერანგი.

ჩვენგან ხშირად მტერიც ძრწოდა,
ღმის კი ეტირი მწვეწარე...
თბილისს ორი კარი ჭჭრღა,
ვინ იცოდა, ვინ იცოდა მესამე...

შპიანის ლამაზ წვალში,
იფრება ისარი,
ენ ვსროლა ვახტანგს მხარში,
საძებარი ის არის.

ასი ციხე-სალოცაეი
როგორ დამინიავდა,
საქართველოს კარიბჭენი.

საქართველოს ალაყაფი,
როგორ მომიღიავდა...

მარტო მტერი კი არა და
მომმეც გყავდა ვერაგი,
გვეთხები, ენ იცოდა
გორგასალის იღლის ქვეშ
ჩარღვეული პერანგი!

კრუალ-კრუალთა საზანდარბითი

სილენძისფერი თრთიან დარები
კრუალ-კრუალთა საზანდარბითი.
ფართქალებს ფშალა,
სოჭოლებს ჩალა...
აგრანუნით, რუთა როზინით,
ისვე ივსება დამე ლოდინით.

შენზე დარდობენ ქარვის დარები,
კრუალ-კრუალთა საზანდარბითი.
დაეცარიულდი, როგორც აული,
ვთხოვ ამიცხადდე, ვით სასწაული...
სილენძისფერი თრთიან დარები,
კრუალ-კრუალთა საზანდარბითი.

კაცმა რომ თქვას...

კაცმა რომ თქვას:
(იჭებ უკვე თქმულია)
ერთი ღერი ვვაილი
მინი გაზაფხულა.
კაცმა რომ თქვას:
(ესეც თუ თქვებს, ძამია)

ჩემი კედლის სურათი,
გარინდული წამია.
კაცმა რომ თქვას,
(ესეც თუა ნათქვამი)
ვუღკანების ფერფლია,
სიგარეტის ნამწვაეი...

ჩემი ფოტო

მე არ მგავს ჩემი არცერთი ფოტო,
არ შემგვანება მერეც და ახლაც.
მე ვგავდი ქარში გაფრენილ ფოთოლს,
რომელსაც მუდამ ქარები ახლავს.
გრილ სარკეებში ეჩანდი მაღალი,
ვლმოღერილი, ვით მევირალობას,
გულის კივილით, სულის ნადართი,
ჩემში ათასი ჩიტი გაღობდა.
მესებდნენ ზოგთა ბეცი თვალები,
მდედა კამერა, ციკლოპის თვალი,
შატყდნენ, მქნიდნენ სულის წვალებით,
ის მე არ ვიყავ, მე სხვა ვიყავი.

ვით ჩამოფრენა მირიად მტრედის,
გულზე მეყარა ვვაილი ტყემლის,
ვით ბედისწერა და ჩემი ბედი,
მხარზე შემომჩრა მატხოერის ხელი...
ნუ გაირჯებით, ფოტოს ნუ მომიხოვით,
ვთხოვთ, დაიხსომით მერეც და ახლაც.
ვერ დაიტყვედა ვერცერთი ფოტო,
იმ მღელვარებას, მე რომ თან მახლდა...
მე არ მგავს ჩემი არც ერთი ფოტო,
ვთხოვთ, დაიხსომით მერეც და ახლაც.
მე ვგავდი ქარში გაფრენილ ფოთოლს,
რომელსაც მუდამ ქარები ახლავს.

ზაფხულს აცილებენ პიანინოებში



ლამაში მანანები, ლამაში ნინოები,
 ზაფხულს აცილებენ პიანინოებით.
 წაუძინებ-მუთუჟა, წავევრდები,
 კედლებს ასკდებან ავორდები.

აღარ შეძინება, აღარ შესვენება,
 მათი თითებით არ მაქვს მოხვენება...
 სახლში ვარ, ზაფხულს ვუთხოვები,
 მოცარტით, შოპენით, ბეთხოვენით.

ვტირი ხანდახან მინორებთან,
 რა იციან მანანებმა, ნინოებმა,
 რომ ამ სახლში რითმებთან მოთამაშე,
 ცხოვრობს გიგმაფი მოთარეშე.

სუნამოს ქარებით დაზაფრული,
 მათი ჭრელკაბების გაზაფხულით...
 ლამაში მანანები, ლამაში ნინოები,
 ზაფხულს აცილებენ პიანინოებით...



„რადგან გსურდა მოხვედრილიყავ ჩვენს მორთულ გემზე...“

პიესა

ორ ეპიზოდად, ორი აქტიორისთვის

პარსონაჟები:

მედეა

იასონი

სცენა შუაზეა გაყოფილი. ერთი ნაწილი სცენის უნდა იძლეოდეს ხელოვნური, პირველყოფილი ბუნების შეგრძნებას. ცენტრში — აიეტის უზარმაზარი გემის რაღაც ფრაგმენტი, როგორც ძველი დიდების ნაშთი. სცენის მეორე ნაწილიც ბუნების შეგრძნებას ბაღებს, ოღონდ კულტივირებულის. ეს არის გაადამიანურებული ღმერთების (თუ გაღმერთებული ადამიანების) სამყარო. ცივილიზაციის აკანი, ანუ ცენტრში — კოსტა და თეატრალური „არგო“. უკანა კედელი ორივე ნაწილისათვის საერთოა. ეს არის ცა. უმწვენიერესი საღამოს ფერებით და ჩამავალი, მოწითალო მზე. პატარ-პატარა ღრუბლებით „მოკარაყვებელი“ — „ოქროს საწმისი“. პირველ ეპიზოდში ფარდის მხოლოდ ერთი ნახევარია გახსნილი, მეორე ეპიზოდში — მხოლოდ მეორე.

პიზოდ I

მედეა

(ჩქარი ნაბიჯით ავანსცენისაკენ).
„მუდამ ასეა, თუ ზეალინდელ სიყვითეს ელი,
მამა-პაპათა მიწა-წყალზე უნდა ემყო,
რადგან იქ ბრწყინავს მოკაშაშე
შენი ვარსკვლავი,
ისეთი წმინდა, სათუთი და ნარნარი,
როგორც უმანყო ჩველი დედის უბეს
ჩახუტებული“.

(უახლოვდება გემს. პათეტიკურად)
— „ოი, კოლხეთო! ოი, ტკბილო ჩემო
სამშობლოც! შოი, შე ბედო უნამუსო!“

(გემიდან ამოიღო სანმისი, კაბა, კითარა, პეპლოსი, ნიქარა. უცებ ამჩნევს, რომ გემი ქალაღდის ფურცლებით არის სავსე. ფრთხილად იხრება, იღებს ერთ მათგანს, კითხულობს)

— „კოლხეთიდან კი, როცა ცოლად ჩამოიყვანა ათასნაირი სანამლაღის დამამზადებელი ველური ქალი, მამის მკვლელი...“

(მეორე ფურცელს დასწვდა)
— „კოლხეთში კი არ ვიმყოფებით, —
ველურებში, საბერძნეთში ვართ! აქა
ვცხოვრობთ, ხალხში ვტრიალებთ!“

(ისევ)
— „ეინ არის ქვეყნად, იასონს რომ შე-
ედრებოდეს?“

— „მარჯვენა ხელით ეჭირა ქალწულს
ნაზი პეპლოსი, ხოლო მარცხენით ქიტონის
კალთა ზე აენია“...

— „ძალიან სცდებით, მამაჩემი შე არ
მომიკლავს“...

— „ბავშვთა სიყვარულს ნუ მოიგონებ,
დღეს დაივინწყე მათი დედობა“...

— „იასონ, მინდა რომ გიმღერო ერთი
სიმღერა“...

— „ო, ეზონილო, იქნება შენ ამ ოქროს
სანმისმა გამოგიღაყა თავი სრულებით“...

— „შენ გსურს იცოდე ძალა შენი სი-
ძულელიისა? — ზუსტად იგივე, რა ძალაც
შენს სიყვარულს ჰქონდა“...

— „მძვინვარე მხეციც კი იქნებოდა
შენზე გულჩვილი“...

— „ველური ქალი, მოღალატე, ვინაც
განირა მამა, სამშობლო, რადგანაც სურ-
და მოხვედრილიყო ჩვენს მორთულ გემ-
ზე“...

— „რადგანაც სურდა მოხვედრილიყო
ჩვენს მორთულ გემზე!..“

(გადაცმა. მუსიკა: მედეას მელიოდია.
სპექტაკლი იწყება. ჩაცმული გულმოდ-
გინედ იხვევს პეპლოსით ხელებს და
წევა გემში. ამასობაში მელიოდია მიწყდა.
სამარისებური სიჩუმე და — უცებ)

— რადგან გსურდა მოხვედრილიყავ
ჩვენს მორთულ გემზეო?! — ის საცოდავი



თორმეტნიობიანი არვო!.. თორმეტნიანიც იყო და ოცდათორმეტნიანიც მამაჩემის გემები, აფსირტე რო დაგვედგენა იმიტომ იყო, ორჯერ ძლივს დავუძვერით. ორჯერვე – მიყვარხარ, მაგრამ, აუ, რამხელა გემებია, აჰა, შენი სანძისი და დავმორდეთ მეგობრულადო!.. გიკვირთ, არა? მე არ გამკვირვებია, ვიცოდი ვისთანაც მქონდა საქმე. გაიძვერა! ქურდით აცეცებდა თვალებს. არიადნე, არიადნეო, მომეხმარე, როგორც შენი მამიდაშვილი მიეხმარა თეზევსო... ბავშვი ვიყავი, გული მელეოდა არიადნეს რომ მაძარებდა, მაშინვე თეზევსად წარმოვიდგინე: გმირი, გმირი-მეთქი, ცხარე ცრემლებით მყავდა გამოტირებული... ახია, ჩემზე! სამავიგროდ, საბერძნეთში შექაბდა ველურს, მამისა და ძმის მკვლელს, სახლიდან ცხვირს არ მაყოფინებდა – ნუ გაცვია ეს კოლხური კაბაო... (პაუზა) რაც შეეხება აფსირტეს, არც ის მომიკლავს! – დაეძინე. უშმღერე... დაეძინე და ავედი უკან, არგოზე... თქვენ გგონიათ აფსირტეს სანძისი უნდოდა, იმიტომ გამოგვეკიდა? არა! – მე ვუნდოდი, ცოცხლად! შემოუთვალა ამას... აიქტი ხელებს დააჭრის და თვალებს დასთხრის როგორც მოლაღატეს, მერე გააბვიე მაგ ტყავში და სადაც გინდა იქ წაიყენაო! რა იყო, არ გჯერათ? – ათას რალაცას იგონებთ და ჯღაბნით ვინც წერაკითხვა იცით! (იატაკზე დაკრული ფურცლების მისამართით) სინამდვილე კი ის არის, რომ საწოლ ოთახში დამადგა დილაუთენია თავე უცხო კაცი – ფეაკების მეფე და მიყვიროდა ყველას ვასაგონად: ახლავე გაეცალე ჩემს სამეფოს, თუ არა და მე თვითონ დაგაჭრი მაგ მკლავებს, შენი გულისთვის აიეტს ვერ გადავიკიდებო – და ამას მე მუღუნებოდა, მე... თან „გაეცალეთ“ კი არ უთქვამს – „შენ გაეცალეთ“ – გესმით? ამას ხმა არ ამოუღია. იღიმებოდა რალაც სულელურიად, – ასე იცოდა ზოლმე – სულელური ლიბილი – შიში რომ მოერეოდა... (პაუზა) ეჰ... გამწინრეს... გამწინრეს ჩემიანებმა – მარტო დავრჩი და დავიზაფრე, თავზარი დამეცა. მერე ასე ვიყავი დაზაფრული სულ... ამანაც იფიქრა აღბათ – ესენი ვინ ყოფილანო!.. ასეა, შენიანებს როცა არ უნდიახარ, აღარავის აღარ უნდიახარ მერე!.. (ავანსცენაზე) ნუ მამბრალბთ ჩემი ძმის სიკვდილს, მე არ მომიკლავს აფსირტე – დაეძინე, ასე, შვიდი-რვა დღით. ჩვენ კი

ამასობაში მამიდაჩემთან უნდა გავველნია – ასეთი იყო გეგმა. ახლა მამიდაჩემის სისხლს სუნმა გამომაღვიძა. ვიფიქრე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი. სისხლი იყო. თანაც სიწუმე იყო რალაცნაირი... ენახე, მარტო ვიყავი, ნამოვბტი ლოგინიდან და ცეცხლი-მეთქი დავიყვირე რაც ძალა და ღონე მქონდა. კარისკაცი შემოვიდა, ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, ნაბრძანები მაქვს არ გამოგიშვით ოთახიდანო – ერთი მივაფარე სახეში, ცეცხლი ჩამოვგლიჯე ხელიდან და პერანგისამარა ჩავხტი წყალში... მაგრამ... ეს არ იყო წყალი, და იმ წუთში მივხვდი რაც იყო... მაინც მიეცურავდი ამ სისხლში ცალი ხელით. ვაი ჩემს გაჩენას, აფსირტე, ძმაო-მეთქი, ვყვიროდი. ცეცხლი გადავადგე და ორივე მკლავი მოვუსვი... და აი, აქ მოხდა... აი, ის... არც კი ვიცი როგორ ეთქვა... თითქოს სიკვდილი მოვიდაო... მთელი ტანი ამტკივდა. გულიც გაჩერდებოდა სადაც არის. გამებარდა, მუხლები შევატყუპე, ნიკაპთან მოვათრიე როგორც იქნა და ორივე ხელი შემოვარტყი, მამატიე ძმაო-მეთქი, ვიყვირე კიდევ ერთხელ და თვალები დაეხუჭე. და აი აქ... მივხვდი, რომ რალაც იყო ჩემს თავს – რაკილა არ გაჩერდა ეს გული და არც ჩავიძირე: მე უნდა დამესაჯა, თურმე, ჩემი თავი და რა დროს სიკვდილი იყო ჯერ... – მე უნდა მეცოცხლა, რათა მენახა ყელგამოჭრილი აფსირტე. უნდა მენახა, ეს ჩემი ქმარი, დაკაპინებული, როგორ გაფაცვიცვით აჭირდა ხელ-ფეხს მკედარს, და მერე როგორ წაიღო და დამარხა ეს ხელ-ფეხი, ტანი კი როგორ ჩაადგო წყალში, უფრო სწორედ, შეასრიალა – ხმა რომ არ მქონოდა... მერე მუხლებამდე სისხლში მდგარს, – მოდი ჩემთან, ჩემი სულელი გოგო, წყალში რამ შეგიყვანა ამ შუალამსო – უნდა ეთქვა. მეც უნდა გამეტოპა ამ სისხლში და უნდა მივსულიყავი! მერე, – აი, ასე დაემაართება ყველას, ვინც გაბედავს და ჩემს ცოლზე ხელს აღმართავსო...

(პოსტსცენიუმისაკენ. მუსიკა: კირკეს თემა)

სულ კახა მიძახა მამიდაჩემმა კირკემ. შვიდი დღე და ღამე ვიდექი გარეთ ნეშიაში – არ მიშვებდა სასახლეში. ვიდექი, არ გავნძრეულვარ. ბოლოს შემომითვალა, მენს კუროს გადავიცე კუნძულზე ფეხი არ გადმოვდვას, თორემ ნაფო-



ტებად ვიქცევთ მაგ გემსო. მე ვუთხარი, მაგას თავი დაანებე, მამიდა, მიყვარს-მეთქი... მოვატყუე... მოვატყუე რასაკვირველია, რა სიყვარული - სისხლში ვცურავდი... მოვატყუე, ფეხებში ჩავე-ვარდი, მოვალბე. მოხუცი იყო უკვე-კოლხური გამაგებინეო. მეც კოლხურად ვუთხარი, ამ უცხოელის და შენს მეტი აღარაეინ დამრჩა, მამიდა-მეთქი. თხოვა პოსეიდონს - დანყნარდა ზღვა. გემის შეკეთების საშუალებაც მოგვცა. დამშვიდობებისას, ჩემი უბედური ძმის შვილო, თუ, ჩემო უბედურო ძმისშვილოო, - კარგად ვერ გავიგე ვის გულსინხობდა, აიეტს თუ მე. ერთი რომ შემეხედა სახეზე, მივხედებოდი. თავის ანევა კი გავებდე, მაგრამ, პირბადე ჰქონდა უკვე...

(კორკე) - ყურზე ნიჭარა გაქვს მთელი დღე. ყნოსვა - ამ ბალახ-ბულახით გაბრუებული, თავში - გრძნეულება. დახშული ხარ მთლიანად და საკუთარი თავის ვარდა აღარაეის უსმენ და აღარაფერს ხედავენ შენი თვალები ამ ოქროსფერი მზის ვარდა...

- მამიდა...

(უკანა კედელს მიასკდა. შეხვეული ხელები ცეცხლისფერი მზის ფონზე. გამწარებული ტირის)

- მე ძალიან მიყვარდა მამიდა... მასაც ვუყვარდი... მამასაც ვუყვარდი, ძმასაც... დიახ, ვუყვარდი!.. მაგრამ, თქვენ ამის ვერ გაიგებთ, იმიტომ, რომ აი, ესა ხართ თქვენი (ძირს დაყრდი ფურცლებს) თქვენი უდაღური მოდგმა! (ფურცლები მოხვეტა ზოგი ფეხით, ზოგი ხელით) თქვენი უდაღური მოდგმა! ერთი ამბობს, იოლკოსის დედოფლობა უნდოდა და არ გამოუვიდაო. მეორე, კორინთოს დედოფლობა, - და არც ის გამოუვიდაო; ამან კიდევ, ჩვენს მორთულ გემზე ამოსვლა გინდოდა - მართლა სათამაშოს ჰგავდა მამაჩემის გემებთან შედარებით, ჩემი ძმა რომ გამოთლიდა ხოლმე ნაფოტისაგან...

(გემში. ცდილობს ნიჩბები მოუსვას. ცდილობს იმღეროს)

„ეპ, ნეტავ აროდეს არ მოხდგომოდა არგოს ზომალდი კოლხეთის ნაპირს!..“

(პაუზა. ტირის)

მოკლედ, ჩავაღნიეთ იოლკოსს. სიცილით მოკვდა პელიას მეფე - აქეთ მიჩვენეთ ნაქურდალიო, აბა თქვენ გინდათ დავიჯერო, რომ ამან, აი ამან, აიეტის ხარები უღელში შეაბაო?! ფუი შენს ქალობასო, მე მითხრა, გაყავდეს ეგ, მეტის ღირ-

სი შენ მაინც არა ხარო; მე კი იოლკოსის ტახტზე ლაჩარსა და გაიძვერს... მაგსე-სეამო... გამოვბრუნდებ... მაგსე-სეამო... ინყველებოდა როგორც დედაკაცი - შენ რომ ჩემს გვერდით გხედავენ, იმიტომ არ მიჯერებენ, რატომ არ დაგაკალი შენს ძმასო! - ხომ ვითხარით, რა დროს ჩემი სიკვდილი იყო-მეთქი ჯერ, - ეს ხომ უნდა მომესმინა?! კორინთოელები, - ვერა ხედავთ, გმირთა გმირია, აიეტის და მისი ხარჯების რა გეცოდნიაო, იძახდნენ. ანდა, შეიძლება, ჩემს გასაგონადაც ამბობდნენ ასე - ვეჯავრებოდი კორინთოელებს... შეიძლება ჩემი ბრალიც იყო - იმიოთად გავდიოდი ვარეთ - ბავშვები მყავდნენ პატარები... ისე კი, ვინც მოსულა სამკურნალოდ, ან უბრალოდ, რჩევისათვის, უყურადღებოდ არ დამიტოვებია არაეინ, მაინც ბარბაროსს მემძახდნენ, ხან კიდევ ალქაჯს... რა ვიცი, რას აღარ მემძახდნენ... ეს კი იყო, რომ ცოტა ხელი დამრიო ამ ჩემმა ბედმა... გავიტრუნე და - ნეტა რა, რა-მეთქი კიდევ, - ვიყავი ასე ჩასაფრებული... ეტყობა, არ ეტოვებდი მთლად ნორმალურის შთაბეჭდილებას... (პაუზა) ბავშვები მყავდნენ პატარები... ბავშვები მყავდნენ პატარები...

ბავშვები მყავდნენ პატარები...

(აეანსცენაზე)

მე ვიცოდი, რომ არ ვუყვარდი იასონს. იმასაც ვერ ვიტყვი, მე ვიყავი-მეთქი სიყვარულით გათანაგული! - რა სიყვარული, ქურდიოვით აცეცებდა თვალებს! კინალამ მაგიდის ქვეშ შეძერა შიშისაგან, მამაჩემმა ოდნავ ხმას რომ აუნია სუფრასთან: სან-მისი აგერ არის, ჩემო ბატონო, თუ ვაეკაცი ხარ, ნაილე და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო. მერე, როცა ურჩხული მივაძინე, ხმალი იმიშვლა - გინდა თუ არა თავი უნდა ნავადგებნიო. სანმისი უკვე ხელში ჰქონდა. მე ვუთხარი, თავი დანებე მძინარე ცხოველს და ჩქარა, სანამ ზურგის ქარია-მეთქი. ნუ გეშინია, ქარის მეტს რას გა-მომიგზავნის პერაო... პერაო - და მივხედი, რატომ გავიფიქრე მამინ, მაგიდის ქვეშ რომ კინალამ შეძერა, რა მოხდა მერე, აიეტის ყველას ეშინია-მეთქი - პერას ხელში ვიყავი, მაგრამ გვიან იყო უკვე...

(პაუზა)

მამა პატოცს კი სცემდა შეხთამტყორცნელს, მაგრამ არ უყვარდა, პროშუტეს გამო. პერაზე კი, ავი და გაიძვერაო, იტყობა. პელიოსის შიშით, მაინცდამაინც ვერ გვიბედავდნენ ვერაფერს, მაგრამ პე-

რას გაიძვერობის უმინოდა მამაჩემს. მამიდაჩემსაც. გადაფარებულები იყვნენ ჩვენზე. მამიდა იტყოდა, ბავშვებზე უყვარს შურისძიება მაგ წყეულს, და ბავშვების პატრონად კი ითვლებათ. როგორც კი მზე ჩაედოდა, გამოგვრეკავდა სანაპიროდან, შეგვყრდა სასახლეში და ჩაკეტავდა კარებს. განსაკუთრებით იოს მერე შეგვიძულა პერამ. ვერაინ შეიფარა პერას შიშით უბედური იო. მამაჩემმა შეიფარა მარტო... იოს ბუზანკალივით შემომიჩინა ეს ქურდი, უკაცრავად, გმირი, ოქროს სანმისის მოსაპოვებლად ელადიდან ჩამოსულ... ბავშვებზე უყვარს შეურისძიებო... — ბავშვი ვიყავი მაშინ, აბა რა ვიყავი მერე კი, მე თვითონ მეყოლა ბავშვები...

(შეხვეული ხელები)

და როდესაც კორინთოში ჩემმა ქმარმა გამომიცხადა, ბავშვებიანად გავცალე აქაურობასო, მამას ვფიცავარ, სიცილიც კი ჩამესმა ყურში! სასწრაფოდ ავიფარე ნიფარა. მაინც არ შეწყდა ეს სიცილი. მოუტრიილად გამნარებული, — კარგი, მე ნავალ, მაგრამ ბავშვები ცოდვები არიან, სად უნდა ინანალონი-მეთქი; ნუ გეშინია, მანანალას სისხლი აქვთ და გაუძლებენო — ნამოსცდა! მერე, — გეზუმრე, გეზუმრე, არ გენყინოსო, არ გეგონოს შენზე ნაკლებად მიყვარდეს ჩემი შვილებიო, ქვიანი ქალი ხარ, გამოიგო: გმირი ვარ — მეფეც ხომ უნდა გავხდეთ! ნუ შემომლით ხელს, ნადით აქედანო. ქისა გამომიწოდა გატყენილი — აბა შენ, ფული, კარგა ხანი გეყოფათ. მერე სად იქნებით შემატყობინე და კიდევ გამოგიგზავნიო...

(უმდაფრესი მუსიკალური აქცენტი. შემდეგ საშინელი სიჩუმე. პროსცენიოში)

პერას საკურთხველს დაეკალი ორივე შვილი... მაინც მამა იყო და გულმა უგრძნო ეტყობა, — კარებს მიმტრევედა ტაძარში, ჩუმად რატომ ხარ, ხმა გამეციო... მერე, როცა პატიოსის ეტლი ჩამოფრინდა ციდან, კარები თავისთავი გაიღო...

(ფურცლები. კარგა ხანი იქექება, უაზროდ)

— „მოლალატე, ვინაც ვანირა მამა, სამშობლო...“ ნუ იტყვით ასე... მე არაინ არ ვამინირავს! მე სიკვდილს ვადავარჩინე კაცი, თორემ ერთს შეაორთქლებდნენ ხარები და... სიკვდილს ვადავარჩინე... „მინდა, იასონ, რომ გიმღერო ერთი სიმღერა...“ იასონ, მინდა რომ გიმღერო ერთი სიმღერა...

ნურც იმას იტყვით „ჯინაზეო“... არ შეიძლება ასე... თქვენ არ იცით... (ყვირი-

ლი აღმოხდა) ვერაინს ჯინაზე ვერ დახოცავ საკუთარ შვილებს! მგ შენს შვილებს უნდა დამესაჯა და დამესაჯე! მამაჩემს... (შეხვეული ხელები. ნალასლასადა.

უცებ მოტრიილდა და როგორც ვიტი მოპტრის ავანსცენისკენ)

მაგრამ თქვენ... თქვენ არ იცით!... თქვენ უნდა გენახათ ზემოთ... მალლა... პერას სახე უნდა გენახათ! არ მელოდა — ამას აქ რა უნდაო!... ჭრილობა შევეუსხენი ბავშვებს (ერთი გამოპკრა და ხელები გაიშეშა) და სისხლიანი პეპლოსი სახეში მივაფარე. გაიწუნა თავიდან ფეხებამდე და... გაქრა... (კითარა)

— „იასონ, მინდა, რომ გიმღერო ერთი სიმღერა...“

მინდა გახსოვდეს, მეც შენსავით მეფის შვილი ვარ

და თვალწინ მიდგას ნათელი და ამოდლები...

დიდი ხნის წინათ ასე გვერდში ვედექი მამას,

ჩემი ქვეყნის და ხალხის მიერ ღმერთად შერაცხილს.

ოი, კოლხეთო, ოი, ტკბილო ჩემო სამშობლოვ!

ასეა მუდამ, თუ ხვალინდელ სიკეთეს ელი,

მამა-პაპათა მინა-წყალზე უნდა ედით,

რადგან იქ ბრწყინავს მოკაშკაშე შენი ვარსკვლავი,

ისეთი წმინდა, სათუთი და ნარნარი, როგორც უმანკო ჩვილი დედის უბეს ჩახუტებული...

(წინების მოსმას აპირებს. ერთი-ორი კიდევაც მოუსვა, მაგრამ უცებ შეამჩნია, რომ ხელები შიშველი აქვს. არ იცის სად დამალოს. გამნარებული ეძებს პეპლოსს.)

როგორც იქნა მიავნებს და იხვევს. მუსიკა)

— ჯერ პირველ სიმზე ჩამოპკარი,

— ასეთნაირად?

— არა, თითები თავისუფლად აამოძრავე,

— არ შემოძლია!

— მონდომე და დაუკარი.

— ეინდომებ, მაგრამ როგორც ვატყობ არ შემოძლია...

შე დღეს დაეყრი მე ამ ხელებს, შავ დღეს დაეყარი...

(შეხვეული ხელები. წვება გემში. სინათლე თანდათან ქრება. ფარდა დაიხურა თუ არა, მეორე ნახევარი გაიხსნა)



ერეკნული

პიზოდი II

იასონი

(საცოდავი ბრმა)

— დიახ, იქ მზე სხვა იყო ზღვაც და ხმელიც... იქ ყველაფერი სხვა იყო... სხვა-ნაირი... მე არსად არ მინახავს ასეთი მზე, არც ასეთი ზღვა... თვითონ?! — თვითონაც!.. მე ხშირად ვფიქრობდი ხოლმე მერე, ახლაც ვფიქრობ, რამ შემაყვარა-მეთქი. სანდლებს გაიხდიდა და ფეხშიშველა დადიოდა გავარვარებულ ქვიშაზე. ფეხის გულები არ გენვით-მეთქი? პასუხს არ გაღირსებდა... მეფის ასული ერთი მამამისი იყო კიდევ მეფე! ნორმალურად არ დამლაპარაკებია, უზარმაზარი თასი მომაყუდეს გაპიპინებული. თვითონ რამდენიმეს დაცლიდა ხოლმე და მერე მინაზე ვგდო მთვრალი... დიახაც, შემეშინდა... კი არ შემეშინდა, უბრალოდ, დაღვევა არ მინდოდა! — რა შუაშია შიში! მე რა, ლეინის დასალევეად ჩავედი კოლხეთში? — გადმოკარკლეს თვალები და მომსტერდნენ — მომკლავენენ, სინდისს გეფიცებინენ! — უნდა დამეღია, სხვა გზა არ მქონდა... ფეხზე ნამოვდექი, თასი ჩამოვართვი აქოთებული, გმადლობთ-მეთქი, კიდევაც გავიღიე... რა შუაშია შიში! მაგათ რო შიში ჰგონიათ, — ზიზლი იყო: გული მერეოდა. ცოტაც და იქვე გამოვუშვებდი რაც მაჭამეს...

(პაუზა. მუსიკა. ანრიალა)

ზუსტად ჩემს პირდაპირ იჯდა... უცებ ნამოვდეგა. რალაც ეცვა — ვერ გაევიგე, რა — უცნაური, რალაც ოქროსფერი... მარჯვენა მკლავი ანია, იდაყვი მოხარა და თმებზე ჩამოისუვა. „მამა, გემის დათვლიერება მინდაო“ გამოაცხადა და ამომხედა. სიჩუმე ჩამოვარდა, რატომღაც, უცებ, საშინელი... თასი ხელში გამიშეშდა, გაპიპინებული... აიტეს მივაჩერდი?“ და ნამოინია. ჯოჯოხეთს გავდა, შადესის ხახას! „გემის დათვლიერება მინდა“ — უფრო ხმამაღლა გაისმა, თითქმის ყვირილი... ისევ საშინელი სიჩუმე. ისევ გადმოკარკლეს თვალები და ისევ მომამსტერდნენ... უფრო სწორედ, მოგვაპტერდნენ... აიტეს — „არაოო?“ — და ასე შეგონა ჭერი ჩამოიქცა-მეთქი... მთვრალი იყო, გაღვეშლი... შედეასკენ მოვიხედე: შორს, სუფრის ბოლოში მისრიალებდა ოქროსფერი... ასე იცოდა ხოლმე, უცებ გამოგეცლებო-

და ხელიდან, აორთქლებდა... სუნს, სუნს გვერდით, ეხები კიდევ, მოიხედავ და აღარ არის — როგორც აჩრდილი, ავი სული! ავი! (პაუზა) დიდი კარები გაიღო და მერე ისევ დაიკეტა... ვიდექი, ყვეყნით... უცებ აქმს ასულს გემის დათვლიერება ნებაეს, თქვენ, რა ვერ გაიგეთო“ — და ხმამაღლა გადაიხარხარა, საზიზლრად. მერე, — „აქეთ მომეცით ეგ ლეინო, ყმანვილოო“ — და ატყდა ერთი ხორბოცი... ვიდექი... იდიოტივით. რა შუაშია შიში! რა, ლეინის დაღვევა გამიჭირდებოდა მე, იასონს?! უბრალოდ, ასე იცოდნენ ყოველ ნაბიჯზე შურისძიებოვით მოყენება ამ ბარბაროსებმა, ქუჭყუიანებმა! რა უნდოდა აქ ოქროს სანმისს! რატომ უნდა ყოფილიყო ამ ქვეყანაში ოქროს სანმისი?! იმიტომაც დაშეხმარნენ ღმერთები! ცა და დედამიწა ჩემს მხარეზე იყო!.. თვითონ?! — თვითონაც! — აქედან ნამიყვანე, აქაურობას მომამოშორო, ვინ იყო რომ მეხევენებოდა?! ახლა გავხედი არა, ქურდი? ეს — კორინთოში მეძახდა უნიჭოს, შენი საცოდავი გემიო — დამცინოდა, თორემ კოლხეთში უნდა გენახათ რა დღეში იყო! კინალამ გაგიჟდა არგო რომ დაინახა. სანდლები გაიხადა და ხელში მომარჩეა მე!.. მე! — თავხედიც იყო ყველა სიკეთესთან ერთად! — ერთი ოცვერ მაინც შემოურბინა ფეხშიშველამ გემს! ყველგან შეძერა, ყველაფერი დაყნოსა, ყველა კუთხე-კუნჭულს ხელით ეხებოდა — ეს, როგორ, ასეთი მშვენიერება აი ამ ხელუბითო?!.. როგორო?!.. ქიმზე პაერში შეხტა რამდენჯერმე და ათენას ჩაეხუტა... და... სიმღერა დაიწყო უცებ... სიმღერა... ხმამაღლა, მთელი ძალით... თქვენ არ იცით, რომ მღეროდა? თუ იცით... იცით... — „იასონ, მინდა რომ გიმღერო ერთი სიმღერა...“ შმ, სიმღერა კი არა, ეს იყო რალაც გმინვა, ოხვრა, ტირილი თუ კივილი ერთდროულად... შემზარავი!.. ციგმა ოფლმა დამასხა... რა სიმღერა!.. არ დაიჯეროთ! ტყუილია ყველაფერი! საზიზლარი, მჩაგვანა ხმა... დღემდე ვერ ამოვიგდე ყურიდან! ახლაც ფრუანტლები მივლის...

(მუსიკა. უმშვენიერესი მელიოდა, ანრიალა, აქეთ ეცა, იქით ეცა. ყურებზე მოიჭირა ხელი. ყვირის)

გააჩუმეთ! გააჩუმეთ! გააჩუმეთ-მეთქი!!!



(სიჩუმე, თავი ანია ნელა)
— ასე მგონია აქ არის ახლა და გვის-
მგნს!..

(სიერცემი)
კუდიანო! ავო სულო, ავო! ვინ გამო-
ვიშვა პადესიდანს!.. მკვლელო!..
მკვლელო! სადა ხარ?! ახლოს მოდი
ახლოს გემინია? თუ გრცხვენია! მოდი,
დაენახე ამ პატიოსან ხალხს!!! (პაუზა. გა-
ეცინა) რას მოვა?!

მდევარი რო გამოჩნდა, ის ცოცხალ-
მკვდარი აფსირტე თავისი ოცდაათი გე-
მით — ოცდაათი გემი დაადვენეს ერთ სა-
ცოდავ არგოს ამ ბარბაროსებმა! — პო, ის
ცოცხალ-მკვდარი აფსირტე — ერთი ის
იყო კიდევე უფლისწული! — იმ წუთში
ვუთხარი ამას: აჰა, შენი სანმისი და გა-
მანებე თავი-მეთქი. „ოი, შე ბედო, უნა-
მუსოო“ — თითქოს მე ვიყავი ბედი თით-
ქოს ჩემი ბრალი იყო სანმისი რომ ჩვენი
იყო და არა ამ ბარბაროსების...

(პაუზა. გიყვივთ გამოიჭრა უცებ ავან-
სცენისკენ)

თუ, არ იყო ჩვენი? რა?.. იქნებ არ იყო?!
არ იყო ჩვენი? გეკითხებით თქვენ, ვინც
მოხვდით აქ და უყურეთ ჩემს საცოდაო-
ბას!.. — ლმერთო, ნეტა ვხედავდე თქვენ-
ს სახეებს! იქნებ გგონიათ-მეთქი, რომ არ
იყო ჩვენი?! იქნებ გგონიათ, მე ვთხოვე
მომქმნარე-მეთქი, თავი შევაყვარე, ასე
ვთქვითო, გამოვიჭირო... —

(ფურცლებში აფათურებს ხელებს)

აქ... აი, აქ ასე წერია არა?! ხომ ასე
წერია?! წყუღიმიც იყავით ყველანი —
ათას რალაცას იგონებთ და ჯღაბნით
ვინც წერა-კითხვა იცით!.. პელიასმა რომ
მითხრა, ამ გომბიოს მოხმარება თუ დაგ-
ჭირდა, მართლა არ ყოფილა ეგ ტყავი
ჩვენიო, მინა გამომეცალა ფეხქვეშ!
თქვენ ჩემი ცოლის სახე უნდა გენახათ!
— გაბედული იდგა! ზეიმობდა! — და მაშინ
მივხვდი კოლხეთში რატომ არ მცილდე-
ბოდა გვერდიდან! ყველაფერში ცხვირს
რატომ ყოფდა! რატომ მიაძინა ურჩხული
ისიც, ვითომ მიაძინა! ახლოს რომ მივედი,
ცხოველმა ცალი თვალს გაახილა. მაშინ
კი ვიმიძვლე ხმალი — რა, ერთი ურჩხუ-
ლის მოკვლა გამოიჭირებოდა მე, ია-
სონს?! — გადაეფარა მორჩენია მე მომ-
კლა, ვიდრე ეს საცოდავი ცხოველიო!.. ასე
იყო, ასე! (პაუზა) არიადნე-მეთქი, ესეც
ისე ვუთხარი... ისე, უბრალოდ! თან მე-
ციინებოდა... რა, არ იყო მაგის მამიდამ-
ვილი?! თვითონაც კინალამ მოკვდა სიცი-

ლით... მართლა დასავსები ჩემი თვა-
ლები!.. რა უგავდა არიადნეს, ქველდი და
ტყავი იყო ცარიელი, ხელს ვერ შეკრიბე-
დი!

(მოზრდილი პაუზა)

— რას ვამბობდი?..

(ავანსცენისკენ დაიძრა ხელის ფათუ-
რით. დარბაზს უგდებს ყურს. შემფოთე-
ბული; არიან, თუ აღარ არიან დარბაზში
მაცურებლები)

... აქ ხართ, არა?! ხომ აქა ხართ ჯერ?..

(დარწმუნდა, რომ დარბაზი ადგილ-
ზეა და ცოტა დაწყნარდა)

მადლობელი ვარ... ნუ მიატოვებთ სა-
ცოდავ ბრმას... ბოლომდე მომისმინეთ...
მე მინდა ყველაფერი ვთქვა...

(პაუზა)

პო... რას ვამბობდი?.. ამ გომბიოს მოხ-
მარება თუ დაგჭირდა, მართლა არ ყოფი-
ლა ეგ სანმისი ჩვენიო, ნაქურდალი კი რა
ჯანდაბად მინდაო! — ნაქურდალიო! — აი,
რა არის მთავარი! აი, რატომ არ მშორდე-
ბოდა გვერდიდან, რატომ მიყოფდა ყვე-
ლაფერში ცხვირს! — ვინ გამოიჭირა ვინ,
და ვინ ვის შეაყვარა თავი, კიდევე საკით-
ხავია — ნაქურდალიო! — აი რა უნდოდა!
— გველაძუა! გველაძუა! რომ დღეს
თქვენი უღლეური მოდგმა ფიქრობდეს,
რომ თითქოს სანმისი ჩვენი არ იყო, რომ
იასონი კოლხეთში იმის მოსაპოვებლად
ჩავიდა, რაც მას არ ეკუთვნოდა და იმი-
ტომაც იკადრა მედეას დახმარება! — ყვე-
ლაფერი იკადრა, ყველაფერი! — ქალის
კალთას ამოეფარა და მოიპარა ოქროს
სანმისი რომ იასონი გმირი კი არა, ქურ-
დია, ქურდი!..

(პაუზა. წყალი მოიყუდა. დიდი ხანი
სვამს ძალიან)

... ქურდი ვარ, არა?.. ხომ ფიქრობთ
ასე? (ყურს უგდებს დარბაზს) ასე ფიქ-
რობთ, არა? რა? რა ბრძანეთ? ლმერთო,
ნეტა ვხედავდე, რა განერიათ მაგ სახე-
ებზე!..

(პოსტსცენიუმისაკენ გაემართა. პა-
უზა. და უცებ ძალიან განერვიულებული.
თითქმის ისტერიულად)

ნუ მომიტანდა იმ საბედისწერო ლა-
მეს თავის აქოთებულ მალამოს თუ არ
უნდოდა!.. ნუ დამიხელდა ტანს თავისი
ხელით: „თქვენ არ იცით, მეო, ჩემი ხე-
ლითო“, „თქვენ როგორ“ — მეთქი, „გაიხა-
დეთო“ და თვითონაც გამიშვლდა... სულ
მთლიანად... ნუ მოვიდოდა იმ ღამეს ჩემ-
თან თავისი აქოთებული მალამოთი! ნუ!!!



ნუ!!! მაგრამ, რა ექნა სანყალს, ძალიან უნდოდა მოხვედრილიყო ჩვენს მორთულ გემზელ.

(მუსიკა)

რაო?.. ისევ გამოჩნდა?.. აქ არის? (ყვირის) სადა ხარ, სად? რას დაძრწინხარ?! წყეულო!.. წყეულო!

(პაუზა)

მე ახლა ვერ გხედავთ თქვენ... თქვენ, ვინც მოხვედით აქ და უყურებთ ჩემს საცოდაობას... თვალეები აღარა მაქვს... ო, ღმერთებო, როგორ მინდა თქვენი სახეების დანახვა... არ დაიჯეროთ, არ დაიჯეროთ – ზეცას გეფიცებით და მინას! – არ დაიჯეროთ, რომ ვუყვარდი, რომ რაც ჩაიფინა სიყვარულის გულისთვის ჩაიფინა! – ოღონდ ეს არ დაიჯეროთ! თქვენ არ იცით! თქვენ მას არ იცნობთ, არა!

(ფურცლებთან დაიხარა და ფათურობს)

აქ რა წერია, სისულელეა ყველაფერი! მას არასოდეს არავინ არ უყვარდა თავისი თავის გარდა! არ უყვარდა, არა! რა სამშობლო, რა მამა, რა ძმა, რა სანმისი!.. არც მე მიყვარდა! არ მიყვარდა, არა!.. არც კოლხეთში, არც იოლკოსში, არც კორინთში! – არ მიყვარდა, არა! მაგრამ, არასოდეს არ მოთქვამს ბავშვებიანად გაეცალე-მეთქი აქაურობას! – შენ გაეცალე-მეთქი, შენ!

(მოზრდილი პაუზა)

როდესაც ტაძარში შევეარდი, უცებ ვერაფერი ვერ დავინახე იმ საშინელ სინათლეში... თვალეები მეტკინა. ხელები ავიფარე თვალეებზე და „მედვა“-მეთქი, ვიყვირე. შემდეგ ხმა გავიგე – რალაც ნელი ზუზუნი, ქარივით და... სიმღერა... არ ვიცი, რატომ, მაგრამ მუხლებში მომისავათდა... და უცებ, აქეთ, იასონ, აქეთ ამოიხვედ, თუ ვაჟკაცი ხარო“ – აი ეს... ეს სიტყვები... ვერავის ჯინაზე ვერ დახოცავ საკუთარ შვილებსო?! ჯინაზე – ვერაო?! ტყუილია!!! სწორედაც რომ ჯინაზე! „თუ ვაჟკაცი ხარო“ – რატომ არასოდეს არავინ არ ახსენებთ ამ სიტყვებს!.. თუ ვაჟკაცი ხარ, შეხედე შენს

ყელგამოჭრილ შვილებსო! ვინაა შენა უნდოდა!.. ავიხედე. ეტლჩი ბეჭეტი (მანქანის საკენ მიფრინავდა, მაგრამ მაინც შევასწარი თვალი: ბავშვები იწვნენ ანგელოზებოვით, დედის კალთაში თავჩანყობილი... „მედვა“-მეთქი, ჩემი ხმა იყო თუ მომესმა აღარ მახსოვს... ცალი ხელი ანია, სისხლიანი... სისხლიანი ხელი ანია და ეტლი შეჩერდა... თავისი სანმისი ზურგზე პქონდა მოგდებული. პეპლოსი მოიხსნა და კარგა ხანი მიყურებდა, მიყურებდა პირდაპირ სახეში, თან რალაცას ბუტბუტებდა თავისი საზოზლარი ხმით... როგორ გითხრათ რანაირი სახე პქონდა... მე თვალეები აღარა მაქვს... აღარა მაქვს ეს ოხერი თვალეები! – როგორ გითხრათ რანაირი სახე პქონდა... შემდეგ, დაკეცა ეს პეპლოსი – თან მიყურებდა, მიყურებდა თვალი არ მოუშორებია – და ყელეები გადაუკრა ბავშვებს, გამოჭრილი ყელეები... მერე... მერე იცით, რა ქნა?! თავი ნამოუნია ხელით ორივეს – „აჰა, შეხედეო“ – თითქოს და მოჩა...)

(სიჩუმე. საშინელი. ტირის)

ტაძრის კარის ჯახუნმა გამომაფხიზლა. თვალი გავახილე, მაგრამ... ველარ დავინახე.

(მუსიკა)

გესმით ჩემი? თქვენ, ვინც მოხვედით აქ და უყურებთ ჩემს საცოდაობას, გესმით ჩემი? როგორ მინდა თქვენი სახეების დანახვა...

ახლა ამ ორ თვალში ჩემი ორი შვილი ზის... ჩემი ყელშეხვეული შვილები...

(პაუზა)

მაგრამ, თქვენ არ იცით მე რა მკლავს!.. ბავშვებს თვალეები პქონდათ ღია... ორივეს!

(მუსიკალური აქცენტი)

არ დაძინა და ისე დახოცა! გესმით ჩემი? თქვენ, ვინც მოხვედით აქ, გესმით ჩემი? – არ დაძინა, არა! რამდენი ხართ? თქვენ?.. ბევრნი ხართ თუ ცოტანი? მითხარით, რომელიმემ შემობრალეთ და მითხარით – რატომ? რატომ? რატომ?.. რატომ არ დაძინა?..

თბილი სიკვდილი

პიესა

„თბილი სიკვდილი“ არტურ ადამოვის პირველი პიესაა. 1928 წელს დაწერილი და ავტორის ხარჯით გამოქვეყნებული, იგი სცენაზე არასდროს დადგმულა, არც არასდროს გამოცემულა მის სხვა პიესებთან ერთად. უკანასკნელად ავტორის მეუღლის, ფაკლინ ადამოვის ნებართვით დაიბეჭდა პარიზში, კულტურული აქციის ტექნიკური ასოციაციის საინფორმაციო, ყოველთვიური ჟურნალის 58-ე ნომერში.

ძლიერად გამოკვეთილი სიზმრისეული ხასიათის მქონე ეს პიესა, რომლის თარგმანსაც ვთავაზობთ, ადამოვის მთელი თეატრალური შემოქმედების ხელწერას წარმოაჩენს.

სერე ვიქტორ არანოვიჩს, მაქსიმ ალექსანდრს, პოლ კლუარს, ლუდვიგ კასაკს, ჟორჟ მალკონს, მიშონზს, ლეონ მუსინას, ლუიპოლდ ნიემენს, ჟორჟ რიბემონ-დესენს, პიერ იუნისს, ილარი ვორონკას.

ქალიშვილი კედელს ესერის ბურთს, თამაშობს, უახლოვდება ორი ახალგაზრდა კაცი

პირველი ყვანელი – დიდი ხანია, თამაშობთ?

ქალიშვილი – მე ვთამაშობ დღისით და ღამით, ზამთარსა და ზაფხულში.

მეორე ყვანელი – მე თქვენ მიყვარხართ, თქვენ რეჟინის სული გაქვთ.

თქვენ ხართ უბრალო, სიტყვასავეით უბრალო, არ მიყვარს გარსი ადამიანისა, ეს ბნელი ნარნერა, მე თქვენ მიყვარხართ.

ქალიშვილი – (ჩოგანში მალავს სახეს) გმადლობთ.

პირველი ყვანელი – ჩემზე ხომ არ ბრაზობთ?

ქალიშვილი – თქვენზე რატომ უნდა ვბრაზობდე, მე არასდროს არავის ვემდური, ვატარებ ქრელ კაბასა და რბილ ქუდს.

პირველი ყვანელი – მაჰატივით.

ქალიშვილი – რა? თქვენ ყოველთვის „ნორმალურად“ იქცევოდით.

პირველი ყვანელი – მართალია, ყოველთვის უცნობი ვიყავი, თვალთა ნაშნაში, მატარებელი უზარმაზარ სადგურში, ჭიაცელა ცარიელ მუცელში, მაგრამ ყველაფერი, ყველაფერი ეს შეიცვალა. (ხელს აიშვერს) მოვნამლაგედი ბაეშეებს ბელადონათი, გადაყრიდი რბილ გვამებს პატარა სასტუმროების ფანჯრებიდან, სადაც ავადმყოფ ხორცს განცხრომით ლეჭავენ.

ქალიშვილი ხელახლა იწყებს თამაშს, ბურთები კედელს ხედება, ერთი ბურთი კედელს აცდება და ყმანვილის ფეხებთან გაგორდება

ქალიშვილი – (პირველ ყმანვილს, რომელიც თავს ხრის) მომეცით ეგ ბურთი, გეთაყვა.

მეორე ყვანელი – აიღე, რაღას ელოდები?

პირველი ყვანელი – (იღებს ბურთს) ამაზე არ ვფიქრობდი, ცისფერი მზე შემოვიდა ჩემს კბილებში (ქალიშვილს ესერის ბურთს).

ქალიშვილი – მოდი თქ, პო, მომიახლოვდით, დიდი სამსახური უნდა ვთხოვოთ.

ორივე ახალგაზრდა გაკვირვებული სწევს ხელებს

ქალიშვილი – შეგიძლიათ, დალიოთ ჩემი თვალები თქვენი პეშვიდან?

პირველი ყვანელი – ეს ხუმრობაა. ცუდლუტი არ მეგონეთ, გამოგიტყდებით, სჯობს სევდიანი იყოთ.

ქალიშვილი – ცუდად მაფასებთ, ხალხზე გარეგნობის მიხედვით მსჯელობთ, თქვენ მხოლოდ მესამე დონეზე ხართ.

მეორე ყვანელი – იცით, რომ თქვენ ეს დიდ ტივილს მოგაყენებთ.

ქალიშვილი – დიახ.

მეორე ყვანელი – და არ გეშინიათ?

ქალიშვილი – გეშუდარებით, გეშუდარებით, ნუ წარმოთქვამთ ამ სიტყვას, ის



ყველგანაა: ხიდებზე, გზებზე, თითოეულ ჩვევგანს ეკუთვნის, როგორც საპურე. რის შიში, ამას საკუთარ თავს ვეკითხები.

მეორე ყმანვილი — დაიტანჯებით, თქვენ ამაოდ დავაძინებენ, ედელევისებში ამაოდ ჩაგძირავენ, ეთერის გზას თოჯინასავეთ ამაოდ ვავაყოლებენ.

ძალიშვილი — (პირველ ყმანვილს) ყველაფერი გაქვთ, რაც საჭიროა?

ყმანვილი — ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდება, დაიდეთ ხელი მზრებზე, დღესა და ღამეს შეუძლია შერიგდნენ, სფეროდ შეიკრან, სიცარიელე დატოვონ თქვენს გარშემო.

ძალიშვილი — და თუ ეს არაფერს შეცვლიდა, თუკი ქუჩები მინის ნამსხვრევების მსგავსი დარჩებოდა, თუკი თვალები კვლავ იცეკვებდნენ უქმად გატარებულ საათების შემდეგ.

მეორე ყმანვილი — თქვენ თითებზე ითვლით, მთაზე უნდა ასულიყავ-

ვით, გეფიცებით, არ ნაბარბაცდებოდით.

ქართული

პირველი ყმანვილი — (პირველ ყმანვილს) პირს გაალებდით როგორმე, ძალიან მარტივად.

მეორე ყმანვილი — პო, მაგრამ, მომეცით თქვენი ჩოგანი (ართმევს), მისი ბადე მთლიანად მოშვეებულია, მომჭერი არ გაქვთ, შემოძლია მოგცეთ.

ძალიშვილი — ჩემი თვალები მდინარეა, ისინი თქვენს თითებში რომ მოედინებოდნენ...

პირველი ყმანვილი — ყველაფერი კარგად იქნება, დღეს ცხელა და არ ტირით (ქურთუკის სარწულიდან იღებს ჩანთას, ხსნის)

ძალიშვილი — იჩქარეთ.

მეორე ყმანვილი მსუბუქად აბრუნებს თავს, პირველი დანას იღებს და ქალიშვილის თვალების გარშემო წრეებს ხაზავს

ძალიშვილი — აპ...

დასასრული

ფრანგულიდან თარგმნა თაბ შაიშვალაშვილმა

არტურ ადამოვის სიზმარისეული თეატრის პრაქტიკური საყვარო

არტურ ადამოვის სახელი დღესდღეობით ლიტერატურულ განსაკუთრებით კი დრამატურგულ წრეებში, ალარაისთვის არაა უცნობი. თეატრის ისტორიაში იგი XX საუკუნის 50-იანი წლების ფრანგ დრამატურგად და „ახალი თეატრის“ ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენლად მკვიდრდება.

საზოგადოების მიერ დიდი ადამიანების ამოცნობა, გაცემა და აღიარება, უშეცეს შემთხვევაში, მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ ხდება. ამ მხრივ, არც ადამოვი წარმომადგენის გამოწვევის. 1970 წელს ცხოვრებისაგან დაღლილი, განამებული დრამატურგი ყოველგვარი საპატიო წოდების გარეშე ეთხოვება ქვეყანას.

— და მაინც, ყოველთვის არიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, რომლებსაც, უტყუარი ალღოს წყალობით, შესწევთ უნარი, სათანადოდ შეაფასონ თანამედროვე ხელოვანის შემოქმედება ანდრი ვიდა, ფაქ პრევერი, რენე შარი, ევენ იონესკო, ფან ვილარი, ბერნარ ღორი, მართ რობერი, როფ ბლენი, ფაკლინ ოტრუსო, როფ პლანშონი — აი, ის გამორჩეული მოღვაწენი, რომლებიც ამწვევებდნენ არტურ ადამოვს.

„დღესდღეობით ადამოვს ის ადგილი არ უჭირავს, რომელსაც იმსახურებს, — ამბობ-

და როფ პლანშონი, — მან სიცოცხლეში ვერ პოვა აღიარება, მაგრამ მისი თეატრი ფუნდამენტურია მათთვის, ვისაც აინტერესებს თეატრალური თავგდასაღებები, ყველასთვის ვინც წერს. ისევე, როგორც არსებობენ პოეტები „მოეტებისთვის“, ადამოვი, თუკი გაეზედავ თქმას, უკვე ავტორია „ავტორთათვის“, „თეატრის მოღვაწეთათვის“. მან მისწავლა, თუ რა იყო დიდი თეატრი, ეს თეატრი, რომელიც იწინის საუკუნიდან საუკუნემდე, მარად არსებული და მარად დადინებული. მან და რამდენიმე სხვამ, რომელთა შორისაც არის მართ რობერი, საფრანგეთს გააცნეს ლენცი, გრამი, კლეისტი, კაფკა, სტრინდბერგი და, გარკვეულწილად, ეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პიესების წერა. მან ჩვენ გვასწავლა თეატრისადმი ერთგულება. დროთა განმავლობაში დაეინახათ, რომ იგი იმ იშვიათ დრამატურგთა შორის იყო, რომლებმაც გერმანული რომანტიკოსებისა და სტრინდბერგის მიერ ამაღლებული მომთხოვნელობის დონე შეინარჩუნეს“.

როფ პლანშონმა 1962 წლიდან მაკონში, კომედის თეატრში ადამოვის, იონესკოს, ენავერის, ვიტრაკის, მარლოუს, კლეისტის, შემდეგ ბრენტის (რომელიც პარიზში გაიცნო) პიესების დადგმით გაიძევა სახელჯ 1967 წელს

თავის დასთან ერთად ვილერბანის თეატრში დამკვიდრდა, ხოლო 1972 წლიდან პატრის შეროსა და რობერ ვილბერთან ერთად ეროვნული სახალხო თეატრის (DNR) თანადირექტორი გახდა.

იყო რა ადამოვის პიესების დამდგმელი რეჟისორი, როგე პლანშონი კარგად იცნობდა ავტორის შემოქმედებას და, ბეკეტის თეატრთან შედარებით, სწორედ ადამოვისეული თეატრის უპირატესობას ხედავდა:

„არსებობს უნაკლო ქმნილებები, საკუთარ თავში ჩაკეტილი. მაგალითად, ბეკეტის თეატრი გარეგნულად უფრო სრული, შეკრული და უნაკლოა, ვიდრე ადამოვის თეატრი. მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ის ხალხი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოვა, ადამოვისკენ უფრო შემობრუნდება, რომლის შემოქმედებაც ჯერ კიდევ ნყვდიადშია ჩაფლული, ვიდრე ბეკეტისკენ. სანაძლოს ვეძებ ადამოვი მნიშვნელოვანი ავტორია მომავალი თაობებისთვის. ახალგაზრდა პოეტები, ახალგაზრდა მწერლები, ახალგაზრდა დრამატურგები გადაიკითხვენ ადამოვს!“

როგე პლანშონი კიდევ უფრო შორს მიდის და სვამს კითხვას:

„ვინ ჩაუდგა სული გერმანელ ახალგაზრდობას: გოეთემ თუ ლენცმა? გოეთეს პიესები უნაკლოა; დღეს ისინი ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს. სამაგიეროდ, ვხედავთ, რომ ყველაზე დიდი გერმანელი ავტორები, იქნება ეს ბიუსონერი, ვუდეკინდი თუ ბრესტი, მთლიანად ლენცის თეატრით იყვნენ გამსჭვალულნი ლენცის შემოქმედება მათთვის ათასჯერ უფრო შთაბავნილები იყო, ვიდრე გოეთესი. გერმანელი ახალგაზრდობა გოეთეს თეატრის სრულყოფილებამ ნაკლებად შთააგონა, ვიდრე ლენცის მრყევმა და შეიძლება ცოტა იუღბლო შემოქმედებამ (თუმცა არ ვიცი, რა აქვს მის უიღბლო!“

ამრიგად, ადამოვის როლი ლიტერატურასა და თეატრში შეიძლება ლენცის როლს შევადაროთ. ადამოვს შევიღო, ლენცის მსგავსად ეთქვა: „ჩემი პიესები დარჩება მამონც კი, როდესაც თაობები ჩემს უბადრუკ ქალაზე გადაივლიან“.

როგე პლანშონის აზრით, ადამოვმა ყველაფერი მოსინჯა და გამოსცადა: „ჩვენ ვგვონია, აღმოვაჩინეთ ახალი მიწები, მაგრამ არსებობს ვიღაც, ვისაც ამ ადგილებში უკვე გაუვლია, ვისაც გაუთხრია თავისი პატარა, მალაროს დერეფანი. ადამოვი ცოტათი არის კიდევ მრავალდერეფნიანი მალარი“.

არტურ ადამოვის ყურადღებას განსაკუთრებით არაცნობიერი სამყარო იზიდავდა. ფსიქოანალიზის კარგი მცოდნე დრამატურგი ყველაზე ბუნდოვანი სფეროები –

სიზმრისა და არაცნობიერის – ახსნასა და გაგებას ცდილობდა. ასე მისი „კანკერში“ არ უნდა იყოთ, ადამოვის „შეშლილ მკვლელებს“ სიზმრისეული ატმოსფეროთა რომა დატვირთული. მისი აზრით, სამყაროს სული ყველაზე თვალსაჩინოდ სიზმარში ნარმოჩნდება. სიზმრის მდუმარებაში, როდესაც აღარაფერი ფანტავს მძინარის ყურადღებას მისი სულიერი მდგომარეობა მთელი სიცხადით ჩნდება.

„ჩენი სიზმართლე ჩვენს სიზმრებშია, ნარმოსახებაში; ყველაფერი ყოველ წუთს ამ მტკიცებას ადასტურებს. ფიქციამ წინ გაუსწრო მეცნიერებას!“ – ევენ იონესკო „შენიშვნები და კონტრ-შენიშვნები“.

ისევე, როგორც იონესკოსთვის, ადამოვისთვისაც არაცნობიერი სამყარო შთაგონების ნაყოფიერი წყაროა. საზოგადოდ მიღებული აზრის საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვითაც სიზმარი ილუზორულია, ადამოვი ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რაც გვესიზმრება, არსებობს და მასში სიზმართლესთან ერთად ჩანსელი, განმათავისუფლებელი ძალეცაა ჩადებული. ადამოვს სწამს სიზმრის კათარზისული ფუნქციისა.

ადამოვი სიზმარს იყენებს არა მხოლოდ შინაარსის, არამედ ფორმის გამოც, სადაც მოვლენები თანხედომილია, დასაშვებია მოულოდნელობები, სხვადასხვა ელემენტებს შორის კავშირი ორატორიანია.

დამდგმელი რეჟისორი, როგე ბლენი, ამბობდა: „ადამოვის თვით ყველაზე რეალისტურ პიესებსაც კი სიზმრისეული სტრუქტურა აქვთ“.

ადამოვის აზრით, თითოეული თეატრი თავისებურად სიზმრისეულია, იქნება ეს დიდი, ნამდვილი, სოციალური თეატრი თუ პატარა ეოდველი.

სიზმარსა და თეატრს შორის კავშირზე ფიქრი მუდამ თან სდევდა ადამოვს. ამ საკითხს უბრუნდება იგი 1970 წელს გამოქვეყნებულ, თავის უკანასკნელ სტატიამშიც, სახელწოდებით „თითქმის“:

„რა კავშირია სიზმარსა და თეატრს შორის? არასწორხაზოვნება რეალობასთან“.

ადამოვისთვის სიზმარი ბუნდოვანი და მისტიკური სამყაროს შეცნობის გასაღებია, კარებია, რომელიც ადამიანის წყვედიან მოცულ, შინაგან სამყაროში იღება, აფვლია, სადაც არსების რეალური სახე გამოიხატება. სწორედ ამ კარის მიღმა ხდება მეტამორფოზა.

„როგორც დამდგმელ რეჟისორს, მე სწორედ ადამოვის თეატრის დიდი, სიზმრისეული პერსპექტივის ჩვენება მაინტერესებს, – ამბობდა როგე პლანშონი, – იგი ერთადერთია, რომელმაც რეალისტური თეატრის ფა-



სადს ამოფარებულმა, დიდი სიზმრისეული თეატრი შეთხზა. ნუ დავგავიწყდება, რომ ოცდახუთი წლის მანძილზე ვერაის წარმოვდგინა რეალისტური თეატრისაგან განსხვავებული თეატრი. მაშინ ადამოვმა კონკრეტულ ადგილზე განავითარა თავისი პერსონაჟები. იგი მოუთითებდა, რომ მოქმედება ხდებოდა ოთახში... დამდგმელი რეჟისორი, დეკორატორი ფიქრობდნენ, რომ მართლაც ოთახში მიმდინარეობდა მოქმედება, მაგრამ სინამდვილეში ის სიზმარში ხდებოდა. თუ კარგად დაეუკვირდებით, დავინახავთ, რომ თითოეულ პიესაში საუბარი სიზმრისეულია. მინდა სცენაზე სწორედ ეს მეტყველება წარმოვანინო.

როდესაც, 1953 წელს, ლიონში დავდგი „მსულებლობის აზრი“, თავად ადამოვს რეალისტური დეკორაცია სურდა, მიზანსცენა კი მისი აზრის მოუხედავად, პიესის სიზმრისეულ შარეს უსვამდა ხაზს. მე კიდევ უფრო შორს წავედი იმავე წელს დადგმულ „პროფესორ ტარანტო“. ჩემი აზრით, ეს იყო პირველი „ზუსტი“ მიზანსცენა ადამოვის ტექსტზე. ის რეალისტური ადაპტაციები, რომლებსაც სხვაგან ვხედავდი, არ მასუბობდა დიალოგთა ღრმა შინაარსს.

მართლაც, ადამოვის ხელწერა, ამ შხრივ, მეტად განსაკუთრებულია. „დაპრობიდან“, მეორე პიესიდან, იგი გვიხსნის, რომ ისეთი წინადადება, როგორცაა „მე მსურს, შექონდეს საბჭოედი მანქანა“ შეიძლება, ასევე ნიშნავდეს – „მე მსურს, მყავდეს საზოგადოება“. ამრიგად, საქმე სწორად სიზმრის თეატრს ეხება, სადაც ნებისმიერ წიფთს შეუძლია სხვა საგნის სახე მიიღოს.

ადამოვისთვის ერთი რეკლიკა ოთხ ფუნქციას ასრულებდა: ის უნდა ყოფილიყო ყოველდღიური, ყოფითი წინადადება, უნდა ჰქონოდა ფსიქოანალიზთან დაკავშირებული, ფარული შინაარსი, უნდა აესახა სოციალური პრობლემები და ბოლოს უნდა აღენერა პერსონაჟი. თითოეული რეპლიკისათვის წაყენებული ოთხი მოთხოვნა, აი, ეს არის ადამოვის ამბიციკა.

აღსანიშნავია, რომ ადამოვის სიზმრისეული თეატრის ფორმაციაზე დიდი გავლენა მოახდინა სტრინდბერგის შემოქმედებამ.

„სტრინდბერგი ძლიერ დაუმეზარა... მის გარეშე თეატრში ვერ მოვიდოდი... და მის გარეშე, „სიზმრისეული“ სახელით ცნობილი მთელი ეს თეატრი, თეატრი ღამის სიზმრებისა და ხილვებისა, დარწმუნებული არ ვარ, საერთოდ, თუ იარსებებდა.“ – უთქვამს არტურ ადამოვს ერთ-ერთ რადიოინტერვიუში.

სტრინდბერგის ღრმა პესიმიზმით მოცულ მსოფლმხედველობას მრავალი საერთო აქვს ადამოვის შეხედულებებთან. სიზ-

მარი, ილუზია, უბედურება, ვოკაბილური ბრძოლა ორ სქესსა და, სწორედ ამგვარ მანქანებში შორის, – ასეთია მიხრა/მეტყველება/მეტყველება მოტყუები.

„– მეურა, რომ სწორედ სტრინდბერგმა, ან უფრო ზუსტად, „სიზმარმა“ მიზიდვა მეწერა თეატრისთვის!“ – არტურ ადამოვის „სტრინდბერგი“.

მართლაც, სტრინდბერგის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პიესა, „სიზმარი“, ის წინარმოები აღმოჩნდა, რომელმაც ყველაზე მეტად იმოქმედა ადამოვის თეატრალურ შემოქმედებაზე. გავლენა ორმაგი იყო, როგორც შინაარსის, ასევე ფორმის თვალსაზრისით.

პიესა მოგვითხრობს დედამიწაზე ღმერთი ინდრას ქალიშვილის, ანესის, მოგზაურობის შესახებ. ანესი მამის მიერაა გამოგზავნილი სპეციალური მისიით, დააკვირდეს ტანჯული ადამიანების ცხოვრებას და გაიგოს, გამართლებულია თუ არა მათი ჩივილი. მოუხედავად დედამიწის თვალწარმტაცი სილამაზისა, ანესი აქ მხოლოდ უბედურებას, ბოროტებას, მტრობას, შუღლს, ნაშენასა და იმედგაცრუებას ხედავს.

ადამიანებს, რომლებსთვისაც არ არსებობს ბედნიერება, მიაჩნიათ, რომ მათი ცხოვრება სხვა არა არის რა, თუ არა უფსკრული და იმედგაცრუებულნი ვერ ხედავენ გამოსავალს. დრო კენესასა და ოზვარში გადის, ხალხს სული ეხოუება სამყაროში, სადაც შეუძლებელია სიყვარული. მეცნიერება, მედიცინა, სამართალი და ფილოსოფია მათი ცხოვრების გაუმჯობესების ნაცვლად კიდევ უფრო ათრულებს მდგომარეობას, თესავს რა შიშს, ნუხილას და მღელვარებას.

ადამიანთა ტანჯვა არა მხოლოდ მორალურად, არამედ ფიზიკურადაც გამოიხატება. სწავლულნი კუზიანები, უხელონი არიან; ადვოკატს ფერმკრთალი, ნაოჭებით დაღარული, საოცრად მახინჯი სახე აქვს, რაც ხელომის ყველა ნაკლას და დანაშაულს ასახავს.

სიხასტკით აღსავსე სამყარო არც ანესს ინდობს და იგი მამას მოუხმობს საშველად. იმ დროს, როდესაც ანესი, ბოლოს და ბოლოს ტოვებს დედამიწას, მის თვალწინ გაივლებს სედვიან, ცნობისმოყვარე და იმედგაცრუებული ადამიანთა სახეები.

მსგავსი ნუხილთა და იმედგაცრუებითა აღსავსე ადამოვის შემოქმედებაც. ამდენად, შემთხვევითი არ არის, სტრინდბერგის პიესებს შორის ყველაზე გამორჩეულად „სიზმარი“ რომ იზიდავს ადამოვს.

სტრინდბერგის გავლენა კიდევ უფრო აშკარაა ფორმის თვალსაზრისით. თანამედროვე თეატრის ერთ-ერთმა წინამორბედმა, სტრინდბერგმა შეცვალა არსებული თეატ-

რალური ფორმა და საფუძველი ჩაუყარა ახალ დრამატურგიას. „მეს დრამატურგია“ ასე უწოდა მას გერმანელმა კრიტიკოსმა პეტერ სზონდიმ.

მთავარი პერსონაჟი ავტორის „მეს“ ნარმოადგენს და პიესაც ამ სუბიექტურობით მიმდინარეობს. სტრინდბერგის თეატრი გა-მოაყოფს და ხაზს უსვამს ყველაფერს, რაც არაცნობიერია. მის ფორმას არაფერი აქვს საერთო ნატურალისტურ თუ რეალისტურ თეატრთან, ეს არის ფორმა, რომელსაც მოგვიანებით კრიტიკოსები სიმზრისეულ თეატრად შერაცხავენ.

ადამოვი სტრინდბერგის პიესას „სიზმარი“, რომელსაც სიზმრისთვის ჩვეული, არათანმიმდევრული ფორმა აქვს, დრამატურგის ყველაზე რევოლუციურ მცდელობად მიიჩნევენ. მასში ნებისმიერი მოვლენა დასაშვებია, ყველაფერი სარწმუნოა და შესაძლებელი;

არ არსებობს დრო და სივრცე, ჯე ურლოფერთი ცნობიერება დომინირებს, ცნობიერება მძინარე ადამიანისა, რომელიც სიზმარს ხედავს. ნარმოსახვა ქარგავს ახალ მოტივებს: ნარვეი მოგონებებისა და თავსგადაშხდარი ამბებისა, განცდილი შემთხვევებისა და თავისუფალი გამოგონებებისა, აბსურდულობისა და იმპროვიზაციისა.

პიესის სტრუქტურა მთლიანად სიზმრისეულია. ბუნდოვანი და გაურკვეველია არა მხოლოდ დრო და სივრცე, არამედ უჩვეულო საგნებიც, რომლებიც პერსონაჟთა რანგშია აყვანილი კოჰკი, რომელიც იზრდება; გიგანტური, ცისფერი აკონიტი, რომელიც მისტერიულად იფურჩქნება და ქცნება.

სიზმრისეული დრამატურგიის ყველა ეს თვისება ამკარად შეინიშნება ადამოვის შემოქმედებაში და სწორედ ამიტომ მისი ქმნილებები სიზმრისეულ პიესებად აღიქმება.

თბა შაიშხელაშვილი





გალაკტიონი

ლიტერატურული პორტრეტი

... არსად მზის ქვეშ არ იქნება მომღერალი, რომელსაც არ ესუნთქა მარტობით... სული ცხოველი, სული შეციებული, რომელმაც არ იცის სითბო და ნელცივობა ან იწეის, ან იყინება, უთუოდ დაიძრდილება მარტობასა და ტანჯვაში. ეს ორი რამ ყოველთვის თანამგზავრია პოეტის, მაგრამ მოხდება ხოლმე, ზოგიერთი მას მოიშორებს მცირე ან დიდი ხნით, ზოგისთვის კი ის საშუალოა, დაუშორებელი, თან სდევს, როგორც მთვარიან ღამეს საკუთარი წრდილი და მაშინ მისთვის ყველაფერი იქარგება მარტობისა და ტანჯვის ქარგაზე, ყველაფერი ჩნდება ამ ფონზე და მკერდზეც დაედება მარტობის ორდენის ბრლიან-ტები”.

გალაკტიონის პოეტური დებოუტისადმი მიძღვნილი ტიცინ ტაბიძის წერილი „მარტობის ორდენის კავალერი“, რომლიდანაც ეს ნაწყვეტი მოვიხმეთ, 19 წელს გამოქვეყნდა. ეს ის დროა, როდესაც გალაკტიონისა და ტიცინის ბიძაშვილობა ჯერ კიდევ არ გადასულა უცნაურ მტერ-მოყვრობაში, როდესაც მათ საერთო გატაცებები, ინტერესები, იმედები და ილუზიები აერთიანებთ და კიდევ უფრო რიონის ფმანებში გატარებულ ბავშვობა. ის დღეები, ტკივილბარევი ნეუტარებით რომ გამოკრთებოდნენ ხოლმე მუხსიერებაში:

გაფრინდა ბავშვობის დღეები,
შინდერები, ჭაღები, ტყვები.
უცრად მოვიდა შავებით
სხვა ბავშვი შორეულ დაბიდან.
მწუხარე ფერხულში ჩაგებით
და თვალი ცრემლებმა დაბინდა.
ბაღაზი, მდინარე, ხეები,
დღეები, ბავშვობის დღეები.

ეს მოგახსენებთ, გალაკტიონია – მისი ხმა, მისი ინტონაცია, მისი თვლით დანახული რიონისპირა სოფელი: სწორედ აქ, ამ სოფელში – ქყეიში, ვანის მახლობლად, დაიბადა იგი 1891 წლის 17 ნოემბერს. სიხარული და თოფისსროლა არ ახლდა ამ დაბადებას. ახლადმოიღობის მამა სოფლის მასწავლებელი ვასილ ტაბიძე რამდენიმე თვით ადრე გარდაცვლილიყო ფილტვების ანთებით და თავის ჩვილ გატუნისა დედა-მისი – მაკრინე ადვიმელი ცრემლმორე-

ული, შიშით იკრავდა გულში. იქვე მოკალათებულიყო ტაბიძეების პირში, რომელსაც ხან აბესალომს ეძახდნენ, ხან პროკლეს და ამ უმწეო ბავშვების შემხედვარე ოცდაათი წლის ქალს ერთი ნატვრალა ჰქონდა – მალე დაღამებულიყო, რომ ძილში წასულს აღარ ეფიქრა, როგორ უნდა ერჩინა, ზიფთისა და სახადისათვის განერიდებინა, ფეხზე დაეყენებინა ეს ორი ობოლი ბიჭი.

გალაკტიონის მთელი არსებობა დაზაფრულია დედის მუცლიდან გამოყოლილი გამყინაფე შიშით ცხოვრებისა. და კიდევ – უპასუხო, მაგრამ მტკივანი კითხვით: სასურველ თუ არასასურველ სტუმრად მოველინა იგი ამ ქვეყანას?

ბევრი რამ გალაკტიონის ცხოვრების დრამაში – მისი მარტოსულობა, მისი ავადმყოფური უნდობლობა გარემუმოთადში, მისი გამუდმებული მცდელობა ხელისუფალთა ერთგული გულმუხატკერის ნიღბის მორგებისა, მისი მემთერალეობა და მთვარეული ხეტალი, და ბოლოს, – რა უცნაურადაც არ უნდა მოგეყენოთ, – მისი ტრაგიკული ნახტომი საავადმყოფოს ფანჯრიდან, სწორედ ბავშვობისდროინდელი შიშით აიხსნება. იმ შიშით, სიხსნა რომ უყინავს ბედისწერისაგან დევილ ადამიანს და თავის დემონთან დამალობანას თამაშით დაღლილს, თვითონვე რომ აღასრულებინებს ფატალურ განჩენს.

ხან ერთგან გამოკრთოს არსებობის ეს შიში გალაკტიონის ადრინდელ რვეულში, ხან მეორეგან. ზოგჯერ, როგორც ბარათაშვილიდან მომდინარე გასული საუკუნის პოეტური ტრადიციის გამოძახილი:

სიყმაწვილეში მე ეჭვბოდი,
როგორც ფოთოლი,
ობოლი ვიყავ მე მაშინაც, სულით ობოლი:
ყაბი მიჭროდა ახალი დღით განჩინებული,
არ მშეიდებოდა ჩემში
მაინც ვული ვნებელი.
დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის
არ შესისხ ნანა.
ნემთვის მარტოდენ უღაბნა მთელი ქვეყანა...

ზოგჯერ, როგორც დეკადანსის ეპოქისათვის ესოდენ დამახასიათებელია მელანქოლიური ავტოპორტრეტი:

სწებს ჩემი ხელი — ვით სამრეკლო ცის უდაბნოში.

— ეს 1914 წელია, ყველაზე რომანტიკული პერიოდი გალაკტიონის ცხოვრებაში, მისი პირველი წიგნისა და პირველი სიყვარულის ნიშნით აღბეჭდილი, დრო სიმბოლისტ თანამოკალმებთან მაქსიმალური სიახლოვისა.

გალაკტიონის ქვმშარიტ სიმარტოვეს და მიუსაფრობას განსაკუთრებით ცხადლივ მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დაწერილ ლექსებში ვიკარძნობთ. იქ, სადაც პოეტების მეფის სიმბოლისტური სამოხივ შემოქმადრცვა, ტაბუკური იმედებიცა და ილუზიებიც, ის პათეტკური არტისტკიზმიც, რომლითაც იგი ოდესღაც თავს ყველასაგან მიტოვებულ მეფე ლირს უდარებდა. ცხოვრების დასალიერზე, ეს მართლაც ღირი, ისევე მკაფიოდ ხედავდა თავის არაჩვეულებრივ, მაგრამ უღმობებლ ბედს, როგორც ამ მისტკური მუქით განათებულ სურათს:

მთვარის ჩრდილი ბაღს ეფინა ქარგად,
მაშინ, როცა სადღაც ხმაა თარის,
ყველაფერი არის ძლიერ კარგად —
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის.
ო, დაწმდი მოკაენ თარო,
ყოველ ქუჩის, ყოველ გზის და შარის,
შენს სიმებში მე მომწყურდა წყარო,
წყარო სწანს და წყალი არხად არის!

ახლა ჩვენს შეწყვეტილ თხრობას დაეუბრუნდეთ: გალაკტიონის ბავშვობის დღეებს, რიონის ნაპირს, საიდანაც შორეული დათოვლილი მწვერვალები მოზანს, ტაბიძეების პატარა ოდას, რომელშიც მამა-მარტენალის და კარგვის პირველმა ელდამ გაიარა და გარემემოთათვის უხილავი გაბდა. ბიჭები წერა-კითხვას სწავლობენ ნაცრით დაფარულ ფიცარზე, საღამოობით კი გატრუნულები უხმუნენ დედის ნაღვლიან ზონგურის ხმას: „... რუმ გარემოზე უცბათ ამოღის მთვარე და გააშუქებს ჩემს აიენას, ქართულ რიკულებიან აიენას და ქალს, მუხლებზე ზონგურით. მთვარის ნათელივ შეგვიძლიათ გარჩიოთ ეს ქალი. ეს დედაჩემია.“ — იგონებდა გალაკტიონი.

შაბათ-კვირაობით ქყვიშის ეკლესიის გაღვენაში მზიარულება სუფევდა: ცეკვა-თამაში, სიმღერა, შირობაში გაჯობრება, ახლად ნამოხილული გოგო-ბიჭების უბერხული ხითხითა... იქვე, შორიასლოს უმცროსები იყვნენ შეჯგუფულნი; მათ შორის — გალაკტიონიც, ცხადია. პატარაობისას, როგორც შემდგომში მისი თანატოლები იგონებდნენ, გაუბედავი ყოფილა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად (ან, ეგების, სწორედ ამი-

ტომ), ტოლ-აშხანავებში პირველიბეს ჩემელობდა თურმე, როგორც უმცირესი უმცირესად უშედეგოდ...

ახლა თვითონ შევიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ განერიდება საერთო ჟრია-მულს პატარა გაბუტული ბიჭი, როგორ აარიდებს თვალს ერთმანეთით გატაცებულ უფროსებსაც და მის გამანანვებულ თანატოლებსაც და როგორ გადაანაცვლებს მზეურას შორეული, თეთრად მოციმციმე მწვერვლებისაკენ.

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გაანდობს იგი ლექსს იმგამინდელ განწყობილებას:

და კეთხულობდი,
ყოცნებობდი,
ეზღერდი თუ ვწერდი —
მდედრენ, მესბდნენ,
მინიდავდნენ
ის მწვერვალბა...

გალაკტიონი წერს იმ ნეტარ დროზეც სიყმანვილისა, როცა ბავშვობის ბურუსიდან გამოსული, ახლა უკვე თვითონ აიღუნებოდა მონონებული კნაქა გოგოს დაბახვისას:

ალარ არის ის ჭალები,
ის მდინარე, ის სანავე,
გზებით ალარ ვიმსკვალები
პირველ გაცნობისთანავე...

ახალი, მეოცე საუკუნის დადგომა გალაკტიონის ცხოვრებაშიც ახლის მომასწავებელი იყო — 1900 წლის 1 სექტემბრიდან იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მონაფე გაბდა. ამავე სასწავლებელში სწავლობდა მისი ძმა აბესალიმი. ერთხანს მაკრინეც ქუთაისში იყო, მუღებთან, მაგრამ მერე სოფელში იხმეს — იქცოდა უპატრონოდ დარჩენილი მეურნეობა.

გალაკტიონის ერთ-ერთი თანაკლასელი იგონებდა, რომ სიყმანვილეში „მას უყვარდა განმარტობით დგომა. დაახლოებული ამხანაგები, მით უმეტეს, მეგობრები არ ჰყავდა. მეტად გულჩახვეული იყო, არ უყვარდა თავის გულისნაღების გამოსაშკარავება. დადიოდა ჩაფიქრებული, თითქოს რაღაც დიდდ ანუხებდა. ნუხილით კი, მართლაც, ანუხებდა — თავისი ობლობა“.

გალაკტიონის ეს მარტოსულობა სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. აი, რას წერდა იგი 1912 წელს თავის ახლადშეძენილ მეგობარსა და მესაიდუმულეს — იოსებ გრიშაშვილს: „აიცი, საყვარელო სოსო, ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მეპარება. სამინელი სენი მარტობისა, ესეც ხომ თავისე-



ბური ავადმყოფობაა, და, ვით სიკვდილით დასჯილი, საბრძოლელის წინ, თვალთ ვეძებ მონათესავე სულს... საშინელება!

ამ კარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტობას... – რა საოცრად პგავს ეს შწარე აღსარება ბართათაშვილის მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილს. მაგრამ ბართათაშვილისაგან განსხვავებით, გალაკტიონი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ის ურთო შესაძლებელ თუ შეუძლებ სადამე, ისიც დაეკარგა და მოემდურებინა.

იმავე გრძნობების მაგალითიც კმარა: ვის შეუძლება მისწეროს კაცმა ეგ ზომ განდობილი წერილი, ზემოთ რომ წავიკითხეთ, თუ არა ერთგულსა და გულისხმიერ ამხანაგს? და მართლაც ასე იყო – იოსებ გრძნობილი მწერალთა იმ მცირერიცხოვან ნაწილს ეკუთვნოდა, რომელნიც აფასებდნენ გალაკტიონის ტალანტს და ამავე დროს არ უფრთხობდნენ მასთან სიახლოვეს. მაგრამ იად გინდა? ძნელი წარმოსადგენია, რომ რად წლებში იმის გრძნობილი გალაკტიონი უფინის ქუთაისის ერთ-ერთ რედაქციამო: „თქვენ რომ გრძნობილის ლექსი გამოაქვეყნეთ, რაღაც ჩემსას პგავს და მანდ რომ ჩემი ლექსი გედოთ, იქიდან ხომ არ გაიდანერათ?“

გალაკტიონისათვის გარდმოვლენილ სახეჯად აღიქმება მისი ეს მანიაკალურად იტყნული ხასიათი, რადგან საზღაურად მან, შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება, უმეგობროდ გაატარა. აბლობელთაგან მხოლოდ დედის, ძმისა და ძმისშვილის – ნოდარის ერთგულებაში არ ეპარებოდა ექვთ.

ყოველივე სხვა კითხვის ნიშნებით იყო დასერილი – ის ერთადერთი საყვარულიც კი, რომელიც ჯერ აფერადებდა მის ცხოვრებას, მერე ამღერეუდა და ბოლოს საბედისწერო მორევში ჩაითრია.

„უმეგობროდ გაატარებულ ცხოვრებაზე“ რომ ვამბობდი, რაღაც ზინჯი დამჩრა და ამქვე დაუშვამტებ: ორად-ორი ადამიანი, რომელთა ურთიერთობასაც გალაკტიონთან მეტნაკლები მიახლოებით შეიძლება მეგობრობა ვუნდოთ, მან ქუთაისში გაიცნო და ორივეს აერთიანებდა აბსოლუტური უშურველობა, გალაკტიონისადმი ფანატიკური თავდადება და მისი უპირატესობის უპირობო აღიარება. ერთ-ერთი ამ მეგობართაგანი, 1924 წელს დაღუპული პროზაიკოსი მიხეილ ბოჭორიშვილი, წერდა, რომ არჩევანის შემთხვევაში საყვარელ ქალსაც კი დასთმობდა გალაკტიონის გულისათვის. მეორე, მხატვარი თეოდორე ჩუდუცი, ქუთაისიდან თბილისში გადმოსახლებული და გალიათებული, დროდადრო მიაკითხავდა გალაკტიონს, ერთად დალევდნენ, უსიტყვოდ

თვალეში შესცქეროდა და ასე შეამტრდა ერთ-ერთი...

მეგობრობა, ეტყობა, მერე-მერე მის მომენტს შეიცავს. თანახმობობაში კი გაჯობრებაც გაერევა ხოლმე, ხანდისხან – ცოტა შურიც... ყველა ჩვეულებრივი ადამიანი შეგუებულია ამას და თუ მეგობარი უძერის, ზოგიერთ რამზე უბრალოდ თვალს ხუჭავს.

აი, გალაკტიონი კი ნამდვილად არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი: ბაშევით უმწეოსა და დაბნულს ყოფით ურთიერთობებში, ეტყობა ბავშვისავე გაფაქიზებული ყნოსეა პქონდა და ინტონაციაში გაპარული ოდნავი შური, ჯიბრი ან არასაკმარისი აღტაცება საკმარისი იყო, რათა კიდევ ერთი ადამიანი ჩამოსცილებოდა მის გარემოცვას. არადა, როგორ არ შეგპურდებოდა გალაკტიონისა?!

ეტყობა, განგებას განზრახული პქონდა დიდ პიეტს მარტოდმარტოს გაველო გზა უქვედავებისაკენ, ის გზა, რომლის დასაწყისშიც იდგა ცხრამეტი წლის ქაბუკი, პედინერი, მაგრამ იმადროულად შეპკრთალი ბუდისნერის ხელის შეხებით და თავისი მომავალი ხვედრით:

**საით მოვევარ ჩემს მოწვენილ ვებს,
სად ეპოვებ შევას მოუსაფარი?
რას მომცემ ისეთს მე საქართველო,
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?..**

შესაძლოა, შემთხვევითი თანხვედრა იყოს, მაგრამ უთუოდ გენიშნებათ როგორ იმუხტება საზოგადოებრივი ატმოსფერო საუკუნეთა მიჯნაზე, მეოცე საუკუნის დასაწყისში ენებათაღელვის ერთი მიზეზთაგანი ეს ქატოლოგიურ განწყობილებათა აღზევებაში იმალებოდა: მოახლოებული წარღენისა და განკითხვის მოლოდინი არა მხოლოდ ლიტერატურას დაემწა – სიკვდილის კულტითა და მსოფლიო სეუდის მოტივებით, – ის მელანდებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც: პათეტიკური დღიურებითა და მიწერ-მოწერით, სპირიტისმის სეანსებით, არამქვეყნიური გამომეტყველებით ფოტოსურათებზე და ნახატებზე, საყვარელი პოეტების ლექსთა კრებულებში ჩატანებული გამომარი ყვავილებითა და ფოთლებით. სულიერი ცხოვრების მანიშნებელი ამ ატრიბუტებიდან უკიდურესი – თვითმკვლელობა იყო, თან, რატომღაც მაინცდამაინც კარბოლის მტავით თავის მოწამულა.

თბილისის სახულიერო სემინარია, რომელშიც გალაკტიონი 1908 წლიდან სწავლობდა, ვერ ასჯდა ამ საბედისწეროსენს: 1910 წლის იანვარში თავი მოინამლა სემინარიის ყველაზე კოლორიტულმა მონაფემ – ქურუ ქავთარა

ქემ. იგი „დემონის“ ფსევდონიმით წერდა. რამდენიმე ხნით ადრე კიდევ ერთმა მისმა ამხანაგმა სცადა იმავე კარბოლმზავის მეშვეობით გამოსალმებოდა სიცოცხლეს. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით 1909 წელს აღმანახ „პირველ ნაბიჯში“ გამოქვეყნდა საგულისხმო წერილი – „თვითმკვლელობა მონაფებში“: „აკვირდით ბოლო რიცხვებში, – წერს ავტორი, – კარბოლმის სიმკვავით თავის მონაფელა განიზრახა სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მონაფემ გალაკტიონ ტაბიძემ (ოღონდ აღმანახში გალაკტიონის სახელი და გვარი ინცივლებით არის აღნიშნული – ზ.ა.). მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდაა, მის ლექსებს განცვიფრებაში მოჰყავს მკითხველი. თუ დღეს მას ამდენი ძალა შესწევს, სრული იმედოვნია ვიქნით, რომ მომავალში უკეთესი დარჩება და ამისთანა ყმაწვილი, რომ ბედნიერი შემთხვევა არა, ნუთისოფელს უნდა გამოსალმებოდა.“

ბედის ირონიაა, რომ გალაკტიონის სიყვანავილის ყველაზე დრამატული ეპიზოდს მოჰყვა მისი ნიჭის პირველი აღიარება.

ჩვიდმეტი წლის გალაკტიონი მონუსხულივით ჩასცქეროდა 1908 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ თავის ორ ლექსს – „შავი ღრუბელი“ და „მთვარე კამკამებს“. შესაძლოა სადღაც, გულის ხილრამში თვითონაც გრძნობდა, რომ ეს სტრიქონები:

**სქელი ღრუბელი,
შავი და ბნელი,
სამშობლო შარავს გადაფარა,
სხივთა მყურელი
შისა ნათელი
ჩვენს სანუგეშოდ სჩანდა აღარა...**

– ილიასა და აკაკის პოეზიის გამოძახილი იყო და მომავალში თავისი, განუშორებელი გზა უნდა გამოეძებნა, მაგრამ გარე შემოწონი ისე გულწრფელად ულოცავდნენ, რომ სიტბოსა და აღიარებას მონატრებული ეს უპატრონო ბიჭი ბედნიერების წვერფალზე გრძნობდა თავს.

შემდგომში, თვითონ გალაკტიონი ასე იგონებდა ამ დღეებს: „როდესაც ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა, ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა რაღაც ახალი; მე მეჩვენებოდა, რომ სადღაც გაიღო კარები და მე ვინრო და ბნელ საკანიდან ამოვედი თავისუფალ ასპარეზზე და ყველგან, სადაც კი თვალი გასწვდებოდა, იყო მზე, მოძრაობა და სინათლე“.

ამგვარი ზეანუელი განწყობილება უთუოდ უადვილებდა ცხოვრებას პირველი კურსიდან გარიცხულ ყოფილ სემინარიელს, რომელსაც იმხანად მშობლიურ ქვეყნში არ ჩაესვლებოდა, – დედაც, ძმაც და ბიძაც განა-

ყენებული ჰყავდა, სხვაგანაც სახლი ქონდა, არც კარი და ახლა, გაქრცივლულ შემოდნით ხელში, ხარაგოულენაკემ, მიემხვებოდა, რათა იქვე, მანლობლად, სოფელ ფარცხნალის დაწყებით სკოლაში თედო ფორდანიას რეკომენდაციით მასწავლებლობა დაეწყო.

ის მასწავლებლობაცა და ის ხარაგოულიც, თავის სადგურიითურთ გალაკტიონის პოეზიაში ერთი მშვენიერი ლირიკული მინიატურით დარჩა:

**მასოვს ხორაგაულის
სვედიანი საფერი,
მისი ვრუ სამკალი –
აცუენული აფერი.
უშოთველი ცხოვრება,
წყნარა, როგორც გუგული;
მეხმის მოახლეობულ
ოქმავალის ვეგუნა.**

ვაგა-ფშაველასი არ იყოს, გალაკტიონის მასწავლებლობამ სოფელში დიდხანს არ გასტანა. პედაგოგობა, როგორც ეტყობა, სრულიად განსხვავებულ ხასიათს მოითხოვს.

1910-1912 წლები ის დროა, როდესაც გალაკტიონი გამუდმებულ ძიებაშია – თავისი თავის, თავისი ადგილის... ხან ქვეყნშია – „ოდისევას“ რუსული თარგმანის გადმოქართულებას ედილობს; ხან თბილისში – აქ იოსებ იმედაშვილის ახლადდაარსებულ „თეატრსა და ცხოვრებაში“ ინცებს თანამშრომლობას და თავის პოეტურ სახელს კარგა ხნით უკავშირებს სწორედ ამ თურნალს; ხან ქუთაისშია – გაზეთ „კოლხიდაში“ კორექტორობს, ხოლო აღმანახ „შაშალასათვის“ იუმორესკებს წერს...

სწორედ ქუთაისთანაა დაკავშირებული გალაკტიონის ბიოგრაფიის ყველაზე რომანტიკული პერიოდი: აქ ნამოინთო და მალევე ჩაინაველა მისი პირველი გატაცების ალი – მომზიბლავმა რაისა ჩიხლაძემ უპასუხოდ დატოვა მამამისის – სუფთა წერის მასწავლებლის ყოფილი მონაფის გრძნობამოძალეებული ბარათები და ლექსები:

**როგორ მიყვარდა! მაგრამ სხუნა იმ
ტრფობის სრულის
დარჩა ჩემს გულში წაუშლელი და მოკამყა,
იმას იგორებს დიღონება დადალულ გულის...
იმ სიყვარულის მიმღერე რამე!
ვმწვილყაცობა, ვკვაილები,
სიყვლების დილის
ბურესებს იქით ვადიარება... როგორ ვწნამე!
ებლა თავს მადგას კმუნეარება მომავლის
წრდილის,
იმ სიყმაწვილის მიმღერე რამე!**



ისე, რა საოცარია პოეტური გარდასახვა: — თითქოს თმაჭალარა მოხუცი ნერდეს. არადა ეს ლექსი, რომელიც გალაკტიონს, საფიქრებელია, სწორედ პირველმა სასიყვარულო მარცხმა დაანერჩია, 1912 წლითა დათარიღებული და გალაკტიონი ამ დროს მხოლოდ 21 წლისაა.

იმავ, 1912 წელს გალაკტიონმა და ტოციანმა გაიცივნეს ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მონადე ოლია ოკუჯავა. გალაკტიონს მრავალი წლის შემდეგ ახსენდებოდა მისი ბიძაშვილის იმდღეინდელი ნათქვამი: «У неё гениальные глаза». ეს „გენიალური თვალები“ სიმშვიდეს დაუკარგავენ გალაკტიონს. მაგრამ ამჯერად მისი გრძობა უპასუხოდ არ რჩება.

ოკუჯავეების ოჯახში დიდად აღტაცებული არ იყვნენ ოლიას რომანით. სტეფანე ოკუჯავა, ექვთი ვაყისა და სამი ქალიშვილის მამა, შეიღებს „ანარქისტებს“ ეძახდა და უკვე შეგუებული იყო, რომ ხან საიდუმლო კრებებს აწყობდნენ, ხან პროკლამაციებს ნერდნენ, მაგრამ მისმა ქალიშვილმა მაინცდამაინც ღარიბსა და ერთობ უცნაურ პოეტზე რომ შეაჩერა არჩევანი, ეს აღარ მოელოა...

ოლია ქუთაისს განარიდეს და ქიათურაში გაუშვეს მასწავლებლად. ახლა, შეყვარებულებს ისლა დარჩენოდათ, წერილებით ენუგუმებინათ ერთმანეთი, ან თავისი გულისაღებუ დღიურისათვის გაენდოთ: „ძვირფასო ალბომო, მრცხვენია, მრცხვენია შენი, ჩემო ერთადერთო მეგობარო, — ნერდა ოლია ოკუჯავა თავის დღიურში 1913 წლის 5 დეკემბერს, — მაგრამ გამოგე, მე ის მიყვარს... რას აკეთებს, რატომ სდუმს, რატომ მტანჯავს? დავილაღე, მეტი აღარ შემიძლია, ავად ვარ, ცრემლები ასეულებს ჩემს ოთახს...“

იმავ დეკემბრის ბოლოს ოლია ქუთაისიდან გალაკტიონის წერილს იღებს: „ამალამ საათზე გაედივარ ქუთაისიდან... გაედივარ რალაც მწარე წინათგრძნობით. მგონია, თითქოს საზუამოდ ვემშვიდობები ქუთაისის არემარეს, გული ტანჯვით მეკუთხება, უსახობსა და მარტობას ვგრძნობ... გესმის, ოლია, ბავშვობიდანვე მწამდა ბედისწერა, შოირა, როგორც ეძახიან, — ფატალიზმი. იგი ჩემი მუდმივი მტერი იყო... მე არ მახსოვს მისგან რაიმე კეთილი საქმე. ხვალინდელი დღე ჩემთვის არ ვიცი, როგორი იქნება... მაგრამ ჩემი მტერი, ჩემი ბედისწერა, უფთოდ აქაც თავისას დამმართებს...“

როგორ ამჩნევია ამ დღიურებსა და წერილებს დროის დაღი — ის ზეანეული და პათეტიკური დრამატიზმი, ის სიტყვაწარადობა, რომელიც, ურთიერთობის იმგამინდელი მანერა თუ არ იცით, საერთოდ დაგაუქვებთ ამ შეყვარებულების გულწრფელობაში.

ღეთის მადლით, გალაკტიონს შეეძლო საყვარელ ქალთან პირველწყვიტვამტვცვა ლექსად გამოეთქვა: *მზღნირთქს*

უსიყვარულო

შე არ სუფევს ციხ კამარზე.

სიი არ დაქტრის, ტვე არ კრთება

სისიზარულოდ...

უსიყვარულოდ არ არსებობს

არც სიღამზე.

არც უკვდავება არ არსებობს

უსიყვარულოდ...

გალაკტიონმა აქაც მისთვის ჩვეულ მისტიფიკაციას მიმართა — თავისი სიციოცხლის გაზაფხული შემოდგომად წარმოისახა, ხოლო პირველი სიყვარული — უკანასკნელად. ახლა გავიხსენოთ, რომ ეს 1914 წელია და 23 წლის გალაკტიონი, შესაძლოა, არც კი ფიქრობს, რომ ოლია ოკუჯავა მისი პირველი სიყვარული იქნება და უკანასკნელიც. იგი ახლა სასიამოვნო საქმითაა გართული — სამახსოვრო წარწერებს აკეთებს ლექსების ახლადგამოცემული კრებულის პირველ ეგზემპლარებზე. ერთი ამ წიგნთაგან მან სხვიტორში მიაართვა თავის იმგამინდელ კერძს — აკაკი წერეთელს, მეორე კი ოლიას ჩაუტანა ქიათურაში.

1914 წლის ზაფხული ქვეყნში, შემორიგებულ თავისიანებთან გატარებული, გალაკტიონისათვის იშვიათად უღრუბლო აღმოჩნდა: ლექსების პირველი წიგნის წარმატებამ სიმზნევე და ხალისი შეშმატა და პირველი მსოფლიო ომის დაწყების ამბავმაც კი ვერ დაუღრღვია სულიერი სიმშვიდე.

„მე არასოდეს, მთელი ჩემი სიციოცხლის განმავლობაში იმედნი ჩუმი და მყუდრო ბედნიერება არ გამომიცდია, რამდენიც ახლა, სოფელში ყოფნის დროს, — ნერდა გალაკტიონი ოლია ოკუჯავას, — წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტიონებასა და მოუხეშე ცხოვრებას დამორბეული, შორი, თვალუნდენელი მონდერები, იქით კიდევ მუდმივი მწვანით შემოსილი მთები... ახლა მინდერებზე სულ სიმინდია დათესილი. ალაგ-ალაგ გაუვალი ტყეებია, მათ სიგრილეში დასვენებასა და ოცნებას არა ხვლობს რა. ჩვენ სახლის მახლობლად, სულ ორმოც საფეხზე მდინარე როინი ჩამოედის. მე და ტიტე (ტიციან ტაბიძე ზეა ლაპარაკი — ზ.ა.) დღეში სამჯერ ებანაობთ ხოლმე შიგ, დილას, შუადღისას და ხალამოს. ეკათხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვანწია. შეღამებისას გავალთ როინის გაღმა ყანებში, დაესხდებით როინის პირზე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით ლენიო, თან ვსვამთ, და თან ვსაუბრობთ, ვიგონებთ ჩვენს ტრფიალებს...“

მარტოდ დარჩენილი გალაკტიონი, უთუოდ, ხანდახან მამის საფლავს მაკითხავდა ხოლმე და ასეთ ნუთებში მის ხალისიან განწყობილებას ჩემი ნალველი შეეროდა:

**ცვრან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ ვაკვირე — რაა მამული?!
წინაპართაგან წაიღია ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ფრიაბული.
გამაღა ველი ნელმა ნიაგმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის კვანძში.
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაეშვანება!
ისევ აშწანდა მძელო და კორდი!
დავდივარ... ეწუხვარ და მენანება!**

გალაკტიონის ეს ლექსი — „მამული“ 1915 წლითაა დათარიღებული. და განა მარტო „მამული“ — ამ წელსაა დაწერილი „ღურჯა ცხენები“, „მთანმიწინის მთვარე“, „ატმის ყვავილები“, „სანთელი“, „შერიგება“, „ედგარი მესამედ“, „ი.ა.“ — ხომ გახსოვთ:

**ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავუი
წერის თვალებით, თმით — მიმოხეობი.
და მწუხარების მალენიაეში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები...**

მაგრამ ყველაზე უფრო პოპულარული იმ დროს მაინც „მერი“ იყო. მთელმა ქუთაისში იცოდა, რომ გალაკტიონი არ იცნობდა მშვენიერ მერი შერვაშიძეს, მხოლოდ შორიდან ეტროფდა და ლექსებს უძღვნიდა.

ეს ლიტერატურული ტროფობა მაინც აღიზიანებდა ქიათურაში გამოშწყვეულ გალაკტიონის მიჯნურს, რომელსაც მრავლისმეტყველი ფრაზა ახსენებოდა გალაკტიონის შარშანდელი წერილიდან: „მშვენიერი ცხოურება მე ოცნებაში ვანიცადე... და რაც ოცნებაში განიცადვია მთელი არსებით, სინამდვილეში მას ეცნება რაიმე ფასი?“

ამიტომ ოლია კონკრეტულ ქალზე კი არ ეჭვიანობდა (ანდა, რა პქონდა საეჭვიანო), უფრო თავის თავზე ბრაზობდა, რომ ვერ დაინსაკურთა, ვერ მიიჯაჭვა ეს კაცი...

სულ ორი წლის შევეარებულნი იყვნენ და აი — უკვე სხვაგან ქროდა მისი რჩეულის გული და გონება, მიუნედენელ ქალს ნატრობდა და ვინ იცის, მისივე სიტყვებს თუ დაუჯერებდი, ამ ოცნებაში და ნატურაში იყო სწორედ ყველაზე ბედნიერი...

კიდევ ერთი ლექსი გალაკტიონისა გადაადიოდა ხელიდან ხელში 1915 წელს. ეს იყო „აკაკის ლანი“ — დიდი პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი. სხვათაშორის, ქუთაისელებ-

ს გალაკტიონი დამახსოვრებით აკაკის პანაშვიდზე თეთრ ხიდთან მდებარე უკლესი-ში ორი კელაპტრით ხედვით გახსოვრებული-მეტყველებით...

აკაკის გარდაცვალება და გალაკტიონის პოეტური ტალანტის იშვიათი ამოფრქვევა სიმბოლურად დაემთხვა ერთმანეთს: გალაკტიონი, თავისი ახლადგამოქვეყნებული ლექსებით, თითქოს ეშვადებოდა პოეტების მეფის გამოთავისუფლებულ ტახტზე ასახველად და საგულდაგულოდ უშაბტბდა თითო მარგალიტს თავის სამეფო გვირგვინს. აკი აირჩიეს კიდევ პოეტების მეფედ რამდენიმე წლის შემდეგ...

„გალაკტიონი და რევოლუცია“ — ჩვენ მოგვინებს მიუბრუნდეთ ამ თემაზე რევოლუცია შემოიჭრა გალაკტიონის ცხოვრებაში — ჯერ, როგორც „განახლების ხარი“, მალემწმენი რომანტიკოსების ყურთასმენის დამატკობელი, მერე კი — ვით ხარი საბუდისწერო“ — შორივი მხხვერპლისა და ტრაგედის მათწყებელი...

გალაკტიონის მიმართება რევოლუციასთან, შესაძლოა, ნაკლებ დრამატული ყოფილიყო, ოკუჯაეების ოჯახი რომ არა.

გალაკტიონი და ოლია ოკუჯაეა რევოლუციის წინა წელს დაქორწინდნენ (გალაკტიონი მამის ოცდახუთი წლისა იყო) და მოსკოვში წაივადნენ სასწავლებლად. ეს ოლიას იდეა გახლდათ. მას თვალზე ცრემლი ერეოდა, როცა ახსენებოდა გალაკტიონის ფარული ნატვრის ამსახველი ერთი თვითნაკეთი აფიშა: „პარიფის უნივერსიტეტის სტუდენტი გალაკტიონ ტაბიძე ნაიკითხავს ლექციას“ ან კიდევ გალაკტიონისსავე მონერიონ ქიათურაში: „უხედი ნაფუბული მოვა. ჩამოვლენ სტუდენტები და კურსისტები რუსეთიდან, საზღვარგარეთიდან. ააჭრელებენ მთელ ქუთაისს და პირდაპირ შამით აგვესება ადამიანს გული მათი ცქერით...“ მეორე შესაძლო მიზეზი, რომლის გამოც ოლიას მოსკოვისკენ უნებურად გული — მისი რუსული აღზრდა-განათლება იყო.

ესოდენ ნანატრ სტუდენტობას გალაკტიონი მაინც ვერ ეღირსა. მოსკოვიდან უსახსრობის გამო უკან გამობრუნებული, თავის გუშინდელ თანამოკალმებთან და თანამოაზრეებთან — ტყვიანთან და დანარჩენ „ცისფერყვანებლებთან“ უბრად მყოფი, მთელ ქვეყანაზე განანყნებული, — იგი შესანიშნავი მშენებელი აღმოჩნდა ოკუჯაეების მოუსვენარი ოჯახის რევოლუციური ტირადებისა.

როდესაც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა უფულობის გამო ვერც სასწავლებლად ნახულხარ, ვერც საყვარელი ქალის სანახავად, ვერც წივი გამოვიცა შენი ნებით და ვერც პალტო გიყიდა, კი შეხედავ შური მდიდრუ-



ლი ქალებით გაჩირადნებულ ფანჯრებს, კრილა ფაეტონებს, უცხოეთიდან ჩამოსულ, გაღაღებულ სტუდენტებს და კი ინატრებ გულში - ეინმემ ხელის ერთი და კვრით ააყი-რაავის ეს უსამართლოდ მოწყობილი ქვეყანა.

ამიტომაც ძნელია ეჭვის მეტანა გალაკტიონის ადრინდელი რევოლუციური ლექსების გულწრფელ პათოსში:

**ამხანაგებო! განახლების ხარმა დარეკა,
ტახტი დაეცა და იმედად ქუჩაზე დგება:
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!**

არც ერთი იქნება, არც მეორე და არც მესამე. მაგრამ ჩვენ ხომ ასე ხშირად გვინდა სასურველი არსებულად ჩავთვალოთ და ზოგჯერ მთელი ცხოვრება ეუნდებით ჩვენთვის მოუღებელი ქვეშარიტების აღიარებას.

როდესაც გალაკტიონმა ოლიას მეორეჯერ ჩააკითხა მოსკოვში, ოქტომბრის რევოლუცია უკვე მომხდარი იყო. სამშობლოში იგი დაბრუნდა ერთნემესტრიანი სარევისორი კურსების მსმენელის მონაპოვით და მისი უბადლო ნიჭისა და გაუფანტავი ილუზიების გამოშხატეული ლექსით:

**გვით „დაღანდი“ მოუღიოდი სამშობლოსკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს
დარდად ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი ვეხებით
ველარ მივაგენ
და არ მახსოვდა: მჭონდა იგი თუ მომავონდა?**

გალაკტიონის იმდროინდელი პორტრეტი გრიგოლ რობაქიძის ჩაუნიშნავს: „გალაკტიონი იყო თავისებური ყოველმხრივ... ემჩნეოდა უხერხულობა, თვითონაც ამჩნევდა ამას... მორცხეობა კიდევ უფრო ამძაფრებდა მის უხერხულობას. შემოგეფრქვეოდა ხალისით, გადამეტებული ხალისით - „მეტრ“ აქ გამოწვეული იყო ალბათ ნდობით უხერხულობის დაფარვისა“.

ახლა თვითონ გალაკტიონს მოეუსმინოთ: „არსად არ ვგრძნობ ისე ობლად და მარტო თავს, როგორც სხვასთან, თუნდა საზოგადოებაში“, - ნერდა იგი თავის სიყრმის მეგობარს მიხილ ბოჭორიშვილს.

1919 წლიდან გალაკტიონი თბილისში დასახლდა. ამავე წელს გამოდის მისი ლექსების მეორე კრებული - „არტისტული ყვაილები“, რომლითაც გალაკტიონი ერთხელ და სამუდამოდ იმკვიდრებს ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფის სახელს. სიმბოლური დაფნის გვირგვინით, იგი, როგორც ეთჰეით, 1921 წლის იანვარში შეამკეს.

„გალაკტიონი უკვე სახელმწიფევილი მგოსანია, რომლის ქიშპობაც არც თუ ვგრე

ადვილია, იგი ჩვენის გრძნობადა თვეთი მეფეა“, - ნერდა „არტისტულ ლექსებში“ აღტაცებულ იოსებ იმედაშვილს, რომელსაც ნებში თითქმის უცნობმა აეტროსმა - ივანე იოსელიანმა სიტაბუკისდროინდელმა ამხანაგმა პოეტისა, ყველაზე გაბედულად განტყრიტა მისი მომავალი და თავის სტატისის სათაურად „გენიალური გალაკტიონი“ უწოდა.

„არტისტული ყვაილები“ ინყებოდა ლექსით - „შემოდგომა უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“. გალაკტიონმა უცთომილად აირჩია სწორედ ის ახალი შედეგრი, რომელშიც მისი ხელოვნების მაგია სრულყოფილად იყო გამოვლენილი: მას სიტყვაც არ დაუძრავს არც მხოფლო სვედაზე, არც თავის დაღლილ სულზე; ნაცვლად ამისა, სტუმრობამ მამათა სავანეში, გალაკტიონისავე თქმით, ახალი ათონის მახლობლად, დატოვა მის, მართლაც არაჩვეულებრი ლექსში რალაც საკრალურ საიდუმლოსთან თანახმარობისა და მოახლოებული ხიფათის ის შეგრძნება, ყოველთვის რომ ახლავს თან სიკედელობის დანყვილებულ სილაამაზეს:

**ამ მათს, ამ ივნისს, ამ ივლისს
გადირეკს ნოემბრის ბაღები.
მზურვალე ვნებები გამოვლის,
სასახლის ჩაჭრება ჭაღები.
დარჩება აუხთან სანდალი
და ტყელი ფოთლები, ყვითელი...
რომანზე ისვენებს შინდალი,
რომანში - შეშლილი სკეთილი.
ეწვევი განდგილ მამათა
„უმანკო ჩასახეს“ სავანეს:
იქ შავი თოვლით დამათოვს
ჭვარტლი და ბურუსი თავანის.
სიმკაცრით შემხედავს სამწვნი
თვალევი შერული კამრის:
ჯვარს ეცეი, თუ ვინდა! საშველი
არ არს, არ არს, არ არს!..**

დაეუბრუნდეთ ამ საოცარი ლექსის აეტორს, ამ მარტოსულ ადამიანს, რომელიც ახლადდამთავრებულ ხელნაწერს ჩაცქერის და არ იცის - ვის ნაუკითხოს? მისი ლექსების პირველი და ერთგული მსმენელი - ოლია მოსკოვშია, დედა და აბესალომი - სოფლად არიან, მიხა ბოჭორიშვილი - ქუთაისში... სხვა ვინ მოიცილის მაინცდამაინც ახლა, ამ წამს მისი სიხარულის გასაზიარებლად?..

„სად უნდა ნაეიდე არ ვიცი, არც ერთი მეგობარი, არც ერთი ოჯახი ტფილისში...“ - რეფრენად ფლერს გალაკტიონის ჩანანერგება და დლიურებში.

ოლია თბილისში უკვე განახტოების შემდეგ ჩამოდის, 1921 წელს. გალაკტიონი

მას დახედა დაფნის გვირგვინით, მაგრამ უფულოდ, უბინაოდ და უსამსახუროდ. ცოლ-ქმარი დროებით მწერალთა სასახლეში შეიხიზნა. ექვსი წლის შემდეგ „პოეტების შეფეს“, როგორც იქნა, ერთი პატარა ბინა აღიწესეს –

კრილოვის ქუჩა 10

აქ ჩემს მესამე სართულს
მთვარე ანათებს ღამით,
განთიადამღის ვწუწვარ
ლიტერატურულ შხამით.

1935 წლიდან გალაკტიონი და ოლია მარჯანიშვილის ქუჩაზე დასახლდნენ, ოთხ ნომერში, თეატრის გვერდით. ორივე მაიმუდებელ ნიშნად თვლიდა, რომ სახელმწიფო გამომცემლობა, „სახელგამი“, რომელშიც გალაკტიონის ნიგნები იბეჭდებოდა, მათი ქუჩის გადაღმა მხარეს იყო.

თბილისში დაბრუნებულ ოლიას პირველი მსხვერპლი რევოლუციისათვის უკვე გაღებულ ჰქონდა: ლენინურ შაბათობაზე დაზიანებული მარჯვნივ ხელი ნელინელ გაუხმა. ამ ავბედითმა ნიშანმა მაინც ვერ დააოკა მისი საზოგადოებრივი ტემპერამენტი: ხან კრებაზე იყო, ხან მიტინგზე... სამსახურით ჯერ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მუშაობდა (ეს მაშინ მაკონტროლებელი ორგანო გახლდათ), მერე – უმაღლეს სახამართლოში. გახშირდა ურთიერთმდურჯა და საყვედური.

ღვთისნიერი აბესალოში ყველანაირად ცდილობდა დამდურებული ცოლ-ქმრის შერეგებას: სთქვენ ქვეყანი ქალი ხართ და გალაკტიონის შესახებაც გვექვებით შემდგარი ერთგვარი აზრი, – ნერდა იგი თავის რძალს, – უმთავრესი ის არის, რომ მას ისე ვერ გავეზომავთ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს: „პოეზია უშირველეს ყოვლისა“ და გარეშე პოეზიისა, ოცნებისა და მალა-მალა ფრენისა მას არაფერი აინტერესებს. დიდებულა იგი, როცა მალა დაფრინავს, მხოლოდ სასაცილოა, როდესაც ძირს ეშვება და ჩვეულებრივი ადამიანის სახეს იღებს. ამიტომ, დაო, ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ, თუ იგი გვიყვარს. მაინც უნდა გვიყვარდეს ეს უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრყვილო ბავშვი“.

ისე კი, დამძვივებულ გულზე, დილით, როცა ოლია ფანჯრიდან თვალს აყოლებდა ილიაში ხელნაწერბამოჭრილ, „სახელგამისაკენ“ მიმავალ გალაკტიონს, უთუოდ ფიქრობდა, რომ მისი ახირებული და იჭენეული ზნაიათიც, მისი ცხოვრებისეული უშენობაცა და მემთვრალიობაც ამოუხსნელად იყო დაკავშირებული მისსავე ყველაზე ფაქტურ ნედომებთან. ვინ იცის. ნინდაბედულო-

ბით, სიფხიზლითა და სიმარჯვეთირომ დამძიმებულიყო მისი ფრთაზეც? მუხუჭე ყუქარ დაემგზავრებოდა ასეთივე წაუწყობელი მადათოვიდან მოზაბურ ქარს:

ღამით ძლიერი წვიმა მოვიდა,
დილით სიცივე იყო ფარული,
პბურავდა ქარი მადათოვიდან,
როგორც სიცილილი და სიყვარული.
მაგრამ მზეც იყო რბილი და მკრთალი,
სიცივითვე, ნება ზეთა კედლობისა,
მე პოეზიით ვიყავი მთვრალი,
დღე იყო ისევე შემოდგომისა.

ქალური გუმანით ოლია გრძნობდა უბილავი მოქიშპეების არსებობას და ზოგჯერ, გალაკტიონის ხელნაწერების გადარჩევისას – ძველი რეგულაციების, აფიშების, ღია ბარათების, ბლოკნოტების გროვაში აღმოაჩენდა რასმეს, თავისი ექვების დამადასტურებელს. მაგალითად: „ხელს ვანერ იმამი, რომ ჩემი საკუთარი სული მივციდე რესპუბლიკის სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს. თამარ ჩუჩულაშვილი“. ანდა ამგვარ ჩანანერს – „ალექსანდრამ ამიხსნა სიყვარული... კარგია, როცა ღამაში ქალი სიყვარულს გიხსნის“.

ამ გახსენებაზე: გალაკტიონი იწერდა ყველაფერს და წერდა ყველაფერზე – პაპიროსის კოლოფებზე, აფიშების არშიებზე, დუბუშების ბლანკებზე და კონვერტებზე. კონოთეატრის ბილეთებზე. ამასთანავე, მას, ეტყობა, ავადმყოფურად უჭირდა საერთოდ რაიმე ქალადის გადაგდება. ამას უკვე ვედარ ახსნით მისი არქივის მოშავალ მკვლევარებზე ფიქრით, პირიქით, – საქმე გაურთულა მათ. მე ზოხბელს რომ დაეტოვებინა კარებში ბარათი: „სადილზე გეპატივებითო“ – იმ ქალადის ნაგლეჯსაც კი ვერ ელყოდა.

რა შიშმა, რა ზენოლამ უნდა აიძულოს ამგვარი ტიპის ადამიანი, რომ უკვე ოცდაათი წლისამ მთელი თავისი ახალგაზრდობის დროინდელი არქივი დაწვას? ყოველივე, ალბათ უფრო გასაგები იქნება, თუ დაეხსენით, რომ ეს 1921 წლის თებერვალში ხდება: „დავკარგე, გავანადგურე ყველაფერი, რაც მინერია ბავშვობიდანვე, სუყველაფერი. არაბადეს არ მიგრძენია რაიმე მსგავსი... თითქოს მომკვდარიყო ჩემი სიყმანელი...“

გალაკტიონზე, გულახდილი – არ ითქმოდა. თვითონვე აღმოხდა სიმწრით ერთ თავის ჩანანერში: „მე თურმე, მთელ დედამიწის ზურგზე არ შემძლება არავისთან გულწრფელი საუბარი... ეს ჩემი გულის ღრმა ტრაგედიაა შეადგენს.“ ქვეშრიატად გულახდილი იგი, ეტყობა, მხოლოდ ქალადულასა და კალამთან მარტოდმარტო დარჩენილი იყო. იმ ქალადთან, ახლა ფერფლად



რომ იქცა და თებერვლის სუსხიანმა ქარმა გალაკტიონის იმედებთან ერთად რომ მიმოფანტა.

„პოეტების მეფეს“ საბჭოთა საქართველოში წარსულს რევოლუციური უნდა ჰქონოდა და ვინ იცის, ეგებ სწორედ დამწვარი არქივი უშლიდა ხელს ვალაკტიონის ამ წარსულის ზელახალ ძერწვაში, სულის სიღრმეში კი ბუდობდა გამყინავი, ბავშვობიდან გამოყოფილი არსებობის შიში, სრულ გულახდილობას ახლა უკვე ლექსებში და დღიურებშიც რომ უკრძალავდა... მხოლოდ ხანდახან, ძალზედ გამწარებულს, სძლევა მისი ჯიუტი ხასიათი, მისი ქართული გენი და აღმოჩნდება:

**რაა მამე ვულხაწყევიტ
მეტეხო და დიღის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე:
ეს არ არის საქართველო;
არის ხალხი, რეინებები,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო.**

ასეთი გაორებით დაიწყო ახალი პერიოდი გალაკტიონის ცხოვრებისა.

ოციან წლებში ჯერ კიდევ იგრძნობოდა დემოკრატიული საქართველოს თავისუფალი ცხოვრების ინერცია: ახალი ხელისუფლება მწერლებსაგან თავდაპირველად მხოლოდ ლოიალობის გაცხადებას მოითხოვდა.

ეს ინერცია გალაკტიონის ბიოგრაფიასაც დაემშინა: უკვე ივნისში 1921 წლისა გაიმართა მისი პოეზიის საღამო ოპერაში, შემდეგომ – რუსთაველის თეატრში, იმავე ხანებში იგი თაოსნობს უურნალ „ლომისის“ გამოცემას, აკაკის ნაბაძეთი უშვებს „გალაკტიონ ტაბიძის ფურნალს“ და ასე შემდეგ.

მაგრამ ცოტა ხანში გალაკტიონის ცხოვრება ახალი დიღების წინაშე აყენებს: სისხლში ჩაიხრჩობა 1924 წლის აჯანყება, წინასწარ გამზადებულ სასაკლავოში ჩაიხრცება ქართველების ერთი საუკეთესო ნაწილი და ამ მსხვერპლთან ერთად, გალაკტიონის თანამედროვეთათვის საუშუალოდ დასაპარდებო და კარგული თავისუფლების ბრძოლით მოპოვების იდეა.

სისხლიანი და სასტიკის ანგარიშსწორება იმიტომაცაა ჩაფიქრებული და განხორციელებული, რომ დარჩენილნი და გადარჩენილნი შეაძრწუნოს და დაამინოს, გადააინყოს ერთხელ ნათქვამი: „ნეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული, ძაფი ნურვის არ არის ჩემში არაპოეტის“. გალაკტიონის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტ წამს მასში კვლავ რაღაც სიჯიუტით იღვიძებს გულდასერილი ქართველი:

**დავდგე იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგეფსტოქენული
ახალ ვროგალებს ვწირავი საყურებებს
ჩვენ, პოეტები საქართველოს!**

ბედის ირონიაა, რომ ამ ლექსს, გადასწორებული თარიღით გამოქვეყნებულს, თაობებს ახნავლიდნენ და აზუპირებინებდნენ, როგორც საბჭოთა ლირიკის ნიმუშს. იმავე წინებში და სახელმძღვანელოებში, ცხადია დუმილით იყო ავლილი ისიც, რომ გალაკტიონის ლირიკულ პოემაში „მოგონებანი იმ დღეებისა, როცა იელვა“, სწორედ 1924 წლის აჯანყება ნაგულისხმევი, ხოლო ერთ ბრწყინვალე წყებაში იმდროინდელი ლექსებისა: „სამშობლო მძვი ლიუციფერის“, „ბრმა ცალი თვალით“, „მშობლონი ეფემერა“ – მისი ხელშეპირკალი სამშობლოს თავისუფლება გამოტყობილი:

**ვეღარ გცნობილობ მშობლორ ხეებს —
ზამთარს ბილიყ დაუტანია...
„დიდი ხანია?“ — მიემართავ ტყეებს,
და ტყე ვუგუნებს: დიდი ხანია...
შეხავებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიდაც კუნების დიდი ხანია.
„ამირანია?“ — მიემართავ ტყეებს,
და ტყე ვუგუნებს: ამირანია!...
ეს მძაფრი კენესა მინაშლავს დღეებს,
ეს გული ისევ ჩემი ველია...
„დაკარგულია?“ — მიემართავ ტყეებს,
და ტყე ვუგუნებს: დაკარგულია...**

მაგრამ, გამოხდა ხანი და ამირანის „მძაფრი კენესა“ ყოველდღიური ცხოვრების ხმაურმა მთანთქა... 1924 წლის აჯანყების მონაწილეთაგან ერთნი მონაში იწვნენ, მეორენი – უცხოეთში გაიბიზნენ და შორს იყვნენ. აქვე ახლოს, გალაკტიონის გვერდით კი ძალას იკრებდა უმონყალო ურჩხული, ყოველდღიურ მსხვერპლს რომ ითხოვდა და ნელინელ აჩენდა თავის კლანჭებს.

გალაკტიონისათვის საუბედუროდ, მან ჩათვალა, რომ ეს მსხვერპლი სწორედ ლექსებით უნდა გაეღო: ჯერ უარისთქმით თავისი ლირიკის უნატიფესი ნაწილზე და მერე – პროლეტარი პოეტების ნაბაძეთი თუ მათ ვინაზე – მათივე ლექსიკონზე გადასვლით:

**აუწერილი გარყვნილება
და ფუფუნება —
აი, რა არის, კაბიტალო,
შენი ბუნება.**

მსგავსი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება... გაიფიქრებ: აი, ახლა რომ მყოლოდა გალაკტიონის გვერდზე ვინმე – კარგი მშრველი, ერეკლე ტატოშვილი რომ იყონი-

კო სამადამფილისათვის, ისეთი... ცოტას დააოკებდა, გამოაფხიზლებდა. შერც არ მომიკვდებოდა. გალაკტიონსათვის ზომ ავტორიტეტები არ არსებობენ! ერთი აკაკი იყო და ისიც მოკვდა.

ერთხელ, როგორღაც უცნობ ქალს კი უთქვამს მისთვის: „გვახსოვს თქვენი წინანდელი ლექსები, ეს იყო გენიალური ლექსები. მაშინ კარგი იყო, ეხლა კი — რა მოგახსენით. თქვენ თვითონ არ იცით რას სჩადებართ...“ გალაკტიონი ჩაინერვს ყოველთვის ამას და თავის შიშველ, დაუმატებს: „მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ დრო „წინანდელი ლექსების“ სამუდამოდ გაქრება“

ცოლს რას ურჩევდა, ამის წარმოსადგენად სხვა რომ არაფერი იცოდა, მისი ერთი ფრაზაც კი საკმარისია: „ლენინის მავხოლელში ინახულე, — წერს რევოლუციონერი ილი ზიეზიანი — ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებული ოლია გალაკტიონს. — უწინაშე მას, რომ დაიჭურვულიყო ყველა ბორკილი დაიმხებოდა...“ და ა.შ.

„წინანდელი ლექსები“ გალაკტიონი 1927 წელს გამოცემული კრებული გამოქვეყნდება („წარნიშვანი წიგნით“ — როგორც სიყვარულით ეძახდა თვითონ). ხანდახან, თავისთვის, კი ამოიკრუნებდა დილორში: „ეჰ, გული სხვას ფიქრობს და კალამი სხვას წერს“, მაგრამ, ამ კალამს (სხვათაშორის, მეტნილად ფანქროს წერდა) ამკარად არ ზოგავს: „უნდა დინეროს 45 ახალი ლექსი ახალი გაგებით“ — ჩაუნიშნავს ერთგან, ცალკე პოემების შინაარსს წერს, ცალკე სვეტებზე — რთიმებს, მოკლედ, რაღაც „ინდივიტურიული მეთოდით“ მუშაობს...

თუკი „მაგნებისთვის“ (როგორც იგი იტყუა) დაწერილ ლექსებს გალაკტიონი განიხილავდა არა მარტო, როგორც საარსებო წყაროს, არამედ, როგორც ლოიალობის დამადასტურებელ, თავისებურ „ხელმწიფებლობის სიგელს“, მისმა ხერხმა მხოლოდ სახანჯეროდ გაქსტა ოლია ოკუფავა ჯერ 1929 წელს გადასახლეს შუა აზიაში ორი წლით, მეორეჯერ და უკვე საბოლოოდ კი 1937-ში. ამავე წელს ოლიას ექვსი ძმიდან ხუთი დახვრიტეს (მათ შორის შალვა — მამა ბულატ ოკუფავასი).

ზარდაცემული გალაკტიონი ცოლს ემშვიდობებოდა ლექსით „უკანასკნელი მატარებელი“:

ცხოვრების ვტლის სადარებელი
საცაა გავა მატარებელი.
მიემტავრება იმედი წემი
ბედის ვარსკვლავს სადარებელა.
ვციკი, ამ წახვლას რაც ეწოდება, —
რა საჭიროა ახლა ვოდება.
მატარებლისგან რას შიშილია
ან თანაგრძნობა, ან შუკოდება?

ცხოვრების მორიგი დარტყმისაგან თავის დასაცავად გალაკტიონი კვლავ სიფრი-

ფანა ფურცლებს იფარებს — პათეტურ ლექსებს და პუბლიცისტურ პოემებს... ერთადერთი წერილით „სასურვეს ეგე ფთხი წლის განმავლობაში მანაკიდან გამოგ წავნილ ოლიას სასონარკვეთილ წერილებს. თუმცა ფულს რეგულარულად უგზავნი.“

ინეცბა ომი და ოლიას წერილებიც წყდება... თვალცრემლიანი აცქერდება გალაკტიონი ოლიას უკანასკნელ წერილს: „სახლში ყოფნა მინდა! მამაკითვ, გებვევი, ეკოცნი შენს ხელნაწერებს და წიგნებს. გალიკ. ჩემო კარგო გალიკ! — მერე გაიხსენებს, როგორ აპირებდნენ რომანის დაწერას, როგორ ეძებდა პარიზში ოლიასათვის რაიმე საწუქარს, როგორ ინერვდა ოლია ვლადიმირის ბანაკიდან — ჭეშმელისთვლიანი ბუქები არ დამიკარგო“ — გაიხსენებს და მზარედ გამოიტყობს იმ ერთად გატარებულ ოც წელს, იმ ერთადერთი ქალს, რომელმაც კიდევ გააციოსკრულია და კიდევ გაბზარა მისი ცხოვრება.

გალაკტიონი იმისაკენ იხსენებდა, როგორ წერდა მოსკოვში დარჩენილ ოლიას: „მე უკრუნებო ჩვენს ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე, განა კარგი არ არის? აჰ, ნეტავი კარგად მოუწყობოდე. მე ამის იმედი მაქვს. «Будем жить припеваеи» თუკი ყოფნა ლაპარაკი, აქ კიდევ ერთი ჩანაწერი მოიხიზოთ გალაკტიონისას: „მატერიალური მდგომარეობა ასეთია: ერთი კაპიციკ ვიხიზე არა მაქვს... პაპიროსის ფულიც კი არა მაქვს, ფეხსაცმელები დაგლეჯილია, პალტო არაა, პირივერგავიპარსე. მე ხარება ქუჩაში გაელა, ხალხში გამოჩნდა... რამდენი ტკიულოა ხელმოკლეობისაგან, რამდენი შურაკცხუცა, ტრამევის ფული რომ ამ გვექნება...“

არაა გასაკვირი, რომ ამ მარტოსულ ადამიანს „საწყალი კაცის აფთიაქ“ შეეღის — ლენინის სარდაფი, გვიანდობით, ან სისხამ დილით უყვარს ქუჩაში ბეტალი და ნაცნობებს თვალს არიდებს. „არც არიებს ეკარებოდა, მაგრამ არც არავინ იკარებდა“ — ნათქვამია ერთ მოგონებაში.

**ლენინს არ ესვამდი, ისევ დაეიწყე
დამწედა დარდი, სიგულმავიწყე.
წუალს მივეც ვეელა ია და ვარდი,
სათავანებლად წინ რომ დაეიწყე.**

ამ, ლენინის სმასთან დაკავშირებით, ერთი ნიშანდობლივი დეტალი გრიგოლ რობაქიძეს შეუნიშნავს: „ერთხელაც არ მინახავს ნადიმზე და არც მსმენია როდესმე ელხინოს მას: ჩვენებურად, ქართველურად...“

დამთავრდა ომი. გალაკტიონის თითქოს ნაკლები მიზეზი ჰქონდა ახლა ლენინის მისძალეზობა: იგი უკვე სახალხო პოეტიკი იყო, აკადემიკოსიც, ლენინის ორდენითაც დააჯილდოვეს; გამოცემასა წყალობით რაღაც ფულიც გაინდა — აგარაკი აიშენა წყნეთში, მანქანა შეიძინა.



მაგრამ ამ მოჩვენებით კეთილდღეობას სული-
ერი სიმშვიდე მაინც არ მოაქვს. განა გალაკტი-
ონის ნათქვამი არ არის: „ბეთაშოვენი და მშუდი,
დამშვიდება და ვაფა? და აფორიაქებული ფიქ-
რების ხლართში თუ რამ ნათელი გაივლევებს –
მომავალი საყოველთაო აღიარების იმედი.

ქუშთის დღესათუ არის ნათელი – რას
იტყვის ჩემზე შთამომავლობა? – იზოვებს გა-
ლაკტიონი და ჩაქირქლულს ხოლმე, ვინმე მისი
თანდასწრებით მწერაღოთა კავშირს რომ ახსე-
ნებს. „რა საქორაო, ძამიკო, კავშირი ერთი კაცი-
სათვის? იმ მწერაღოთა კავშირში, თავის მხრივ,
ქირქლულენ გალაკტიონის განცხადებაზე, სადაც
პურქტებადია ჩამოთვლილი, როგორ უნდა დაერ-
ქვას მტკიცის მარცხენა სანაპიროს გალაკტიონ-
ის სახელი (მარჯვენა – სტალინის სახელობისაჲ),
სამტრედის – ქალაქი საგალაკტიონო და ა.შ.

იმ დროისათვის (ომის შემდგომ პერიოდ-
ზეა ლაპარაკი) გალაკტიონს შეეძლო თავისი
გრანდიოზული გეგმები უკვე ოჯახის წევრე-
ბისთვისაც გაეზიარებინა – მისი ახალი მულ-
ლე ნინო კვირიკაძე ქალიშვილითურთ, გა-
ლაკტიონის გირითურთ – ნუნუთი მარჯანიშ-
ვილის ქუჩაზე დიასახლისობდა და ზოგჯერ
ნარმატებით, ზოგჯერ ნარუმატებლად ცდი-
ლობდა პოეტის აფორიაქებული ყოფა ოჯა-
ხურ კალაპოტში მოექცია.

აჲ, თბილისში მეტყველებად რომ აენყო
ცხოვრება, – სოფელში წავიდა უკუღმა: გარ-
დაიცვალა აბესალომი, – გალაკტიონის
უფროსი, მზრუნველი ძმა (სწორედ ამის შემ-
დეგ მოუშვა გალაკტიონმა წვერი) გალაკტი-
ონს ნუგეშად ისლა დარჩენოდა, რომ ძმისშვი-
ლი – ნოდარი ნაშოხარადა და ნელინელ თა-
ნამშემორებობას უწევდა.

გალაკტიონის ომის შემდგომ რვეულში
რამდენიმე, მისი ტალანტის შესაფერი ლექ-
სი გაჩნდა: „ნამყე ბეთანიისკენ“, „დარწნენ
ქვიშანი“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“,
„ასპინძა“, „მეტეხის ხიდიან“, გალაკტიონი-
სათვის საყვარელი და მტანჯველი ქალაქის
განუშვორებელი კოლორიტით:

**ქარი დენა ზვირთზე ზენის,
ყრუ ჩხრიალი დაბანანის,
ხუნი ზავის და გოვირდის,
თვალი ალა-შაჰმად ხანის...
ბანი წელში მოხრილ სახლის,
დაირის ზმა და დივანი,
ნარივალა და ირაკლის
დროინდელი აივანი...**

მაგრამ, ვაი რომ, სიკედილი – ალა-შაჰმად
ხანის ბოროტი თვალივით იცქირება
გალაკტიონის იმდროინდელი ჩანანერებიდან
და ჩანახატებიდან. აჲ ისევ გალაკტიონის
ლექსი გაგახსენდებათ:

**როგორც თვითმკვლეელი დღიურს
შლიდა ლაგვარდი – ვანებს,
ვარდებს ძინათ ტყიურს,
ტყესაც ეძინა შუანეს.**

ცხოვრების მიმწუხრს გალაკტიონი მიუ-
ახლოვდა ფიზიკურად და სულიერად მოტე-
ხილი, გადასახლებიდან არ დაბრუნებული
ცოლითა და არ დაბადებული შვილით, დარ-
დის ლეიონში ჩამკვლელი, დეენის მანიით
შეპყრობილი. თუ ამ თვალით შეხედავთ მის
ცხოვრებას, გალაკტიონის თვითმკვლელო-
ბა 1959 წლის 17 მარტს შოლოდღლა წერტი-
ლის დასმაა ერთი ხანგრძლივი ტრაგიკული
კომპიანისათვის.

მაგრამ აჲ, გალაკტიონის პორტრეტის
დასასრულს არ მინდა იგი დაგვამახსოვ-
რდეს საავადმყოფოს მოასფალტებულ ეზო-
ში გართმული... თავის სტიქიაში წარმოვიდ-
გინოთ, ზღვის ნაპირზე...

ზღვა იყო გალაკტიონის თანამოსაუბრე,
მისი პოეტური ხილვების სტიქია. ახალი იდე-
ალებით შთაბერილი იალჭიების ასპარეზიც
და იმავდროულად ყმანვილური ილუზიებით
აკიაფებული ხანთლების სამარცხ. ამ ზღვის
ტალღას მიაპობდა „დაღანდის“ ქიმი, ხოლო
ქეიშას აჩნდა მერის ნაკვალევი... აღბათ სწო-
რედ ამიტომაც, გალაკტიონის ერთ-ერთი შე-
დეერი სწორედ აქ წარმოითქვა.

არის ერთი ნაბი მზის ჩასვლისას, როდე-
საც შენამული დისკო შეჭერდება ორ სტიქიას
შორის, თითქოს ზღვისა თუ მინის მიღმა გაუ-
ჩინარება უძნელდებოდეს, თითქოს გრძნობ-
დეს, რომ ასე დამცხრალი და ელვარებადა-
კარგული მისთვის უცხო სილამაზეს იძენს:

**ქარი დაცხრა სიბოხოჭრის,
შავი ზღვიდან სიო მოჭრის,
მე ვიციქრი, როგორც ოჭრის,
ჩამავალ შუხ, ჩამავალს...
მე ვიციქრა, როგორც ქარვას,
შორითშორად ფიქით ნარვალს,
თან გაატანს ქართა ქარვას
ჩამავალ შუხ, ჩამავალს...
ო, ფიქრებო მხელელნო ტარად,
ო, ქვეულნო მტვრად და ნაცრად,
რად მიყვებით ასე შეაყრად
ჩამავალ შუხ, ჩამავალს?**

თუკი მზის ჩასვლაში, მის შენამულ ფერ-
შიც და მის გარდუეალ გაუჩინარებაშიც,
ისევე, როგორც მის მომავალ ამობრწყინე-
ბაში, – არის რალაც, მრადიული იდუმალე-
ბის მანიშნებელი, – მაშინ, ნათელხილვის
ერთ ნაშს, უკადევანო, ცისფერი სტიქიის პი-
რისპირ მდგარნი, ჩვენ დაეინახავთ, გალაკ-
ტიონის უკედაე აჩრდილს.

„ლაშქარ“-ს სახისმეტყველებასთან

ნებისმიერი დონის ლიტერატურული ანალიზი იმთავითვე გულისხმობს იმ მხატვრულ სახეთა სისტემურ განხილვას, რაც შესწავლის ობიექტად ქცეული ბელეტრისტული მოვლენის – მიმდინარეობის, მწერლის შემოქმედების თუ ცალკეული ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურსა და იდეურ ღირს ნარმოადგენს. სწორედ ამიტომაც არის, რომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სხვადასხვა ისტორიული ეტაპებისა და მიმდინარეობების კუთვნილი მწერლების მიერ შექმნილი სახისმეტყველური საშუალოების ტიპოლოგიური შედარება, რაც კვლევების პროცესის ობიექტური ხაზის საშუალებას იძლევა.

ამჯერად ჩვენი განხილვის საგანია „გველის-მჭამელისა“ და „ლაშქარს“ სახისმეტყველურ სისტემათა ტიპოლოგიური ანალიზი, რაც მათი ავტორების – ვაჟა-ფშაველასა და გრიგოლ რობაქიძეს შორის იდეურ-კონცეპტუალურ მსგავსება-განსხვავებათა და, შესაბამისად, ლიტერატურული მემკვიდრეობითობის გამოვლენის საშუალებას მოგვცემს.

ყოველ ლიტერატურულ ქმნილებას თავისი განსაკუთრებული ბედი დაჰყვება ხოლმე ხელეწილის ისტორიაში: ზოგი უზბაუროდ შემოაბიჯებს, ზოგი შუშუნასავით გაიხილავს და უმალვე ჩაიფრფლავს, ხოლო ზოგიც დიდი ხნით იპყრობს კრიტიკისა და მკითხველთა ყურადღებას, იმის მიუხედავად, როგორ შეაფასებს მას შემდგომში ლიტერატურის ისტორია. 1924 წელს დაწერილი და რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმული პიესა „ლაშქარ“ იმთავითვე იქცა მიმდინარე კულტურული ცხოვრების თითქმის ემბლემად და განსაკუთრებული პატივი დაიდება მოუპოვა როგორც ავტორს – გრიგოლ რობაქიძეს, ასევე დამდგმელს – სანდრო აბშეტელს.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ თავად მწერალი საკუთარი შემოქმედების მწვერვალად „ლაშქარს“ მიიჩნევდა: „მე არ შეგულებოდა სხვა დრამა მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც „ლაშქარსავით“ მისტერიაში გადაიქცევა, ვეძებ მის მსგავსს, ვერ მომიზიდავს. ვიმორბე, „ლაშქარ“ ერთადერთი დრამა მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც თითქოს უმჩნევად გადადის მისტერიაში. ამით აიხსნება ის ფანტასტიური გამარჯვე-

ბა მისი, რომლისდაგვარი არ გრუნებია არც ერთ პიესას: არც საქართველოში, არც რუსეთში და არც სხვაგან. ვგულისხმობ, სულ სხვა ჯურის გამარჯვებას, ვიდრე ანშლანგურს – უკანასკნელი იმეოთი არაა“ (გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბ. 1996. გვ. 25).

მწერლის ემიგრაციაში ნასელის შემდეგ „ლაშქარ“ ვაჟა-ფშაველას მიანერეს. ეს იყო სოცრეალიზმის ეპოქის მიერ ორივე მწერლის წინაშე ჩადენილი დანაშაული. გრ. რობაქიძე თავის პიესაზე მსჯელობისას ცდილობს მის შედარებას ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელთან“ და, ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე – საკუთარი ქმნილების იდეური პოზიციის ფიქსირებას. მისი სიტყვებით, „ლაშქარში“ ნარმოადგენილია ძირითადად ორი თემა. სიტყვები: ლაშქარა, ლაშქარის მამა-იძო, იშოს მამა /იძირ, მშები მურთაზ და ლანიშ. ხეესურები: მინდია, მისი მშა თორღვა. თორღვას დები მზიულა და მიაი, მათი მამა რაიბულ... მწერალი გვატყობინებს, რომ ეს მოქმედი გმირები არსად გვხვდებიან „გველის-მჭამელში“ – აქ არც ქისტების სოფელია ნარმოადგენილი და არც მწვევე სიუჟეტური სურათები. არსად ჩანს ლაშქარა, მისი სევედა და გაორება, მინდიასა და თორღვას დაპირისპირება, მინდიას ტანჯვა ლაშქარის დასწრელებს გამო, შეუდარებელი ფინალური სურათი. „ლაშქარ“ უნებურ კევანძო ტომთა შუღლისა და ძმების შუღლისა, თვითონვე ხსნის ამ კევანძს. გახსნას გადაჰყვება თან: ვითარ მსხვერპლი საკრალური. ტრაგედია მისტერიაში გადადის“ (გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, 1996. გვ. 245). ამინდის ამ დროს უყვარს არა მარტო ლაშქარა – არამედ, როგორც თავში: ყოველი არსი და დაბე: მსხვერპლად გამზადილს მისწური ნიჭი უბრუნდება. თაური ზე-პიროვნულისა იმარჯვეებს თაურზე პიროვნულისა. ვედადე ნათივ: „გველის-მჭამელის“ მინდია სხვა და „ლაშქარისი“ კიდე სხვა (იქვე, გვ. 249).

მართლაც, აშბავი, რომელსაც ვაჟა-ფშაველის-მჭამელში“ მოგვითხრობს, სრულიად განსხვავებულია „ლაშქარ“ სიუჟეტისაგან. სხვადასხვაგვარია ნაწარმოების აგების პრინციპიც და არქიტექტონიკაც.

ვაჟა-ფშაველა გენიოსია და ამიტომ მისი ნაწარმოების განჭყრეტა შეუძლებელია



ერთი კუთხით. „გველის-შქამელი“ შესახებ ჩვეულებრივ მოკვდავს მწერლის ფილოსოფიური თუ მხატვრული ხედვის შესახებ მხოლოდ საკარაულო ვერსია შეუძლია გამობატონის ის, რაც მაღალი მუზით არის შექმნილი, მასში მცირე ნაწილი მაინც აუხსნელი რჩება; უფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ძნელია ბოლომდე მოუხალოდეთ მწერლის ფანტაზიასაც კი...

რომელიღაც მაღალზნობრივი ინდივიდის ამორჩევა და მის გარშემო ან მის გამო ქმედების გაშლა ვაქვს ნაწარმოებთა არქიტექტონიკის მთავარი ასპექტია; ამდაგვარ აზროვნებას უთავსებს იგი პოემათა სიუჟეტსაც. ეს ჩანს „სტუმარ-მასპინძელში“, „ალღა და ქეთილაურში“, „პასტრიონში“, „სისხლის ძიებაში“ და, საერთოდ, ყველა ეპიკურ თხზულებაში. ერთ კაცზე აღებული ორიენტაცია მისი შემოქმედებითი ხელნერის მთავარი პრინციპია. სხვაობა ურთია: „გველის-შქამელში“ ავტორმა, სხვა პოემათაგან განსხვავებით, პროტესტის მოქცევით კი არა, საზოგადოებისათვის ყველაზე მეტად შემძრული, პასიური და უმორჩილებლობის ფორმა აირჩია. თვით ავტორის ცხოვრებისეული კრედიტსაოცრად ჰგავს მინდიას თავგადასავალს: პოეტს „მადლ-დაკარგული“ „გაცივებული გრძობით“ სიარულს ტანჯვა უჩივებია „სანეტარო საგანზე“. მისი რწმენით: „თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის, იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებებში, თავისუფლება მოქმედება, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა... აქ რა უნდა თავისუფლებას, სადაც ჩემი ნაშრომ-ნაღვანი სხვას მიაქვს?.. მინდა ეწინააღმდეგო და ნება არ შეძლება, მინდა ჩემი საკუთარი ხარჯით დაეარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებოდან... იქ ვინ ნახა თავისუფლება, ხაცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიმლიან... არც მამლურებენ, არც შავალობებენ (ვაფა-ფშაველა, ტ. V, თბ. 1961, გვ. 413). სწორედ „გველის-შქამელში“ ჩანს განსაკუთრებით მკაფიოდ ავტორის „ნდომა-მისწრაფებანი“, სურვილი თავისუფლებისა, განხორციელება „ნების“ და „აზრისა“... არსებული უსამართლოების წინააღმდეგ ვაფა-ფშაველა მხოლოდ კალმით კი არა, ყოველდღიური ცხოვრების წესით იბრძოდა. ამის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მიხეილ შამანაურის მოგონება.

„საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოგვეცხადებინა, ხეცსურეთიდან ნამოვიოდით ერთი ათასი კარგად შეიარაღებული მკობრივი ხახმატის ჯვრის დროშით, ორ წყალში დაგვხედებოდა ამდენივე ფშაველი თამარ დედოფლის დროშით... ერთმანეთს

ფიცით შევეკრებოდით: ან თავისუფალი საქართველო ან ჩვენი განყვეტა, ჩვენი შტურ და პირ ტფილისისაკენ გავერდებით ჩვენი უნდა დაი, ცხადია, თვით ვაფა უნდა ყოფილიყო (სოლ. ყუბანიევილი, თბ. 1937, გვ. 394).

აქვე გვინდა მოვიგონოთ, ვაფასა და „სატყუოს“ შორის არსებული უსიამოვნება. პოეტს „არაერთხელ უთქვამს „მე ეს ტყეები გასამდიდრებლად კი არ მინდა, მე თუ სიმდიდრე და ფუფუნება მინდოდავს, ამისათვის ბევრს სხვა საშუალებას გამოეძებნიდი. თუ გავიმარჯვე და ეს ტყეები დაეინარჩუნე, ამ ტყეებს მთლიანად ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოებას გადაეცემ, საზოგადოება კი ამ ტყეების შემოსავლით რამოდენიმე სკოლას გააგვისნის და ჩვენი საქმეც ცოტა წინ წაივა“ (იქვე, გვ. 383).

სამშობლოსათვის თავგანწირვის მზაობას ვხედებით მინდიას პიროვნებებშიც: „გველის-შქამელის“ ავტორის მსგავსად, არც მინდიას ცნობიერება თბოულობს მატერიალურ ღირებულებას, იგი სხვისთვის თავშენიერებით იღებს სიამეს. სრული პარამონია მის მოქმედებასა და სულიერ სამყაროს შორის; როცა ეს ირღვევა, მინდია განადგურებულია. ვაფა-ფშაველას „ლირიულ გმირად“ მიჩნეულ მინდიასა და მისი ავტორის სულიერ ნათესაობაზე ვრცლად ვხედებით საუბარს სპეციალურ ლიტერატურაში, ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ...

„გველის-შქამელში“ ვაფა-ფშაველასათვის დამახასიათებელი ჩვეული ფანტაზიის ფონზე, საოცარია, მაგრამ, რეალურად ხდება ნარწმუნობა, კაცობრიობის არსებობის მანძილზე, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და ყოველნაირ სახელმწიფოებრივ წყობაში კოლექტიური კანონის ძლიერებისა და მისგან აბსოლუტური თავდაუღწველობის მომენტისა, რასაც თითქმის ყველგან, გამორჩეული ინდივიდი ტრაგედიამდე მოუყვანია ან შეიძლება მიიყვანოს კიდევ. ხელოვანისათვის შემოქმედებითი აქტის მიზეზი ყოველთვის მისი ტალანტია, ხოლო საბაბი შეიძლება იყოს იმავნუსთიერი პიროვნული ან საზოგადოებრივი საერთო ყოფა, კონკრეტული ფაქტი ან განცდიდან დაბადებული ენოქია: – „გველის-შქამელის“ შექმნის წინაპირობებზე საუბარს ვრცლად ვხედებით პროფ. თუ ვეგნინძის ნაშრომში „ვაფა-ფშაველა“, სადაც ზედმინუენით არის გაანალიზებული XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ლიტერატურული პროცესების ძირითადი მიმართულებანი, ინტუიციური თეორიების ჩამოყალიბების პროცესი და ინდივიდუალიზმის ნაირ-ნაირ მოძღვრებათა საერთო და განმასხვავებელი ასპექტები. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ფაქტზე ძალდატანება იქნებოდა მტკიცება

იმისა, თითქოს ვაჭა სიმპათიით იყოს გამსჭვალული რომელიმე ინდივიდუალისტური თეორიის, მათ შორის ნიცშეს მოძღვრების მიმართაც... საინტერესოდ გვეჩვენება მკვლევარის მინიშნება იმის შესახებ, რომ „თანადროული ფილოსოფიურ-ლიტერატურული ცხოვრებისადმი ვაჭას უარყოფით მიმართულებას“ (ი. ევგენიძე, ვაჭა-ფშაველა, თბ. 1989, გვ. 392) დასაშვებია გველენის ფაქტის ძიება.

ნაირგვარ საბაბთაგან, გასათვალისწინებელია ის, რომ ვაჭა-ფშაველა ზედმინეწით იცნობდა ფოლკლორს და ხალხური სიბრძნე ხშირად მისი შთაგონების ბიძგს წარმოადგენდა. „ჩემი პოეზია ხალხში გაგონილ ორ-სამ სიტყვაზეა აშენებული“ – იგონებს პოეტი და თავად პოემის პირველწყაროდ შემდეგ ფოლკლორულ ვარიანტს ასახელებს:

– გველის-მჭამელის არაკი, რაც მე გავიგონე და რაზედაც მე აუაშენე მთელი პოემა, შემდეგია: ხეესური მინდია ზაუვარდებზე ტყვედ ქაჯებს. მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დააღონა მინდია, თავის მოკლამდე მიიყვანა, თავის მოსაკლულად გველის ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა. მისი სიბრძნე, ხალხური თქმულებით, ჩანს მცენარეების ცნობაში. თუ რომელი მცენარე რა სატყეარის ნაშალია, რადგან ყველა მცენარე თვითონ იძახის რის ნაშალიც არის და მინდიაშიც ამ მცენარეთა ენა კარგად იცის. შედეგი ამ ცოდნისა არის მინდიან გაეჭიმება, მისი ნაშალი უებარია. ხალხური თქმულება ამას იქით არ გადის, მაშასადამე, მინდიას დაცოლშვილება, ცოლთან ბაასი, ხორცის უჭმელობა თუ შეიძლება ასე ესთქვათ, მხედართმთავრული ნიჭი გველის მჭამელისა, ჩიტების ენის ცოდნა – ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის (ვაჭა-ფშაველა ტ. V, 196, გვ. 316).

უცნაურმა ფაქტმა, კერძოდ, მინდიას მიერ გველის ხორცის მიღებამ დაინტერესა ავტორი. როგორც მოუთხოვებენ, მან გადაუბრუნა ტრადიციულ გზას, სადაც გველი სიბრძნის სიმბოლოს წარმოადგენს და ამ მხრივ ორიგინალური გადაწყვეტილება შემოგვთავაზა – გასაიდუმლოებული, საშიში საფარველით მოსილი, სიბრძნის, ინსტიტუტურად ნუდომისა.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ვაჭას პოემას და პირველწყაროდ დასახელებულ თქმულეს, დაეინახავთ, რომ სოფეტურად მათ საერთო არაფერი აქვთ: გველის-მჭამელში ავტორი აყენებს მსოფლიო პრობლემას, რის გამოც პოემა მოითხოვს ფილოსო-

ფიურ კვლევას; ამგვარი სპრინტება, თუ შეიძლება ითქვას, „თავისუფლად“ მჭამელი ვარიანტი. ვფიქრობთ, რაღაც ანუ ვაჭა-ფშაველას ეს დიდებული პოემა ხალხური თქმულება ზოგადად მინდიას შესახებ არც გამოიწვევდა ცხოველ ინტერესს მკითხველის თვალში. „გველის-მჭამელში“ ჩვენს თვალში იმლება ავტორის პატრიოტული გრძობები, მსოფლიო პრობლემა: დაბაბულობა საზოგადოებასა და გამოირჩეულ პიროვნებას შორის. ვაჭა-ფშაველა პოემაში სვამს ზოგად-საკაცობრიო კითხვას: შეძლებს თუ არა, თუნდაც ღვთის მაღლით დაჯილდოებული პიროვნება საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე თავის სიმალღებე დარჩენას ან გადარჩენას? ხალხურმა თქმულებამ ვაჭას „აჩუქა“ იდეის ნაპერკალი, ხოლო ამავე ხალხის შილმა დიდებულად შეძლო ჰარკის გადახდა ხალხური სიბრძნის ნინაშე. „მინდიას“ ფოლკლორული ვარიანტები პოემის გამოქვეყნების შემდეგ იქნა შეკრებილი და, როგორც მოუთხოვებენ, ახლა ძნელი დასადგენია რა ნაშთილი პოეტმა ხალხური წყაროებიდან და რა ნაილი ხალხურმა პოეზიამ თავად ვაჭა-ფშაველას პოემიდან, ამიტომ დავუკრძნობთ თავად პოეტის მიერ დასახელებულ წყაროს და ნათელი გახდება, რომ ვაჭამ თქმულებიდან მხოლოდ გველის უჭმის ფაქტი გამოიყენა, სწორედ ეს არის ის „თითო-ორ-ორი სიტყვა“, რომელზედაც ავტორი მიგვანიშნებს.

ვაჭა-ფშაველა თავის დიდ ნინაპართა ტრადიციისამებრ პატრიოტული სულის ეკეთებით მუხტავს გმირის სამყაროს. მინდიამ აიტანა ყველაფერი, მაგრამ მისი თვით-მკვლელობამდე მისვლის საბაბი გახდა მშობელი ხალხის დამარცხება...

თუმცა, იმ საოცარ სამყაროში, რომელსაც შემოქმედის მიერ რჩეული გმირის მიმართ სიმპათია ჰქვია და მკითხველის მიერაც მისი გათავისება, შეყვანება და გმირის მხარეს დადგომა, ფაქტობრივად დამარცხება არ არსებობს, ლიტერატურაში არ არსებობს ზნეობრივი გმირი, რომელიც მკითხველის თვალში მარცხდება. ფიზიკურ განადგურება არარეალურია არ შეიძლება. ფიზიკური განადგურების ხატების ხერხი მწერლის სოფეტური მთლიანობის, ამბის თხრობის ერთ-ერთ კომპონენტს შეადგენს ხოლმე; ხოლო მწერლის იდეა – სული მებრძოლი – რეალურად მკვიდრდება მკითხველის ცნობიერებაში და ამიტომ არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ერთი – გამარჯვებული და უკვალო მინდია; დამარცხებულით არ ინტერესდებიან მეორედ, მესამედ... და არ ქმნიან მასზე ნაწარმოებებს.



გრიგოლ რობაქიძე აცხადებს: „მე არ მჭირდება არავის რკალი, იყოს იგი ვაჟახი თუ სხვისი ვისიმე, ქართველისა თუ არაქართველისა. — „ლაშარას“ არაუთარო საერთო არა აქვს ვაჟას „გველის-მჭამელთან“ — გარდა ამოსავალი მუხლისა, რომელიც, როგორც ვთქვი, ჩემი თუ არაა, არც ვაჟასია: იგი ხალხისაა“ (გრ. რობაქიძე, „ქემთოვის სიმართლე ყველაფერია“, გვ. 180).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფეტის თვალსაზრისით ეს ორი ნაწარმოები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან; შინაარსობლივად „ლაშარას“ მართლაც რომ არავითარი საერთო არა აქვს „გველის-მჭამელთან“; ოღონდ გრიგოლ რობაქიძის მიერ ყოველგვარ ლიტერატურულ მიმართებაზე უარის თქმა რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებად მიგვაჩნია. მწერალი აქ თავად იგონებს: „მინამდა და მრწამს უღრმესად, რომ ისეთი არის, როგორცაა მინდია, თავს არ მოიკლავს, უკეთ: ვერ მოიკლავს. მეორე მხრით მრწამდა და მრწამს უღრმესად, რომ ისეთი არის, როგორცაა ხალხი, არ ცდება არც ერთ მუხლში თავის ქმედითი ცხადებისა. როცა „ლაშარას“ ვქმნიდი, ორ ცეცხლს შუა ვიყავი: „მინდია ვერ მოიკლავს თავს“, ვამბობდი, „მინდია თავს იკლავს“, მეუბნებოდა ხალხი, გაუბედე ბოლოს და პირველად ჩემს სიცოცხლეში შევასწორე ხალხის ნაზრევი. დიდ ხანს მანვა ეს გულს, სიმძიმედ დიდ ხანს, დიდ ხანს.

რაოდენიმე თვის წინა წაეკითხე (პირველად) ვაჟას კრიტიკული წერილები. მათ შორის „კრიტიკა“ ბ.იპ. ვართავაგასი“. ამ წერილში ვაჟა გვითხრობს, სხვათა შორის: თურაა ხალხური თქმულებიდან „გველის მჭამელში“ და რაა მისი საკუთარი. რა აღმოჩნდა? თურმე მინდია თავს იკლავს არა ხალხური თქმულებით, არამედ ვაჟას პიროვნული მითხზვით („ქემთოვის სიმართლე ყველაფერია“, თბ. 1996, გვ. 181).

ზემოთ მოყვანილი ვრცელი ამონაწერის მიხედვით გამოდის, რომ გრ. რობაქიძეს „ლაშარას“ შექმნისას თვალწინ ედგა „გველის-მჭამელი“ და არა ხალხური თხზულება, როგორც თვითონ გვატყობინებს, ის მან „ლაშარას“ შექმნის შემდეგ ნაიკითხა, მისი აღილებს „საგანი“ სწორედ „გველის-მჭამელი“ იყო. თუმცა კი ამბობს: „პირველად ჩემს სიცოცხლეში შევასწორე ხალხის ნაზრევი“-ო, მაგრამ სინამდვილეში მან შეასწორა ვაჟას ნაზრევი. ლიტმცოდნეობის პრაქტიკიდან ცნობილია, რომ „შეიძლება მწერალი სულაც არ მისდევდეს მეორე მწერალს, არ იზიარებდეს მისი განსაზიარების პრინციპებს, ან უპირისპირებოდეს კიდევ მას, მაგრამ ამას სწორედ მისი გაელენით

აკეთებდეს, ამოსავალი მისთვის შეიძლება ეს ავტორი იყოს“ (ვლ. მინაშვილი, „მწერალთა რელი II, თბ. 1982, გვ. 47). ვინაა ეს მწერალი რედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე — რათა „ლიტერატურულ გავლენაზე საუბრისას გველენის ფართოდ გაგებულნი და ქუმარიტი მინაარსიდან... ამოვიდეთ“ (იქვე), ძირითადად ამ ნაწარმოებთა იდეურ მსგავსება-განსხვავებას მივიქცევთ ყურადღებას; გრ. რობაქიძე თავად მოგვახსენებს ამის შესახებ: „თუმცა „გველის-მჭამელი“ სხვაა და „ლაშარა“ კიდევ სხვა — მაგრამ თაური ორივესი ერთია. ესაა — მწვერვალი ხალხის ზეპირიონული შემოქმედებისა“ („ქემთოვის სიმართლე ყველაფერია“, თბ. 1996, გვ. 182).

„გველის-მჭამელის“ შექმნისას ვაჟას ძირითადი ყურადღება გადააქვს გმირის ხასიათზე, მის ტრაგედიაზე; გრ. რობაქიძემ კი ეს უჩვეულო გმირი უცვლელი თვისებით შემოიყვანა ნაწარმოებში. მინდია „გველის-მჭამელში“ გველის ხორცის მიღების შემდეგ „გამოსივრდება“, ხოლო „ლაშარაში“, ჩიტის გულისმყოფარეობის გამო. მთავარია ის კი არ არის ბუნების რომელ „კომპონენტთან“ შეხების გამო მიეცა გმირს ეს „ძალა“, მთავარია, რომ გრ. რობაქიძე მის ერთ-ერთ მთავარ და სხვათაგან სრულიად განსხვავებულ გმირს ისეთივე თვისების მქონეს გვათავაზობს, როგორც არის „გველის-მჭამელი“ მინდია — ბუნების მგრძობილი, მკურნალი, ლმობიერი და მგრძობიარე. მათი მისნობა შორს არის შავბნელი გრძნეულებისაგან. პირიქით, სიკეთის მოხსეულია ორივე; სწორედ ამ გმირის „ძალის“ თვისებაა აქ უჩვეულო, რომლის გამოც დაინტერესდა ორივე ავტორი.

ვაგაკობა და იმავედროულად გულწინაობა ორივე გმირისათვის არის დამახასიათებელი. გრ. რობაქიძის აზრით, „გველის-მჭამელში“ მინდიას თვითმკვლელობა უბედურების ტოლფასია, ხოლო „ლაშარას“ გმირი მინდია კი თავშენიერის უნარით არის დაჯილდოვებული.

ჩვენი მოსაზრებით, „გველის-მჭამელი-სეული“ მინდია რომ თავს იკლავს, ეს არ გამოიციხავს გმირის თავგანწირვის უნარს, როცა მინდია უარს აცხადებს ყოფითი პირობების შექმნა-გაუმჯობესებაზე, არ ქრის ხეს (ე.ი. არ იმარაგებს მუშას), არ ხოცავს ნადირს, რათა აქონდეს საკვები, მზადაა უანგაროდ დაეხმაროს და უმკურნალოს დაზარალებულს, ესაა სწორედ თავშენიერვა და ეს თავშენიერვა გმირის ბუნებრივი მდგომარეობაა, მისი სულიერი მოთხოვნილება. ადექტიში ადამიანის მიერ თავგანწირვა ბევრად უფრო ადეილია, ვიდრე განწინასწორებულ მდგომარეობაში თავშენიერვის წესად მი-

ღება. ვფიქრობთ, არც მინდიას თავგამეტება და თვითმკვლელობის მიზნით მტრის გარემოცვაში შეჭრა გამოირიცხავს ბოლომდე გმირის თავშეწირვის უნარს.

**„კაცი რად იკლავ ძალად თავს,
ძალად ხიკვდილი ვწადიან?
შინაში რომ იწვე მტრის ჯარში
ხომ ხედავ რასაც სწადიან“.**
(გველის-შქამელი)

„ლამარასეული“ მინდია წარბეზუბრე-
ლად ელის სიკვდილს იმოსგან. სურს თავი შეს-
წიროს სიყვარულს და ამით მშვიდობა ჩამო-
აგდოს ორ ზალბს შორის. ე.ი. თავშეწირვის
უნარი ორივე გმირისათვის არის დამაბასია-
თებელი, ხოლო, მათი, როგორც ცალკეული
პიროვნებების ტრაგედიას, რაღა თქმა უნდა,
სხვადასხვა ფინალისაკენ მიყვავართ, ნანარ-
მოებთა განსხვავებული სიუჟეტების გამო.

თავის მხრივ, საინტერესო პარალელი
ველეება ვაფა-ფშაველას პოემისა და ალ. ყაზ-
ბეგის „ხევისბერი გოჩას“ ფინალურ ეპი-
ზოდს შორის. ალ. ყაზბეგის გმირებს ერთი
საერთო ნიშანი აქვთ, რითაც ისინი ვაფას
გმირებს უაბნოვდებიან. ესაა გამძაფრებულ
გრძნობა პიროვნული ღირსების დაც-
ვისა. ისინი ფიზიკად დაგანან პიროვნული
ღირსების დაცვის სადარაჯოზე. მათი ქცე-
ვებისა და მოქმედების დამაპირობებლად
ხშირად გამოდის სწორედ ეს გრძნობა და, ამ
აზრით, იგი განმსაზღვრელ როლს ასრუ-
ლებს მინაარსობლივად ურთიერთგანსხვა-
ვებული მოქმედებების დროს“ (ელ. მინაშ-
ვილი, ვაფას კრებული II, 1982, გვ. 53) „კოფ-
ვისწამდენი“ ონისე ცდილობს თავი შეაკლას
მტერს, მაგრამ მოხვედები მას ბრძოლას გა-
მოარიდებენ და გათოკავენ. ასევე იქცევა
„კოფვისწამდენი“ მინდიაც — ცდილობს თავი
შეაკლას მტერს, მაგრამ ხევსურები მასაც
გამოარიდებენ ბრძოლას და გათოკავენ.
ორივე ავტორი მკაფიოდ ჩამოყალიბებულ
ქრისტიანულ მრწამსს ეყრდნობა თავიანთი
გმირების მოქცევითი მოტივირებისას — თავის
მოკვლას რეული უკრძალავს, მაგრამ
შემტკობებელი ვერ ზიდავს დანაშაულის
სიმძიმეს და ცდილობს „საპატიო“ მიზეზით
დათმოს სიცოცხლე. ერთი შეხედვით, თით-
ქოს ამ ორი, მართლაც სხვადასხვა ბუნების
მქონე გმირის თავგადასავალი სხვადას-
ხვაგვარად სრულდება: ხევსურები დამარ-
ცხებენ და მინდია თავს იკლავს; ხოლო გა-
მარჯვებულნი მოხვედნი დიდსულოვნად პა-
ტიებენ ონისეს და გოჩას სთხოვენ მის შენ-
დობას, მაგრამ, თუ კარგად დაუწყვირდე-
ბით, აღმოჩნდება, რომ ორივე მწერალი
ერთსა და იმავე განსაცდელს (და არა ხვედ-

რს) არგუნებს გმირებს: ონისემ კარგად იცი-
ნა მოპყვება მის აღიარებას და შეაფასა სის-
ხლით ზღას თავისი დანაშაული. მრავალჯერ
მოტივაცია ორივე გმირისა იქცევა, ონისე,
იმის მიუხედავად, რომ ერთი საკუთარი
ხმლით, ხოლო მეორე მამის ხანჯლით გან-
გმირული ასრულებს სიცოცხლეს. ერთია
ოლონდ, რომ ვაფა უფრო მკაცრია თავისი
გმირის მიმართ — მის შეცდებებს იგი სოფ-
ლის გადანვად (ე.ი. ქვეყნის დაქცევად) აფა-
სებს და განაჩენიც შესაბამისად მკაცრია —
მინდია თვითმკვლელია. მას უფლისგან მე-
ტი მიეცა და მეტიც მოეთხოვებოდა; ამ ვა-
რადეს პოემის ფინალი გვიდასტურებს:

**„ნიავც მიღ-მოღაოდა
უდაროდ, ნელის მღვრითა
და გათამამის მწენაზე
ლაღად, მოღზნით, სტყენითა“.**
(გველის-შქამელი)

ამგვარი ფინალიდან გამომდინარე, მინ-
დიას სახის სხვაგვარი ინტერპრეტაცია
ჩვენთვის შეუძლებელია.

„გველის-შქამელში“ მინდია, რომელიც
საზოგადოებისაგან თანაგრძნობას თხოუ-
ლობს, საკუთარ ოჯახში ხედება მინააღმდე-
გობას. საზოგადოებრივი უფრედი (ყოფითი
ზრუნვის საგანი), ლუპავს მას შეუგნებლად.
ცოლი — მზია ვერ „უღრმავდება“ გმირის ბუ-
ნებას. მინდიას, რომელზედაც გადმოსულია
ლეთიური მადლი ბუნებისა, ხელს ააღებინებს
მთავარ ფუნქციაზე და გმირის მიერ პირვე-
ლი შეცდომების შემდეგ ხდება მისი პიროვნუ-
ლი ნგრევა. „გველისშქამელში“ მინდია ვერ
გადაარჩენს საკუთარ ზალბს. „ლამარაში“
მინდია ვერ გადაარჩენს საყვარელ ქალს.
„გველის-შქამელის“ მინდია ფუნქციადაკარ-
გულია და თავს იკლავს, ხოლო „ლამარას“
ცოცხლად დარჩენილი გმირიც, სათავანებუ-
ლი პიროვნების დაკარგვის შემდეგ, ფუნქცი-
ადაკარგული რჩება და საეარაუდოა უბედუ-
რებამდე ისიც მივიდეს. ის ხომ ლამარას გა-
მო პერიოდულად კარგავს „მისწურ“ ნიჭს. მი-
სი ძალის ნართმევა და დაბრუნება კი ლამა-
რას სიყვარულთან არის დაკავშირებული,
როცა რაიბული ეკითხება მინდიას, როდის
ნაერთია ძალა, მინდია პასუხობს:

**„პირველბან, მგონი ჭკთართან —
ლამარა რო გაიტაცეს.
რაიბულ: ცოდნა თუ მთლად დაკარგე?!
მინდია: დრო და დრო ისევ მამდის“.**
(„ლამარა“)

ბოლოს, ლამარას გამო თავგანწირვა
უბრუნებს გმირს „ძალას“... როცა ლამარას



მოიტაცებენ, მინდია „უნარს“ კარგავს. რა დაემართება მის „ძალას“ ლაშარას სიკვდილის შემდეგ? საუარაუდოა, რომ ის მის სიყვარულთან ერთად მოკვდება და მინდია აქაც ფუნქციონირებს კარგული დარჩება.

საინტერესოდ გვეჩვენება, გრიგოლ რობაქიძის პასტორალის ცენტრალური სახის – ლაშარას – მხატვრული და სიმბოლური პარადიგმატიკის ანალიზიც „ვეულის-მჭამელის“ მზიასთან მიმართებით. ბუნებრივია, რომ პერსონაჟი, რომლის სახელიც მწერალმა პეისის სახელწოდებად აირჩია, მისი იდეური მონამხის გამოხატვის (თუ – გამოთქმის, სიტყვაში გაცხადების) ცენტრალურ მომენტად უნდა მივიჩნიოთ.

მაინც ვინ არის ლაშარა? ის ხალხის რჩეულის რჩეულია, ე.ი. მთელი სამყაროს სიყვარულის ცენტრია. ამის სიმბოლოდ მწერლის მიერ არჩეულია ქალი და არა სხვა რამ. ქალი – კულტი ქართული ცნობიერებისა. ბიბლიური ევას მსგავსად „გველის-მჭამელი“ და აქაც ქალი ლუპავს მინდიას. მან ვერ დააფასა ლეთიური მადლით ნიშანდებულ ადამიანს და სთხოვს მას მოტაცებას ანუ ძალადობას, რაც მინდიას პიროვნებისათვის სრულიად უცხოა. ლაშარა აღმოჩნდება თორღვას ხელში, ლუპავს მინდიასაც და თავსაც. უფიქრობთ, გარკვეული მიმართება შეყარდება ამ ორ ქალს შორის. ერთი მზია, თავისი „მოუხედავრობით“ ხდება გმირის ტრაგედიის დასაწყისის მიზეზი, ხოლო მეორე – ლაშარა – თავისი გაურკვეველობით, მინაგანი გაორებით, ქალური სისუსტით და მერყევი ბუნებით.

„ვეულის-მჭამელი“ ეხებათ სამშობლოსა და სამყაროსათვის არსებობისა და თავგანწირვის იდეას. მთავარი მამოძრავებელი ძალა სიყვარულია. ვფიქრობთ, ეს იდეა ამოძრავებდა გრიგოლ რობაქიძესაც „ლაშარას“ შექმნისას.

„ვეულის-მჭამელისეულ“ მინდიას მთელი სამყარო გულთი უყვარს, დაუკონკრეტებლად, „ლაშარაში“ სამყაროს აღქმის ცენტრი ქალის სიყვარულშია გასხივებული. თუ შეიძლება ასე ითქვას: ლაშარას ხელშია მინდიას „მისწური“ ძალა. ლაშარა უარყოფითი ენერჯის მატარებელია, პარამონიის დამანგრეველია; ის ლუპავს მინდიას: ლაშარა ვერ ხედავს, ვერ აცნობიერებს გმირის ფუნქციას, რომლისთვისაც ლაშარას სიყვარული მისი „მისწური თიხის“ ენერჯიაა.

როდესაც ვაჟა-ფშაველა წერს ფშავ-ხევისურეთზე, იგულისხმება საქართველო. მასთან გვხვდება მითოსისა და ქრისტიანული რელიგიის ერთდროული მოხლევავებაც. ვერც გრიგოლ რობაქიძის სიმბოლო გაექცა ამგვარ მიდგომას მოუღენის მიმართ. როცა

ავტორი „ლაშარაზე“ მსჯელობს, მოიგონებს ნარმართ ქალღმერთს, რომელიც ქალქს ლაშარა, მოიგონებს სვანულ საფრეცხმს – ლაშარიას (ნიშნავს წმ. მარიაში), ე.ი. ნანარმოების გმირის სახელის შერჩევას ავტორის სურს დაევენახოს, რომ შემთხვევითობა სრულიად გამორიცხებულია. ეს სიმბოლური სახელი არის ქართულ ნიაღში მოძიებული და დამკვიდრებული მწერლის მიერ. გრიგოლ რობაქიძის სიმბოლოებს ახასიათებს მთასაეთი პირველყოფილება, სიღამაზე და სიღამაღე „ლაშარაში“ სამშობლო მთიაზრება, ამიტომაც ხდება მის გარშემო მოქმედება. მინდიასნაირ პიროვნებას უნდა შეაყვარებოდა ვეულისგან გამორჩეული, ძვირფასი „რამ“, აქ ეს „რამ“ მატერიალიზებულია ლაშარაში და მთელი სამყაროს იერსახე აქვს.

„ხეპროვნულ არსში სიმბოლო და მითოსი თავისთავად იშვიან, სიმძვლეს აქ ადგილი არა აქვს. პიროვნულ არსში კი მათი ნარმოშობა ძნელი რამაა. ავიღოთ სიმბოლო, ვთქვათ, პოეტმა მიაგონ სიმბოლოს საგნისა. აძლიერებს იგი „სიმბოლოს“ – მაშინ „საგანი“ – იქმნალება. ხანდახან მთლად ჰქრება და სიმბოლო გამოდის უზორცო და უსისხლო (ეს საფრთხე თან სდევს სიმბოლურ პოეზიას) გაშლის პოეტი „საგანს“ და „სიმბოლოს“ თანაბარი სიძლიერით, ხოლო ისე, საგანი იქნა და სიმბოლო „აქ“, მაშინ იშვას პარალელიზმი; „სიმბოლო“ გამოდის როგორც „ოღლუსტრაცია“ (ეს საფრთხე კიდევ უფრო საზიანო, თან სდევს ყოველგვარ პოეზიას...) ხელოვანის საქმეა სძლიოს ეს ორმაგი სიმძვლე. თუ შესძლო მან საგანში ხილული და საგნისაგან გამოყვანილი „სიმბოლო“ უკაბრუნა საგნისაკენ და კვლავ „საგანად“ აქცია იგი, მაშინ ავტორი გამარჯვებული გამოდის“ – (გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, 1996. გვ. 83) „საგნის“ ქცევა „სიმბოლოდ“ ძალიან ძნელია. კიდევ უფრო ძნელია „ამბავის“ ვლინება „მითოსად“ (იქვე, გვ. 85). ავტორმა „ლაშარაში“ შეხანიშნავედ მოახერხა ეს. ნანარმოების მთავარი გმირი, რომელიც სიმბოლოდ არის ქცეული „ამბის“ მოქმედ პიროვნებად ნარმოვეიდგინა.

სიმბოლოში შეიძლება რამდენიმე რამ ერთად მოიაზროდეს, შეიძლება კონკრეტული საგნის ან მოუღენის ნაცვლად იგულისხმობოდეს ზოგადი – თუნდაც ავტორის ემოცია ან დამოკიდებულება მოუღენის მიმართ; სიმბოლოში შეიძლება იგულისხმებოდეს „რამე“ მშვენიერი, ამაღლებული და რაც უფრო ძნელი დასარქმევია მოუღენისთვის სახელი, ვფიქრობთ, მით უფრო მოსახერხებელია სიმბოლოს გამოყვანება.

ნანარმოებში ჩვენ ეხებათ ლაშარას გაიგებებს სამშობლოსთან და მერე მთელ

სამყაროსთან. დამაჯერებლობისათვის ვეყრდნობით ავტორის სიტყვებს: „დაუბრუნდეთ ლამარას“, თუნახვევარიც არ გახლდა მისი შთასახვეთგან — კალამს მოეკიდე ხელი... ამის მიზეზი შესაძლოა ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა იყო. საქართველო ემზადებოდა ამბოხებისათვის... სახტიკად უარყვოფდი ამ ნაბიჯს... ამბოხება გათავდა მარცხით... ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვემოცნებულ მოვინდომე „ლამარა“ უმაღლეს მიმებალა მტარვალთა მიმართ ვითარ ტრაგიკული მარჯი დამარცხებულთა (გრ. რობაქიძე, „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, 1996, გვ. 191).

ყოველი შემოქმედი თავისი ეპოქის შეიღია. გრ. რობაქიძემ „ლამარა“-თი უპასუხა იმ დროისათვის საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ამ დროს კი მისთვის ძვირფასი „რამ“ — სამშობლო გასაჭირში იმყოფებოდა (ესეც იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ნაწარმოების სიკუნური წარმადებისა), ასე რომ, ისევე როგორც ვაჟა-ფშაველასთან, აქაც ვიღებთ ასეთ „ფორმულას“ მთა (ლამარა) — საქართველო — მთელი სამყარო. ეს არის არსისმიერი ირადიაცია ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელისა“; მაგრამ როგორია გრიგოლ რობაქიძის საქართველო, ან სამყარო? ამ ორ ნაწარმოებს შორის არსებობს იდეური მსგავსება-განსხვავებანი, ამჯერად კი ამ უკანასკნელზე შევერდებით.

როგორც მიუთითებენ და ზემოთაც აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველას ნააზრევში საგრძნობია მითოსისა და ქრისტიანული რელიგიის ერთდროული მოზღვაება; რაც გრიგოლ რობაქიძის სიმბოლოსთვისაც არის დამახასიათებელი; ოღონდ ვაჟა „გველის-მჭამელში“, ჩვენი მოსაზრებით, შეგნებულად ვყრდნობა ქრისტიანულ რელიგიას და მითოსიც მის მიერ მხოლოდ პოეტური, „ძვირფასი თვლების“ საბადოდ აქვს გამოყენებული, გრ. რობაქიძე კი, როგორც სიმბოლისტი, ამ შემთხვევაში სულ სხვაგვარად ჭერტს დიდი წინაპრის დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ. ეს არის სწორედ იდეურ სხვაობათა თავიდათავი. „გველის-მჭამელის“ მინდია გველის ზოცის შექმნით იღებს მისწორ ნიჭს. გრიგოლ რობაქიძის ინტერპრეტაციით — „ლამარას“ მინდიას ეძლევა ეს ნიჭი სიყვარულით ჩიტის გულის გამო.

„გველის-მჭამელის“ მინდია „იცის“ და „უყვარს“ (მას) პოემა იხრება ლეონარდოსაკენ (შემეცნება ქმნის სიყვარულს) (გრ. რობაქიძე, იქვე, გვ. 248).

„ლამარას“ მინდიას უყვარს და იცის (მან) დრამა იხრება პავლესაკენ (სიყვარული ქმნის შემეცნებას) (იქვე) აქ ჩვენ ვხედავთ

გრიგოლ რობაქიძის მხრიდან მინდიას ჩახეთა შეგნებულ „დამირისხერხებულ“ იდეურ აცილებას „გველის-მჭამელის“ მჭამელთაში. „ლამარას“ ავტორი ძველ მოცემულის იდეით განმსჭვალულად ნათლავს საკუთარ ქმნილებას და მით უპირისპირდება ვაჟას, აქცევს რა მას ლეონარდოს „რკალში“; მაგრამ ჩვენ ამ აზრს ვერ დავეთანხმებით და ამის მიზეზი რამოდენიმეა:

„გველის-მჭამელი“ ლეონარდოს თეზისს არ მიჰყვება, რადგან მინდია არ იცის მისთვის მთავარი რამ, თუ როგორ შეიძლება შეიძინოს ან დაკარგოს მისწერი „ძალა“ (ვეყრდნობით გრიგოლ კიკნაძის მოსაზრებას); აქ ნამდვილი ცოდნა არ არის მოცემული, რადგან ეს ცოდნა სხვისთვის მისაწვდომი არაა, სხვაზე მისი გადაცემა შესაძლებელი არ არის... (გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1989, გვ. 150). მინდია „ვაჟამ... ინსტიტუტის შეუცდომელი უნარით დააჯილდოვა, ამითაა მინდია გაკეთილიყოფილი და აზომიძებელი. ამგვარად ეს არ არის ცოდნა, როგორც ასეთი. მინდია კი არ იცის, არამედ მას აქვს უნარი იგრძნოს და მიხედოს“ (იქვე, გვ. 150). ამ თვისებით მინდია ადამის იდეურ რემინისციენციად გვესახება, რომელსაც უფლის მიერ მინიჭებული აქვს ლეთიური მადლი და მხოლოდ ის იცის, რისი ნება აქვს დაართული და რა — აკრძალული, მაგრამ არ იცის, რა მოზანს უსაზურება ეს აკრძალვა, რას გამოიწვევს მისი დარღვევა (აკი მისი დაცემაც ქალის მუშევრებით ხდება; გარდა ამისა, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ბიზლის მიხედვით სამოთხიდან გამოძევებამდე, ადამი და ევა სახელებით უმობდნენ ცხოველებს და მათ სამყაროს სრული აღქმა შეეძლოთ ინტუიციურად). ამიტომაც ადამის სამოთხიდან გამოძევებას ედრება მინდიას მიერ ლეთიური ნიჭის დაკარგვა. ერთი მხოლოდ — ადამის მოდგმა არ იყო უფლისაგან საბოლოოდ განწირული, ხოლო ვაჟას გმირი კი განწირულია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მივდივართ აზრამდე, რომ გრ. რობაქიძე ვაჟას მიანერს იმ იდეას, რომელიც მისთვის დამაჯერებელი და მოსახერხებელია, რათა შემდეგ დაუპირისპირდეს. ამ შემთხვევაში გველენის იმ სფეროსთან გვექნება საქმე, სადაც ამოსავალი იდების აცილების პრინციპი ზორციელდება ერთი მწერლისა მეორეს მიმართ, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით გრიგოლ რობაქიძის მიერ ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელის“ შესახებ ამოსავალ დებულებად მიჩნეულ თეზას.

ვაჟა-ფშაველა ჭეშმარიტ სახარების უფლ მოძღვრებაზე დაფუძნებული პუმანიზმის პრინციპით ზელმძღვანელობს „გველისმჭამელის“ იდეური ღერძის აგებისას: „კანიცა-



დეთ პროზაინი ველისანი“ – ამბობს მაცხოვარი და ამ მოწოდების მხატვრული გარდასახვა მინდას მიერ ბუნების ენის ნედრობა. ერთია მხოლოდ – სახარება მოუწოდებს ადამიანს იყოს ბუნების შეილთა სადარად ნრფელი, იცხოვროს მათივე მსგავსი მარტივი ცხოვრებით, ხოლო ვაჟა-ფშაველა მოუწოდებს იმავე ადამიანს ბუნების შეილთა ცხოვრება აღიქვას და გაიანზრის ისეთივე რთული და ღრმა გრძნობისმიერი, ამაღლებული სულიერებით აღსავსე, როგორც თავად მისი ცხოვრებაა. დამოკიდებულება ორივე შემთხვევაში ერთნაირია – ადამიანსა და ბუნებას თანაბარი უფლება-მოვალეობანი ეკისრებათ უფლის წინაშე. ხოლო ეს უფლება-მოვალეობანი იმ ცოდნით არის შემეცნებული, რომელიც საყოველთაო სიყვარულით, ანუ ქრისტესმიერი სიბრძნით არის მომადლებული. ეს არ არის ლეონარდო და ეინჩის თეზას – „ცოდნა შეიქმს სიყვარულსა“-ს მხატვრული რეალიზაცია.

ამ ნაწარმოებთა ამგვარი მიმართების მიუხედავად, „ლაშარა“-ში არსებობს კიდევ (და ეს ბუნებრივია) ისეთი დამოკიდებულების ფორმა თუ ქერტვა სამყაროსი და გმირისა, რაც მხოლოდ და მხოლოდ გრიგოლ რობაქიძისეულია და „გველის-მჭამელთან“ ლიტერატურული გაელენის არანაირ ფორმასთან მას არ შეიძლება პქონდეს კავშირი: „ლაშარასეული“ მინდია ფორმოზობრივი მსგავსების მიუხედავად, „გველის-მჭამელისეული“ მინდიასთან შედარებით ნაკლებად სრულყოფილია. იგი პრინციპულად სხვა იდეური დატვირთვის მატარებელი პერსონაჟია: ის მხოლოდ მთელის ნახევარია. პარმონიულ მთლიანობას მინდია მხოლოდ თორღვასთან ერთად წარმოადგენს – სულიერი და ზორციელი ძალის ორგანულ ერთობას განასახიერებს. ამიტომაც არის, რომ

ლაშარა ორივეს ეტრფის. ლიტერატურული კანონის მიხედვით ლაშარას მხატვრული ახსნა მწერლის იდეური ტექნიკის მხატვრული სახის მიმართ და გამოამკლავნა მისი „ნახევრულობა“. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება გვეფიქრა, რომ პიესა „ლაშარა“, „გველის-მჭამელზე“ უფრო მეტად იდეურ სიახლოვეს აელენს თომას მანის ცნობილ მოთხრობასთან „შენაცვლებული თავები“. იგივე დაპირისპირება ინტელექტუალური და ფიზიკური სრულყოფილებისა, იგივე გაორება სატრფოს ვულის-თქმისა... მართალია, თომას მანისაგან განსხვავებით, გრიგოლ რობაქიძე უპირატესობას უპირობო პრიორიტეტს სულიერებას (resp. ინტელექტს) ანიჭებს, მაგრამ დამოკიდებულება მასაც იგივე აქვს – სრული პარმონია მხოლოდ ერთობის ამ ორი ნაწილის ორგანულ შერწყმაში სუფევს.

რომ შევაჯამოთ ჩვენი მსჯელობა, ვიტყვი, რომ ვაჟა-ფშაველას გმირი მინდია მთლიანი, სრული ქმნილებაა ბუნებისა: ნაწარმოებში დამარცხებული საზოგადოების მიმართ პასიური დაუმორჩილებლობისა და საკუთარი მინიერი სისუსტის „წყალობით“, ხოლო გრ. რობაქიძის გმირი მინდია – თორღვას მშა – ზორციელი, გარეგნულად მისი ორანი, ლაშარას სიყვარულის (resp. ამქვეყნიური პარმონია) მენახევრე – თითქმის თავად ხდება მიზეზი ლაშარას სიკვდილისა. შესაბამისად, ბუნების საიდუმლოს ნედრობის ნიჭის“ მიუხედავად გრ. რობაქიძის პიესის გმირს არ ძალუძს სიკოცხლის ნიშატის გალვიძება – აღორძინება, ანუ არ არის შემოქმედი. ეს კი ყველაზე მკაცრი განაჩენი უნდა იყოს, თავად აეტორის მიერ მისჯილი მისთვის.

„ლაშარა ჩემთვის პიროვნული არსია“, ნერს გრ. რობაქიძე.





„ასი შექსპირის ვერ აქოლავს“...

იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ-სამედიკოსო შესაფუძვანი

მე-19 საუკუნე საქართველოსთვის თავისუფლების დაკარგვით დაიწყო. ამ ტრაგედიის გამომწვევე მიზეზებსა და მის შედეგებზე დღესაც გრძელდება კამათი ქართული ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურის-მცოდნეობაში. იყო ერთობლიობა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებისა, არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარება. ერის მინავლებულ მაჯისცემას მხოლოდ ერთეული მოღვაწეები უგადადნენ ყურს, სწორედ ამ ადამიანთა საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის შედეგად იქცა მე-19 საუკუნე უდიდესი შემოპრუნების საუკუნედაც – „დამდაბლებულმა ქვეყანამ სცნო და იპოვა თავისი დაკარგული სახე“.¹ ამ დაკარგული სახის „მაძიებელ-ალმადგენელთა“ შორის იყო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი. იგი სამოციანელთა წარმომადგენელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე იყო. იაკობ გოგებაშვილი კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ის „თერგდალეულთა“ თაობას ეკუთვნის, ხოლო თერგის წყლის დაღვევას სიმბოლური ხასიათი უკონდა, რუსეთში მიღებულ განათლებას გულისხმობდა. ჯერ კიდევ ქართველ 32-იანელთა იმ ჯგუფში, რომელსაც სოლომონ დოღვაშვილი მეთაურობდა, გვხვდება ტერმინი „თერგდალეული“ – იაკობ გოგებაშვილი და მისი თანამოაზრენი უზიარნენ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის საუკეთესო მოაზროვნეების იდეებს, მაგრამ მათი მოღვაწეობა საქართველოში მხოლოდ ამ იდეების ქადაგებით რომ ყოფილიყო შეზღუდული, იგი ვერ გახდებოდა ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი ძალა, ვერ გაიღვამდა ფესვებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. „მანამდე საქართველოში სალიტერატურო-საზოგადოებრივი დავა არ ყოფილა“, – ამბობს ამის თაობაზე კიტა აბაშიძე.²

თბილისის იმდროინდელი დემოკრატიული ინტელიგენცია იაკობ გოგებაშვილთან იკრიბებოდა; მათი მსოფლმხედველობა ძირითადად პრაქტიციზმის იდეას ემყარებოდა. იაკობ გოგებაშვილი, როგორც ყველა

განმანათლებელი, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ძირითად კანონად ევოლუციონიზმს მიიჩნევდა, ევოლუციონიზმი იყო მისთვის საზოგადოებრივ ურთიერთობათა პარამონიზაციის საფუძველიც:

„ევოლუციონიზმი ქვეშაირიტად მიანია მთელს განათლებულს ევროპასა, მსოფლიო ისტორია წარმოადგენს მხელელობას მარტივიდან რთულისკენ, მხეცობიდან ადამიანობისკენ, ტანჯვიდან ლბენისკენ“.³

მწერლის მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებებისათვის უცხო არაა ევროპეიზმით გატაცება, რაც რუსი „მედასაელეთების“ გავლენითაც აიხსნება. მისი შემოქმედებითი მეთოდი პუბლიცისტურ-მხატვრულია, რაც ასევე დამახასიათებელი იყო მზიანელებისათვის, ხოლო შემოქმედებითი მეთოდისა და მსოფლმხედველობრივ პრინციპთა მთლიანობა იძლევა ესთეტიკურ კონცეფციას.

ლიტერატურის ზოგადი ტონი ქმნის საბავშვო ლიტერატურის ტონსაც; ამიტომ იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებებში იკვეთება მისწრაფებები და შეხედულებები, იდეათა რკალი, რომელიც მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ქვაკუთხედს შეადგენდა. ზოგადად საბავშვო ლიტერატურის დანიშნულებას მწერალი ასე აფასებს: „საბავშვო ლიტერატურა არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა“.⁴

მხატვრულ შემოქმედებაში მწერალი რეალიზმის პრინციპის მიმდევარია. მის საუკეთესო მოთხრობებში დიდაქტიური ელემენტი ორგანულადაა შერწყმული მხატვრულ ჩანაფიქრთან. ი. გოგებაშვილი მოუწოდებდა საბავშვო მწერლებს დიდი პასუხისმგებლობით მოპოვებოდნენ ამ ურთულეს საქმეს და ღრმად შეესწავლათ მოხარდის ფსიქოლოგია, მისი განცდების თავისებურებანი. მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფცია ასეთი იყო: პირველი ადგილი უნდა ეკავოს მოქმედების დრამატიზმს. პლასტიკური აღწერა უნდა იყოს მოკლე, ტევადი და უხეზოდეს საგნის უმთავრეს ნაწილებს. მას მიუღებლად მიანია აღწერითი ფორმის ქარბი გამოყენება. საბავშვო მოთხრობებში უპირატესობას ანიჭებს ანალიტიკური-ინფექტიურ მეთოდს, რიტორიკას



მოკლებულ თხრობას. მწერალმა რეალური, კონკრეტული სურათებისაგან აბსტრაქტული აზროვნების ჩამოყალიბების ნიადაგი უნდა შეუქმნას მოზარდს.

ი. გოგებაშვილის მხატვრულ ნაწარმოებებში დიდი ადგილი ეთმობა მოზარდის ესთეტიკური აზროვნების ჩამოყალიბების პრობლემას. პარმონია, მწერლის აზრით, მშვენიერების თანმდევი ატრიბუტია. „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ მან შეიტანა ისეთი მხატვრული თხზულებანი, რომლებიც გამოირჩევიან როგორც ლიტერატურული ღირსებით, ასევე ზნეობრივ-ედიქტიკური ფუნქციით. მწერლის ინტერესის სფერო მოზარდისათვის სამეცნიერო ცოდნის მიცემით არ შემოიფარგლებოდა, მას სურდა სულიერი სფეროში გადაეტანა ადამიანისა და გარემოს ინტერაქციის (ურთიერთზემოქმედების) ბიოლოგიური შედეგები.

მაგრამ სწავლა-აღზრდის უმთავრეს ამოცანად იაკობ გოგებაშვილი მაინც ქვეყნის მომავალი მოქალაქეების პატრიოტულ აღზრდას – ქვეყნისადმი სამსახურის გრძობის გაღვივება-გამომუშავებას მიიჩნევდა; დიდ როლს ანიჭებდა ისტორიული ხასიათის მოთხრობებს, ისტორიის მხატვრული გააზრების ძირითად ასპექტებს: „საქართველოს ისტორია ნარმოადგენს იხეთ ხანგრძლივსა და და რთულ დრამას, რომელსაც 100 შექსპირი ვერ ამოღებს“⁵. უპირატესობას ანიჭებდა ისტორიული გმირების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ ეპიზოდების სახით ნარმოქმნას. ეს ეპიზოდები კი უმთავრესად საქართველოს ისტორიიდან უნდა ყოფილიყო. „სამახის თავდადებული გლეხი“, „სამინელი სახელე მოლაღატისა“, „ცხრა შა ხერხულიძენი“, „ცოტნე დადიანი“ ისტორიულ თემებზე აგებული მცირე მოთხრობებია ავტორის უფლი ინტერპრეტაციით. აქ დიდაქტიკური ელემენტი ორგანულად და შერწყმული მხატვრულ ამოცანასთან, რაც ბავშვში ინყვას ადექვატურ ცოცხალ რეაქციას, სათანადო განწყობილებას, რითაც საბოლოო ჯამში მისი მსოფლმხედველობრივი სანყისები ყალიბდება. ნაწარმოებთა ამ ციკლში არ გვხვდება ნარსულის ყალბი იდეალზაცია. მეფეებიც და გმირებიც ნარმოქმნი სულიერი არიან ჩვეულებრივ მოკვდავები. მათთვის უცხო არაა ადამიანური სისუსტეები, შეცოდებანი.⁶

იაკობ გოგებაშვილს გუთუნის ქვეშაობრივი ლიტერატურული შედეგები: „გამარჯვებული დედა“, „თავდადებული მღვდელი თედორე“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. დაბოლოს, მისი საუკეთესო ნაწარმოებები „აქნანამ რა ჰქმნა?“, „აქნანამ რა ჰქმნა?“-ს მილიანი მხატვრული ქსოვილის თითოეუ-

ლი დეტალი, ფრაგმენტი ავტორის მთავარ სათქმელს ემსახურება, მწერლის მიზანმიმართულ თხზულებას ემოციურ-ლექსიკონურ-ფორმულურ ერთ ოჯახის მაგალითზე ნაწევრება იმეანდელი საქართველოს ტრადევია. შვილის შემობრუნების მრავალგზისი ფუჭი მცდელობის მიუხედავად, სასწარმეტილი ზურაბ ქართველადე თანახმაა შეილი უკან, დაღესტანში დააბრუნოს... მაგრამ ხნორედ აქ, „ტრადევის მწვერვალზე“ ნარსულის განხილვა – ქეთოს გონებაში ხანსულის გაცოცხლება შესძლო მხოლოდ „აქნანას“ პანგმა, სამშობლოს ხმამ, რომელიც ყველაზე ღრმად იყო ძაღლისა და რბილში გამჯდარი. ამით ავტორი ეროვნულ კულტურას მიიჩნევს იმ მყარ ნიადაგად, რომელზედაც უნდა ხდებოდეს მოზარდის სულიერი ფორმირება, პიროვნებად ჩამოყალიბება, ხოლო მეორე მხრივ – ადასტურებს გოეთეს აზრს, რომ „ბავშვობისდროინდელი მთავრედილებანი ყველაზე ღრმა“.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი კრიტიკა ერთსულოვანი არ ყოფილა ამ ნაწარმოების შეფასებისას. კრიტიკოსი თეოფილე ხუსკივაძე აღნიშნავს, რომ მოთხრობა „პარტივი, ყმანელებისათვის ვასაგები ენით არ არის დანერილი“⁷. სინამდვილეში კი მოთხრობის ენა დახეხილი და მდიდარია; ხალხურობა ი. გოგებაშვილის აზრით, ენის გაღარიბებისა და გამარბიების არ უნდა ნიშნავდეს, ნაწარმოები უნდა ამდიდრებდეს მოზარდის ლექსიკას.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას „ასპინის ომი“ დიდი მონივნებით შეხვდა იმდროინდელი საზოგადოება. ეს მხატვრულ-ეპოქუმენტური ნაწარმოები მან ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა გათვალისწინებით შექმნა, რომელიც იმ ეპოქის ერთ-ერთი პირუთენელი მემკვიდრეა. ერეკლე II-ის სახით ავტორი გვიხატავს შეფას, „ქვეყნის პატრონის იდეალს, რომელსაც ატიოუხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება“.

მოთხრობაში „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ გადმოცემულია ერეკლეს მიერ შარის ლეკების დამარცხება და კრწანისის ტრაგიკული ბრძოლა. როგორც თავად ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, ქლიავის სწოლის უპიზო-ბად ხალხური თქმულებიდანაა აღებული. აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები არაერთხელ გააკრიტიკა იმდროინდელმა პრესამ, რადგან მიაჩნდათ, რომ მონათხრობის დამაჯერებლობა აკლდა. კრიტიკოსი გიორგი ნერეთელი ბრალს სდებს ი. გოგებაშვილს, რომ ნარსულის რომანტიკულ საბურველში ახევეს და თვალისმომჭრელი ფერებით სთავაზობს ახალგაზრდობას. ავტორმა კრიტიკის ეს გა-

მოლაპქრება „უძლურ ბოროტებად“ ჩათვა-
ლა და დასაბუთებული პასუხი გასცა. იგი სა-
ფუძემდებანი პედაგოგიური კვლევისა და ბავ-
შვის ფსიქოლოგიის ცოდნის საფუძველზე
ადასტურებს, რომ სწორედ 11-12 წლის გოგო-
ნას შეუძლია გამოიჩინოს ასეთი გამბედა-
ობა, ვინაიდან ამ ხნის მოზარდი გათავისუფ-
ლებულია ადრეული ასაკის სიმბდალისაგან
და ჯერ არა აქვს ქალური სიმორცხვე. მიუ-
ხედავად იმისა, რომ ნაწარმოები ქრისტიან-
ულ მორალისტიკაზეა აგებული, არ ახასი-
ათებს შიშველი დიდაქტიკა და რიტორიზმი.
საინტერესოა მისი შექმნის წინაისტორია. ი.
გოგებაშვილმა, შეისწავლა რა საინგლოში
შექმნილი მძიმე ვითარება, ქართული მოსახ-
ლეობის უფლებო მდგომარეობა მეზობელ
საბელმწიფოში, განსაკუთრებით შეშფოთ-
და იმ გარემოებით, რომ სკოლებში ქართულ
ენას არ ასწავლიდნენ. მას ამ პრობლემის შე-
სახებ ხურდა პუბლიცისტური წერილი და-
ენერა, მაგრამ, შემდეგ ბელეტრისტული
ფანრი ამჯობინა, რადგან ის „უფრო ეადვი-
ლება ხალხს, უფრო ძლიერად მოქმედებს
მასზე“.¹

როგორც აღვნიშნეთ, ამ მცირე, ხშირად
მოზაიკურ მოთხრობებს საფუძვლად უდევს

„ქართლის ცხოვრებაში“ ექვეყნებულ ანტი-
რიული ფაქტები და ხალხური ცხოვრება-
გადმოცემანი. ანტირიული საქართველოს ისტო-
რიის, ზნე-ჩვეულებათა, ეთნოგრაფიის
ლრმა ცოდნას ავლენს, რაც ერთ-ერთი მნიშ-
ვნელოვანი ფაქტორია მხატვრული ამოცა-
ნის გადასაწყვეტად. საქართველოში მაშინ-
ნაც ომი იყო, ამიტომ იაკობ გოგებაშვილის
ლრმა რწმენით, ყოველი ქართველი მწერლის
თხზულება მკითხველს უნდა ზრდიდეს
„კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომრად
სასტიკ საარსებო ბრძოლაში“.²

იაკობ გოგებაშვილმა, როგორც ეროვ-
ნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლი-
დერმა, საზოგადოებრივ აზროვნებასა და
ლიტერატურაში წინა პლანზე წამოსწია
პროგრესულ-დემოკრატიული აზროვნების
ნაკადი. „მე გამოვედი საზოგადო ასპარეზ-
ზე შემუშავებული პროგრამით, ღრმად მო-
ფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის
იოტისოდენადაც არ მიღალატია“ – ამბობ-
და იაკობ გოგებაშვილი. თავის მხრივ, მისი
მხატვრული შემოქმედება ამ ეთიკურ-ესთე-
ტიკურ შეხედულებათა რეალიზაცია იყო.
მის მხატვრულ-პუბლიცისტურ ნააზრევს
უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღესაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯორჯაძე არჩილ, თხზულებანი, 1911, გვ. 7.
2. აბაშიძე კობა, ეგვიპტი XIX ს. ქართული ლიტ-ის შესახებ, თბ. 1970 წ.
3. გოგებაშვილი იაკობ, რჩეული ნაწერები, თბ., 1910, გვ. 50.
4. გოგებაშვილი იაკობ, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 1910, ტ. II, გვ. 126.
5. გამთეთი „კვილი“, 1897, № 29, გვ. 4.
6. კაპანელი კ., ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, თბ., 1936, გვ. 58.
7. ტურნალი „მწვენი“, 1890, № 3.
8. გოგებაშვილი იაკობ, თხზ. ტ. III, 1954, გვ. 120.
9. გოგებაშვილი იაკობ, თხზ. ტ. IV, 1955 წ. გვ. 255.

ქაბო იქა, ფქვილი აქა

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში იშვიათად შეხედებით იმათზე ზუსტ და გაცხადებულ, პირდაპირ გამოთქმულ რეზიუმეს, როგორცაა — „ქაბო იქა, ფქვილი აქა“. არავითარი ქარაგმა ანდა მორიდება-თავმდაბლობა. პირიქით, ეს უნივერსალური ფრაზა, ნებისმიერ ზღაპარს რომ მიუხადავება და დასასრულს გვაუნებებს, ჯადოსნური, ზღაპრული სამყაროდან აბრუნებს მკითხველს, სხვა, არანაკლები მნიშვნელობითაც მოთაზრება — არსებულ ან გამოგონილ მტერსა თუ მოწინააღმდეგეს ქაბო, ანუ არაფერი — ვაი და-მარცხებულთ, ხოლო ჩვენ ფქვილი — ბრაქა, გამარჯვლები, ყველაფერი. თვით ზღაპრებშივე ბატონობს სურვილი ნებისმიერი გზით, ხერხით გამარჯვებისა. ამ ლაკონურ ნაწარმოებებში ჩვენს თვალწინ იხადება პიროვნება; მოწმევი ვართ მისი სულიერი ფერის-ცვალების, დეგრადირების, მეტამორფოზის. რა გასაოცარიც უნდა იყოს, ზღაპარი ხშირად წარმოგვიდგება, როგორც დრამატული, ტრაგიკული თხზულება; გმირების დაცემა, ამაღლება, კათარზისი — დაბადებიდან სიკვდილამდე გასდევს — პერსონაჟის ცხოვრებას. ზღაპარში ზედმინივენი, გამაოგნებელი სიჯაბით გვიხატავენ ხანუთროს დაუნდობლობას, ბრძოლას არსებობისათვის, ცხოვრებისეულ პერიპეტეებს. ჯადოსნურ სამყაროში კეთილისა და ბოროტის ბრძოლას დროდრო უნაცვლება ორი გმირის თავგანწირული ხმალთაკეთება პირველობისათვის. არც თუ იშვიათად ანტიგმირებსაც იხილავთ — ზნეობაზე, მორალზე, რაინდობაზე რომ აუღიათ ხელი მიზნის მისაღწევად. ქართულ ხალხურ ზღაპრებში მაკიაველის სიბრძნე თითქოსდა მთელის სისრულით გაცხადებულა და გემოდირავს, გვაფრთხილებს, მოდუნების უფლებას გვიართმევს.

ზღაპრებში პიროვნების პირადი თვისებები განსაზღვრავენ მისსავე ბედს. ძლიერი და არა მაინცდამაინც კეთილი, „დადებითი“ გმირები აღწევენ მიზან-საზადელს. ზღაპრის გმირები მოწოდებულნი არიან თავგადასავლებისათვის. თავსდატეხილი უბედურებისა თუ მოულოდნელი ბუნდერების აღსაქმევლად და უნარიანად, ღირსეულად ეჭიდებიან ყოველგვარ წინააღმდეგობებს.

ზღაპრებში ინტრიგა გადანვევტილების მიღებისას ჩნდება. არჩევანია განსაზღვრული პერსონაჟის მომავლისა, და სწორედ არჩევანივე ამიშვლებს გმირის შინაგან სამ-

ყაროს, ნიღაბს ჩამოხსნის და მის ნამდვილ სახეს დაგვანახებს — არჩევანი ზღაპრის ქვაკუთხედი.

ზღაპრებში ირეალურ-ჯადოსნური საბურველის მიღმა კულისებში, მძაფრი ადამიანური ენებანი ბოლოქრობენ და რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, გმირების წარმმართველი ძალები ერთობ ადამიანური გრძნობები და არა მალალი რდეალები: „ქაბო იქა, ფქვილი აქა“ პრინციპი ზღაპრების ამოსავალი ნერტილია. და თუ გმირის პირველი არჩევანია დაიწყოს სიცოცხლე-მოქმედება, მეორე — სინდისის, მორალის, ზნეობის წინაშე კომპრომისის არჩევანია. სწორედ არჩევანზე, ნებისმიერი გზითა და საშუალებით დასახული მიზნის მიღწევაზე, ცივი გონებისა და პრაგმატიზმის გამარჯვებაზე მოგვითმობს ზღაპარი „მონადირის შვილი“. თხზულება მყოფზე გონადადების-თანავე, ყოველგვარი შესავლის გარეშე, არჩევანით იწყება:

„ერთხელ მონადირე ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა. უცებ ერთი თეთრი ირემი ამოუხტა, დაუდგა წინ და უთხრა: — მესროლე, თუ დამქარ, ნეტაი შენ, და თუ ვერ დამქარ — ვაი შენაო! ესროლა მონადირემ და დააცდინა“.

მონადირე თვითდაჯერებულობამ დაღუბა, გადაქარბებულმა წარმოდგენამ საკუთარ შესაძლებლობებზე და მართალია ნერვულადვე ნივიდა წუთისოფლიდან, მაგრამ შურისმაძიებელი და საქმის გამგრძელბელი შემკვიდრე დატოვა.

„მონადირის ცოლი ორსულად დარჩა. გაუჩნდა ვაჟიშვილი, ისეთი ღობიერი და ყოჩაღი, რომ იმის დარი იმ ქვეყანაში არავინ იყო. ერთხელ ჩამოიღო თოფი შვილმა, გატენა, შევიდა დედასთან და კითხა: — დედა, მამაჩემი რამ მოკლაო? წერამ, შვილო, — უპასუხა დედამ. — არა, უნდა მითხრაო, — გადაეკიდა შვილი ბოლოს დედამ უამბო ყველაფერი“.

წერისა ნაკლებად დაიჯერა ვაჟმა, სამაგიეროდ მამის დაუფიქრებელმა, უყოყმანო, მაგრამ ბრმა ვაჭაკობამ თვალა აუხილა შვილს და მიახვედრა, რაინდული არჩევანი რომ დამლუპველია და „ათჯერ გაზომე“ ამოიქრა გულის ფიცარზე.

„მონადირის შვილი ადგა, ჩამოათალა ერთ ხეს, ესროლა სამი და ნატყვიარი ნატყვიარში გაატარა. გადაიკიდა მერე მხარზე თოფი და გასწია იმ ირმის საძებნელად“.

ზღაპარში, ამ უაღრესად ლაკონურ სიტყვაძუნ თხზულებაში, ელევის სისწრაფით ვითარდება მოქმედება და ყოველი წინადადება უდიდესი მინაარსის მატარებელია. აქ წინადადების, ფრაზის, სიტყვის შემთხვევითობა გამოირიცხულია. „გადაიკიდა მერე მხარზე თოფი“ — შოლოდ „მერე“ — ლა გასწევს ვაფი ტყეში, დარწმუნდება რა თავის სიმარჯვე-რეზინობაში. სწორედ ამაზეა აქცენტი გაკეთებული — თუ, რა გონიერი და შემზარავად მშვიდია, უდიდესი განსაცდელის წინ მონადირის შვილი. ბუნებრივია, მონადირის შვილსაც შემოეგება ირემი იმავე არჩევანით — შეული იღებს მამის სისხლს და ერთგვარი წარმართული წესით იძიებს შურს:

„ბორჯი ამოაჭრა, გადაყარა, ტყავი თავის კუდი, ფეხებით და თავით წამოიღო შინ და მოვიდა დედასთან“.

თითქოსდა სკალპი ახადა, ანდა მარჯვენა მოჭრა მტერს — ეს ხომ მკვლელობა იყო და არა ნადირობა. ტოტემურ-მისტიკური წარმოდგენით მან მტერის ძალა, სიმადრე მოიძალადა. ირმის ტყავი რომ გაცოცხლებდა, თვალმარგალიტით აუფებს სახლს, ეს ამბავი საესებით ლოგიკურად და დამაჯერებლად აღიქმება. მოპოვებული ბედნიერება სამუდამაჟამოდ უნდა გავრძელებულიყო, მონადირის შვილს საბედისწერო შეცდომა რომ არ დაემეა — მან მოინდომა ხელმწიფისთვის უკუნებინა ჯადოსნური ირემი. სურვილი გასაგებია — მეტად ადამიანურია შენი წარმატებით, ნადავლით იამაყო და ქვეყანას მოაფინო დიდი გამარჯვების, სიმადრის ამბავი. მაგრამ ვაფს დააინყდა, რომ ეს მისი პირადი, ოჯახური საქმეა, მამის სისხლი ურევია და ამ სასაწულთო ტრამბიხი, გაყოფნება მკრეხელობაა, უკადრისი და უგვანი საქციელია. გმირი არჩევანის წინაშე დადგა, ან ოჯახური სინმინდე შეენარჩუნებინა, ანდა დაჰყოლოდა ქვენა გრძნობებს და ამპარტავენებას მისცემოდა. დედის რჩევის მიუხედავად, მან უკანასკნელი იჩრია და საკადრისივი მიეზღო.

„ხელმწიფეს თვალები დაებრიცა ირმის ცქერით. — ეგ ირემი შე უნდა ნაიყვანო — უთხრა ხელმწიფემ ვაფს, ვაფი უარზე დადგა, მაგრამ რა გაენყობოდა? — წაართვეს და ნაიყვანეს“.

აი, აქედან იწყება მონადირის შვილის სრული დეგრადაცია და დაცემა. ვაფმა მოსვენება დაკარგა — რა კი ერთხელ დაემორჩილა უკეთურებას, სიკვდილამდე უნდა ეყმის ხელმწიფესაც გადაედება გაუშაძრობის სენი. მადა ქამპის მოდისო, და მონადირის შვილს დავალებას აძლევს — სრა-სასახლეები ამიკეო. აქამოდვე ვაფს ირემიც თავისი ვაეკაცობით მოებელთებინა და თუ რამ უბე-

დურება დაემართა, ვაეკაცობა და რაინდობა შეუბღალაეი ქორდაცქერედაეი და ქხოლოდ ვირეშმაკობით, დაეწვლელეუქუქეკეკე-ლაძუობით მოუწევდა ცხოვრება და გამარჯვების მოპოვება.

„ვაფმა ალების ერთი ტბა იცოდა. იმ ტბაზე სისმელად მთელი ალების ჯარი მოდიოდა. ნაიღო ეს იმოდენა კირი და ლამი, ჩაყარა შიგ და ამოლესა ტბის ძირი და გვერდები, მერე მიუშვა შიგ ბანგი. მოვიდნენ ალები, დაალიეს ეს წყალი, დათერნენ და დაეყარნენ იქვე“.

ბანგითა და მოტყუების პრელუდიით იწყება მონადირის შვილის შორეული სანაოსნო ეპოპეა, ამჯერად აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალის მოსაყვანად რომ წარგზავნიან. ალების და გაყოფრების სცენები საყმანელო გართობაა იმ თავზარდამცემ, შემზარავ სპექტაკლთან შედარებით, ზღვაზე მოგ ზაურობისას რომ გათამამდება.

„თეთრ ქორს გამოუგდია წინ მტრედი და მოსდევს. მტრედი შევარდება ხომადღში — ნუ მიცემო, ეხვენება ვაფს. მომეციო, ეტყვის თეთრი ქორი მონადირის შვილს და გამოგადგებო. მისცემს ვაფი მტრედს და გასწევს ქორიც“.

„გამოგადგებო“ — მტრედი ვერარას პირდება, მას შოლოდ, იქით უნდა გაუნოდა სამველად ხელი. ქორს კი შეიძლება რაიმეს გამორჩე — ბოლოს და ბოლოს მტაცებელია. ძლიერისადმი მონინება, მძლავრის მოკავშირედ გახდომა და საჭირო დროს თანდაყოლილი გულქვაობა, სულმდაბლობა ეცობაზე, ნამუსზე ათქმევინებს უარს, თავსალაფს დაისხამს და უშწურო მსხვერპლს გადასცემს თავის ახლადმეძინელ „სულიერ მამს“. მტრედის სიმბოლურ მინიშნებაზე ხომ შედმეტიცაა საუბარი. ეშმაკზე სულმოყდული მონადირის ვაფი იგივეს გაიმეორებს მტაცებელ თვეზთანაც — გადასცემს რა მასთან დაბმარების იმედად ამომტარი თვეზს. აი, ასე მოიმადლეორა, მოხევეჭა და მომირავლა მეგობრები. აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალიც ზიზილ-პიპილებით — ეშმაკის მანქანებით — ჩაიტყუა ხომალდში და გამოიტაცა თავის ხელმწიფესთან მისაგვრელად. ქალიც არანაკლებ ცბიერი, გამჭრიახი და ქვეშევეშა აღმოჩნდა. უცებ აულო ადლო მონადირის შვილს — მიხედა მისივე იარაღი — ტყვილითა და ეშმაკობით თუ მოერეოდა და დაუძვრებოდა ხელიდან. ქალი მტრედად იქცა, მაგრამ ქორს ვერ გაექცა და ისევ მონადირის შვილის კლანჭებში მოხვდა — თვეზად იქცა და ვერც ზღვის უფსკრულებმა გადაარჩინა — ვაფს აქაც მაღლეორი თვეზი დაეხმარა და ქალი ისევ ტუსალად იქცა. აი, როგორი შორსმჭერტელი და წინდახედული



ყოფილა აესულთან წილნაყარი მონადირის ვაჟი — ხომ გამოადგინენ ძლიერი ამა ქვეყნი-სანი? აბა, რა თავში იხილდა მიუსაფარ და სუსტ არსებებს. შესაძური რეალისტური ალღო და ხედვა აქვს მონადირის შვილს და ქალიც გუშინით გრძნობს ამ კაცის ყოფილ-შემძლეობას, არამზადობას რომ საზღვარი არ აქვს და თვითონ დაასწრებს — ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო — ცოლობას შესთავაზებ-ს თავადაც არანაკლებ გაიძვერა და მუც-ლითმეტყველო.

„ქალმა ჰკითხა მონადირის შვილს: — ვის-თვის ვინდივარო? ხელმწიფისთვისაო, — უპასუხებს ვაჟი. — არა, მე ხელმწიფის ცო-ლად არ გამოგვევბო, — ეტყვის ქალი, — შენ ქმარი და მე ცოლიო! — ეგ როგორ მოხერ-ხდება, ხელმწიფე წამართმევს შენს თავსაო, — ეგ შევიციო, უპასუხა ქალმა, — შენ მარტო ის ნაუღ ხელმწიფეს, რაც გაგატანო“.

„ვისთვის ვინდივარო? — ვაჟის ამკარა გულგრილობა ათქმევინებს ქალს, მაგრამ, პოი, საკვირველებაც, რაოდენ საქმიანნი და „რეალისტები“ არიან; უცებ შეითქვენ, შე-უღლებაც კი გადაწყვიტეს. აბა, სად სცალიო-ათ სიყვარულისთვის, სინახისთვის, აღმაფ-რენისთვის. ცოლ-ქმარი უკეთესი დღის და-სადგომად იღვნის და მეტოქის ჩამოცილე-ბას ცდილობს — „ფერი ფერსა, მადლი ღმერ-თსა“.

ნაილო ვაჭმა, რაც ქალმა გაატანა და ნა-ვიდა. მოუტანა ხელმწიფეს და უთხრა: — „კა-ცებმა გახსენით, ქალმა მოგართვათო. თვი-თონ კი გაერიდა. ხელმწიფემ და მისმა ნა-ზირ-ვეზირებმა დაუნყეს ხსნა ქალის საჩუ-ქარს. უცებ გატყვერა და იქვე მიანეინა ყვე-ლანი. ქალიც მონადირის შვილს დარწა და სახელმწიფოც“.

გამარჯვებული მონადირის შვილი პირ-ნაქარდნილი არამზადაა. იგი საწუთროს სი-მუხთლემ, თუ ადამიანურმა სისუსტემ ცხოვრების დასაწყისისთანავე გამოძრძმე-დილ გარეწრად აქცია. მისი ცხოვრება კი ირმის მოცილადან, ანუ პირველივე გამარ-ჯვებიდან იწყება — როცა სახლს, სიმდი-რეს, შინაგან სიძლიერეს მოიხვეჭს. მაგრამ ზღაპრებში სრულიად საპირისპირო პერ-სონაჟებიც გვხვდებიან, რომელნიც იმავე ნუთისოფელმა არა ერთბაშად, მეყვსეუ-ლად, არამედ თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ზნედაცემულ ანდა ზნესრულ, შესაძურ გმი-რებად ჩამოაყალიბა.

ზღაპარი „ჩაქუჩა“ გვიყვება, როგორ და-ეცემა და გადაგვარდება ძალაუფლებას და-პატრონებული ადამიანი და გუშინდელი მსხვერპლი დღეს ჯალათად მოგვევლინება. ეს მეტამორფოზა ნელ-ნელა, თითქმის შეუმ-ჩნველად ვითარდება, ბოლოს კი გამოაგნე-

ბელი სიმძლავრით, თითქოსდა მუხუღღღე-ლადაც აღმოსკდება და ნაქუჩა დაეცემა-ფერს. ზღაპარი დედინაცველმა და გერს-კლასიკური ურთიერთობით იწყება:

„დედინაცველი ბიჭს არ ასვენებდა, გაგ-ზავნიდა წყალზე და რამდენჯერაც მოიტან-და, იმდენჯერ გადაულერდა: ნადა, წმინდა წყალი მოიტანე, ეს მღვრიე არისო“

ჩაქუჩა ერთი უბირი სოფლელი ბიჭია, კე-თილიც არის და უანგაროც. მონადირის შვი-ლისგან განსხვავებით იგი არც კი დაფიქ-რდება, უყოყმანოდ დაეხმარება და გულ-მომწყალებ მოიქცევა, როდესაც განსაც-დელში ჩაქარდნილის ხსნას გადაწყვეტს.

„დაინახა ნითელი და შავი გველი ჩხუ-ბობდნენ. შავი გველი ნითელს დაედევნა. მი-ვიდა ნითელი გველი, ბიჭს ლიტრაში ჩაუძ-ვრა და უთხრა: — როცა მოვიდეს შავი გველი, უთხარი ცხრა მთას იქით გადაიარა-თყო. მი-ვიდა შავი გველი და ბიჭს ჰკითხა: — აქ სუ-ლიერს რაიმეს ხომ არ გამოუვლიაო? ბიჭმა უპასუხა: გამოიარა და ცხრა მთას იქით გა-დაიარაო.“

ნავიდა შავი გველი. ამოძვრა ნითელი გველი, ამოძრო ერთი ფხა და მისცა ბიჭს: — როცა გაგიჭირდეს, ინატრე, რაც გინდა და ყველაფერი აგისრულდებაო“.

მრავლისმეტყველია და უაღრესად საინ-ტერესო ჩაქუჩას პირველი ნატერა — ნამი-თაც არ უფიქრია შურისძიებაზე, ანდა მხო-ლოდ საკუთარ თავზე. მასში ეგონიზმის ნა-სახიჯ არ არის. პიროქით, სურს ოჯახში სი-კეთემ დაისადგუროს, შეიცვალოს დედი-ნაცველისა და მისი ურთიერთობები. ჯანდა-ბაში, მოუსაველეთში კი არ ისტუმრებს ჯა-ლათს — საკრალურ სიტყვას — დედას ეძახის და მისი გულის მოგებას ცდილობს.

„დედი, ახლა მაინც შემოიკრე შარვალ-ხა-ლათიო! — დედინაცველმა ისევ წყალზე გაგ-ზაენა“.

ვაი, რომ დედინაცველსა და გერს შორის თურმე უზარმაზარი უფსკრული ყოფილა, რომლის ამოცნება არც ფართულეთში ხაე-სე სიკერებს შეუძლიათ და არც გულში ჩამ-ნედომ სიტყვებს. გასაოცარია ჩაქუჩას მოთ-მინება და მონდომება — იგი მაინც ეპოტი-ნება და ებლაუტება იმ უბადრუკ ნამსხვერ-ვეებს ოჯახი, სახლი, თანაღმობა რომ ჰქვია. არ ეჯერება, რომ დედინაცველთან არაფე-რი აკავშირებს და მათი ერთად ყოფნა რომ შეუძლებელია. ო, როგორ ეძნებოდა იმ ფეს-ვების, თუნდაც გამხმარი, მაგრამ მაინც ფესვების გადაჭრა წარსულთან, ბავშვობას-თან, მეობასთან რომ აკავშირებს. ეს არის იდემალი, ამოუცნობი ლტოლვა მსხვერ-პლისა ჯალათისადმი და ბიჭის მეორე ნატ-ერა ისევ სიზიფს გამოაგნებული სიფოტეა.

ბიჭმა ინატრა: ნეტავი სახლში რომ მივალ, ჩვენ რომ ვარცლი გვაქვს სულ პურიით სავსე დამხვედესო. მოვიდა სახლში და ვარცლი, მართლაც პურიით სავსე დახვდა. უთხრა დედინაცვალს: ახლა მაინც მომეცი პურიო. ის გაუბრაზდა და უთხრა: — ღორი გარეკეო. გამოიყვანა ბიჭმა ღორი, გაიგდო წინ, დაიწყო სტენვა და გაუდგა გზას, არც იცის, სად მიდის”.

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ბიჭის ერთადერთი ნათელი ნერტილი დედინაცვალა. მასთანაა კეთილშობილი ჩაქუჩა და ტანჯვა ანიჭებს ბედნიერებას. ამაზე ხომ ყველაზე უკეთ მისი ოცნება-ნატურები ღელა-დებენ. როცა დედინაცვლის ღმობილი მთლს ქვეყანას ურჩევნია. რანამს დატოვებს სახლს, მყისვე კედება ჩაქუჩაზე და იბადება ურჩხული-გულგრილობა-გულქეაობა. სწორედ უდარდებლობა, სტენვა და არც იცის, სად მიდის“ გვანახებს, რომ ჩაქუჩასთვის მის სიკვდილთან ერთად, ყველაფერი მოკვდა. ჩაქუჩა აღარ ეძებს, არ ენარაფერის სიკეთეს, თანაგრძობას, ყურადღებას. მისთვის უკვე არაფერისმთქმელია თბილი სიტყვა, გაჭირვებულის დარწმუნება, შეცოდება.

„მივიდა ერთ სოფელში. იქ შეეცოდათ, პური გამოუცხვენს, აქამეს და ისევ გზას გაუდგა“.

ჩაქუჩას თავისით ეწვია, რაზედაც მთელი ცხოვრება ოცნებობდა. მას შეეძლო ამ სოფელში დარჩენა, თითქოსდა დამთავრდა მისი გარდაუღობა. ვაი, რომ აღარაფერს წარმოადგენენ უწინდელი ოცნებები. მისთვის არაფერი უკვე ყველაფრად იქცა.

„შიადგა ერთ სოფელს. შევიდა შიგ და დაინახა ერთი მზეთუნახავი ქალი. ინატრა: ღმერთო, ამ ქალს გაუწიე ერთი ბიჭიო და როდესაც კარებს შევალე, თქვას: აი, მამაჩემიო! მართლაც გაუწინდა შვილი ქალს. მოდის ხალხი და კითხულობს: — რად გაუწინდა შვილიო? შვალო ბიჭმა კარები იმ დროს და ბავშვმა დაიძახა: — აი, მამაჩემი, ჩაქუჩაო. ხელმწიფემ თქვა: აბა, რაღას ვუზამ, აი, შენი ჩაქუჩა, ადექი და მაგას გააყვეიო“.

არ დაერიდება ქალის შერცხვენას, — მერე რა რომ ეს ქალი მისი მომავალი მშუღლეა. ბავშვიც ეშმაკეულს შეაქმნევინა და საშუალოდ დასწყევლა ნაბუშარის სახელით. მაგრამ, ჩაქუჩა მიზნის მისაღწევად განა ამ წერილმანების გამო დაიხვედა უკან? ბავშვი ხომ საშუალება იყო და რა სატანურადაც მოავლინა ამ ქვეყნად, ისევე სატანური სისწრაფით იყრყებს მის არსებობას. საოცრება ის არის, დედასაც რომ ამოურეცხავს გულ-გონებიდან — ვითომც არ ყოფილა — ხსენებაც აღარ არის ბავშვისა. ჩაქუჩას საქციელში მოულოდნელს ვერაფერს იხილავთ;

ასე გრძელდება ჩაქუჩას მინაგანი ბოძოლა და ჭიდილი, ეიდრე გაბურჯდება კარ, დასძლევს და იზიემებს გამაფრთხილებელ დედმამიანზე — მზეთუნახავი ქალი რომ მოიხმოდნენ და კამათელში მოგებულივით საკუთრებად განიხადა. ყველაზე გამაფრთხილებელი ის არის, თუ როგორ იფერებს და იწემებს ეს გუშინდელი მანანნალა და ბოგანო ქმრობას, უპირატესობას:

„ნაყვა ქალი ჩაქუჩას. ჩაქუჩა წინ მიდის და ცოლს არ უცდის. ქალი ეძახის: — კაცო, დაიცადე, ქრისტიანი არა ხარო? ჩაქუჩა მაინც არ უცდის. გაიარეს კარგა მანძილი“.

რა მრავლისმეტყველი შასაგია. ქალს ისე ეტყევა, თითქოს ვიღაც გომობიო გააბედნიერა და არამიო კია მასზე ჩაქუჩა. არადა, აქვს საფუძველი ამ უხეშ ამპარტავენებას, — მერე და როგორი, — განუსაზღვრელი ძალაუფლებითაა აღტურვილი:

„ინატრა: ღმერთო, ისეთი რაში მომეცი, რომ სხვა რახაც ერთს წელიწადს გაივლის, მან ერთ წუთს ვაიაროსო. განადა რაში. შეჯდა ზედ, უელის მინდორს და იძახის: აქამდე ჩემია, აქამდე ჩემია, აქამდე ჩემიაო. ინატრა: ღმერთო, ამ მინდორში ისეთი ხილი ჩაყარე, რომ რიგი მწიფეობდეს, რიგი ყვაოდას, რიგი იკრიფებოდეს“.

სადლა — ანტავი დედინაცვლის სიკვრი ფართლით აივსოსო — „ჩვენ რომ ვარცლი გვაქვს, პურიით სავსე დამხვედესო“. მხოლოდ „ჩემია, ჩემია“ გაუდის ჩაქუჩას და წარსულს რომ უკვალოდ არ ჩაუვლია, მის გაგუგონარ სიხარბეშიც მოჩანს. ობლობამ ღრმა, მუხბორცხველი იარები დაუტოვა — კუჭის იქით რომ აღარ ახედებს — რაში განა იმიტომ ინატრა, თავმოწონე ვაქცაცი ვარო, ანდა თავგადასავლები იტაცებდა — გლეხუჭური, მდაბიური მომხვეჭელობა არ ასვენებდა. აბა, სად რაფინირებული და არისტოკრატიულად მზაკეარი მონადირის შვილი და სად ჩაქუჩას სალახანურ-გაუამაღრისი ნატურა-მოქმედებები.

საერთოდ, ზღაპრებში ზუსტი დიაგნოზებია დასმული — ამა თუ იმ ფენის, წარმოშობის, ან რაიმე საერთო ნიშნით გაერთიანებული ადამიანების ხასიათები, ტიპაჟები. საეკირველი სიზუსტითაა გამოძერწილი. მონადირის შვილისა და ჩაქუჩას პიროვნებები ზედმინევეით, განსაკვიფრებელი ოსტატობითაა დახატული. ზღაპარი „ქერი-ვიშვილი“ ზღაპართ-ზღაპარია — მართლაც უნიკალურია და თავისი მასშტაბურობით თითქოსდა ახალ სამყაროს, ფანრსაც კი ქმნის. ზღაპარი თავბრუდამხვევი ტემპით, შავი იუმორით, მრავალფეროვნებითა და სიმსუბუქით ატყვევებს მკითხველს. „ქერი-ვიშვილი“ აზარტი ბატონობს პერსონაჟსა



და მკითხველზე. თვით ყველაზე თავზარ-
დამცემი ამბები ისე სხარტად, უბრალოდაა
მოთხრობილი, მთავარი გმირის გარდა ვე-
ლარაფერს ვამჩნევთ. რაგინდ მკრეხელური
იყოს – კუნძუზე თავდადებულ უდანამაულო
მსხვერპლს ვერც ზედავ და ცულმოღერე-
ბულ ჯალათს ეტრფვი. ქვრივიშვილის პერ-
სონაჟი უნივერსალურია და ერთ პიროვნე-
ბაში აერთიანებს – ზუთკუნჭულას, პერ გი-
უნტს, კოლეუმს, ფალსტაფსა თუ ათასი ჯუ-
რის ავანტიურისტს და თავგადასავლებზე
გადაგებულ, თავგადაამკედარ დარტანია-
ნებს. ჩვენდა უნებურად ვგულშემატკიე-
რობთ, განვიცდით ამ ღვთის პირიდან გადა-
ვარდნილი, ჩამოყალიბებული ავაზაკის ნე-
ბისმიერ ნაბიჯს. იგი ისევე მომზიბულელია
და საყვარელი, როგორც ასამი მუშეკეტოს
პერსონაჟები. არადა, ვინ არიან ათოსი,
პორთოსი და ძმანი მისნი, გულში რომ ჩა-
ვარდნია მთელს მსოფლიოს – ლოთი-შფო-
თები, ყომარბაზები და ყოველ ნაბიჯზე კა-
ნონის დამრღვევნი. ქვრივიშვილი ნორედ
თავისი უპრინციპობით, უზნებობით, მაქსი-
მალისტობით, ცრუპენტელობით, ყოყოი-
ბითაა საინტერესო და მომნუსხველი. მაგ-
რამ ამ ზღაპრის უპირველესი ღირსება სი-
მართლეა. ალალი, ხალასი გრძნობითა და
სიმრფელითაა ნაკარნახევი ყველა ქმედება,
რასაც ქვრივიშვილი ჩადის. აქ მხოლოდ შერ-
ჩეულია გზა, ფორმაა სხვათათვის მიუღებე-
ლი და დასაგმობი. თავად მთავარი გმირი კი
უაღრესად წრფელია. იგი თავისთავთანაა
მართალი და მას ეს საცხებით აკმაყოფი-
ლებს. თვით ტექსტიც საოცარი თავისუფ-
ლებითაა და სიმართლით იკითხება – პირდა-
პირ ახასიათებს და ყაჩაღს, მატყუარას უწო-
დებს ქვრივიშვილს:

„იყო ერთი ქვრივი დედაკაცი. ჰყავდა
ერთადერთი ვაჟი, მოუსვენარი, ყაჩაღი, მატყ-
უარა. დედამ უთხრა:

– შეილო, ოღონდ ნუ იყაჩაღებ და სულ
მე გარჩენ, ხელს ნუ გაანძრევ!
– არა, დედი, განა ჩემი ნებით ვყაჩაღობ?
ზევით რომ წმინდა გიორგია, იმის ნებით
ვყაჩაღობ, ის მიბრძანებს.“

ბიჭი ცამდე მართალია: იგი შეპყრობი-
ლია, გათანგულია თავგადასავლების უნე-
ბით – მოულოდნელობებით, ფაერთაკებით
მდიდარი ცხოვრება ზიზღავს და იზიდავს.
ქვრივიშვილს არც მდარე და დუნე ცხოვრე-
ბა ხელენიფება და არც უმოქმედობა შეუძ-
ლია. მან თავად ამოირჩია და შეიქმნა ასპა-
რეზი, სადაც საკუთარი თავიც უნდა დაემ-
კვიდრებინა და სიცოცხლის ოინიც მოეკლა.
ფინი და დაუდგრომელი ხასიათი, უზარმაზა-
რი შინაგანი ძალები და ცნობისნადილი, მე-
ოცნებე-რომანტიკულ-რაინდული სულის-

კვეთება არ ასვენებს, თორემ თავის სარჩე-
ნად და სარწოდ რომ არ სჭირდებოდა, მის
ქვრივიშვილი რომ თავმოწინონე კაცია და
დედის ხელის შემყურე ვერ გახდებოდა, მას
სხვაგვარად ცხოვრება არ ძალუძს, უბრა-
ლოდ არ შეუძლია და საკუთარ მისწრაფე-
ბებს, მოთხოვნილებებს, ცოტა იუმორითაც
კი, წმინდა გიორგის ნებად შერაცხავს. ქვრი-
ვიშვილი თავისუფალი ადამიანია – გამაოგ-
ნებლად, შესაშური სილაღით აკეთებს რაც
სურს და ის რაც სხვისთვის მხოლოდ მკრე-
ხელობა და ღვთისშემამობლობაა, მისთვის
მორიგი თავგადასავალი – გართობაა.

„ადა ეს დედაკაცი, დააცხო ზაჭაპუ-
რები, დაკლა ქათმები და ძღვენად ნაწული იმ
წმინდა გიორგის. ბიჭმა დედას გაასწრო. შე-
ვიდა სალოცავში, ჩამოაფარა ფარდა და ფე-
ხებს აქანავებს. სად იყო, სად არა, მოვიდა
დედამისიც. შეეხებენა გიორგის:

– შენი სახელის ქირიმე, ჩემ შეიღს ყაჩა-
ლობა მოაშვეკენე, ერთი შეილი მყავს და ნუ
დამილუპავ!
– შენი შეილი ყაჩალობაზე ამიგია და ყა-
ჩალობაზე უნდა გადავავსო! – უპასუხა თით-
ქოს წმინდა გიორგომ.

დედას რალა უნდა ექნა, ეს ძღვენი იქვე
დატოვა და შინ ნამოვიდა გულდანივეტილი.
ბიჭი გამოხტა, მოუსვა ხელი ამ სასმელ-საჭ-
მელს და სულ ერთიანად შეჭამა. შემდეგ შინ
გაიქცა და დედას კიდევ მიახსრო. დედა რომ
დაბრუნდა, პკითხა:

– რა გითხრა იმ წმინდა გიორგომ?
– შენი სიტყვა მართალი ყოფილა, ეგრე
მითხრაო“.

ქვრივიშვილის უდარდელობა და ფეხე-
ბის ქნევა ისეთი გადამდებია, გულიანად თუ
გაიცინებს კაცი, და აბა, რომელი ქყოთიმყო-
ფელი განიკითხავს ბიჭს ამ თავხედობის-
თვის. ქვრივიშვილი ბოროტების გზაზე დამ-
დგარი უნიჭიერები კაცის განსახიერებაა,
მაგრამ საოცარი ის არის, გული რომ გწყდე-
ბა – ნიჭი სიკეთეს არ ხმარდებაო. ვაი, რომ
დგება ნამი, როდესაც დარდიმანდობას და
რაინდობას ყავილ გასდის, სინამდვილე მთე-
ლი სისასტიკით აღიშართება და არჩევანის
წინაშე დგები. არჩევანი კი უმძიმესია: ან,
როგორც ქვრივიშვილი შეეფერება – კაცუ-
რად უნდა მოკედე, ან მიაფურთხო ყველა-
ფერს – ოჯახს, ნათესაობას, სიყვარულს, კი
ყმობას – ანუ ქვრივიშვილის განვლილ
ცხოვრებას, პიროვნებას და კაცუნად, ქალა-
ჩუნად, უკანასკნელ, საზოგადო გარეწრად
იქცე:

„ამის შემდეგ ამ ბიჭმა გაიამზანა და დეი-
დაშვილი და ის სახელმწიფო სულ აიკლეს,
სალაროები გაძარცვეს, სავაჭროები გააჩა-

ნაგეს. ყაჩაღების გზა-კვალი ვერაინ იძოვ-
ნა. ბევრი ეძებეს, მცველებიც მოუწინეს სა-
ლაროებს, მაგრამ ფული ეკარგებოდა, ყაჩა-
ღებს ვერ პოულობდნენ. ერთხელ სახელმწი-
ფო ხაზინასთან კუპრით სახსრს კასრი დად-
გეს, იქნებ ქურდი შიგ ჩაეარდესო. ამ დღეს
ქერივიშვილმა ფულის მოსაპარავად დეი-
დაშვილი გაგზავნა. ის გადავიდა თუ არა,
კუპრში ჩაეარდა. ქერივიშვილმა ვერა და
ვერ ამოიყვანა. მოაჭრა თავი და თან წამო-
იღო, იქნებ ვერ იცნონო. მეორე დღეს ნახეს,
რომ კაცია კი აგდია კუპრში, მაგრამ თავი არა
აქვს, მოაბეს ამ კაცს თოკი და ათრევენ ქუ-
ჩაში, ვინც ტირილს დაიწყებს, პატრონი ის
იქნება და დაეჭიროთო*.

ზღაპრის მთელი სიღრმე და პარადოქ-
სულობა სწორედ აქ — „მოაჭრა თავი და თან
წამოიღო“ — ამ პასაჟში მოსწანს. ქერივიშვი-
ლი პირნათელი გამოდის ამ ლაბირინთი-
დან, თითქოსდა დაუჯერებელი გადარწმუნ-
ებულება ვერას აკლებს მას და ეს ამზერ-
სხეში, შემზარავი სცენა მცვემის მაგიერ
ამაღლებს, უკეთესად წარმოგვიჩენს ქერი-
ვიშვილის პიროვნებას. ერთი მხრივ შეიძ-
ლება ითქვას — საკუთარი დედა არ დაინდო,
მასხრად აიგდო და დეიდაშვილს დაგიდევ-
დათ?! ეს აეკაცობა და სიმშვეტე უზნეობის
ყველა სახეს აჭარბებს და ვხედავთ, თუ რა
სამშია, შემზარავი და მძინვარე განსაც-
დელისას ადამიანი. მაგრამ ყოველივე ეს სა-
უცხოოდვე გვიჩვენებს, თუ როგორი გა-
თანგული და „დაავადებული“ ყოფილა
ქერივიშვილი. ვაჟმა უყოყმანოდ, დაუხა-
ნებლად წააცალა თავი ღვიძლ, ალალ დეი-
დაშვილს. არც თავად ვარდება დეპრესია-
სა და სინანულში და არც სხვას აცლის სუ-
ლიერ სიძაბუნეს. სინდისის ქენჯნა არ ანუ-
ხებს, რადგან მართლაც სჯერა, რომ სხვა
გზა არ არსებობდა და მისი საქციელი სრუ-
ლიადაც არ არის დათმეორებული. სწორედ
მისივე რწმენა ამართლებს ბიჭს, როგორც
საკუთარ, ისე სხვის თვალში. იგი საზიზღა-
რი და აუტანელი მაშინ იქნებოდა, სიმშდა-
ლით, ქალაჩუნობით რომ ჩაედინა ეს საზა-
რელი დანაშაული. რა სისწრაფითაც გა-
დადგა ეს ნაბიჯი, იმავე სისწრაფით, ჯიქურ
შეუტაცს დეიდაშვილის ცოლს, თან ისე,
რომ გონს მოხვალავს არ აცლის და სამო-
მავლო გეგმებსაც სახავს.

ქერივიშვილმა დეიდაშვილის ცოლს
უთხრა:

— ხმა არ ამოიღო, არ იტირო, თორემ გაგ-
ვიგებენ, დაგვიჭერენ და ყველა დავიღუპე-
ბითო.

პატრონი რომ ვერ იპოვეს, მკედარი
შარაგზაზე ერთ ხეზე ჩამოკიდეს, მცველე-
ბი მოუწინეს; აქ მთელი ხალხი მიდი-მოდი,

პატრონი გამოძინდება, დაიტოვებს და დაე-
ჭერთო.

ქერივიშვილი

ამ ბიჭის ცოლი ძალიან ტირილყოფდა და
მკედარი ქმრის დატოვება, მაგრამ ქერი-
ვიშვილი არ უშვებდა, ბოლოს, ქერივიშვი-
ლმა რძალს გაატანა საქმელი და ჯამ-ქურ-
ტელი: ნაილე, ვითომ მუშებთან მიგაქვს. რო-
ცა მკედართან გაივლი, დალენე და შემდეგ
იტირე რამდენიც გინდა. მცველებს ეგონე-
ბათ, ჯამ-ქურტელს ტირისო! ქალი ასეც მო-
იქცა*.

რა გაელენა აქვს ქერივიშვილს, როგორ
სჯერათ მისი, როგორ ატყვევებს რეგულიე
ყოფთ და რა გადამდებად, მომწუსხველად
მოქმედებს მისი ძალა და სიტყვა: ვაჟმა შე-
უძღებელი შეძლო, ქირისუფალი დაადუმა
და რაც მთავარია სოციალურს, ამ ყველაზე
მძაფრ, ყოვლის ნამღეკავ გრძობას მოერია
და მოთოკა. არადა დეიდაშვილის ცოლს
მართლა უყვარს ქმარი. განა სხვის დასახა-
ხად, სათათისოდ უნდა იტიროს. როგორ
იბრძვის ქალი, ყოვლისმეძღვე ქერივიშვი-
ლიც კი იძულებულია რაიმე მოიფიქროს, მო-
იშოქმედოს, რადგან სამშია, ძალზე სამშია
შეყვარებული ცოლი.

ქერივიშვილმა მკედარს საფლავი გაუმ-
ზადა, ვირს აპკიდა სასმელ-საქმელი თით-
ქოს შორეული მგზავრი იყო. საღამო ხანს
მცველებთან მივიდა. სთხოვა, ღამე გამოთე-
ვინეთო. მცველებმა უარი არ უთხრეს. ბიჭ-
მა ამოალაგა სასმელ-საქმელი და გაუმას-
პინძლდა. ბოლოს, ზევით აიხედა და მკედარ-
ი დაინახა.

— ეგ რა არი?

— მკედარია ჩამოკიდებული.

— ეგ ვირს მომპარავს, მიშველეთ!

— არა, კაცო, მკედარი კაცია, ვირს რო-
გორ მოგპარავს!

— ნამდვილად მომპარავს, აქველარ დაე-
დგებო.

— თუ მოგპარავს ჩვენი გიზღავთ, —
უთხრეს მცველებმა.

ბიჭი ამაზე ვითომ დამშვიდდა. მცველებ-
მა ბევრი ჭამეს, სევს, დათურნენ და დაიძი-
ნეს. ქერივიშვილს რა დააძინებდა! ნამოდგა,
ჩამოიღო ეს მკედარი, აპკიდა ვირს და შინ
შაუშვა. თვითონ კი მოუნვა გვერდით მცვე-
ლებს და დაიძინა.

მეორე დღით პირველად მცველებმა გა-
მოიღვიძეს. ნახეს, ვირი არა ჩანს, მალლა შე-
იხედეს, მკედარი აღარ არის. შექმნეს ერთი
უბედურება. გააღვიძეს ქერივიშვილი.

— მკედარს შენი ვირი მართლა მოუპა-
რავს და გატყვეულაო.

ქერივიშვილმა დაინყო თავში ცემა:

— რატომ მღუპავდით, განა არ ვიცოდო,
მკედარი ვირს მომპარავდა!



მცველებმა აუნაზღაურეს ვირის ფასი და ქვრივიშვილიც შინ დაბრუნდა. დეიდაშვილი დიდი ამბით დაჰარხა. დაიწყო ისევე ისე ქურდობა, ძარცვაედა სალაროებს, ვერაჯინ ვერაფერი გაუგო.

ჯერ მარტო დიალოგები რად ღირს – სხარტი, მკაფიო, დამაჯერებელი და ზუსტად ზღაპარს რომ მოერგება ისეთი – ზუსტი, ლაკონური და ტყეადი. ასეთ ფრაზებზე ბევრი დიდი დრამატურგი იოცნებებდა:

კითხვა – „ეგ რა არის?“ – მტყველებს გულურყვილო მგ ზავრის პატიოსნებაზე, რომელსაც ეერ წარმოუდგენია ცხედრის ასე საქვეყნოდ, საძრახისად ჩამოკიდება და რომელ მგ ზავრსაც ასე შესანიშნავად თამაშობს ქვრივიშვილი. პასუხი – „მკედარია ჩამოკედებული“ ხაზს უსვამს მცველთა გულქვაობას, უსულგულობას. მათთვის რაიმე წმინდა, ხელშეუხებელი არც ყოფილა და აღარც იქნება. – ეგ უარს მომპარავს, მიშველიო! – რეაქციაა პატიოსანი, ცოტა გონებწლუნგი, მაგრამ გლეხური სიფრთხილით გამოგეკილი ადამიანისა, რომელსაც ჯერ თავი და თავი ახსოვს, მერმე კი დანარჩენი – მისთვის ქურდი, თუნდაც მკედარი და ჩამოკედებული შაინც ქურდი და საფრთხეა.

ქვრივიშვილმა არა მარტო ცხედარი უნდა მოიპოვოს, შურიც უნდა იძიოს და საცინლადაც აიგდოს მონინაღმდეგე. მის ფანტაზიას, მსახიობობას და ურცხვ იუმორს – უდიდესი ხიფათის დროსაც კი – საზღვაარი არ აქვს. ვაგი უკვე აბუზად იგდებს სახელმწიფოს, ერთგვარი მეჯობრი და ტურნიორ-ფული აქეთ გამართული მასა და თემიდას მსახურთ: ერთნი ხაფანგებს აგებენ, რათა როგორმე დაიჭირონ ეს მოუხელთებელი ყაბალი, ვაგი კი თავის მოხერხებულობით და გამომგონებლობით თავსღაფს ასხამის ძლიერი ამა ქვეყნისა. ვადამხვევტი და არდასავინყებელია ის ავბედითი საფრთხე გამუდმებით რომ გახდევს ბიჭის ქურდობა-ყაჩაღობა-ფირეშაკობებს. ზღაპარი კი ისე ლაღად, უმფოთველად მიედინება, გაეინყდება კიდევ რა სასველი ელის ქვრივიშვილს შეუყრობისას.

„ერთხელ სალაროს მცველებმა მინდორზე გამალეს ფული და თქვეს: ვინც ფულს დანუდება, ქურდიც ის იქნება და დაეჭიროთო. ნამოვიდა ქვრივიშვილი, ფისში ჩადგა ფეხები, გაიარა ფულზე და სულ ფეხებზე აეკრა. არც დახრილა დაბლა, ისე აკრიფა ფული, ყარაულები დაარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულები“.

ამკარა გამონევეაზე ქვრივიშვილმა საკადრისი პასუხი გასცა – მას ხომ მხოლოდ ფინი ამოძრავებს და ამოქმედებს. უდიდესი რისკისკენ მხოლოდ თავგადასავლების

წყურეილი, აზარტი, ხიფათი, ერთგობაში უბიძგებს. ვინ ვის! – აი, ამ უმეცრესად და სიცივის დედაარსი.

თითქოსდა ერთი დიდი სპექტაკლი თამაშდებოდეს და მაცურებელი კი შოელი დუნიაა, გულიანად რომ ხარხარებს და ერთობა; ერთობა, ამ ბიჭის ოინბაზობაზე და ხელიწოვლების დოყლაპობა-ბედოვლათობაზე.

კომიკური, თეატრალური და საყოველთაო რომ ხდება ეს ჭიდილი შესანიშნავად დასტურდება მეზობელი მეფის ასევე თეატრალიზებული რეაქციით ამ ბაქტახალიაზე:

„ამ ხელმწიფის გასაჭირი გაიგო მეზობელმა ხელმწიფემ და ჩიხტიკომა გაუგზავნა: ყაჩაღი ვერ დაგიჭერია, დედაკაცი ხარ და დაიხურეო“.

ხელმწიფეთა სენი – ამპარტაკენება უკურნებელია. სანამ მათ არ შეეხებიან, პირადად არ იწვევენ სუსხს, ისინი ხომ ყრუნი და ბრმანი არიან – თითქოსდა საქვეყნო საქმე მათ არ ეკითხებათ და ვითომ ქვრივიშვილი აქამომდე არ არსებობდა.

„გაბრაზდა ხელმწიფე და გასცა ბრძანება:

– ვინ არის ქურდი, მოვიდეს, არას დაეუშავებ და ფულითაც დაეასაქურტებო!

ეს შეიტყო ქვრივიშვილმა. ადგა და უშიშრად გამოცხადდა ხელმწიფესთან:

– მე ვარ თქვენი ხაზინიდან ფულის წამლებიო!

ხელმწიფემ უთხრა:

– ოღონდ ჩემს მეზობელ ხელმწიფეს რაიმე მოპპარე და ყველაფერს გაპატოებ, ბევრ საჩუქარს მოგცემ“.

ხელმწიფე ვერც კი მიხვდება, ისე აღმოჩნდება სასაცილო მდგომარეობაში; ტოლსწორისაგან იუკადრისა დაცინვა და შზადაა აღიაროს ქვრივიშვილთან დამარცხება, ოღონდ მეზობელი ხელმწიფის ჯავარი ამოიყაროს. ეს კი ქვრივიშვილის გამარჯვებით ტკბობის მწვერვალია, ამ სიმაღლიდან, ქვეყნის გასაგონ-დასახანად სურს გამარჯვებულის, გმირის დაფნა-ჯილდო მიიღოს. მიიღოს აღიარება, ტაში, ოუაცია. იგი დიდი მსახიობია, უნიჭიერესი არტისტი და მისი სისუსტე სწორედ ტაშია. მაცურებლის, აუდიტორიის დაპყრობა, მონუსხვა, მოპოვება სურს. ვაგი თავისივე მონადეხას ეთაყვანება. და აი, შესანიშნავი, ხელსაყრელი შემთხვევა უნვია, რათა თავისი სიძლიერე, გაწუმორებლობა დაამტკიცოს. სავარაუდებელია – მეფეს პირველს რომ არ ეხმო სამველად, თავად შესთავაზებდა თავის სამსახურს. ქვრივიშვილი მეცხელად დაჰყაბულდება, მაგრამ შაინც მწარედ გააკენწლავს მეფეს და აგრწობინებს – მის იქით რომ გზა არა აქეთ:

„ — რა უნდა მოგპარო, თვითონ მას მოვიპარავ და აქ მოვიყვანო! — მოუგო ქვრივიშვილმა“.

ამაზე პირდაპირ როგორღა ეტყობა ხელმწიფეს — ყველაფერი უკვე მოპარული მატებს, სამისხარაო გაგზადე, ერთი ცოცხალი კაცის მოპარვლა დამრჩა, თუნდაც ხელმწიფის, და ამასაც შევწუდებო. ვინ იცის, ქვრივიშვილმა მერამდევნ გრიმი გაიკეთა, რამდენ ხანს იქეძებოდა თავის უსასრულო გარედერობში. მითუმეტეს, წმინდანთა და იმქვეყნიურ ძალთა დახმარებას აროდეს უფრთხოდა და უკადრისობდა.

„შეაკერინა ოთხი ტყავის ნამოსასხამი, ყველა ბუნზე უღარუნები და ეფენები შიამა, გააკეთებინა ერთი საკაცე ყუთი და ნამოვიდა იმ სახელმწიფოში. ღამით მივიდა ხელმწიფის კარზე, ნამოიხურა ეს ტყავი და სულ უღრიალი გააქვს, დაუძახა ხელმწიფეს:

მე მიქვლ გაბრიელი ვარ, უფალმა გამომგზავნა, ცოცხალი უნდა წაგიყვანო, ჩქარა გამოდი!“

ჩასვა ამ ყუთში ხელმწიფე, დაკეტა მაგრად და თავის ხელმწიფეს მიართვა. გახსნეს ყუთი და შემინებული ხელმწიფე კი ამოიყვანეს! მიუტანეს ჩიხტიკოში და თავს დააბურეს.

— მე თუ ქურდი ფულს მპარავდა, შენ თვითონ მოგიპარა, დედაკაცი შენა ყოფილხარ! — უთხრა ხელმწიფემ.

ის ხელმწიფე ჯაერით მოკვდა. ქვრივიშვილმა დიდი საჩუქარი მიიღო, დაანება ყაჩაღობას თავი, შეირთო ცოლი და ხელმწიფეს კარისკაცად დაუდგა“.

„ქვრივიშვილმა დიდი საჩუქარი მიიღო“ — ქვეყანამ გაიცილა, სახელი მოიხვეჭა და რაც მთავარია, აღიარება მოიპოვა. ქვრივიშვილმა, როგორც დიდმა ოსტატმა, იცის, როდის უნდა წავიდეს. გამარჯვებულმა მოულოდნელი, ამასთან, დროული ნაბიჯი გადადგა და უფრო განსაკვირვებელი გახდა, რადგან მასზე ძველ პიროვნებებსაც უჭირთ, არ შეუძლიათ იგრძნონ და საკუთარ თავს უთხრან, რომ დროა წახელისა. ამ რომანტიკულმა, პეროიზმით სავსე, აზარტულმა ადამიანმა კი გასაოცარი ძალა, ის უნარი, თვისება გამოიჩინა ამ ყაიდის ადამიანებს — მეოცნებებს — როგორც წესი, რომ არ აქვთ

ხოლმე. ქვრივიშვილმა თავი დატყუა და ღირსეულად დატოვა სცენა.

ქვრივიშვილს, მონადირის შექმნის და ჩატუჩას რაც განასხვავებდა, იმ სიმსივნით: თუ ქვრივიშვილისთვის სიხარბე უცხოა, მონადირის შეილისა და ჩატუჩას გარდასახვა — არტისტიზმი, — რათქმა უნდა, მეტწილად — სამიწისთვის აუცილებლობა გამზადარა: ერთს ძალაუფლება-პატივადიღებდა იზიდავს; მეორეს სტომაქის ამოყორვა სურს; ელიაცას თვალები ებინდება, როცა ტამი ესმის, ყურადღების ცენტრშია და მთელი ქვეყანა მასზე ლაპარაკობს. ისინი მაინც ერთი ბეჭდით დადალულ-შეპყრობილი არიან. არცერთს არ უკვირს, უჩვეულო თავგადასავლებით, და მეტიც, ისე ზედვიან ყოველივეს, თითქოს ასეც უნდა იყოს. სრულიად განსხვავებული გრძნობები ამოძრავებთ, შორს დგანან პიროვნული ღირსებებით ერთმანეთისაგან, მაგრამ საზიარო თვისებაც აქვთ — სიცოცხლის წყურვილით, ახალი სამყაროს შექმნით, სიახლის განცდით არიან „დააეაფებულნი“. და მეობიდან, შესაძლებლობებიდან გამომდინარე ცოცხლობენ, ებრძვიან — საკუთარ მეს, პიროვნებას, ინდივიდს მერწავენ. თითოეულმა მათგანმა აირჩია და თავად გაიკაფა მომავალი; მონადირის შეილს შეყვნიდა, ირმის მოკვლისას დაუდგა არჩევანი; ჩატუჩა დიდხანს მერყობდა და პირველი ნატვრიდან — მზეთუნახავის ხელში ჩაგდებად მიიზღაზნებოდა და მნიფდებოდა საბოლოო გადანყვეტლება; ქვრივიშვილს კი დედის მუცლიდან დაპყვა მისი ბედისწერა — სწორედ ამიტომაცაა დედაშვილის უსულგულო მოკვდინებისას ნამითაც რომ არ შეეყოყმანებდა — დიდი ხნის უნინ შემდგარა არჩევანი. სამივე გმირს „ქატო იქა“ გადაუქცევია დევიზად და „ფქვილი აქაც“ ანაცვალეტენ ყველაფერს. რა თქმა უნდა, ერთმანეთისგან განსხვავებულად, სხვადასხვა მოსაზრება-მიზნებით, მაგრამ, მაინც — სამივეს „ქატო იქა, ფქვილი აქა“ ესახება სიცოცხლის საზრისად და ცხოვრების მინაარსად. ქართული ხალხური ზღაპრებიც სწორედ ამაზე — სიცოცხლეზე, არჩევანზე, ფათერაკებზე, თავგადასავლებზე მოგვითხრობენ და საკვირველი სიმართლით, სიუსუსტით, ადამიანურობით ასახავენ ნუთისოფელს.

ილია და საინგილო

შეტად საინტერესოა, ილიას ურთიერთობა ისტორიულ საქართველოს უძველეს და უღამაზეს კუთხესთან – საინგილოსთან. დღემდე თითქმის საიდუმლოებითაა მოცული ეს საკითხი. არადა, მართლაც როგორი იყო მწერლის შეხედულება ამ კუთხეზე? ყოველად გამოირიცხულია, რომ მას შეხების ნერტილი არ ჰქონოდა საინგილოსთან. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ილია კახეთიდან იყო და ბრწყინვალედ იცოდა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული წარსული.

XIX საუკუნის 60-იანი წლები ის პერიოდი, როდესაც საინგილოდან გამოდიან თითო-ორი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი თავიანთი შემართებითა და მონოდებით თერგდალეულთა იდეურ-პოლიტიკურ ხაზს მისდევდნენ და იბრძოდნენ მათ ცხოვრებაში განხორციელებისათვის. ეს იდეური ნაბიჯი ეროვნული თვალსაზრისით სწორი გზა იყო, რომელსაც უნდა ეხსნა ქართველი ერთ სულიერი დეგრადაციისაგან და ფიზიკური განადგურებისაგან. სწორედ ამგვარ რთულ, ძნელბედობის დროსაც ქართველი ერის სახელოვან შვილთა ცნობიერებიდან არასოდეს გამჭრალა ფიქრი და ზრუნვა საინგილოს მიმართ. ამასთანავე, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ეპოქიდან გამომდინარე უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს იმდროინდელი სოციალური ვითარება, რადგან დადგინდეს ქვეშაირიტება. სწორი დასკვნის გამოტანა კი აუცილებელია, რადგან იგი მისაბამი მაგალითი უნდა გახდეს შემდგომ თაობისათვის.

საიდან არ როგორ იცნობდა ილია ამ კუთხეს ჩვენთვის უცნობია. ასევე ძალზე ძუნძია ის მცირე ინფორმაციებიც, რომლებიც პასუხს გაგვცემენ ზემოაღნიშნული პრობლემის ირგვლივ. დუმს დიდი ილიაც. მხოლოდ აქა-იქ თითო-ორი ცალკეული გამოჩნობაში თუ შეგვხვდება მწერლის და მის ირგვლივ მყოფ მოღვაწეთა ეპისტოზარული მემკვიდრეობაში, რომელთა ერთობლიობა ასე თუ ისე შესაძლებლობას გვაძლევს ამ საკითხზე გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ. მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული დიმიტრისა და მოსე ჯანაშვილების შემოქმედებაში, მათ პირად არქივებში. ეს ბუნებრივია, ასე უნდა მომხდარიყო, რადგანაც ეროვნული ფასეულობების შენახვა საინგილოდან ჯანაშვილებს ხედათ წილად.

დიმიტრი ადრე ჩამოვიდა თბილისში და მალე ჩაება ჩვენი ცხოვრების კულტურულ ორომტრიალში. ეროვნული თვითშეგნებით აღსავსე ახალგაზრდამ ბიძაშვილსაც გაუწოდა ხელი. ასე ხელიხელა კიდევდნენ ორი სახელოვანი პერეთის მკვიდრი მვედრად შეექიდა ცხოვრების ძლიერ ქარტეხილს, რათა საინგილოს სიბნელე და გაჭირვება არიდებოდა. ამ საქმეში მათ მხარში ედგა მონინავე ქართველი ინტელიგენცია, პროგრესული და მოაზროვნეთა მთელი ჰლედა – ილია და აკაკის წინამძღოლობით.

ილია რომ საინგილოს მდიდარ ფაუნას გაცილებით ადრე იცნობდა, ვინემ ეს ზოგიერთებს გგონიოთ, ამაზე მუტყველებს გახუთ „ევერიამი“ შემორჩენილი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც აბრეშუმის ქოხის მოყვანას ეხება: „ქვენ გვახსოვს უზარმაზარი პლანტაციები კახეთში თუთის ხეებისა. ვისაც კი ხელი და ფიხი მიუწვდებოდა, ყველამ თუთის ხეების დარგვას, მოშენებას და გახშირებას მიჰყო ხელი ალაზან გაღამაგამოღმა, ეგრედ წოდებულ ივან მაჭაბის ძის ნისქვილებთან იორზედ და ზაბათლის ახლომახლო ისეთი თუთის ხეების ტყეები იყო გადაჭიმული, რომ იტყოდით, ამათ პატრონს სხვა რაღა სიმდიდრე უნდაო“ („ევერიამი“ 228, 1886). მწერლის უტყუარი შეფასება რეგიონის სოფლის მეურნეობის ამ დარგისა, დღესაც სახედნეობად, ისტორიის ძეირფას ფაქტად შემორჩა.

დიმიტრი ჯანაშვილი უფროსი თაობის იმ წარმომადგენელთაგანია, რომელთაც უშუალო შეხედრები ჰქონდა დიდ ილიასთან. ქართველი საზოგადოების დიმიტრისადმი დანიტერესება ჯერ კიდევ 1870-იან წლებში მოხდა, როდესაც იგი ზაქათალის სკოლაში საალმრთო რჯულს ასწავლიდა თანამოძმეებს. სწორედ ამ დროს, ილია ქაეჭავაძისა და სერგეი მესხის რჩევითა და დახმარებით, დიმიტრი თავს ანებებს ჰედაგოგიურ საქმიანობას და ორივედ წლის შემდეგ მუშაობას იწყებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. აქაც დიდხანს არ დარჩენილა ახალგაზრდა ცოდნამოწყურებული ინგილო და გეზი მოსკოვის სასულიერო აკადემიისაკენ აიღო, რომელიც წარმატებით დაამთავრა. ფართო დიპლომის მქონე დიმიტრის არც შემდგომ მოკვლეობა ილიას ყურადღება. სწორედაც, რომ მისივე წინადადებით დიმიტრი ჯანაშვილი ქ.მ.წ.კ. საზოგადოების

გამგეობის წერად აირჩიეს. ეს მეტად დიდი დაფასება იყო ქართველი ინტელიგენციის მხრიდან.

ილია არც დიმიტრის შემოქმედების მიმართ ყოფილა გულგრილი. მისი შესანიშნავი ისტორიული ნარკვევი — „ქართველი ქალები“ სწორედაც რომ ილიას ფურნად „ივერიაში“ (1882 წლის № 3-დან № 12-მდე) დაიბეჭდა. საერთოდ დიდი მზრუნველობა იგრძნობა ილიას მხრიდან ინგილო მისიონერისადმი. თავის მხრივ არც დიმიტრი ყოფილა უგულვსყურო დიდი მამულიშვილისადმი. მან მზრუნველედ განჭვრიტა ილიას სიბრძნე, მისი ეროვნული შემართება და ამიტომაც სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე საქართველოს რომელ მიწველ კუნძულშიც არ უნდა ყოფილიყო, მის ერთგულ თანამოსაგრედ რჩებოდა.

დიმიტრი ჯანაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის გაცნობა ნათელყოფს, თუ რა დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოისტივიადა ერის წინამძღოლისადმი. სადაც არ უნდა ყოფილიყო ქრისტიანობისათვის თავდადებული მისიონერი — კახსა თუ ვარძიშენში, იგი სულიერ კონტაქტებს არწყვეტდა თბილისთან, ქართველ ინტელიგენციასთან. ამის მონშეა ის დრო-ფაჩისაგან გაყვითლებული ფურცლები, რომლებიც ინახება მის პირად არქივში (გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი). დიმიტრი მოსე ჯანაშვილისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ ბარათში წერდა: „ბევრი რამ არის საინტერესო ჩემი მისიონირების შესახებ, მაგრამ მის წერას ერთი ათი დღე მოუნდება. ცუდი კაცია მერკულოვიც, მაგრამ მე არ ვაგრძნობინებ, რომ ვიცი მისი ძალღობა და ინტრიგა“. ამავე წერილის დასასრულს დიმიტრი დიდ მოკითხვას უთვლის თბილისის საინგილოდან, კერძოდ კი ასახელებს: „აგლაძეს, რაფდენს, ნათაძეს, გოგებაშვილს, ცხედაძეს, აკაკის, ილია გრიგორიძე ქაჯაძეს, ვანო შაჩაბელს“ (ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, მ. ჯანაშვილის ფონდი № 21778, 1887). არც მომდევნო წერილში იგიწყებს მოკითხვას ერთგულ მეგობრისადმი: „მომოკითხე: ნანუშივილი, ვ. შაჩაბელი, ილია ქაჯაძე, კოტე მუხრანსკი, იაკობ გოგებაშვილი, აგლაძე, რაფდენი, ქუთათელაძე“ (ლიტ. მუზეუმი, მ. ჯანაშვილის ფონდი № 22144, 1888). პერიფერიაში მომწყვდეული მისიონერი მომდევნო წერილში დახმარებას თხოვს მოსეს ნ. კ. გ. საზოგადოების წინაშე, რათა აპოლონ ინაშვილი-ივანიცკი, მოსეს სიძე ნუზიდან ბაკურციხეში გადმოიყვანონ მასწავლებლად. „ვიცი არ გეცლება, მაგრამ ივერიის“ რედაქციაში მისვლა ხშირად მოვიხდება, როგორც მუდმივ თანამშრომელს და

ილიაც ხომ იქ არის“. წერილის დასასრულს შენიშნავს: „ბაკურციხეში მუშაობისას, სიბოვე ილიას, გეგუბაძეს მამაძის მისცეს მასწავლებლობა“ (ლიტ. მუზეუმი, მ. ჯანაშვილის ფონდი, № 22141, 1889). იცოდა მოძღვარი, რომ ილია და მისი თანამზრახველები მის თხოვნას უყურადღებოდ არ დასტოვებდნენ. საინგილოს სახელოვან მამულიშვილის სიკვდილამდე არ შეუნყვეტია კავშირი ქართველ საზოგადოებასთან, მის სულიერ წინამძღოლთან. მისი ხმა არ დარჩენილა ხმად მალაღაფებლისა უდაბნოს შინა, რადგან მას დიდ პატივს სცემდნენ როგორც თანამომქმენი, ასევე ქართველი ინტელიგენცია. მის ღვანლს უკვალოდ არ ჩაუვლია. მან მთელი თაობა გამოზარდა და სამუდამო სიყვარული დაიმსახურა თანამომქმეთა გულში.

ოცდაორი წლის იყო მოსე ჯანაშვილი, როდესაც სისტემატური ბეჭდვა დაიწყო ფურნალ-გაზეთებში. მაშინ ილია უკვე 50 წლის იუბილარი გახლდათ. სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი მოსესა და ილიას მეგობრობას, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. მათი ურთიერთობა ვრცელი და ამოუწურავი თემაა, რომელიც სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, ჩვენ ამჯერად მხოლოდ ამ ურთიერთობის ზოგიერთ მომენტებზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

„ჩემი მწერლობის დასაწყისი“ — სამართლიანად შენიშნავდა მოსე ჯანაშვილი, — დაკავშირებულია ტფილისში ჩამოსვლასთან და „დროების“ რედაქტორის სურკეი მესხის და მისი მეუღლის ეკატერინე მელიქიშვილის სახელთან. დიმიტრი ჯანაშვილმა გზიდანვე პირდაპირ მიმიყვანა „დროების“ რედაქციაში. პირველი ლამები ტფილისში ჩამოსვლამა გავატარე ს. მესხის ძვირფას ოჯახში. „დროება“ მაშინ იყო ერთადერთი გაერცვლებული გაზეთი. იქ მუშაობდნენ: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხედაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი იოსელიანი, დ. ჯანაშვილი, ზ. უმიკაშვილი და სხვანი. პირველი ჩემი ბუქმდვითი ნაწარმოები იყო: „ინგილოთა ცხოვრების ზოგი ვითარება“, რომელიც დაიბეჭდა „სახოფლო გაზეთში“ № 16, 1877).

ახალგაზრდა მოსეს მრავალი ჩანაფიქრის განხორციელების წყურვილი კლავდა. უნდოდა ხელი შეეყვებინა სიბრძნითა და სილატაკით მოცულ საინგილოს ქართველებს. 1887 წლის 13 ნოემბრით დათარიღებულ აბელისადმი (ბაიარამაშვილი — ა.ო.) გაგზავნილ წერილში მოსე აანალიზებს რა ინგილოების ეკონომიურ მდგომარეობას, სამართლიანად შენიშნავს: „ჩვენ ინგილოები, როგორც მაშინ ვამბობდით, უნდა მკვი-



ყარნოთ საინგილოში, და ჩვენც შევადგინოთ ერთი პანანკინტელი წრე და ამ წრეს გარს შემოვუხსნდეთ, მრავალი საქმე გვაეკეთოთ... ახლა ხომ შენც ნაიკითხავდი „ივერიის“ № 37-ში მოწინავე ჭავეჭავაძის სტატიათ ფულუბი შემოიტანეთ ამა და ამ საქმისთვისო. ეინ არ შეიტანს, ვისაც რამე გააჩნია, მაგრამ მე ამას იმისთვის ვამბობ, რომ თუ ჩვენ საინგილოში ვიქნებით, შეგვეძლოს მოგვეგრძელო ფულუბი და ჩვენს ხარჯზე ჩვენი სტიმონდიატი გამოგვეზარდა... თუ ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, უნდა როგორმე კახში, საინგილოს დედა სოფელში შევიყარნოთ და დუქანიც გავხსნათ, ბანკებიც და სხვა სასარგებლო საქმეებიც ვაკეთოთ...” მოსე მზარს უჭერდა ილიას ინიციატივას ბანკების დაარსების საქმეში და აბელს მოუწოდებდა ინგილოების გათვითცნობიერებაში დახმარებოდა, რადგანაც მათ უბედურებას მტკივნეულად განიცდიდა: „თბილი სისხლი მიცხვლდება, როდესაც გავიგონებ ხოლმე ინგილოების საცოდაობას, რომლებიც ახლა უფრო უბედურ მდგომარეობაში არიან“ (ლიტ. მუზეუმი, მ. ჯანაშვილის ფ. № 22077). ნუხდა ახალგაზრდა მოსე, მაგრამ რას იზამდა, მას ხომ წინ მტკად მიიმე და რთული ცხოვრების გზა ელოდა, სადაც მოუწევდა მეცნიერების სინფესული პროპისა და ენერჯის დახარჯვა და ამავე დროს, მუდმივ ფიქრად დაპყვებოდა მშობლიური კუთხის ტკივილები. მანძილისა და დროის დაუძლელობამ ღრმა მოხუცებულობამდე ვერ გაიანელა მოსეს გულში სამშობლოს მანათობლად ანთებული მოკამკავე ჩირაღდანი.

მოსე ილიამ ადრედადანივე შენიშნა და როდესაც გაზეით „ივერია“ დაარსა, მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ცნობილი მწერლები და შემოქმედნი, რომელთა შორის იყო მოსე ჯანაშვილიც. აქედან დაიწყო მოსეს აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მჭიდრო კონტაქტები ილიასთან, რომელიც ოცდაათ წელს გაგრძელდა. ილია სისტემატურად ბეჭდებდა მოსეს წერილებს, როგორც სამეცნიერო ხასიათის, ასევე ეთნოგრაფიის ამსახველ პუბლიკაციებს. სწორედაც რომ პრესის ფორცლებმა შემოინახეს უნიკალური ინგილოური ფოლკლორული ნიმუშები. ამ მიმართებითაც უნდა ითქვას, ზღვა შრომა განუღო წინაპართა მიერ, რომელსაც შეიძლება სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნას – მოსეს მოღვაწეობას პრესასთან.

ილიასა და მოსეს ურთიერთობაში მოიძებნება ისეთი მკირვე ნიუანსები, რომლებზედაც ყურადღების გამახვილებმა ნამდვილად ღირს. ამ მიმართებით საკმარისია გავიხსენოთ მ. ჯანაშვილის ფონდში დაცული წერილი № 2563, რომელიც მტკად მნიშვნელოვან

ინფორმაციას შეიცავს, როგორც ილიასა და მისი ოჯახის ურთიერთობას საქართველოში და იმ დიდ შემალობის გამოძენილ საქმეებსაც იგი თავისებური ენერჯით ესწრება ქ.მ.ს.კ.გ. საზოგადოებაში: „1891 წელს მიწვეულ ვიყავე მდინად ნერა-კითხვის საზოგადოებაში. იქ არ არსებობდა ხაკმაო წესიერება, მაგ. ზღვანერები, ხშირად ტყავზე ნაწერებიც, გააქონდათ მათ შეხასნავლად დავთარში ჩაუნერავად და ზოგი ნალღულს არც კი აბრუნებდა. მე შემოვიღე დავთარი და ნალღული ნაწერებიც დაეაბრუნებინე. მის ხასარგებლოდ გამართა ჩვეულებრივი ყოველწლიური ლატარია, რომლიდან შემოიღდა წმინდა მოგება 3000 მ. ლატარიას ხელმძღვანელი ოღლა ჭავეჭავაძე მტკივდა ხოლმე: „ამდენი შემოსავლი მე წინა წლებში არ მინახავსო, ბარაქალა შენს გამჯელობასო“... მე ნერა-კითხვას შეუდგინე სრული კატალოგი“.

წინაძღვართ კარში გამართულ ერთ-ერთ მიტინგის დროს როგორც ამას მოსე ჯანაშვილი გამოგვცემს: „ილია სიტყვის სათქმელად რომ ემზადებოდა დ. სტაროსელის კის მეგობრისთვის უთქვამს: მაგან კი ილაპარაკოს და გლეხები ყველაფერს ადვილად მიხედიან, მაგას ისინი ადიდებენ და ეთაყვანებიან, უმადისოდ და მავის დაუკითხავად ეგები ფებს არ გადასდგამენ ხოლმე, მავის ძმური სიტყვა ჩვენი ხეობის ქართველებსათვის კანონი და წესიაო“. ასე ტკიბლად იგონებდა მოსე ილიასთან გატარებულ წლებს.

მეცნიერების მრავალ სფეროში ილენოდა მოსე და თუ ხანდისხან კალამი ნაუცდებოდა და ეჭვს გამოიწვევდა ესა თუ ის ნაწერი საზოგადოებაში, მაშინ პირუთენელი იყო კრიტიკა, ერის მებაიარახტარის მზრადან. ჟურნალ „ივერიის“ 1881 წლის № 3-ში ახალი წიგნების რუბრიკით განხილულია მღვდელ სიმონ ბეგვივის წიგნი: „პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისთან“ (1880 წ. გამოცემა) წერილის ავტორი აკრიტიკებს რა ს. ბეგვივის ამ ბუნდოვან, უთავბოლო წიგნს სამართლიანად შენიშნავს: „ამ წიგნის ავტორს არ უნდა დაეუბნებინა, რომ ქართველ მაშაშვიანებისათვის მისი წიგნი გამოუდევარი და მავენ იქნება. თუცა მაშაშვიანნი ქართველნი ჩვენ მართლ-მადიდებელთ ეჭვით გვიყურებენ, მაგრამ მოშავალში სარწმუნოების განსხვავება ჩვენს ერთიერთი მანეთთან და კავშირებას სრულიად ვერ დააბრკოლებს, რადგანაც სწავლა-განათლება ბეგვივის გაუგებარ ქადაგებაზე უფრო მძლავრი საშუალებაა კაცობრიობის წარმატებისათვის“. ავტორი უპირატესობას სწავლას ანიჭებს. მან უნდა შეძლოს შეუძ-

ლებელი. სარწმუნოების ნიადაგზე ორად გახლებილ ინგილოთა შეკავშირებას განათლება თუ შეძლებდა, რომელიც შემდგომ სრულიად აპაძლებდა ქართველთა თვითშეგნებას, ეროვნულ მეობის განმტკიცებას. საოცრად ნათლად ქერცტს ავტორი ამ კუთხის შორეულ პერსპექტივებს. 1881 წლის ეურნალ ავერიის № 6-ში ახალი ნიგნების რუბრიკით გამოქვეყნდა კრიტიკული რეცენზია – მოსე ჯანაშვილის შმიდტის მოთხრობიდან გადმოკეთებულ „მერცხალზე“ (1880 წ.). საინგილოში თანამომშეთა ვასანთლებლად ჩასულ ივანე როსტომაშვილს მოსწონდა მ. ჯანაშვილის „მერცხალი“, რომელიც: „ეკუთვნის იმგვარ საკითხავ ნიგნებს, რომლებიც აძლევენ მოსწავლეს ცოდნას ბუნებაზე და მის საკვირველ მოვლენებზე. მერცხლის ცხოველებიდან რამდენიმე ამბავი ისე ცხადათ და მარტივით არიან აღწერილი, რომ პატარა შვიდი წლის მცოდნე ყმაწვილიც ადვილად კითხულობს და იგებს“ (ლიტ. მუზეუმი, მ. ჯანაშვილის ფ. № 21893).

„ავერიის“ რეცენზენტი კრიტიკულად მომოიხილავს რა მ. ჯანაშვილის ნაშრომს, სამართლიან რჩევა-დარიგებას აძლევს ნიგნის ავტორს: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, ავტორმა იცის, რომ მზის ჩასვლის მხარე დასაღვლეთია და მერცხლები კი სამხრეთისაკენ მიფრინავენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ ეს აჩქარებით მოსვლია, მაგრამ ამისთანა საქმეში აჩქარება არაა კარგი და როგორ არ იცოდა ავტორმა, რომ ერთის შეცდომით, შეიძლება რამდენსამე ათასს ბავშუს მცდარი აზრი ჩააგონოს“. ჭეშმარიტ ფაქტზე თვალს უწრავი დახუჭავდა და, რა თქმა უნდა, ეს უნდა გაეთვალისწინებინა მოსეს შემდგომ მუშაობაში. შემოქმედებით პროცესში მციერედი უზუსტობის შემჩნევა გარედან, უცხო თვალისთვის ადვილია, რაც დროულ შესწორებას საჭიროებს. ხანდახან ეს შენიშვნა თუ შეფასება იმდენად პიროვნულად მტკივნეული იყო, რომ ქალაქად ზე განაწყენებთ გააპქონდათ პირადი ამბიციებით გამოწვეული სულიერი წყენა. ნანერი კი თავად კარგად მოგვხსენებთ, ისეთი რამაა, რომელიც დრო-ვამს უძლებს და ხანდისხან ისეთ დროს ნარმოჩინდება, როცა მას სრულიად არ ელოდები. ილიამ და მოსემ დიდხანს იხოლანეს ერთად და ამ დროს განმავლობაში ალბათ, იყო ზოგჯერ ურთიერთწყენაც, რამაც გარკვეული კვალი დაატყო მათ შემოქმედებას. ეს ჩანს მ. ჯანაშვილის აკაკი ნერეთლისადმი გაგზავნილი ერთ-ერთ ნერილში. მიზეზი? კვლავ შემოქმედებითი პროცესის ნიშნითა. კერძოდ, კი 1901 წელს ეურნალ „მოგზაურის“ № 5 დაიბეჭდა „ლა-

სურიძის (მ. ჯანაშვილის ფსევდონიმი – ა.ო.) პოემა „ადეით აღტყვევებულ ქსტორია მისი ლექსად“. ილგაქ უნდა ვთქვათ – „ჩიორამ“ (არტყ უნდა ვთქვათ) – მკაცრად გააკრიტიკა ეურნალი და მის ფურცლებზე დაბეჭდილი მ. ლასურიძე და მ. გობეჩია სუსტი ლექსების გამო. ეს ის დროა, როცა უკვე დაწყებულია სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლა „ავერიასა“ და „მოგზაურს“ შორის. ილიას გააფთრებით ებრძვის სოციალ-დემოკრატული იდეები მახარადე. ეკონომიურად გაჭირვებულმა და განანყენებულმა მოსემ ნერილი მისწერა ილია ქაეჭავაძეს, რომლის შავად ნანერი სათაურით – „ღრმად პატივცემულო ილია“ აღმოჩნდა გ. ლეონიძის სახელობის ლიტ. მუზეუმის მ. ჯანაშვილის ფონდში (ხელნაწერი № 21682). ნანერი ფანქრითა შესრულებული. ეს უნდა იყოს ილიასადმი გაგზავნილი ნერილის ასლი, რადგანაც მოსე აკაკისადმი გაგზავნილ ბარათში ატყობინებს: „ასრეთი ჩემი ყოფა ამა წლის 11 მაისს შევატყობინე ი.გ. ქაეჭავაძეს და ესთხოვე სამსახურის ვანებზე თავს და ეგება „ავერიამი“ ფასიანი ადვილი გამოწმდეს-მეთქი. დამპირდა“ (აკაკი ნერეთლის ფონდი, ს. № 713, საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი). შემდგომ ნერილში მოსე თავის ოჯახურ გაჭირებაზე ამბვილებს ყურადღებას „მას აქეთ ჩემს სახლთან ვაცხოვრებ წმან. თვეში, რომელსაც ვიღებ რეალურ სასწავლებლიდან. თქვენ კი ორი წლის წინ მიჩვენედი თ სამსახურს თავი მიანებე და მთელი დრო-ვამი ისტორიას მოახმარეთ. დღეს ურწმუნდები, რომ ძნელი ყოფილა საზოგადო მოღვაწეთა საქართველოში ცხოვრება და თანაც მაგონდებიან უმადურად დალუპულნი: ნინომვილი, ყახბეგი, აღნიაშვილი და სხვ.“ აკაკი ნერეთელმა, რა თქმა უნდა, გულთან ახლს მიიტანა მეგობრის გაჭირვებული მდგომარეობა და მისთვის ჩვეული მკაცრი დისკუსია გაუმართა „ჩიორას“. იგი ლალი იუმორით მიმართავდა მას: „ამ ჩვენსწერალს, შესაფერისი, არც ნიჭი აკლია და არც ცოდნა! მაგრამ ცოტა გადაყოლა კი იცის ხოლმე!.. აბა რა იყო, რომ „მოგზაურს“ წინ გადაელობა შარავზაზე და ერთი ვაი უშველებელი აუტება? ლასურიძეს ეტყერა. გობეჩიას ყელში ნაუჭერა და რედაქტორსაც უმართავდა „ავერია“, 1901, № 239), მაგრამ, სამწუხაროდ, დრო არ ითმენდა. უკვე მზადდებოდა ის საბედისწერო მომენტიც, რომელმაც შექრა ქართველი ერი. მწარედ ატირდა ცხოვრებისაგან მრავალჭირგამოვლილი მსოფიანი მეცნიერი. მოძღვრის დაკარგვამ მწარედ ატირდა გული და მან ერთ-ერთმა პირველმა. სამართლიანად განჭვრიტა ილიას შემოქმედების უკვდავობა: „ის იყო

ბრძნული თქმულების განმხორციელებელი: „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გამოსტერ“. ყოველი მისი თხზულება, თვით სიტყვების დროინდელიც, სწორედ შვიდჯერ გაზომილია და ისე გამოქრია... იგი რომ იტყვიან — ყოველმხრივ განათლებული კაციაო, სწორედ ის იყო. ჩვენში მხოლოდ მასზე მეტეძილია ვთქვათ: იგი ქაბუკობითვე ენაზე ფილოსოფოსი და დიდი მეგოსანი იყო! („ნამროში“, 1907, № 2). მაგრამ რას იფიქრებდა სახელეოანი მამულიშვილი, რომ წლები გაეიდოდა ისინი ორივენი საუკუნოვან განსასვენებელს ერთად, მამადავითზე პპოვებდნენ.

ილიას საინგილოსთან ურთიერთობის შესახებ დიმიტრისა და მოსე ჯანაშვილების შემოქმედების გარდა, ვარკვეულ ცნობებს ვაწყდებით იმდროინდელ პრესის ფურცლებზე. გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1916 წლის № 492-ში გამოქვეყნებულია ბათო ხუციშვილის კორესპონდენცია, რომელიც საინგილოს ეხება. იგი მადლიერებას გამოთქვამს ქ.მ.ნ.კ. საზოგადოების მიმართ, რომელიც საინგილოს სკოლებს საქირო სახელმძღვანელოებს და სასწავლო ნივთებს უგზავნიდა: ამავე დროს, საყვედურსაც გამოთქვამს ამ საზოგადოების მიმართ, რადგანაც მან ვერ მოახერხა საინგილოში ქართული სკოლის გახსნა. მაგრამ ყველაზე მთავარი და არსებითი რაც ამ წერილშია, ისაა, რომ: „ჩვენს საინგილოს ჰყავს თავისი მოციქულ-სწორი, ნმინდა, რომელმაც ჩვენში აღადგინა ქრისტეს სარწმუნოება. ეს არის ივან-ბაბა ბულულაშვილი... საიქიოს ინგილონი, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულნი, შეხებდებოდნენ საქართველოს დიდებას ილიას, აკაკის, რაფიელს და სხვებს, კითხავდნენ საინგილოს მდგომარეობას, წარმომადგენია დიდებულ მამულიშვილების მდგომარეობა ამ კუთხის შემდეგ: ჯერ გაყრდნობდნენ, მიეცემოდნენ ფიქრს: „საინგილო... საინგილო... პო, არ გვიანხავს, მხოლოდ გაზეთებში დროგამოშვებით რაღაცებს კანტი-კუნტით ინერებოდნენ საინგილოზე“. ვფიქრობთ, მეტისმეტად აჭარბებს კორესპონდენტი. ვარკვეულ გულისწერო მას ვერ მალავს და დაუშახურებელ ბრალდებას უყენებს ჩვენს სათაყვანებელ მამულიშვილებს. მართლაც და, ქართული კულტურისა და ლიტერატურულ ცხოვრების ისტორიაში ჩაუხედავ მკითხველს ყოველივე ეს შეიძლება მართალიც ეგონოს. მაგრამ ასე არ არის. ილია, აკაკი და რაფიელ ერისთავი ძალიან კარგად იცნობდნენ საინგილოს, მისი წარსულის წარმოქმნასა და მომავალზე ფიქრი დღენიდადა ანუხებდათ, ცდილობდნენ კიდევაც შეძლებისდაგვარად ამ კუთხის ერთიანი საქართველოს კულტურული ცხოვრების რიტმში წაბმას, თუ რამდენად ხერხდებოდა ეს ჩვენს ქვეყნულ პრობლემათა ფონზე, სხვა ქვეყნულ პრობლემათა, დარწმუნებით ვიტყვიდით, რომ ბათო ხუციშვილის გულისტყვილიც ხომ ერთხელ სულითაა გამსჭვალული და ამიტომაც მკითხველმა უნდა აპატიოს კორესპონდენტს უსაფუძვლო ბრალდება.

ილიას საინგილოსადმი მზრუნველობის ერთ-ერთ ღირსეულ ფეტვად შეიძლება ჩათვალოს ის უნიკალური მოვლენა მასწავლებელ სოფო ხუციშვილისა, რომელიც მან საინგილოში ჩასულ მწერალ ქალს — ალექსანდრა ჩვენკელს გაუზიარა: „ერთხელ თბილისში ჩავიდი რაღაც საქმეებზე, — გვიამბო სოფომ მასთან სტუმრად მისულ მასწავლებლებს — უვეკრად ეკატერინე შემომხედა ქუჩაში. მან შორიდანვე დავეინახე და ჩვენკენ წამოხულიყო. რად წამოხულხარ, დროებით თუ სამუდამოდ? — მომძახა მან სალაშის დაუცდელად — დროებითო, რა თქმა უნდა, — ვუპასუხე — პო, თუ დროებით, მაშ, ვეპარჯობა, — მითხრა მან და გადამოკცა — შენ რომ იქ გვევლეები, დამშვიდებული ვართ, ვიცით, რომ ქართულ ენას ერთგული დარაჯი ჰყავს საინგილოში. ილიაც, მეც და სხვებიც ამათ გთხოვთ, საინგილოს არ უღალატო, ინგილო ხალხი არ მოატოვო, ჩვენ თუ არა, მოძიავლი თაობა მაინც დაგიფასებს ამაგსო. — მე ვუთხარი ჩემი წამოხელის მიზანი, მან მომიკიდა ხელი და ნამიყვანა დიდ ილიასთან მოსალაპარაკებლად“ (ალ. ჩვენკელი, „მზიან საინგილოში“, თბილისი, 1957, გვ. 48). ამ კრცულ მოგონებებზე ნათლად ჩანს, დიდი ილიას გულისხმიერება და მზრუნველობა საინგილოსადმი. ამ კუთხის გასანათლებლად იგი ყოველ ღონეს ხმარობდა. ამის საბუთად შეიძლება ის ფაქტიც გამოდგეს, რომ 1898 წელს თბილისის სათავადო ხანაურ გიმნაზიაში სახელმწიფო ხარჯზე სწავლობდა ზაქათალიდან წამოსული ბალაშირ ამურამელი. ამასთანავე, საყოველთაოდ ცნობილია ის მაღალი შეფასებაც დიმიტრისა და მოსე ჯანაშვილისა, რომელიც ილიამ სახალხოვ წარმოთქვა: „მინდა თქვენ შეიღებს მიემართო, რომ ყოველწინაოდ შეუწყობთ ხელს დიმიტრი და მოსე ჯანაშვილისთან შეიღებისა და შეიღების გაპოზრდას“ (გაზ. „კომუნისტი“, № 202, 1987). მართლაც რომ, ღირსეული მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს ჯანაშვილების დედადი თითოეულ ინგელოსათვის.

საინგილოს მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილია ესა თუ ის თქმულება თუ მოგონება ილიასთან დაკავშირებით. გაზეთ „სახალხოვრდა კომუნისტის“ 1987 წლის № 126-ში გამოქვეყნდა ინგილო ჯუმა შაპას მოგონება



ილიაზე, რომელიც სხვა ინგილოვებთან ერთად ორჯერ ჩასულა ყვარელში უნახავთ ილია, რომელსაც გულში ჩაუკრავს ინგილოვები, სახლში შეუმატიფნია და უკითხავს — რა ენაზე ლაპარაკობთო. ეს უკანასკნელი ფრანზა სინამდვილეს არ უნდა შეესატყვისებოდეს, რადგანაც ყოვლად დაუჯერებელია, თუ ეს ამბავი ნამდვილად მოხდა, ილია მათ ასეთი კითხვით არ მიმართავდა. ილიამ ბრწყინვალედ იცოდა რა ენაზე ლაპარაკობდნენ ინგილოვები, და ჯუმა პაპას მიერ ამ ნათქვამის ჩართვა — ენობრივ ფაქტორზე ყურადღების გამახვილება, მომდევნო პერიოდს უნდა განეკუთვნოს, რადგანაც შემდგომ წლებში იწყება მეტად საშინელი ვითარება საინგილოში — ქართული ენის ინგილოური დიალექტის შეინარეობისა, რომელიც სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. შემდგომ ჯუმა პაპა იხსენებს ილიას დანაპირებს საინგილოში ქართული სკოლების გახსნაზე და მის უშუალო ჩასვლაზე, რომელიც აღარ მოხერხდა საბედისწერო მკვლელობის გამო. თვალყრემლიანი მოხუცი სამქიმარზე ჩასულა ყვარელში. ის ოღლას უცენია. ჯუმა პაპას სოფელ თასმალუდან ნაღებული მინა მოუყრია ილიას საფლავზე. ამ მშვენიერ ხალხურ თქმულებაშიც ნათლად გამოხატვის ის დიდი სიყვარული ინგილოებისა ილიასადმი, რაც დღესაც არ განუღებულა.

მართლაც რომ ხაოცრად მოულოდნელი და საზარელი იყო ის ტრაგედია, რომელიც ნინამურში დატრიალდა და რომლის ფარდის ახდა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა. იმდროინდელმა პრესამ შემოინახა მეტად მნიშვნელოვანი მასალები ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელთა თვალის ერთი გადავლება ნამოატივტივებს ერის ნინამძღოლის აჩრდილს.

ქართველის ერის სამგლოვიარო დღეებში ერთხელ კიდევ გამოჩნდა ერთიანი საქართველოს შეკრული სახე. სწორედაც რომ

ილიას მკვლელობამ შექმნა და შექმნა ქველტანჯული ქართული დღეღამე და ქველტანი „ისარი“ 1907 წლის № 198-ში ეხმაურებოდა ამ ფაქტს და წერდა: „მსეტყმბერს დიდხანს არ დაივინებენ დამსწრენი. ამ დღეს თითქმის პირველად შემოიკრიბა ქართველობა. იყვნენ ყველა მხრიდან: კახეთიდან, საინგილოდან, ფშავეზეესურეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, სვანეთ-ლეჩხუმ აფხაზეთიდან, აჭარა-ქობულეთიდან, ჯავახეთ-ახალციხიდან“. ერთიანი საქართველო დასტიროდა ერის მამას, დიდ ილიას. იმ დღეებში ათასობით მოდიოდა დეპუტები და წერილები სხვადასხვა კუთხეებიდან. ერთ-ერთი სამგლოვიარო დეპუტე ასე იწყებოდა: „ქ. ზაქათალი. ზაქათალელი ქართველობა მთელს საქართველოსთან ერთად მწარედ პგლოვობს მცხოვან პოეტის, დაულაღვე საზოგადო მოღვაწის, XIX საუკუნის ჩვენი ცხოვრების საუკეთესო ბურჯის, საქართველოს დიდების და სიამაყის ერთგულ მამულიშვილის ილიას ვერაყის სიკვდილს უპატიოსნო უწმინდურ ხელთაგან... ღმერთმა ინებოს, რომ ამ შემამჩრუნებელმა ამბავმა მაინც გამოაფხიზლოს ქართველობა და დაანახოს, რომ დროა საქართველოს დამლუპველ პირთა საზიზღარ თავებდობას ბოლო მოეღოს. ზაქათალელი ქართველობა“ (გაზეთი „ისარი“, 1907, № 198).

შეუძლებელია ადამიანმა ნაიკითხოს ზემოაღნიშნული დეპუტე და არ იგრძნოს ის დიდი ტკივილი, რაც ინგილო ქართველობამ გამოხატა ერის სათაყვანებელი შვილისადმი. მათ თითქოსდა ნინასწარ გამოიტირეს დიდი მწერალი და მასთან ერთად საკუთარი თავი. დრომ ვერ მოაშუშა ის მწარე ტკივილი, რომელიც ხშირად გვახსენებს თავს, თვალზე ცრემლს მოგვეგრის და გულის ძარღვს შეგვიტოკებს.

მართლაც და, რა დიდი ტკივილით იყო სავესე ზაქათალელთა სამძიმარი!



სახეობრივი აზროვნების თავისებურებანი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში

თუკი ხელოვნება, რომელშიც ლიტერატურას ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, სახეებით აზროვნებაა, მამასადავამე, სახეობრიობა მისი საარსებო თვისებაა. ხელოვნების დარგები, როგორც ილია აღნიშნავს, თავიანთი იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალას იყენებენ. ამ მასალათა შორის ყველაზე დიდი უნარისა და შესაძლებლობის მქონე ენაა, ე.ი. ლიტერატურა სიტყვის ხელოვნებაა, მაგრამ მხატვრული სახის თვით ფორმა ენის გამოვლენა კი არ არის, არამედ ხელოვნების გამოვლენაა, თუმცა ენობრივი მასალითაა ნაგები. ენა ყველა მწერლისათვის თანაბრად არსებობს. იგი მხატვრული გამოსახვის ერთადერთი წყაროა, მაგრამ ერთი წყაროს არსებობა და მეორე – ამ წყაროთი სარგებლობა. ის ხელოვანი, რომელიც მისი სარგებლობის დროს დიდოსტატობას აელენს, ე.ი. სინამდვილეს გადმოეცემს მალამხატვრულად, ექსპრესიულად, ის შემოქმედი, რომელსაც შესწევს უნარი, სრულყოფილად გამოიყენოს ენის სიმდიდრე, როგორც ზოგადეროვნული-მხატვრული, ისე ხალხური მეტყველების საღაროდან შეარჩიოს სიტყვები და ერთიანი სალიტერატურო ენის შესაბამისად ისარგებლოს დიალექტით, ამასთანავე, დიდოსტატურად გამოიყენოს ტროპული მეტყველება ანუ იმპაროს სიტყვები არაპირდაპირი, ვადატანითი მნიშვნელობით, ნამდვილი შემოქმედი.

აი, ასეთი შემოქმედი გახლავთ ვაჟა-ფშაველა, რომელსაც ღრმა სახეობრივი აზროვნება ახასიათებს. სად არის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სათავე? ცხადია, მას ხალხურმა პოეზიამ გაუკაფა გენიოსობის კენ მიაველი გზა. სწორედ ხალხურმა პოეზიამ მისცა მას საკუთარი პოეტური ხმის აღმოჩენის საშუალება.

მთის დიდმა მგოსანმა ხალხური ენა თავის პოეტურ ქურაში გამოაწრო და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ენობრივი ნატურალიზმის (რამიც ამ შემთხვევაში ფშაურ დიალექტს ვგულისხმობთ), საფუძველზე გამოიმუშავა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტური სტილი, დატვირთა იგი საკუთარი ინდივიდუალობით აღბეჭდილი ფორმებით, ასე რომ, არასოდეს უსარგებლია ხალხური ენის მხამხარეული მასალით. ვაჟამ თავისი თავი თვითონე დააბასიათა პუბ-

ლიცისტურ წერილში „ნიჭიერი მწერალი“, რომელიც უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარი თავისადმიც არის მიმართული. „მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ენა“ უნდა ჰქონდეს, ენაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომისაა და, უკეთესად რომ ვთქვათ, – მწერლის სულა; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ ნაგეკითხავთ ნინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვედეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის... მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი ნინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული; მამასადავამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურებისა უნდა ესვას“ (ვაჟა ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, გვ. 321).

შეკარად ჩამოყალიბებულ ამ მოთხოვნას უპირველესად თვით ვაჟა იცავს. პოეტური ენა ყველაზე სწორ, ყველაზე უტყუარ წარმოდგენას გვიქმნის მის შემოქმედებაზე. ვაჟას ენასა და სტილზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რამდენადაც იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს რიტმულ ვარიაციებსა და მეტრულ საზღვრებს, ნაკლებად ზრუნავს ლექსის ახალ საზომებზე, არ არის გატაცებული რითმის ნაირგვარობით, იმდენად უკიდურესობამდე აქვს სმენა გამახვილებული მხატვრული მეტყველების ფორმებზე, ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებზე, სიტყვათა მრავალსახეობაზე. განუზომად ამატებს ენის მნიშვნელობა ვაჟას შემოქმედებაში. იგი ისე სიხლბოროცუვლად დაკავშირებული ვაჟას იდეურ-მინარსობრივ სამყაროსთან, რომ პოეტური ენის სრულყოფილად შესწავლისა და გამოვლინების, სიტყვის გამომსახველობითი ბუნების ანალიზის გარეშე შეუძლებელია შეუმცდარად შევფასოთ მისი შემოქმედებითი მიღწევები.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქვემარჩი ლიტერატურა არის დიდი აზრების და იდეების ხელოვნება, ხოლო ენა (სიტყვები და ურთიერთკავშირები) აზრის უშუალო სინამდვილეა. ამიტომ შეგ-



**დილაზე ფრთა — დაეცილოთ,
ნაპტირალეფთა ღამითაპ რქენსეშლი
მთებზე ეინა ნისლეტსნი ბზნირთენქს
მიტკლით შეკრულის თავითა.**

ვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვას, ენას უფრო ღრმად და უშუალოდ, ვიდრე სხვა მატერიალურ საშუალებებს (საღებავს, გამოსაქანადაკებელ ქვას, მუსიკალურ ბგერას) შეუძლია გადმოსცეს ესთეტიკურ-მატერული ჩანაფიქრი, იდეა, საგნისა და მოვლენის არსი. სიტყვას „ლიტერატურის პირველ ელემენტს“ უწოდებენ, რითაც საგანგებოდ ამხევილებენ ყურადღებას იმ უცილობელ ჭეშმარიტებაზე, რომ გამოშსახველობითი ფუნქციის თვალსაზრისით ენა ყველაზე მობილური მექანიზმია. როცა ლირიკულ და ეპიკურ ნაწარმოებებში გამოყენებულ ვაფას სიტყვებს ეაკვირდებით, ვგრძნობთ, რომ ამ სიტყვათა გარკვეულ ნაწილს არა მხოლოდ საგნობრივი მნიშვნელობა ენიჭება, არამედ სახეობრივიც. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ემოციური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ სიტყვას ვაფასთან, ჩვეულებრივად აღიქმება იგი თუ არაჩვეულებრივად.

ვაფა ხშირად ხმარობს სიტყვას „ნისლი“, რომელიც გარდა იმისა, რომ თავისთავად შინაარსს გამოხატავს, განსაკუთრებული სიმბოლურ მნიშვნელობასაც შეიცავს. ამ თვალსაზრისით უნდა გავიხსენოთ ვაფას მეტაფორული სტროფი: „პირს დასწოლია ნისლები, გულით ნადენი, შვიკა“ („ალუდა ქეთელაური“), ანდა: „კარგი ხარ, ალარ ქარკი ხარ, მე ვუღს მანუეხარ ნისლადა“ („სივყარული“). ძნელი გასარკვევი არაა, რომ ზემოთტანილ სტრიქონებს სიტყვა „ნისლი“ აზღებურ ემოციურ შეფერილობას აძლევს, რადგან ორივეგან იგი სიმბოლურ ფუნქციას ასრულებს. განსაკუთრებული სიახლითა და მოულოდნელობით გამოირჩევა ვაფას ის პოეტური სახეები, რომლებშიც სიტყვა „ნისლი“ გაცილებით შორეულ, ძნელად მისაგნებ ასოციაციებს იწვევს და სრულყოფილად მის გასააზრებლად მკითხველს დაკვირვებულობასთან ერთად დიდი გემოვნება და განსწავლულობა სჭირდება. ჩვენი ნათქვამის შესანიშნავი მაგალითია საყვარელითაოდ ცნობილი ვაფას ხატოვანი თქმა: „ნისლი ფიქრია მთებისა, იმით კაცობის გვირგვინი“ („პაბტრონი“). ამ ნათქვამში გამოშხურებულია ადამიანის ადამიანურობის მაჩვენებელი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი — ფიქრი და იგი უსულო საგნის თვისებადევია გამოცხადებული. მიაგნოს ყველაზე ნიშანდობლივს, ყველაზე არსებითს, ვაფას დიდოსტატობის დამადასტურებელია და, ამ მხრივ, მას ძნელად თუ გაუნეცს ვინმე მეტოქეობას.

ნისლისთვის ტირილისა და ძილის ადამიანური განცდაა მიკუთვნებული აკველის-მჭამელის“ ერთ-ერთ სტროფში:

ამ სტროფში თავისი მოულოდნელობითა და ორიგინალობით გეზიბლავს ტროპი: „მიტკლით შეკრული თავითა“, რომელიც მინაურულ, ოჯახურ ინტიმს ქმნის და კიდევ უფრო გვაახლოებს ადამიანთა გარემოს.

არსებობს გამოთქმა „სიტყვის ფასი“. ეს ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ მწერალმა სიტყვის ყადრი უნდა იცოდეს, სიტყვის ძიება მისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს. „თანამედროვე მგონისათვის, — ამბობდა გალაკტიონ ტაბიძე, — სიტყვას, მისი აზრის მიუხედავად აქვს თავისი საკუთარი სიღამაზე და ფასი, როგორც ძვირფას ქვევს, ყელსახვევ მარგალიტებს, ან ბეჭედებს... ვინც იცის ფასი, იგი აღტაცებულია მშვენიერი სიტყვებით. არის სიტყვები — აღმასები, იაგუნდები, ლალები, არიან სიტყვები, რომლებიც ბრწყინავენ ფოსფორით, აი, ამათგან — დღევანდელი სტილი, რომლის შედარებაც არ შეიძლება წარსულის დიდებულ და პატივსაცემ სტილთან“. ცხადია, გალაკტიონი აქ ლაპარაკობს არა საგნობრივი, არა ნომინაციური, არამედ სახეობრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვებზე, რომლებიც პოეტური სემანტიკის საკუთრებაა.

სიტყვა „ბუნება“ საერთოდ კონკრეტული შინაარსის გამოშხატველია, მაგრამ ვაფას ნაწარმოებებში იგი სახეობრივი კომპლექსის განმსაზღვრელ სიტყვად წარმოგვიდგება ხოლმე, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, საპირისპირო, ე.წ. ამბივალენტური შინაარსი გააჩნია. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვუახლოვდებით სემანტიკურ ანტინომიას ანუ ისეთ პროცესს, როცა სიტყვა ან ფრაზა ჭეშმარიტიც შეიძლება იყოს და მცდარიც. გამოთქმა: „ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა“ („ღამე მთაში“) — თითქოს პარადოქსულია, მაგრამ პოეტის შეცდომის შედეგი როდია, იგი სამყაროში არსებული დიალექტიკური კანონის გამვლავნებაა. ეს არის თავისებური ოქსიმორონი — ენობრივი გამოშხატვის სტილისტიკური ხერხი, როცა ერთმანეთის სანინააღმდეგო, კონტრასტული აზრის მქონე სიტყვები ახალი შინაარსით იტივრთება. მაინც რა აზრი იგულისხმება ზემოთტანილ ციტატაში? ის, რომ ბუნება ყოვლისშემძლეა, რომელსაც შესწევს უნარი, გავროს გააშვენიეროს, მაგრამ ამასთანავე, არ ძალუძს ეს მშვენიერება ბოლომდე შეინარჩუნოს და მისსავე შექმნილს თვითონვე გაანადგურებს:



**ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭებს,
ზოგჯერ მქნელია ავისა.
ერთფერად მტკიოთველი არის
საქმის თეთრის და შავისა,
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მოხრელია ზევისა...**

მართალი, „ბუნება“ საკუთარი მინაარსის მქონე თავისთავადი სიტყვაა, რომელიც განსაკუთრებულობაზე არავითარ პრეტენზიას არ აღხადებს, მაგრამ როცა კონტექსტშია მოქცეული, ნაწარმოების იდეური არსისა და პოეტის მსოფლმხედველობის გამოსახატავად საჭირო სიტყვად, სიმბოლოდ გვევლინება. ასეთია, მაგალითად, პოემა „სისხლის ძიების“ ბოლო სტროფის ორი ტაქა:

**ათხჯერა წიშს, სიტყვაა,
მთებზე ნისლეები ჭიდილი,
ბევრი რამ ხდება ქვეყნადა,
შიგ ცოდეა-ბრალი დიდია;
ბუნება წარბაც არ იბრის,
მაინც მშვიდი და მშვიდია.**

ვაჟა ცალკეულ სიტყვებს დიდ ემოციურ-იდეურ დატვირთვას აკისრებს. მას განსაკუთრებით უმარჯვება იმ სიტყვების მიგნება, რომლებიც ყველაზე ზუსტად, ყველაზე უტყუარად გამოხატავენ ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს. აქ არ შეიძლება არ გავისვენოთ ვი დე მოპასანის გამონათქვამი: „ყოველი საგნისათვის, რომლის გამოსახვაც ჩვენ გვსურს, არსებობს მხოლოდ ერთი სახელწოდება“. მწერლის ოსტატობა იმაში მდგომარეობს, რომ მიადნოს ამ ერთ სახელწოდებას“. მწერლები არ უარყოფენ იმ დიდ შრომას, ამ ერთადერთი სიტყვის მოსაპოვებლად რომ არის საჭირო.

ამ მხრივ ვაჟა განუმეორებელია. ვაჟას შეუმცდარ აღლოს შეუძლია იპოვოს და მკითხველს მიანოვოს ის სიტყვა, რომელსაც საზოგადოებრივი რეზონანსი გააჩნია:

**სიტყვა გადავადე ერშია,
სიტყვა, რა სიტყვა? — უღლი,
ტანჯულის გულის ნაცრემლი,
ჯერით ნაყები, სწული,
გულგამირული, ბეჩავი,
თავს მანდილ-ჩაობხული.
.....
ისაა ქვეყნის ნუგეში,
იმას შეხარის სოფელი...
(სიტყვა ეული).**

მაგრამ საკითხი აქ ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს: სიტყვას მხოლოდ სიტყვასთან კავშირში, ე.ი. ფრაზას შეუძლია სასწა-

ულის მოხდენა. ცალკე აღებული სიტყვა, თუ ის არ არის მოქცეული ემოციურ-მხატვრულ ექსპრესიული მეტყველებაში, წარმოქმნის უნდა მეტალგიური იყოს, ვერ გამოხატავს სათქმელს, ვერ შექმნის პოეტურ სახეს და, პირიქით, რაც უნდა ავტოლოგიური იყოს იგი, შეიძლება ღრმა სახეობრივი აზროვნების საფუძველი გახდეს. ასე რომ, სიტყვის ფუნქცია, მისი ძალა მხოლოდ სხვა სიტყვასთან ურთიერთობაში ელინდება. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ პოეტურ სახედ გადაქცევის პრეტენზია შეიძლება ნებისმიერ სიტყვას გააჩნდეს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეუდარებელია, რადგან ლექსის გასაოცარ კონსტრუქციებს ქმნის, რომლებიც მხატვრული ჩანაფიქრის წარმოსახვის უმთავრესი საშუალებაა. განა შეიძლება სადმე მოისმინოთ უკეთესი სახეობრივი მეტყველება, ვიდრე ამ სტროფშია გადმოცემული:

**ცაზე იარე, მთვარეო,
შვო, აბანდი — დაბანდი!..
მთებო, იმიშველე გულ-მერდი,
ხან მოიხივე ნაბადი...
(ცაზე იარე, მთვარეო,)/სიმღერა/**

როგორც ვხედავთ, აქ მთელი კომპლექსია სიტყვებისა, რომლებიც მხატვრულ-სახეობრივად ასახავენ სინამდვილეს, სიმბოლური სახეებით წარმოგვიდგენენ ობიექტურ სამყაროს, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს. ეს ვაჟასეული მეტაფორული აზროვნებაა. როგორც გრიგოლ კენაძე აღნიშნავს, „ვაჟა-ფშაველას ხელოვნება, პირველ ყოვლისა, მეტაფორიზაციის არაქვეულებურ უნარში გამომყვანება“ (გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ. 1978, გვ. 117). მეკვლევარი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ქვეშარიტებას, რომ ვაჟასთან „მეტაფორიზაცია ხშირად სიმბოლურია თავისი შინაარსით, ე.ი. თავის თაემი ჩაკეტილი კი არაა, არამედ მაუნყებელი და მანიშნებელი“ (იქვე). აი, ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ვაჟას მეტაფორები, რომელთა უმრავლესობაში მინიშნებულია სამყაროს არსებობის, მისი ერთიანობისა და მრავალფეროვნების, მისი მოძრაობის ობიექტური კანონები და, რაც მთავარია, ყოველივე ეს გადმოცემულია მხატვრული სახეებით. ავილოთ თუნდაც დღისა და ღამის მონაცვლეობის ფაქტი. ეს ბუნებრივი მოვლენა ვაჟამ მანამდე მიუნდომელი პოეტური სახეებით გადმოგვცა და შექმნა თავისებური ბუნებრივი სამყარო. ასეთი ხატია შექმნილი „კოპალას“ ბოლო სტროფში, სადაც სოფლის მარადიულ ბრუნვაზეა საუბარი:

დილა საღამოს ნიშნ უგვებს,
დღე ღამეს ებრძვის ძალზედა,
ნისლნი, ათას მხრით მომდგარნი,
და ისევებენ შთაშვება.

აბლა გაეიხსენოთ განთიადის სურათი
„ბახტრიონში“:

იფიფიბანდა, ციხკარი
ხულს ქლევს, თანდათან ქჭრებოდა, —
ნეტაი ვეღა ლამობსა
ვბრე სიყვდილი მხედებოდა!

ამ სტრიქონების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვაფა საგულდაგულად აქცენტირებას აკეთებს ფშაურ დიალექტზე — „იფიფიბანდა“, მაგრამ ხინამდეღილეთ ასე როდია. ეს არ არის საგანგებოდ მოძიებული სიტყვა. იგი ტექსტში ქვეცნობიერად მოხვედრილი გამოთქმაა, რაც ვაფას შინაგანი ინტუიციიდან მომდინარეობს, აქ სიტყვა „იფიფიბანდა“ უფრო პოეტური გამოსახვის ვაფასულ სტილზე მიგვანიშნებს, ეიდრე ენის ლექსიკურ შემადგენლობაზე. სწორედ აქაა ის ინდივიდუალობა, რასაც მთის მგოსანი ამჟღავნებს ხალხური ენით სარგებლობის დროს და რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ.

გათენების ფერწერული სურათები მრავალადაა ვაფას ნაწარმოებებში, რომლებიც თავიანთი პლასტიკით უჩვეულო განწყობილებას იწვევს მკითხველში.

არანაკლები ოსტატობით ხატავს ვაფა დაღამების სურათებსაც. ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა ღამის პეიზაჟი ვაფას გენიალური, ქემეარიტად ფილოსოფიური ლექსიდან „ღამე მთაში“, რომელიც თითქმის მთლიანად მეტაფორულია. ლექსის პირველ სტროფში ნაჩვენებია დროის ის მონაკვეთი, როცა შიდაში ღამის ბინდშია გახვეული, მაგრამ მთვარე ჯერ არ ამოსულა. სამყაროს არსებობის დიალექტიკური კანონი პოეტური სახეებითაა გადმოცემული:

დაღამა... წერილი ვარსკვლავნი
აყვადენ, დახდნენ ცაზედა;
მთვარე — კი ჯერ არადა სჩანს,
არ დაგენათობს თაზედა,
ჯერ თუ არ გაუღვიძნა,
ისევ თუ სჩინას მკლავზედა!
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს
შემომჯდარს გორის ფხაზედა,
სხივნი არ დაუგზავნიან
პირის საბანად წყალზედა ღა ა.შ.

ჩვენ ამ მოვერიდეთ ლექსიდან ვრცელ ამონარიდს, რათა ერთხელ კიდევ გაგვეხსენებინა მკითხველისათვის, სანამდე მიდის ვა-

ფას სახეობრივი აზროვნება, როგორც საზღვრო და უკიდევანო იქმნება მტრნამენტების რა სიუხვით გვეხვევს მტრნამენტები. ბუნების ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენის — დაღამების სახეობრივად ვაფას გამოყენებული აქვს მეტაფორის ძირითადი სახეობის — გაპიროვნების მხატვრული ხერხი. აქ ადამიანის თვისება — გონებრივი საქმიანობა, მეტყველება — გადატანილია პერსონიფიცირებულად ნარმოდგენილ ბუნების საგანზე — მთვარეზე, რაც განსაკუთრებულად ინტიმურ განწყობილებას ქმნის და დიდ ემოციურობას ანიჭებს აღწერილ სურათს.

როგორც ცნობილია, პოეტის სახეობრივი აზროვნება ტროპების შემოქმედებით ხორციელდება. ის პოეტი, რომელიც დაჯილდოებულია განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით, ცხადია, ასევე განსაკუთრებული ინდივიდუალობის ნიშნით აღბეჭდილ ტროპებს ქმნის. სწორედ მათი საშუალებით მტრნამეს იგი მხატვრულ სახეს. ასეთია ვაფა, რომლის პოეტნიკური სახეობრივი შესაძლებლობანი უამრავ ლექსსა და პოემაში გამოვლენდა. აი, კიდევ ერთი საყოველთაოდ აღიარებული ადგილი: „ღამე დაიბურა პირბადე, მთებმა დაიხუჭეს თვალები“ და შემდეგ: „ქარი ქვითინებს... ღრუბელთა ხარი თქვეს შესაზარები“ („ბახტრიონი“). რომელი ერთი დავასახელოთ.

გრიგოლ კიკნაძე თავის წერილში „ვაფას ფენოლოგიის“ საფუძვლიანად განიხილავს პოეტის ერთ ცნობილ გამოთქმას: „გულ-მკერდიც აგიყოფდება, დედაო, ია-უარდითა“, რომელსაც „სახელგანთქმულ სტრიქონს“ უწოდებს. მკვლევარს აინტერესებს, ამ გამოთქმის ძარღვი შემთხვევითი მიგნებაა, თუ ვაფას შემოქმედების ერთ-ერთი საყრდენი. გრ. კიკნაძე აღწერს პოეტის თითქმის ყველა ნაწარმოებში სხვადასხვა კონტექსტში მოქცეულ გამოთქმას — „აყვადებულ გულ-მკერდს“ — და იმ დასკვნამდე მიდის, რომ პოეტურ სტრიქონში ამ ფრთიანი სიტყვის ჩასმა ვაფასული გზაა და თავის კვლევას შემდეგი შემაჯამებელი სიტყვებით ამთავრებს: „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის აღნიშვნას, რომ მიუხედავად ამ თვითგამოორებათა ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სახელოვისა, უეჭველია მათი ემოციური ნაირფერობა. სწორედ ესაა ის ერთი თავისებურება, რომელსაც ვაფას ფენომენი შეიცავს“ (გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბ. 1978, გვ. 16). როგორც ვხედავთ, მკვლევარი აქ უზრაველებას ამახივლებს სიტყვის „ემოციურ ნაირფერობაზე“ ანუ პოეტური სახის გამოშახელობაზე.

ცალკეული სიტყვები, აზრი რომ გამოიკვეთოს, წინადადებაში დალაგებული არიან გარკვეული მიზანმიმართულებით. ნაწილი ამ



სიტყვებისა, იმის გამო, რომ ისინი არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი, ტროპებად წარმოგვიდგება. ამ ტროპთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს შედარებას, რომელიც პოეტური სახის შექმნის უპირველესი საშუალებაა. ფრაზის შინაარსობრივი მხარის გაფართოების, უფრო მეტიც, საკუთარი სახეობრივი აზროვნების უკეთ წარმოჩენის მიზნით, ვაჟა ხშირად მიხართავს ტროპის ამ სახეს. მის ლექსებსა და პოემებში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ამა თუ იმ შედარებას, რომელშიც, როგორც ნუსი, მონანილოვს საში ელემენტით შესადარებელი საგანი, შედარების ობიექტი და შედარების ნიშან-თვისება. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ვაჟა იყენებს „შედარება-განსაზღვრებას“, „შედარება-გარემოებას“ (იხ. ნ. აბესაძე, „შედარება“, წიგნში: „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, თბ. 1975, გვ. 247-262). ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს დანერილებით განვიხილოთ ვაჟას შედარებები. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მთის მგოსანი ამ მხრივაც უბრალოა. მოვიტანთ შედარების რამდენიმე მაგალითს. აი, ერთი მათგანი:

**ზარს ვგავარ ნაიალღარს,
რქით მიწასა ეწვეურ, ვბუზუნებ.
(სიმღერა)**

როგორც ვხედავთ, თავისი თავი რომ დაახასიათოს, პოეტი აქ თამამ შედარებას მიმართავს, რაც ორიგინალობით გამოირჩევა. იგივე ითქმის ასევე ცნობილ მხორე შედარებაზე:

**მთის კალთებს მშენის ცხვარ-ძროხა,
როგორც ღამაჲ ქალს ხალხბო.
(გველის-მჭამელი)**

უჩვეულო შედარებები უხვადაა „ეთერის“ ერთ-ერთი სტროფში, სადაც დევების ლხინია აღწერილი:

**ცეცხლი დაწითოთ ძღვერი,
გარს უხუნდნენ ვოტებოეთა,
თაე-ცხვირი წამოშეირათ
საღის კლდის ლოდებოეთა.
დაღრენალი აქეთ ღამები
საღუდეს ქობებოეთა...**

**წითელს იქნევნენ ვნებსა,
გრბელებსა შოთებოეთა.** **ერქენულნი
ხიზლირთენქს**

და მანც, თუ ამ შედარებებს შინაარსისა და ფორმის თვალსაზრისით ტრადიციულობის ბეჭედი აზოთ, ამას ვერ ვიტყვით შედარებებზე, რომლებიც განსაკუთრებული სუბიექტური წარმოსახვით გამოირჩევიან და საკმაოდ შორდებიან რეალურ სინამდვილეს. ასეთებად მიგვაჩნია: „ომში სიკვდილს ჰგავ გოგოთურ, მუბრალეები უკედავი“ („გოგოთურ და აფშინა“), (მთარე) „და დაამტრდა თავისი კელელს მოზარე ქალის ფერთა“ („გველის-მჭამელი“). აკერ ნისლეიც დაიდრა, როგორც სულელები მკვდრებისა“ („მთათ ძლი“), „ომსა ჰგევანდა, თითქოსა მთები სხდებოდა მთებზედა (მთათა ერთობა“). როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთზეა გადახნული მეტაფორა და შედარება, ასე რომ, ძნელი გასარკვევია, მეტაფორებად მივიჩნიოთ ისინი თუ შედარებებად. გოგოთური – „ომში სიკვდილის მსგავსი“, მთარე – „მოზარე ქალის ფერი“, ნისლეი – „მკვდრების სულები“, მთები – „მთებზე შემსხდარნი“ პოეტურ სახეებად გვევლინებიან და გაცილებით მეტი დატირთვით გამოირჩევიან, ვიდრე ტრადიციული შედარებები, ეთქვათ, ისეთები, როგორებიცაა: „ერთი მათგანი სხვებს ქარბობს, ლულუნებს, როგორც ქედანი“ („ძალდიკა ხიმოკაური“), ან: „ხალხი ზღვასავით ღელავდა“ („გველის-მჭამელი“), ან კიდევ: „მანც არ გატყდნენ ქისტები, სდგანან ვით ციხე-ბურჯები“ („სატუმარ-მასპინძელი“) და ა.შ.

ვაჟა თავის პოეტურ სტრიქონებში ისეთ შედარებებსაც ვაზრევს, რომლებშიც აქ წამოთვლილის გარდა სხვა ტროპებიც მონაწილეობენ. ასეთია, მაგალითად: „ველზე ბზინავენ ყვაილნი – თამარ დედოფლის თვალები“ („გველის-მჭამელი“). აქ თამარ დედოფლის თვალები ერთდროულად შედარებაცაა, მეტაფორაც და ეპითეტიც, ერთად აღებული კი – პოეტური სახე.

კიდევ ბევრი რამ შეიძლება თქმულიყო ვაჟას სახეობრივი აზროვნების თავისებურებაზე, განგვეხილა სხვა ტროპებიც, მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა: ჰიპერბოლა, ლიტოტენი, მეტონიმა, სინეკდოქე და სხვა, რომლებიც აძლიერებენ ვაჟას პოეტურ წარმოსახვას, მაგრამ, უფიქრობთ, საკითხის გასარკვევად ესეც კმარა.



ფილოსოფიური იდეები ათონის მნიშვნელოვან სკოლაში

ეფთვიმე ათონელი

ქართული კულტურის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ძველი საქართველოს სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრებს. ერთ-ერთი მათგანი იყო ათონის ივერიის მონასტერი, რომელიც X საუკუნის მიწურულს ააშენა ქართველმა მოღვაწემ იოანემ. განმანათლებლობის ამ უძველეს კერაში განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანეს შვილის, ეფთვიმე მთაწმიდელის (დაახლოებით 955-1038) და შემდეგ გიორგი მთაწმიდელის (1009-1065) მოღვაწეობა. ათონის ივერთა მონასტერში განხორციელდა მნიშვნელოვანი მწერლობისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით მაღალ შეფასებას აძლევდა აკად. კორნელი კეკელიძე. მისი სიტყვებით, ათონის კულტურული ცენტრი... „მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა საბერძნეთში და რომელიც გადაიტანა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უზვად მოდიოდა მონინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, ეს მოხდა ივერიის მონასტრის მეშვეობით, სადაც კულტორული იყო ქართველთა საუკეთესო თვითრწმუნობის ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაცნობით თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მოცუბებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაცობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც შემოქმედებული კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერიის მონასტერს, უმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიუღოს.“

ასეთი მაღალი შეფასების მიუხედავად, ათონელთა მოღვაწეობის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მხარე ჩვენს მეცნიერებაში საგანგებო კვლევის საგანი არ განმდარა; გამოაკლისს წარმოადგენს მათა რაფაეას საინტერესო გამოკვლევა აღნიშნულ საკით-

ხზე.² ეს, რა თქმა უნდა, მთელი სისრულით ვერ ასახავს მთაწმიდელთა მოღვაწეობის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ასპექტებს. აღნიშნული გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მთაწმიდელთა მემკვიდრეობის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შესწავლა-ანალიზი აუცილებელია და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

ათონის სალიტერატურო სკოლის მამათავარი და ჩვენი კულტურული წარსულის ერთი უდიდესი პიროვნება, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში, ეფთვიმე მთაწმიდელი ანუ ათონელი³ ქართული მწერლობისა და შეიძლება ითქვას, სულიერი კულტურის ისტორიაში მას გიორგი მთაწმიდელთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეფთვიმე მთაწმიდელმა თავისი დროისათვის უაღრესად სამატიო მისია შეასრულა, რაც მის განმანათლებლობაში გამოიხატებოდა. ეფთვიმე მთაწმიდელმა ქართული მწერლობა გაამდიდრა იმდროინდელი ბიზანტიური მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლებით თარგმნით. მას ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა – აქმალილებინა ქართული საზოგადოების სულიერი კულტურა და განათლების დონე. ეფთვიმეს მოღვაწეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მისი უმცროსი თანამედროვე ეფრემ მცირე (XI ს.), როდესაც აღნიშნავდა ათონელთა და კერძოდ, ეფთვიმეს დამახავებებს ქართული საზოგადოების წინაშე.

ეფთვიმე მთაწმიდელის მოღვაწეობის ფილოსოფიური ასპექტების წარმოჩენას აძნელებს ის გარემოება, რომ მთაწმიდელთა შემოქმედებაში წმინდა ფილოსოფიით გატაცებას თეორიული ხასიათი არ ჰქონია. მაგრამ მათი ლიტერატურული შემოქმედება ჩვენს საშუალებას გვაძლევს გავეცნობთ სხვადასხვა ფილოსოფიური მოძღვრებისათვის დამახასიათებელ იდეებს, მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომლებიც ათონელთა ნაწარმოებებში გაფანტულად არის წარმოდგენილი. ამიტომ ვერ ვიტყვით იმას, რომ ეფთვიმე ამა თუ იმ ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევარი და დამცველი იყო, თუმცა ერთი რამ დაბეჭდვითებით შეიძლება ითქვას: ათონელები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ იმ ეპოქაში, რომელიც ფილოსოფიაში



შუა საუკუნეების სახელით არის ცნობილი და შესაბამისად ამ ეპოქის ფილოსოფია რელიგიური ხასიათის იყო. ბუნებრივია, რომ ფილოსოფიური ცნებები და საკითხები ეფუძნებოდათ შემოქმედებაში თეორიული მხედველობის საგანი ვერ იქნებოდა. მის ნაწერებში არ იგრძნობა ნაშინდა ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი სისტემურობა და ლოგიკური სიმწყობრე. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ეფთვიმეს სასულიერო პიროვნება და მისი განსაკუთრებული მისია ქართული საზოგადოებისა და კულტურის წინაშე. სწორედ ამიტომ ფილოსოფიური იდეები და შეხედულებანი მის ნაწერებში რელიგიური მიზნითაა მოყვანილი ქრისტიანულ-თეოლოგიური დებულებების დასამტკიცებლად. ეს უნდა იყოს პრინციპული მიზეზი იმისა, რომ „ფილოსოფიურმა და მეცნიერულმა აზროვნებამ მათთან (ათონელებთან – ებ.) ისეთი ინტენსიური ასახვა ვერ პოვა, როგორც ეგრეთ შეცინის, არსენ იყალთოელისა და თანხე პეტრონის შემოქმედებაში“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთანმადელთა შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მთარგმნელობითი საქმიანობას ენიჭება. მაგრამ მთარგმნელობა ამ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს თარგმანის პირდაპირ გადმოღებას. ეფთვიმეს ეს ძეგლები თავისუფლად ათარგმნილი და ქართული საზოგადოების სულიერ-კულტურულ მოთხოვნილებას წინადაგებული, რაც ხაშუალებს ცვაძლებს ეტიკეთა. კრის სულიერ-კულტურულ მოთხოვნილებათა შესაბამისად მთარგმნელობის ამოყვანები და მიზანდასახულება იმდენად სპეციფიკური იყო, რომ იგი შემოქმედებით პროცესს უტოლდებოდა და სისხლსავსე ლიტურატურულ ცხოვრებას ქმნიდა. „ასეთმა შემოქმედებითმა მიდგომამ სათარგმნი ძეგლები სადმი, შედეგად ის მოიტანა, რომ იმდროინდელ ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ ნაშენებლებში არ დარჩენილა მეტ-ნაკლებად ცნობილი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ნაწარმოები (როგორც ბიზანტიისა, ასევე ქრისტიანულ-არაბული სამყაროსი) ქართულ ერის ყურადღების გარეშე.“

ფილოსოფიის ისტორიაში და თეოლოგიაში ცნობილია სამი დიდი კაპადოკიელი ღვთისმეტყველის – გრიგოლ ნაზიანზელის (330-390), ბასილ კესარიელისა (330-379) და გრიგოლ ნოსელის (335-394) მოძღვრებათა გავლენის განსაკუთრებული ზრდა X-XI სს. კაპადოკიელთა მოძღვრება იყო ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული თეოლოგიის თავისებური სინთეზი, სადაც უპირატესობა ბუნებრივია თეოლოგიას ენიჭებოდა. ცნობილია ქართულ ქრისტიანობაზე კაპადოკიური კულტურის ძლიერი

გავლენა, რისი საფუძველიც ქართველურ კაპადოკიელი მამების მოძღვრებაში გავრცელებული იყო. თუ შევხედვით მათ მიერ შემოღებულ რწმენას, რომ კაპადოკიელები, თავის შორეულ, ნეოპლატონიზმის უდავო გავლენას განიცდიდნენ, ძველი დასახანი არ იქნება ქართული მსოფლმხედველობითი აზროვნების განვითარებაში ნეოპლატონიზმის როლი. კაპადოკიელი მოღვაწეებიდან საქართველოში და ქართულ კულტურაში ბასილ კესარიელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი ნეოპლატონიზმის ქრისტიანი ინტერპრეტატორი იყო. ასეთი მოაზროვნე, ბუნებრივია, არ დარჩებოდა უფთვიმე მთანმადელის ყურადღების გარეშე. მან სრულად თარგმნა მისი „კითხვა“, რომელიც შედგება „სწავლანისა“ და „თარგმანებაი ფსალმუნთათისა“-გან. ეფთვიმემ თარგმნა აგრეთვე ბასილის წერილები.

„სწავლანი“ ში სიკეთის მოწიწების დამაძლიერებელი, მოკრძალები, განხილულია დროს პრეტლებს, პროფეტებს თავისუფლებისა და ბრძანებულ ფილოსოფიისათვის ქრისტიანობის მოპოვების საკითხი და სხვ. თარგმანი იმდენად მაღალი ხარისხისაა და ცნებებისათვის ისეთი შესატყვისი ქართული ტერმინებია დაძვნილი, რომ ქართული კულტურა მრავალ მათგანს დღესაც ინარჩუნებს. მათი უბრალო წამოთქვამა კი მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მთარგმნელის მაღალ ნიჭიერებაზე გამოცდილება, შეგობობა, შიში, ძრწოლია, საფრთხე და სხვ. ცნობილია ეთორგი მთანმადელის შეფასება ეფთვიმეს წაღვანისა: „ეგრეთ თარგმანია... არღანა გამოჩინებულ არს ენისა ჩუენისა და ეპლონებ, თუ არღანა გამოჩინებულ არს“? ბასილ კესარიელის „სწავლანის“ დასახვა დროს დაწერილი პოპილიებისაგან შედგება. მათი შინაარსებიც განსხვავებულია. ზოგიერთის განხილვის საგანი დოგმატიკის საკითხებია, სხვები კი უფთავრესად მორალის თემას ეხება. ამ პრობლემის ძირითადი მიზნია მართლმადიდებლური ქრისტიანული დოგმების მრეულში გაურცელება და მის წინადაგებულ იმდროინდელი საზოგადოების ზნეობრივი ამაღლება. მათში მოცემული ზნეობრივი პრინციპები თავის აქტუალობას დღისთვისაც ინარჩუნებს. პოპილიათა უმეტესობაში გაცილებულია ადამიანთა ცხოვრების ისეთი მანკური მხარეები, როგორცაა შური, სიხარბე, უმადურობა, ღორმუცელობა, სიმთვარლე, ანგარება, ლტოლვა სიმდიდრის დაგროვებისადმი და სხვ. მაღალმატერული ერთ მქსრულებული ბასილის „სწავლანი“ გამოორჩევა აზრის სატოეანი გამოცემებით და ვინც მას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ დღევანდელ მკითხველშიც ძლიერ ემოციას იწყებს.

საცხებით ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ ქართველი ერის ზნეობრივი სიმშენისა და

სიკეთის ქირისუფაღმა, სულეირმა მამამ ეფთვიმე ბასილიდიდის თბულულებიდან სათარგმანებლად, პირველ რიგში, სწორედ ეთიოპური ხახიათის თბულულება – „სანელანი“ აირჩია.

საქართველოში ასევე ძალზე პოპულარული იყო გრიგოლ ნაზიანზელი. ეფთვიმე მთაწმიდელი მისი შრომებიდან თარგმნილის მიხედვით შედგენილი ქმრებულის ავტორია.⁸ მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ლეთისმეტყველის შრომების თარგმანები ეფრემ მცირესაც ეკუთვნის, ეფრემ მცირე ამ საქმეშიც უდავო დამსახურებას ეფთვიმეს მიანიჭებენ, რომელმაც გრიგოლის სიბრძნის ფანის ყოველი მხა „აუღვია ურმესა ქართველთასა“. თავისთვის კი მან დაცვენილ თავთავთა („კუევილი“) აკრფა დაიტოვა.⁹

გრიგოლ ნაზიანზელი ქრისტიანული ეკლესიისა და ფილოსოფიის ისტორიაში ერთ-ერთ უპირველესი და უფალბაჩინოესი მოღვაწეა. ცნობილია, რომ იგი ფილოსოფიას თეოლოგიას უქვემდებარებდა, ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა ანტიკური ფილოსოფიის მიმართ და ნეოპლატონიზმის ერთგვარ გავლენასაც განიცდიდა. ეფრემ მცირემ თარგმნა ქართულად „გრიგოლის მიერ ღმრთისმეტყველისა, დიდისა ბასილის საფლავისა ზედა წარწერილი სიტყვანი“, რომელშიც ქრისტიანული ეკლესიის ამ უდიდესი ავტორიტეტის შემდეგ საიტყვებს ვკითხულობთ: „ჰოი, საერაერლო ათინელნი, რომელთა შორის ვისწავლიდით და გასწავლიდით“. ასეთი თავისებური კავშირი დაამყარა გრიგოლ ნაზიანზელმა ქრისტიანული და ანტიკური მსოფლმხედველობების ცენტრებს, იერუსალიმსა და ათენს შორის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ ქადაგებდა ანტიკური ფილოსოფიის შეურყეველად ათვისების პრინციპს. მაგალითად, იგი მთლიანად უარყოფდა პითაგორელთა მოძღვრებას, პლატონის შეხედულებებს სულთა გადასახლებების თაობაზე. უნდა ითქვას ისიც, რომ გრიგოლ ნაზიანზელი იცავს რწმენისა და ფილოსოფიის ურთიერთკავშირს, და ადამიანთა ურთიერთობებში წვობრივ-პრაქტიკულ მოქმედებას გადაამწყვეტ უპირატესობას აკუთვნებს მსჯელობასა და განსჯაზე.

როგორ აიხასა ქრისტიანული ეკლესიისა და ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი ქართულ აზროვნებაში? ეს საპატიო მისია სხვა ქართველ მწერლებთან და მოაზროვნეებთან ერთად (გრიგოლ და დავით ოძკლები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიანი) ეფთვიმე მთაწმიდელმაც შეასრულა, რომელმაც თარგმნა გრიგოლ ნაზიანზელის პომილიები.

ეფთვიმეს მიერ თარგმნილი ეს პომილიები ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, იმით არის საინტერესო, რომ ისინი სამუალებას გვაძლე-

ვენ გამოვავლინოთ ეფთვიმეს, – „მთაზროვნისა და მთარგმნელის პოსტატის ქმნის უნარი“ ანუ წარმართი ფილოსოფოსების მსჯელობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებამ თავისებურად აიხასა ანტიკური ფილოსოფიის გავლენა. მისი პომილიებში მსჯელობაა ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე – სამყარო და ადამიანი, არსი და არარსი, ღმერთისა და ადამიანის მიმართება. მაგრამ, რამდენადაც შესაძინევი არ უნდა იყოს გრიგოლ ლეთისმეტყველის პომილიებში ანტიკური ფილოსოფიის მოტივები, იმდენად ნათლად არის მათში წარმართული ფილოსოფიის შეხედულებანი ქრისტიანულ რელიგიასთან მორიგებული. ეს უნდა იყოს ალბათ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ გრიგოლ ნაზიანზელის ორთოდოქსულობა არახლდეს არ დაუყენებიათ ექვის ქვეშ. ეს მორიგებულობა სათანადოდ აიხასა ეფთვიმეს თარგმნილ პომილიებში, ოღონდ ორიგენალისაგან იმ განსხვავებით, რომ ეფთვიმე განსაკუთრებულ მსოფლმხედველობრივ მითაზროვნეობაზე დაგას გრიგოლ ნაზიანზელისგან განსხვავებუთ. საქმე ის არის, რომ ბერძნული ანტიკური ქრისტიანული დოგმების ქმნარობების დასასაბუთებლად ანტიკურ და ბიზანტიულ ფილოსოფიისთა ნააზრებს იყენებს, აგრეთვე ანტიკური მითოლოგიის მოტივებს და მათ კონკრეტულ ანალიზს გვანდის. ეფთვიმე კი ცნობილი შეხედულების თანახმად, რომელსაც „ხელ-უნიფერადი შემატებაიცა და კლებაიცა“ უფრო კრიტიკულად არის განსწობილი ანტიკურ მთაზროვნეთა მიმართ, რაც დედანთან შედარებით სხვანაირ სურათს იძლევა.

მართალია გრიგოლ ნაზიანზელი მკაცრად აკრიტიკებს სხვადასხვა ერესებსა და მწილეულებსა მოძღვრებას, მაგრამ ეფთვიმე უფრო სასტიკია მათ მიმართ, რისთვისაც იგი არ ურდება ბერძნული ორიგენალისაგან გადახვევა-საც კი. კერძოდ, საკუთარი შეხედულებისამებრ აღგებს მასალას, თარგმნის ორიგენალის ისე, როგორც მას მაშინა საჭიროდ, რაც მისთვის მოუღებელია (მაგალითად: მითოლოგიური პასაჟები), ასეთ ადგილებს საერთოდ არ თარგმნის. საპირისპირო დამოკიდებულება ჩანს ქართველი მოღვაწისა ბიბლიური სახეობისა და ეკლესიის დიდი მამების შეხედულებებისადმი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეფთვიმე უფრო სიტყვაუზვია, ვიდრე გრიგოლ ნაზიანზელი და თანაც ქებისა და ხოტბის ეპითეტებსაც არ იშურებს. გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათა ეფთვიმისეულ თარგმანებში ნათლად ჩანს ქართველი მოღვაწის მსოფლმხედველობრივი პოზიცია „გარემოთა“ ეი. საერო ფილოსოფიისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით წარმოაჩინოს ქრისტიანულ რელიგიურ იდეათა და შეხედულებათა ქმნარობა.



რაც აქამდე ითქვა ეფთვიმე მთანმიდელის მოღვაწეობის შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთი თხზულება მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ხასიათისაა და მას ცალკე გამოყოფთ. მხედველობაში გვაქვს ქართულ მწერლობაში „სარწმუნოებისათვის“ და „წინამძღუარის“ სახელებით ცნობილი თხზულება. კონკრული ეკლესიის უდავო დამსახურებაა ის, რომ მან დაასაბუთა: ამ ორი სახელწოდების ქვეშ დგას ერთი თხზულება, კერძოდ იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ მიხედვით შედგენილი ნაწარმოები.

საკითხის ნათელსაყოფად უნდა ითქვას, რომ VIII ს. ცნობილი ბიზანტიელი თეოლოგისა და ფილოსოფოსის ფუნდამენტური შრომა „წყაროი ცოდნისაი“ არის დასაწყისი ახალი სქოლასტიკური, კერძოდ ქრისტიანული სქოლასტიკის პერიოდისა. იგი სამი ნაწილისაგან შედგება:

1. ფილოსოფიური თავები, ანუ „დიალექტიკა“

2. „წაღებათათვის“

3. „გარდამოცემაი უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაი“.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო აზრი, რომლის თანახმად ამ ტრილოგიის I ნაწილი ანუ „დიალექტიკა“, შემოკლებული სახით პირველად ეთარგმნოს ეფთვიმე მთანმიდელს. ეფთვიმეს „წინამძღუარი“ „დიალექტიკის“ შემოკლებული თარგმანი არ არის. „წინამძღუარი“ შედგენილობით სრულიად განსაკუთრებული ნაწარმოებია.**

აქ ერთი გარემოება აღსანიშნავი: ეფრემ მცირემ „დიალექტიკასთან“ ერთად თარგმნა ტრილოგიის III ნაწილი „გარდამოცემაი“. ეფრემის თარგმანში ორივე ნაწილს ეწოდება: „გარდამოცემაი უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაი“. ამ თხზულების წინასიტყვიობაში, რომელიც ეფრემის ორიგინალურის შრომაა და მრავალმხრივ არის საყურადღებო, იგი იძლევა მნიშვნელოვან ლიტერატურულ ცნობას „გარდამოცემისადა „წინამძღუარის“ შესახებ და აფრთხილებს მკითხველს, რომ მათი ერთმანეთში არევა დაუსუბებელია. „რომელსა ძალი მისცეს ღმერთმან ამითადა გადანერად, ესე დამიარხენ, რათა უკუეთუ მოკლე „წინამძღუარი“ უნდეს, წმიდისა მამისა ეფთვიმეს მიერ თარგმანებული, იგი შეიტკობს, რამეთუ მას მადლითა სულისა წმიდისათა ზელ-ენიფებოდა შემატეხაი ცა და დაკლებაი ცა. ხოლო უკუეთუ ახა-

ლი ესე სწადდეს გარდანერად, მას ამის თხზილს გაპრეს, სუცა ამას მას თხზილს კუფრულსა ცა ესრეთ ჯერ უწინდინ სინფრესი იფრესი რათა ვითარ-იგი ზედა-წარწერილსა ამისაა შინა ითქუმის „გარდაცემა“ უწოდეთ წიგნსა ამას, რომელი-იგი ბერძულსა შინა ესრეთვე წარწერილ არს და „წინამძღუარ“ მასვე წმიდისა მამისა ეფთვიმეს თარგმნილსა სახელედვედოდნენ, რამეთუ თვით იგი ამისგანვე გამოკრებული არს.“¹⁴

„წინამძღუარი“ თავისებური თხზულებაა. მასზე შეიძლება ითქვას, რომ თარგმნილიცა და ორიგინალური ნაწარმოებიც, რომელიც სპეციალური მიზანდასახულებით შეუქმნია ეფთვიმე მთანმიდელს. სახელწოდების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თხზულება ანასტასი სინელის „წინამძღუარის“ ანალოგიით არის შექმნილი, იმ განსხვავებით, რომ ანასტასი სინელის მსჯელობის საგანია ბერძნული ეკლესია და მასში არსებულ სხვადასხვა ერესთან დაპირისპირებით გაცალადებულია ზოგადად ამ ეკლესიის ქრისტოლოგიური პოზიცია, მაშინ, როდესაც ეფთვიმეს მიზანი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის იმ დროინდელ მთავარ ოპოზიციასთან, სომხურ მონოფიზიტობასთან ბრძოლაა. „წინამძღუარი“ ანტიმონოფიზიტური თხზულებაა. ასეთი ნაწარმოების შექმნა ეფთვიმეს მიერ შემთხვევითი არაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმდროინდელი ქართველი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, როდესაც ქართულ დოქოზიტურ ეკლესიას და სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას შორის მწვავე პოლემიკა იყო გაჩაღებული. ეს თხზულება იმითაც არის საინტერესო, რომ მასში გამოხატულია ეფთვიმეს, როგორც ქრისტიანი მოაზროვნის პოზიცია. ცნობილია, ქრისტიანული ფილოსოფიის უპირველესი წარმომადგენლები იოანე ოქროპირი და სამეფე კაპადოკელი მამა, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი აღნიშნავენ, რომ მწვალებლები საკმაოდ მახვილგონიერულად მიმართავდნენ პლატონისა და არისტოტელეს დებულებებს, რათა უარყვათ ქრისტიანული დოგმები. ცნობილია, რომ ოროთოდოქსულ ეკლესიას და მონოფიზიტების სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის (მაგ: ივლიანე განდგომილი) ქრისტოლოგიურ საკითხებზე დისკუსია იყო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი თემა ერ-

* ამას გვაუწყებს ანტონ კაპადოკოსი თავის „ღვთისმეტყველებაში“. ეს აზრი გაიზარა თამარ კუკავამ და იგი დაუკავშირა ეფრემ მცირის მიერ „დიალექტიკის“ მეორე თარგმნის მიზეზებს.“

** სინამდვილეში კი, როგორც სპეციალური კვლევის და ტექსტობრივი შეჯერებით დადგინდა, ეფთვიმე მთანმიდელმა გამოკრებით თარგმნა ტრილოგიის მხოლოდ III ნაწილი „გარდამოცემა“ და არა „დიალექტიკა“. ამასთან თავისი თარგმანი ეფთვიმეს შეუესია სხვადასხვა ბერძნული წყაროს. როგორც ფილოლოგიურ მეცნ. დოქტორმა თორნიკე ჭყონიამ გაარკვია, ეს წყაროებია: იოანე დამასკელის „გარდამოცემა“; ანასტასი სინელის „წინამძღუარი“; კორილე ალექსანდრიელის თხზულება.¹⁵

თარსება სამების პრობლემა გახლდათ. ეფთვიმეს შეხედულებით, მონოფიზიტურმა მწვალებლებმა მცდარი აზრები „სანარმართოთა მათ ნიგნთაგან არისტოტელესთა უსნავის“. ეფთვიმე მკაცრად აკრიტიკებს მწვალებელთა შეხედულებებს და მათ ქრისტიან მოღვაწეთა გამომართვეამებით უპირისპირდება, რომელშიც ვლინდება ეფთვიმეს მართლმადიდებლური პოზიცია.

სამსუხაროდ, ეფთვიმე მთანმიდელის „ნიწამძლუარის“ ტექსტი ჯერჯერობით გამოცემული არ არის. არადა, ეს ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიის შესასწავლად.

ძნელა ეფთვიმე მთანმიდელის შემოქმედების სრულად შეფასება, რადგანაც მოცულობით ძალიან დიდია და მასშტაბურია. მის მიერ თარგმნილი წმ-ზე მეტი თხზულება და მათი უბრალო ჩამოთვლაც კი არაა ადვილი, მაგრამ ეფთვიმეს მოღვაწეობის ერთი სპეციფიკური ნიშანი აუცილებლად უნდა აღინიშნოს. ამ გარემოების ნათელსაყოფად საყურადღებოა ეფთვიმე მთანმიდელის შეფასება ათონელთა (ეფთვიმესა და გიორგის) უმცროსი თანამედროვის ეფრემ მცირის მიერ. ეფრემ მცირე განასხვავებს ეფთვიმეს მოღვაწეობის არსს, მომდევნო ეპოქების თვით ეფრემ მცირეს აზროვნებითი პრინციპებისაგან. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

„უკუეთუ ლომი ვერ ციდამტკაველებრ ხედბოდა კარებსა ფილოსოფოსთასა, ამას ანაცვალე ლომებრივობა მისი და მუფუებრივობაი ერთომისაი რამეთუ ყოველი მქელი ღმრთისმეტყველებისაი მას აედა ურემსა ქართველთასა, ხოლო მე მისითავე სანთე-

ლითა ხუცილილია აღმე ქრებაან-დაბჭირთეად ურემსა მისსა“.

ეფთვიმეს მომდევნო პაპის (იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ეფრემ მცირე) მწერალთაგან ის განასხვავებს, რომ ეფთვიმე მთანმიდელი „ვერ ხლდებოდა კარებსა ფილოსოფოსთასა“.

ეფთვიმე მთანმიდელს უდიდესი განმანათლებლური მისია დაეკისრა გიორგი მთანმიდელთან ერთად. ამიტომ მის ორიგინალურსა თუ მთარგმნელობით საქმიანობაში ვერ აისახა ფილოსოფიური მოძღვრებისთვის დამახასიათებელი ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებთანაც ფილოსოფოსთა კარებში შეიძლება იხილოს. სწორედ ამის გამო იყო, რომ ფილოსოფიურმა და მეცნიერულმა აზროვნებამ ისეთი ინტენსიური ასახვა ვერ პაპავა ათონელებთან, როგორც ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის შემოქმედებაში. რადგანაც მთანმიდელთა მოღვაწეობას ძირითადად სასულიერო მწერლობის ინტერესები წარმართავდა. მათ მოამზადეს ნიადაგი ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ფილოსოფიური აზროვნებისათვის.

ეფთვიმე მთანმიდელის ღვაწლი კარგად არის ჩამოყალიბებული კონკრეტული კვლევიძის მიერ. მან როგორც ბიზანტიელთა შორის კარგად ცნობილმა და დიდად პოპულარულმა მოღვაწემ ცხადად დაანახა ბერძნებს შემოქმედებითი უნარი ქართველებისა, დონე და დიპაზონი ქართული კულტურისა და ის საპატრიარქო აღგვი, რომელიც მის სამშობლოს მოპოვებულ პქონდა მონინავე ქრისტიან ერთა შორის“.

ასეთია ზოგადად ფილოსოფიური იდეები ათონის მნივნილობართა სკოლაში, კერძოდ კი, ეფთვიმე მთანმიდელის შემოქმედებაში.

3636363636:

1. კონწელი კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ. 1951, გვ. 88-89;
2. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტ. 1, თბ. 1996, გვ. 109-123;
3. კონწელი კეკელიძე, დასას. ნაშრომა, გვ. 162;
4. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტ. 1, გვ. 111;
5. იქვე, გვ. 109;
6. „კაბადოკიელია რწენქასმზე“ საქართველოში ის გ. თემაბე, „კაბადოკიელთა რწენქასმი X-XI სს საქართველოში, დასას. წიგნი გვ. 97-109;
7. გიორგი მთაწმიდელი, „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“, წიგნში ქართული მწერლობა, ტ. 2, თბ. 1987, გვ. 26;
8. გრიგოლ ნაბაძეშელის ხელწერათა აღწერილობა, თბ. 1988, გვ. 6;
9. იქვე, გვ. 149;
10. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1, თბ. 1946, გვ. 373;
11. თამარ უკაევა, ი. პეტრიწის მთავრობის ხელეწიფება, გვ. 70;
12. თორნიკე ჭელიძე, ეფთვიმე მთაწმიდელის წინამძღვარი და მისი ბერძნული წყაროები (შრომა ხელნაწერია).
13. იოანე დამასკელი, „დალექსიკა“, თბ. 1976, გვ. 67;
14. იქვე, გვ. 68;
15. კონწელი კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, გვ. 213.

მეტასემემა და მეტალოგიკები აკაკი წერეთლის სატირულ ლირიკაში

ბელგიელ მეცნიერთა ჯგუფის (M ჯგუფი) მიერ შემოტანილი ნეოლოგიზმი „მეტასემემა“ აღნიშნავს იმ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, რომლებსაც ტრადიციულად ტროპებს უწოდებენ. მეტასემემებს, როგორც „სემანტიკის ცვლილებასთან“ დაკავშირებულ ფიგურებს, მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავთ.

მეტასემემა არის ფიგურა, რომელიც ერთ სემემას (ახრობრივ შინაარსს) მეორეთი ცვლის, მაგრამ აუცილებლად ინარჩუნებს გარკვეულწილად მის პირველად აზრს. მეტასემემა, როგორც სემემის (შინაარსის პლანის უმცირესი, დაუნაწევრებელი ერთეული) ცვლილება წარმოიქმნება ორი ოპერაციის შედეგად. ესენია: სემათა შეკვეცა ან დამატება.

რომან იაკობსონის მიხედვით, სემემის ნებისმიერი გადაადგილება (ამ გადაადგილების ნებისმიერი შესაძლებლობა) მეტაფორასა და მეტონიმიასზე დადის. ბელგიელი და ფრანგი სტრუქტურალისტები (M ჯგუფი, ფ. ვენეტი) აღნიშნავენ, რომ იაკობსონი ერთმანეთისაგან არ ასხვავებს მეტონიმიასა და სინეკდოქეს, რომელსაც თავის მხრივ, ორი სიმეტრიულად დაპირისპირებული ფორმა აქვს:

სემემის დამატებით მიღებული განმაზოგადებული სინეკდოქე (მაგ. პეჩორინი (ჩვენი დროის გმირი; ლუარსაბი (ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელი) და სემემის გამოკლებით ანუ დეკომპოზიციის შედეგად მიღებული დამაინროვებული სინეკდოქე (ადამიანი(სხეული(კუჭი).

განმაზოგადებული სინეკდოქე მეტყველებას აბსტრაქტულ, ფილოსოფიურ ხასიათს აძლევს, რაც ნატურალისტური დეტალების გვერდით პარადიის ეფექტს ქმნის. სემემის ნაწილობრივი შეკვეცა კი სიტყვის მნიშვნელობას აეინროვებს (ადამიანი(კუჭი), მნიშვნელობის დაეინროვება ან გაფართოება (სინეკდოქეს ორი სახეობა) სატირული ეფექტის წარმოქმნის შესანიშნავი საშუალებაა. სწორედ ამის გამოა, რომ აკაკი წერეთლის სატირულ ლირიკაში სინეკდოქე ნამყვანი ტროპია. იგი ხშირად გვხვდება აკაკის სატირული ლექსების სათაურებში: „პატრიოტი“, „თანამედროვე ქალი“, „თანამედროვე გმირი“ (განმაზოგადებული სინეკდოქე); აპულაციის მცოდნე (დამაინროვებული სინეკდოქე) და სხვ. სწორედ ამ სათაურებისა და მათი მომდევნო ტექსტის ურთიერთმიმართება წარმოქმნის სატირულ ეფექტს. როცა აკაკი ლექსის სათაურში განმაზოგადებულ სინეკდოქეს მიმართავს, თვით ლექსში დამაინროვებულს იყენებს და ეს ორ-

მხრივ ურთიერთსანიშნავადმდევრომიმართულეზა შეუსაბამობის, აბსურდულობის ჩვენების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ამ პრინციპზეა აგებული აკაკის ცნობილი სატირა „პატრიოტი“:

**წემისთანა პატრიოტი
განა არის სადმე კიდე?
გარწმუნებთ, რომ ვერ შეხედებით,
ვინდ მოლახთ კიდით-კიდე...
ღვინოს ბერს ესუბ, მიყვარს შვედი
არტალა და ნახობილი...
ფლავსაც ხომ სულ ხელითა ვჭამ,
რომ არ მოხვდეს წანგალს კილი!...
რაც შეფერის მამულიშვილს,
გასრულებ მეც ვველაფერსა,
უკულმართის ხმით ვიმღერო
ქართულ „შპაველგაიპერს“.**

კომიკურ ეფექტს ამ ლექსში სწორედ განმაზოგადებული სინეკდოქების: „პატრიოტი“, „მამულიშვილი“, „ქართველი“ ყოფითი დეტალებით (ღვინოს სმა, მწვანით თუ არტალის სიყვარული, ქონების „გაპარდალება“, უმუშევრობა) დაკონკრეტება ქმნის.

დამაინროვებული სინეკდოქეა გატანილი აკაკის ასევე ცნობილი სატირის აპულაციის მცოდნეს“ სათაურშიც. დამაინროვებული სინეკდოქეს ფუნქციაა დეკომპოზიცია, მთლიანის ნაწილით ჩანაცვლება. ამ ლექსში აკაკის სატირა მიმართულია იმ საზოგადოებრივი ცნობიერების წინააღმდეგ, რომელსაც ადამიანობა და, კერძოდ, „სანაქებო შეილობა“ აპულაციის ცოდნაზე დაჰყავს, სწავლულობის ნიშნად კი ნევრ-ულევაშის გაპარსებასა და ბაკების მოშვებას მიიჩნევს:

**„ბენიერია წანურა! შული ჰყავს მას საქები,
თქვენს შუხს უოყავ წყლივით იცის აპულცია!..
წერ-ულევაშს ადარ ჰადრობს, მოუშუა ბაკები:
ეს წყელის ანშანი, უს, რა დიდი კაცია!..“**

სინეკდოქესთან ერთად აკაკის სატირულ ლექსებში დაცინვის ერთ-ერთი მთავარი ხერხია მოსწრებული და ორიგინალური ეპითეტა. ამ დებულების საილუსტრაციოდ „ბარაბუზა ლენერალი (ეპითეტა სათაურში) და გრიგოლ ორბელიანის „შესამკობად“ მოხმობილი სხვა ეპითეტებიც იკმარებდა: „სიტყვით სწორი“, „საქმით კუზა“, „ენანშინდა“, „გულ-სატანა“, „გულფუტურო“, „თაქარი“ და სხვა.



ერთი მოსწრებული ეპითეტით აკაკი ზოგჯერ მთელი სისრულით წარმოგვიტყვის თავისი სატირის ობიექტს: „იმერული აზნაური, უღვაშგაპინკინებული“; „კრიშანჭული აზრები“, „უღდა-მელის კუდის-რიკა“ და სხვ.

რაც შეეხება შედარებებს, ისეთი ორიგინალური ნიმუში, როგორიცაა: „ჩაიბისმარკა: არ დასწავა, არც მწავი და არც შამფური“ აკაკის სატირულ ლექსებში საკმაოდ იშვიათია, უფრო ხშირი და, შეიძლება ითქვას, ტიპური ამაგვარი შედარებები:

**„ატისტუნა, მოშია,
ჭიალუა შწერი ვარ!
ყვეფ, შუ, როგორც ვოშია!
და შიბ ბედნიერი ვარ!“**

აკაკი იშვიათად მიმართავს ისეთ ტროპს, როგორიცაა ოქსიუმერონი (საპირისპირო სემანტიკის მქონე სიტყვების დანეყოლება):

**„უსწავლელი სწავლულები
კოტრიკრენი, სულულ-პაძენი“.**

ნაკლებად უხედეზით აკაკის სატირულ ლექსებში მეტაფორასაც. ის ფაქტობრივად ჩანაცვლებულია ალეგორიით, რომელსაც სხვაგვარად „გაპლილ მეტაფორასაც“ უწოდებენ.

ალეგორია, ტრადიციული შეხედულების თანახმად, ტროპის ერთ-ერთ სახეობად მოიაზრებოდა, მაგრამ ბელგიელი მეცნიერები (M ჯგუფი) მას აზრობრივი ფიგურების ენ. მეტალოგიზმების კლასში ათავსებენ. მეტალოგიზმები, სხვა ფიგურებისგან განსხვავებით, ენობრივი ნიშნების დეფორმირებას არ ახდენენ. პოეტი მეტალოგიზმის საშუალებით სიტყვის მნიშვნელობას კი არ ცვლის, არამედ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, გვაშაბებს ტექსტის აღქმისათვის საჭირო ეფექტის მისაღებად. მეტალოგიზმის აუცილებელი ნიშანია მისი ურთიერთობა ექსტრალინგვისტურ რეალობასთან. ის მაშინ აღიქმება, როცა აღქმული სათვის ექსტრალინგვისტური კონტექსტი ნაცნობია. თუ არ ვითვით რეფერენტული სიტუაცია, არ შეგვიძლია, ვამტკიცოთ ირონიასთან გვაქვს საქმე, თუ პიპერბოლასთან. მაშასადამე, მეტალოგიზმის ფუნქცია რეფერენტული სიტუაციის ან კონტექსტის დეფორმაციაში მდგომარეობს. ალეგორიის გამოყენების დროს რეფერენტული სიტუაცია ძირითადად ცხოველთა სამყაროზე პროექტირდება, მაგრამ ადამიანური სამყაროს კონტექსტში მოიაზრება. ალეგორია გამაღილი მეტაფორაა, მაგრამ ის იმლება შეზღუდულ სემანტიკურ სიერცემში, რომელიც ყოველთვის ერთი და იგივეა და, აქედან გამომდინარე, კოდირებულიც. თანაც ალეგორია კოდირების ისეთ ხარისხს აღწევს, რომ ამ კოდების

ლექსიკონის შედგენაც შეიძლება ასე მაგალითად, დათვია აკაკის სატირულ ლექსებში უხეზი ძალის ალეგორიულ მეტაფორასა და ცხოველ(ხშირად ფარისეველი) პერსონის, ხარაბუნა – პარაზიტის, ფუტკარი – მშრომელი, შემოქმედი კაცისა და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ეს კოდირებული სიერცე სემანტიკურად საკმაოდ შეზღუდულია. თავის ალეგორიულ ლექსებს აკაკი ხშირად აფორისტული შეგონებებით ამთავრებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ლექსის დასაწერისში შექმნილი რეფერენტული სიტუაცია მხოლოდ პირობითია და პოეტი ამკარად ემიჯნება მას. ნათქვამის საილუსტრაციოდ აკაკის ცნობილი სატირის „ღამურის“ ვახსენებაც იკმარებდა, რომლის პირველი სტროფი ასე ელერს:

**„ერთმა უნერმა თავნამ
იუკადრისა თავკობა,
დასწველა თვისი ვაქნა,
ბუნების იწყო მან გმობა“.**

ამ სტიქიონებში (და ლექსის ძირითად ნაწილში) გატარებული აზრის უარყოფელი და გამკიცხავია სატირის ბოლო ნაწილში მოწოდებული დასკენა-აფორიზმები:

**„თუბ ტომის-ღამუნებელსა
ჭირი შიუკა კარნდა!..“**

ან:

**„გადაგვარების მოხურნ
ბუნებისგან კრულია!..“**

ალეგორიასთან ერთად აკაკის სატირული ლირიკის ძირითადი მეტალოგიზმა ირონია-ირონია, რომლის სუბსტიტუციაც უარყოფის ხასიათს ატარებს, რაღაც ხარისხით აკაკის ყველა სატირულ ლექსში გვხვდება, მაგრამ ცალკე გამოიყოფა ის ლექსები, რომლებშიც ირონია ნამყენი ხერხია. მთლიანად ირონიაზე დაფუძნებული სატირა ისეთ ლექსებში, როგორიცაა „ჩუ, ქართელო“, „აოხანონი ვაჟი“, „ადი ვინმე“, „ქართული პატრიოტობა“, ხადაც ირონიას წარმოქმნის წინააღმდეგობა ნათქვამსა და ნაგულისხმევის შორის და ამ კუთხით წარმოიშობა ის დაპირისპირება, რაც სატირის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ამდენად, აკაკის სატირული ლექსების პოეტური ენა მხოლოდ ზოგიერთი ფიგურის გათვალისწინებითაც (როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია) საკმაოდ მრავალფეროვან მასალას იძლევა, რითაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის საინტერესო და ღრმა შინაარსს.





კონსტანტინე გამსახურდიას უხმოები წერილები

წინასიტყვაობა

სიმონ ჯანაშიას არქივში ინახება კონსტანტინე გამსახურდიას წერილები. ამ წერილებმა გაუძღვეს ამათა სულასა და განსაცდელს. ისინი მეტყველებენ ქ. გამსახურდიასა და ს. ჯანაშიას მიერ ერთად განვიღებ ცხოვრების გზაზე. შემდგომში ბატონი კონსტანტინე იგონებდა:

... ილია ქაჭქაძის ლეანლით მოწყობილ ძველი სენაკის ქართულ სკოლაში განსვენებული ნიკო (სიმონის მამა — რ.ჯ.) ქართულს მასწავლიდა. ჩემს სიყმაწვილემ ნიკოს ოჯახში დამიმშობილა პატარა ცხოვრება, ქვერკულიანი, მშვიდი, თავაზიანი ბიჭუნა, და ეს სიყვარული გაგვყვა ორივეს ბოლომდე. ჩემს თვალში დაეგაყვანა და მომნიჭდა იგი. ჩემს თვალში გაიარა მისმა ცხოვრებამ...

და მართლაც, ასე იყო მამრამ ნამდვილი მგებრობა დაიწყო უკვე თბილისში, მას შემდეგ, რაც ს. ჯანაშიამ 1925 ს. სოხუმის რეალური სასწავლებლის დამთავრებისთანავე შააშურა ახლადგაბნეილ ქართულ უნივერსიტეტს. 1921 წლიდან მან, სხაელსთან ერთად, დაიწყო სამხატვრო ქართულ ხელოვნებათა კავშირში (ასე ეწოდებოდა მაშინ მწერალთა კავშირს) საქმეთა მმართველის თანამდებობაზე. როგორც ჩანს, მაშინ დაუკავშირდა იგი ქართულ ლიტერატორებსა და პუბლიცისტებს: გ. ქიქოძეს, პ. ინგოროვას, ქრ. რაჭველიშვილს, კ. ჭიჭინაძეს, ალ. აბაშელს, თ. გველეხიანს (შემდგომში თანათინ გველეხიანმა ბოლო ემუხეართან ერთად რუსულად თარგმნა კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“) და ბევრ სხვას. მამრამ განსაკუთრებული სიახლოვე დაამყარა კ. გამსახურდიასთან. ამიერიდან მათი ცხოვრება, ლიტერატურული თუ ეროვნული, მეცნიერული თუ საზოგადოებრივი ინტერესებით გაჯერებული, ერთ კალაპოტში მიედინებოდა: საჯარო თუ კერძო შეკრებ-საუბრებში მტკიცებულ თემებზე, მეგობართა საერთო წრე, ზაფხულობით ერთად გამგზავრება (მაგალითად, 1924 წ. აბასთუმანში). ხშირად სტუმრობდნენ ისინი ნარმოშობით ძველსენაკელი მწვეწკლევებისა და საზოგადო მოღვაწეების ძმები ქეთარაძეების ოჯახში, მეგობრობდნენ ნუნუ მაყაშვილთან (კოტე მაყაშვილის ასულთან), ცნობილი ვტახის ივანე თიკანაძის (ს. ჯანაშიას ახლო ნათესავის) ქალიშვილებთან, ელენესა და ნინოსთან და მრავალ სხვასთან. როდესაც 1930 წ. 14. VIII ს. ჯანაშიამ იქორწინა, მონამედ კ. გამსახურდია გაჰყოლია. 1938 წ. VIII-ში ახლდაქორწინებულებს იგი სწერდა ბორჯომში:

... გისურვებთ სულითა და გულით მართლაც, ჩვენი ხალხი რომ იტყვიას იმის არ იყოს, მზე და მთვარესავით შებერებოდეთ ერთმანეთს. ძლიერ მიწდა თქვენი ნახვა. თუ მოვახერხებ, შესაძლოა გინახსულით. აქვე გაახლებთ თქვენი ქორწინების პირველ საბუთს. ძმური საღამოთი თქვენი მარადვამს ერთგული

კონსტანტინე გამსახურდია.

უფროსებისაგან მსმენია, რომ 30-იან წლებში თბილისში იგი ხშირად გამოგვივიდა თურმე ამხედრებული (მაშინ ერისთავ-ხომტარიათს ქუჩაზე ეცხოვრობდით) და ჩემი ძმის ლამას გასახარებლად, შემოისევამდა მას ცხენზე და ასიორებდა. შვილებმა ითქვას, რომ ბატონი კონსტანტინე ჩვენი ოჯახის ერთგული და მუდმივი თანამგზავრი იყო, როგორც მამის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგაც.

გამსახურდიის ინტერესით ადვენებდა კ. გამსახურდია თვალყურს ს. ჯანაშიას არქივოლოგიურ მოღვაწეობას მცხეთაში. ხშირად ჩამოდიოდა იგი მანქანითა თუ ცხენით. მრავალ ფოტოზეა აღბეჭდილი მისი იქ ყოფნა. თავის მხრივ, ს. ჯანაშია ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა მწერლის ნაწერთა საჯარო განხილვებსა თუ დისკუსიებში. მანვე დაწერა შესავალი წერილი „დავით აღმაშენებლის“ რუსული თარგმანისათვის.

ს. ჯანაშიას არქივში დაცული მწერლის წერილები მოიცავს დროს 1926 წლიდან ვიდრე 1946 წლამდე. ამათგან ოთხი უკვე გამოქვეყნებულია (ფურნალთა „ქართული ენა და ლიტერატურა“ სკოლაში“, 1962 წ. №3, გვ. 131-140). ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ დარჩენილ, გამოუქვეყნებელ ნაწილს. ეს წერილები ორი რიგისაა: პირველი ოთხი (1926-1927 წ.წ.) სოლოვებიდანაა გამოგზავნილი და გასაგებია, რომ რუსულ ენაზეა ნაწერი (ტუსალი ხომ ვალდებული იყო რუსულად ეწერა), დანარჩენი კი — საქართველოში დაბრუნების შემდეგ. თავს უფლებას ვაძლევთ და მკითხველს ვთავაზობთ სოლოვებიდან გამოგზავნილი წერილების ჩვენებულ თარგმანს. პირველი და ბოლო მეოთხე წერილი ღია ბარათებზეა, ერთი — ფანქრით ნაწერი, მეორე — ნითელი ფერის მელნით. მეორე და მესამე წერილები კალმითაა ნაწერი თეთრ ქაღალდებზე, მომცრო ზომისა. წერილებზე დაკრულ საფოსტო ბეჭდებზე ძნელად იკითხება: **Ленинград, окт. вокз.ГА Тифлис контр.** ყველა წერილს გარდაგარდმო გაკრული ხელით ფანქრით აწერია **просмотрено**.

ამავე არქივში ინახება ალექსანდრე გამსახურდიას (ადრესანტის ძმის) პატარა გაყვითლებულ ქაღალდზე ფანქრით მონერილი ბარათი:



„ძმომ სიმონიკა ძლიერ მიწოდდა შენი ნახეა, მაგრამ მისამართი ვერ შევტყვევებ ორ უკანასკნელ ნერილში კონია ვითელის სალაშს. ახლა გიგზავნი აი ავერ კონიას დეპეშას და გთხოვ, თუ სადმე გაახებრხო, გაუგზავნო ამ 7-მ დღეში (შემდეგ ვაზა დანიკეტება ყინვების გამო) ნიგნები, რომლებსაც ის თხოულობს ამ დეპეშით; კრუმბანურის ვაგზავნა დამპირდა ბიქ. თევაზია? შენ კი ვაგზავნე *литературу по археологии и иконографии*. არა უმეტეს ორი ნიგნისა. კარგი იქნება შენ და ბიქტორი ერთად ვაგზავნიდეთ.

მასთან გთხოვ, თუ შემთხვევა მოგვეცეს, ეს დეპეშა ნააკითხო სვიდ დედეარინას.³ მოკითხვა დედა თქვენს.

საუკეთესო სურვილებით შენი ალ. გამსახურდია.

29/X-26.

კონიას მისამართი: г. Кемь, Соловки, заключенному 7ой роты К.С.Г.სთვის.

კარგი იქნება ნერილს მიწერდე. ალ⁴

აქვეა კ. გამსახურდიას დეპეშა ძმისადმი. ნანერია ფანქრით, რუსულად:

„პოპოვის კუნძულები. 20/X.“

საქართველო

სადგური სკრა გამსახურდიას

მივიღე 90 ჯანმრთელობა ძველებურად გამოგზავნეთ თბილები ქვეშაგები რამდენიმე ნიგნი ითხოვ უნივერსიტეტში კრუმბახერის ბიზანტიური ხელოვნების ისტორია საერთოდ საჭიროა არქეოლოგიის იკონოგრაფიის ლიტერატურა მაქვს დახმარების იმედი კონსტანტინე⁵. სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, ბატონმა კონსტანტინემ მეგობრებთან ერთად სამახსოვროდ გადაიღო სურათი. მოგვიანებით, 1944 წ. ერთ-ერთ ნერილში (იხ. „ქართ. ენა და ლიტერ. სკოლაში“) იგი მიმართავდა ს. ჯანაშიას:

„მე თუ რაიმე გამიკეთებია ამ ქვეყნად, მხოლოდ და მხოლოდ შენისთანა შესანიშნავი ვაგაკცების თანადგომისა და დახმარების მეოხებით... ერთ რამეში მქონდა ბედი, ჩემი საუკუ-ნის საუკეთესო კაცები სიყვარულით და ნდობით მეტყეოდნენ... მე ისე ცუდად ვიყავი ამ წელს, შენ და ორიოდ ჩემი კეთილისმდომელი არ მომშველებოდით, უტყველად ნაიქცეოდ... ზაფ-რისაგან... ამ ნერილს იმიტომ ვწერ, რომ უხერხულია ამ სიტყვების პირში თქმა, დანარჩენს - სხვა დროს... მე გვემამი მაქვს: ნერილები აღექსანდრე აბაშელისა და სიმონ ჯანაშიასადმი.“

სამწუხაროდ, ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩა. ვფიქრობთ, ნინამდებარე პუბლიკა-ცია რამდენადმე შეავსებს ამ განზრახვას...

რუსულად ჯანაშიას
1991 წ. 7. IX.

ტფილისი

**ქართული უნივერსიტეტი
დოცენტ სიმონიკო ჯანაშიას
მე-7 ასულის ტუსად**

**კონსტანტინე გამსახურდიასაგან
ბ. XII.**

ჩემო უმცროსო ძმომ სიმონიკო შენი ნერილი დიდი სიხარულია ჩემთვის. მიჭირს წერა ღია ბარათ-ზე მონასტერში ვიმყოფები. ორგვლივ ზღვა და ყინულებია. ვკითხულობ, ვწერ, ვსინჯავ ბიბლიას, თავს ეუფრი ძველ სიტყვებს. ვეარეგობ ინგლისურ წერაში. ვიცნებობ, ვნაღვლობ. უცნაური აზრები მომ-დის თავში ამ გრძელ წარდილოურ ღამეებში. თუ გაეუძლებ უამრავ განსაცდელს, ჩემი მეგობრებისათ-ვის მკედრეთით აღდეგები აეადმყოფობამ, ტანჯვამ ფერი მიკვალეს. ეწერდი ელიკოს⁶ მალე შენყდე-ბა ნაიგაცია და ჩვენ ჩავუმარხებით ყინულებში. ოჰ, რამდენი თეშა, მაგრამ სიზარმაცე არ მანერო-ნებს - რა ვიცი, ღირს კია?

თავჯანსიყვამით მოკითხვა ქართული ისტორიის თუკიდეფს⁷ აგრეთვე დიტოს⁸ პროფ. ნერე-თელს⁹ ხელზე ემთხვე დედას ჩემს მაგივრად.

P.S. ეწვეარ ვილაც ბერი საგებელზე და ვფიქრობ თქვენზე, საქართველოზე, იმ ნიგნებზე, რომ-ლებსაც ალბათ ველარასოდეს ვერ დავწერ.

მიიღე ჩემგან ძმური სალაშა



ტიფლისი
სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოცენტ სიმონ ჯანაშიას
27.1. 1927

ძვირფასო სიმონი, კო მთელე შენი მშვენიერი ბარათი (4-ში დანერლი). რატომ ინერები ასე ტუნ-ნად? მესმის, დაკავებული ხარ ძალიან. ვიგ ზაენი ფოტოს. არ მიყვარს საერთოდ სურათები, მაგრამ, ვინ იცის, მოგწონოს. ისე ვუთხვებ ნერეს, უნაა ერთადერთი სიახლე. ძველებურადაა ჯანმრთელია. ვერ ვერევი უძალიობას. თეთროდ ვთიენებ ღამეებს. შალე დანიყება ჩრდილოეთის ციალი დაინ-ვებული მარქეს მზის ბრწყინვალეობა. კრული მაგონებს ფანტასტიური შეფის ბროლის კომქს ათის ერთი ღამიდან. ყველა რომ მიყუფდება, გარეთ გადვიდარ. ღმერთო, რა სიმარტოვეა თურმე არსე-ბობს ზღვარი, რომლის იქით გული ვეღარ იტყეს უბედურებას. ვარ გაქვავებული როგორც ბიბლიუ-რი სახე, უნა რომ იხედება. ამ განმარტოებულ ღამეებში მიუფლება განცდა, რა უბადრუკია შენი და სხეისა ფუჭი სიცოცხლე. თურმე არსებობს მონასტრისეული აზუანტ მე ვოუ - ცხოვრებისეული აზრი სამყაროზე. რუსულად ეუდად ვეღერ.

ძლიერ მინდა, მწყურია შენთან გულახდილი საუბარი. რა მოგწერო, თუ კი ვიცე, რომ ნურილი შენამდე აღბათი ერთი თვის შემდეგაც ვერ მოიღწევს. შერმე ხომ ასეთ შემთხვევებში სიტყვა უძლე-რია. ეცხოვრობო ძველებურად. არ მწერ, როგორ მიდის შენი სამუშაო. ნოუთ სხვისგან უნდა ვიგებდე, რომ გაქვს ნინხელა. როდის იხევე კურსს? თუ უკვე კოხხვობ სისტემატიურად ღვეციებს? ნიგნე-ბისაილის ნუ გაიორეები, მაისამდე მაინც ვერ მივიღებ ამანათს. აქ არის პატარა ნიგნთსაკეი. ეხლა ვუდარებ ქართულ სახარებას ინგლისურს. საოცარია ამ თარგმანების სიზუსტე. მხოლოდ მათეს სა-ხარებაში შევნიშნე უმნიშვნელო გადახრები. განსხვავებებს ვანერ. მინდა ვნერო ღამ-ღამობით, უძი-ლობისას, მაგრამ საქმე მიბრ კოლდება. ჩვეული ვიცე წერისას აღკომოლის რაღაც ხოთი მიღებას, აქ კი ეს აკრძალულია. ერთი თვე დამჭირდება კოდე ინგლისური ოროთგრაფის მოსანესრულებ-ლადა. შედავიღება საკმაოდ ბევრი რომანი გადავიკითხე - ზოგი ორიგინალში, ზოგიც თარგმანში. ბუტიორკის ციხეში⁶ შესანიშნავი ბიბლიოთეკა იყო.

ვიგ ზაენის ფოტოებს შენ, პავლიკოსა და სამას⁷ - 2 ცალს. მით კიდე ერთს გავეუგ ზაენი. იკით-ხე, რატომ არ მწერებ? ენერდი მათ, ქრისტოს,⁸ ელიკოს, სოლომონსაც,⁹ თუმც არავინ მწერს პასუ-ხად. ხო, ელიკოსაც და ქრისტოსაც გავეუგ ზაენი სურათებს.

ემთხვევ ხელზე დედას და მომიკითხე. დიდი სალაში, უმდაბლესი, ვანოს.¹⁰

მომწერე უფრო დანერლებით. მივლე ნიგნები „სახისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“¹¹ რისთვისაც დიდ მადლობას გწირავ.

შენი ერთგული მეგობარი
კონსტანტინე გამსახურდია.

სოლოევები
შერეული ასეული, 1927. 23. VI.

ძვირფასო სიმონი, დიდი ხანია უნდა გამეცა პასუხი შენს საოცარ ნერილზე, მაგრამ რომანის რედაქციით¹² ვიყავი გართული. ხოდა, გუშინ ჩავაბარე ხელნაწერი სტეპანოვს, ადმინისტრაციული ნაწილის გამგეებს¹³ რომელმაც, სხვათაშორის, ქართული იცის ნი ყორიშია. ნაკითხვის შემდეგ გადაუგ-ზაენის შალეა ელავას.¹⁴ თქვენ მანდ მისდით. სამამ შოკითხოს და გადაათავალეროს ხელნაწერი, შერმე შალეა გადასცემს ლუნაჩანსკის.¹⁵ ჩემის აზრით, საჭიროა, შეახსენოთ, რომ 50% პონორარისა, ჩემი პირობის თანხმად, ეუთუნის Училищ,¹⁶ დანარჩენს აიღებს ან სამა აქნაშელი ან ალექსანდრე-კარგი იწუნება, თუ ძმა მოსკოვს გამეზაურებას დაამთხვევს შალეასა და დააქარებს ნიგნის გამოცე-მას. დიდი შრომა და ენერგია მოითხოვა თარგმანში. რომანში ჩართული ლექსებიც კარგადაა თარგმნი-ლი. ვეღლაზე რთულ ადგილებს მთარგმნელს ვკარნახობდი სხვა, ევროპულ ენებზე იმ ასეულში, რო-მელშიც მთარგმნელი ცხოვრობს, საზოგადოება თარგმანს ეცნობდა მანქანაზე გადანერილ ანაბეჭ-დებში. ასე რომ, ბანაკში უცებ გახმარდა სენიორ კონსტანტინე საეარსამიძის სახელი. მთარგმნელი კარნახობდა ერთ-ერთ მანდილოსანს, რომელიც მანქანაზე ბეჭდვისას მითადებოდა. გადაბეჭდვის დამ-თავრებას ვეღლა მილოცავდა. სხვადასხვა ეროვნების ტუსალები შეხმარებოდნენ, რითაც შეუძლია: ზოგი ფანქარს მანვიდა, ზოგიც მიძენდა უცნობ სიტყვებს. აქ ძალიან ბევრია ისეთი, უცხო ენებს რომ ვარგად ვეღობს. ერთი სიტყვით, ამ ნიგნის თარგმნის პროცეტი ამაღლევებული იყო.

ეხლა ამ ერთ კვირას ვისეენებ. გადვიდარ შორს, ზღვისკენ. ენეები ნაპირზე, ეუფიცები მზეს, უბანაობ. ხანდახან ამ საშინელი მარტობითაც კი ეტკებები. ისე მოსდევს დღე დღესა და კვირა კვირას, რომ არავის სულიერს არ გამოველაპარაკები. ჩემს ირგვლივ ხალხი სულ ნაირ-ნაირი იდუარო მრნამისია: ყოფილი სამხედროები, სამლეველოება, etc.

დასანანი, რომ იკრძალება ნადირობა, გულს გადავაყოლებდი.

ხო, მართლა, ეხლა თეთრი ღამეებია. შუე ღამის 12 საათზე ამოდის. ასე რომ, გარეთ აღარ ანთია ნათურები, კაცი ნიგნს ადვილად ნაკითხავს. ცარგვალზე ფერია იშვითი შეხამება. აღბათ ეს იყო მიზეზი, მონასტერი რომ ააგეს აქ

გასაკვრია, გემები მიმოდის, ნერილები კი არ ჩანს. შენ აღბათ მალე აფარაკზე ნახვალ. ამიტომ შენს ნერილს ჩემს ძმას გადავეუგ ზაენი. გამომიგ ზაენე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოე-



ბის* კრებულები. მომწერე, რაიმეს გამოცემას ხომ არ ეპირები ამ მოკლე დროში? პროფ. ნერეულის ნიგნები არ მიმოდია. თუ რაიმეს გამოგ ზაენი, გადაეცი ჩემს ძმას, რომელიც თავისუფალია და დაგეგმავს ჩამოაღწევს [...]* დღეში. წერილიც მიგვე ჩადეთ – ბარემ აქვე გასინჯავენ.

მალე ეპირები „ვერტერის“ თარგმნას. დასახვევია ნოველების კრებული და ერთი რომანი, მაგ, რამ არაა ადვილი ორიგინალურად წერა. სიხარული არა მაქვს, ან რამ უნდა მომანიჭოს? აბა, ერთ-ზაზმის გარეშე წერას აქვს კი აზრი? ამ ხნის განმავლობაში ბევრი სიუვეტი დამიხვეადა. მხურს მნიშვნელოვანი რაღაცის შექმნა. მონახაზი კი მაქვს, მაგრამ არ ვიცი რა გამოვივა.

უფრო ხშირად მომწერე.
გულითადი სალამი დედას, ელიკო თ-ს.*

შენი კონსტანტინე
მერეული ასულის ტუსად
კონსტანტინე გამსახურდიასგან

საქართველო
ტფილისი
სახუნევერსიტეტი
სიმონ ჯანაშიას
30.VIII.

ძვირფასო სიმონიკო, ვეჭვობ, აეად ხომ არა ხარ, ანდა ხარ ავარაკზე და ამიტომ არ მწერ. შენატრება შენი წერილები. მოსაწერი არაფერია. ყველაფერი ძელებურადაა. კაშანი სულს მიხუთავს, მღრღნის. მე-დეიარ ხოლმე შორს, ტყეში. სოფლები ვფიქრებ, დავეცემი მინას როგორც მწიფე ნაყოფი და მოცუდები. მაგრამ თურმე სიკვდილი სწორედ მაშინ არ მოდის, როდესაც ეს გსურს. ჩვენს კუნძულზე სანტიმენტალური ადამიანები არ არიან. აქ შეიძლება კაცი გატყურდეს ან კოდეც გამოეცდეს. ირგული არაან ტანჯვისაგან გახვეებული ადამიანები, ტყეები, ზღვა. ზღვა მკვდარია. ხანდახან არც კითხვა მინდა და არც წერა. დავუვილობ მუხუთით. ყოველ ცისმარე დღეს ერთი და იგივე უკვე იგრძნობა ზამთრის სუსხი. იქმუნება დაწყებული ჩრდილოეთი და სისხლს მიყრავს ძარღვებში. გვაძლიობ პროფ. ნერეულის ნიგნების გამო. მოწერე მას. შენ შართალი ხარ, როგორც ჩანს, ჩემი ბედი მინისანარმეტელებია. შეზარება სიციცხლე და ტანჯვა. ამ უსაზღვრო უდაბნოში თითქოს სულს მივტოვებთ და სადღაც გაფრენილა. ქრისტემ ორმოცი დღე დაყო უდაბნოში, მე უკვე ერთი წელია, რაც აქ ვარ. აქ რომ ადამიანები დადიან, ჩემთვის მხოლოდ ნომრებს წარმოადგენენ. მომწერე ხოლმე, თუ არ დაგეზარება. რა ხდება თქვენს ქვეყანაში? რა ამბავია? ისეთი გრძნობა მაპყრობს, თითქოს „იმ ქვეყნად“ ვიყოფები.

შენი კონსტანტინე გამსახურდია.

ჩემო კარგო სვიმონი²⁰

ძლიერ შენატრება შენთან საუბარი, მაგრამ დღეს საღამოს (სულ დამივიწყდა) დაპატივებულ ვარ აქაურ გერმანელ ქალთა საზოგადოების საღამოზე. ხოლო ხვალ 7 საათზე გელი (შენ დაპატივებული ხარ ქრისტეფორეს სახლში), გზად უნდა გაეუაროთ კოდეც ერთ ნინოს. აუკაცბელი სასაუბრო მაქვს შენთან. უთუოდ ადრე მოდი. შესაძლოა ხვალ 12 საათისათვის გა-მოვიარო. თუ ვერ მოეხედი, მაშინ შენ უთუოდ გიცდი.
გთხოვ ქალბატონ დედას მიესალმო ჩემს მაგივრად და პატარა ნუნუკას.²¹

შენი კ.ბ.

ძმომ სვიმონ,

მე სტამბაში დამაკავეს და ვერ მოეხედა და გამონიე პარლამენტორობა მიმასთან (მავთე-ლიშვილთან)²² ეს წერილი გადაეცი და ფული შენ გამოართვი – თუ მოგცა – და შემატყობინე მოგცა თუ არა, მაშინ მოველ შენთან ნახადილევს.

შენი კ.ბ.მს.

და 5 თუ არ ვქნა, ეგებ ერთი 3 თუმანი გამოართვა და ორს სხვაგან ვეცდები.

კ.ბ.

ძმომ მიმა,

შენ არა ერთხელ გაგინეცია ჩემთვის ძმური დახმარება. ნიგნი მაქვს სტამბიდან გამოსატანი და მჭირია ერთი კერით 5 თუმანი. როგორმე მომიხერხე და გადაეცი სიმონს და ერთ კერაში გერმანუ-ლი პუნქტუალობით დავიბრუნებ. ერთი ებრაელი აღმოვაჩინე, მაგრამ 35% მიხოვს. სამინელი პი-რობებია, თორემ არ შეგანუხებდი.

ძმარი საღამოში შენი
კ. გამსახურდია.

ძმომ სიმონიკო,

ორჯერ ვიფავი უნივერსიტეტში, ვერა გნახე. თალიკომ²³ და კომპანია გთხოვა მიხვიდე დღეს 8 საათზე გიორგი ქ-ძის²⁴ სახლში. მე არ დამაბრარო.



მამ გვლით. ყოველ შემთხვევისთვის: უახლოესი „შაბათობა“ ჩემსას იქნება, მანამდის იმედი აგნახავ, ე.ი. დღეს საღამოს გიორგისას. საღამო გადაეცი ქ-ნ დედას.

სვიმონ, გაეხდი მუორედ შენი ნახვის ამო მსხვერპლი. ხვალ (როგორც შენ გითქვამს ქ. სონიას²⁸ სანახავედ მივდივართ). 1/2 2-ზე გიორგი გვიცდის ლალიძის დუქანში, იქიდან სონიას სანახავედ წავალთ.²⁹ უკეთუ ვერ მოხვდები, ზეგ საღამოს შენ გიცდი. თუ სურვილი გაქვს, მოდი. მე მარტო არ მისაუბრებია შენთან.

შენი კ.ბ.
ს. VI.

ძვირფასო სიმონიკო, აღექვანდრე ჩამოვიდა და სადღაც მიმართევს; შენი ქირიშე არ გეწყენოს. ხომ იცი როგორი ქკუაზე ხელაღებულია. როგორც კი დავუტყრები ხელიდან, მოვალ. სადილით არ მიცადოთ. დედას ხელზე აკოცე ჩემს მაგიერად

შენი უფროსი ძმა კ.ბ.

ძვირფასო სვიმონ, გიტოვებ [...] მ-ს³⁰ გადასაცემად. ვეცდები დანარჩენი ხვალ მოგანვდინო. მე ძლიერ ცუდად ვარ. სამინელი სულიერი კრიზისები მაქვს. შენი ნახვა მინდოდა. ამიტომ მოდი ხვალ სამ საათზე ლალიძესთან. ერთად ვისადილოთ.

შენი კ.ბ.³¹

მამ სვიმონ,³² ამოდ ველოდი შენს ნერილს. ქალადიდს მივდივარ სანადიროდ. ვაშაში ქუთაისი მოინახულე; ნამოსვლის ნან დედა ვინახულე, კარგადაა. მინშობას დამატებით გამოვიგზავნიან. ძლიერ შემარება დაჩანაკებული, დამტვერიანებული ქუთაისის ნახვამ მარტო დავცილობდი, შენზე ვფიქრობდი და მოგონებისთვის გწერ.

გისურვებ ნარმატებას შენს მუშაობაში
ძმური საღამით შენი

ქონსტანტინე ბ.

მამ სვიმონ,³³ მოგვხალამები ბორჯომიდან. დიდ საღამს ვუძღვნი აგრეთვე ბატონ დედას და ნუნუკას. თუ ჩამოხვალ, კარგი იქნება. ბ. ივანე აქ არის ოჯახით. ვინახულე კიდეც. აქ ძლიერ მომწყინდა. ვარძიას წასვლას ვაპირებ.

ძმური საღამით შენი
ქონსტანტინე ბ.

ქონსტანტინე

1. სოლოვკები — სოლოვეცკის კუნძულების გაგრეცდებული შემოკლებული სახელწოდება. უკიდურეს ჩრდილოეთში, თეთრ ზღვაში (არხანგელსკის რაიონი) მდებარე კუნძულია ვკუფო, რომელზედაც მე-15 ს. აიგეს სამონასტრო კომპლექსი, იქნება კრემლის შენობაც. მე-20 ს. პოლიტაგამორების გადასახლების აღიკვეთა.
2. ბიქტორ თევზია — ?
3. სეით დევიდარიანი — ცნობილი ტურნალისკა, პუბლიცისტი (1878-1937), რეპრესირებული რევოლუციამდე და შერეე.
4. ალბათ ვლადე ბაქრაძე ქართველიშვილი — კ. გამსახურდიასა და ს. ჯანაშიას მეგობარი.
5. ივანე ჯაფარიშვილი.
6. დავო — ალბათ დიმიტრი უშნაძე (1887-1960), ქართ. ფსიქოლოგ, სკოლის ფუძემდებელი.
7. გრიგოლ წერეთელი (1878-1938) — ფილოლოგი-ელენისკა, პაპარულიაგის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
8. ბუჯარის საპრობოდე (ბუჯარია) — მოსკოვის უძველესი ციხე (მე-17 ს.). პოლიტაგამორებს ჩვეულებრივ აქედან ანაწილებდნენ სხვადასხვა მიმართულებითა და სხვადასხვა ბანაკებში. აქედ და სოლოვკებზე საგამართო პარალი ბიბლიოთეკებიდან შექმნილი იყო შესანიშნავი წიგნსაცემები.
9. პაველ ინგოროვიცა და ალექსანდრე აბაშელი — კ. გამსახურდიას მეგობრები.
10. პაველ ინგოროვიცა (1893-1983) — ლიტერატურათმცოდნე, რუსთაველოლოგი.

აღუქმანდრე აბაშელი (1884-1954) — ცნობილი ქართველი პოეტი.

10. ქრისტეფორე რაჭველიშვილი (1892-1937) — კ. გამსახურდიას უახლოესი მეგობარი, ცნობილი პუბლიცისტი.

11. ალბათ სოლომონ თავაძე (1890-1960) — პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი.

12. ფანე ჯავახიშვილი?

13. ამ დროს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სამოგადოების“ თავმჯდომარე იყო ივ. ჯავახიშვილი, მღვიანი — ს. ჯანაშია.

14. საუბარია რომანზე „დიონისოს დიმილი“ და მისი მთავარი პერსონაჟზე კონსტანტინე საგარსამიძეზე.

15. შალვა ფლიაგი (1883-1937) — სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, სასკოლმასწავლებლის თავმჯდომარე.

16. ანატოლი ლენაჩარსკი (1875-1933) — სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, საბჭ. ხულონებისა და ლიტერატურის თეორეტიკოსი. იმხანად განათლების სასკოში.

17. Услан — როგორც ჩანს, რადიკ დაწესებულების შემოკლებული სახელწოდება.

18. არ იკითხება.

19. ვლენე თიკანაძე — ს. ჯანაშიას ბიძაშვილი.

20. ეს და მომდევნო ბარათები დაწერილია გაღასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1928-1929 წლებში.

21. ნუნე ჯანაშია — ს. ჯანაშიას ბიძაშვილი, რომელიც მის თემაში იბრუნებოდა.

22. მიმა შეთიფალიშვილი — ? აქვე ეგუგადეთ ს. ჯანაშიას ბრძენობე დაეკულ კ. გამსახურდიას წეროღს შეთიფალიშვილადმი.

23. თბლიკო ხოშტარია — შესავალში ნახსენები პაკე და გიორგი ქავთარაძეების დისშვილი, რომელეც ცხოვრობდა ბიძებთან.

24. გიორგი ქავთარაძე.

25. გ. ქავთარაძის მეუღლე სოფიო ლორთქიფანიძე.

26. ქავთარაძეები ცხოვრობდნენ რუსთაველის პროსპექტზე, 30-ში, ლადიძის ლექსთან ახლოს.

27. არ იკითხება, როგორც ჩანს, საქმე ეხება მიმა შეთიფალიშვილისათვის ვაღის დაბრუნებას.

28. წერილის ბოლოს, ს. ჯანაშიას ხელით ფანქრით მიწერილია თარიღი 15.VI.1928.

29. წერილი დაწერილია დი ბარათზე ფანქრით და გაგზავნილი 1929 წლის 8.V-ს კრასნოდარში ს. ჯანაშიას მისამართის იბრამიმ ნაერუბის სახელზე. ამ დროს ს. ჯანაშია იმყოფებოდა ჩერქეზეთში (აღლემში) ლინგვისტურ-ეთნოგრაფიული მიზნებით, კ. გამსახურდიას ცხოველი ინტერესით აღუქნებ და თვალუქრს მეგობრის მოგზაურობას. ერთ-ერთი წერილში იგი წერდა: „გზადღება, თუ არ დაგებარება, გამოიკითხე ხალხს შამაღის შესახებ, როგორია მისი სლოენა ხალხში? ფული რომ შეიხდეს, შემოიყიდედი იქაურობას“ (თხ. „ქართ. ენა და ლღ.“ გვ. 132).

30. წერილი დაწერილია წითელი ფერის ფანქრით 1929 წელს.

უჩვეულო ღვაჭი

სადაც სიტყვაა, იქ ბუნებრივად აღმოცენდება ხოლმე ენობრივი ბარიერი. ბექდური სიტყვისათვის მისი დაძლევის საშუალებაა ბექდური თარგმანი, მეღერი სიტყვისათვის — ხმოვანი. ადრე, სანამ ტექნიკა დარბაზის გახმოვანების შესაძლებლობას შეუქმნიდა თეატრს, მაყურებელი მციერ ლიბრეტოებით ან სპექტაკულის პროგრამაში ჩაბეჭდილი მოკლე შინაარსით ეცნობოდა იმ ძირითად ამბავს, მისთვის უცხო ენაზე წარმოდგენად გმართა ცხოვრებაში რომ ხდება. ახლა თითქმის ყველა თეატრს აქვს შესაძლებლობა საგანგებო, პორტატული მოსასმენი საშუალებით უცხო მაყურებელს მისთვის გასაგებ ენაზე მოასმენინოს ყველაფერი, რასაც სპექტაკლის მოქმედი პირები წარმოთქვამენ. სწორედ ეს ეკისრება სინქრონული თარგმანის დიქტორს. ის უშუალოდ და უწყვეტლევია ჩართული წარმოდგენაში მისი მსვლელობის მთელ მანძილზე სიტყვებით, რომლებსაც წარმოთქვამს ყველა მოქმედი პირის მაგიერ. მაშასადამე, ჩართულია სპექტაკლის სართო ხმოვანებაში, რომელიც შედგება როგორც მსახიობთა ხმებისაგან, ისე საკრივერი მუსიკისა და მრავალნაირი ხმოურისაგან, თან რომ ახლავს ხოლმე, ჩვეულებრივ, ყველა წარმოდგენას. ხმებიც განსხვავებულია და იხილვ, ვისგანაც ეს ხმები მომდინარეობს — მსახიობები, მუსიკოსები და სცენური ხმაურების ოსტატები.

ახლა ხმოვანი უფექტების უმრავლესობა მაგნიტურ ფორზეა ჩანერილი. ეს ხმოვანი ხასიათები თეატრის საგანგებო რადიოსაამქროში იხადება. იქ ბინადრობს ხმის ოპერატორი. მისი ადგილსამყოფელი, ჩვეულებრივ, სცენაზე ერთი სართულით მაღლაა მოთავსებული, რის გამოც ოპერატორს უფრო ესმის, ვიდრე ხედავს რასმე. მისთვის კი მნიშვნელოვანია ყოველი სიტყვა, რომელთანაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ხმოვანების ჩართვა. ხმის ოპერატორის სამუშაო არაა მექანიკური ჩართვა-გამორთვა — ის აუცილებლად უნდა შეიგრინობდეს სპექტაკლის თავისებურებას, მასში მონაწილე მსახიობთა ინდივიდუალობას, მუსიკისა და ყველა სახის ხმოვანების თავისებურებას. მასაც აქვს თავისი „პარტიტურა“, რომელშიც დიდ მისი მონაწილეობა იმ დროს, როდესაც რეჟისორებზე და რეჟისორთან შემდგომ მუშაობაშიც დგინდება ხოლმე ხმოვანებათა თანამიმდევრობაც და ყოველი მათგანის დანიშნულება მოქმედ პირთა ცხოვრების მიმდინარე ეკიზოდში.

ადრე სპექტაკლისათვის საჭირო ხმოვანების ორგანიზაციას საგანგებო მცოდნე ადამიანი ხელმძღვანელობდა. ის პატრონობდა მოხ-

მაურე ხელსაწყოებს. პირველი ასეთი ოსტატები მსახიობთა რიგებიდან გამოვიდნენ. ასე მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი ე. პოპოვი ორმოცი წლის განმავლობაში ზრუნავდა სპექტაკლების ხმოვან მხარეზე, გამოიგონა კიდევ მრავალი ხელსაწყო. ცნობილია, რომ აშავე თეატრის გამორჩეული მსახიობი ი. მოსკოვი ერთი საათით ადრე მოდიოდა ა. ჩეხოვის „სამი დღე“ დაწყებამდე იმისთვის, რომ გრემის გაკეთებაც მოეხსრო და კულისებიდან დროზე მიენოვებინა სპექტაკლისათვის ბელურას ტიქტიკა. მის გვერდით, ვერშინინის საშუალებით გამონათქვამი ე. სტანისლავსკი რომელიღაც სხვა ფრინველის ხმაზე მღეროდა, ვლუესკი კი მტრედით ლულუნებდა და ტანის შემოკრავ შექმლო იმნაირად, რომ ეს პაერში განავარდნებული მტრედის ფრთების ხმის მსგავსი უფილიყო. ეს ყოველივე იმისთვის, რომ მაყურებელს გაზაფხულის დილას შეხსნილი ფაჯრდთან სუფთა პაერთან ერთად შემოქრილი ფრინველთა გუნდის ხმა გაეგონა.

იმავე თეატრის წარმოდგენაში — ე. პაშუსუნის „ცხოვრების დრამა“ — მსახიობი ნ. ალექსანდროვი ზღვის ზვირთების ხმას გამოსცემდა. ა. კოონენის მოგონებებიდან ვიცით, თუ როგორ ახერხებდა ის ამას: „...ჩავედი სცენის ქვეშ მდებარე ლიუქში და რას ვხედავ — ნ. ალექსანდროვს პერანგის სახელოები აუკაპონებია, განითლებულა, ოფლი ღვარად ჩამოსდის და დარბის წინ და უკან, თან ორივე ხელით უჭირავს თოკებზე გამომყოლი რკინის დიდრონი ფირფიტები, რომლებსაც ხან დახრის, ხან დააყუდებს, ხან კუთხით დახრის და რაღაც სასწაულით, მართლაც, გამოსცემს ზვირთების ხმას“ (А. Коонен. Страницы жизни. «Искусство». 1975. с. 39)

ჩვენი დროს რუსთაველის თეატრში ამ უბანს, შეთავსებით, რეჟისორის თანამეზვე შალვა ნერეთელი განაგებდა. ამისთვის საგანგებო ხელსაწყოები უკონდა მომარგებული ჭარის, ნიემის, ზარის, მატარებლის და სხვა ამგვართა ასახმინებლად. ამ საქმეში მას მობალიც მსახიობებზეც ეხმარებოდნენ. ასე, გ. ნერეთლის „პირველ ნაბიჯში“ მატარებლის ხმას გ. გეგუჭკორი და ნ. ანდრონიკაშვილი გამოსცემდნენ. დღეს გ. გეგუჭკორი კონსტანციობთა თეატრის წარმოდგენაში „ჩვენი პატარა ქალაქი“ მატარებლის ხმას სცენაზე გამოსცემს სკამზე რკინის ვაჯრისის რიტმული მოძრაობით. რაც შეეხება ამ პატარა ქალაქში მცხოვრები ბავშვის ტრიბოს, ქათმების კაკანს, მამობის ყიყილს და ქროტიობელას ხმებს — მათაც სპექტაკლში მონაწილე მსახიობები: ნ. ჭანკვეტაძე, ნ. შენგელია, გ. როინიშვილი და გ. აბესალაშვილი გამოსცემენ.



სახმაურო ხელსაწყოები, ჩვეულებრივ, სცენის სხვადასხვა მიმდებარე ადგილებზეა განლაგებული: სიღრმეში, დეკორაციათა უკან, გვერდით კულისებში, ტროუებში — მხოლოდ მაყურებლის თვალისათვის მოუწოდებელ ადგილებში. ხელსაწყოები მრავალნაირია: ტყავ-გადაკრული უზარმაზარი ჩარჩოები, საგანგებო სადგარზე ჩამოკიდებული რკინის დიდი ფორფიტები, ყუთები ვოფირრებული ზედაპირით, ლითონის ხაოიანი ჯაგრისები, სხვადასხვა ზომის სარტყამები, დიდი ზომის მოძრავი დოლები და კიდევ მრავალი უჩვეულო საგანი. ოსტატის ხელში ისინი ათასნაირ ხმას გამოსცემენ.

ეს ხმები მხოლოდ სიუჟეტურ, სამსახურებრივ ფუნქციას არ ასრულებენ. ისინი უშუალოდ არიან ჩართული მოქმედ პირთა ცხოვრებაში, ყოველ ეპიზოდში განსხვავებულად, რაც საერთო ჯამში წარმოდგენის ხმოვანების სახეობრივ მთლიანობას შეადგენს. ასე რომ, ხმაური სპექტაკლის აქტიური მონაწილეა, როგორც საერთოდ ადამიანის ცხოვრებისა. ლიტერატურა ცხოვრებისეულ ხმებს აღწერს.

დ. კლდიაშვილი. „სამანიშვილის დედინაცვალი“: ... არ უმისი თავისი ხმა არც პლატონს, თუმცა ყვიროს, რაც ღნე აქვს. ხმა პირიდან არ ამოსვლის, იქვე გულში რჩება, უღონია, სუსტია, გაუგონარია, და ეს უმატებს გამაზრებს, უფრო უკლავს გულს, უზოთავს სულს. უმწვერვალესადაა აღელვებული კაცის თვალნი ყოველივე აირია, აიშალა, ამოძრავდა; აცახცახებულნი, ათრთოლებული ძლივს დგას ფეხზე. ეს რაღა ამბავია? რა არის ეს? რა ამბავი ხდება დაღეს ამ სახლში? ვინ შერება ამას? ღმერთო მოშალდი ვინ გადმოაგდო ეს ქათმები წრიალ-წრიალით ეზოს რომ მოეფინენ? ამით აქყენენ ბატებიც, ოროვებ ინდაურიც; მიდიან იქით-იქით, ცალკე-კედეებიან, ზოგი ეღვენეს მისდევს, ზოგი ფანჯრის კენ მორბის პლატონთან. აქვე მორბის ფეხთებ-გამომზეკილი, უჭმელობით ძალზე გამძვარი სანამუნო ღორი, აუშოვდა დინგი, რაღაცას ღრუტუნებს, თითქოს კითხულობდეს რაღაცას. ცხვარი ვინ გამოაგდო ბელოდან, სასუბე ცხვარი? ვინ ქნა? რა ამბავია? ვინ ოხერი ჩადის ამას? რა უნდათ ამ ხარებს, ასე რომ დაზოვიან? რა ამბავი ხდება ამ ეზოში? რამ გადარია ყველა? ..

ნ. ლორთქიფანიძე. „მოლოდინი“: მიყვარს ქექა-ქუხილი, როცა არ იცი რას მიკედელო, როცა დიდი ხე სამიშარია — მეხი არ დაეცეს; მიწდორ-ველში კი მარტოობით სული გეხუთება; გრიგლად ქარი მოტაცებს ხეპირებს და თვალში გაყრის, რაც მიწას ვერ შეისხსხხორცვები; ზედიდან ბნელად დაგყურებს შავი ღრუბელი, ქვევით კი კოჭებამდის გირტყამს ნიაღვარი.

ბრძოლა სიცოცხლისათვის, ჩქეფს სისხლი, გაიწვევს წერილმან უსიამოვნებას, ცდილობ როგორმე სიკვდილს გადაარჩე.

მიყვარს მონემნელი ცა; ნიავე ოდნავ ეკარება შუბლს; ზურმუხტ ცას შხის შუქი აღიმებს; მწიანე ბიბინებს დამატკობლად; ხეები

ნახად იხრებიან, ვით ჩაბოვლის დროს მოლექურე უმცრელის ქალი. ჩაბოვლისხედავსეკან-გზე უმცრელიან თავიანთ საბჭოეთურ წინაწილად მოდუდუნებს აცის კროცებურ ბაღისაში.

მაგალითები სპექტაკლებიდან.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის სპექტაკელი „ანა კარენინა“ (დადგმა ელ. ნემროვიძე-დანიშვილი) განსაკუთრებული გულიწყურით იყო გააზრებული მოქმედ პირთა ცხოვრების ხმოვანი მხარე; რკინიგზის სადგურის ხმები, დოღმი მონაწილე ცხენების თქარა-თქური, ქარას ზუზუნა... იყენებდნენ იმ ტექნიკას, რომელიც ხელთ ჰქონდა იმ დროის თეატრს.

მანამდე, იმავე თეატრში, ამგვარ მიზანს კ. სტანისლავსკი ტექნიკის დაუხმარებლადაც აღწევდა. რეჟისორი კ. სტებელი გვიამბობს: „სპექტაკლიდან „ეკა, ჭკოსიდან“ განსაკუთრებით დამამახსოვრდა სტუმართა საუბრების ხმოვანი მხარე. კ. სტანისლავსკი საერთოდ სამეტყველო ხმოვანების განსაცვიფრებელი კომპოზიტორი იყო. ის ქმნიდა ცალკულ უჯუფებს, ადგენდა საერთო საუბარში მათი ჩართვისა და გამორთვის თანამიმდევრობას, ხმოვანების მომატება-ჩაქრობის მონაცვლეობას, ვიდრე ჩერჩულამდე, შიანისიმომდე, შემდეგ — შიანისიმოდან ფორტისმდე და მათი უარწყმით ბრწყინვალე ხმოვან ხმოვონისა ქმნიდა. ამ დამუშევრება არავითარ რიტმულსა თუ აზრობრივ სივალბეს. ის ჩვეთიან ერთად ამუშავებდა ხმოვანების ვველა ფახას, ახერხებდა იმას, რომ ამ ხალხმრავალი ეპიზოდის ყველა მონაწილეს სრული ძალით შეეგრძნო ყველა მინაარსი, რომელიც მას სიტყვით ან ბგერით უნდა გამოეხატა“ (М. Кнебель. Вся жизнь. ВТО. 1967. с. 217).

ხმოვანებით შეიძლება შექმნა სცენაზე საიდუმლო განწყობილება. შეიძლება გამოხატო მშფოთიარება, შეიძლება უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის დასასრული ოდნავგასაგონი ხმა იყოს.

ს. ზაქარაიის მოგონებებიდან: რუი ბლანხისათვის“ ელენე ახელუდიანის მიერ შექმნილ სამყაროში ზედმეტს ვერაფერს ნახავდით. სულ მცირე საგანსაც კი თავისი დანიშნულება ჰქონდა, გარკვეული ფუნქცია. ერთ მაგალითს გავისზენებ. ბოლო მოქმედებაში რუი ბლანხისთვის სანამბლავის შუშა იყო საჭირო. თეატრში რომ ვერ მოიძიეს, ელენემ თვითონ მოიტანა ძველებური, მოოქროვილი პატარა შუშა. ამ ძვირფასი ნივთიდან მოდოდა ჩემი სიკვდილი. ხელში რომ ავიღებდი, თავის ფორმითა და ფაქტურით ისიც იმ ეპოქასთან მკაცრირება, რომელშიც ჩემი გმირა ცხოვრობდა. სხვა ფუნქციასაც ასრულებდა — სანამბლავს რომ დაეღვედი და გადაგადგედები, მძიმედ მიგორავდა საფეხურებზე. მისი ხმა თანდათან ელვებოდა. დარბაზში გამეფებულ სიწუმეში ეს ხმა თვითონ ქმნიდა საჭირო განწყობილებას და რუი ბლანხის სიცოცხლის თავისებურ წერტილად იქცეოდა“.

არანაკლებ ყურადღებას უთმობს დრამატული თეატრის რეჟისურა ხმოვანებას, რო-



მელსაც მსახიობი გამოიღებს. ე. ვერაგანა, რომელიც მონანიღობდა ეს. შეიერპოლდის მიერ დადგმულ მ. მეტერლინკის პიესაში „ტენცაილის სიკვდილი“, წერს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა მათთან რეჟისორი სიტყვაზე: „პირველ ყოვლისა, ეს. შეიერპოლდმა განადგენა ბგერის ჩვეული ნატურალისტური ტალღა. ის მოითხოვდა ჩვენგან, რომ ინტონაციით „დაგვეჩაზა“ სწორი ხაზები და კუთხვები. არ გვაძლევდა მათი მომგრვადების და გლისანდოს უფლებას – მღელვარება, შფოთი, შიში, უბედურება, სიხარული, ყველა ემოცია ცივი და ნათელი ბგერის საშუალებით უნდა გამოგვეყარებოდა, როგორც თვითონ ამბობდა: „ქის ფსევრზე დაცემული ნვეთებით.“ არაერთარი ტრეპოლო ხმაში“ (К. Рудницкий. Режиссер Мейерхольд. «Наука». М. 1969. с. 60).

ყოველივე ამის გაუთვალისწინებლად, შეუძლებელია გაიაზროს სირთულე ასეთ მრავალზნოვანებაში იმის ხმის ჩართვა, ვინც სცენაზე არ ჩანს, მაგრამ ლაპარაკობს მთელი სპექტაკლის განმავლობაში. ეს ხდება მაშინ, თუ მაყურებელთა შორის თუნდაც ერთია ისეთი, ვისაც არ ესმის სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა ენა.

ამ უჩინარი მთარგმნელის მიზანი უცხოელ მაყურებელს გააგებინოს ის, რასაც მოქმედი პარტი ერთმანეთს ეუბნებიან. ოღონდ ისე, რომ ამ დროს ერთი ნუთითაც არ მოწყვიტოს მაყურებლის ყურადღება მსახიობს – უცხოელმა მაყურებელმა ჯერ მსახიობის სიტყვა უნდა გაიგოს, დაე, გაუგებარ ენაზე, მაგრამ ინტონაცია ცივი ხომ ბგერის მიტქმელია მხოლოდ ამის შემდეგ მიზნდება ერთი ნამის წინ მისთვის გაუგებარ ენაზე წარმოთქმულის შინაარსი.

რითაა განპირობებული ასეთი რთული ამოცანის ღირსეული განხორციელება? პირველ ყოვლისა, თარგმანის მაღალი ლიტერატურული დონით, სადაც შენარჩუნებულია ავტორისეული სული, ის, რამაც დაბადა ეს ნაწარმოები.

დედნისა და თარგმანის ენა მუდამ განსხვავებულია – წინადადების აგებულება, მისი რიტმული სტრუქტურა, ინტონაცია, ფერადობა...

შესებები მრავალნაირია და ამ პიესების მიხედვით დადგმული წარმოდგენებიც. ყოველი მათგანი თავისებურ მოთხოვნებს უყენებს სინქრონული თარგმანის დიქტორს, რომელიც, მსახიობისგან განსხვავებით, მხოლოდ მისი ერთი გმირისთვის განკუთვნილ ტექსტს კი არ წარმოთქვამს, არამედ მთელ პიესას. სცადეთ ერთხელ მთელი პიესის უბრალოდ ხმამაღლა წაკითხვა სხვისთვის მოსასმენად და ნახავთ რამდენი ენურგია იხარჯება ამ უბრალო წაკითხვაზეც კი. და როდესაც ეს უბრალო წაკითხვა კი არა, სპექტაკლის მონაწილეთა სცენურ ინსერებში ჩართვა ცალკეულ მსახიობთა ცხოვრებაში უნდა შეესაბამებოდეთ თანაც ახალ სპექტაკლში, როდესაც ტექსტი ზოგჯერ მოლოდინე დადგენილიც არაა ხოლმე, ძველში კი

ბევრი რამ მოულოდნელად იცვლება, ამის გამო, რომ მავანი თავს უფლებსტარებდეს, რომელიც მატურგის ნაწარმოებში საკუთარი ხმით უნდა ჩაუმატონ... ვინ მოთვლის სინქრონული მთარგმნელის გაჭირვებას...

ეს უჩვეულო ორენოვანი დუეტი ადრე ქართულ-რუსული იყო. ახლა უფრო ხშირად ქართულ-ინგლისურია. ყველა შემთხვევაში უნათა გრამატიკული წყობა, ცხადია, განსხვავებული. ამიტომ თავისთავად კარგი თარგმანის შემთხვევაშიც, სინქრონულად მთარგმნელს დიდი შრომა უნევს იმის მისაღწევად, რომ ეს თარგმანი სცენაზე მიმდინარე ცოცხალ ქმედებას მოუსადაგოს. ამისთვის ის ჩართულია სპექტაკლებზე მუშაობის პროცესში, ესწრება რეპეტიციებს, რათა გაითვალისწინოს მომავალი წარმოდგენის ყველა წერილმანი – მრავალი სახის ხმოვანება, მუსიკა, მიზანსცენა, პაუზები. ისიც, თუ რაწინარია ის გარემო, სადაც გაისმის სინქრონული მთარგმნელის ხმა, რა ჩანს ამ დროს და რა იმას: მოქმედ პირთა საუბარი, ქარის ზუზუნი, ტექა-ქუზილი, კარის ქრიალი, ზარი, ყვარალი, სიცილი, ნების ნვეთების ხმავე, ჩურჩულიც თუ სრული სიმუშე... სინქრონული მთარგმნელის მდუმარებაც იმის შესატყვისია, რასაც სცენაზე უტყვი მსახიობი გაიციფს. ოღონდ ეს ყველაფერი – ხმის ფაქტი მიმოქცევაში, ტემპში, სიმალდე, მოდულაცია – მხოლოდ ერთ ადგილასაა, მიკროფონთან, უჩიურში, საიდანაც ისმის მისი ხმა. ის საკრავი, რომელსაც ის კარგად უნდა ფლობდეს, რადგან სხვა არაფერი გააჩნია.

სად ამზადებენ ასეთ სპეციალისტებს? ჩვენში – არსად. განსხვავებული სპეციალობის ადამიანები სხვადასხვა გზით აღმოჩნდებიან ხოლმე სინქრონული თარგმანის პულტთან. შემდეგ თვითონ გახდებიან სპეციალისტები. ამიტომ მათ ნააზრები სინქრონული თარგმანის დიქტორის დანიშნულების, სირთულეებისა და თავისებურების შესახებ განსაკუთრებული მზივნელობა აქვს. ჩვენ მიემართეთ ზოგიერთ მათგანს სამი შეკითხვით:

1. რა გიმლით ხელს თქვენ საქმიანობაში?
2. რა გინყოთ ხელს?
3. რა განიტებს სიამოვნებას?

გთავაზობთ მათ პასუხებს.
ამალია ზურაბიშვილი ხშირად დიქტორის ნაყოფიერ, შემოქმედებით მუშაობას ხელს უშლის ის, რომ მას ხელი არა აქვს პიესის საბოლოოდ დადგენილი უცხოური ვარიანტი. ეს განსაკუთრებით საგრძნობია პრემიერაზე და მის მომდევნო წარმოდგენებზე, როდესაც მსახიობს ჯერ ყველაფერი არ დაუზუსტებია, როდესაც ტექსტში საკუთარი კორექტივები შეაქვს, ცვლის სიტყვებს. ეს პროცესი ჩვენთვისაც კარგა ხანს გრძელდება. მაშინაც კი, როდესაც სპექტაკლი უკვე მაყურებლის თანდასწრებით მიმდინარეობს, დიქტორი მსახიობთან ერთად კიდევ აზუსტებს თავის საბოლოო ვარიანტს. ამუშავენს მთელ პარტიტურას, ანანილებს პაუზებს და ა.მ. ჩვენი სადიქტორო

პარტიკულარ მოლიანად აქრელებულია ჩამატებულითა და ჩასწორებებით. ამით ჩვენ ტექსტს მის ქართულ პირველწყაროს ვაახლოებთ. ნამდვილი ბედნიერებაა, როდესაც უცხოური ეარიანტი ქართლის შესაბამისია.

სამუშაო პირობები არ გვაქვს კარგად: სცენას არ ვხედავთ, გვაქვს მხოლოდ მონიტორი, რომელიც პრაქტიკულად არაფრის მომცემია, რადგან მსახიობის არტიკულაციას ვერ ხედავთ. თუ დინამიკა გამოიჩინო, ჩვენ ფაქტობრივად მონვეტილი ვართ სცენას — არც სცენას ვხედავთ და არც უცხოელი მაყურებლის რეაქციები გვესმის.

არის შემთხვევები, როდესაც დიქტორის საქმიანობა მთელი სპექტაკლის განმავლობაში ამოა — მისი ხმა არ აღწევს მაყურებელამდე ან ტექნიკური ზიანის გამო (ყურმილები, საერთოდ აპარატურა ძველია და განახლება არ ხერხდება), ან იმის გამო, რომ არაქართული მაყურებელი სპექტაკლის ბოლომდე არ დაინახა, ჩვენ კი ამის შესახებ არაფერი შეგვატყობინებ.

მწვლია თარგმნა, როცა მსახიობი ძალიან ხმადაბლა მეტყველებს და მის სიტყვებს მუსიკაც თან ახლავს. მაშინაც ვეჭვობს, როცა მსახიობს შმაგ ტემპში მიჰყავს ეპიზოდი. ჩვენც მის სინხრაფეს მიუყვებით. ასეთ დროს უცხოელ მაყურებელსაც უჭირს.

საიმოებება განიცდიდი მაშინ, როდესაც მსახიობი გატაცებით თამაშობენ, როდესაც ნარმოდგენა მწყობრ რიტმში მიმდინარეობს. ამ დროს შენც ამ საერთო დინებაში ხარ ჩართული და მსახიობის შთაგონებული თამაში არც შენ გტოვებს გულგრადს.

გსიამოვნებს თუ მაყურებლის მოწონებას იმსახურებ. უფრო ხშირად ეს გასტროლების დროს ხდება, რადგან უცხო ქვეყანაში მთელი დარბაზი დიქტორს ეკუთვნის. თუ ამ დროს დარბაზსა და სცენას შორის კონტრაქტი შედგა, ეს იმას ნიშნავს, რომ მსახიობის რთული ბელოვნება და სინქრონული თარგმნულის მოკრძალებული საქმიანობა ერთად განაცდევინებს უცხო მაყურებელს ესთეტიკურ სიამოვნებას.

ემა პიჯოვაროვა: არ შემიძლია ჩემ თავს დიქტორი ვუნოდო, თუმცა ადმინისტრაციულად ეს თანამდებობა მიკავია. არ შემიძლია იმ უბრალო მიზეზით, რომ თვით ტექსტის თარგმანი მე შეკუთვნის. ეს კი, უნდა ითქვას, მუშაობის ყველაზე რთული ეტაპია, რომელიც მოითხოვს თანამუშაოქმედებას და რუდუნებას. ყველაფერი დანარჩენი ჩვევია და პროფესიის დაუფლების საქმეა.

უფრო ხშირად პიესის რუსული თარგმანი უკვე არსებობს. ეს თარგმანები, რაღა თქმა უნდა, განსხვავებულია — ზოგი ბრწყინვალე, ზოგი — უფარვისა. აქ საქმე თვით ლიტერატურულ ესოვილიშიც არაა, თუმცა მისი მხატვრული ლირებულება თავისთავად იგულისხმება. საქმე სიზუსტეშია — ტექსტი უნდა იყოს არა „თავისუფალი თარგმანი“, არა „მიბაძვა“, არა „მოტი-

ვები“, არამედ პირველწყაროს ზუსტი შექცევისობა.

რადგან მთარგმნელს მსპექტაკლის მხატვრის მსახიობის კვლადგაცულ და მასთან ერთდროულად, ბუნებრივია, თარგმნილი ფრაზა უფრო მოკლე უნდა იყოს. ამიტომ უმჯობესია თვითონ თარგმნი, ვიდრე სხვისი უეარდისი თარგმანი ასწიროს.

როდესაც ტექსტი შავად შხადაა, ვესწრებ რეპეტიციებს იმისთვის, რომ კარგად შევისწავლო სპექტაკლი, რადგან შემდეგ ჩემთვის განკუთვნილ ვიზურში მსახიობთა სცენური არსებობის ტემპის ათვისების შესაძლებლობა არ მქონება. ამ დროს შემაქვს ტექსტში საბოლოო ჩასწორებები. მოლიან და გენერალურ რეპეტიციაზე ჩუმი ხმით მივდეგ ხოლმე პიესის ტექსტს და ასეც ვამონშებ მას. საბოლოო ტექსტს მხოლოდ პრემიერიდან ყველაზე მცირე, ერთი თვის შემდეგ ვებეჭად.

დიდად ხელისშემშლელია ჩემთვის მსახიობის დაბალი სამტყველო კულტურა: გაურკვეველი, აჩქარებული, სხაპახუბით ლაპარაკი. ეს, როგორც წესი, ახალგაზრდებისთვისაა დამახასიათებელი. მიშლის, აგრეთვე, ავტორის ბულები სიტყვების მიღწევიანი დამოკიდებულება, როდესაც როგორც უნდათ, ისე ცვლიან სიტყვას.

უდიდესი სიამოვნების მომნიჭებელია მსახიობთან შეხმატკობილებული მუშაობა, როდესაც სათქმელი სიტყვა თითქმის ყოველ ბგერაში თანმხედლობია. ამ სიხარულს არაფერი შეედრება.

იდეალში ჩემი საქმიანობა ასე მესახება: მაყურებელი არ უნდა გრძობადებს, რომ სცენიდან ნარმოთმთელი სიტყვა უცხოა მისთვის. ყურმილით მიწოდებულ სიტყვებს საკუთარ შინაგან მოწოდებად უნდა აღიქვამდეს.

ელისო ზულუკიძე: თეატრის დიქტორ-სინქრონისტის პროფესიის ძირითადი მიზანი და დანიშნულება იმაშია, რომ ზუსტად განსაზღვრული აქტიარული დიალოგის ამ მოწოდების დროს მოასწროს მაყურებელამდე იმის მიტანა, რაც ხდება სცენაზე იმ ადამიანთა შორის, მაყურებლისათვის გაუგებარი ენაზე რომ ლაპარაკობენ. ჩვენ უნდა მივეხმაროთ არაქართულ მაყურებელს ქართველ მაყურებელთან ერთად, სინქრონულად გაიაროს და განიცადოს სპექტაკლის შინაარსი.

დიქტორს შემოქმედებითი ამოცანაც აქვს — იმ განწყობილების გადმოცემა, რომლითაც ამ წუთში ცოცხლობს ესა თუ ის სცენური გმირი. არაქართული მაყურებელიც უნდა დღლაედეს და რეაგირებდეს მთელ დარბაზთან ერთად და არა მასზე გვიან ან, ღმერთმა დაგვიფაროს, მასზე ადრე. რევისორის ჩანათქერი მან ძირითად მაყურებელთან ერთად უნდა ამოიცნოს.

რა მიშლის? პირველ ყოვლისა, თვით სპექციფიკა სინქრონისა — ტექსტის ზუსტი თანხედომის საჭიროება. სპექტაკლი ხომ მსახიობთა დიალოგების მჭიდრო გადაკვეთაზეა აგე-



ბული, მათ შორის ზოგიერთი კი დიდი სისწრაფით ნარმოითქმის. ამიტომ ერთი მოქმედი პირის განწობილებებისა და ფერადებიდან მეორე, მესამე და ა.შ. მოქმედი პირის განწყობილებებისა და ფერადებზე, ზოგჯერ სრულიად საპირისპიროზე, გადართვა სულაც არაა ადვილი. ძალიან მიშლის მსახიობთა თვითნებური რეპლიკები, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი. როგორც ნესი, ეს ტენდენცია თავს იჩენს თანამედროვე პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში. ეტყობა, ამ მსახიობებს მაინც ათ, რომ ამ გზით ისინი მტრ ნონას აძლევენ პიესის ტექსტს, უფრო საინტერესოს ხდიან მას. რასაკვირველია, დიქტორს შეუძლია მტკიცედ მისდევოს დადგენილ ტექსტს, უფრადდება არ მიაქციოს იმპროვიზაციულ ჩანართებს, მაგრამ სწორედ ამ რეპლიკამ რომ გამოიწვიოს დარბაზის განსაკუთრებული რეაქცია? მოდი და ნუ თარგმნი!

შეიძლება დაამწივლა პროფესიის ფიზიკურ სირთულეებზე, იმაზე, რომ გვიხდება შესუვენებლივ „თამაში“ ყველა მსახიობის მიხედვით, თან დახშულ ჯიხურში რამდენიმე საათის განმავლობაში, ზოგჯერ ანტრატების გარეშე. ეს იმ დროს, როდესაც მსახიობები ერთმანეთს ცვლიან სცენაზე და გარკვეული შესვენება ყოველ მათგანს აქვს. მაგრამ განა შეიძლება დაიჩიელო, როდესაც შენი საქმე გიყვარს?

რაც ნამდვილად უშლის ხელს დიქტორ-მთარგმნელს მუშაობაში, ესაა სპექტაკლის დაბალი მხატვრული დონე და ზოგიერთი მსახიობისთვის ჩვეული გადაჯაჭრება.

რა მიწყობს ხელს? პირველ ყოვლისა, დადგმის მაღალი ხარისხის და მსახიობთა ტექნიკური პროფესიონალიზმი – ფაქტიზი დამოკიდებულია ავტორის, საკუთარი და რეჟისორის ჩანაფიქრისადაც. ასეთ მსახიობებთან მუდამ მშვიდად მუშაობ.

ჩემი შემოქმედებითი განწყობილებისათვის დიდად ხელისშეწყობია მუსიკა. ის თითქოს შემაფუცხუნებს ხოლმე და სპექტაკლის საერთო რიტმში მაგდებს. მრცხენია ვალიაო, მაგრამ იმ სპექტაკლებში, სადაც მუსიკა დომინირებს, მე უნებურად ტაქტს ვითვლი. თეატრალური სინქრონიზაციისათვის აუცილებელია მუსიკალური სმენა. ის ხომ არა მარტო ხელს უწყობს მსახიობსა და დიქტორს შორის სინქრონიზაციას, არამედ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, არ აძლევს მას საშუალებას გადააქარბოს თარგმანში.

თუ სრულიად ხარ ჩართული იმაში, რაც სცენაზე ხდება, მაშინ შენც მათთან თანაბრად ხან სიხარულს განიცდი, ხან სიმწარეს. ასე მეც კო-

მიკური სიტუაციის წინ უნებურად შეღებება, რადგან ნინასნარ განვიცდამ სრულდენება; თეატრალურში მოსალოდნელი ეტყობა, რა რეაქციას განიცდის ან პირაქით, დრამატულ სიტუაციაში მინაგანად ვიძინებ.

ხელს მიწყობს სპექტაკლის მიზანსცენების ცოდნა. და ბოლოს, მუშაობის მრავალი წლის გამოცდილება (1964 წლიდან), რომელიც მოპოვებულია საკუთარი თარგმანის მოხმებით, რომლებიც ტელეგადაცემისათვის ყოფილა ჩანერილი ხაგასტროლო მოგზაურობის დროს.

რა მანიჭებს საიმოვნებას? – უნისონი ნარმოდგენასთან სულიერი და ფიზიკური შეხმატკობილება. მშვენიერია, როდესაც თავს გრძობ იმ ანსამბლის მოხანილად, რომელსაც სპექტაკლი ეწოდება. საკვირველია, მაგრამ ყველაზე დიდ საიმოვნებას მანიჭებს რთული სპექტაკლი, რომელიც ლეწაად დანერილი კლასიკური დრამატურგიის მიხედვითაა დადგმული. ასეთი პიესები არ აძლევენ საშუალებას მსახიობებს დაარღვიონ დადგენილი ჩარჩო და ვერ გუობენ მათი ტექსტების ჩამატებას. რაც უფრო მაღალია დრამატურგია, მით უფრო მშვიდია და შედეგითაა მუშაობა მთარგმნელისა.

უდიდეს კმაყოფილებას განიცდი გასტროლებზე. მათი წყალობით ეძლევა მთარგმნელს შესაძლებლობა ფიზიკურად შეიგრძნოს, თუ რამდენადაა იგი დაკავშირებული ნარმოდგენის ნარმატებასთანაც და ნარუმატებლობასთანაც. აქ გვეხმობს რეაქცია ჩვენ თარგმანზე – ეს ხომ მისი წყალობითაც ხარობს მსახიობის და რეჟისორის შემოქმედებით მრავალიცხოვანი არაქართული მაცურებელი!

ყოფდა გამხელილი ხეობს, საიმოვნებას მანიჭებს გულნრფელი მადლობა არაქართული მაცურებლისა, ყვაილები, რომლებსაც ზოგჯერ ჩვენც მოგვართმევენ ხოლმე.

სინქრონი სცენური სიტყვის თავისებური პრობლემაა, რადგან ამ სიტყვის მოქმედი სპექტაკლის მუდმივ თანმხლები მოხანილეა. და რადგან მსახიობთა შემოქმედებაშია ჩართული, მისთვისაც აუცილებელია თავისებური აქტიური უნარი. თავისებური იმიტომ, რომ ის „თამაშობს“ არა სცენის სივრცეში, არამედ მისგან შორს, პატარა ჯიხურში მოკოფონთან უძრავად მჯდომი, თანაც არა ერთ, არამედ ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებულ ყველა მოქმედ პირს.

ეს უზილავი მოხანილე დიდ საქმეს აკეთებს სცენის ხილული ხელოვნების საკითხდღეოდ.



რწმენის ნიშანსებები

ძველი ქართული ძეგლები

„... ესე ჯუარი ქრისტესი მე, მამა-
სახლისმა გრიგოლ ზედა აღმართე სა-
ლოცველად ჩუენდა...“
(ნაწილის სტალა, VI ს.)

... აღმართე პატიოსანი ჯუარი ნმიდი-
სა ღმრთისმშობლისა სახელსა, სალოცვე-
ლად ჩემდა და ძმათა ჩემთა, მეოხებინათვის
ყოველსა ქირსა“ (მამფალი არშუმა პატრი-
კიოსი. აბასთუმანი, ჯვრის კვარცხლბეკის
ფრაგმენტი. VI-VII სს. მიჯნა).

... ნმიდაო სამებაო, შინყალე ამისი მამე-
ნებელი ლამაჲცა, ჯუარი ესე აემართა სალოც-
ველად ჩუენდა და სახსენებლად ნამობთა ჩუ-
ენთა“ (ტბისი, ჯვრის კვარცხლბეკი. VII ს.).

... ჯუარო პატიოსანო, მარიამ მხვეალი შე-
ნი შეწყალე... (კატაულას ქვაფეტი. VIII-X სს.).

... შეგვიწყალე... მეო გვეყავ... შეგვიდღე...
შეგვევედრე... - ლაღადებენ საქართველოს
მთა-ბარში მიმოფანტულ დახახებულ ქვებ-
ზე ამოკვეთილი წარწერები და სასწაულებ-
რივად გადარჩენილ ამ ხაესმოდებულ ლო-
დებზე აქა-იქ გამოკრთის ჩვენს შორეულ ნი-
ნაპართა ხელით ნაკვეთი სახეები. შორეული
წარსულიდან, ათასწლეულთა გადაღმიდან
ჩვენამდე მოღწეული ეს ქვადაქვეული ლაღ-
დისი უცნაური ძალით გიზიდავთ, რაღაც
იდუმალ კავშირს ამყარებს იმ უსასრულოდ
მიუნდვამო შორეთისა და დღევანდლობას
შორის. ნახევრადწარბოცილი, თითქმის გამ-
ქრალი ქვის სტრიქონებიდან დროდადრო
ამოტივტივდება სახელები: აბაზა... კონ-
სტანტი... ერემია... სტეფანოზ... ვეფან... მარი-
ამ... გურგენ... რას გვაუწყებენ ათასწლეულ-
ზე მეტი ხნის წინათ მცხოვრები ჩვენი წინაპ-
რები, რას ანდობენ ისინი ასეთი სასოებითა
და რწმენით მშობლიურ ქვათაგან გამოკვე-
თილი სვეტებისა და კვარცხლბეკების ნაზ-
ნაგებს?

„და ვინ აღმოიკითხოს, ლოცვასა მომიხ-
სენეთ“ „... რომელმან თაყუანი სცეს (ჯუარ-
სა) სული ჩუენი ლოცვასა მოიხსენენ. ამენ.
ადიდე იესუ ქრისტე.“

... ასე მოგემართავენ ჩვენ ცამეტითოთ-
ხმეტი საუკუნის წინათ მცხოვრები ქართვე-
ლები და ჩვენ, მეოცე საუკუნის დასასრულს
მცხოვრები ადამიანები, კრძალებითა და მო-
წინებით ვახსენებთ მათ სახელებს, ვინც თა-
ვისი ლოცვა-ვედრება სამარადგამოდ აღ-
ბეჭდა ქვაჯვართა ზედაპირზე. შეუძლებე-

ლია ქვაზე ნაკვეთი ამ წარწერების კითხვა
აუღელვებლად. რა ღრმა რწმენა, რა იმედია
ყოველ ამ მიმართვაში პატიოსანი ჯვრისად-
მი, ძელი ცხოვლისადმი.

საქართველომ, ქართულმა ისტორიულმა
სინამდვილემ შემოგვინახა ეს უდიდესი სული-
ერი განძი - ქვაჯვარები, რწმენის ნიშანსე-
ტები, რომელთა ნახნაგებზე ჩვენი ისტორიის,
ჩვენი რწმენის ანარეკლია შემონახული.

● უძველეს ქრისტიანულ ქვეყანას - სა-
ქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის
განმავლობაში რელიგიური ხელოვნების
ყველა დარგში შრავალი მაღალმხატვრული
ნაწარმოები შეუქმნია. შუა საუკუნეების სა-
ქართველოს ხუროთმოძღვრების, მონუმენტურ-
ტური მხატვრობის, ხატუნების, ქედურობის
ძეგლები უკვე მსოფლიოს ხელოვნების კუთ-
ვნილებაა. საყოველთაოადაა ცნობილი ქარ-
თული ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგ-
ლები - ადრეული შუა საუკუნეების ტაძრე-
ბი - ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვარი, მე-
თერთმეტე საუკუნის დიდი საკათედრო
ტაძრები: ალავერდი, სვეტიცხოველი, ბაგ-
რატის ტაძარი, დიდი სამონასტრო ანსამ-
ბლები - შიო მღვიმე, დავით გარეჯის მრ-
ვალშთა, საფარა, გელათი და იყალთო. ქარ-
თული ტაძრების კედლებმა მონუმენტური
ფერწერის ბრწყინვალე ნიმუშები შემოგვი-
ნახა. საკმარისია დაეასახელოთ ატენისა და
მანგლისის, ოშკისა და ხახულის, ბეთანიისა
და ყინწისის, ვარძიისა და ტიმოთესტუნის
ფრესკები, დავით აღმაშენებლის ეპოქაში
მოღვაწე დიდებული ოსტატის ამფის მხატ-
ვრის თევდორეს მოხატულობები ზემო სვა-
ნეთის აგრესიუმში. არ შეიძლება არ გავიზ-
სენოთ ეკრთივე ძველ ქართველ ოქრომქან-
დაკებულთა - ოქრო-ვერცხლის უნიკალური
ჯვარ-ხატებისა და ნაირგვარი საეკლესიო
ნივთების შემქმნელთა - ნახელავი, რომე-
ლიც თავისი მხატვრული სრულყოფითა და
სულღერებით გამორჩეულია მსოფლიოს
მართლმადიდებლური ქვეყნების საეკლეს-
იო საგანძურთა შორის.



ქვეყნის ქართველებიანი ისტორიის თანაზიარი ამ სახელგანთქმული მხატვრული საგანძურის გვერდით საქართველოში შემოგვრნა ქრისტიანული ხელოვნების ნაკლებად ცნობილი, საკმაოდ მოკრძალებული ძეგლები, რომელნიც ქართლის გაქრისტიანების უძველესი ეპოქების თანამედროვენი არიან და არა მხოლოდ ქართული, არამედ ზოგადად ადრექრისტიანული ხელოვნების დიდმნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენენ. ესენია ქვაჯვარები, სკულპტურული ჯვრებით დაგვირგვინებული, საფეხურებიანი კვადრატებზე აღმართული ქვის ოთხნახნაგა მონოლითური სვეტები, რომელთა ნახნაგებზე ნმიდა ისტორიის რელიეფური სახეებია გამოსახული.

სამწუხაროდ, დღეისათვის სრული სახით არცერთი ქვაჯვარა არ არის შემორჩენილი, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი დარჩენილი თავდაპირველ ადგილას. ბევრი ფრაგმენტი გადარჩა იმის ნწყალობით, რომ ისინი შემდგომ ეპოქებში სამუნ მასალად გამოუყენებიათ და უძველესი რელიეფური სახეებით შემკული ქვები ჩაუმუნებიათ მოგვიანებით ეკლესიების კედელთა წყობაში. ქვაჯვარები, რომლებიც თავის დროზე აღიმართებოდნენ, როგორც შესანიშნავი და სალოცავი ძეგლები, დროთა განმავლობაში კარგავენ თავის საკულტო მნიშვნელობას. საუკუნეთა ნიაღში იკარგებოდა თავიანთი სიკეთისა და კრძალების გრძობები და შემდეგი თაობები უკვე ბედავენ მათ ხელყოფას. ქვაჯვარანი თანდათან ნადგურდებოდნენ და ეკლესიების კედელთა წყობაში მათი გამოყენება აელენს მათდამი თავდაპირველი თავიანთისციმის ანარეკლს (ნათლისციმელის მონასტრის შესასვლელში ქვასვეტის ფრაგმენტებიმგვარად იყო ჩამუნებული, რომ მლოცველებს ეგებებოდათ ეესტატეს ნადირობის რელიეფური ხატი. დავათის ეკლესიის კედლის წყობაში ქვასვეტის ის მხარე იყო გამოჩენილი, რომელზეც ჩვილიანი ღმრთისმშობლის რელიეფური სახე იყო გამოსახული).

როდის, რა ვითარებაში, რისთვის შეიქმნა ქრისტიანული ხელოვნების ეს უნიკალური ძეგლები? მათი მხატვრულ- ისტორიული მნიშვნელობა მთელი სისრულით წარმოჩნდება, თუ კი ჩვენ მიუბრუნდებით შუა საუკუნეების სათავეებს, ქართლის სამეფოში ქრისტიანობის შემოსვლისა და დამკვიდრების ხანას, საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების საწყის ხანას.

— და მოინა ნმიდამან ნინო მითათა ჯავახეთისასა, სადა-იგი მიქმნისქმ ტრუასა დიდსა გარდამდინარესაქრისტიანულსაქმან ფარაენა. ბოლო მიხედნა რა მუნით, და იხილნა მთანი ჩრდილოეთისანი; რამეთუ დღელსა მათ ზაფხულისათა იყენეს სახენით თოვლითა და ჰვერითა სასტიკითა, და შეძრუნდა ნმიდა ნინო და თქუა: „უფალო, უფალო, მიილე სული ჩემი ჩემგან“.

ვინ უწყის, რა გრძნობები აცხებდა ქართველთა განმანათლებლად მოღვწილ ასულს, რომელსაც უფლის ნება მოუძღვებოდა გზის გამკვლავად უცხო მხარეში, როგორ წარმოედგინა მას დღემდე უხილავი უცნობი მხარე.

გავიაროთ ნმიდა ნინოს გზის ერთი მონაკვეთი:

თავისებურად მკაცრი და პირქუშია ჯავახეთის მინა და იმედროულად აღსაქვრალაც განსაკუთრებული პირველქმნილი ძალით. მიუყვებით ენრო ხეობას, გზა ზანტად მიიწევს ზევით. გავდივართ ხეობის არტახებიდან და გარშემო, სადამდეც კი მისწვდება თვალი, უყოფგანო სიერცემილება. მხოლოდ სადაღც უსასრულო შორებით ხელთუქმნელი გაღავენის მსგავსად კლდოვანი საღტვა შემორკალული. გარშემო გასაოცარი იდუმალუბა და სადგურებული. ადამიანი აქ სხვა განზომილებაში აღმოჩნდება. რა ხელშესახები და გასაგები ხდება აქ ქართული სიტყვის „ზეგანის“ მნიშვნელობა. მართლაც რომ ზეასული, ზეცასთან დაახლოებული ეს მინა უსასრულო „განია“, თვალუნდენელი სიერცე, რომელშიც დრო თავისებურადაა აქუმულირებული. მთის გიგანტური გუმბათის ქვეშ, რომელიც მირაფის მსგავსად წამომართულ კლდეებს ეგრდობნა, განსაკუთრებულად აღიქმება ადრეულ ქრისტიანულ ძეგლთა — ეკლესიათა და ქვაჯვარათა შთამბეჭდავი ძალა. ბიბლიური დედებულებით აღსაქვრამ გარემოში ყოველი ქვა, ყოველი ნანგრევი საგანგებო მნიშვნელოვანება იძენს და უცერად, გამლიდ მიხდომი უელად აღმართული ქვასვეტი წარსულის მეტყველ ნიშანსეგტად აღიმართება თვალწინ. მხოლოდ მიახლოებისას განირჩევა სვეტის ნახნაგებზე ვამთაგან ნაშლილი რელიეფური სახეები, გამოუცნობი ნაკეთებით რომ გიზიდავთ და მათი „ამოკითხვის“ ძლიერ სურვილს აღგმრავთ.

სწორედ აქ, უძველეს ქართულ მინაზე, სადაც ნმიდა ნინოს ნაკვალევი ცოცხლად შენარჩუნებული, ძალუმად იგრძნობა ამ ქვის მოზუმენტების ქვეშაირიტი მნიშვნელობა.

გადიარა ნმიდა ნინომ „მთანი ჯავახეთისანი“ უკან მოიტოვა ტბა „ფარავნა“, აძვეა მდინარის ხეობას.

● გადავიხილეთ საუკუნეთა სიღრმეში, გონების თვალით მივწვდეთ იმ შორეულ დღეთა აირდილებს. გადაფურცლოთ ძველი ქართული მატჩანის ფურცლები:

– მოდიოდა წმ. ნინო მწყემსთა მინიმუ-
ბული გზით „ქალაქად მცხეთად, სადა ღმერ-
თინი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. მოდი-
ოდა და თან მოპქონდა ნიგნი უფლისა, სა-
დაც „დაწერილ იყვნეს ათნი სიტყუანი“. უფ-
ლის მადლით „მოუდგა წმიდა იგი გზათა
ძნელთა და ფიცხელთა, ნახნა ქირნი დიდნი
გზათაგან და შიში დიდი შეცთავან...“ ბო-
ლოს „მოინია სანახებსა ქართლისასა, ქალაქ-
სა მას, რომელსა ეწოდებოდა ურბნისი“.

შემწონდა ნინო, როდესაც „იხილა ერ-
თი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახური“,
რომელიც თაყვანსა სცემდა „ცეცხლსა, ქვა-
თა და ძელთა“.

ბოლოს მოაღწია ასულმა „ქალაქად სამე-
უფოდ მცხეთად“, „აციხედ არმაზად“. აქ მას
კელაე შემადრწუნებელი სურათი დახვდა:
„ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილი ველისა-
ნი“ შეკრებილიყო არმაზის კერპისადმი
მსხვერპლის შესანიშნავად.

შეებრალა წმიდა ნინოს სიბნელესა და
ცდომილებასი მყოფი ხალხი და აღავლენა
მზურველ ლოცვა ზეცად, რათა გამოეყვანა
ერი იგი სიბნელიდან და ექვეყნება მისთვის
ქემარტივი ნათელი. ისმინა ღმერთმა ნინოს
ვედრება და „მეყსეულად მოინია რისხვისა იგი
ღრუბელი, მწარედ სასტიკი და მოიღო სეტყვა
ადგელსა მას ოდენ ზედა, საყოფელსა კერპთა-
სა და დაანულირა კერპნი იგი და დაჟსრნა...“

გამოხდა ხანი. „შექმნა (ნინომ) ჯვარი ნახ-
ბლევისა... და მარადის ილოცვიდა დაღე და
ღამე და უცხრომლად“ და დღითი-ღღე მ-
ტულობდა ვინც „აღიღო უღელი სხაელისა
წმიდისა ნინოსი“.

ნათელ-ილო სასწაულებრივად განკურ-
ნებულმა ნანა დედოფალმა, იმამა ჯვარი და
ჯვარტყული თხოთის მთაზე მზედაბნელე-
ბულმა და სასწაულკვეთილებასი ჩაეარ-
დნილმა მეფე მირიანმა, რომელსაც ბნელი
განუხატლა ნინოს ღმერთმა.

თხოთის მთაზე შეპლალადა მეფე მირი-
ანმა უფალს და აღუთქვა: „აღვიარო სახელი
შენი და აღმართო ძელი ჯვარისა და თაყუ-
ანის-უცე მას“.

და აღმართა მცხეთის თაფზე წმიდა ჯვა-
რი „სასწაულთა ზეცისათა ჩუენებით“. ნეტა-
რი ნინოს მითითებით ჯვრები აღმართა
თხოთის მთაზე და უჯარმამი. პატიოსანი
ჯვრის თაყვანსაცემად მოდიოდნენ „მეფენი
და მთავარნი და ყოველი სიმრავლე ერისა“.

გადიოდა დრო... ხის ჯვრების ნაცვლად
საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქვის
ჯვრები აღმართა. ქვაჯვართა ზეცად აღ-
ჰყარნა ქვეყნის, ხალხის მოქცევის, ახალი
სარწმუნოების დამკვიდრებას მოახსენებდა.

თანდათან ფართოვდებოდა ქვაჯვართა
გავრცელების არეალი: მჭკჭკუფუნუნჭკუ,
ქვემო ქართლი, თრიალეთი, ლიხთა, ლიხთა
ქართლი...

განსხვავებული იყო ქვაჯვართა ად-
გილმდებარეობა – ისინი ზოგან ეკლესიის
გვერდით აღმართებოდნენ (კუმურდოს ტა-
ძარი, ძველი მუსხის ეკლესია), ხან – განცალ-
კეებით, მთის წვერზე (მზეთაპლის ქვაჯვა-
რები, უსანეთის ქვასვეტი), ხან კი – გამოილ-
მინდორზე, რწმენის თავისებურ მქვერმეტ-
ყველ სიმბოლოდ (ზედა თმოგვი, დიდი გო-
მარეთი, ბრდაძორი).

ქვაჯვართა აღმართვა ქრისტიანობის
მომხდარეობას მიანიშნებდა. VI საუკუნის მე-
ორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს მიწაზე ნამოიშართა დახვეწილი ფორ-
მის სკულპტურული ჯვრებით დაგვირგვი-
ნებული ქვის მონოლითური სვეტები, რო-
გორც ხალხის რწმენის სიმტკიცის ნიშნები.

მაგრამ ქვაჯვარები მხოლოდ რელიგიო-
ური ნაწარმოები როდ იყო, ისინი ფეოდალურ
საქართველოს სხვადასხვა სოციალური
ფენის თავისებური ოფიციალური „საბუთე-
ბიც“ იყო. ქვაჯვარის აღმართვა სოციალურ
სტატუსის დამადასტურებელი ძველიც
იყო. საქართველოს ფეოდალები ამით ხაზს
უსვამდნენ თავის ადგილს ფეოდალურ იე-
რარქიაში და იმავდროულად, ქრისტიანობი-
სადმი თავის განსაკუთრებულ ერთგულებას
საც ამტკიცებდნენ.

უძველეს ქვაჯვართა აღმართვა (VI-VII
სს.) ქვეყანაში მიმდინარე ურთულესი სოცი-
ალური და პოლიტიკური მოვლენის თან-
მხლები მოვლენა იყო. რელიეფური სახე-
ებით შემკული ქვასვეტების მებტი ნაწილი ეწ.
„ერისმთავრობის“ ხანას განეკუთვნება, რო-
დესაც აღმოსავლეთ საქართველოში მეფის
ხელისუფლების გაუქმების შემდეგ (523 წ.)
გაძლიერდა ფეოდალური ურთიერთობები,
გამოიკვეთა ფეოდალური საზოგადოების
სხვადასხვა ფენა. სწორედ ამ დროს იწყება
რელიეფური სახეებით შემკული ქვასვეტე-
ბის აღმართვის პროცესი.

ქვაჯვარები აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს არაერთ კუთხეში შემოგვრჩა. მათ ოთ-
ნახანაგა სვეტების ზედაპირზე ქრისტიანულ
ისტორიის მოვლენები და წმიდა პერსო-
ნაჟების რელიეფური ხატებია გამოსახული.
მათი უმეტესობა ძალზე დაზიანებულია. შე-
მორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით შეუძ-
ლებელი იქნებოდა ქვაჯვართა საერთო სა-
ხის აღდგენა, მაგრამ საბედნიეროდ ისტო-
რიამ შემოგვიჩინა მათი პირველსახე...

უძველესი ქართული მიწა – თრიალეთი...
ეძანის უძველესი ეკლესია მეექვსე საუკუნე-
სა... მის აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის ზე-



მით გამოკვეთილია ქვაჯვარას რელიეფური სახე. უცნობმა ქართველმა ოსტატმა თავისი აგებული ეკლესია შეამკო საქართველოში იმ დროს გავრცელებულ და დიდად პატივსაცემ ქვაჯვარას რელიეფური ხატით. ამ უნიკალურ რელიეფზე ტრადიციული ქართველი ქვაჯვარას ყველა დეტალი უდიდესი ზღვლოვადგინებითაა გადმოცემული: — საფეხურიან პოსტამენტზე, რომელსაც მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი ამკობს, აღმართულია ორნამენტით შემკული მაღალი სვეტი. იგი თაღოვანი მოტივებისაგან შედგენილი სვეტისთავისმავგარი კომპოზიციითაა დასრულებული, რომელსაც ნატივი მოყვანილობის სკულპტურული ჯვარი აგვირგვინებს. ოსტატმა ზუსტად ასახა ქვაჯვარას კონსტრუქცია, მიანიშნა მისი ყველა შემადგენელი ნაწილი, ჯვრის პროპორციები, ორნამენტული დეტალები.

საქართველოს ზელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია დმანისის ნაქალაქარიდან ჩამოტანილი ქვაჯვარას ფრაგმენტი — ქვასვეტის დამაგვირგვინებელი სვეტისთავი იშვიათი რელიეფური სცენით, რომელიც ჯვრის თავყანისცემას ასახავს. სვეტისთავის ერთ-ერთ ნახნაგზე გამოსახულია ქვაჯვარას სქემატური სახე, მის გვერდით კი დიდებულის ფიგურა. საკმაოდ დაზიანებული გამოსახულების თავზე დაქარაგმებული ასომთავრული წარწერაა: **ქრისტე შემინაღლე. ადრე ქრისტეანული საქართველოსათვის ესოდენ დამახასიათებელი ჯვრის განსაკუთრებული თავყანისცემის ტრადიცია აქ წმიდა სახით არის წარმოდგენილი. თოთხმეტი საუკუნის წინანდელი ქართლის სულიერი ცხოვრების მასახველი რელიეფური კომპოზიცია გარდასულ დროთა უტყვე მომწვედ წარმოგვიდგება.**

ამავე სვეტისათვის სხვა ნახნაგებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოსახულებებია განთავსებული. მათზე ჩვენ ეხედავთ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინეს დედის ელენე დედოფლის მიერ გოლგოთაზე აღმართული, ძვირფასი თვლებით შემკული ჯვრის ორიგინალურ სახეს. სახეებით შესაძლებელია, რომ შეექმნე საუკუნის ქართლის მოქანდაკეს თავად ეხილა წმიდა მინაზე ქრისტეანათათვის ესოდენ ძვირფასი სიმბოლო კაცობრიობის ხსენისა და სამშობლოში დაბრუნების დმანისის ხანაგებში თავის სახელოსნოში სათუთად და მოწინებით გამოესახა იერუსალიმის ეს უდიდესი სიმშენი.

ამერიიდან მსოფლიოში სახელგანთქმული ბიზანტიური სპილოს ძეღის რელიეფებისა და მოზაიკების გვერდით, რომლებზეც გოლგოთის ჯვრის გამოსახულებაა უკვდავყოფილი, უთუოდ უნდა მოხსენიებოდეს

ძველი ქართველი ოსტატის მიერ განქალაქებული გოლგოთის ჯვრის რელიეფური კანტი. ქვასვეტთა ნახნაგებზე განთავსებული, ნაირგვარ ორნამენტულ ჩარჩოებში ჩასმული რელიეფური ხატები წმიდა ისტორიის თითქმის ყველა მოვლენას ასახავს. ქვასვეტების ნახნაგების ზედაპირზე, როგორც ეტრატის ფურცლებზე იშლება ბიბლიური ამბების თხრობა. ყველა ქვასვეტზე თემების შერჩევა, მათი განაწილება ღრმა თეოლოგიურ გაანზრებას ეფუძნება. რელიეფური გამოსახულებები მოქანდაკეთა არა მხოლოდ დიდ ნიჭიერებას, არამედ მათ კარგ განსწავლულობასაც ავლენს. ქვასვეტების გვერდებზე აზრობრივად და მხატვრულად გაანზრებული მთელი სამყარო იშლება. ძველი და ახალი აღთქმის თემების ურთიერთმიმართებაში, სიმბოლო და ორნამენტულ გამოსახულებათა განაწილებაში ღრმა აზრი და მაღალი მხატვრული გემოვნება გამჟღავნებულია.

ერთი შეხედვით მწელია ამ წმიდა სახეთა არსში წედომა. უნდა გვახსოვდეს, რომ ადრე ქრისტეანული ეპოქის ქანდაკება — მთელი სისტემაა, საკუთარი კანონზომიერებებით, საკუთარი მხატვრული ენით, რომელთა გათვალისწინებლად შეუძლებელია მსჯელობა მის ქვეშარტ ღირსებებზე. „ქრისტეანულ არქაიკად“ წოდებული ამ ეპოქის ქართული რელიეფები, რომლებიც ყოველთვის როდია ადვილად გასაგები, მათი სამამედროვეებისათვის ხელულადქმნილი სახეები იყო ლოცვებისა, რომელთაც ისინი ზეცად აღავლენდნენ და საღმრთო ისტორიის იმ მოვლენებისა, რომელთაც ისმენდნენ და ეზიარებოდნენ ღმრთისმსახურების დროს.

ძველი აღთქმის მოვლენებიდანაა აღებული თემა ნინასწარმეტყველ დანიელისა „მღვიმესა ლომთასა“ (ზედა თმოგვის ქვასვეტი, VI ს., უსანეთის ქვასვეტი, VIII-IX სს.), ამბავი „ისაკის მსხვერპლად შენიურისა“ (მამულას ქვასვეტი, VII სს., უსანეთის ქვასვეტი), ადრეული შუა საუკუნეებისათვის იშვიათი სცენა „ცოდეთი დაცემა“ (აღამი დე ევა) მამულას ქვასვეტზე. ქართული ოსტატები, სხვა ქვეყნების მხატვართა მსგავსად, ბიბლიური ისტორიის ამბებით ამდიდრებდნენ ქრისტეანულ სახეთობას, ანიჭებდნენ მას დრამატულობასა და ემოციურობას. ქართულ ძეგლებზე ეხედავთ თეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტის მაღალ ინტელექტუალურ დონეს, სახარების მოვლენების სიმბოლური ინტერპრეტაციის საინტერესო მაგალითებს. სხვა მხატვართა მსგავსად, ქართველი მოქანდაკეები მიმართავენ ძველ აღთქმას ქრისტეანული ზელოვნების „კონოგრაფიული ლექსიკონის“ გასამდიდრებლად.

ქვაჯვართა სვეტების ნახნაგებზე ქართველმა ოსტატებმა ამოკეთეს ქრისტეს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები. უპირატესობა ენიჭებოდა სადღესასწაულო ციკლის თემებს. მათ შორის გვხვდება: ბარემა, შობა (საცხენისის ქვასვეტი), მოგვთა და მწყემსთა თავყვანისცემა (შამულას ქვასვეტი), ნათლისღება (ბრდაძორი, ბერიჯვარი, უსანეთი), იერუსალემში შესვლა (უსანეთი), ჯვარცმა (საცხენისი, ბერიჯვარი), ქრისტეს სასწაულები (ბრდაძორი).

ქვასვეტებმა ადრექრისტიანული ხანის ქრისტესა და ღმრთისმშობლის უძველესი ხატებიც შემოგვინახა. ამჟღავნებს კომპოზიციური ჩართული ქრისტეს სახე, როგორც ნესი, აგვირგვინებს ქვასვეტებს (ხანდისი, ბრდაძორი, ნალვარევი). ხანდისის ქვასვეტის ქრისტეს რელიეფური ხატი ადრეული ქრისტიანობის ხელოვნების იშვიათი ნიმუშია, თავისი გამოუცნობი იდუმალებით, იშვიათი ზემოქმედების ძალით.

თავისებური რელიეფური გრაფიკით შესრულებული მაცხოვრის სახე სავსეა ტრანსცენდენტურობით. ჯერული შარავანდით გასხვიონებული სახე, მოქნილი რელიეფური ხაზებით შემოწერილი სხეულის ფორმები, ორნამენტული „ნახატი“ დამოუკიდებელი ზედაპირი განსაკუთრებულ გამოსახველობას ანიჭებს ამ უნიკალურ ხატს. ქრისტეს დიდი, ფართოდ გახეილი თვალების უცნაური მზერა იზიდავს მაყურებელს, მყისიერ კონტაქტს ამყარებს მასთან. მკაცრი ფორმალობა და სიმეტრია მაცხოვრის ამ რელიეფურ ხატს დიდ ზემოქმედებით ძალას ანიჭებს.

ჩველადი ღმრთისმშობლის ქვის ხატები არაერთ ქვასვეტზეა განთავსებული – ბოლნისის, ბრდაძორის, დავათის ქვასვეტებზე. საქართველოში ზომ ტრადიციულად დასტურდება ღმრთისმშობლის განსაკუთრებული თავყვანისცემა. ამას უნდა დაემატოთ ადრეული ეკლესიების ფასადებზე (ქვემო ბოლნისი, ეძანი) მოთავსებული ღმრთისმშობლის გამოსახულებები და საკურთხევის კანკელების რელიეფურ დეკორში ჩართული მისი რელიეფური ხატები (ნებეღა, გველბეზი).

უძველეს ქართულ ქვასვეტთა ნახნაგებშია ნშიდა სახეთა ბევრი ნაკეთი შემოგინახა. ანგლოზები, მოციქულები, წმინდანები გვიტყვიან დიდი, განსაკუთრებული გამოსახველობის მქონე თვალებით და გვაზიარებენ ჩვენს შორეულ წინაპართა ნიჭსა და სულიერებას. ბევრ წმიდა სახეს განმარტებითი ნარნერები ახლავს თან, რაც გვეხმარება ამ განზოგადებულ, უკიდურესად პირობითი სახეების ამოცნობაში.

ქრისტიანობის სიმბოლურ ქვეყნად, იმადროულად ფეოდალურ ეპოქაში ქვეყნოდალური საკუთრების ემბლემა საცხადგენდა. ქვასვეტის აღმართვა თავისებური სოციალური აქტი იყო, რომლითაც ფეოდალი თავის უფლების დემონსტრირებას ახდენდა. ამიტომაცაა, რომ ქვასვეტების ნახნაგებში ქართველ ფეოდალთა არაერთი პორტრეტი შემოგვინახა. ზოგიერთ პორტრეტთან ერთად მათი თანმხლები ნარნერებია შემორჩენილი, რომლებშიც ნარწინებულთა სახელებს ხანდახან მათი ტიტულებიც ახლავს თან:

„გრიგოლევიპატოსი“ (კატაულას ქვასვეტი), „ამაფალი არმუმა პატრიკიოსი“ (აბასთუმნის ჯერის კვარცხლბეკი), „ამაძახალი გრიგოლ“ (ნრომის სტელა), კატაულას ქვასვეტზე კი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი ფეოდალური საგვარტულოს თავისებური „კოლექტიური პორტრეტია“ მოღწეული ჩვენამდე. ქვასვეტის ერთ ნახნაგზე მამაკაცთა გამოსახულებებია, მჭორზე კი ამავე დიდებულთა ოჯახის მანდილოსანთა „პორტრეტებია“.

ქვაჯვართა საერო პორტრეტები უმდიდრეს მასალას გვთავაზობს ქართული ეროვნული ჩაცმულობის სანყისების შესწავლისათვის. ამ დროს ყალიბდებოდა ქართული კოსტიუმის ძირითადი მონახაზები, მისი ხასიათი, თარგი.

რელიეფურ პორტრეტებზე შეიძლება გავარჩოთ მამაკაცთა და ქალთა კოსტიუმის სინტერესო დეტალები – ქულაჯის თავისებური თარგი, მოსახანის ფორმა, ფეხსაცმლის მოხაზულობა, ბუნეთი განყოფილი ქაითი, ქალის თავდახურვის ნესი, ქალის გრძელსახელოებიანი კაბა, ჩოხის თავისებური წინაპარი.

ქვასვეტების საერო პერსონაჟთა ჩაცმულობა, მათ თანადროულ მცხეთის ჯერის კტიტორების კოსტიუმებთან ერთად, ადრეული შუა საუკუნეების ქართული კოსტიუმის ისტორიისათვის უმდიდრეს მასალას წარმოადგენს.

ქვასვეტების პირობითი, განზოგადებული „პორტრეტები“ ქმნიან მთელ გალერეას, სადაც სტანდარტული ფიგურების დივერსიციაცია მხოლოდ მათი ჩაცმულობით შეიძლება.

ისტორიული ქრონიკების ტუნდი ცნობები აღნიშნავს საქართველოში ბიზანტიური კოსტიუმის გამოყენების მდგრად ტრადიციას ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული. ბიზანტიის კერსებში მათი კეთილგანწყობის ნიშნად სხვადასხვა ქვეყნის მმართველებს სამეფო სამოსელს უგზავნიდნენ. ბიზანტიური სამეფო კოსტიუმისა და გვირგვინის ორ-



იგნალური ვარიანტია წარმოდგენილი მებუ-
თე საუკუნის დმანისის სტელაზე, დავათის
ქვასვეტზე (VI ს.) ორი დიდებული ძვირფასი
ქაოვილისაგან დამზადებული თავისებური
თარვის საზეიმო სამოსელშია გამოწვობილი.

● კიდევ ბევრი ამბის მოთხრობა შეუძლი-
ათ საქართველოს მიწა-წყალზე აქა-იქ შე-
მოჩენილ ქართულ ქვაჯვარებს, ჩვენი
ქრისტიანული წარსულის მჭევრმეტყველ
სიმბოლოებს. რამდენი რამ უნახავთ, რამდენ-
ნი რამ გადახდენით თავს და მაინც მოუღ-
ნეუთ ჩვენს დრომდე, რათა გვაუნყონ გარ-
დასულ დროთა ღირსშესანიშნავ მოვლენა-
თა და პირთა შესახებ.

გავიდა დრო. საქართველოს მიწაზე არა-
ერთმა ქართველმა გადაიარა. ძლიერდებო-
და ქრისტიანული რწმენა საქართველოში.
მართლმადიდებელი ქვეყანა ეკლესია-მონა-
სტრებით აღივსო. საქართველოს ყველა
კუთხეში ეკლესიათა თალებს ქვეშ ისმოდა
ტკბილი ქართული საგალობლები, ნშიდა სა-
ხეებით შემკულ ტაძართა კედლებში აღაღ-
ლენდნენ ქართველნი მხურვალე ლოცვა-
ვედრებას უფლისადმი. ქვაჯვარებმა დაკარ-
გეს თავისი თედაპირველი სალოცავ-შესა-
წირავი მნიშვნელობა. გადიოდა საუკუნეები
და იეარქმნილი, მტერთაგან დანგრეული
ქვაჯვარები ახლადაგებულ ეკლესიათა კედ-
ლებში პოვებდნენ ახალ სიცოცხლეს.

დგანან დღესაც საქართველოს მთებსა
და ველ-მინდერებში ვამოძიებთ *გველწველ*
ადაპიანთა ბოროტებით *დღე ღმერთზე*
შემოდარცულ-განადგურებული ქვაჯვარე-
ბი, გამოუცნობი აზრითა და ფიქრითაა აღ-
საესე მათზე გამოსახული პერსონაჟების
ჩვენსკენ მომართული დიდი თვალების იდუ-
მალი მზერა. ედგავართ მათ პირისპირ და
ეცდილობთ ჩაენდეთ ჩვენს შორეულ წინა-
პართა მიერ ამ ნშიდა გამოსახულებებში ჩა-
დებულ სულიერ სიღრმეს. ძნელია ამ თავი-
სებურად დამიფრული აზრების ამოკითხვა,
ჩვენი დროისათვის უცხო კანონზომიერე-
ბებზეა დაფუძნებული ძველ ქართველ ოს-
ტატთა ხატოვანი მეტყველება. ძალზე დი-
დი მანძილი გვაშორებს ამ თავისებური სა-
კულტო ძეგლების შექმნის ხანას. ყოველ-
თვის როდი გვიხსნიან ქვაჯვარათა ნშიდა
ნიშნები თავის საიდუმლოს. მაგრამ როდე-
საც ხერხდება იმ იეროგლიფებისმაგვარი
რელიეფური კომპოზიციების არსთან მიახ-
ლოება, ჩვენს წინაშე იმლება რწმენის აზ-
რის გასაოცარი საწყარო, რომელიც გვისა-
ხავს იმედს, რომ არ შეწყვეტილა მტკიცე
კავშირი ჩვენს ძირებთან, რომ მაღლი ამ
ნშიდა სახეებისა, რომლებსაც ასეთი მონი-
ვნებითა და სიყვარულით ქმნიდნენ ათას-
ხუთასი წლის წინათ ჩვენი წინაპრები, დღე-
საც ეფინება საქართველოს. დავიცვათ ჩვე-
ნამდე სასწაულებრივად მოღწეული ეს სუ-
ლიერი განძი.



ჩემი წინაპარი

ბაბუაჩემი — არტემ ერქომაიშვილი ბევრს მიაშობდა ძველი მომღერლების შესახებ, მიაშობდა იმ ანსამბლზე, რომელიც გურიის სოფელ მაკვანეთში შეიქმნა 1960-იან წლებში მამამისის — გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ანსამბლმა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთმა პირველმა ჩანერა სიმღერები „გრამოფონის“ ფირფიტებზე. ახლა როცა პირველი ქართული გრამფირფიტების გამოცემიდან თითქმის ერთი საუკუნე გავიდა, კარგად ჩანს ის გზა, რომელიც ქართულმა ხალხურმა სიმღერამ განვლო ამ საუკუნეში.

ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში, ძველი თაობის საუკეთესო მომღერლები მოღვაწეობდნენ, რომლებმაც ურთულესი პოლიტიკური კატაკლიზმების დროს ყველაფერი იღონეს ხალხური სიმღერის გადასარჩენად.

იმ პერიოდში აიკრძალა საგალობლები და საერთოდ ყველა სიმღერა, რომლებშიც ღმერთი იყო ნახსენები. კოლექტივიზაციის პერიოდიდან ჩვენს ფოლკლორს ბევრი ყალბი მუსიკა შეერია. შეიქმნა სიმღერები პარტიაზე, კოლექტივზე, ბელადებზე და სხვ. შეიცვალა სიმღერების სიტყვიერი ტექსტი, სიმღერამ ყოფიდან სცენაზე გადაინაცვლა.

მერე როცა ქართული ხალხური სიმღერა საქართველოს საზღვრებს გასცდა, მუსიკალური სამყარო ალაპარაკა მის უნიკალობაზე და მსოფლიო აღიარება მოიპოვა, როცა ცნობილმა გერმანელმა მუსიკისმცოდნემ — ზიგფრიდ ნადელმა ევროპული მრავალხმიანობის წარმოშობის საფუძვლად ქართული პოლიფონია მიიჩნია, როცა იგორ სტრავინსკიმ უმაღლესი შეფასება მისცა გურულ სიმღერებსა და ამერიკელებმა კოსმოსური ხომალდით გალაქტიკაში „ჩაკრულო“ გაუშვეს, როცა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეიქმნა გუნდები, რომლებიც ქართულად მღერიან, უცხოელ მუსიკოსებს ეტყვი კი გაუჩნდათ ასეთი მაღალი დონის პოლიფონიური სიმღერების წმინდა ხალხურობასა და ხელშეუხებლობაზე.

გაჩნდა საშიშროება, რომ ჩვენი მამაპაპური სიმღერები, რომლებიც სათავეს უძველესი დროიდან იღებს, მომავალ საუ-

კუნეებში შეიძლება შეკეთებულად ჩათვალოს, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი საუკუნის დასაწყისში პირველ „გრამოფონის“ ფირფიტებზე ჩანერილ სიმღერებს. ეს ფონოჩანანერები ნივთიერი საბუთია იმისა, თუ როგორი იყო ჩვენი სიმღერები დაახლოებით ორი საუკუნის წინათ, რომ იგი ნამდვილად ხელშეუხებელია და ქართველი ხალხის გენიის გამოვლინებას წარმოადგენს.

1970-იან წლებში მოსკოვის ფონოარქივში ჩვენ მივაკვლიეთ 1907 წელს ჩანერილ ოთხხმიან გურულ ნადურს. ოთხხმიანობა, ასეთი განვითარებული სახით მსოფლიოს მუსიკალურ ფოლკლორში უნიკალური მოვლენაა და იმ პერიოდის ფონოჩანანერებში სხვაგან არსად არ გვხვდება. ეს ფონოჩანანერები იმითაცაა საინტერესო, რომ მისი შემსრულებლები ნამდვილი გლეხები იყვნენ. ამიტომ იგი წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ როგორი სახით სრულდებოდა ნადური ყანაში მე-19 საუკუნეში, სანამ მას საკონცერტო ესტრადაზე გადაიტანდნენ.

ამ ნადურის გრამოფონის ფირფიტას ლონდონის არქივშიც მივაკვლიეთ. მას ჩვენთან ერთად უსმენდნენ მუსიკოსები, არქივის თანამშრომლები, რომლებმაც აღიარეს, რომ ასეთი ოთხხმიანი ხალხური სიმღერა მსოფლიოში არ მოიპოვება და ამის შესახებ მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს. ეს სიმღერა მარტო თქვენი კი არა, მსოფლიოს ხალხთა საკუთრებაა, ვინაიდან იგი ადამიანის მაღალი შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფიაო, — გვითხრეს მათ.

ეს ნადური ჩანერილია სოფელ მაკვანეთის ანსამბლის მიერ ჩემი წინაპრის გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

ლონდონის არქივის თბილისურ კატალოგში, რომელიც 1907 წელსაა გამოცემული, ვკითხულობთ:

2-1400 — გურული საჯაოხურა (ნადური) პირველი ნახევარი

2-14001 — გურული საჯაოხურა, მეორე ნახევარი.

(ერთ გვერდზე მთლიანად არ დაეტია) ამავე კატალოგში დაბეჭდილია სოფელ მაკვანეთის გუნდის მიერ ჩანერილი 49 სიმღერის დასახელება და მათი შემსრულებლების გვარები. ამ სიმღერებს შორის ზოგიერ-



თი ჩვენთვის უცნობია, ან უცნობი ვარიანტი. ამ კატალოგის მიხედვით მოვიძიე გრამფირფიტები, მაგრამ ზოგიერთს ვერ მივაკელიე. მაგალითად: „ცანი ყოველად ღირსებით, განეინმინდოთ საცნობლად“, „შობა შენი უზრუნველ არს“, „აღდგომისა დღე არს“ (საგალობლები). სიმღერები: „შვი მამუკი ჩიოდა“, „გურული ნანა“, „აბა, დარუჯან“ და სხვა.

განსაკუთრებით დასანანია სავალობლების დაკარგვა, ვინაიდან იმ პერიოდის ფონოჩანაწერებში ეს იშვიათი განძი ცოტა მოგეპოვება. იმედი გვაქვს, რომ დროთა განმავლობაში ეს დაკარგული სიმღერებიც შეიძლება გამოჩნდეს.

1970-იან წლებში მოსკოვის არქივებში მუშაობის დროს მივაკელიე ჩემთვის მეტად საინტერესო „გრამოფონის“ ფირფიტას, რომელიც 1934 წლითაა დათარიღებული. ამ ფირფიტაზე ჩანერჩილია სიმღერა „ადილა“, სადაც პირველ ხმას ასრულებს 94 წლის გიგო ერქომაიშვილი, „გამყვიანს“ — 12 წლის დათიკო ერქომაიშვილი (მამაჩემი) და ბანს — 48 წლის არტემ ერქომაიშვილი (ბაბუაჩემი). მე პირველად მოვისმინე ერქომაიშვილთა სამი თაობის მიერ შესრულებული სიმღერა, რამაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

1980-იან წლებში „რუსთავთან“ ერთად საგასტროლოდ მივემგზავრებოდი საფრანგეთში. კინოსტუდიასთან შემხვდა ძველი კინოფოტოგრაფისტი ბატონი შალვა ხომერკი. — შენთვის სიურპრიზი მაქვს, — მითხრა მან, — მოსკოვში ჩემს მასალებში ნაგანყი 1934 წელს ჩემს მიერ გადაღებულ ამიერკავკასიის პირველი ოლიმპიადის მასალებს, სადაც გიგო ერქომაიშვილის შვილთან და შვილიშვილთან ერთად ასრულებს სიმღერა „ადილა“.

მე ვთხოვე ბატონ შალვას ეთქვა, თუ სად ინახებოდა ეს უნიკალური კინოფირი. — რად გინდა, ერთ კვირაში მოსკოვში მივდივარ, იმ ფირს გადავაბეჭდინებ და ჩამოგიტან, — მიპასუხა რეჟისორმა.

საფრანგეთიდან ერთი თვის შემდეგ დავბრუნდი და მაშინვე ბატონ შალვას მივკითხე კინოსტუდიამი. მითხრეს, რომ იგი ორი კვირის წინ უეცრად გარდაცვლილა.

ამის შემდეგ რამდენჯერმე ნავედი მოსკოვში კრასნოგორსკის კინო-ფოტო არქივში და ის კინოფირი ეძებე, მაგრამ ვერაფრით ვერ მივაგენი. ძალიან კი მაინტერესებდა კინოკრანზე შენახა ჩემი წინაპრები, ვიმედოვნებ იქნებ ოდესმე მაინც გამოჩნდეს სადმე.

თბილისში ს. ჯანაშიას სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის მუზეუმში მუშაობისას ერთი შესანიშნავი პირველხმის ჩანაწერი მაქვს ბოლქვაძე. მე მასთან ხშირად დავედიოდი და იგი ყოველთვის მანედიდა ჩემთვის საჭირო მასალებს. ერთხელ, როცა სოსო ჩხაიძის ფილმ „შვიდკაცასათვის“ ძველ ფოტოსურათებს ეძებდით, ბატონმა სიმონმა გეითხრა, რომ მიაკვლია 1934 წლის ამიერკავკასიის პირველ ოლიმპიადაზე გადაღებულ ფოტონეგატივებს, რომლებზეც აღბეჭდილი არიან არტემ ერქომაიშვილის გუნდის წევრები: — მე კარგად მახსოვს, რომ ვიგო ერქომაიშვილმა შვილთან და შვილიშვილთან ერთად შეასრულა სიმღერა, რითაც მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია, ერთ-ერთ ფოტოზე სწორედ ეს სამეულოა გადაღებული, — მითხრა ბატონმა სიმონმა და შემპირდა, ამ ფოტოებს დამიბეჭდავდა და ვაგომოცემა, როცა გადაღებულა და ვაბრუნდით, ბატონი სიმონი ცოცხალი აღარ დაგვხვდა. რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკა მისმა მეუღლემ, — ქალბატონმა ნელიმ და ვაგომოცა დიდი კონვერტი, რომელშიც სწორედ ის ფოტოები იყო, რომლებსაც ბატონი სიმონი შემპირდა. ეს კონვერტი თურმე მისი გარდაცვალების შემდეგ უნახავს ქალბატონ ნელის ბატონი სიმონის სამუშაო მაგიდაზე. კონვერტს მისი ხელით ეწერა: „ბატონ ანზორ ერქომაიშვილს“.

ახლა ვუსმენ მოსკოვში მიკვლეულ ფონოჩანაწერს, სადაც ჩემი წინაპრები „ადილას“ მღერიან და მაგადაზე მიდევს ბატონი სიმონ ბოლქვაძის მიერ ნაჩუქარი ფოტოსურათები. ამ სურათზე მამაჩემი ჩემს შვილზე პატარაა, მას ჩაქურა აცვია და სვედიანი გამომეტყველება აქვს.

მე მამა მახსოვს, როცა იგი არტემ ბაბუას გუნდის სოლისტი იყო, იგი მთელ სოფელს უყვარდა. ერთ დღეს სამსახურში მიმავალმა მძინარე გამალეცია, მომეფერა და მითხრა: საღამოს რომ მოვალ, ერთი კარგი სიმღერა უნდა გასწავლო. საღამოს მამა აღარ დაბრუნდა, იგი ავტოკატასტროფაში დილუპა. მაშინ მამა 32 წლის იყო. მთელი სოფელი გლოვობდა მამაჩემს, გლოვის ნიშნად სოფელში 40 დღე რადიო არავის ჩაურთავს.

მაგადაზე მიდევს მისი ბოლო ფოტოსურათიც, სწორედ ასეთი მახსოვს იგი, ახალგაზრდა, ნარმოსადეგი. დრო ვადის, მამაჩემი კი არ ბერდება, მე ახლა მამაზე უფროს ვარ. მისგან ორი სიმღერის ფონოჩანაწერი შემპირჩა მხოლოდ, ერთი სწორედ ის „ადილა“, სადაც თავის მამასთან და ბაბუასთან ერთად „გამყვიანს“ მღერის და, მე-

ორეც, 1951 წელს ჩანერილი „ხასანბეგურა“, რომელშიც იგი ბანის პარტიას ასრულებს.

ბაბუაჩემი — არტემ ერქომაიშვილი დიდებული ლოტბარი და მგალობელ-მომღერალი იყო. იგი ნამდვილი „ხიდი“ აღმოჩნდა ძველ და ახალ თაობებს შორის, მან, საგალობლების სკოლის ბოლო წარმომადგენელმა, ბატონ ვრიგოლ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით, 200-მდე საგალობლის ცალ-ცალკე ხმები ჩანერა თბილისის კონსერვატორიაში, ეს არის ფასდაუდებელი საგანძური ქართული ფოლკლორისტიკისათვის.

არტემმა თავის ძმებთან, ლადიკოსა და ანანიასთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა ქართულ სასიმღერო ხელოვნებაში. ძმებმა ერქომაიშვილებმა იმ უმძიმეს პერიოდში უდიდესი როლი შეასრულეს ძველი გურული სიმღერების მოძიება-გადარჩენა-აღორძინებაში და ახალგაზრდა თაობების აღზრდის საქმეში, სწორედ ამისთვის სამივე ძმას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო ნიშნები მიენიჭათ.

მათი მამა — გიგო ერქომაიშვილი მე-19 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მგალობელ-მომღერალი და ლოტბარი იყო. ბატონი სიმონ ბოლქვაძის მიერ ნაწიქარ ფოტოებიდან მისი გრძელი ნეურებით დამსვენებული კეთილი სახე შემოგყურებთ. სწორედ ასეთი მახსოვს იგი. მან საუკუნეს გადააბიჯა და 107 წლისა გარდაიცვალა.

ახლა, როცა ჩემი წინაპრების ფოტოებს ვუყურებ და მათ სიმღერებს ვუსმენ, მათთან ვატარებულნი წლები მავიწყდება. როგორ მომხატრებინა, როგორ მინდა ახლა მათთან სიმღერა და საუბარი. რამდენი რამ შეიცვალა მათ შემდეგ, მაგრამ მთავარი, რაც მათ ყველაზე მეტად გაახარებდათ, არის ის, რომ ქართული ხალხური სიმღერა გადარჩა, და მან მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე-მომღერლებმა, რომელთა შორის ჩემს წინაპრებსაც ღირსეული ადგილი უჭირავთ.

ჩვენს გვარს 300 წლის მუსიკალური ტრადიცია აქვს. მე მისი მეშვიდე თაობა ვარ. ბაბუაჩემის გადმოცემით, ჩვენი მუსიკალური მემკვიდრეობა გიგო ერქომაიშვილთან იწყება. მე იგი კარგად მახსოვს, ამიტომ შევეცადები აღვადგინო ყველაფერი და ვიამბოთ მის შესახებ, რაც ვიცო და რაც სხვებისაგან გამოვიგონა.

როცა გიგო ერქომაიშვილი პირველად ვნახე, ალბათ, ზუთი წლის თუ ექვსეობიდი. მაშინ ჩვენ ბათუმში ვცხოვრობდით და სოფელ მაკვანეთში ჩამოვიყვანეს. ქიშკარ-

თან შემოგვეტება მოხუცი კაცი, რომელსაც გრძელი თეთრი წვერი ჰქონდა. ჩვენი კვლი ხელით თითქმის თავის სიგრძეს ჯობს ეყრდნობოდა, ხოლო მეორეში ქარვის კრიალოსანი ეჭირა. დამამახსოვრდა მისი ლიმილიანი კეთილი სახე. მიუხედავად იმისა, რომ საქმოდ ცხელოდა, თბილად ეცევა.

— რა არის, გიგო ბაბუა, ქვეყანა იწვის და შენ კიდევ პალტო ჩაგიცვამს, — უთხრა მამაჩემმა და გადაკოცნა.

— ეჰ, ჩემო ბაბუა, თქვენ ახალგაზრდები ხართ და სისხლი გიდულთ, მე კიდევ სისხლი გამოძრა და ამიტომ მცვივა, ხუმრობა ხომ არაა, 105 წელი შევასრულე, — თქვა მან. მაშინ არ ვიცოდი, რამდენი იყო 105 წელი, მაგრამ მის დამტკნარ და ჭორფლიან ხელებს რომ დავხედე, მივხვდი, რომ იგი არტემ ბაბუაზე უფროსი იქნებოდა. ჩემთან მოვიდა, დაიხარა და შუბლზე მაკოცა. მისმა თეთრმა წვერმა მთელი სახე დამიფარა. ამიტომ მას „თეთრი ბაბუ“ დავარქვი.

— მამა, — უთხრა არტემ ბაბუამ, როცა ოდაში შევედით, — „გრამოფონის“ ფირფიტები ჩამოგიტანე ბათუმიდან, სამუელი მღერის, ჩაველიშვილი, და მისი ჯგუფი. შენი ანსამბლის ჩანერილი სიმღერებიც კიდევ, — ჩემმა მომღერლებმა მომიტანეს ბათუმში.

„თეთრ ბაბუს“ გაელიმა და წვერზე ჩამოსვა ხელი, მერე ჯობს დაეყრდნო, ადგა და თავის ოთახში შევიდა. იქ მაგიდაზე იდგა ყაყისფერი ყუთი, რომელზეც უზარმაზარი „ძაბრი“ იყო მიმაგრებული. ბაბუა არტემმა ეს „ძაბრი“ ჩვენსკენ შემოატრიალა, ქაღალდის კონვერტიდან ამოიღო შავი ფირფიტა, რომელსაც ფრთიანი ანგელოზები ეხატა და ყაყისფერ ყუთზე დადო, მერე რკინის პატარა სახელური რამდენჯერმე გადაატრიალა და ფირფიტაც დაბზრიალდა. ჯერ შრიალი გაისმა, მერე ვილაცის ხმა: „გიგო ერქომაიშვილი, ერთი მილქისედეკ მახარაძის ხელხვაივი ბრძანე, მელქისედეკ მახარაძის“ — და გაისმა სიმღერა. ასეთი რამ ჯერ არ მენახა, უცებ წარმოვიდგინე, რომ ყაყისფერ ყუთში ჭინკებივით პატარა ადამიანები ისხდნენ და ჭყაოდნენ, შემეშინდა და მამაჩემს მივეკარი.

— ნუ გემშინა, ეს „გრამოფონია“, ამაზე უკრავენ ფირფიტას, რომლებზედაც გიგო ბაბუს და მისი ამხანაგების ხმებია ჩანერილი, — მითხრა მამამ.

სიმღერა გათავდა და სანამ ბაბუა არტემი მეორე ფირფიტას დაადებდა „გრამოფონზე“ მე „თეთრ ბაბუს“ გავხედე, მას თეთრ წვერზე ცრემლები ჩამოსდოდა. ჩვენ რამდენიმე სიმღერა კიდევ მოვისმინ-



ნეთ და ოთახიდან გამოვედით. მე პირველად ვნახე „გრამოფონი“ და იმდენად ვიყავი დარწმუნებული, რომ შიგ პატარა კაცები ისხდნენ, მესწონოდა და სადაც „გრამოფონი“ იდგა, იმ ოთახში მართლ აღარ შევდიოდი.

ამასობაში სუფრა გაშალეს და სადილად მიგვიწვიეს. „თეთრ ბაბუს“ დაუდგეს პატარა ტურმოხტეხილი დოქი, რომელსაც თავზე ღვინით განითლებული ფურჩი ეხურა. ნელში ვამოყვანალი პატარა ქიქია აიღო, ნითელი ღვინო დაისხა, პირველი გადაიწერა, მაღლა აიხედა და „მშვიდობას გაუმარჯოსო“,- თქვა. მერე ღვინო მოსვა, წვერზე ხელი ჩამოსვა, ჩაახველა და „ჩვენ მშვიდობა“ წამოიწყო.

ბათუმი ჩვენს ოჯახში ბევრი სტუმარი მოდიოდა და ეს სიმღერა არა ერთხელ მომისმენია, მაგრამ მიუხედავად, რომ „თეთრი ბაბუ“ რალაც სხვანაირად მღეროდა. როგორ სხვანაირად ამის ვარჩევა მე არ შემეძლო, მაგრამ „დამწყებს“ რომ ყველასგან განსხვავებულად მღეროდა, ამას მიუხედავად.

სიმღერა რომ დაამთავრეს, მამაჩემმა „თეთრ ბაბუს“ აკოცა და უთხრა: ღმერთმა კიდეც ასი ნელი ნუ მოგვიძილოს შენი ტკბილი ხმაო, მერე თავი მოინონა და ჩემზე მიანიშნა: — ახლა, აი, ბაღანა ვამღეროთო. — მოი, ბაბუა, ჩემთან, შენ დეინყე და მე მოგვხმარები, — მითხრა მშვიდად „თეთრმა ბაბუმ“ და მუხლზე დამისვა. მე პატივი არ დამიწყია, „მას-სინძელსა მშია-აა-რულ-სა“, შემოვძახე. „თეთრმა ბაბუმ“ ცოტა მაკალა და მოგვიანებით მომაშველა „მოძახილი“, მამაჩემმა ბანი გვითხრა. „თეთრი ბაბუ“ ყურადღებით ისმენდა ჩემს სიმღერას, თან ისე მორგებულად მუხბნებოდა მოძახილს, ვინრო ხიფზე მიშავალ კაცს ხელს რომ შეაშველებენ, ამიტომ სხვა ხმებისგან აცდენის არავითარი საშიშროება არ მიგვეძინა და სიმღერა ომახიანად დავამთავრე.

— „გვიზარდე ბაბუა ჩემი ხნის“, — მითხრა „თეთრმა ბაბუმ“, მერე შუბლზე მაკოცა, სუფრიდან ჯანჯუხა აიღო და მომცა. ეს იყო ჩემი პირველი ჯიღლო სიმღერისათვის.

სოფელში რამდენიმე კვირა დავრჩით. „თეთრ ბაბუს“ გვერდიდან არ ვშორდებოდი, ის მიყვებოდა საინტერესო ამბებს, რაც თავს გადახდებოდა და ვაეგო. მიყვებოდა ზღაპრებს, თან ხილსა და ჩურჩხელას არ მაკლებდა (კამფეტი მაშინ არ იმოუბოდა). მე მას ძალიან შევყვივო. ერთ დღეს სიმღერა მასწავლიან: „დეიდა ხნიდან ვაციცანი, ღვთისგან ნუ მოგცეცს ვაი“, — ვკიოდი რაც შეიძლებოდა ხმამაღლა. — ამ სიმღერას ღიღინი უხდება,

ბაბუ, რაც უფრო ხმამაღლა იმღერებ, სხვის ხმებს ვერ გაიგონებ და სიმღერას ვერ გაგებ, — მშვიდად მითხრა „თეთრმა ბაბუმ“ და თავზე თონვე მაჩვენა როგორ უნდა მემღერა. მას სუსტი, მაგრამ ძალიან ტკბილი ხმა ჰქონდა. ამის შემდეგ ავერ ნახევარი საუკუნე ვავიდა და მისი ღიღინი ახლაც ყურებში მაქვს ჩაბეჭდილი.

მერე ჩვენთან ჩემი თანატოლი ბიძაშვილი — ირაკლი ჩამოვიდა, ახლა სამნი ვიყავით. „თეთრი ბაბუ“ ანბანს გვასწავლიდა. რომ დავიღლებოდით, ხის ძირში ჩამოვჯდებოდა და ბაბუ სამფეხა სკამზე და გვამღერებდა, მერე ზღაპრებს გვიამბობდა, თან ქარვის კრიალოსანს მარცვლავდა. ხანდახან გამოცანებსაც გვეკითხებოდა. ერთხელ გვეკითხა: — აბა, თუ იცით, ვინ დადის დილით ოთხ ფეხზე, შუადღეს ორ ფეხზე, ხოლო საღამოს სამ ფეხზე? — ჩვენ ვერ გამოვიცანით. „თეთრმა ბაბუმ“ გაიღიმა, წვერზე ხელი ჩამოსვა და გვითხრა: — ბავშვი რომ დაიბადება, ოთხზე დადის, როცა გაიზრდება ორ ფეხზე, ხოლო როცა მოხუცდება ჩემსავით, მესამე ფეხად ჯოხს ხმარობსო.

პირველ კლასში რომ შემოვიყვანეს, ანბანი თითქმის კაცოდი. მასწავლებელს — მარგალიტა სალუქვაძეს უკვირდა, ასე ადვილად როგორ ითვისებო, მე ვუთხარი — ასოები „თეთრმა ბაბუმ“ მასწავლა-მეთქი. როცა სკოლაში ყველა ანბანი შევისწავლეთ, „თეთრმა ბაბუმ“ მითხრა: — აბა, ახლა მე ვიკარნახებ და შენ ერთი ლექსი ჩაიწერო. რვეულზე ავიღე და სანერ-კალაში მოვიმარჯვე. იგი მკარნახობდა, მე ჩემი პატიფეხურით ნელ-ნელა გამომიყვავდა ასოები ცალხაზიან რვეულში. ასოები გლახად დათესილ ყანასავით მიმოფანტულიყო რვეულის ფურცელზე. ერთი ტუპი ლექსი ერთ გვერდზე ძლივს დავტყე, ნერას აღბათ ერთი საათი მოვუნდი. როცა დავამთავრე, „თეთრმა ბაბუმ“ მითხრა: — ეს ლექსი შეინახე, ბაბუ, როცა დიდი გაიზრდები, სიმღერაში გამოიყენე და მერე მიხედები მის მნიშვნელობასო. მე საჩვენებელი თითით ვეძებდი თითოეულ ასოს და დამარცვლით ნელ-ნელა ვკითხულობდი.

ერთ საღამოს სიცხე მომცა. ძმრით დამხილეს, თავზე კეჭერა ფხალის ფოთოლი დამაფინეს, მაგრამ ხიხებე არ დამინია და როცა მთელ ტანზე ნითლად გამომაყარა, დიანოხი დამისვეს — „ნითელა“ (ნითელბატონები).

ჩემი საძინებელი ოთახი ნითელი ნაჭრებითა და ფერადი ყვავილებით მორთეს, დამინთეს ბაზმა (მაქარმოყრილი ნივთი და საკმეველი), რომელიც წვის დროს სასიამო



მოწონო სუნს გამოსცემდა. თავზე შემომავლეს „შესანირაი“ — ჭრელი ყვინჩილა, რომელიც მამაჩემმა ნაიყვანა და ეკლესიის ეზოში გააუშვა. მერე ბებიაჩემი მარიამი მოვიდა ჩემთან, ვარდისწყალი მაპკურა და ჩემი სიგარდის თაფლის სანთელი დამინთო, შემდეგ ჩემს სასთუმალთან დაჩოქილი ლოცვებს ბუტბუტებდა. სიცხემ იმდენად შემანუხა, რომ ბოფდა დავიწყე. მახსოვს, ჩემთან მოვიდნენ „თეთრი ბაბუ“, არტემ ბაბუ და მამაჩემი. არტემ ბაბუს ხელში ჩონგური ეჭირა, ჩონგურის თავზე წითელი ბანტი იყო გამოწასკული. ისინი სასთუმალთან დაბალ სკამზე ჩამოსხდნენ. არტემ ბაბუმ ჩონგურის სიმებს ჩამოპკურა ხელი და „ბატონებო მოუობთ“ წამოიწყო.

ინვოდა თაფლის სანთელი, იდგა ბაზმის საოცარი სურნელი, მომღერლები ღვთაებრივად მღეროდნენ. არ ვიცი სიმღერის მელოდია იმოქმედა თუ სხვა რამემ, სიმღერის დროს თანდათან დავმშვიდდი, მერე თვალები მიმღვლეა და ჩამეძინა. ძილში საოცარი სიზმარი ვნახე: ყვავილებით გადაპენტტილ მინდორში ვიდექი, გრძელი თეთრი აქვარანგი მეცვა და ხელში ანთებული თაფლის სანთელი მეჭირა. ჩემს ირგვლივ თეთრი ბატონები ძოვდნენ ბალახს. ციდან თეთრწერა მოხუცი ჩამოეშვა, მას თავზე სანთლებით ანთებული გვირგვინი ედგა და ხელშიც თაფლის სანთელი ეჭირა. ამ მოხუციმ მე „თეთრი ბაბუ“ შევიცანინა. მას აუჩქარებლად გაარკვა ბატონები, მერე ხამჯერ პირჯვარი გადამწერა და გაუჩინარდა.

არ ვიცი რამდენი ხანი მეძინა, მაგრამ, რომ გამომღვლიდა, სიცხე აღარ მექონდა, მალე სინთლებმაც გამიარა.

მოგვიანებით, როცა კონსერვატორიის სტუდენტი ვიყავი, ბაბუა არტემი მიაბობდა იმ ტრადიციებსა და ზეარქვეულებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო სიმღერებთან და მას საუკუნეების განმავლობაშიც იცავდნენ. მაშინ გავიგე პირველად, რომ სიმღერა გურიამი ითვლებოდა ერთერთ განმკურნებელ საშუალებად, და რომ მას განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ისეთი ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, როგორცაა, „ყვავილი“, „ყვიანახველა“, „წითელა“ და სხვა. მე მაშინ გამახსენდა ის რიტუალი, რომელიც ჩემმა წინაპარმა, გიგო ერქომაიშვილმა ჩაატარა ჩემს განსაკურნავად და ის საოცარი გრძნობა, რომელიც მაშინ დამეფულა.

მოგვიანებით ჩემმა პედაგოგმა ბატონმა შალვა ასლანიშვილმა მითხრა: — აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ბაბილონის კედელზე არსებულ ავა-

როზის გამოსახულებასა და ზემოხსენებულ რიტუალს შორის არსებული კავშირი, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ბატონები“ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ.

ბაბუა არტემი, ძველი ტრადიციების გარდა, ბევრს მიაბობდა ჩვენს გვარზე, მიაბობდა თუ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები და საიდან მოვიდა გიგო ერქომაიშვილი.

გიგოს მამისაგან ვაეცანა, რომ მისი წინაპრები იყვნენ გიორგი და თომა ერქომაიშვილები, რომ ისინი სოფელ ასკანაში ცხოვრობდნენ და სახელგანთქმული მომღერლები იყვნენ. გიორგი ადრე გარდაცვლილა, დარჩენია შვილი — თომა მეუღლითა და პატარა ივანეთურთ. ივანე, თურმე, განსაკუთრებული ნიჭი დაჰყვა სიმღერაში. ჰქონდა იშვიათი ხმა „გამყვიანი“ და სიმღერით ანცვიფრებდა მსმენელს. ერთხელ ასკანაში ქორწილი იყო, ტელემაკ ასათიანი ჭლს ათხოვებდა ქვემო აკეთში სოფრომ მგელაძეზე. მაშინ წესად იყო, მაყრად ავ ზავნიდნენ საუკეთესო მომღერლებს, რათა დაამღერებთ გაჯიბრებოდნენ, ამიტომ ლხინი უსიმღეროდ არ შეიძლებოდა და, თუ სოფელში კარგი მომღერლები არ იყვნენ, მასპინძელი მას სხვა სოფლიდან მოიპატივებდა.

აკეთლებს ტრადიციულად კარგი მომღერლები ჰყავდათ, ასკანელებიც ღირსეულად დაზვდნენ, მაგრამ აჯობეს აკეთლებმა. გაბრაზდა მასპინძელი — ტელემაკ ასათიანი და ბრძანა: — „სასწრაფოდ მომიძებნეთ პატარა ივანე ერქომაიშვილი და აქ მომგვარეთ“. შუალაშე გადასული იქნებოდა, როცა ივანე მოიყვანეს ქორწილში. მისმა „გამყვიანმა“ შეისძრა იქაურობა, განცვიფრდა სიძე. თავისთან მოიხშო ივანე და საკადრისად დაასაჩუქრა. ასკანელებმა აჯობეს აკეთლებს. შეზარბოშებულმა სიძემ შეუკადრა სიმამრს: — ამისთანა მომღერალი ჯერ არ მომისმენია. — თუ ასე მოგწონა, შენი ფეშქაში იყოსო, უთხრა ასათიანმა და არუქა სიძეს თავისი პატარა ყმა. ასე მოაშორეს ივანე მშობლებს და ნაიყვანეს აკეთში, სოფრომ მგელაძის კარზე, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს. სოფრომ მგელაძის ოჯახში ივანეს ისე ზრდიდნენ, როგორც საკუთარ შვილს, ასწავლეს წერა-კითხვა, ხელსაქმე, მიაბარეს გამოცდილ მომღერლებს. მათთან დაოსტატდა ივანე და უმისოდ თურმე, აკეთსა და მახლობელ სოფლებში არცერთი დღესასწაული არ ჩატარდებოდა.

დავაჟაკდა ივანე, ცოლად შეირთო შინაშვილის ქალი. შეეძინათ სამი ვაჟი: ბეგლარი,



მიხეილი და გიგო. ივანე შეილებს მომღერლებად ზრდიდა, მაგრამ არ დაცალდა. ჯერ ბეგლარი და მიხეილი დაიღუპნენ სახადით, მალე მათ მოშობლებიც მიჰყვნენ და დარჩა გიგო უპატრონოდ. ნათლიამ, სოფრომ შეგლადემ, იკისრა მისი მურვეობა, თავის ოჯახში გადაიყვანა და უპატრონა. გიგოს მამისაგან ჰქონდა სიმღერები შესწავლილი, მაგრამ, როცა ნამოიზარდა აკეთელ მომღერლებთან უფრო დაოსტატდა და მთელ სოფელში გამოჩნეული მომღერალი გახდა. უხაროდ სოფრომ შეგლადეს, რომ გიგოს მამის ნიჭი დაჰყვა სიმღერაში, რადგან მან შეტყობა მტკივნეულად განიცადა თავისი ერთგული ყმის — ივანე ერქომაიშვილის ოჯახის ტრაგედია. სოფრომის მეუღლე, დედობრივ ზრუნვას არ აკლებდა გიგოს, მაგრამ მას, აქაც არ გაუღიმა ბედმა. დედობილი მალე გარდაიცვალა და გიგო ისევ უპატრონოდ დარჩა. სოფრომს ჰყავდა და, სახლად ჯაჯოცი, რომელიც სოფელ მაკვანეთში იყო გათხოვილი ახნაურ ნაოსაიორაშვილზე. სოფრომმა სთხოვა თავის დას აღეზარდა გიგო.

ჯაჯოკმა და ნაოსმა შეიღივით მიიღეს გიგო. იგი ამ ოჯახის სრულუფლებიანი ნევრ გახდა და ჯაჯოკის შეილებთან ერთად იზრდებოდა.

ჯაჯოკი ფრიად განსწავლული და მთელ სოფელში ჭკუასაკითხავი ქალი გახლდათ. იყო კარგი მწიგნობარი და მოლექვე. მას იმ დროისათვის შესაფერი ბიბლიოთეკაც ჰქონდა. კარგად იცოდა პოეზია და მეტად სასიამოვნო მოსასმენი იყო თურქი, როცა ჩინგურზე დააღლინებდა ძველ ქართულ ლექსებს. ჯაჯოკი გიგოსაც ასწავლიდა ნერა-კითხვას თავის შეილებთან ერთად და მათ „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავდა.

ჯაჯოკს გიგო ხშირად დაჰყავდა აკეთში, სადაც იგი თევობით რჩებოდა და მღეროდა აკეთელ მომღერლებთან. მათგან განსაკუთრებით კარგად შეისწავლა ანადურები.

გიგოს ბავშვობიდანვე ფათერაკები დაუბედა: ერთხელ აკეთში პატარა გიგოს თხები გაატანეს მოსამწყემსად. საღამოს ქარბუქი ამოვარდა, ვანეიშმა კიდევ. გიგომ გზა ველარ ვაიგნო და თხები დაკარგა, მერე მგლების ყმულიც შემოესმა, ელვა-ჭექასა და ქარბუქში ერთი გამოქვაბული ნახა და იმას შეაფარა თავი. მთელი ღამე ეძებდნენ მას სოფრომი და მისი მეგობრები. დილით იპოვეს თხების გამოხრული ძვლები. სოფრომმა თავში შემოირტყა ხელი, — ეს რა მომივიდა, აღნაბ, ბიჭიც მგლებმა დაგლიჯესო, — კაცის ხმა რომ შავიონა, გიგო გამოქვაბულიდან გა-

მოვიდა და დაიძახა: — ნუ ტყუილით, აგერ ვარო.

ერთხელ, როცა ნაოსმა მტკიცებით სწავლა არ იყვნენ, გიგოსთან მოვიდა კონია ცეცხლადე და სთხოვა, — დათვმა სიმინდი გამოჩანავა ზემო გოგიეთში და ღამის გასთევად ყანაში წამომყევო.

კონიას ფლიდი კაცის სახელი ჰქონდა სოფელში, მას არ ენდობოდნენ, ვინაიდან უშირო კაცი იყო და ბევრი ცოდვეაც ჰქონდა ჩადენილი — მას ღალატსა და ახალგაზრდების ტყვედ გაყოფასაც აბრალებდნენ. გიგომ ხათრი ვერ გაუტანა და გამყავა კონიას ყანაში. როცა ნაოსა დაბრუნდა და გიგო მოიკითხა, უთბრეს კონიამ წაიყვანაო. გაცეცხლდა ნაოსა: — გამოყიდის ბალანას მაგი შეწვენებულიო, — იყვირა, შეკრიბა რამდენიმე შეიარაღებული კაცი და წავიდა ტყეში, სადაც კონიას ყანა ეგულებოდა. გოგიეთის ტყეცთან ახლოსაა აჭარის მთები და იქედან თურქეთში გადასვლაც იოლია. ნაოსა ჩქარობდა. ტყისპირას კოცონი შენიშნეს. ცხენები დაბლა დატოვეს და ფეხით აუყვნენ ბილიკს. კონია და გიგო ცეცხლს მისხდომოდნენ და მყინტი სიმინდს წვადნენ. მუორე მხარეს საბი თურქი იჯდა. ნაოსამ კონფლიქტს თავი აარიდა და გიგო დატოქა: — როგორ წამოხვედი სახლიდან, როცა საქონელი ტყვიდან ჯერ არ დაბრუნებულა, ახლავე წამომყევი და მომანახინეო. კონიამ როცა რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაინახა, ველარაფრის თქმა ველარ გაბედა. ასე გადარჩა გიგო თურქეთში ტყვედ გაყოფას. რაც შეეუბნა კონიას, მან შემდეგშიაც ბევრი ცოდვა ჩაიდინა, მერე, ეტყობა, ცოდვემმა შეაწუხეს, ჭკუიდან გადაეგა. სახლში ჩაიკეტა, თავზე ნათი გადაისხა და სახლთან ერთად დაიფრულა. ეტყობა, სწორად მოიქცა, იცოდა რომ მისი დამმარბველი არავინ იყო.

ერთხელ გიგო აკეთში იყო ნათესავებთან. იქედან რომ ბრუნდებოდა, სოფელ შემოქმედთან შემოაღამდა. გზა ტყეზე გადიოდა და ვაელა საბიში იყო, რადგან ტყეში ბევრი ნადირი ბინადრობდა და კაცი არაფრისგან არ იყო ახლებული.

შემოქმედში ახლობლები ჰყავდა, მაგრამ აღარ გაჩერდა, ნაოსასგან ფილთა თოფი და სატყვეარი ჰქონდა ნათხოვარი, ცხენიც კარგი ჰყავდა, ეტყობა, ცოტა ბახუსმაც შეაგულიანა და გზა განაგრძო.

მთვარიანი ღამე იყო, გზა კარგად ჩანდა, შუაგზაზე არ იქნებოდა მისული, როცა მგლების ყმილი შემოესმა. ცხენი შედგა. შორიახლო ციციანთელებივით აკოფდნენ ცხოველების თვალები. ამკარა იყო, რომ

მგლებს ხროვა შეხვდა. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება, ცხენი ერთიანად ცხაცხებდა. გიგომ თოფი გადმოიღო და, სადაც მეთი თვალები ანათებდნენ, იქეთვე გაისროლა. მგლები დროებით დაფრთხნენ. ამასობაში გიგო ჩამოქვეითდა, სატევართ მოჭრა დიდი ხმელი ტოტი, რომელსაც გურიაში „ფარჩხს“ უძახიან და ცხენს გამოაბა კუდზე, შერე სატევარი იშიშვლა და ცხენი გააჭენა. „ფარჩხმა“ ისეთი ხმაური ატეხა, რომ მგლებმა უკნიდან თავდასხმა ველარ გაბედეს, წინ კიდევ სატევარს იჩენვდა და შიგადაშიგ შეპოკვლებდა კიდევც. ცხენს გული მიუცა და ქუნებით გაიყვანა გიგო სამშვიდობო. მგლებმა ცოტა ხანს სდიეს და თავი დაანებეს.

გიგო დაეაჭვაცდა, იგი, ასე 20 წლის იქნებოდა, როდესაც გაიცნო ახალგაზრდა მომღერალი, რომელიც შესანიშნავად მღეროდა „გამყივანს“, ეს იყო გიორგი ბაბილოძე, ისინი დაშვებოდნენ და სიკვდილამდე აღარ მოშორებიან ერთმანეთს. მათ შეიამბნავეს თავიანთი სოფელი გიორგი იობიშვილი და შექმნეს იმჟამით ტრიო, რომელიც მომავალი ანსამბლის ბირთვი გახდა.

გიორგი ბაბილოძეს ჰყავდა და — სახელად ეგვიტი, რომელიც კარგი მომღერალი და ჩონგურზე დამკვრელი გახლდა. გიგომ ეგვიტი ცოლად შეირთო. ნაოსამ და ჯაჯიკმა თავიანთი მამულიდან გამოუყვეს ერთი პექტარი მინა გიორგი ბაბილოძის მახლობლად, შერე ოდა სახლის ამუნებაც გადაწყვიტეს და საშენი მასალის დამზადებას და გამოტანაშიც დაეხმარნენ. რამდენიმე დღე ისმოდა „გორმალღის“ ტყეში „ელესა“, რომელსაც გიორგი იობიშვილის „დამწყები“ და გიორგი ბაბილოძის „გამყივანი“ ამშვენებდა, ასე გამოპქონდათ გიგო ერქომაიშვილისათვის საშენი მასალა („ელესას“ ტყიდან საშენი მასალის, ან ხანნახელის გამოტანის დროს მღერიან).

ერთ საღამოს ტყიდან რომ დაბრუნდნენ, ეგვიტიმ უთხრა: — გიგო, დათა იყო, იორაშვილი, რამდენიმე წაბლის ხე მოვტიანა და თქვა, გიგოს ჩემგან ფეშქაშად ქქონდესო. დათა იორაშვილი ნაოსას ძმა იყო, იგი განდევნილად ცხოვრობდა მარტო-მარტო. უცნაური კაცი იყო დათა, სახლიც ქქონდა, კარიც. მაგრამ მინც ხანნახელში იძინებდა თივაზე. იგი მეტად გულმონყალე კაცი იყო, უბოროტო, სამართლიანი, მშრომელი, მაგრამ საზოგადოებაში არ გამოდიოდა, თუ რატომ დღემდე არავინ იცის.

ააშენა გიგომ სახლი და აინთო ერქომაიშვილებს კერა სოფელ მაკვანეთში.

ჯაჯიკმა საოჯახო სამუქრები მოუტანა გიგოს, ნაოსამ კარგად შეუწყო ღრუბი, სოფრომ მგელამეშ ურთიერადი მათე გამოუგზავნა აკეთიდან. ეგვიტი იძვითა მოოჯახე ქალი გამოდგა და ცხოვრობდნენ ტკიბილად, როგორც იმ დროს შეეფერებოდა.

გიგოს და ეგვიტის ათი შვილი შეეძინათ: კალმანე, პაბუმა, მარიაში, ილიკო, ლისა, არტემი, ანეტა, ანანია, ლიზიკო და ლადიკო. ყველანი არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული.

ბავშვებს სიმღერებს მამა და ბიძა — გიორგი ბაბილოძე ასწავლიდნენ. როცა ნაოსიზარდნენ, გიგოს ოჯახური გუნდის მოსმენას, თურმე, არაფერი სჯობდა.

იმ პერიოდისათვის გიგოს, გიორგი ბაბილოძისა და გიორგი იობიშვილის ტრიო მთელ გურიაში იყო ცნობილი. გიგო სიმღერებს ასწავლიდა მეზობელ სოფლებში, საიდანაც ნიჭიერი მომღერლები შემოიერთა, კვირიკეთიდან ივლიანე კეჭყაშაძე შეემატათ, ბახვიდან ერძილე მოლარიშვილი. ხოლო მაკვანეთიდან ნანკო ბურძღლა და შეიქმნა მომღერალთა ანსამბლი, რომელიც რეგულარულად მოქმედებდა, რასაც ხელი შეუწყო ანსამბლის წევრთა ნათესაობამ და მეზობლობამ. მაკვანეთში ან მეზობელ სოფლებში მათ გარეშე ნადი, ან რომელიმე დღესასწაული არ ჩატარდებოდა. ანსამბლი დღითიდღე პოპულარული ხდებოდა. ისინი ამდიდრებდნენ რეპერტუარს სიმღერა-საგალობლებით და საეკლესიო დღესასწაულებზე ნირვის დროს მაკვანეთის ეკლესიაში გალობდნენ. ეს იყო 1870-იანი წლები.

გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის წევრები იყვნენ ის გლეხები, რომლებიც მინათ-მოქმედებას მისდევდნენ, მათი სიმღერა ნატურალური, ნამდვილი გლეხური იყო და მინის სურნელი დაჰყვებოდა. ეს იყო თვითმყოფადი ანსამბლი, საკუთარი ხელწერითა და სამემსრულებლო მანერით, რომელიც ტემპრალურადაც ყველასგან განსხვავდებოდა. მოკვანებობით, ცნობილი მკვანერი, ბატონი ეანო შილაკაძე თავის წიგნში დაწერს: „გურიაში ერთადერთი ანსამბლი იყო, რომელსაც არავისი გავლენა არ განუცდია, ეს იყო გიგო ერქომაიშვილის ანსამბლი სოფელ მაკვანეთიდან. ეს ანსამბლი მეტად პოპულარული იყო იმ დროისათვის და ამდიდრებდა რეპერტუარს სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოტანილი ახალი სიმღერებით, რომლებსაც საკუთარი ინტერპრეტაციით ასრულებდნენ“ (ე. შილაკაძე, „ხალხური მუსიკის მოამბეგინ“).

ერთხელ ივლიანე ქუცაყმაძემ ამბავი მოიტანა: აჭარაში, ქობულეთის რაიონში ახალი სიმღერა უმღერიათ, რომელიც ჯერ გურიანში არავინ იცისო. გადაწყვიტეს ნასულეყენენ აჭარაში და ეს სიმღერა შეესწავლათ.

გავიგეს, რომ ქაქუთში დიდი ქორნილი იყო, ხუცუბნიდან მოჰყავდათ ქალი. ცხადი იყო, ქორნილი უსიმღეროდ არ იქნებოდა და აუცილებლად იმღერებდნენ ახალ სიმღერას. გადამყვან სიმღერის „მოსაპარად“ ნასულეყენენ: გიგო, გიორგი ბაბილოძე და გიორგი იობიშვილი. შემდეგში გიორგი ბაბილოძე ხუმრობდა: — ქორნილში დაუპატივებლად მივედით, მასპინძლებს მაყრები ვეკრინეთ, ხოლო მაყრებს მასპინძლებიო.

გაიმართა სუფრასთან ტრადიციული შეჯიბრი სიმღერაში მაყრებსა და მასპინძლებს შორის. ეს სიმღერები გურულაჭარული იყო და ჩვენებისთვის კარგად იყო ცნობილი. ცოტა ხანში გამოიკვეთა, რომ ქაქუთისლები ჯობნიდნენ ხეცუბნიელებს. შუალაშისკენ ხეცუბნიელებმა ახალი სიმღერა წამოიწყეს. ჩვენმა მომღერლებმა ყურები ცქციტეს და ყველამ თავის ხმას მიაყურადა, გიორგი იობიშვილმა „დამწყებს“, რომელსაც სიტყვიერი ტექსტი მიჰყავდა, გიორგი ბაბილოძემ — „გამყივანს“, ხოლო გიგო ერქომაიშვილმა — ბანს. სიმღერა მართლაც ძალიან ლამაზი იყო. მასპინძლებმა კვლავ გაიმეორეს იგი. ნაშუალამეცს ეღვევ ერთხელ იმღერეს უცნობი სიმღერა მაყრებსა და როცა გათენებისას ხალხის თხოვნით ეს სიმღერა შესამედ განმეორდა, ჩვენმა მომღერლებმა იგი უკვე ზეპირად იცოდნენ. ეს იყო — „ალიფაშა“.

ჩვენები ალარ დაელოდნენ ქორნილის დამთავრებას და, ინათა თუ არა, სახლისკენ გამოსნისეს. როგორც კი გამოსცდნენ მასპინძლის ეზოს, მაშინვე წამოიწყეს „ალიფაშა“ და სახლში მისვლამდე ხშირად იმეორებდნენ [ქაქუთში მასპინძლეთაგან წმ. 20 კმ-ია]. მაკანეთში მათ ანსამბლის წევრებს ელოდებოდნენ. იმავე საღამოს, ელისე ანთოიძის ქორნილში შესრულდა ეს სიმღერა, რომელიც სწრაფად გავრცელდა გურიანში.

ასე „მოიპარეს“ გიგომ და მისმა მეგობრებმა „ალიფაშა“ აჭარლებსაც.

იმ პერიოდის მომღერალთა გადმოცემით, გიგო ერქომაიშვილი გურული სიმღერების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და მასწავლებელი ყოფილა, „გურიის ბულბულად“ წოდებული. სამუელ ჩავლითშვილის აზრით, „1861-70-იან წლებში გურული სიმღერები მოიძია, აღადგინა და თავი მოუყა-

რა გიგო ერქომაიშვილმა, თორემ ბევრი სიმღერა დაიკარგებოდა, ვეც ამ სიმღერების ნამდვილი პატრონი ვეც ვერ ვიპოვე. დროისათვის გურიანში თითქმის არ დარჩენილა არცერთი მომღერალი, რომელსაც ურთიერთობა არ ჰქონდა გიგო ერქომაიშვილთან. მას დიდ პატივს სცემდნენ მომდევნო თაობის მომღერლებიც. ბევრი მათგანი საკონსერვატივად ან სიმღერის შესასწავლად დადიოდა მასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მენადურები. ვიგომ ყველა გურული ნადური იცოდა თავისი ვარიანტებითურთ. იმ დროს ბევრ სოფელს თავისი ნადური ან მისი განსხვავებული ვარიანტი ჰქონდა, მაგალითად, „ჩოჩხათურა“, „ნივოეთურა“, „ასკანურა“, „გურიანთურა“, „შემოქმედურა“, „საჯავახურა“ და სხვ. ნადურის მცოდნე კაცს დიდი დაფასება ჰქონდა, რადგან კოლექტიური შრომა ტრადიციად იქცა. თუ თუ ვინც ყანას ნადის გარეშე დაამუშავებდა, მას „უპურროს“ უწოდებდნენ, ხოლო თუ ნადურის შემსრულებლები თავიანთ სოფელში არ ჰყავდათ, მათ სხვა სოფლებიდან იწვევდნენ. ხალხი მენადურებთან ერთად სიზარულთ მიდიოდა სამუშაოდ, რადგან შრომა უფრო ხალისიანი ხდებოდა. გარდა იმისა, რომ ნადური შრომას აადვილებდა, მას გასართობი მნიშვნელობაც ჰქონდა. მე-19 საუკუნის ბოლოს ნადური იმდენად პოპულარული გახდა, რომ მას წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოშიც კი ასრულებდნენ. ბევრმა ცნობილმა მომღერალმა ნადური არ იცოდა, ასეთ მომღერლებს ნადზე არ ეძახდნენ, მათ მხოლოდ ნადის შემდეგ პურიწირულზე დაპატივებდნენ. ყანაში მუშაობის დროს, ნადურის გარდა, სხვა სიმღერას არ იმღერებდნენ.

დილით დილის ნადურებს ასრულებდნენ, შუადღე რომ მოატანდა ჯოხს დაარტობდნენ მზის გულზე და, როცა ჯოხს ჩრდილი გაუქრებოდა, ე.ი. მზე ზენიტს მიაღწევდა, შუადღის ნადურს იმღერებდნენ, მერე „ზარმლის“ ნადურს წამოიწყებდნენ („ზარმული“ კვების პერიოდია სადილსა და ვახშამს შუა), „ზარმლის“ შემდეგ საღამოს ნადურებს შეუდგებოდნენ, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ „ელესას“ მეორე ნაწილს შეასრულებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ იმდენი მოსაველი მოგვნიოთ, რომ მის გასატანად ყანიდან „ელესა“ დაგჭირვებოდათ. მოკლედ, მთელი დღის განმავლობაში ყანაში ისმოდა გაბმული ნადურები. ნადური გლეხი კაცის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ამიტომ ნადურის შესწავლას ყველა ცდილობდა და გიგო

ერქომაიშვილთან მენადურების „ცოცხალი რიგი“ იდგა.

გურიამი სხელი – მომღერალი სხვა იყო, ნადურის შემსრულებელი კი სხვა. – ეს კარგი შემსმობარიაო, – იტყოდნენ ნადურის ერთ-ერთი ხმის შემსრულებელზე. გიორგი ბაბილოძეზე თურმე ამბობდნენ: – მაგრომ ნადურში „გამყვიანს“ შემოსძახებს, ცხონებაა, მთელი დღე რომ ვიმუშაოთ, არ დევილდებითო.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ნადურების შესრულების ტრადიცია, ამიტომ 1907 წელს ჩანერილი ნადურის მნიშვნელობა ფასდაუდებელია.

გიგოსა და გიორგი ბაბილოძეს მდინარე ჩოლოქის პირას საყანე მინები ჰქონდათ აღებული. მათ, თავიანთი ანსამბლის წევრების გარდა, სხვებიც ეხმარებოდნენ. ჩოლოქის მეორე მხარეს იყო აქარლების ყანები, რომლებსაც ასევე ნადურის თანხლებით ამუშავებდნენ. დასავლეთ და აღმოსავლეთ გურიის ნადურები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, დასავლეთ გურიის ნადური უფრო აქარულთან დგას აბლოს, გურული ნადურის კარგი მცოდნე აქარლებთანაც თავისუფლად იმღერებდა. ხანდახან ჩოლოქის პირას გურულები და აქარლები ნადურებს ანტიფონურად ასრულებდნენ, ეს საუკეთესო სანახობა იყო. აქარლებს ბევრი ნადური ჰქონდათ და კარგი მომღერლებიც ჰყავდათ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სოფლების: ქაქუთის, აჭყვისა და ლელვას მომღერლები.

ერთხელ გიგო ერქომაიშვილს ნადი ჰყავდა მონგოლი მაკვანეთში, – ნაოსა იორაშვილის ნაჩუქარი დიდი ნაკვეთი იყო გასათხზნი. ის იყო დაიწყეს მუშაობა და ჯერ დილის ნადურიც არ ჰქონდათ ნამღერი, რომ შორიდან სიმღერა გაისმა, ხმა თანდათან ახლოვდებოდა, – აქარლების სიმღერას გავს მავი, – თქვა გიორგი იობიშვილმა. მათ თონხა შეაჩერეს და მიაყურადეს სიმღერას, რომელსაც მწყობრად ასრულებდნენ მომღერლები.

ისინი მალე გამოჩნდნენ. ალი ტაკიძეს გავგო, გიგოს ნადი ჰყავსო და ოცამდე მენადურე ნამოყვიანა მაკვანეთში. მათ თონხები იქვე მდგარ თხმელის ხეს ყუთი რამდენჯერმე შემოჰკურეს და ნადური „თეთრი ქორი ქანდარზე“ დაიწყეს, ამას მოჰყვა „ქალი ვიყავ აზნაური“ და აგუგუნდა ნადურები, რომლებსაც 40-ზე მეტი კაცი ასრულებდა ანტიფონურად. მეზობლებმა გაიგეს, რომ გიგოს აქარიდან მენადურები ესტუმრნენო და შეუდგნენ თადარიგს, რომ სტუმრებს საკადრისად დახვედროდნენ.

გიგომ ხარი დაკლა, მეზობლებსა და მეტიც ეგვიტეს ეხმარებოდნენ. ზრდიან კეკელიძე და ბავშვები ნადურების მოსმენად ნაკიდნეს ყანაში. ასეთი რამ მაკვანეთლებს ჯერ არ ენახათ, თითქმის მთელი სოფელი მოვიდა, ბევრმა თავისი ყანა მიატოვა და მენადურებს შეუერთდა: 100-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი, ამბობენ ნადურებს ისე ომახიანად მღეროდნენ, რომ ხმა რამდენიმე კილომეტრზე ისმოდაო. ივლიანე კეჭყაყაძემ დიდი ჯოხი ჩაარჭო მინაში მზის გულზე და როცა ჯოხს ჩრდილი გაუქრა, ნადურში ასეთი ტექსტი გაერია:

„მიმინოსა მწვერი უყვარს,
შეგარდუნა ნადრობა,
თუ მასპინძელს ნადი უყვარს,
აწი ჭვა სადილობა“.

და მოიტანეს ქალებმა სადილი. შისივე ნა ნადმა, გაიგრილეს სიციხისგან გაბურებული ვულები, მერე ვაგრძელდა შუადღის ნადურები და, სანამ „ზარმლის“ ნადურს იმღერებდნენ, გიგოს ყანას მორჩნენ და სხვა ყანებში გადავიდნენ სამუშაოდ. საღამომდე მთელი იმ უზნის ყანები გათიხნეს. მუშაობა ოქროპირ აბაშმაძის ყანაში დაამთავრეს, მერე ტრადიციისამებრ თოხებით მოზრდილ თხმელის ხეს გამოუთხარეს ძირი და ნააქციეს. ბოლოს „ელეგა“ იმღერეს და ამით მთელ სოფელს ამცნეს მუშაობის დამთავრება.

საღამოს გიგო ერქომაიშვილის ეზოში, ცაქხვის ძირში გაიშალა სუფრა და იყო შეჯიბრი გურულებსა და აქარელ მომღერლებს შორის. სიმღერას დაიწყებდა ერთი ჯგუფი, შემდეგ მეორე გაიტანდა და შეჯიბრი დილაშდე ვაგრძელდა ისე, რომ სიმღერა არ განმეორებულა. „ალიფაშას“ თავისებურმა ინტერპრეტაციამ აქარლებიც კი გააკვირვა.

ამ ამბის შემდეგ დიდი დრო გავიდა. მე მახსოვს, მაკვანათელი მოხუცები რა დიდი სიამოვნებით იგონებდნენ იმ საოცარ ნადურებს, რომლის მსგავსი მის შემდეგ აღარ მოუსმენიათ.

ის ტერიტორია, სადაც ახლა ზემო მაკვანეთის სასაფლაოა, ადრე თავად ნაკაშიძეებს ეკუთვნოდათ. ეს იყო მათი საზაფხულო რეზიდენცია. იგი მართლაც უღამაზე სი ადგილია, ერშილე ნაკაშიძემ განათლება უცხოეთში მიიღო, საიდანაც აგრონომის სპეციალობით დაბრუნდა. მან ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ჩაის კულტურა საქართველოში. ჯერ თავის მამულში გააშენა, ხოლო შემდეგ სოფელ ზვანში ჩაის



ფაბრიკაც კი ააგო. გარდა ჩაისა, მან უცხო-
ეთიდან გამოიწერა და თავის საზაფხულო
რეზიდენციაში დარგო სხვადასხვა ჯიშის
სუბტროპიკული მარადმწვანე ხეები და
იქაურობა ნამდვილ სამოთხეს დაამსგავსა.

ნაკაშიძეებს იქ პქონდათ საზაფხულო
დასასვენებელი სახლი, მრავალნაირი გა-
სართობი და სათამაშოები: კველი, სა-
ქანელა და სხვ. ზაფხულობით იმ ეზოში
ბევრი სტუმარი იყრიდა თავს, მათ შორის
უცხოელებიც. და იყო ერთი მხიარულება.
გიგო ერქოშიაშვილი ხშირად მოწანილებო-
ბდა ამნაირ ზემებში, რისთვისაც მას ნაკა-
შიძეებმა „პატობა“ უბოძეს და ყოველგვა-
რი ვადანახანებისგან გაათავისუფლეს.

ერთხელ გიგოს, ნაკაშიძის კაცმა მოა-
კითხა, თურმე, მეტად საპატიო სტუმრები
ჰყავს პარიზიდან და გიგოს სთხოვს — შენი
მომღერლებით უნდა მასახელოო.

თამაშის ყველა სადღეგრძელოს შესა-
ბამისი სიმღერა მოსდევდა და როცა გიორ-
გი ბაბილოძემ „შვიდეკაცაში“ „გამყვიანი“
შემოსძახა, სტუმრების ვაოცებას საზღვა-
რი არ პქონდა. ფრანგები სიმღერის კარგი
შემფასებლები აღმოჩნდნენ, მათ შორის
ერთი ქალბატონი პროფესიონალი მუსი-
კოსი იყო. მან თქვა, რომ მსგავსი რომ არა-
სოდეს მოუსმენია და დასძინა, რომ ეს სიმ-
ღერები უნდა ვაიცნოს საფრანგეთში და
მთელმა ევროპამო. მერე აიღო ქალაღვი,
ზედ სანატო ხაზები გააუღო და სცადა გი-
ორგი ბაბილოძის „გამყვიანის“ დაფიქსი-
რება, მაგრამ, როცა არაფერი გამოუვიდა,
თქვა: — ამ სიმღერის ნოტებზე ჩანჯრა შე-
უძლებელიაო. იდგა 1880-იანი წლები,
გრამოფონი ჯერ კიდევ არ იყო გამოგო-
ნილი. ფრანგების თხოვნით, მომღერლებ-
მა არაერთხელ გაიმეორეს სიმღერები. მე-
ორე დღეს ფრანგებმა მასპინძელს
უთხრეს, რომ ეს იყო მათი საუკეთესო მუს-
იკალური შთაბეჭდილება, რაც კი ირავს-
სი ვაუნუცდიდათ. ვახარებულმა ნაკაშიძემ
გიგოს აჩუქა ერთი პექტიარი მინა, „ბურღა-
ნაში“ ერთი უღელი ხარი, რამდენიმე ძრო-
ხა და ღორი, ასევე საუკეთესო ფილთა
თოფი და რევოლვერი. ასეთი საჩუქარი
მრავალშვილიანი ოჯახისთვის დიდი შენა-
ძენი იყო და გიგოს ოჯახმაც სული მოით-
ქვა.

დაიზარდნენ გიგოს შვილები, მათი
ოჯახური გუნდის მოსმენას მართლა
არაფერი სჯობდა, მაგრამ მათ ბედნიერე-
ბასაც დაედო ზღვარი. ჯერ პახუმა გარ-
დაიცვალა, მერე კალმანე და ილიკო. რო-
ცა პახუმას საფლავს თხრიდნენ, მეორე
საფლავიც გაუთხრიათ, რადგან ლისაც

თურმე სასიკვდილოდ იყო გადაადგმული
და იფიქრეს, ამაღამ მაინც ვერ გაჩვენეს.
სახლში რომ მოზრუნდნენ, თურმე, ლისა
ლოვინზე ნამომჯდარი დახედათ, იგი
აღტაცებული უყევბოდა შინაურებს, რაც
ნახა: თურმე ლისა წავიდა სადღაც შორს,
მიდიოდა უდაბნოში მარტოდმარტო,
ირგვლივ ადამიანის ქაჭანება არ იყო, მე-
რე მიადგა ოაზისს, სადაც ლამაზი ხეები
ყვაოდნენ და უცნაური ჩიტები გალობ-
დნენ. ხეებს შორის არაჩვეულებრივი სი-
ლამაზის ფრთიანი ანგელოზები დაფრი-
ნავდნენ. ლისა შევიდა იმ ოაზისში და რას
ხედავს: ხალხი პატარ-პატარა ეზოებში
გამოფენილა, ეზოები ყვავილნარებით იყო
დაფარული, ყველას საფურა პქონდა და მ-
ღელი და ისმოდა სიმღერები. ლისა მიდი-
ოდა ამ ეზოებს შორის და თავის ძმას — პა-
ხუმას ეძებდა. თავზე ფრთიანმა ანგე-
ლოზმა გადაუფრინა და ნიწ ნარუძღვა,
ლისა ბაღს მიადგა, ბალი საოცრად ლამა-
ზად ყვაოდა, ხეებზე სარიონი-ზები ისხდნენ
და გალობდნენ, ეზოში დაბალ სუფრასთან
რამდენიმე კაცი იჯდა და ქეიფობდა, ერთი
მათგანი პახუმა იყო. ლისას დანახვაზე პა-
ხუმა ადგა და მისკენ წავიდა. — აქ რა გინ-
და შენ? — ვინ დაგპატიფა, აქ შენი ადგილი
არ არის, ახლავე უკან ნადი. — შენთან მინ-
და, — უპასუხა ლისამ. ჩემთან ჯერ ადრეა,
ჩემთან 72 წლის შემდეგ მოხვალ, — უპასუ-
ხა პახუმამ, მკლავში ხელი მოკიდა და ქიმ-
კრამდე გამოაცილა. ლისას გააღვიძა და
პახუმას დაუნყო ძებნა. — პახუმა აქ არაა,
— უთხრა დედამ. — როგორ თუ არაა, ამ
ნუთით ერთად ვიყვითო, — უპასუხა ლისამ
და ტირილი დაიწყო.

მას შემდეგ ლისას სოფელში საიქიოდან
მოზრუნებულს ეძახდნენ და ზავშვებს მისი
ეშინოდათ. თუმცა იგი არაჩვეულებრივად
კეთილი და სათნო ქალი იყო. მე მახსოვს ამ
ამბავს ლისა ბაბუდა ჩვეიც ვკვიამობოდა, მე
იგი ძალიან მიყვარდა, ვინაიდან თბილად
გვექცეოდა და ზავშვებისთვის საჩუქრად
სულ პქონდა ჩურჩხელა ან ხილი. რომ ნა-
მოვიზარდე, მე დაეინტერესდი, თუ რატომ
უთხრა პახუმამ ლისას: — ჩემთან 72 წლის
მერე მოხვალ და ბაბუა არტემთან დავად-
ვინე პახუმას გარდაცვალების წელი. ლი-
სა ზუსტად 72 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ერთ დღეს გიგოს მასიკო სალუქვაძე
ესტუმრა. მასიკო წარმოშობით სოფელ ლი-
ხაურიდან იყო, იმზანად თბილისში ცხოვ-
რობდა, სამკერვალო ატელიები პქონდა და
შეძლებულ კაცად ითვლებოდა. იგი სიმღე-

რის დიდი ტრფიალი გახლდათ და თითო-ნაც ცოტას მღეროდა.

გიორგი ბაბილოძემ თავისი ბიჭი — სოლოვანი აფრინა გიორგი იობიშვილთან — გიგოს თბილისიდან კაცი ესტუმრაო. სანამ პურმარილი მზადდებოდა, მომღერლებმაც მოიყარეს თავი.

სუფრას გიორგი ბაბილოძე თამადაობდა, ცხადია ყველა სადღეგრძელოს შესაფერისი სიმღერა მოჰყვა. როცა გიორგი იობიშვილმა „შეიდეკაცა“ რალაც უცნაური ვარიანტი წამოიწყო და გიორგი ბაბილოძემ „გამყვიანი“ შემოსწავა, მასიკო საღუქვეაძემ ალტაცადა ველარ დაფარა. ქუფი დილაშდე გვარძელდა. დილით მასიკომ გიგო გაიხმო გვერდით: — გიგო, თბილისში ინგლისელები არიან ჩამოსული და სიმღერებს ინერენ „გრამოფონის“ ფირფიტებზე, მერე ამ ფირფიტებს გრამოფონზე დადებენ და თქვენზე ხმას მოისმენთ. — რას არ მოთვონებს კაცის გონება, — გაიკვირვა გიგომ. — მე გადავწყვიტე, — გააგრძელა მასიკომ — თბილისში ჩაგვიყვანოთ და სიმღერები ჩაგანერიოთ, ყველა ხარჯს მე გავიღებ, თქვენ ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ, ამისთვის საქციალურად ჩამოვედ მიკვანეთში, — დაამთავრა მასიკომ. მომღერლებს ძალიან გაეხარდათ მასიკოს წინადადება.

იდეა 1907 წლის იანვარი. თებერვლის დასაწყისში ანსამბლი თბილისს გაემგზავრა მატარებლით. სადგურზე მათ მასიკო სალუქვაძე და კიდევ რამდენიმე კაცი დახვდა, ისინი პატარა სასტუმროში მოათავსეს. სიმღერების ჩანერა მეორე დღისთვის იყო დანიშნული. თბილისში ჩამოვიდნენ გიგო ერქომაიშვილი, გიორგი ბაბილოძე, გიორგი იობიშვილი, ივლიანე კეჭყაშაძე, ნანიკო ბურძგლა, არტემ ერქომაიშვილი, ერმილე მოლარიშვილი და ლუკა თოიძე. ლუკა ახალგაზრდა მომღერალი იყო, იგი გიგოსთან დაოსტატდა და მისი ქალიშვილი — ანეტა შეირთო ცოლად. არტემ ერქომაიშვილი ანსამბლის წევრთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ კარგად იცოდა სიმღერები და იშვიათი ბანი ჰქონდა. ხმის ჩანერი სტუდია, მოწყობილი იყო სასტუმრო „ორიანტიში“, მშენის ფრედ და ვილი გვისბურგების მიერ. იმ პერიოდში თბილისის მთელ კავკასიაში უმნიშვნელოვანეს კომერციულ ცენტრად ითვლებოდა, ამიტომ ბრტანეთის სააქციონერო საზოგადოება „გრამოფონმა“ გადაწყვიტა ხმის ჩანერი სტუდია და გრამოფონით სავაჭრო მალაჩიები თბილისში გაეხსნა. იგი მთელ კავკასიას ემსახურებოდა.

მეორე დღეს მაკვანეთის ანსამბლი მოიყვანეს „ორიანტი“ სიმღერების ჩანერად. პირველად მიკროფონის გამოყენების გამო, გიორგი იობიშვილი და გიგო ერქომაიშვილი დადგნენ. მათ გაკვირვება არ გამოუხატავთ და უზარმაზარ მიკროფონში ადილა ჩასძახეს. სასინჯი ვარიანტი კარგი გამოდგა. ხმის ინტონირება მოიწონეს მომღერალთა ტრიო და მოაზრადეს ჩასანერად, ოღონდ სთხოვეს, რომ ჩანერის წინ გამოეცხადებინათ სიმღერის დასახელება და სოლისტების გვარები. ეს მოვალეობა, როგორც ყველაზე ენამჭევარს და მზიარულ კაცს, — ივლიანე კეჭყაშაძეს დაევალა. ისიც თამამად მივიდა მიკროფონთან და ხმამაღლა გამოაცხადა: „გიგო ერქომაიშვილო, ერთი შელქისედეკ მახარაძის ხელხვაი ბრძანე, შელქისედეკ მახარაძის“ (ეს სიმღერა, იგივე „ადილა“ შელქისედეკ მახარაძის ოჯახში შეუთხზავთ საშუელ ჩაუღიშვილსა და მის მეგობრებს „კალოს ხელხვაის“ ინტონაციებზე, ამიტომ მას შელქისედეკ მახარაძის ხელხვაეს უწოდებდნენ).

სიმღერის ჩანანერი კარგი გამოვიდა, ხმის რეგისორებმა შეაქეს მომღერლები და შემდეგი სიმღერის ჩანერა სთხოვეს. „ადილას“ ჩვენ მშვიდობა“ მოჰყვა, იმას კიდევ „შეიდეკაცა“ და პირველ დღეს ხუთი სიმღერა ჩანერეს.

მაკვანეთლებმა თბილისში თითქმის ერთი თვე დაჰყვეს და „გრამოფონის“ ფირფიტებზე 49 სიმღერა ჩანერეს, მათ შორის დღემდე უცნობი რამდენიმე სიმღერა და საგალობელი. საინტერესოა, რომ მათ ჩანერეს აჭარული სიმღერა — „კოისა რერა“. ეს სიმღერა დაკარგული იყო და აჭარაშიაც არავის ახსოვდა. მაკვანეთის ანსამბლის წყალობით დღეს იგი ამშვენებს ჩვენი ანსამბლები რეპერტუარს. „კოისა რერა“ გადარჩა!

ასევე გადარჩა „კურჩი ბედინერის“ დღემდე უცნობი ვარიანტი. ეს სიმღერა გიგო ერქომაიშვილის ძუკუ ლოლუამ ასწავლა ფოთში, ისინი მეგობრობდნენ და გიგომ რამდენიმე მეგრული სიმღერა ისწავლა მისგან. ძუკუს რეპერტუარსაც ამშვენებდა გიგოსგან ნასწავლი გურული სიმღერები.

გიგო მეტად აფასებდა ძუკუ ლოლუას მოღვაწეობას, მის ნიჭსა და თავდადებას მეგრული სიმღერების მოძიება-გადარჩენის საქმეში. ბაბუა არტემის გადმოცემით, როცა ძუკუ ლოლუას უდროოდ გარდაცვალებულს ამბივი გაუგია, გიგო ძალიან შეწუხებულია, — ძუკუ შესანიშნავი პიროვნება იყო, — უთქვამს მას არტემისათვის, — მან კარდა-



კარ იარა, მოხუცებისაგან შეისწავლა, მოიძია და თავი მოუყარა ადრე დაკარგულ მეგრულ სიმღერებს, მერე დახვეწა და თავის გუნდს და სხვასაც შეასწავლა. არცერთ კაცს არ ვაუკუთებია იმდენი საქმე მეგრული სიმღერებისათვის, რაც ძუკუ ლოლუამ გააკეთა. ძუკუ რომ არა, დღეს მეგრული სიმღერების ბევრი იშვიათი ნიმუში დაკარგული იქნებოდა. მისი დამსახურება ისიცაა, რომ მან აღზარდა ახალგაზრდა თაობები; მარტორემა მელევაი, კინი გეგეჭკორი და კირილე პაჭკორია რად ღირს, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ! ძუკუ ლოლუამ მეგრული სიმღერები ალაღვინა, შოპულარული გახადა ხალხში და უკუდავყო ისინი.

დიახ! თბილისში გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის მიერ ჩანერგილი „უქში ბედინერის“ ეს ვარიანტი დაკარგული იყო და სამეგრელოშიც აღარავის ახსოვდა. იგი ჯერ „რუსთავმა“ შეასრულა, მერე „მართევმ“ და „გორგვიკამ“ და ახლა თითქმის ყველა ნამყვანი ანსამბლის რეპერტუარშია.

თბილისში ყოფნისას მასიკო სალუქვაძის მეშვეობით მაკვანეთის ანსამბლმა არაერთ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მათ რამდენიმე საქელმოქმედო კონცერტიც გამართეს. განსაკუთრებით დაამახსოვრდათ შუხვედრა აკაკი წერეთელთან, რომელიც ერთ-ერთ კონცერტს დასწრებია. კონცერტის შემდეგ მასიკო სალუქვაძეს ვახშამი წავიშარ თავს, რომელზედაც აკაკი მიუხვევიათ. ის საღამო სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდათ მაკვანეთის ანსამბლის წევრებს, რომლებმაც თავიანთი ხელოვნებით მოხიბლეს მსოფლიო პოეტი.

მასიკო სალუქვაძემ დიდი საქმე გააკეთა. მან სიმღერები ჩაანერინა ანსამბლის გამაფორმებლებზე, თან მშვენივრად უმასპინძლა. გამომშვიდობებისას ყველა დაასაჩუქრა, გიგო ერქომაიშვილს „გრამოფონი“ აჩუქა და ისე გაისტუმრა მაკვანეთში.

1870-იან წლებში გიგო ერქომაიშვილი სოფელ ლიხაურის ხშირი სტუმარი იყო, იქ ახალგაზრდებს სიმღერებს ასწავლიდა. ლიხაურში იგი დაუახლოვდა გამოჩენილ მგალობელ-მომღერალს, მღვდელს – ნესტორ კონტრიძეს. იმ პერიოდში ნესტორი მთელ გურიაში მეტად შოპულარული პიროვნება გახლდათ, როგორც მომღერალი და როგორც საზოგადო მოღვაწე. მას არაჩვეულებრივი ხმა – ბანი ჰქონდა და გურული სიმღერისა და გალობის იშვიათი მცოდნედ ითვლებოდა. ნესტორ კონტრიძე დაუახლოვდა გიგოს და

ბევრი საგალობელი ასწავლა, რომლებსაც მისი ანსამბლი მაკვანეთში დასრულებდა ნირვის დირექტორის გიგორთი მათგანი 1907 წელს გამაფორმებლებზე ჩაინერა.

ნესტორ კონტრიძე არამარტო კარგი მომღერალი, იშვიათი პიროვნებაც იყო. ძველად მღვდლები თავიანთ სამრევლოში კომლზეორ მანეთს ახდევინებდნენ (ეს დიდი ფული იყო). ამას ერქვა „დრამაფული“, მაგრამ ნესტორ კონტრიძემ ლიხაურის მოსახლეობა საშუალოდ გაათავისუფლა ამ გადასახადისგან, ხალხმა მას დიდი მადლობა გადაუხადა. სამაგიეროდ ნესტორს სხვა სოფლის მღვდლებმა უსაყვედურეს: – ანი ჩვენც აღარ გადავვიხდიან გადასახადსო, მაგრამ ნესტორმა მათ ასე უპასუხა: – ჩემი სათვლი ასეთია და თქვენ როგორც გინდათ, ისე მოიქცითო“ (არტემ ერქომაიშვილის ხელნაწერებიდან).

იმ პერიოდში გურიაში გალობის შემსწავლელი ძლიერი სკოლა არსებობდა. ეს იყო ტრადიციული საეკლესიო მუსიკის სკოლა, რომელიც სათავეს საუკუნეების მიღმა იღებდა. ამ სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლდათ ნესტორ კონტრიძე, იგი საგალობლების იმდენად კარგი მცოდნე იყო, რომ ივანე ხავეთასთან და მელქისედეკ ნაკაშიძესთან ერთად თბილისში მიიწვიეს საგალობლების ნოტებზე გადასაღებად.

ჯერ კიდევ 1862-63 წლებში ეგ ზარხოს ეცხვის დროს აღძრული იყო საკითხი ძველი საეკლესიო გალობის აღდგენის შესახებ. დაარსდა კიდევ კომისია, რომლის თავმჯდომარედ კარგა ხანს ითვლებოდა ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომლის თაოსნობითაც ამ საქმისთვის ფულის შეროებას შეუდგნენ და დაავალეს ყველა სამრევლო ეკლესიას, რომ გაეღოთ ყოველწლიურად თავიანთი წელილი...

კომისიის აზრი ორად გაიყო: ერთი მათგანი არხიმანდრიტის მაკარისა და გრიგოლის ჩაგონებით ამტკიცებდნენ, რომ ძველი გალობა დარჩენილია მხოლოდ გურიაში და რომ რვა ხმასაც მთელ საქართველოში ვითომ მხოლოდ აქ გალობენ, არც ღირსეული მცოდნე მგალობლები მოიპოვებიან ქართლ-კახეთში, ამიტომ იქედან, გურიიდან უნდა დაეიბაროთ მგალობლები და იმათი გალობა გადავიღოთ ნოტებზეო.

კომისიის წევრთა მეორე ნაწილი, ეპისკოპოსის ალექსანდრეს თანამოაზრენი, უფრო თანაუგრძნობდნენ ქართლ-კახურ გალობას, ცდილობდნენ მათ აღდგენას და ხალხში გავრცელებას.

ეს უთანხმოება არზიზანდრიტ მაკარისა და გრიგოლის მომხრეთა გამარჯვებით დაბთავრდა. დაადგინეს, ჯერჯერობით, გურული გალობა აღედგინათ. დაიბარეს იქაური გამოქვეყნებული მგალობლები, დაიჭირავეს მუსიკის მცოდნე პირნი, რომლებსაც ეს საგალობლები ნოტებზედ უნდა გადაეღოთ, დაუნიშნეს მათ ჯამაგირი და მიჰყვეს ხელი გურული საგალობლების ჩანერას... (ზაქ. ფალიაპოლის № 3 ქართული [ქართლ-კახური] საეკლესიო საგალობლები. ნმ. იოანე ოქროპირისა წირვის ნუსისა, გვ. 2, ტფილისი, 21 დეკემბრისთვე 1909).

ამ საქმისთვის 1878 წელს ძველი ქართული საგალობლების აღმდგენელ კომიტეტს გურიიდან თბილისში მიუწვევიათ სამი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი მელქისედეკ ნაკაშიძის მეთაურობით. მათგან დაინიშნეს კიდეც ჩანერა. დამსწრებმა დაასკვნეს, რომ ეს ჯგუფი დაშვებულ იქნას ძველი ქართული გალობის (გურული კილო) მასწავლებლად, მათგან ერთ-ერთს, მელქისედეკ ნაკაშიძეს, დაენიშნა ხელფასი 20 მანეთი, ხოლო ორ დანარჩენს — ივანე ხაუთასა და ნესტორ კონტრიძეს — 10-10 მანეთი.

თავადი მელქისედეკ ნაკაშიძე მისიონერი გახლდათ, იგი სახელმწიფოსაგან ჯამაგირს იღებდა და გახსნილი ჰქონდა სკოლა, სადაც გალობას ასწავლიდა ახალგაზრდებს. იგი გახლდათ ფრიად განსწავლული პიროვნება, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე.

ნესტორ კონტრიძე გიგო ერქომაიშვილის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. 1908 წლის შობა დღეს, წირვის შემდეგ ნესტორმა გიგოს ასტუმრა მელქისედეკ ნაკაშიძე, რომელიც იმ დროს მოსწავლეებს აგროვებდა გალობის შემსწავლელი სკოლისათვის. როგორც ჩანს, ნესტორმა რეკომენდაცია გაუწია გიგოს ვაჟს — არტემს.

მელქისედეკს ძალიან მოეწონა არტემის ხმა და გიგოს შესთავაზა: — მომეცი ეს ბიჭი, ნაიყვან ჩემთან ოზურგეთში, გალობას ვასწავლი უფასოდ და კაცს გამოვიყვანო.

ასე გადაწყდა არტემ ერქომაიშვილის მუსიკალური ბედი. არტემთან ერთად გალობას სწავლობდნენ სამუელ ჩხიკვიძევილი, დიმიტრი პატარავა და სხვები. მელქისედეკი იშვიათი პიროვნება გახლდათ, გარდა იმისა, რომ უფასოდ ასწავლიდა, იგი თავისთან ზრდიდა მონაფეხებს, აჭმევდა, აცმევდა და ასაჩუქრებდა. როცა დღესასწაულებზე სახლში უშვებდა, არტემს ტკბილულსა და საჩუქრებს ატანდა ოჯახის წევრებისთვის, ხშირად ფულსაც ჩაუდებ-

და ჯიბეში, — გიგოს მიეცემა მელქისედეკის შეუკეროსო.

გ. ე. ლ. ე. ე. ე. ე. ე. ე.

იმ დროს ოზურგეთში ჩამოსული იყო ცნობილი საოპერო მომღერალი ფილიმონ ქორიძე, რომელიც მელქისედეკ ნაკაშიძესთან ცხოვრობდა და მისგან საგალობლებს იწერდა ნოტებზე. მან, ილია ქაჭავაძის ხელშეწყობით, მაქსიმე შარაძის, ესტატე კერესელიძისა და ვასილ გრძელიძის ხარჯით, ოზურგეთში მგალობლების ანტონ და დავით დუმბაძეების, მელქისედეკ ნაკაშიძისა და სვიმონ მოლარიშვილისაგან ჩაინერა ნოტებზე 1600-ზე მეტი საგალობელი, ზოგი სამივე ხმა, ზოგიც მარტო პირველი.

მოგვსენებათ, ფილიმონი მეტად პოპულარული პიროვნება გახლდათ. მან იტალიაში მიიღო განათლება და იქაურ საოპერო თეატრებში გამოდიოდა. ბაბუა არტემის გადმოცემით, როცა ფილიმონი იტალიიდან დაბრუნდა, მარტო მის ნახვაზე თურმე ბილეთები იყიდებოდა.

ფილიმონს მოსწონებია ახალგაზრდა არტემის ხმა და უთქვამს მისთვის: — ნამოდი თბილისში, ხმას დაგიმუშავებ და მუსიკალურ განათლებას მიგაღებინებო, არტემს უსახსრობის გამო, უარი უთქვამს.

ერთხელ აღდგომა დღეს მელქისედეკ ნაკაშიძემ ფილიმონი ნაიყვანა მაკანეთში, გიგო ერქომაიშვილის საოჯახო გუნდი და მისი ანსამბლი უნდა მოეგასმენინათ.

ფილიმონი ძალიან კმაყოფილი დარჩა გიგოსთან სტუმრობით, გიორგი ბაბილოძის ხმამ და მისმა განუხაზღვრელმა დიპაზონმა პირდაპირ განაცვიფრა ცნობილი მომღერალი.

— ამ კაცს რომ იტალიაში ესწავლა და ხმა დაეიმუშავებინა, მსოფლიო მნიშვნელობის საოპერო მომღერალი დადგებოდაო. — უთქვამს ფილიმონს. მერე თითონაც უმღერია რომელიღაც არია და თავისი უხარმაზარი ხმით იქ მყოფნი განუცვიფრებია. — ის საღამო დაუვიწყარია ჩემთვისო — ხშირად იტყვია ბაბუა არტემი, — ფილიმონ ქორიძეს ხშირად უხვდებოდი მელქისედეკ ნაკაშიძის ოჯახში, იგი ყოველ დილას გამღერებას აკეთებდა და მთელ ოზურგეთს ესმოდა მისი ხმა, გეგონებოდათ ამ კაცს მკერდში ორთქლის მანქანა უდევს და ისე მღერისო.

ფილიმონ ქორიძე ბაზმაროზე გარდაიცვალა გულის შეტევით, იგი ოზურგეთში დაასაფლავეს ახლანდელი თეატრის წინ მდებარე პატარა ეკლესიის ეზოში. შემდეგ კომუნისტებმა ის ეკლესია დაანგრეს, იქ დიდი ბაღი გააშენეს და დაიკარგა ამ დიდებული მომღერლისა და მამულიშვილის



საფლავი — დაამთავრა თხრობა ბაბუა არტემმა.

ვალობის სკოლა არტემმა 1911 წელს დაამთავრა და იგი მარტვილის მონასტერში გაავაზუნეს მგალობლად და ვალობის მასწავლებლად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გიგო ერქომაიშვილმა იმით გაიგო, რომ ჯერ თავადი ნაკაშიძის მიერ ნაწუქარი მონაჩა მოართვეს ბურღანაში, მერე ხარები და ცხენიც მიაყოლეს ზედ და დარჩა გიგო კოლმეურნეობის იმედით. ერთხელ მას გიორგი ბაბილოძისთვის უთქვამს: — კიდევ კარგი კომუნისტებს სიმღერის წართმევა არ შეუძლიათ, თორემ იმასაც წაიღებდნენ.

1924 წელს არტემ ერქომაიშვილი ბათუმში მიიწვიეს გუნდის ხელმძღვანელად, მან იქ ჩამოაყალიბა მუსათა გუნდი, რომელშიც ვაერთიანებული იყვნენ აჭარელი და გურული მომღერლები. გუნდის გასაძლიერებლად არტემმა ხშირად იწვევდა 90 წელს მიტანებულ მამასა და ბიძას — გიორგის. მან ამ გუნდში თავისი უმცროსი ძმები — ანანია და ლადიკოც მიიყვანა და ერქომაიშვილები ამ გუნდის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ.

1927 წელს ქუთაისში ჩატარდა პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა, სადაც ბრწყინვალედ წარსდგა ბათუმის გუნდი. ეიორში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძე და სხვები დასავლეთ საქართველოს გუნდებიდან პირველი ადგილი და უმაღლესი ჯილდო მიაკუთვნა ბათუმის გუნდს არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. აღმოსავლეთ საქართველოს გუნდებიდან ასეთი ჯილდო მარო თარხნიშვილის გუნდს ერგო.

პრესა აღნიშნავდა გიორგი ბაბილოძისა და გიგო ერქომაიშვილის ბრწყინვალე გამოსვლას: „გუნდს ამშვენებს ორი მოხუცი, რომლებიც იშვიათი ოსტატობით ასრულებენ გურულ სიმღერებს“, — წერდა ქუთაისის გაზეთი.

1929 წელს თბილისში გაიმართა მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადა, სადაც ასევე ბრწყინვალედ გამოვიდა ბათუმის გუნდი. 1929 წლის 3 ივლისს „ახალგაზრდა ლენინელ“ აქვეყნებს მასალებს ამ ოლიმპიადის შესახებ:

„ეიორის გადაწყვეტილებით გუნდებს შორის პრიზები ასე განაწილდა: პირველი პრიზი 500 მანეთი გაინაწილეს აჭარის აკა-

დემიორმა გუნდმა (კაპელამ) მელიტონ კუხიანიძის ხელმძღვანელობით, ხალხურმა გუნდმა არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

მეორე პრიზი — 600 მანეთი გაინაწილეს: ვარკეხეთის გუნდმა მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით, კირილე პაჭკორიას, ვარლამ სიმონიშვილის, ვალაკტიონ ქვლიძისა და არეთუნის გუნდებმა.

მესამე პრიზი — 400 მანეთი გაინაწილეს: სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ვრიგოლ კოკელაძის ხელმძღვანელობით, ხალხურმა გუნდმა აქვსენტი მეგრელიძის ხელმძღვანელობით, ჭიათურის გუნდმა სანდრო კახაძის ხელმძღვანელობით და ხალხურმა გუნდმა მიხეილ კახაძის ხელმძღვანელობით, მტკვრთავთა გუნდმა მახარაძიდან და ქუთაისის პროფბიუროს გუნდმა“.

გაზეთში დაბეჭდილია ფოტოსურათი, სადაც არტემ ერქომაიშვილი მამასთან და ბიძასთან ერთადაა გადაღებული, სურათს ქვემოთ, აწერია: ოლიმპიადის საუკეთესო მომღერლები.

1930 წელს 6 იანვარს შ. რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდების კონცერტი. მონაწილეობა მიიღეს არტემ ერქომაიშვილის გუნდმა ბათუმიდან, მიხო ჯილაურის ქართლ-კახურმა გუნდმა და ტუკუ ლოლუას სახელობის დასავლეთ საქართველოს გუნდმა კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით.

აღნიშნული გუნდები მიიწვიეს ლენინგრადში, მოსკოვსა და ხარკოვში კონცერტების გასამართავად.

ჩემი პედაგოგი, გამოჩენილი მუსიკოსი, პროფესორი შალვა ასლანიშვილი უცრემლოდ ვერ იგონებდა არტემ ერქომაიშვილის გუნდის გამოსვლას ლენინგრადში:

— მე მაშინ ლენინგრადის კონსერვატორიის სტუდენტი ვიყავი, როცა ეს გუნდი იქ ჩამოვიდა, — ამბობდა ბატონი შალვა. — მათ ნამდვილი ფორორი მოახდინეს. განსაკუთრებული წარმატება ზედა ორი მოხუცი — გიგო ერქომაიშვილისა და გიორგი ბაბილოძის გამოსვლას, რომლებიც 90 წელს იყვნენ გადაცილებული. ლენინგრადელმა მუსიკოსებმა აღიარეს, რომ მსგავსი რამ არასოდეს არ მოუსმენიათ. ცნობილმა მუსიკოსმა კუშნარიოვმა მათ გამოსვლას აღმოჩენა უწოდა, — ეს მოხუცები ნამდვილი სავოცრებბაა, რომლებიც მსოფლიოს გაწაფებდნენ, — თქვა მან. რამდენიმე მუსიკათმცოდნე შეეცადა, რომ გურული სიმღერები ნოტებზე გადაეტანათ, მაგრამ ვერ მოახერხეს, მერე კუშნარიოვმა გამოთქვა

აზრი: — იქნებ ანსამბლის ახალგაზრდა წევრებს მუსიკალური განათლება მივაღებინოთ, რომ თვითონვე გადაიტანონ ნოტებზე ეს სიმღერებიო.

კუნარიოვმა გურული სიმღერების შესახებ ასეთი აზრი გამოთქვა: — პირველად რომ მოვისმინე, გავეცოდი, მეორედ მომეწონა, ხოლო მესამედ უკვე შემეყვარა.

იმ დროს ლენინგრადში სტუმრად იყო ჩამოსული, ცნობილი იტალიელი მუსიკათმცოდნე ქალი (გვარი ველარ გაიხენა), რომელმაც სურვილი გამოთქვა ნოტებზე გადაეტანა გურული სიმღერები. მომღერლები კონსერვატორიაში მიიწვიეს. ქალბატონმა მოიმარჯვა ნოტის ფურცელი და ფანქარი. გიგომ „ხასანბეგურა“ დაიწყო, გიორგი „გამყივანს“ მღეროდა, ხოლო არტემა — ბანს. როცა პირველი მუხლი იმღერეს, იტალიელს ფანქარი გაუშეშდა ხელში, ხოლო როცა მეორე მუხლში გიორგი ბაბილოძემ არნახული სარკაზმებით ჩაახვია „გამყივანი“, იტალიელმა მუსიკოსმა გადააგდო ფანქარი, მერე ბოლომდე მოისმინა სიმღერა და განცვიფრებულმა სთქვა: — ეს სიმღერები ჩემთვის აღმოჩენაა. ასეთი პოლიფონია არასოდეს მომისმენია, იმ მოხუცს ნამდვილი „კოლორატურული ტენორი“ აქვს (საუბარი იყო გიორგი ბაბილოძეზე), მე ჩემს სიცოცხლეში პირველად ვერ შევძელი სიმღერის ნოტის ფურცლებზე გადატანაო.

ბატონმა შალვაემ ერთი საინტერესო ფაქტიც გვიამბო: — ევგენი გიპიუსმა (შემდეგში გამოჩენილმა ფოლკლორისტმა) და მისმა მეუღლემ მარინა ევალდმა, რომლებიც მაშინ ლენინგრადის კონსერვატორიაში იმუშავებდნენ, იმ მოხუცების სიმღერები ფოლფონოგრაფზე ჩაიწერეს, როგორც სამივე ხმა ერთად, ასევე თითოეული მომღერლის ხმა ცალ-ცალკე, მაშინ მათთან ერთად იყო შეედი მუსიკისმცოდნე ერნსტ ემსხაიმერი, რომელიც იმ დროს ლენინგრადის კონსერვატორიაში სწავლობდა და შესაძლოა ეს ჩანაწერები მასაც შეეღებო, — დაამთავრა თხოვნა ბატონმა შალვამ.

1980-იან წლებში მუშაობა მომიხდა ლენინგრადის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში, ე.წ. „პუშკინის სახლში“, სადაც გაცივანი შესანიშნავი პიროვნება ბატონი გიორგი კირგუზალოვი. მან მითხრა, რომ მათთან ინახება 1930 წელს ჩანაწერი ძვირფასი კოლექცია, სადაც ვასაოცარი მოხუცი მომღერლები მღერიან. ბატონმა კირგუზალოვმა ერთ-ერთი სიმღერის პასპორტი მაჩვენა, რომელიც ევგენი გიპიუსის ხელითაა შეესებული: „ხასანბეგურა“, № 926, გამყივანი — გ. ბაბილოძე, დამწყები —

გ. ერქომაიშვილი, ბანი უკრატე მუხღვიში-ვლი.

გ. ი. ლ. ი. მ. მ. მ.

4/II — 1930 წ. ვიპიუსი.

მიუხედავად იმისა, რომ ცვილის ლილვაკები საკმაოდ იყო დაზიანებული, გიგოს, გიორგისა და არტემის ხმები მაინც მააფიოდ ისმოდა. მე ეს სიმღერები გადავიწერე მაგნიტოფონის ფირზე და თბილისში ჩამოვიტანე. ვფიქრობ, იგი დიდ სამსახურს გაუწევს ფოლკლორისტებს მომავალში.

კინორეჟისორი ბატონი სოსო ჩხაიძე იღებდა მრავალსერიან მუსიკალურ ფილმს „შეიდეკაცს“. ფილმის სცენარმა მიგვიყვანა ევგენი გიპიუსთან. იგი უკვე მწველს იყო მიტანებული. მოხუცმა პროფესორმა სიამოვნებით გაიხსენა ის დრო, როცა მოხუცების ანსამბლი ჩავიდა ლენინგრადში: — „ეს იყო ლენინგრადის კონსერვატორიისთვის დიდი მოვლენა, რადგან ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერა ცოცხალი შესრულებით იქ არავის არ მოესმინა. გურულებმა აღაფრთოვანეს მსმენელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 90 წელს გადავიღებული ორი მოხუცის სიმღერა, რომლებმაც მოხიბლეს ლენინგრადის კონსერვატორიის მუსიკოსები. მიუხედავად ასაკისა, ისინი მხნედ გამოიყურებოდნენ და ხმებიც არაჩვეულებრივად უფლერდათ. ისინი ისე იმპროვიზებდნენ, ერთ მუსიკალურ ფრაზას ისე სხვადასხვანაირად აბრუნებდნენ, რომ მისი ნოტებზე გადატანა შეუძლებელი გახდა, ამიტომ გადავწყვიტე მათი სიმღერები ფოლფონოგრაფზე ჩამეწერა. ამისთვის გამოვიყენე 4 აპარატი, ერთი ყველა ხმას ინერვდა ერთად, დანარჩენი სამი კი თითოეულ ხმას ცალ-ცალკე. ამ საქმეში მეხმარებოდნენ ჩემი მეუღლე მარინა ევალდი და შეედი მუსიკათმცოდნე ერნსტ ემსხაიმერი, რომელიც იმხანად ლენინგრადის კონსერვატორიაში სწავლობდა. ემსხაიმერი სტოკჰოლმში ცხოვრობს, მე მასთან მიწერ-მწერა მაქვს. რამდენიმე თვის წინათ მივიღე მისი წერილი, სადაც სიამოვნებით იგონებდა იმ დროს, როცა ჩვენ გიგო ერქომაიშვილისა და მისი მეგობრებისაგან სიმღერები ჩაწინრეთ. ამ ჩანაწერელმა დიდი სამსახური გაუწია არა მარტო ლენინგრადის, არამედ სხვა ქვეყნების მუსიკოსებსაც, მან თვალაუხილა და ფოლკლორზე სულ სხვა წარმოდგენა შეუქმნა სპეციალისტებს, ჩემი აზრით, ეს სიმღერები მსოფლიოში უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს. ახლა, როცა მთელ რიგ ქვეყნებში ხალხური სიმღერები პრაქტიკულად აღარ არსებობს, იგი კლასიკურმა მუსიკამ შთანთქა და როცა



ფოლკლორმა მუსიკოსების დიდი ინტერესი გამოიწვია, ჩემს მაშინდელ ფონოჩანანერებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მე ის სიმღერები ჩაეინერე თითქმის 100 წელს მიტანებული მომღერლებისაგან, ამიტომ მათ მიერ შესრულებული ვარიანტების ასაკი, სულ ცოტა, ერთი საუკუნით მაინც უსწრებს შემსრულებელთა ასაკს. აი, ხომ ხედავთ რა სიმდიდრესთან ვვაქვს საქმე! ამ ფაქტის სისწორეში მომავალ საუკუნეებშიც არავის ეჭვი არ უნდა შეეპაროს, რადგან მე დავაფიქსირე ჩანერი თარიღი, შემსრულებელთა ასაკი და ვინაობა. ბოლოს და ბოლოს, მე და ემსხაიმერი ამის ცოცხალი მონემები ვართ. სოსო ჩხაიძემ გადაწყვიტა თავის ფილმში ერნსტ ემსხაიმერიც გადაედო. ემსხაიმერი სტოკჰოლმში ცხოვრობდა. ისიც ასე მან წლის იქნებოდა და საქმავად მოტეხილი ჩანდა, მაგრამ ჩვენ მეტად მხნედ შეგვხვდა, იცოდა რა ჩვენი ჩასვლის მიზეზი, მოგმზადებინა ჩვენთვის საჭირო მასალები.

„მას შემდეგ, რაც ლენინგრადიდან დაუბრუნდი, პროპაგანდას ვუნეე ქართულ მუსიკას, – თქვა ემსხაიმერმა, ერქომაიშვილების ანსამბლის მოსმენა ჩემთვის იყო საუკეთესო შთაბეჭდილება, რაც კი ოდესმე მიმიღია. მე ვაგეჰაუბრე გიგო ერქომაიშვილს, რომელმაც ჩემს დასმულ შეკითხვებს ისეთი ღრმა ცოდნით უპასუხა, გეგონებოდათ აკადემია ჰქონდა დამთავრებული, მათთან ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ მათ მართლა პქონდათ დამთავრებული აკადემია, ეს იყო ხალხური ტრადიციების უფრესი აკადემია. მათ არა მარტო სიმღერით, არამედ თავიანთი ქცევითა და ზრდილობით განაცვიფრეს თანამოსაუბრენი. მე მათთან რამდენიმე დღე დავყავი და ის დღეები დაუვიწყარია ჩემთვის. გურულ სიმღერებზე მე არაერთი სტატია და გამოკლევა დაწერე, მათი ფონოჩანანერები გაემიფრე და კომენტარებით გამოვეცი. ჩემი ლექციების დროს საილუსტრაციოდ გურული მოზუკების ფონოჩანანერებს ვასმენინებდი და განცვიფრებაში მომყავდა მსმენელი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ნავიკითხე იგორ სტრავენისკის ნერილი, გურული სიმღერების შესახებ. გეუბნებოდა გულწრფელად, მას რომ მოესმინა გიგო ერქომაიშვილისა და გიორგი ბაბილოძის სიმღერა ცოცხალი შესრულებით, მისი ალტაცება მაშინ გენახათ და დარწმუნებული ვარ, იგი კიდევ უფრო მაღალ შეფასებას მისცემდა გურულ სიმღერებს, თუმცა მან იგი საუკეთესოდ შეაფასა“.

მოსკოვში ქართველების კონცერტს დაესწრო ცნობილი ფრანგი მუსიკათ-

მცოდნე და მწერალი რომენ როლანი, რომელმაც თავისი აღფრთოვანება მსმენელთაგან განთქმავდა: „ბედნიერია ის კომპოზიტორები, რომლებიც ხალხი ცხოვრობს, ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ასეთი სიმღერები აქვს“.

1931 წელს თბილისში გამართულ ოლიმპიადაზე არტემ ერქომაიშვილის გუნდმა კვლავ ისახელა თავი. მაშინდელ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ოლიმპიადის მონაწილე გუნდები.

ოლიმპიადის შემდეგ, როცა იზურგეთში ბრუნდებოდნენ, 96 წლის გიორგი ბაბილოძე, რომელიც თავს ჩინებულად გრძნობდა, და ხმავე ახალგაზრდულად უყვარდა, მატარებელში გაცივდა და ფილტვების ანთებით მალე გარდაიცვალა. გიგო ერქომაიშვილმა ძალიან მტკივნეულად განიცადა უდიდესი მომღერლისა და ერთგული მეგობრის დაკარგვა, რომელთან ერთად სიმღერაში 70 წელი გაატარა – „ჩემს სიმღერას ანი ფასი აღარა აქვს, მეც უნდა ნავიდე, ვინც კარგი მომღერალი და მეგობარი მყავდა, ყველა იქეთაა, ახალგაზრდებთან ჩემი სიმღერა აღარ გამოდგება!“, – უთქვამს გიგოს, გიორგი ბაბილოძესთან გამთხოვებისას.

იმავე წელს გარდაიცვალნენ გურიაში პირველი ხმის საუკეთესო შემსრულებელი სამუელ ჩაველიშვილი და იშვიათი ბანის პატრონი – ნესტორ კონტრიძე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით არტემ ერქომაიშვილმა დაწერა ლექსი „დაეკარგეთ სამი მომღებნი“, რომელზეც შემდეგ ააგო სიმღერა. ეს სიმღერა მეტად პოპულარული გახდა და მას დღესაც სიამოვნებით მღერიან გურიაში. მოვიყვან რამდენიმე სტროფს ამ ლექსიდან:

„...პირველ ხმაში ჩაველიშვილი,
კაცანება ვით ბუღბული,
წერილს ეტყოდა ბაბილოძე,
სხვაფრე ენა მოკარგული,
ბანს კონტრიძე შესახებდა,
დანტკებოდა ხული, გული,
სიხარულით აგავსებდათ,
ხამივეს ხმა ერთად თქმული“...

ერთ საღამოს ბაბუა არტემმა გიგოს უთხრა: – ვიცი, გაგებარდება, ვარლამ სიმონიშვილი და დიმიტრი პატარავა გვესტუმრენო.

გიგოს ღიმილი მოეფინა სახეზე, ჯოხს დაეყრდნო, ნამოდვა და სტუმრებს მიეგება. ვარლამმა ბოხიხი მოიხადა და გიგო გადა-

კოცნა, დიმიტრი პატარავამაც გადაკოცნა გიგო.

— რაეა ბრძანდები, გიგო ბატონო? — შეკითხა ვარლამი.

— ეჰ, ჩემო ვარლამ, თურმე კაცი მანამდე უნდა ცოცხლობდეს, სანამ რაღაცა შეუძლია, იმაზე დიდი უბედურება არ არსებობს, კაცი რომ არავის აღარ სჭირდება. ნამეტანი გამახარეთ თქვენი მოსვლით, მობრძანდით, — უთხრა გიგომ სტუმრებს და ოდაში შეუძღვა.

ჩვენს ოჯახში ვარლამ სიმონიშვილისა და დიმიტრი პატარავას ხშირად ახსენებდნენ. დიმიტრი მამაშენის ნათლია იყო, მაგრამ ისინი ადრე არ შენახა. ვარლამი სასიამოვნო გარეგნობის კაცი იყო, ნაცრისფერი ხალათი ეცვა, ნელზე ვერცხლით განუობილი ქაშარი ერტყა, თავზე მაღალი ბოხობი ეხურა და ფეხზე კარგად გაპრიალებული აზიური ჩექმები ეცვა. დიმიტრი პატარავას ჩვეულებრივი სამოქალაქო ტანსაცმელი, რუხი ფერის ძველი კოსტუმი ეცვა. გიგო ბაბუა და სტუმრები სასაუბროდ აივანზე დასხდნენ, გიგო დაბალ სამფეხა სკამზე ჩამოჯდა, მე მასთან ახლოს მოვკალათდი, ბაბუა არტემი მარანში ნეიდა.

— რაეა, ბატონო ვარლამ, თქვენი გუნდის საქმე? — შეეკითხა გიგო.

— ეჰ, გიგო ბატონო, ერთ ხანს არ ვაპირებდი ამ „ხაკაზნო“ სიმღერების შესრულებას პარტიაზე, ბელადებზე, კოლექტივზე, მარა მერე ამის გულისთვის დამიჭირეს და კინაღამ გამაცემბირეს, კი იცით მაგი თქვენ. ე, მერე ვიკადრე და დავერე ლექსი სტალინზე და პოლიტიბიუროზე, ავაგე ზედ სიმღერა და ახლა ამ სიმღერით ვინაყებ ყველა კონცერტს. არ მომწონს მარა რა ვქნა, სული მწარე ყოფილა. მომღერლებიც აღარ მყავს, თქვენ რომ გახსოვთ იმფერი, ზოგი დეიჭირეს, ტროცკისტება დასწამეს, ზოგიც ფრონტზე წეიყვანეს და უგზო-უკვლოდ დეიკარგა. აგერ, რუბენა ვასაძე ქერჩი დეილუპაო, თქვენ, მაგფერი „დამწყები“ ახლა ჩემს გუნდში კი არა მგონი, მთელ გურიაშიც აღარაა. ნამდვილი სიმღერა რომ მომენატრება, გიგო ბატონო, არტემთან მივდივარ ბათუმში, ამასწინათ ბათუმშიდან ჩამოვედი და რეპეტიციაზე ცოტა დამაგვიანდა. — სად ბრძანდებოდი, ვარლამ ბატონოო, — მკითხეს გუნდის წევრებმა.

— ბათუმში ვიყავი არტემთან-მეთქი, — ვუპასუხე.

— აბა, თქვენ იტყოდით კაი სიმღერებს, — მითხრა ღიმილით კოტე პაპავამ.

— ჩვენ კი ვიტყვით, ბიძია, მარა ვინ მოგეხმარებით-მეთქი, ეუბნებოდნენ სიმღერადად არ ჩათვალდა.

— ადრე მომღერალ კაცს ხალხში გამოარჩევი, გიგო ბატონო, იგი ზრდილობით სავსე უნდა ყოფილიყო, სუფრასთან ნახად მჭამელი და ზომიერად მსმელი, მას სხვა-ნაირი იერი ჰქონდა და სხვა-ნაირადაც დადიოდა, — გააგრძელა ვარლამმა. ახლა გაგიგონია, ბატონო? ამას წინათ ერთმა მომღერალმა დაავვიანა რეპეტიციაზე, — სად იყავი, კაცო, ასე რომ ქმინავ-მეთქი, — ეკითხე.

— ბოდიში, ბატონო ვარლამ, მშოღა და ბორშით გავძებო, — მიპასუხა.

— ნაბრძანდი, ბიძია, სახლში, ბორშით გამძღარი კაცი გურულ სიმღერას ვერ იმღერებს-მეთქი, — ვუთხარი. გიგოს გაეღიმა და ხელი ჩამოისვა წვერზე.

— საგალობლებს თუ ასრულებს ვინმე? — იკითხა მან.

— ვაღობა საერთოდ აიკრძალა, — თქვა დიმიტრი პატარავამ, — ღმერთი თუ კი იყო სადმე ნახსენები, ყველაფერი აკრძალეს, ეკლესიებში წირვა აღარ მიდის, ქრისტიანული დღესასწაულები აღარ ტარდება, და მივიწყა ხალხმა ის, რაც აქამდე საუკეთესო ტრადიციად ითვლებოდა. მგალობლებიდან ბოლო ჩვენ დავრჩით: არტემი, ვარლამი და მე, 2000-ზე მეტი საგალობელი ვიცით, მარა რად გინდა მერე, იგალობებ და ციმპირი უკან დაგრჩება.

— მგალობლები ხომ აღარაა, მომღერლებიც თანდთან კლებულობს, — ჩაერია საუბარში ვარლამი, — სიმღერა მასიური უნდა გავხადოთო, იძახიან, გაგიგიათ, ბატონო? გურულ სიმღერაში კაი ტრიო და კაი „გადაძახილია“ საჭირო, ახი კაცი რომ ერთად იმღერებს სიმღერას მთავრობაზე და 50 კაცი ერთნაირ ბანს იტყვის, შევარცხვინე იმნაირი სიმღერა. ამას წინათ ერთი კაცი მომიყვანეს — დიდი ბანი აქვსო, — ბიძია, მე ბანს კი არ ვწონი, ბანს მოქნილი სიმღერა უნდა-მეთქი, ვუთხარი. ეჰ, ამოიხრა ვარლამმა, — ჩვენი თაობა რომ წავა, საგალობლების და ნადურების მცოდნე კაცი აღარ დარჩება გურიაში. მართლა, ნადურზე გამახსენდა, გიგო ბატონო, ჩემს გუნდს ნადური მინდა ვასწავლო, „შემოქმედურა“ რომ იყო, იმასთან „ჩათბრობილა“ მინდა შევართო, მარა ერთი ადგილი ვერ გეგობსენ და თქვენ მინდა გთხოვოთ, — მერე ჩაახველა ხმას დაუნია და ჩემთვის რაღაც უცნობი სიმღერა წამიღერა.

გიგომ ყურადღებით მოუსმინა, მერე ცოტა ჩათქრდა და თქვა: — თუ მეხსიერე-



ბა არ მღალატობს, ასე უნდა იყოსო დარამდენიმე მუხლი ჩაიმღერა. ვარლამს თვალეები გაუბრწყინდა, მერე ადგა და გიგოს აკოცა. გიგოც წამოდგა და სტუმრები იმ ოთახში გაიყვანა, სადაც „გრამოფონი“ იდგა. დატრიალდა ფირფიტა, ჯერ ნაცნობი შრიალი გაისმა „გრამოფონიდან“ და მერე ვარლამ სიმონიშვილის ხმა: „ჩაველიშვილი, ჩხიკვიშვილი და სიმონიშვილი, ჩვენ მშვიდობა“ წამოსძახეთ“ და დაიწყო სამუელ ჩაველიშვილმა თავისი განუმეორებელი ხმით „ჩვენ მშვიდობა“. ბანს ვარლამი ასრულებდა. სტუმრები სულ განაბული უსმენდნენ სიმღერას მანამ, სანამ ფირფიტადან ვარლამმა არ შეაფასა მათი ნამღერი: „ვაშა, ჩაველიშვილო“. სიმღერა დამთავრდა.

– მართლა ვაშა, ჩემო სამუელ, – თქვა ვარლამმა, – ამისთანა მომღერლები სადაა ახლა.

1908 წელი იყო, – განაგრძო ვარლამმა, – სამუელ ჩაველიშვილმა კაცი გამომიგზავნა, თურმე ქუთაისში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ხალხი სიმღერებს იწერენ „გრამოფონის“ ფირფიტებზეო. სამუელი ყველასთან არ იმღერებდა, კი იცით მაგი თქვენ. მოგვიყარა თავი რამდენიმე მომღერალს, ვისთანაც მას სიამოვნებდა სიმღერა. ქუთაისში წაგვიყვანა, ბესონე ინსკირველი, ლადიკო დოლიძე, ილარიონ ჩაველიშვილი, ალექსანდრე მახარაძე, სამუელ ჩხიკვიშვილი და მე. სამუელ ჩაველიშვილი ძალიან პოპულარული კაცი იყო, მას ქუთაისშიც ბევრი ნაცნობი ჰყავდა, პოდა, ვინ ვაძალა სიმღერის ჩანერა, ერთი კვირა გვაქეიფეს, მერე ცოტა დევისვენეთ და ჩავენურეთ, მაშინდელია ეს ჩანანერები. ეჰ, რა მომღერლები იყვნენ, ისე უუნებდით ხმებს ერთმანეთს, გეგონებოდათ ერთად ვიყავით დაბადებულიო. სამუელი მინც სასწაულებს ახდენდა, ასჯერ რომ ემღერა რომელიმე სიმღერა, ორჯერ ერთნაირად არ გაიმეორებდა, პირველი ხმის გარდა სხვა არ იმღერებდა, მერე ბესონე, – რა ტკბილი ხმა პქონდა, ილარიონ ჩაველიშვილს „ბანის განმამშვიებელი“ უწოდეს – ეჰ, რა ხალხი წავიდა?! – დაასრულა ვარლამმა.

მერე გიგოს ანსამბლის სიმღერები მოისმინეს და მომღერლები შეაქვს. პოლოს დიდი მადლობა გადაუხადეს მას ასეთი სიამოვნებისთვის.

ამასობაში ბაბუა არტემი შემოვიდა ოთახში და სტუმრები სუფრასთან მიიყვანა, სხვა ოთახში გაეიდნენ. უაზრდონი ჩხიკვიშვილებზე დაკიდულ ფოტოსურათთან, რომელზეც გიგო ერჭომაიშვილის ანსამბლი იყო გადაღებული. ქვეით ეწერა: თბილისი, 1907 წელი. ვარლამი მომღერლებს დააკვირდა, მერე, სინანულით გადაიქნია თავი და თქვა: – ნეტავ კიდევ თუ დეიბადება ოდესმე გიორგი ბაბილოძის მსგავსი „გამიყვიანი“, ა?

სტუმრები სუფრას მიუსხდნენ. არტემმა გიგოს სთხოვა: – შენ გეთამადაუო, – ყველას გაუხარდა. გიგომ შორს დაიჭირა: – რაღა დროს ჩემი თამადაობაა, ამ ხნის კაცის თამადაობა ვინ გეგონაო, – მაგრამ როცა დიმიტრიმ და ვარლამმაც სთხოვეს, დათანხმდა. მე ოთახის კუთხეში მოვკალათდი ბუხართან.

– მაშინ, ჯერ ვიგალობოთ, – თქვა გიგომ და პატარა ხმით რაღაც უცხო სიმღერა დაიწყო, მას დიმიტრი პატარავა „წამოეშველა“, ბანი ვარლამმა უთხრა. ისინი სულ სხვა ყაიდაზე მღეროდნენ, მე მივხვდი, რომ რაღაც უცნაურ სიმღერას ასრულებდნენ, როცა სიმღერა დაამთავრეს, პირველარი გადაინერეს და ღვინო ჩამოასხეს.

– ბატონო გიგო! რამდენი ხანია აი, გალობა აღარ გვითქვამს, აგაუნა ღმერთმა, – უთხრა ვარლამმა. მე მაშინ პირველად გავიგონე საგალობელი.

ყველა სადღეგრძელოს შემდეგ სიმღერას მღეროდნენ, ბანს ხან ვარლამი ამბობდა, ხან ბაბუა არტემი. მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ ვრწმუნდები, რომ ყველაფერი „სუფრის წესის“ მიხედვით სრულდებოდა. იმ დღეს პირველად მოვისმინე ვარლამ სიმონიშვილის ბანი, რომელიც ძალიან მომეწონა.

მერე მეც მამღერეს, გიგო ბაბუამ მუხლზე დამისვა და „მასპინძელსა მზიარულსა“ დამანყებინა, ბანი არტემ ბაბუამ გვითხრა. სიმღერა მომიწონეს, ვარლამი მომეფერა და ფული მაჩუქა, რამდენი იყო არ ვიცი, ფულის ცნობა არ ვიცოდი.

როდის წავიდნენ სტუმრები, არ მახსოვს, როგორც ჩანს, ადრე ჩამოვიბნა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მათი ხმები ახლაც მესმის თითქოს. ერთხელ ძველ მომღერლებს რომ ვიხსენებდით, ცნობილმა მომღერალმა დიმიტრი იმედაშვილმა მითხრა: – „ვარლამს მეტად

1. ეშა – ძაღლი

2. კვირიკე – სოფელია ქობულეთის რაიონში

მოქნილი ხანი ქონდა, დაბლიდან მაღლა შევარდენივით მიდიოდაო.
ნამდვილად ასე იყო.

● გიგო ერქომაიშვილთან თურმე სიმღერას სწავლობდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მათ შორის იყვნენ ფირალბებიც. 1900-იანი წლების დასაწყისში გურიაში მომხრავლდა მთავრობაზე განაწყენებული პირები, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, გურიაში ცნობილია ასეთი გვარები: სისონა დარჩია, სიმონა დოლიძე, დათიკო შევარდნაძე, ბულარა მამალაძე, გოგია ღლონტი, მუხუზლა და სხვები. ფირალბობა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც გაგრძელდა, ბევრი ვერ შეეგუა საბჭოთა რეჟიმს და სამართლის საქმენადად იარაღი აიღო ხელში. ერთ-ერთი ასეთი ფირალი გახლდათ კარგი მომღერალი და ფრიად განათლებული კაცი მელქის (მელქისედეკ) გუნთაიშვილი. იგი ახალგაზრდობიდან მეგობრობდა არტემ, ანანია და ლადიკო ერქომაიშვილებთან. გიგო მას სიმღერებს ასწავლიდა. იგი რევოლუციამდე არაერთხელ იყო დაპატიმრებული მეფის ფინდარმურის მიერ რევოლუციური საქმიანობისთვის. სხვათა შორის, ცნობილი ფაქტია, რომ მელქის გუნთაიშვილი სტალინთან ერთად იჯდა ციხეში და მას გურულ სიმღერებს ასწავლიდა. ამის მოწმე გახლდათ ლუკა თოიძის ძმა – აღფესი, რომელიც მათთან ერთად იმყოფებოდა ციხეში.

1937 წელს, საქართველოს ხელოვნების დეკლარაციაზე მოსკოვში ქართველ ხელოვანთა პატრუსაცემად სტალინმა ვახშამი გამართა. იგი რიგრიგობით მიდიოდა მომღერალ ჯგუფებთან და მღეროდა სხვადასხვა კუთხის სიმღერებს. ამ ამბის მოწმე იყო ანანია ერქომაიშვილი, რომელმაც გვიამბო: სტალინი გურულებთან მისულა და მოუკითხავს ძველი მეგობრები, მათ შორის უკითხავს: სეფე ცინცაძე თუა ცოცხალი, მერე დაუნყა „ალიფაშას“ ასეთი ტექსტით:

**„ჩვენი ხისონა დარჩია ნაქება ბიჭობაში,
მიუდა და ძმა იტირა, არ შეშინდა
იმტონ ჯარში,
ცალ ხელში თოფი ვჭარა, ცრემლი
მოახშიდა თვალში,
შენ შევდარი და მე ცოცხალი, რაფერ
გვეიარო ხალხში“.**

სტალინს საკმაოდ მაღალ დონეზე უმღერია „ალიფაშას“ მშვენიერი ვარიანტი

და უთქვამს: ეს სიმღერა მე, ციხეში მასწავლავ მელქის გუნთაიშვილმე შევქმენი.
ამ ფაქტის შემდეგ ალიფაშას ნამდვილი ტექსტი ყველამ დაივიწყა და ამ სიმღერაში სტალინის მიერ ნამღერი ტექსტი დამკვიდრდა.

როცა ანანია დეკადიდან დაბრუნდა, მამამის ფაშო ამის შესახებ, გიგო დაინტერესდა თუ როგორი ტექსტით მღეროდნენ „ალიფაშას“, სანამ სტალინი იმღერებდა. ანანიამ ნაიმღერა:

**„ალიფაშამ გვიღალატა, ჩაგვიყვანა
კვირიცეში,
თითონ ფულები აიღო, ჩვენ ჩაგვტია
მტრისა ხელში,
კაი არც მას დამართია, ბაწრით
ჩათირებს გეშში,
მიხი ვვირილი ისმოდა, ხუფსას გაღმა
ბაილეში“.**

„ალიფაშას“ ტექსტი, თქვა გიგომ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადააკეთეს, რადგან იგი ისეთი სახით არ იყო მათთვის მისაღები. პირველი სტროფი საერთოდ ამოიღეს, ხოლო სადაც რუსი იყო ნახსენები, ის ადგილი სხვა სიტყვებით შეცვალეს. „ალიფაშას“ ნამდვილი ტექსტი, რომელიც ჩვენ ვისწავლეთ აჭარლებისაგან, ასეთი იყო:

**„თათარი და რუსი წუხუბობს, იგინა ირფე ეშა,
ალიფაშამ გვიღალატა ჩაგვიყვანა კვირიცეში,
თითონ ფულები აიღო ჩვენ ჩაგვტია რუსის
ხელში,
კაი არც მას დამართია, უაჭუთ ჩათირებს გეშში,
მიხი ვვირილი ისმოდა ხუფსას გაღმა ბაილეში“.**

ახლა, როცა ამ ტექსტებს ვეადარებთ, ჩანს, რომ სტალინმა იცოდა „ალიფაშას“ ნამდვილი ტექსტი, შესაძლებელია, მღეროდეს კიდევ, მაგრამ არ ისურვა, რომ რუსებისთვის ძალღი და მტერი ეძახნათ ქართველ მომღერლებს, ამიტომ მან სხვა ტექსტი შეარჩია, ან კიდევ: ბალადა სისონა დარჩიაზე იმ პერიოდში დაინერა, იგი გურულ ზეპირსიტყვიერებაში ნამდვილი შედგურია, შეიძლება ესეც იყო იმის მიზეზი, რომ სტალინმა, სწორედ ეს ლექსი შეარჩია სიმღერისათვის. მოგვიანებით 1945 წელს, ოქტომბერში სტალინს სოჭში თავის აგარაკზე მიუწვევია აკადემიკოსები ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს გამოცემასთან დაკავშირებით. საუბარში, სხვათა შორის, სტალინს უთქვამს, რომ ძა-



ლიან მოსწონს გურული სიმღერები, მაგრამ სინანული გამოუთქვამს იმის გამო, რომ გურულებს საგუნდო სიმღერები კამერული შესრულების დონეზე დაუსყვანიათ. თურმე სტალინს მოუგონებია სიმონიშვილი, როგორც კარგი მომღერალი. ასევე მოიგონა კარგი მომღერალი, გულწრფელი კაცი და კარგი ვაჟკაცი გუთნიაშვილი, რომელიც სამხუზაროდ, ვერ შევიწარმუნეთ და ჩვენს პერიოდში მოკლესო, — უთქვამს სტალინს (ეს გუთნიაშვილი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს მელქის გუნთიაშვილი, ალბათ, დაბეჭდვის დროს დაუშვეს შეცდომა, თორემ გვარი — გუთნიაშვილი გურიაში არ არსებობს. — ა.ე.).

გასაბჭოების პერიოდში მელქის გუნთიაშვილი პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა, მერე ბოლშევიკებმა ძმა მოუკლეს, ამაზე მათთან უთანხმოება მოუვიდა, რის გამოც მისი დაქვრაც მოინდომეს. ეს გაიგო მელქისმა, აიღო იარაღი და „ფირალად გაეკრია“. იგი რამდენიმე წელს იმალებოდა ტყვეში და ბოლოს სხვებთან ერთად ისიც მოკლეს სოფელ ექადაისთან. მას დიდი ვაჟკაცისა და სამართლიანი კაცის სახელი დარჩა ხალხში.

ფირალებს ყველა სოფელში ჰყავდათ გამორჩეული ოჯახები, რომლებსაც ეწოდებოდათ, მაკვანეთში ერთ-ერთი ასეთი ოჯახი, გიგო ერქომაიშვილის ოჯახი იყო, სადაც სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ სისონა დარჩია, დათიკო შევარდნაძე, გოგია ლლონტი, მელქის გუნთიაშვილი და სხვები.

მელქისი მათი ხშირი სტუმარი იყო. მას, თურმე, სამზადში ყოფნა და ძმებ ერქომაიშვილებთან ერთად სიმღერა უყვარდა. მელქისს იმდენად კარგი ხმა ჰქონდა, რომ ერთხელ მისთვის არტემს უთქვამს: შენ რომ მთავრობა შეგირიგდეს, აუცილებლად ჩემს გუნდში ჩაგრიცხავდიო.

— შე მთავრობას ცოცხალი არ შევურიგდებო, — უპასუხნია მელქისს, — კობა იმდენად ქვიანი კაცი იყო, რომ ვერ დავიჯერებ ეს ყველაფერი იცოდეს, რაც დღეს ჩვენთან ხდება, ნეტავი ერთი შემახვედრა და მასთან გულახდილად მასაუბრო, — უთქვამს ნალვლიანს.

მამინ ბერს ეგონა ასე—

გიგოს ოჯახში მელქისი ყველას უყვარდა. ერთ ზამთარს იგი რამდენიმე დღეს დარჩა ერქომაიშვილებთან. დღისით ოდის სახურავზე იმალებოდა, რომ არავის შეემჩნია, ხოლო ღამით ჩამოდიოდა და სამზადში დიდხანს უსხდნენ სუფრას და მღეროდნენ.

ერთ საღამოს გიგოსთან აღელვებული მოვიდა ალფეს თოიძე. მანსწავლა, სტალინი კები ამაღამ მაკვანეთში წაიყვანა. მელქისმა შენს ოჯახშიც მოვიდნენ, როგორც ჩანს, საიდანაც გაიგეს, რომ მელქისი თქვენთან აფარებს თავსო. — გიგომ სასწრაფოდ აფრინა ბავშვები და მომღერლები მოაყვანინა. ამასობაში ძმები ერქომაიშვილები მელქისთან ერთად ტყეში გავიდნენ, ტყე ჩვენს ეზოს ზედ ეკროდა. ღამე ბნელი იყო და სიარული ჭირდა, მაგრამ ძმებმა თითოეული ბილიკი იცოდნენ, ამიტომ მელქისთან ერთად მთელი ღამე იარეს და გამთენიას სოფელ გომში მიიყვანეს ერთი თავიანთი მეგობრის ოჯახში.

ერთი საათის ნახული არც იქნებოდნენ მელქისი და ძმები ერქომაიშვილები, რომ სტრაჟინელებიც მოვიდნენ, მაგრამ მათ დაბვდათ რამდენიმე მომღერალი, რომლებიც სამზადში ტეიფობდნენ და არაჩვეულებრივად მღეროდნენ. პოლიციის მოვროსი მათ სიმღერებს მოჯადოებულად უსმენდა: — უკაცრავად, ბატონო გიგო, — ამისთანა მომღერლებთან ყარაღებს რა უნდა, — თქვა მან, მერე სუფრას მიუჯდა და დილაზე იქიფა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მელქისს გუნთიაშვილმა ლექსი მონერაძემეს ერქომაიშვილებს, რომლებმაც სიკვდილს გადაარჩინეს იგი. მოგვყავს ამ ლექსის ფრაგმენტები:

აიციხლეთ, ძმებო, ზამთავს, ღებინში
 ჩასწინდეთ ველები,
 დასჭვტეთ ქართულ ენაზე სიმღერა
 ძველთა ძველები
 ღებინთ დაატკებთ ჩაგრული ძმები,
 სიპართლის მცველები,
 ბანს შემოგახებთ ღებინთ სამშობლოს
 მთა და ველები...

ამ ლექსზე არტემ ერქომაიშვილმა სიმღერა შეთხზა, რომელსაც ძველი მომღერლები დღესაც მღერიან.

გიგო ერქომაიშვილმა 107 წელი შეასრულა. იგი თავს მშვენივრად გრძნობდა, მღეროდა, თავისი ტუმბოტეხილი დოქიდან სადილზე რამდენიმე ჭიქა იზაბელასაც სვამდა.

ერთ საღამოს ჩემი ნათლია კვიროსი ბერსენაძე და ფილიპე ბაბილოძე გვეტუმრნენ, კვიროსი და ფილიპე კარგი მომღერლები იყვნენ და გიგოს ორივე ძალიან უყვარდა. ბაბუა არტემი, დედაჩემი და მამა-

ჩემი კონცერტზე იმყოფებოდნენ. ბებია მარია მამა სუფრა სამზადში მუშაობდა და მამა მამა. გიგოს იქ უყვარდა ჯდობა. კარგ გუნებაზე იყო და სტუმრებთან ბევრი იმღერა. როცა სტუმრები წაივდივნენ, გიგო ადგა და ოდაში მარტო წაივდა. გარეთ წვიმდა, მას უნებლიედ ფეხი გაუცურდა, დაეცა და თავი ქვაზე დაჰკრა. ცოტა ხანს გონება დაკარგა, გონს კი მოვიდა, მაგრამ ფეხზე ვეღარ დადგა. მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, ბაბუა არტემმა თქვა, იგი დიდხანს ვეღარ იცოცხლებსო. ერთ საღამოს გიგომ არტემი იხმო: — „მე ამალამ ვეღარ გავატან, ახლათ, მივიღვიარ, ბიჭო, და აბა, თქვენ იცით, ჩვენი წაწერილი სიმღერები შეინახეთ და გვარი არ წაშალოთ“.

არტემ ბაბუამ ბებია მარიამი და მე, ნავთის სასესხებლად მეზობლებში გაგვაგზავნა, — მამაჩემს ღამე უნდა გავუთხოოთ. სახლში რომ დავბრუნდით, არტემ ბაბუა ბუხართან იჯდა, ცეცხლი მკრთალად ანათებდა ოთახს. გიგო „ვოლაკებს“ ესაუბრებოდა: — „გამარჯობა, გიორგი, შენი, რამდენი ხანია, ბიჭო, შენთან აღარ მიმღერია, გიორგი სადაა, იობიშვილი, ხომ იცით, უთქვენოდ სიმღერას შნო არა აქვს“. ბებია ღამ-პა ანთო, ღამისი შუქზე ნათლად გამოჩნდა, რომ გიგო საამქვეყნიო აღარ იყო. მე შემეშინდა და ბებოს მივეჩარი.

— გიორგი, დამინყე ერთი „ალიფაშა“ — თქვა გიგომ და თვითონ ბანი მიაშველა. იგი მღეროდა ხალისიანად და მე მომეჩვენა, რომ ხმა კიდევ მოძლიერებოდა. მე ეს სიმღერა თვითონ მასწავლა, ამიტომ არ გამომპაროვია, თუ რა ღამეა ხად ჩაახვიდა „ალიფაშას“ ბანი. ახლა რომ ვიხსენებ, მჯერა, რომ მას გიორგი იობიშვილის „დამწყები“ და გიორგი ბაბილოძის „გამყივანი“ ესმოდა, ამიტომაც მათ ხმებს განსაკუთრებული ბანი მიუსადაგა და არა ისეთი მარტო, ჩემთან რომ მღეროდა. — თქვენთან სიმღერას სულ სხვა ეშხი აქვს, — თქვა გიგომ, როცა სიმღერა დამთავრა და გადაიხარხარა. — თქვენ რომ დამტოვეთ, მერე ცხოვრებამ ინტერესი დაკარგა. გახსოვს, გიორგი, რაფერ „მევიპარეთ“ „ალიფაშა“ ქაქუთიდან? ეჰ, რა ახალგაზრდები ვიყავით მაშინ. ბიჭო, ივლიანე, შენ აქინე რაღა გინდა, იქ არ დატოვე? — შევეითხა გიგო ივლიანე კეჭყემაძეს, ამ კითხვაზე ბაბუა არტემიც გამოერკვა: ღმერთო, დაგელოცა სახელიო, — თქვა და პირჯვარი გადაიწერა. საქმე ისაა, რომ ივლიანე კეჭყემაძე ერთი კვირის წინ დაასაფლავეს, ისიც ას წლამდე იყო მიტანებული, გიგოს ამის შესახებ არ შეატყობი-

ნეს — გული ეტკინებოდა და ესე კოტორად ამბობდა, თურმე: ივლიანე რომ კარგად იყოს, უსათუოდ მნახავდაო, და აგერ სად შეხვდა ახლა. — ივლიანე, დამინყე ერთი „ჩვენ მშვიდობა“, — უთხრა გიგომ და „მოდახილით“ გააყვა „დამწყებს“. მერე ნანიკო ბურძგლა მოიკითხა. „გიორგი, ერთი ძველი რევიდაცა“ დეინყე, თუ ძმა ხარ, შენ რომ იცი ისე, „გადახილზე“ გამყივანს ნანიკო გვეტყვის.

„შეიდაკას“ რომ მორჩენე, — თქვენ გეხარეთ, ასე გემრიელად რამდენი ხანია აღარ მიმღერიაო, თქვა და უცებ ვილაცხას უპასუხა: — არტემი? — არტემი არ წამოვიყვანე, ჯერ ბევრი საქმე აქვს, მერე, მოგვიანებით მოვა ჩვენთან. — თქვა და თითონვე წამოიწყო „გრძელი ლილინი“, მაგრამ ვეღარ დაამთავრა, ხმა თანდათან დაუსუსტდა, მერე მიწყინარდა და სიმღერაც შეწყდა, ბაბუა არტემი ადგა, ფრთხილად დაუხუჭა თვალები და ხელემა გულზე დაუკრიფა.

საინტერესოა ერთი ფაქტიც, კარგად მახსოვს, რომ გიგოს სიკვდილის წინ არც ერთი გარდაცვლილი შვილი არ მოლანდებია, იგი მხოლოდ თავის მომღერლებს შეუერთდა სიმღერით.

დღილი მეზობლები მოვიდნენ სამომარხო, ოთხიდან რომ გამოვიდნენ, პათლოში ბერსენაძემ მელიტონ ნივნივადეს უთხრა: — ვისაც დიდი სიკეთე აქვს გაკეთებული, ღმერთი აუცილებლად სასუფეველს დაუშვიდრებს, მაღლიანი კაცი იყო გიგო, და აგერ ნახეთ, ნათელი ადგას თავზეო. — ხნიერი კაცები დაემომშენ, ზოგმა პირჯვარიც კი გადაიწერა.

ბავშვებს შევექვინდა, მაგრამ მერე ცნობისმოყვარეობამ წაგვძლია და ახალგაზრდებთან ერთად მაინც შევიტყობით ფანჯარაში.

გიგო ტახტზე ესვენა, ტანზე თეთრი ზეწარი ეფარა. ის ადგილი, სადაც თავი ედო, რაღაცნაირად იყო განათებული. შესაძლებელია საიდანღაც მზის შუქი შემოდოდა, მაგრამ, ახლა რომ ვიხსენებ, გიგოს თავი მართლა იყო შუქმოფენილი. ღმერთმა აცხონოს.

ოქტომბრის თბილი დღე იყო. ჩვენი ეზოს შუაგულში დიდი ცაცხვის ხე იდგა, რომელიც მთელ ეზოს ჩრდილავდა, ამ ცაცხვის ქვეშ გაეკეთებინათ დიდი ფანჩატური, სადაც ჩვენი „თეთრი ბაბუ“ ესვენა. დამინებულებით ინვა კუბოში, თეთრი წვერი მკერდამდე ეწინა. მიცვალებული რუხი ფერის ჩოხით, წელზე ქამარ-ხანჯლით, ხოლო ფეხზე სქელძირიანი ნულებით დამამახსოვრდა. წვივებს პაჭიჭები უფარავდა, თავთან



მეი ყაბალაში და პატარა ნიგნი ედო, მე ყური მოეკარი, არტემ ბაბუამ თავის ძმას — ლადიკოს რომ უთხრა ჩუმაფ: — ლოცვების ნიგნი ჩავატანოთო.

გიგოს დასაფლავებაზე დიდძალი ხალხი მოვიდა. საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა იგი. არტემ ბაბუამ მღვდელი მოიყვანა, რომელმაც ნესი აუგო მიცვალებულს. ბავშვები ინტერესით მიეჩერებოდით მღვდელს, რომელიც ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა. მიცვალებულს თავზე ადგნენ ვარლამ სიმონიშვილი, დიმიტრი პატარავა და არტემ ბაბუა. უცებ მათ ხმაძივალად სიმღერა დაიწყეს. ჩვენ გაკვირვებისაგან პირი დავადეთ, — სატირალში მღეროდნენ. მე არ ვიცოდი რას მღეროდნენ, მაგრამ სულ „ვაი-ვაის“ გაიძახოდნენ. მერე მეორე სიმღერაც იმღერეს, საიდანაც დღემდე დამამახსოვრდა ეს სიტყვები: „სულთათანა, აღსრულებულსა მართლთასა“. — მერე კიდევ ბევრჯერ იმღერეს.

მახსოვს, სიმღერის გაგონებაზე მოხუცები ახლოს მივიდნენ მომღერლებთან და დიდი ინტერესით უსმენდნენ. მერე მელიტონ ნიენიკაძემ ფილიპე ბაბილოძეს გადასულაპარაკა: რამდენი ხანია „ზარი“ და „სულთათანა“ აღარ გამოვიგონია, ყოჩაღ, არტემ, ისე დაკრძალა გიგო, რაეარც მას ეკადრებოდაო.

— მაი ყოლიფერი კაი, მარა ის მიკვირს რაფერ გაბედეს ვალოზაო, — უპასუხა ფილიპემ.

გიგო ერქომაიშვილი დაკრძალეს ნაკაშიძის გორაზე, იმ ეკლესიის ვალავანში, სადაც მას ბევრჯერ უგალობია თავის ანსამბლთან ერთად.

ეკლესია კომუნისტებმა დაანგრეს, მაგრამ დარჩა ქვიტკირის ვალავანი. გიგო დაკრძალეს გიორგი ბაბილოძის ახლოს, თავის ცოლ-შვილთან ერთად. მოგვიანებით არტემ ბაბუამ გიგოს ფეხებთან ნაძვის ხე დარგა. ახლა ის ხე თითქმის მთელ გურიას გადაჰყურებს.

გიგოს დაკრძალვის მეორე დღეს, სკოლაში რომ მივედი, ბავშვები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: გუშინ გიგო ერქომაიშვილის დასაფლავებაზე, იმის მაგივრად რომ ეტირათ, თურმე მისი შვილები მღეროდნენო.

ახლა, როცა ამ ამბავს ვიგონებ, ვფიქრობ: ნეტავი მაშინ ყოფილიყო დღევანდელი ფონო-ვიდეო ტექნიკა, რომ ის რიტუალი ვინმეს ჩაენერა, რადგან ეს იყო ბოლო მიცვალებულის დატირება ტრადიციული ნესით, ნამდვილი მგალობლები რომ ეტირნენ. მაშინვე იმ შევანიშნავ სამეუღლს აღარ

შეუსრულებია სამგლოვიარო სწავლობლები, რადგან ეს მკაცრად შეკრძობოდა.

მაკვანეთის ანსამბლმა დიდი საქმე გააკეთა, გარდა საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობისა, მათ 1907 წელს ფონოჩანანერებში დააფიქსირეს და უკუდაეყვეს მანდელი სიმღერები. ეს სიმღერები ორი საუკუნის წინანდელი ვარიანტებია, რადგან გიგო ერქომაიშვილისა და გიორგი ბაბილოძის პაპები და მასწავლებლები მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში ჩანერილი სიმღერები საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ძველი თაობის, საუკეთესო მომღერლების მიერაა შესრულებული, ამიტომ ახლა თითოეულ სასიმღერო ფრახას, თუნდაც შემთხვევით გადარჩენილს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისათვის. ამიტომია, რომ, რაც დრო გვაქვს, მათ მეტი ფასი დავედებათ, რადგან ეს ფონოჩანანერები ქართული ხალხური სიმღერების პასპორტია და მომავალში მის მითვისებასა და შებღალავას ველარავინ გაბუდავს.

გიგო ერქომაიშვილის გარდაცვალებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ისტორიული ფაქტის მოწმენი გავხდით: საბჭოთა კავშირი დაიშალა, ფასეულობები გადაფასდა, წეს-წყობილებაც შეიცვალა, საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიდგინა თავისი ფუნქცია, დღეს აღარ იკრძალება ღვთის საიდუმლოების ჰიმნები და ტექსტები.

დღეს ფოლკორული ანსამბლების რეპერტუარში მომრავლდა გიგო ერქომაიშვილის, სანდრო კავსაძის, ლევანა საბაშვილის (დედას ლევანა), სამუელ ჩაველიშვილის, ხუხუნაიშვილებისა და სხვა მომღერლების მიერ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჩანერილი სიმღერები, რომლებსაც ასრულებენ „რუსთავი“, „გეორგიკა“, „ლაშარი“, „ბათუმი“ და, რაც მთავარია, ბავშვთა ანსამბლები: „მართვე“, „მძღვეარი“, „ბიჭები“ და სხვ.

რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი საქმე, რომ ჩვენი პატარა მომღერლები, 21-ე საუკუნის ქართველები, სწავლობენ და მღერიან ქართული სიმღერების ორი საუკუნის წინანდელ ვარიანტებს. მომავალ საუკუნეებში ისინი სხვას შეასწავლიან ამ სიმღერებს, ესაა სწორედ სიმღერის უკუდაცება.

ჩემს სამუშაო მაგადაზე გიგო ერქომაიშვილის დიდი ფოტოსურათი დევს, სიმონ ბოლქვაძის ნაჩუქარი. როცა ვუს-

მენ ჩემი წინაპრის მიერ ჩანერილ „ძველ მაყრულს“ და მესმის „თეთრი ბაბუს“ სიმღერა მის საყვარელ ლექსზე, მოგონებებით ჩემს ბავშვობას უბრუნდება. ეს ის ლექსია, რომელიც ოდესღაც მიკარნახა და მე მონგრეული ასოებით გამოვიყვანე ცალხაზიანი რვეულის ფურცელზე, სამწუხაროდ ეს რვეული აღარ შემომჩნა. ახალგაზრდობის წლებში ეს ლექსი მიმაეინყდა კიდევ, მაგრამ, როცა უკვე ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე, ახლა ვხვდები, თუ რატომ ჩამანერინა იგი გიგო ერქომამიშვილმა.

ეს ლექსი ახლა ხშირად ამეკვიატება და მელოდიასთან ერთად ფუნქციონირებს

„რა კარგია საწუთრო ახე გამატარებდეს,
ვინც მე მიყვარს, იმას რომ ჩემს თავს
შეაყვარებდეს,
ვისაც მე არ ვუყვარვარ, ახლოს არ
მაყარებდეს,
და უფროდ სიბერეს რომ არ შემასარებდეს.“

მეამაყება, რომ ამ სიმღერების გადარჩენაში, სხვა მოღვაწეებთან ერთად, ჩემს წინაპრებსაც მოკრძალებული ღვაწლი მიუძღვის.

თბილისი, რუსთაველის გამზ. №28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61

პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასანყობად., 07.01.2000 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად., 14.02.2000 წ. ასანყობის ზომა 7 1/4 x 12, ფორმატი 70x108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8.25. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 11,04. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 9.08. ტირაჟი 400. შეკვეთა №6.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. №42

1107

ფანსი ორი ლარი


ინფორმაცია /
76125
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს